

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო  
საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო  
საქართველოს პატენტოდეპარტამენტის საზოგადოებრივი ინსტიტუტი  
სსრ კავშირის გამომგონებლისა და  
აღმონებლის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საპატენტო სამსახურის  
საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალი

**ო. კეკელაშვილი**

**უ. ფუთურიკა**

# გამომგონებლისა და რაციონალიზატორის ცნობარი

(კითხვებსა და პასუხებში)



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1982

601(c)+34 c 4  
3(2)J+67 . 99(2)3  
608+347 . 77] (47)-  
კ 391

წიგნში მოქმედი კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე განზოგადებულია საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მოღვაწეობის ორგანიზაციული, უფლებრივი, ეკონომიკური და სხვა საკითხები. გადმოცემულია წინადადებათა გაფორმების წესი, ეკონომიის გამოთვლის, გასამრჩელოს და პრემირების, აგრეთვე საპატენტო-სალიცენზიო მუშაობისა და საპატენტო დოკუმენტაციის საკითხები.

განკუთვნილია ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, წარმოების ნოვატორებისათვის, პროფკავშირული აქტივისტებისა და ადმინისტრაციული მუშაკებისათვის.



ედღენება საქართველოს ახალგაზრდო-  
ბის პროგრესული ტექნიკური აზრის  
განმხორციელებელ 800-იანი წლების სა-  
ხელოვან წარმომადგენლებს

### ამ წიგნის შესახებ

ცნობარში კითხვა-პასუხის ფორმით, მოქმედი კანონმდებლობა-  
სა და მისი გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე განზოგადებუ-  
ლია საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მოღვაწეობის  
ორგანიზაციული, უფლებრივი, ეკონომიკური და სხვა საკითხები.

ცნობარში გარკვეული ადგილი უკავია წინადადებათა გაფორმე-  
ბის წესის, ეკონომიის გამოთვლის, გასამრჯელოს და პრემირების, აგ-  
რეთვე საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობისა და საპატენტო  
დოკუმენტაციის გამოყენების საკითხებს.

ავტორებმა გაითვალისწინეს 1973 წლის დებულების მიღებას-  
თან დაკავშირებულ მოქმედ დებულებებში, ინსტრუქციებსა და მი-  
თითებებში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ეხება აღმოჩენებს,  
გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს. საკითხე-  
ბის უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაცნობისათვის მკითხველს შე-  
უძლია მიმართოს მითითებულ შესაბამის ლიტერატურას.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის — საწარ-  
მოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკუ-  
რი მუშაკებისათვის, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბი-  
უროს, საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ქვეგან-  
ყოფილებების მუშაკებისათვის, გამომგონებლების, რაციონალიზა-  
ტორების, წარმოების ნოვატორებისათვის, საქართველოს პატენტ-  
მცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტისა და მეცნიერულ-ტექ-  
ნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტების მსმენელებისათვის.  
იგი შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე ტექნიკური და იურიდიული  
უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა.

## წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ისტორია — ესაა, უპირველესად, მშრომელი მასების რევოლუციური შემოქმედების ისტორია, რომლებმაც ააშენეს სოციალიზმი და ახლა წარმატებით ქმნიან კომუნისტურ საზოგადოებას. ამ შემოქმედების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს გამომგონებლობა.

საბჭოთა გამომგონებლობა, რომელმაც ამჟამად დიდი გაქანება მიიღო, მოწოდებულია შეასრულოს უდიდესი როლი კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში, რაც დასახულია სკკპ XXVI ყრილობის მიერ.

ოქტომბრის რევოლუციამდე გამომგონებლობა წარმოადგენდა კერძო საქმეს, ხოლო გამოგონებები — კერძო საკუთრებას. მატერიალურ სიძნელეთა გამო ბევრი ნიჭიერი უბრალო მშრომელი ადამიანი იძულებული იყო ხელი აეღო შემოქმედებით მუშაობაზე, ხშირად უარყოფდნენ გამომგონებლების აზრს; გამოგონების პროექტები და ნახაზები უყურადღებოდ ეწყობო არქივებში, უმეტესად ყიდდნენ უცხოეთში. XX საუკუნის დასაწყისში, მაგალითად, 3/4-ზე მეტი პრივილეგია<sup>1</sup> გამოგონებაზე მეფის რუსეთიდან საზღვარგარეთ „ხედებოდა“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ წარმოშვა გამომგონებლის ახალი ტიპი — სოციალისტური მშენებლობის საქმის ერთგული ადამიანი, რომლის შემოქმედებითი აზრი ეხმარება საზოგადოებას მიაღწიოს შრომის მაღალნაყოფიერებას, ყოველმხრივ გააადვილოს შრომა.

სოციალისტურმა წყობამ თითოეულ მშრომელს შესაძლებლობა მისცა ყოველმხრივ გამოავლინოს, განავითაროს თავისი ნიჭი; წარმოშვა შრომის, შემოქმედების ახალი სტიმულები, რადგანაც ახლა „საუკუნეობით სხვებისათვის შრომის, ექსპლოატატორებისათვის

<sup>1</sup> მეფის რუსეთში გამომგონებლებს ეძლეოდათ ე. წ. „პრივილეგიები“.

იძულებითი მუშაობის შემდეგ პირველად ხდება შესაძლებელი ადამიანმა თავისთვის იმუშაოს, და იმუშაოს იმდაგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკის და კულტურის ყველა მონაპოვარი“<sup>2</sup>.

ტექნიკური შემოქმედების საკითხები სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გახდა უდიდესი მნიშვნელობის საქმე.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში მატერიალური წარმოების განვითარების ტექნიკური და ეკონომიკური რესურსები ორთქლის ენერჯის გამოყენების ბაზაზე არსებითად ამოწურული იყო. შენდგომი პროგრესი შეიძლებოდა მხოლოდ ელექტროობის ფართოდ დანერგვის საფუძველზე. მხოლოდ ამ პირობით იყო შესაძლებელი წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია მოკლე ვადებში და მცირე დანახარჯებით მისი მოცულობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, სოციალიზმისა და კომუნისმის მატერიალური ბაზის შექმნა.

ვ. ი. ლენინი მიგვიითებდა, რომ სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში მოითხოვს ახალი ტექნიკის დამუშავებას და ათვისებას, რომელიც შემდგომი ტექნიკური პროგრესის პერსპექტივების პირობაა. „თუ რუსეთი არ გადავიყვანეთ სხვა, წინანდელთან შედარებით უფრო მაღალ ტექნიკაზე. ისე შეუძლებელია ლაპარაკი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და კომუნისმზე. კომუნისმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“<sup>3</sup>. ამ დებულებას შეესაბამება ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა.

საბჭოთა ხელისუფლების უაირკვლევია ამოცანა იყო მშრომელთა ფართო მასებისათვის შეექმნა ყოველგვარი პირობები, რათა ჩაება ისინი საწარმის შემოქმედებითა მოღვაწეობის სფეროში. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ ტექნიკურ შემოქმედებაში ჩაბმის საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას საფუძვლად უნდა დასდებოდა მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა ტექნიკურ შემოქმედებაში. „ათეული მილიონობით შემოქმედის გონება — ამბობდა ვ. ი. ლენინი — ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიდრე ყველაზე დიდი და გენიალური წინასწარხედვა“<sup>4</sup>.

ყველა ღონისძიების ინიციატივა, რომელსაც იღებდა ახალგაზრდა საბჭოების ქვეყანა ტექნიკური შემოქმედების განვითარების საქმეში, ეკუთვნოდა ვ. ი. ლენინს, რომლის სანუკვარი აზრი იყო ჩაყენებინათ ყველა ეს ტექნიკოსები მათი სამუშაოებისათვის შესაფე-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 472—473.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 513.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 555.

რის იდეალურ პირობებში<sup>5</sup>. ვ. ი. ლენინი ამტკიცებდა, რომ რუსეთი 25 წლის შემდეგ გახდება მოწინავე ქვეყანა მსოფლიოში, თუ ასეთი პირობები იქნება შექმნილიო.

ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური შემოქმედების განვითარების ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი, რომელსაც 1919 წ. 30 ივნისს ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინმა. ეს იყო პირველი საკანონმდებლო დეკრეტი გამოამგონებლობაში.

ლენინის დეკრეტით პირველად ისტორიაში სახელმწიფო კანონმდებლობით განისაზღვრა სახელმწიფო ორგანოების მოვალეობანი — დაენერგათ წარმოებაში ყველა სასარგებლო გამოგონება და ტექნიკური გაუმჯობესება; ყოველი სასარგებლო გამოგონება რეგისტრირებული ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში. სახელდობრ, ამ დეკრეტში პირველად იყო ნახმარი ტერმინი „საავტორო მოწმობა“.

ამ დეკრეტით დაზუსტდა სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეცნიერო ტექნიკური განყოფილების და „კომპოლიზის“<sup>6</sup> ფუნქციები.

ტექნიკური პროგრესის გზაზე რუსეთის გადაყვანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის ყველაზე ფართო მასების ტექნიკური შემოქმედება და ნოვატორობა.

უბრალო მუშებისათვის, გამოგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის ვ. ი. ლენინი იყო ძალიან ახლობელი ადამიანი. გამოგონებლები ვ. ი. ლენინს თვლიდნენ იმ ადამიანად, რომელიც გაიგებს მათ მისწრაფებებს — თავიანთი შემოქმედებით სარგებლობა მოუტანონ ხალხს, დაეხმარება — რეალობად აქციონ ოცნებები.

არავის ისე არ უხაროდა ახლად შექმნილი ტექნიკის წარმატება როგორც ვ. ი. ლენინს. თანამედროვეთა მრავალრიცხოვან მოგონებებში აღნიშნულია ბელადის ეს დამახასიათებელი თვისება.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა სერიოზულად მივდგომოდით წვრილმან წინადადებებსაც კი, რომელთა მიზანი იყო წარმოების გაუმჯობესება. ასეთი წინადადებების ავტორები უბრალო მუშები იყ-

5 М. Горький. Собр. соч. в 30 томах, т. 17, М., 1952, с. 42—43.

6 1918 წ. იანვარში ყოფილი სავაქრო და სამრეწველო სამინისტრო გაუქმებულ იქნა, ხოლო მასთან არსებული ტექნიკურ საქმეთა კომიტეტი, რომელიც განაგებდა ტექნიკურ გამოგონებათა დაპატენტების საქმეს, გადავიდა სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში და გარდაიქმნა გამოგონებებისა და გაუმჯობესების საქმეთა კომიტეტად („კომპოლიზად“).

ნენ. მნიშვნელოვანი იყო მათი ჩაბმა შემოქმედებით მოღვაწეობაში. მათ პატარა საქმეებზე დამოკიდებულია რევოლუციის ბედით — ეუბნებოდა იგი თავის თანამედროვეებს.

სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ტექნიკურ შემოქმედებას — გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მატერიალურ დაინტერესებას. ვ. ი. ლენინს ეკუთვნის სოციალისტური საწარმოში წარმოების მეთოდების სრულყოფისა და ტექნიკური გაუმჯობესების განსაკუთრებული პრემიალური განაღდების შემოღების იდეა.

ვ. ი. ლენინის მიერ ნაკარნახევი მზრუნველობა ტექნიკური შემოქმედების, ტექნიკური აზრის განვითარებისათვის არ შენელებულა საბჭოთა საზოგადოების მშენებლობის მთელი ისტორიის მანძილზე.

1925 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნა მუშათა გამომგონებლობის ხელშეწყობის საერთო სახელმწიფო ბიურო.

ამავე წელს მიღებულ იქნა დადგენილება „ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა გამომგონებლობის წახალისების ღონისძიებების შესახებ“ და ჩატარდა წარმოების რაციონალიზატორთა პირველი სრულიად საკავშირო თათბირი მოსკოვში.

1928 წელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „გამომგონებლობის ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“, ხოლო 1929 წელს — „გამომგონებათა გამოყენების შესახებ“. ერთდროულად შეიქმნა ჟურნალები „გამომგონებელი“ და „ჩვენი მიღწევები“, ჩატარდა გამომგონებელთა პირველი სრულიად საკავშირო შეკრება.

1930 წლის ოქტომბერში სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება გამომგონებლობის დებულების შესახებ.

1931 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა „დებულება გამოგონებებისა და ტექნიკურ სრულყოფათა შესახებ“, რომლის საფუძველზე შემოიღეს გამოგონებებზე ავტორის უფლების დაცვის ორი ფორმა — საავტორო მოწმობა და პატენტი.

1932 წელს შეიქმნა გამომგონებელთა სრულიად საკავშირო საზოგადოება, რომლის პირველ ყრილობაზე საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. ი. კალინინი.

შემდგომი დებულება გამოგონებათა და ტექნიკურ სრულყოფათა შესახებ დამტკიცდა 1941 წლის 5 მარტს.

1956 წელს შეიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსე-

ბული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტი, ზოლო 1958 წ. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოება, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ახალი საკანონმდებლო აქტების დამუშავება.

1959 წლის 24 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება „აღმოჩენების, გამოგონებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ“, რომლითაც გაფართოვდა აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა უფლებები და შეღავათები.

ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში ნოვატორთა აქტიური მონაწილეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში 1973 წელს მიღებულ ორ დადგენილებას: სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს № 575 დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს № 584 დადგენილებას „აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დებულების დამტკიცების შესახებ“.

1973 წლის 20 აგვისტოს დადგენილება ავალებს სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს ხელმძღვანელებს სისტემატურად განიხილონ გამოგონებათა გამოყენებას საკითხები დამუშავების ყველა ეტაპზე და ნაკეთობებისა და მასალების ახალი სახეების წარმოების ათვისებისას მიმართონ კონსტრუქტორთა, დამმუშავებელთა და მკვლევართა მოღვაწეობა როგორც პრინციპულად ახალი მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნისაკენ, ასევე ტექნიკის და ტექნოლოგიის გაუმჯობესებისაკენ საგამომგონებლო აზრის უკანასკნელ მიღწევათა გათვალისწინებით.

სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს მათი სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის შეფასების დადგენილი წესი, დამუშავებათა სიახლის და

საპატენტო დაცვის, დამუშავებებში გამოგონებებს გამოყენების-  
გათვალისწინებით. ამავე მიზნით გამოგონებებისა და აღმოჩენე-  
ბის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ატარებს იმ ახალ ნაკეთობა-  
თა და ტექნოლოგიური პროცესების პატენტუნარიანობისა და  
საპატენტო სიწმინდის სისტემატურ შემოწმებას, რომელთა ათვი-  
სებაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის  
განვითარების გეგმების პროექტებში.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და ახალი ტექნიკის შე-  
ქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საპატენტო ინფორმაცია.  
დადგენილება ავალებს სამინისტროებსა და უწყებებს გამოგონე-  
ბებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთო-  
ბლივად უზრუნველყონ ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოე-  
ბენ ახალ ნაკეთობათა და ტექნოლოგიური პროცესების დამუშა-  
ვებას, საპატენტო ინფორმაციით, გააუმჯობესონ დარგობრივი და  
დარგთაშორისო ინფორმაცია. მიჩნეულია მიზანშეწონილად გა-  
მოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის  
მიერ სსრ კავშირში გამოყენებულ გამოგონებებზე საინფორმა-  
ციო ბიულეტენის გამოცემა.

სსრ კავშირში მოქმედი დებულებით „აღმოჩენებზე, გამოგო-  
ნებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე“ ზუსტად არ-  
ის რეგლამენტარებული სამინისტროებისა და უწყებების მოღვა-  
წეობა საგამომგონებლო, რაციონალიზატორულ და საპატენტო-  
სალიცენზიო მუშაობის ორგანიზაციის დარგში, დადგენილია აგ-  
რეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვა-  
ლდებულებები.

დებულება გამსჭვალულია ტექნიკურ შემოქმედთა მიმართ  
ზრუნვით, მისწრაფებით ყოველმხრივ განხორციელდეს მათი მო-  
რალური და მატერიალური სტიმულირება, დადგენენ ჩვენს საზო-  
გადოებაში აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატო-  
რული წინადადებების ავტორები სათანადო სიმალეზე.

აღმოჩენებზე, გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინა-  
დადებებზე უფლებრივი ნორმები, რომლებსაც სახელმწიფო იც-  
ავს, უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობაში აღმოჩენების, გამო-  
გონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შედეგე-  
ბის უფრო ოპერატიულად და სრულად გამოყენებას, გამომგო-  
ნებელთა და რაციონალიზატორთა უფლებების გაფართოებას,  
სტიმულირების სრულყოფას, როგორც ავტორთა მიმართ, ასევე  
იმ პირთა მიმართ, ვინც ხელი შეუწყო მათ ათვისებას; მოქმედი

კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე ტექნიკური შემოქმედების შემდგომ მიმართულებას, ქმნის საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის როლია რეალურ წინამძღვრებს ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაზრდისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვამ საგამომგონებლო საქმიანობაზე თავისი ასახვა პპოვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში), რომელიც მთელმა საბჭოთა ხალხმა განიხილა და მოიწონა. ტექნიკურ შემოქმედთა ლენინური ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა კონსტიტუციის 47-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ამას უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ფართოდ გაშლა, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება, სახელმწიფო ქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს, მხარს უჭერს ნებაყოფლობით საზოგადოებებსა და შემოქმედებით კავშირებს, ორგანიზაციას უწევს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში. ავტორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებს სახელმწიფო იცავს“.

კონსტიტუციით მინიჭებული მეცნიერული და ტექნიკური შემოქმედების თავისუფლების გარანტია, ყურადღება, რომელიც დათმობილი აქვს კონსტიტუციაში საგამომგონებლობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების ფართო კომპლექსს, მოწმობს იმას, რომ სსრ კავშირში ტექნიკური შემოქმედება აყვანილია უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხების დონეზე.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების შესაძლებლობები შეიძლება სრულად იყოს გამოყენებული მხოლოდ თვით ამ შემოქმედებით მოძრაობაში მშრომელთა ფართო ჩაბმის უზრუნველყოფით. ამასთან თითოეულმა მათგანმა უნდა იცოდეს თავისი მოღვაწეობის უფლებრივი საფუძვლები და შეებლოს დაიცვას კანონების შესაბამისი მოთხოვნები და დებულებები. ამ მოთხოვნათა განხილვა მოცემულია წინამდებარე ცნობარში.



## გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობის სსრ კავშირში

§ 1. როგორი ორგანოები ახორციელებენ საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ხელშეწყობას და რა ფუნქციები აქვთ მათ?

სსრ კავშირში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ხელშეწყობის ორგანოების სისტემაში ჩართულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, სამინისტროები, უწყებები, კოოპერაციული ცენტრები და სხვ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, როგორც სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო, აერთიანებს და წარმართავს საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოების შუშაობას და კონტროლს უწევს მათ მოღვაწეობას.

თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტებისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამატებს დებულებებს მმართველობის ორგანოების შესახებ, მათ რიცხვში გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისაც, განსაზღვრავს საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო მოღვაწეობის განვითარების მიმართულებებსა და აწარმოებს, აგრეთვე ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური და საპატენტო ინფორმაციის განვითარების ძირითად პრინციპებს.

ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის განვითარების საერთო ხელშეწყობას ახორ-

ციელებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი (დებულების 82-ე პუნქტი)<sup>7</sup>.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს: სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა გამოყენებაზე კონტროლი; გამოგონებებისა და აღმოჩენების დარგში სახელმწიფო ინტერესების დაცვა; სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა ფართოდ გამოყენების მიზნით საპატენტო ინფორმაციაში მუშაობის მოგვარება და კოორდინაცია; აღმოჩენებისა და გამოგონებების ავტორებისათვის ხელის შეწყობა; მათი საავტორო უფლებების ყოველმხრივი ჯაფა; საპატენტო სამსახურების ორგანიზაცია; გამოგონებების და აღმოჩენების მასალების ექსპერტიზის ორგანიზაცია; გამოგონებებზე საავტორო მოწმობების ან პატენტების და აღმოჩენებზე დიპლომების გაცემა; საპატენტო მუშაობის დარგში კადრების მომზადების განხორციელება.

დაკისრებული ამოცანების შესაბამისად გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ადგენს წინადადებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის, სამინისტროებში და უწყებებში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების განხილვის სამუშაოების და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ, მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებსა და დამატებებზე. გამოგონებებისა და აღმოჩენების დარგში სახელმწიფო ინტერესების, გამომგონებელთა საავტორო უფლებების საზღვარგარეთ დაცვაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე, საპატენტო ლიცენზიების გაყიდვასა და ყიდვაზე.

გამომგონებლობის დარგში, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ეყრდნობა სამინისტროებს, უწყებებს, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, ხოლო მასობრივი ტექნიკური შემოქმედების განვითარების საკითხში — გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებას (გრსს) და სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებას (სტს).

<sup>7</sup> 1973 წ. 21 აგვისტოს დამტკიცებული დებულება აღმოჩენებზე, გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე. შემდგომში იწოდება შემოკლებით დებულება.

სახალხო მეურნეობაში გამოგონებების თავის დროზე და ფართოდ გამოყენებისათვის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დადგენილი წესით უგზავნის წინადადებებს მათი მოღვაწეობის პროფილზე მიკუთვნებულ გამოგონებათა გამოყენების შესახებ, გამოგონებათა აღწერილობებისა და სახელმწიფო კომიტეტში არსებულ ამ გამოგონებების დამახასიათებელი ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების მასალების დართვით (დებულების 94-ე პუნქტი).

სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და კოოპერაციული ცენტრები მოწოდებული არიან უხელმძღვანელონ ნოვატორულ მოღვაწეობას სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ქვეყნის თავდაცვის, სარეწ და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში და ა. შ. მათზეა დაკისრებული საპასუხისმგებლო ამოცანები — ყოველმხრივ განავითარონ სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედება, გამომგონებლობა და რაციონალიზაცია, სისტემატურად ჩაატარონ მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებში და ორგანიზაციებში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებაზე ქმედითი კონტროლი და ა. შ. ამასთან ერთად მათ უნდა უზრუნველყონ ახალი და სრულყოფილი არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის სამამულო და საზღვარგარეთული საინფორმაციო (საპატენტო) მასალების ფართოდ შესწავლა და გამოყენება, აგრეთვე დადგენილი წესით საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირში საავტორო მოწმობების გაცემაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, საზღვარგარეთ გამოგონებების დაპატენტებაზე განაცხადების წარდგენა. გარდა ამისა, მათ პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად უნდა მიიღონ ღონისძიებანი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესაძრებობის განვითარებისათვის, მიმართონ ნოვატორთა შემოქმედებითი ინიციატივა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მომწიფებელი ამოცანების გადასაწყვეტად.

§ 2. ვინ ხელმძღვანელობს გამოგონებლობასა და რაციონალიზაციას საწარმოებში და ორგანიზაციებში და რა ვეალებათ მათ?

საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელმძღვანელობა დაკისრებული

აქვთ მათ ხელმძღვანელებს (დირექტორებს, უფროსებს, მმართველებს და ა. შ.).

თანხმად დებულების 84-ე პუნქტისა, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ევალებათ:

საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის ორგანიზება, პროფკავშირული ორგანიზებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობით პერსპექტიული და მიმდინარე თემატური გეგმების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი;

სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის ფართოდ გამოყენების უზრუნველყოფა. მათ შორის საპატენტო მასალებისაც, ახალი და გაუმჯობესებული არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დამუშავებისას, ჩასატარებელი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებიდან გამოავლინონ აღმოჩენები და გამოგონებები და დადგენილი წესით მიიღონ ღონისძიებები დიპლომებითა და საავტორო მოწმობებით მათი დაცვისათვის, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში — გამოგონებების საზღვარგარეთ დაცვისათვის, თავის დროზე იხილავდნენ რაციონალიზატორულ წინადადებებს;

უმოკლეს ვადაში გამოიყენონ გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები, რომლებიც მიეკუთვნება საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულებების მოღვაწეობას;

გადაუხადონ დადგენილი წესით საგამომგონებლებს და რაციონალიზატორებს გასამრჩელო და პრემიები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელის შეწყობისათვის;

მხარი დაუჭირონ და წაახალისონ საგამომგონებლები და რაციონალიზატორები, კერძოდ, აღმოუჩინონ მათ დახმარება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დამუშავებაში და გაფორმებაში, ჩაატარონ კონკურსები, დათვალაიერებები და სხვა მასობრივი ღონისძიებები საგამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში.

ზემოთ ჩამოთვლილი მუშაობის ძირითადი მიმართულებები საგამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში უნდა განახორციელონ არა მარტო საწარმოებმა (ქარხნებმა, ფაბრიკებმა და ა. შ.), არამედ სხვა ორგანიზაციებმაც (დაწესებულებებმა)—სამეცნიერო-კვლევითმა, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საპროექტო-ტექნოლოგიურმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ქვეყნის უმაღლესი

განათლების დაწესებულებებმა. საწარმოებს, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სტრუქტურულ ქვეგანყოფილებებში (სამქროვში, განყოფილებებში, ლაბორატორიებში და სხვა) გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ზელმძღვანელობა ეყისრება შესაბამისი დანაყოფის უფროსებს (გამგეებს).

საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის ორგანიზაციაში დახმარებისათვის და მისი ძირითადი მიმართულებებისა და ფუნქციების განსაზღვრისათვის, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საპატენტო ქვეგანყოფილებების და გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებების (ბიუროების) შესახებ ტიპობრივი დებულებები.

საკვ. ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით სამინისტროებსა და უწყებებს დაევალით მიიღონ ღონისძიებები სამინისტროების, უწყებების ცენტრალურ აპარატებში და ორგანიზაციებში არსებულ საპატენტო და გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებების გასაძლიერებლად, აგრეთვე შექმნან ისინი იქ, სადაც ეს აუცილებელია და უზრუნველყონ მათი შალაკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტება. აღნიშნულმა ქვეგანყოფილებებმა თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ ზემოთ აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული დარგობრივი დებულების ზუსტი შესაბამისობით.

**§ 3. როგორია საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების ამოცანები გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებაში?**

გაერთიანება წარმოადგენს ერთიან საწარმო-სამეურნეო კომპლექსს, რომელიც შედგება სამრეწველო საწარმოებისაგან. სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საპროექტო-ტექნოლოგიური და სხვა ორგანიზაციებისაგან. გაერთიანება პასუხისმგებელია საწარმო-სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობისა და განვითარებისათვის, წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის, პროდუქციის შესაბამისი სახეებით სახალხო მეურნეობ-

ის მოთხოვნების და მოსახლეობის უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

გაერთიანება ანალიზს უკეთებს წარმოების ტექნიკურ დონეს, შეუსწავლის სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, საპატენტო მასალებს და სტანდარტებს, უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ჯანვითარებას, განაზოგადებს მაღალი ხარისხის გამოშვებული პროდუქციის შექმნაში მუშაობის გამოცდილებას, იღებს ზომებს მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე თემატურ გეგმებს, ახორციელებს კონტროლს გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ვადების დასაცავად, ატარებს შეჯიბრებებს. შესაბამის პროფკავშირულ და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთობლივად ატარებს კონკურსებსა და დათვალიერებებს.

გაერთიანების სამმართველო ორგანიზებას უკეთებს გამოგონების დონეზე შესრულებული ტექნიკური გადაწყვეტების გამოვლინების სამუშაოს და, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირში საავტორო მოწმობათა გაცემაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტებაზე განაცხადების წარდგენას.

§ 4. როგორია გამოგონებალთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების როლი საგამომგონებლო საქმის განვითარებაში?

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1958 წლის დადგენილებით შეიქმნა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოება (გრსს).

გრსს არის მშრომელების ნებაყოფლობითი მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობას იღებს გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში, აგრეთვე ხელს უწყობს მის განვითარებას.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოება თავის მუშაობას პროფკავშირების ხელმძღვანელობით ატარებს.

გრსს-ის მუშაობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციას აბორცთელებს ცენტრალური საბჭო, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში — გრსს საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

გრსს-ის წინაშე დგას დიდი და რთული ამოცანები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში, კერძოდ:

— მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა აქტიურ საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ საქმიანობაში, რომელიც მიმართულაა სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ;

— საწარმოო გეგმების სრულად და ვადამდე შესრულების, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების, შრომის პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შექმნასა და დანერგვაში ყოველმხრივი ხელის შეწყობა, რომელიც მიმართული იქნება წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისაკენ, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, მოქმედ მოწყობილობათა მოდერნიზაციის, წარმოების რესურსების გამოვლინებისა და მაქსიმალურად გამოყენებისაკენ, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერჯის ეკონომიისაკენ;

— სახალხო მეურნეობაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა;

— საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებების დროულად განხილვასა, დამუშავებასა და წარმოებაში დანერგვაზე, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე;

— სახალხო მეურნეობაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ფართოდ დანერგვის პროპაგანდისათვის ხელის შეწყობა;

— კოლექტიური ტექნიკური შემოქმედების, გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადების, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო და საპატენტო ბიუროების (ჯგუფების) ქსელის განვითარება და გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დამუშავებასა და დანერგვაში მათი ჩაბმა;

— ტექნიკურ შემოქმედებაში ახალგაზრდობის ყოველმხრივი ნიჭიღვა:

— ხელის შეწყობა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების სოციალისტურ შეჯიბრებაში და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად:

— გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის უფლებრივი და ტექნიკური დახმარების გაწევა, აგრეთვე მათი ტექნიკური, უფლებრივი, საპატენტო და ეკონომიკური ცოდნის აწილება:

— გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში სახელმწიფო ინტერესების, აგრეთვე გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საავტორო უფლებების დაცვა;

— სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად — ჩვენს ქვეყანაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება:

— სამინისტროების, უწყებების, სამეურნეო, საბჭოთა და კოლპერაციული ორგანიზაციების შიერ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება:

— სამინისტროებთან, უწყებებთან, სახალხო მეურნეობის მრეწველთა გაწოდებებთან, სახალხო დეპუტატების საბჭოებთან, საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) და სხვა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრებების, დათვალიერებების, კონკურსების, გამოფენების, კონფერენციების, თათბირების მოწყობა და გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მუშაობის საკითხებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ჩატარება.

გრესს-ის ორგანიზაციები მუშაობენ კომკავშირთან, საშენიერო-ტექნიკური საზოგადოებების ორგანიზაციებთან, საზოგადოება „ცოდნა“-სა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარების მთავარ მეთოდად იყო და რჩება სოციალისტური შეჯიბრება. გრესს-ის საქართველოს რესპუბლიკური საბჭო იყენებს სოციალისტურ შეჯიბრებას გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მუ-



შაობის ყველა ძირითადი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე ზემოქმედების როგორც ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს. უკანასკნელ წლებში გაიშალა შეჯიბრება ქარხნის, ქალაქის, ავტონომიური რესპუბლიკის, და რესპუბლიკის „საუცეთესო გამომგონებლის“, „საუკეთესო რაციონალიზატორის“, „ახალგაზრდა გამომგონებლის“ და „ახალგაზრდა რაციონალიზატორის“ საპატიო წოდებისათვის.

საკონსულტაციო პუნქტების საშუალებით, რომელიც შექმნილია ქ. თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში გრსს-ის გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, ორგანიზაციის წევრებს ყოველმხრივ უწევს უფლებრივ და ტექნიკურ დახმარებას, კონსულტაციებს უწევს ტექნიკურ შემოქმედთა კანონმდებლობის, ეკონომიის გამოთვლის და სხვა საკითხებზე. პრაქტიკულად ეხმარება სპეციალისტებს ნაგარაუდევ გამომგონებლებზე განაცხადების ან რაციონალიზატორულ წინადადებებზე განაცხადებების გაფორმებაში.

გრსს-ის საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან შექმნილია საქართველოს პატენტმცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტი.

##### § 5. საბამომგონებლო და საპატენტო საქმით დაინტერესებულმა პირმა სად შეიძლება აიხალოს კვალიფიკაცია?

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების (გრსს) საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ქ. თბილისში 1966 წლიდან არსებობს საქართველოს პატენტმცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანას შეადგენს გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების, ახალი ტექნიკის დამუშავებლების, გრსს-ის აქტივისტებისა და პატენტმცოდნეობისა და გამომგონებლობის ეკონომიკის დარგში დააქმებულ სხვა პირთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ინსტიტუტში ქართული და რუსული სექტორის ორი ფაკულტეტი: პატენტმცოდნეობისა და გამომგონებლობის ეკონომიკისა. სწავლების ვადა 2 წელია. მეცადინეობა ტარდება წარმოებიდან მოუწყვეტლივ არასამუშაო საათებში.

დებულების თანახმად ინსტიტუტში მიიღებიან უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. მიღებისას უპირატესობით

სარგებლობენ გამომგონებლები, რაციონალიზატორები და გრსს-ის აქტივისტები.

ინსტიტუტში მისაღები გამოცდები არ არის. შემსვლელებმა რექტორატში უნდა წარადგინონ დადგენილი წესით საბუთები, რომელთა მონაცემების მიხედვით ხდება გასაუბრებაზე დაშვება და ინსტიტუტში ჩარიცხვა.

გამონაკლის შემთხვევაში, გამომგონებელი ან რაციონალიზატორი, წარმოების ან დაწესებულების სათანადო რეკომენდაციით, შეიძლება ჩაირიცხოს ინსტიტუტში უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების გარეშე.

ინსტიტუტს აქვს სასწავლო საკონსულტაციო პუნქტები ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. ინსტიტუტის რექტორატის მისამართია 380012, თბილისი, ჩელუსკინელების ქ. № 14.

კვალიფიკაციის ამაღლება შეიძლება აგრეთვე საპატენტო მუშაობის დარგში ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ცენტრალური ინსტიტუტის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე, სადაც იღებენ პირებს უმაღლესი განათლებით — 103104, მოსკოვი, მ. ბრონნაია, 10.

მოსკოვში არის ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა პატენტმცოდნეობის და საგამომგონებლო საკითხებზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი უმაღლესი სახელმწიფო კურსები, სადაც იღებენ პირებს უმაღლესი განათლების გარეშე: 103009, მოსკოვი, პროფზდ ხუდოჟესტვენოგო ტეატრა, 4. ამ უკანასკნელს ქ. თბილისში აქვს სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი.

## თ ა ვ ი II

### აღმორჩენა

#### § 1. რა არის აღმორჩენა?

მსოფლიოში პირველად სსრ კავშირმა შემოიღო მეცნიერული აღმოჩენების უფლებრივი დაცვა (1956 წ.) ამით იგი იცავს აღმოჩენების პრიორიტეტს და აღმოჩენის ავტორის (ავტორთა) უფლებას. აღმოჩენაზე გაიცემა დიპლომი დადგენილი ფორმით.

სსრ კავშირში აღმოჩენად ითვლება ადრე უცნობი, მატერი-

აღურ სამყაროში ობიექტურად არსებული კანონზომიერებებისთვისებისა და მოვლენების დადგენა, რომელთაც ძირეულად ცვლილებები შეაქვთ შემეცნების სფეროში.

განსაზღვრების თანახმად აღმოჩენას ახასიათებს: ჯერ ერთი — მეცნიერული ფაქტის შემეცნება, მეორე — მატერიალურ სამყაროში გამოვლენებულ კანონზომიერებათა, თვისებათა და მოვლენათა მიხედვით, მისი თეორიულად და ექსპერიმენტულად დასაბუთების უტყუარობა.

აღმოჩენას უნდა ახასიათებდეს მსოფლიო სიბუნებურად აღმოჩენის პრიორიტეტი (გამოგონებისაგან განსხვავებით) დგინდება მისი შინაარსის გამკლავებით; მაგალითად, პუბლიკაცია, ოფიციალური შეტყობინება და სხვ.

მეცნიერების ისტორიაში ცნობილია მრავალი ადრე უცნობი, მატერიალურ სამყაროში ობიექტურად არსებული კანონზომიერების აღმოჩენა (მაგალითად, ი. ნიუტონის მიერ აღმოჩენილი მსოფლიო მიზიდულობის კანონი; მ. ლომონოსოვის აღმოჩენა — მატერიის მუდმივობის კანონი და სხვა), რომლებმაც არსებითად შეცვალეს გაბატონებული შეხედულებები, წარმოდგენები და თეორიები. ელვა და ქექა-ქუხილი, როგორც ბუნებრივი მოვლენა, კაცობრიობისათვის უხსოვარი დროიდან არის ცნობილი, მაგრამ სწორი მეცნიერული ახსნა იმისა, რომ ამ მოვლენის არსს საფუძვლად უდევს ელექტრული მუხტი, მიეცა შედარებით ახლახან, როდესაც კაცობრიობამ დააგროვა ცოდნათა მარაგი ატმოსფეროში წარმოშობილ ელექტრულ პროცესებზე.

## § 2. როგორ განსაზღვრავს კანონი დაცვისუნარიან მეცნიერულ აღმოჩენას?

აღმოჩენის იურიდიული ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე საერთოდ გავრცელებული, ჩვეულებრივ საუბარში გამოყენებული მეცნიერული გამოთქმა.

დებულებაში მოცემული აღმოჩენის განმარტებას უწოდებენ ნორმატიულს (ან — რაც ერთი და იგივეა — ლეგალურს). განსაზღვრების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ადგენს აღმოჩენის ნიშან-თვისებებს (დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს): სახელდობრ, მეცნიერული დებულების შესაბამისობა დადგენილი კრიტერიუმების ერთობლიობით ნიშნავს, რომ მოცემულ კონ-

კრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაცვისუნარიან აღმოჩენასთან.

უფლებრივი დაცვა ვრცელდება არა ყველა მეცნიერულ აღმოჩენაზე. კანონმდებლობა იძლევა რა საერთო ნორმატიულ განსაზღვრებას, ადგენს აღმოჩენების ნუსხას, რომლებიც არ ექვემდებარება დაცვას: ეს არის — გეოგრაფიული, არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური აღმოჩენები. სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენები, აღმოჩენები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში (დებულების მე-10 პუნქტის მე-2 ნაწილი).

აღმოჩენებზე განაცხადის შედგენის მითითებებში კონკრეტულად აღნიშნულია რა დაცვისუნარიანობის მქონე აღმოჩენების წრე, დადგენილია, რომ არ განიხილება აღმოჩენებზე განაცხადების მასალები, რომლებიც შეიცავენ:

ა) ცალკეულ ფაქტებს, კერძო დამოკიდებულებებს, აგრეთვე კანონზომიერებებს, თვისებებს და მოვლენებს, რომელთაც არ შეაქვთ ძირეული ცვლილებები შემეცნების სფეროში;

ბ) ჰიპოთეზებს, კერძოდ, სავარაუდო წარმოდგენებს მატერიის აგებულებაზე, პლანეტების, სასარგებლო წიაღისეულის წარმოშობაზე, სხვადასხვა ძალოვანი ველების არსებობაზე და მისთანებს;

გ) მათემატიკურ ამოცანათა გადაწყვეტებს, აბსტრაქტულ რიცხობრივ დამოკიდებულებების დადგენას, სხვადასხვა მათემატიკური თეორიების მტკიცებებს და მისთანებს;

დ) შედეგებს, რომლებიც აზუსტებენ უკვე ცნობილ დებულებებს, მაგალითად, ციური სხეულების ფორმებს, მათ ორბიტებს და აგრეთვე გამოკვლეულ სიდიდეთა მნიშვნელობის დაზუსტებებს,

ე) მტკიცებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მსოფლიო ლიტერატურაში მეცნიერულად დასაბუთებულ და ექსპერიმენტულად დამტკიცებულ პრინციპებს (მოძრაობას შინაგანი ძალების ხარჯზე, მოწყობილობათა მარგი ქმედების კოეფიციენტის ერთის ტოლად ან ერთზე უფრო მეტი მნიშვნელობით მიღებას და ა. შ.):

ვ) სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა ახალი ტექნოლოგიური პროცესების, კონსტრუქციების, მანქანებისა და ხელსაწყოების შექმნას, ახალ მასალებსა და სამკურნალო საშუალებებს (მათ თვისებებს, ავადმყოფობათა მკურნალობის ხერხებს). მიკროორგანიზმების შტამებს და სხვა მსგავს წინადადებებს.

ე. ი. წინადადებებს, რომლებიც ეხება ნავარაუდევ გამოგონებებზე შესაძლო განაცხადების საგნებს;

ზ) მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმების ახალ სახე-თა აღმოჩენას და გამოყენას<sup>8</sup>.

ამგვარად, აღმოჩენის ცნების ნორმატიული განსაზღვრება ადგენს აღმოჩენის იურიდიული მნიშვნელობის შემდეგ ნიშან-თვისებებს (დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს):

— აღმოჩენა — ეს მეცნიერული ფაქტების კონსტატაციაა; ლეგალური განსაზღვრებით ეს ნიშან-თვისება ფორმულირებულია, როგორც „მატერიალურ სამყაროში ობიექტურად არსებული კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების დადგენა“;

— მსოფლიო (აბსოლუტური) სიახლე: ეს ნიშან-თვისება იხსნება სიტყვებით „აღრე უცნობი კანონზომიერებები, თვისებები და მოვლენები“;

— ახალი მეცნიერული დებულების არსებითობა: მან უნდა „შეიტანოს ძირეული ცვლილებები შემეცნების სფეროში“: მნიშვნელოვნება. მეცნიერულ შემეცნებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა — სახელდობრ ეს გარემოებაა მხედველობაში ამ კრიტერიუმების დადგენისას;

— აღმოჩენის უტყუარობა: ეს ნიშან-თვისება იხსნება სიტყვებით „ობიექტურად არსებული კანონზომიერებების, თვისებების და მოვლენების დადგენა“;

თითოეული დასახელებული კრიტერიუმის არსის გარკვევა აუცილებელია მეცნიერული აღმოჩენის დაცვისუნარიანობის ცნების შინაარსის სწორი გაგებისათვის.

### § 3. რას ნიშნავს „მატერიალური სამყაროს კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების დადგენა“?

დაცვისუნარიან აღმოჩენასთან შეფარდებით გამოყენებული ტერმინი „დადგენა“ ნიშნავს გამოვლენას, მიგნებას, განსაზღვრული სახის ფაქტების კონსტატაციას, ე. ი. შემეცნების ამოცანის გადაწყვეტას. აღმოჩენა — ეს შემეცნებითი აქტის შედეგია, რომელსაც მიყვავართ ობიექტური სინამდვილის შესახებ ახალ ცოდნას-

<sup>8</sup> 1957—1968 წწ. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში შევიდა 7 ათასზე მეტი განაცხადი აღმოჩენაზე, განსახილველად მიღებულ იქნა დაახლოებით 1 ათასი განაცხადი.

თან. ამ ცოდნის შემადგენლობაში შედის უპირველეს ყოვლისა ცოდნა იმის შესახებ, რომ მოცემული ობიექტი (კანონზომიერება, თვისება და მოვლენა) არსებობს.

მთელ რიგ შემთხვევებში განსახილველი კრიტერიუმის შინაარსში შედის არა უბრალო დადგენა, ამა თუ იმ ფაქტის კონსტატაცია, არამედ მისი მეცნიერული ინტერპრეტაცია, რომელიც შეიძლება შედგებოდეს, მაგალითად, მოცემული მოვლენის კანონზომიერი კავშირის დადგენაში სხვა მოვლენებთან.

ასე მაგალითად, ნ. ა. კოზირევმა 1958 წ. აღმოაჩინა გაზების ნათება<sup>9</sup>, რომელიც გამოდიოდა მთვარის წიაღიდან. ეს ახალი ფაქტი, უეჭველად მეცნიერებისათვის საინტერესო. არ შეიძლება თავისთავად ყოფილიყო დაცვისუნარიანი აღმოჩენა, მაგრამ იგი ინტერპრეტირებული იყო ნ. ა. კოზირევის მიერ, როგორც მთვარეზე ვულკანური მოქმედების დამტკიცება. ასეთი ინტერპრეტაციის სისწორის დაბეჭითებულმა მტკიცებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ სახეზეა აღმოჩენა „მთვარეზე ვულკანური მოქმედების ადრე უცნობი მოვლენა“ (სსრ კავშირის დიპლომი № 76).

#### § 4. რა არის აღმოჩენის სიახლე?

აღმოჩენის სიახლის ნიშან-თვისება (ისევე როგორც გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებების, სამრეწველო ნიმუშის და სასაქონლო ნიშნის სიახლის ნიშან-თვისება) შემოღებულია იმ ელემენტარული მოსაზრებებით, რომ უფლება, კანონი აღმოჩენის დაცვის დადგენისას არ შეიძლება გამომდინარეობდეს სუბიექტური სიახლის კრიტერიუმიდან: ცნობილ (არა ახალ) მეცნიერულ დებულებაზე უკვე არის განსაზღვრული უფლებები — ანდა ეს უფლებები მიეკუთვნება კონკრეტულ პიროვნებას (მაგალითად, არქიმედის კანონი), ან კიდევ არის კონკრეტული მეცნიერული დებულების ძველი შეტყობინება თუნდაც მასზე განსაზღვრული პირის ავტორობის გარეშე; ნებისმიერ შემთხვევიდან არალოგიკურია ასეთი დებულებების დადგენა მხოლოდ მათი სუბიექტური სიახლის არსებობისას. სხვა სიტყვებით, აღმოჩენა მიიჩნევა ახლად არა იმიტომ, რომ ასეთად თვლის მას თვით ავტორი, არამედ იმიტომ, რომ ასეთი აღმოჩენა ადრე ობიექტურად არ არსებობდა.

<sup>9</sup> И. Э. Мамиофа. Открытие и его объект. — «Вопросы изобретательства», 1976, № 7, с. 11.

აღმოჩენის სიახლის ცნებასთან დაკავშირებულია მისი პრიორიტეტის ცნებაც: მეცნიერული დებულებას სიახლე განისაზღვრება გარკვეული მომენტისათვის, რომელიც წარმოადგენს პრიორიტეტის (პირველობის) თარიღს. დებულების შესაბამისად აღმოჩენის პრიორიტეტი განისაზღვრება თარიღით, როცა პირველად იქნა ფორმულარებული აღმოჩენის სახით განცხადებული დებულება, ანდა აღნიშნული დებულების პრესაში გამოქვეყნების თარიღით, ან კიდევ მესამე პირებამდე სხვაგვარი გზით შეტყობინების თარიღით. იმ შემთხვევებში, როცა აღმოჩენის განაცხადში არ არის პრიორიტეტის თარიღის ოფიციალურად დამადასტურებელი მონაცემები, აღნიშნული წესით, აღმოჩენის პრიორიტეტი დგინდება გამოგონებების და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის თარიღით.

სსრ კავშირში აღმოჩენებს წარედგინება მსოფლიო (აბსოლუტური) სიახლის მოთხოვნები: ეს ნიშნავს, რომ დებულების სიახლეს აბათილებს ნებისმიერი ცნობები, რომელიც გამოიხატება მესხიერებაში ფაქტის აღდგენის მისაწვდომი რომელიმე ობიექტური ფორმით. ამასთან დაკავშირებით აღმოჩენის სიახლისათვის მნიშვნელოვანი საკითხია არა მხოლოდ პრიორიტეტი, არამედ წყაროებიც, რომელთა მიხედვითაც მოწმდება აღმოჩენის სიახლე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ წყაროების წრე საკანონმდებლო აქტებით პირდაპირ არ არის განსაზღვრული. მაგრამ აღმოჩენის მსოფლიო სიახლის პრინციპიდან გამომდინარე, აღმოჩენების სახელმწიფო რეგისტრაციის ოცქლიანი პრაქტიკა ადგენს, რომ აღმოჩენის სიახლეს აბათილებენ ნებისმიერი ჰამამულო და საზღვარგარეთული წყაროები, რომლებიც საკმარისნი არიან პრიორიტეტის დადგენისათვის: ეს წყაროები მხედველობაში მიიღება მათი დროგასულობისაგან, წარმოშობის ადგილისა (მაგალითად, გამოქვეყნებისა) და პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ხელმისაწვდომისაგან დამოუკიდებლივ.

## § 5. როგორ დგინდება აღმოჩენის პრიორიტეტი?

პრიორიტეტი — ეს პირველობაა. რამდენადაც აღმოჩენის სიახლე მოწმდება გარკვეული მომენტისათვის — პრიორიტეტის თარიღისათვის, წარმოიშობა საკითხი აღმოჩენის პრიორიტეტული თარიღის განმტკიცებისათვის (ფიქსირებისათვის) ფორმების (ხერხების) შესახებ. ამ ფორმების არსი მდგომარეობს შემდეგში: აღმოჩენების სახით განცხადებული დებულების ფორმულირება, ყველაზე ხშირად,

ხდება ავტორის (ავტორების) კონფერენციაზე, სიმპოზიუმზე, თათბირზე, საჯაროდ (რადიოთი, ტელევიზიით) ზეპირი გამოსვლის ფორმით. აქ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეტყობინების შესახებ შეიძლება იყოს წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი.

აღმოჩენის სახით განცხადებულ, პრესაში გამოქვეყნებულ დებულებას ის უფლებრივი მნიშვნელობა აქვს, რომ აქ შესაძლებელია პრიორიტეტის თარიღის დადგენის ორი შემთხვევა:

1. პრიორიტეტის თარიღად ითვლება პრესაში შესაბამის გამოცემაზე ხელმოწერის თარიღი.

2. პრიორიტეტის თარიღად ითვლება რედაქციაში მასალების ფაქტიურად გადაცემის დღე: კანონის ზუსტი აზრის მიხედვით უკვე ამ მომენტში აღმოჩენის არსი ფორმულირებულია და ობიექტური ფორმით დაყვანილია, შეტყობინებულია მესამე პირებამდე.

გამოქვეყნებასთან გატოლებულია დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს ანგარიშის ჩაბარება და აღმოჩენის არსის შესახებ სხვა სახის წერილობითი შეტყობინებები, რომლებიც გადაეცა მესამე პირებს.

ადგენს რა აღმოჩენის პრიორიტეტის განსაზღვრის შესაძლებლობას მეცნიერული დებულების არსის მესამე პირებამდე სხვა გზით შეტყობინების თარიღის მიხედვით, კანონით დაშვებულია პრიორიტეტული თარიღის ფიქსირების სხვა ხერხებიც. აღმოჩენების დაცვის პრაქტიკამ დაადგინა პრიორიტეტის განმტკიცების სპეციალური ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ამ სფეროს უფლებრივი ნორმებისათვის — მაგალითად, პრიორიტეტის განმტკიცება ექსპერიმენტის ჩატარების თარიღის მიხედვით, ახალი მოვლენის რეგისტრაციის თარიღით. ფორმულირება “მესამე პირებამდე სხვა გზით შეტყობინების დაყვანის თარიღი“ წარმოადგენს უფრო ფართოს, ვიდრე „გამოქვეყნება“.

განაგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში აღმოჩენაზე განაცხადის შეტანის თარიღის მიხედვით პრიორიტეტის დადგენა — პრიორიტეტული თარიღის ფიქსირების შედარებით იშვიათი ხერხია.

§ 6. რა არის „შემდგენის სფეროში ძირითადი ცვლილებების შეტანა“, როგორც აღმოჩენის კრიტერიუმი?

აღმოჩენად მიიჩნევა დებულება, რომელიც ეხება არა უმნიშვნელო ფაქტებს, არამედ მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტურ სა-



ფუძვლებს. სხვა სიტყვებით, აღმოჩენებად ითვლება არა რიგითი მეცნიერული დებულებები, არამედ მხოლოდ ის დებულებები, რომლებიც წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, რიგობრივი ფაქტების განმაზოგადებელ ფორმულას: აღმოჩენა — ეს ნახტომია სამყაროს მეცნიერულ შემეცნებაში. ეს სრულიად ახალი მსოფლიო მასშტაბის მეცნიერული მიღწევაა.

ჩვენს ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნიშან-თვისება „ძირითადი ცვლილებები შემეცნების სფეროში“ მიეკუთვნება შეფასების ცნებების კატეგორიას, რომლებიც არ ექვემდებარებიან ზუსტ განსაზღვრებას. ახალი ცოდნა ერთი კომპეტენტური სპეციალისტის მიერ შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც ძირეული ცვლილება, ხოლო მეორეს მიერ — როგორც არაძირეული; ამასთან სპეციალისტების მსჯელობის არაერთგვაროვნება განპირობებული იქნება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ხასიათით.

ამგვარად, საკითხი იმის შესახებ, რომ კონკრეტულ დებულებებს შემეცნების სფეროში შეაქვთ ძირეული ან არაძირეული ცვლილებები — ეს ფაქტის საკითხია: განცხადებული დებულების ფუნდამენტურობის შეფასება წარმოებს არა ფორმალიზებული ნიშნების ბაზაზე, არამედ მეცნიერული ცოდნის არსებული დონის და კონკრეტული მეცნიერების სფეროში წარმოდგენების ბაზაზე.

## § 7. რა არის აღმოჩენის უბუნარობა?

დებულება ადგენს, რომ ნავარაუდევია აღმოჩენის აღწერილობაში მოსატანია აღმოჩენის უტყუარობის თეორიული ან ექსპერიმენტული დასაბუთება. აღმოჩენის ცნების ლეგალური განსაზღვრებით უტყუარობის მოთხოვნა იხსნება სიტყვებში „ობიექტურად არსებული კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების დადგენა“. მოცემული კრიტერიუმის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ აღმოჩენის არსებობა დამტკიცებული უნდა იყოს თეორიულად ან ექსპერიმენტულად. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის პრაქტიკაში აღმოჩენების რეგისტრაციისას უპირატესად გვხვდება აღმოჩენების ექსპერიმენტული დასაბუთების უტყუარობის პრინციპი: უკანასკნელ დრომდე ფაქტიურად რეგისტრირებული იყო მხოლოდ ორი მეცნიერული აღმოჩენა (პლაზმური ფიზიკის დარგში), რომელიც დასაბუთებულია მხოლოდ თეორიულად (ამჟამად ერთი მათგანი დამტკიცებულია ექსპერიმენტუ-

ლადაც): ყველა დანარჩენი აღმოჩენა რეგისტრირებული იყო ერთ-დროულად თეორიულ და ექსპერიმენტულ მტკიცებათა საფუძველზე.

#### § 8. როგორ ხდება აღმოჩენების დაცვა?

დებულების შესაბამისად, უფლებას აღმოჩენაზე იცავს სახელმწიფო და დასტურდება დიპლომით. აღმოჩენაზე ავტორობის უფლება აქვთ მოქალაქეებს, რომელთა შემოქმედებითი შრომით შექმნილია აღმოჩენა.

ამრიგად, დაცვისუნარიანი აღმოჩენის ფორმით გამოხატული, კონკრეტული მეცნიერული შედეგის დაცვა ხდება განსაკუთრებული დოკუმენტის გაცემით, სპეციალური ორგანოს—გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დიპლომით. მაგრამ დიპლომის გაცემას წინ უძღვის აღმოჩენის ოფიციალური აღიარება, რომელსაც ახდენს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. ვიდრე მიეცემა დაცვა, სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს აღმოჩენის არსებობაში, ე. ი. აღმოჩენის იურიდიული მნიშვნელობის კონკრეტული მეცნიერული დებულების ნიშან-თვისებების შესაბამისად, რაც მიიღწევა მეცნიერული ექსპერტიზით. აღმოჩენაზე ექსპერტიზის ჩასატარებლად აუცილებელია, რომ ნაგარაუდვეი აღმოჩენის ავტორმა (ავტორებმა) შეიტანოს მასზე განაცხადი დადგენილი წესით.

აღმოჩენაზე, რომელიც გაკეთდა სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას მიეცემა მოწმობა დადგენილი ფორმით: მოწმობა ადასტურებს, რომ ეს აღმოჩენა გაკეთებულია მოცემულ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში.

#### § 9. როგორ ფორმდება განაცხადი აღმოჩენაზე?

აღმოჩენაზე განაცხადი აუცილებელია შედგეს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული და 1974 წლის 1 იანვრიდან მოქმედი, აღმოჩენაზე განაცხადის შედგენის მითითებების ზუსტი შესაბამისობით.

აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ აღმოჩენას: ეს ნიშნავს, რომ ერთ განაცხადში გადმო-

ცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი ობიექტის არსი — კანონზომიერებები, ან თვისებები, ან მოვლენები.

ამ მოთხოვნების დაუცველობას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა არ მიიღოს განაცხადი.

ტერმინი „განაცხადი“ წარმოადგენს განზოგადებულს: განაცხადში შემავალი დოკუმენტების წარდგენა ხდება თითოეულისა სამ ეგზემპლარად:

ა) განცხადება აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის შესახებ ავტორზე (ავტორებზე) ან განცხადება ავტორებზე დიპლომის და მოწმობის ორგანიზაციის სახელზე გაცემაზე, სადაც იყო გაკეთებული აღმოჩენა სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) ნავარაუდები აღმოჩენის აღწერილობა;

გ) აღმოჩენის საილუსტრაციო მასალები (ფოტოები, გრაფიკები, სქემები, ნახაზები და მისთანანი);

დ) აღმოჩენის პრიორიტეტის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ნავარაუდები აღმოჩენის არსი ცნობილი იყო განაცხადის შეტანამდე;

ე) კომპეტენტური ორგანიზაციების დასკვნა განცხადებულ აღმოჩენის უტყუარობისა და მნიშვნელობის შესახებ (თუ იგი გაკეთებულია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით).

#### § 10. როგორ ღვადა აღმოჩენის აღწერილობა?

აღმოჩენის აღწერილობა წარმოადგენს განაცხადის ძირითად დოკუმენტს და უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

— აღმოჩენის დასახელებას;

— შესავალ ნაწილს;

— აღმოჩენის უტყუარობის მტკიცებებს;

— აღმოჩენის მეცნიერული და პრაქტიკული გამოყენების სფეროს;

— ცნობებს აღმოჩენის პრიორიტეტისა და აღიარების შესახებ;

— აღმოჩენის ფორმულას.

ყველა ეს ნაწილები დგება პრაქტიკით შემოწმებული რიგი წესების გათვალისწინებით.

მაგალითად, აღმოჩენის დასახელება უნდა იყოს შეცლებისდა-გვარად მოკლე და შეესაბამებოდეს აღმოჩენის არსს.

აღწერილობის შესავალ ნაწილში აღინიშნება, მეცნიერების რომელ სფეროს მიეკუთვნება აღმოჩენა, რა წარმოდგენები არსებობდა მეცნიერების მოცემულ დარგში ნაპირაუდევ აღმოჩენამდე (ინფორმაციის წყაროს აღნიშვნით), რაში მდგომარეობს აღმოჩენის არსი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის, როგორი ძირეული ცვლილებები შეაქვს შემეცნების სფეროში.

აღმოჩენის უტყუარობის მტკიცებები შეიძლება იყოს თეორიული ან ექსპერიმენტული (მოითხოვება როგორც წესი, ერთი-ცა და მეორეც): ისინი უნდა შეიცავდნენ მონაცემებს, რომლებიც ადასტურებენ აღმოჩენის სახით განცხადებული დებულებების სიზუსტეს და უტყუარობას; აუცილებელ შემთხვევებში საჭიროა აგრეთვე ექსპერიმენტების ჩატარების მეთოდის აღწერა და მათ მიხედვით ნაჩვენები იყოს მათი შედეგები და დასკვნები.

აღმოჩენების მეცნიერული და პრაქტიკული გამოყენების სფერო აღინიშნება იმის დასადგენად, თუ როგორი მეცნიერული ან ტექნიკური პრობლემები შეიძლება იყოს გადაწყვეტილი მოცემული აღმოჩენის საფუძველზე, ამ ნაწილში გადმოიცემა აგრეთვე აღმოჩენის მეცნიერული და პრაქტიკული შესაძლო გამოყენების რეკომენდაციების გზების შესახებ; ამ ნაწილში მოყვანილია აგრეთვე ცნობები გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების შესახებ (ან მიღებული საავტორო მოწმობების შესახებ), რომლებიც დაფუძნებულია განცხადებულ აღმოჩენაზე, აგრეთვე ცნობები ამ გამოგონებების გამოყენებისა და მათი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობის შესახებ.

ცნობები აღმოჩენების პრიორიტეტისა და აღიარების შესახებ აუცილებელია აღმოჩენის პრიორიტეტული თარიღის ზემოთ აღნიშნულ თავისებურებებთან დაკავშირებით. აქ მოყვანილი უნდა იყოს დოკუმენტური მონაცემები წყაროების შესახებ, რომლებშიც განმტკიცებულია აღმოჩენის პრიორიტეტი. აქვე მოყვანილი უნდა იყოს ცნობები სსრ კავშირში და საზღვარგარეთ აღმოჩენის აღიარების შესახებ (მაგალითად, კომპეტენტური ორგანიზაციების — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების, უნივერსიტეტების და ა. შ. დასკვნები).

აღმოჩენის ფორმულა — ეს აღმოჩენის საგნის ფორმულირე-

ბაა ე. ო. მისი არსის მოკლე და ამომწურავი გამოსახვა, რომელიც არის გადმოცემული და დასაბუთებული აღწერილობაში.

#### § 11. როგორია აღმოჩენაზე განაცხადის შეტანის წესები?

აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე განაცხადი შეიტანება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში.

განაცხადი შეიტანება თვით ავტორის (ავტორებს-ს) ან მისი უფლებამონაცვლეთა, ან ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ეს მიანდო ავტორმა.

განაცხადი აღმოჩენაზე, რომელიც გაკეთდა სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, ფორმდება ორგანიზაციის მიერ ავტორთან ერთად და შეიტანება (აუცილებელ დასაბუთებებთან ერთად) ორგანიზაციის სახელით: ამრიგად, აღმოჩენის ავტორის პიროვნების თანაბრად წარმოიშობა განმცხადებლის პირადობა.

ორგანიზაცია-განმცხადებელმა უნდა განახორციელოს განაცხადის შეტანა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში არა უგვიანეს ერთი თვისა ავტორის მიერ წინადადების შეტანის დღიდან განაცხადის გაგზავნის შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში ორგანიზაციამ არ შეასრულა თავისი მოვალეობანი, ავტორი უფლებამოსილია შეიტანოს განაცხადი დამოუკიდებლად, ამასთან აღნიშნოს, რომ აღმოჩენა გაკეთებულია სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს და რომ ორგანიზაციამ დადგენილ ვადაში არ გააფორმა განაცხადი (დებულების მე-12 პუნქტი).

#### § 12. როგორ ხორციელდება აღმოჩენების წინასწარი ექსპერტიზა?

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა აღმოჩენაზე განაცხადის შეტანის მომენტიდან ამა თვის ვადაში უნდა ჩაატაროს მისი წინასწარი ექსპერტიზა. (ეს ექსპერტიზა ხორციელდება სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინასწარი ექსპერტიზის განყოფილების მიერ). წინასწარი ექსპერტიზის მიზანია როგორც ფორმალური მოთხოვნების შემოწმება (განაცხადის სისრულის, განაცხადის დოკუმენტების გაფორმების სისწორის და სხვ.), ასევე მატერიალურისაც (მაგალითად, მიეკუთვნება თუ არა განცხადებული დებულება დაცვის უნარის მქონე აღმოჩენებს). აქვე ხდება აღმოჩენის პრიორიტეტის დადგენა. წინასწარი ექსპერტიზის შედეგების მიხედვით განმცხადებელს ან მიეცემა ცნობა განაცხადის გან-

სახილველად მიღების შესახებ (სამი თვის ვადაში განაცხადის შეტანის დღიდან), ან მოეთხოვება ორი თვის ვადაში შეასწოროს ან შეავსოს განაცხადის მასალები. თუ ამ ვადაში განმცხადებელი არ შეასრულებს ექსპერტიზის მოთხოვნებს, განაცხადი არ ითვლება შეტანილად.

თუ განცხადებულ დებულება არ შეესატყვისება აღმოჩენის ნორმატიულ ცნებას, განმცხადებელს (ავტორს) ეცნობება განაცხადის განსახილველად მიღებაზე უარის შესახებ, უარის მოტივების აღნიშვნით. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი (ავტორი) არ ეთანხმება ასეთ უარს, შეუძლია ორი თვის ვადაში მიმართოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეპასუხებით, სადაც მასზე ასევე ორი თვის ვადაში უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს (განმცხადებლის თხოვნით) შეუძლია ნება დართოს განმცხადებელს, განაცხადის სამეცნიერო დაწესებულებაში დასკვნაზე გაგზავნამდე, შეავსოს ან შეასწოროს აღმოჩენის აღწერილობა და საილუსტრაციო მასალები, ისე რომ არ შეიცვალოს განაცხადში აღწერილი აღმოჩენის არსი. დამატებები და შესწორებები შეიტანება სამეგზემპლარად (აღმოჩენაზე განაცხადის შედგენის მითითების მე-17 პუნქტი).

### § 13. როგორ ხორციელდება აღმოჩენების საპატენტო ექსპერტიზა?

სამეცნიერო ექსპერტიზის ჩატარების წესი დადგენილია დებულებით, აგრეთვე სპეციალური აქტებით: ინსტრუქცია აღმოჩენებზე სამეცნიერო ექსპერტიზის ჩატარების წესის და სამეცნიერო დაწესებულებებში მათზე დასკვნის შედგენის შესახებ, რომელიც შესულია მოქმედებაში 1974 წლის 1 ივლისიდან და დროებითი ინსტრუქციით აღმოჩენაზე განცხადების მიღებისა და განხილვის წესის შესახებ.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსახილველად მიღებული განაცხადი აღმოჩენებზე, ნავარაუდები აღმოჩენის შინაარსთან დამოკიდებულებისდა მიხედვით, იგზავნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებში, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში, დარგობრივ აკადემიებში, წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან სამინისტროებისა და უწყებე-

ბის სასწავლო დაწესებულებებში დასკვნაზე. სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელი, სადაც შემოვიდა განაცხადი, ნიშნავს ექსპერტებს განაცხადის მასალების სამეცნიერო ექსპერტიზის ჩატარებისათვის და საექსპერტო დასკვნის მომზადებისათვის აღმოჩენის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ექსპერტად უნდა დაინიშნონ მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამისი დარგების წამყვანი მეცნიერები; აღმოჩენაზე განაცხადის სამეცნიერო ექსპერტიზის ჩატარება ითვლება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოდ, რომლებიც აისახება დაწესებულების წლიურ ანგარიშში: შესაბამისად ექსპერტის მუშაობა ექსპერტიზის ჩატარებაზე აღირიცხება ექსპერტის გეგმიური მუშაობის შესრულებაზე დროის საერთო ბიუჯეტში.

საექსპერტო დასკვნა აღმოჩენის არსებობის შესახებ მისი მნიშვნელობის შეფასებით და რეკომენდაციები მისი შესაძლო გამოყენების გზების შესახებ დგება ტიპური სქემის მიხედვით. მას ხელს აწერენ ექსპერტები, განიხილება დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. დასკვნა სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერით (სამ ეგზემპლარად) და განაცხადის მასალები იგზავნება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში არა უგვიანეს ორი თვის ვადისა იქიდან განაცხადის მიღების დღიდან.

საექსპერტო დასკვნა აღმოჩენის არარსებობის შესახებ, როგორც წესი, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე არ გამოიტანება; მაგრამ სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ ან გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადებით დასკვნა შეიძლება განხილულ იქნეს სამეცნიერო საბჭოზე.

ნებისმიერი დასკვნების მიუხედავად, სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს გააკეთოს დასკვნა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რომლის ჩატარების წესი იგივეა.

თუ წარმოდგენილი განაცხადის მასალების მიხედვით საექსპერტო დასკვნის შედეგადაა შეუძლებელი აღმოჩნდება, სამეცნიერო დაწესებულება ორი კვირის ვადაში წერილობით აუწყებს ამის შესახებ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის ორთვიანი ვადა ამ შემთხვევაში გამოითვლება სამეცნიერო დაწესებულების მიერ დამატებით მასალების მიღების დღიდან.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი აღმოჩენის არსებობის შესახებ საექსპერტო დასკვნებისა და სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერების მიღებას შემდეგ (როგორც წესი—ორი სამეცნიერო დაწესებულების) ატარებს წარმოდგენილი მასალების ექსპერტიზას. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეუძლია მოიწვიოს აღმოჩენის ავტორი მისი განაცხადის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ექსპერტიზას ატარებს ექსპერტების კორისა, რომელსაც ქმნის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი გარკვეული დასკვნის შემდეგ აღმოჩენის არსებობის შესახებ, აგზავნის მასალებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საპატენტო განყოფილებაში განყოფილების ბიუროს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების ბიურო ერთი თვის ვადაში განიხილავს განაცხადის მასალებს და საექსპერტო დასკვნებს და აღმოჩენის არსებობის დადასტურების შემთხვევაში გამოიტანს დადგენილებას განაცხადის მიხედვით მეცნიერული აღმოჩენის აღიარების შესახებ.

დადგენილება განაცხადის მასალებით იგზავნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატენტო განყოფილებაში, რომელიც ორი კვირის ვადაში ამზადებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დასკვნას აღმოჩენის არსებობის შესახებ.

თუ განყოფილების ბიურო რწმუნდება, რომ აღმოჩენა არ არსებობს, დადგენილება ამის შესახებ იგზავნება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ორი კვირის ვადაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ განაცხადს მიხედვით გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოაქვს დადგენილება განცხადებული დებულების აღმოჩენად აღიარების შესახებ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან შეთანხმებით). გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ავტორთან შეთანხმებით ამტკიცებს აღმოჩენის ფორმულას, ადგენს აღმოჩენის პრიორიტეტს და რეგისტრაციაში ატარებს აღმოჩენას სსრ კავშირის აღმოჩენების სახელმწიფო რეესტრში (დებულების მე-17 პუნქტი). დადგენილების საფუძველზე დადგენილი წესით



ხდება აღმოჩენის რეგისტრაციის გამოქვეყნება კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში<sup>10</sup>.

სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეუძლია გადადოს ან საერთოდ არ გამოაქვეყნოს რეგისტრირებული აღმოჩენა.

აღმოჩენაზე განაცხადის განხილვის პროცესში ავტორს აქვს უფლება შეპასუხებაზე.

განმცხადებლის შეპასუხება, განცხადებული დებულების აღმოჩენად მიჩნევის უარის წინააღმდეგ, განიხილება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ. აუცილებლობის შემთხვევაში ეს შეპასუხებები იგზავნება სამეცნიერო დაწესებულებებში, სადაც ჩატარდა ექსპერტიზა, რომლებმაც ერთი თვის ვადაში უნდა განიხილონ შეპასუხება. განაცხადის ხელმეორე განხილვა შეიძლება ჩატარდეს ექსპერტების კომისიის შეცვლილ (სამეცნიერო დაწესებულებებს ხელმძღვანელს შეხედულებით) შემადგენლობით. სამეცნიერო დაწესებულებას უფლება აქვს ასევე მიიწვიოს ავტორი განაცხადის მასალების განხილვაში მონაწილეობისათვის: ავტორის გამოძახება ხორციელდება მხოლოდ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით.

თუ ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული აღმოჩენის შესახებ ოფიციალურ ბიულეტენში პუბლიკაციის დღიდან ან აღმოჩენის აღმოჩენების სახელმწიფო რეესტრში შეტანის დღიდან (როცა პუბლიკაცია არ მომხდარა) აღმოჩენის რეგისტრირება სადავოდ არ გახდა, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი გასცემს აღმოჩენაზე დიპლომს და გადაუხდის ავტორს (თანაავტორებს) გასამრჩელოს.

#### § 14. როგორია საიდუმლო აღმოჩენების გაფორმების წესი?

როცა ავტორი დარწმუნებულია, რომ მის მიერ გაკეთებული აღმოჩენა შეადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, ვალდებულია მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომა იმისათვის, რომ აღმოჩენა არ იქნეს გახმაურებული და დაუყოვნებლივ გადასცეს ყველა მა-

<sup>10</sup> პუბლიკაცია წარმოებს აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში ან შესაბამის აკადემიურ ჟურნალში.

სალა საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას თავისი სამუშაო ადგილის მიხედვით ან სხვა სახელმწიფო საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას (რომლის პროფილსაც მიეკუთვნება აღმოჩენა).

საწარმო (ორგანიზაცია, დაწესებულება), რომელსაც მიმართა ავტორმა, ვალდებულია აღმოუჩინოს მას დახმარება საგანაცხადო მასალების გაფორმებაში და გააგზავნოს ისინი შესაბამის ორგანოებში.

აღმოჩენაზე განაცხადის გაფორმების დროს თითოეულ შემთხვევაში საწარმოს (ორგანიზაცია, დაწესებულება), აგრეთვე გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან შეამოწონ შეიცავს თუ არა განაცხადის მასალები ცნობებს, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას. ასეთივე შემოწმება ტარდება გამომგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში შემოსული განცხადების მიხედვით. თუ განცხადებული აღმოჩენა მიიჩნევა საიდუმლოდ ან სრულიად საიდუმლოდ, ამის შესახებ ეცნობება ავტორს და განაცხადის შემდგომი განხილვა ხდება საიდუმლოების დადგენილი წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

#### § 15. სად და როგორი წლიდან შეიძლება მოინახოს ცნობები სსრ კავშირში გაათავებული აღმოჩენების შესახებ?

სსრ კავშირის გამომგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ აღმოჩენების დიპლომის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, აღმოჩენა ტარდება რეგისტრაციაში და ამის შესახებ კეთდება პუბლიკაცია ბიულეტენში „აღმოჩენები, გამომგონებები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები“. აღნიშნულ ბიულეტენში ცნობები სსრ კავშირში რეგისტრირებულ აღმოჩენებზე ქვეყნდება 1959 წლიდან.

#### § 16. შეიძლება თუ არა აღმოჩენის რეგისტრაციის გააპროტესტება?

თუ ექსპერტიზის დასკვნა იძლევა საფუძველს გამომგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტის გამოსატანად, მაინც არ არის გა-

მორიცხული შემთხვევა, როცა აღმოჩენის რეგისტრაციის შემდეგ აღიძვრება ეჭვი მის სიახლეზე. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ მოცემული აღმოჩენის ავტორობაზე პრეტენზია განაცხადოს სხვა პირმა, ამიტომ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს აქვთ უფლება, ამტკიცებენ რა სიახლის უქონლობას ან სხვა პირთა ავტორობას — გააპროტესტონ შესაბამისი აღმოჩენის რეგისტრაცია.

ასეთი პროტესტის შეტანა შეიძლება რეგისტრირებულ აღმოჩენაზე გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში პუბლიკაციის ან სსრ კავშირის აღმოჩენების სახელმწიფო რეესტრში შეტანის დღიდან ერთი წლის განმავლობაში, ვიდრე პუბლიკაცია არ მომხდარა. თუ ერთი წლის განმავლობაში პროტესტი არ შემოვიდა, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი აძლევს ავტორს დიპლომს აღმოჩენაზე (დებულების მე-19 პუნქტი).

#### § 17. როგორი კავშირი არსებობს აღმოჩენასა და გამოგონებას შორის?

აღმოჩენა მკიდროდაა დაკავშირებული გამოგონებასთან, მაგრამ აღმოჩენას ახასიათებს ისეთი ნიშნები, რომლებიც არსებითად განასხვავებს მას გამოგონებისაგან. ამ განმასხვავებელი ნიშნებიდან მთავარია ის, რომ აღმოჩენა წარმოადგენს მატერიალურ სამყაროში ობიექტურად არსებული კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების დადგენას, მაგრამ იგი შეიძლება არ შეიცავდეს მითითებას, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს კანონზომიერებები, თვისებები და მოვლენები.

მაშასადამე, აღმოჩენა წყვეტს მეცნიერულ პრობლემას, ხოლო გამოგონება იძლევა ტექნიკურ გადაწყვეტას, რომელიც მიგვიითითებს, ეს მოვლენები რა ხერხებით ან საშუალებებით შეიძლება გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში, სოციალურ-კულტურული მშენებლობის ან ქვეყნის თავდაცვაში. ამიტომ ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ „აღმოჩენა გამოიყენება გამოგონებებში“.

არის შემთხვევები, რომ გამოგონება წინ უსწრებს აღმოჩენას, ჯერ იბადება სიახლე, შემდეგ მისი საშუალებით ხდება კანონზომიერებების, თვისებების და მოვლენების დადგენა.

პრაქტიკულად ეს კავშირი გამოიხატება შემოქმედების აღნიშნული ფორმების ურთიერთშეპირობებით. თუ გამოგონებები ემყარება აღმოჩენებს, ხშირად აღმოჩენებიც შეუძლებელია განსაზღვრული გამოგონებების გარეშე. მაგალითად, აღმოჩენამ ოპტიკის დარგში მიგვიყვანა ტელესკოპისა და მიკროსკოპის შექმნასთან, ხოლო ამან თავის მხრივ გამოიწვია მრავალი აღმოჩენის დაწყება.

## თ ა ვ ი III

### ბ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა

#### § 1. რ ა არ ის ბ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა ?

დებულებით სსრ კავშირში გამოგონებად ითვლება სახალხო შეურნეობის, სოციალ-კულტურული მშენებლობის ან ქვეყნის თავდაცვის ნებისმიერ დარგში, ამოცანის ახალი და არსებითი განსხვავების მქონე ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც დადებით ეფექტს იძლევა.

გამოგონებაზე ავტორობის დადასტურება სსრ კავშირში ხდება გაცემული საავტორო მოწმობით ან პატენტით. გამოგონების განსაზღვრის თანახმად, გამოგონებას შეიძლება წავუყენოთ შემდეგი მოთხოვნები: ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა; ახალი და არსებითი განსხვავებების მქონე გადაწყვეტა; დადებითი ეფექტი. ე. ი. ამოცანა ტექნიკურად უნდა იყოს გადაწყვეტილი; ამოცანის ტექნიკურ გადაწყვეტას უნდა ახასიათებდეს სიახლე; ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა უნდა იყოს არსებითი განსხვავებების მქონე; ამოცანის ახალი და არსებითი განსხვავებების მქონე ტექნიკური გადაწყვეტა უნდა იძლეოდეს დადებით ეფექტს.

არ არის სავალდებულო, რომ გამოგონება ეკუთვნოდეს ტექნიკის დარგს, მთავარია, რომ იგი შინაარსით შეესაბამებოდეს „ტექნიკურ გადაწყვეტას“.

სხვადასხვა დარგში ამა თუ იმ ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა ხორციელდება სხვადასხვა ხერხით. ტექნიკური გადაწყვეტის ობიექტი შეიძლება იყოს მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, ან წინათ ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების ახალი დანიშნულებით გამოყენება.

დებულებაში გათვალისწინებულია ქიმიური გზით მიღებულ ნივთიერებათა უფლებრივი დაცვა, თუ მოყვანილი ცნობები შეეხება მის ქიმიურ აგებულებას, ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, მისი მიღების წესებსა და გამოყენების სფეროს.

ახალი დანიშნულებით გამოყენება გულისხმობს ცნობილი გამოგონების ახალ პირობებში გამოყენებას, მისი ახალი თვისებების გამოკვლენას ან კიდევ წინათ ცნობილი თვისებების ახალი დანიშნულებით გამოყენებას.

ტექნიკური გადაწყვეტა მიიჩნევა ახლად, თუ განაცხადის პრიორიტეტის თარიღამდე ამ ან იგივე გადაწყვეტის არსი არ იყო გახანილი სსრ კავშირში ან საზღვარგარეთ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის იმდენად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი განხორციელება (დებულების 21-ე პუნქტი).

პირთა განუსაზღვრელი წრე გულისხმობს იმ პირთ, რომელთათვის გახდა ცნობილი გამოგონების არსი არა მათი სამსახურებრივი მდგომარეობით, ე. ი. ადამიანებს, რომლებსაც არ ჰქონდათ დაოკიდებულება გამოგონების შექმნასთან, მის შეფასებასთან, გამოცდასთან, ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენასთან, დამტკიცებასთან, განაცხადის გაფორმებასთან, განაცხადთან დამოკიდებული დოკუმენტების შენახვასთან, გამოგონების ექსპერტიზასთან და ა. შ.

დებულება ითვალისწინებს ორ შემთხვევას, როცა გამოგონების არსი თუმცა იხსნება კიდევ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, მაგრამ არ აბათილებს სიახლეს. ცნობები გამოგონების ღია გამოყენებაზე არ უპირისპირდება, თუ მისმა ავტორმა შეიტანა განაცხადი საავტორო მოწმობის გაცემაზე არა უგვიანეს ოთხი თვისა გამოგონების გამოყენების დაწყებიდან (დებულების 50-ე პუნქტი).

სსრ კავშირის ტერიტორიაზე ორგანიზებულ ოფიციალურ ან ოფიციალურად აღიარებულ საერთაშორისო გამოფენებზე გამოგონების ღია ჩვენება ექსპონატებში არ ჩაითვლება გამოგონების სიახლის გაბათილებად, თუ განაცხადი შეტანილია გამოგონების ავტორის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში, დებულების მოთხოვნების დაცვით 6 თვის ვადაში, გამოფენაზე ექსპონატის მოთავსების დღიდან.

განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს აღნიშნული შეღავათიანი ვადით, უნდა დაურთოს განაცხადის მასალებს,

გამოგონების აღნიშნული ობიექტის ღია ჩვენების დაწყების ვადის დამადასტურებელი, გამოფენის ადმინისტრაციის ცნობა.

დებულება ადგენს, რომ ტექნიკური გადაწყვეტა მიიჩნევა არსებითი განსხვავებების მქონედ, თუ მეცნიერებასა და ტექნიკაში ცნობილ გადაწყვეტებთან შედარებით განაცხადის პრიორიტეტის თარიღისათვის იგი ხასიათდება ნიშან-თვისებების ახალი ერთობლიობით (დებულების 21-ე პუნქტი).

ტექნიკური გადაწყვეტის განხილვისას მიიღება მხედველობაში მხოლოდ არსებითი ნიშან-თვისებები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მივიჩნიოთ იგი გამოგონებად. არსებითი ნიშან-თვისებების არსებობა სხვებთან ერთობლიობაში უზრუნველყოფს დადებითი ეფექტის მიღებას.

გამოგონების არსებითი ნიშან-თვისებების სწორ განსაზღვრას განაცხადის მასალების გაფორმებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის, გამოგონების ფორმულის შედგენისათვის, მისი უფლებრივი დაცვის სისტულისა და საიმპედოობისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

გამოგონების გამოყენებისას მიღებულ ახალ, უფრო მაღალ შედეგს იმასთან შედარებით, რომელსაც იძლეოდა გამოგონების პროტოტიპი, ეწოდება დადებითი ეფექტი. ის გამოიხატება შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, შრომის პირობების გაუმჯობესებაში, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, მასალების ეკონომიაში, დაავადების თავიდან აცილებაში და სხვა.

დადებითი ეფექტის შეფასება ხდება არა მარტო დღევანდელი დღის თვალსაზრისით, არამედ მისი მომავალში მიღწევის შესაძლებლობითაც.

## § 2. რა არის გამოგონების ობიექტი?

გამოგონების დახასიათება არ შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ საერთო კრიტერიუმებით, რომელიც მოცემულია განსაზღვრებაში (ტექნიკური გადაწყვეტა, სიახლე და სხვა.): გამოგონების ცნებაში შედის მისი ობიექტების დახასიათებაც. ამასთან, თუ საერთო კრიტერიუმები საკმაოდ სტაბილურია, მაშინ ობიექტების წრე, რომლებიც განსაზღვრებულია დაცვის უნარის მქონე გამოგონებაში, განუწყვეტლივ ფართოვდება მცნინიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის შედეგად სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორებით; ასე მაგალითად, ქიმიის დარგში მიღწევებზე უფლებ-

ის დაცვის გავრცელებამ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის სსრ კავშირშიც, გამოაწვია გამოგონებების ობიექტების წრეში ქიმიურ ნივთიერებათა შემოღება.

გამომგონებლობის მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა ანსხვავებს გამოგონების შემდეგ ობიექტებს: მოწყობილობას, ხერხს, ნივთიერებას, გამოგონებას გამოყენებაზე. მაშასადამე, გამოგონებად მისაჩნვერ ტექნიკური გადაწყვეტა უნდა გარკვევით მოექცეს ერთი დადგენილი ობიექტის ქვეშ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგონება არ არის: ეს შეიძლება იყოს ან აღმოჩენა, ან მეცნიერული ჰიპოთეზა, ან ორგანიზაციული წინადადება, ან წინადადება, რომელიც უშუალოდ აღნიშნულია არა დაცვის უნარის მქონე ობიექტების ნუსხაში.

საბჭოთა ლიტერატურაში მოცემულია გამოგონების ობიექტების ანალიზის საინტერესო მეთოდოლოგია<sup>11</sup>. მოწყობილობა — ეს განსაზღვრული სახით ურთიერთდაკავშირებული, სივრცეში განლაგებული ელემენტების სისტემაა: ხერხი — ეს ხერხების ერთობლიობაა, რომელიც სრულდება განსაზღვრული მიმდევრობით ან განსაზღვრული წესების დაცვით, მაგალითად. განსაზღვრული დროის მანძილზე ან განსაზღვრულ პირობებში (განსაზღვრული ტემპერატურის, განსაზღვრული დენის ძალის და სხვ.), ე. ი. ხერხი — სხვა არა არის რა, თუ არა ელემენტების სისტემა, რომელიც ხასიათდება მათი განსაზღვრული თანამიმდევრობით დროში; ნივთიერება, წარმოადგენს რა განსაზღვრულ სტრუქტურას, ხასიათდება მისი შემადგენელი ელემენტების განლაგებით სივრცეში.

თითოეული ჩამოთვლილი გამოგონების ობიექტი ხასიათდება ზუსტად განსაზღვრული ნიშან-თვისებებით. ამას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა გამოგონების ობიექტების ტიპოლოგიასთან დაკავშირებით. შექმნილი ტექნიკური გადაწყვეტის ერთ-ერთი ობიექტისათვის არასწორი მიკუთვნება (მაგალითად, გამოგონებულია ხერხი, ხოლო განიხილავენ და აღწერენ მას, როგორც მოწყობილობას) იწვევს არასასურველ შედეგებს გამომგონებლისათვის.

---

<sup>11</sup> И. Э. М а м и о ф а. Основы методологии анализа изобретений. — В сб.: «Тезисы докладов на научно-методологической конференции, посвященной десятилетию ВГКП!» М., 1973, с. 65.

მოწყობილობა: როგორც გამოგონების ობიექტი — ეს ახალი, არსებითი განსხვავებების მქონე, დამზადებისას და (ან) გამოყენებისას დადებითი ეფექტის მომცემი ნაგებობა, ნაკეთობაა, რომელიც წარმოადგენს კონსტრუქციულ ელემენტს ან ფუნქციონალურ-კონსტრუქციულ ერთიანობაში მყოფ კონსტრუქციულ ელემენტების ერთობლიობას. მოწყობილობებს უწოდებენ აგრეგატებს, მანქანებს, მექანიზმებს, შრომის იარაღებს, ინსტრუმენტებს და შრომის განივებულ სხვა პროდუქტებს, რომლებიც განუთვნილია საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად, ბუნებაზე ზემოქმედებისათვის ან საზოგადოების ნებისმიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მოწყობილობები ორი სახისაა.

პირველს მიეკუთვნება ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, შრომის იარაღები, მზა ნაკეთობები. პირველი სახის მოწყობილობები ხასიათდება იმით, რომ არც თვით ისინი, არც ელემენტები, რომლებისგანაც ისინი შედგებიან, მუშაობის პროცესში არ არიან დაკავშირებული ერთმანეთს შორის ფუნქციონალურად, მაგალითად, საზეინკლო ან საღურგლო ინსტრუმენტები, დეტალები შათაწყობამდე და ა. შ.

მეორე სახეს მიეკუთვნება აგრეგატები, მექანიზმები, მოწყობილობები, ელექტროსქემები და მისთანანი, რომელთა კვანძები ან დეტალები გამოყენების პროცესში ფუნქციონალურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ხშირად ამ სახის მოწყობილობათა ერთ-ერთი ელემენტთაგანი წარმოადგენს ენერჯის წყაროს.

მოწყობილობას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:

— ელემენტები, ე. ი. დეტალები, კვანძები, აგრეგატები და მოწყობილობაში შემავალი მათი მსგავსი დამთავრებული მატერიალური ერთეულები;

— ელემენტების ურთიერთმდებარეობა;

— ელემენტების ურთიერთკავშირი, ე. ი. დამაკავშირებელი ორგანოების ან მოქმედებების სახე, რომელთა დახმარებითაც მოწყობილობის ზემოქმედებას ახდენენ ერთიმეორეზე, რითაც უზრუნველყოფენ მოწყობილობის შრომისუნარიანობას;

— მთელი მოწყობილობის ან მისი ნაწილების ელემენტების ფორმა, აგრეთვე ელემენტების ურთიერთკავშირის ფორმა;



- ელემენტების ზომების თანაფარდობა;
- მასალა, რომლისგანაც შესრულებულია ელემენტი, ელემენტების ჯგუფი ან მოწყობილობის ყველა ელემენტი.

#### § 4. რით ხასიათდება ხერხი, როგორც გამოგონების ობიექტი?

ხერხი, როგორც გამოგონების ობიექტი — ეს ახალი, არსებითი განსხვავებების მქონე და გამოყენებისას დადებითი ეფექტის მომცემი, დასახული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი, ურთიერთდაკავშირებული შემოქმედებების შესრულების პროცესია.

ხერხებს მიეკუთვნება:

— ნედლეულისა და მასალების მოპოვების, დამზადებისა და მაღლების ხერხები;

— ტექნოლოგიური პროცესები, როგორც მატერიალურ ობიექტებზე მათი სასარგებლო გარდაქმნის მიზნით მიმართულ მოქმედებათა ერთობლიობა — შუა პროდუქტებად და ნაწარმად მასალებისა და ნახევარფაბრიკატების დამუშავებისა და გადამუშავების პროცესები;

— შუა ნივთიერებათა მანე გავლენისაგან დაცვის, მათი შენახვის უზრუნველყოფის, აგრეთვე პროდუქტებისა და ნაწარმის მარკირების, დაფასოების, ჩაწყობის, დოზირების და შეფუთვის ხერხები;

— გაზომვის, გამოცდისა და მზადყოფნის კონტროლის, საინჟინოების, ბუნებაში ხელოვნურად შექმნილი ან არსებული ობიექტების ან მოვლენების დასახული პარამეტრების შესატყვისობის ხერხები;

— ნაკეთობების, მოწყობილობების, ნაგებობების მონტაჟის აწყობისა და დაყენების ხერხები;

— გაწყობის, გამართვის, მოვლის, მართვისა და რეგულირების, ავარიული სიტუაციების წინასწარ გაფრთხილების ხერხები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელსაწყოების, მანქანების, ავრეგატების, ნაკადური ხაზების ნორმალურ ფუნქციონირებას;

— საწარმოო ან სხვაგვარი ნარჩენების განადგურებისა და გადამუშავების, გაწმენდის, გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის და სხვა ხერხები;

— ბუნების ბუნებრივ პროცესებზე და მოვლენებზე, მათთვის სასარგებლო მიმართულებების მიცემის მიზნით, ზემოქმედ-

ჯების ხერხები — მაგალითად, ფხვიერი ქვიშების დამაგრების, მცენარეთა და ცხოველთა ზრდის სტიმულირების, სელექციისა და ჰიბრიდიზაციის და სხვა ხერხები;

— ადამიანებისა და ცხოველების დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხერხები.

ხერხს, ისევე როგორც მოწყობილობას, აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:

— ხერხები, ოპერაციები, ე. ი. სხვადასხვა მიზანდასახული მოქმედებები, რომლებიც სრულდება გარკვეული მიზნის მიღწევისათვის. ოპერაციების ერთობლიობა და მიმდევრობა შეადგენს დამთავრებულ ტექნოლოგიურ პროცესს;

— ოპერაციების თანამიმდევრობა. ტექნოლოგიურ პროცესში იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ხშირად ერთგვაროვანი ტექნოლოგიური პროცესები შეიცავენ ერთნაირ ოპერაციებს, მაგრამ განსხვავდებიან თანამიმდევრობით;

— ოპერაციის ჩატარების რეჟიმი, ე. ი. პარამეტრები (ტემპერატურა, წნევა, კონცენტრაცია, დრო — ქიმიაში; ჭრის ძალა, საჭრისის მდგრადობა — ლითონგადამუშავებაში და სხვა), რომლებიც ხასიათდება ოპერაციას;

— მასალების თანათარღობა, გამოყენებული პროცესების ჩატარებისას;

— პროცესის ჩატარებისას მოწყობილობების (აპარატების, მექანიზმების, მანქანების საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების და მისთანების) და მასალების (ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, კატალიზატორების) გამოყენება.

## § 5. რით ხასიათდება ნივთიერება, როგორც გამოგონების ობიექტი?

ნივთიერება როგორც გამოგონების ობიექტი — ეს ახალი, არსებითი განსხვავებების მქონე, ხელოვნურად შექმნილი ნივთობრივი წარმოქმნაა, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების, ინგრედიენტების ერთობლიობას, რომლის წარმოება და (ან) გამოყენება იძლევა დადებით ეფექტს.

ნივთიერების ქვეშ გაიგება შემადგენლობით დამახასიათებელი, თავისი სტრუქტურის მიხედვით, ჩვეულებრივ, ერთიანი და სხვადასხვა ელემენტის დამზადებისათვის საჭირო და მზა პროდუქტის სახით გამოყენებული, ხელოვნურად შექმნილი მასალები:

— ნივთიერებანი, რომლებიც მიიღება ინგრედიენტების მექანიკური შერევით; მაგალითად, ნარევები, შემადგენლობები, ფერადი და შავი ლითონების სხვადასხვა მარკები, სხვადასხვაგვარი კონსტრუქციული მასალები, საგოზავები და მისთანები;

— ნივთიერებანი, მიღებული ფიზიკურ-ქიმიური გარდაქმნით, რომლის დროსაც მექანიკურ შერევასთან ერთად წარმოებს ზოგიერთი პრაქტიკულად ძნელად გამოსავლენი ქიმიური პროცესები. შენაღობები, კერამიკული მასალები, სამშენებლო მასალები, შუშები და სხვ. შედგებიან მრავალი სხვადასხვა მოლეკულისაგან; ამის გამო მათი გამოსახვა შეუძლებელია ქიმიური ფორმულით. ასეთი ნივთიერებები განიხილება როგორც მექანიკური ზერხით მიღებული;

— ნივთიერებანი მიღებული ქიმიური ზერხით, ან ქიმიური შენაერთები, მათ რიცხვში მაღალმოლეკულურნიც.

ნივთიერებას, რომელიც მიღებულია არა ქიმიური ზერხით, ახასიათებს შემდეგი ნიშან-თვისებები:

— ინგრედიენტები, ე. ი. დამუშავების შემდეგ, მაგალითად, შედნობის შემდეგ ნივთიერების შემადგენელი კომპონენტები;


— ინგრედიენტების ურთიერთმდებარეობა;

— ცალკეული ინგრედიენტების ფორმა;

— ინგრედიენტების შეფარდება (პროპორცია);

— ინგრედიენტების დახასიათება.

ნივთიერება, რომელიც მიღებულია ქიმიური ზერხით, ხასიათდება ნიშან-თვისებებით, რომლებიც განსაზღვრავენ მის თვისებრივ (განსაზღვრული ელემენტების ატომები) და რაოდენობრივ (თითოეული ელემენტის ატომების რიცხვი) შედგენილობას, ატომებს შორის ქიმიურ კავშირს და მათ ურთიერთგანლაგებას მოლეკულაში. ყველა ამ ნიშან-თვისების ერთობლიობა აუცილებელი და საკმარისია ქიმიური შენაერთის არსის, ე. ი. მისი ქიმიური ბუნების დახასიათებისას და შეიძლება გამოსახულ იქნეს ქიმიური შენაერთის მოლეკულის სტრუქტურული ფორმულით. მაგალითად:  $H_2O$  — წყალი; თვისებრივი შედგენილობა — წყალბადი და ჟანგბადი; რაოდენობრივი შედგენილობა — წყალბადის ორი ატომი და ჟანგბადის ერთი ატომი; სხვა მახასიათებლების გამოსახვისათვის აუცილებელია სტრუქტურული ფორმულა:



რომლიდანაც ნათელია ატომებს შორის ქიმიური კავშირი და მათი

ურთიერთგანლაგება. სტრუქტურული ფორმულა საკმარისია შენაერის ქიმიური ბუნების გამოსახვისათვის, რადგან იგი შეიცავს ყველა ნიშან-თვისებას, რომელიც ახასიათებს ქიმიურ შენაერთს.

ქიმიური შენაერთი ხასიათდება ახალი სტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს დადებითი ეფექტის მიღებას.

სტრუქტურით ცნობილი ბუნებრივი შენაერთები, რომლებიც სინთეზირებულია პირველად, არ შეიძლება იყოს გამოგონების ობიექტი. გამოგონების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ბუნებრივი შენაერთის სინთეზის ხერხი, თუ ის ახალია.

ქიმიური შენაერთები, რომელთა სტრუქტურა მიეკუთვნება შენაერთების ცნობილ ჯგუფს, რომლებიც მიღებულია ტრივიალური ხერხით და ფლობენ მოცემული ჯგუფისათვის ცნობილ თვისებებს, არ შეიძლება მიეკუთვნოს გამოგონების ობიექტებს, თუმცა კი იძლევა დადებით ეფექტს. გამოგონების ობიექტი შეიძლება იყოს ასეთი შენაერთების მიღების ახალი ხერხი.

ბიოლოგიურად აქტიური ქიმიური შენაერთები, რომელთა სტრუქტურა მიეკუთვნება შენაერთების ცნობილ ჯგუფს და რომელთა თვისებები ამ ჯგუფის თვისებების იდენტურია, შეიძლება მიჩნეულ იქნენ გამოგონებებად, რომლებიც აფართოებენ ცოცხალ ორგანიზმზე შემოქმედებათა საშუალებების არსენალს.

პოლიმერებისათვის (მაღალმოლეკულური შენაერთები) დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ქიმიური შედგენილობა, მიკრომოლეკულის ერთი რგოლის სტრუქტურა, მიკრომოლეკულის სტრუქტურა მთლიანად (ხაზობრივი, ხაზობრივი განშტოებებით, შეერთებული, განშტოებული, სტერეორეგულარული), მოლეკულური მასა (წონა). ეს ნიშან-თვისებები განსაზღვრავენ პოლიმერის თვისებებს.

მაკრომოლეკულის ერთი რგოლის ქიმიური შედგენილობა და სტრუქტურა შეიძლება გამოისახოს პოლიმერის სიმბოლოთი და დასახელებით. მაგალითად,  $(\text{CH}_2-\text{O})$  — პოლიექსიმეთილენი;  $(\text{CH}_2-\text{C}(\text{CH}_3)=\text{CH}-\text{CH}_2)$  — ნატურალური კაუჩუკი.

მაკრომოლეკულის სტრუქტურა მთლიანად და მოლეკულური წონა შეიძლება იყოს გამოსახული კონკრეტულად, მაგალითად, შეერთებული პოლიმერი მოლეკულური წონით  $100000+150000$ . ამ ნიშან-თვისებების ახალი ერთობლიობა, რომელიც დადებით ეფექტს ვეაძლევს, საშუალებას იძლევა მივიჩნიოთ პოლიმერი გამოგონების ობიექტად.

ინსტრუქცია „ეზ-2-74“ ადგენს, რომ საავტორო მოწმობები ან პატენტები ვაიცემა აგრეთვე ადრე ცნობილი მოწყობილობების, ხერხების, ნივთიერებების ახალი დანიშნულებით გამოყენებაზე (პუნქტი 2.01). იგი შეიცავს მითითებას განსახილველი ობიექტის დაცვისუნარიანობის რიგ სპეციფიკურ პირობებზე: რომ მოწყობილობები, ხერხები, ნივთიერებები ცნობილია; მითითებულია ადრე ცნობილი ობიექტების ახალი დანიშნულების შესახებ.

ინსტრუქცია „ეზ-2-74“ შეიცავს მეთოდურ დამოკიდებულებას მნიშვნელოვან მითითებას, რომ გამოგონების ობიექტები ნებისმიერი გამოგონებებისთვის ხასიათდება როგორც საერთო ნიშანთვისებებით (მხედველობაშია გამოგონებების დაცვისუნარიანობის საერთო კრიტერიუმები), ასევე სპეციფიკური ნიშანთვისებებითაც, რომლებიც ახასიათებს თითოეულ სახეს (პუნქტი 1.12). „ეზ-2-74“ ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებაზე გამოგონების სპეციფიკურ ნიშანთვისებას წარმოადგენს გამოყენებული ობიექტის ცვლილებების უქონლობა: თუ ობიექტმა „განიცადა რაიმე არსებითი ცვლილებები განცხადებული დანიშნულებასთან“ — „განცხადებული ობიექტი არ მიიჩნევა როგორც გამოყენება“ (პუნქტი 6.06). „ეზ-2-74“ ინსტრუქციაში ობიექტის „განცდილი ცვლილებების“ ბედი არ არის განსაზღვრული: როგორც ჩანს, განცხადი არსებითი განსხვავებების საგნის დადგენაზე განხილული იქნება სხვა „საპატენტო კატეგორიის“ მოწყობილობაში, ხერხში, ნივთიერებაში.

შეიძლება აღინიშნოს, რომ განსახილველი ობიექტისათვის მთელი სისრულით გამოიყენება „ეზ-2-74“ ინსტრუქციის 10.07 პუნქტში ფორმულირებული დებულება; იმასთან დაკავშირებით, რომ გამოყენებაზე გამოგონებების დაცვა ნორმატიული წესით ზემოთ აღნიშნულ ინსტრუქციაში დამკვიდრებულია პირველად, ამ დაცვასთან დაკავშირებული რიგი საკითხები დამატებით იქნება გადაწყვეტილი გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქტებით.

საერთო სახით გამოყენებაზე გამოგონება ხასიათდება საგნის სხვა საგნებთან ახალი დამოკიდებულებით, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ის ახლებურად, მოცემული საგნებისათვის დანიშნულების არა ტრადიციულად. გამოგონების ეს სპეციფიკური ობიექტი არ ხასიათდება არც კონსტრუქციული, არც ტექ-

ნოლოგიური, არც თვისებრივი. (რეკეპტურული) ნიშან-თვისებებით. გამოყენებაზე გამოგონების არსი წარმოადგენს ცნობილ ან ახალ პირობებში საგნების ახალი თვისებების გამოყენებას, როდესაც ასეთი გამოყენება სპეციალისტებისათვის არ არის მოსალოდნელი.

## § 7. როგორი ობიექტები არ მიიჩნევა გამოგონებად?

გამოგონებად არ ჩაითვლება შემდეგი წინადადებები:

— რომლებიც არ აკმაყოფილებენ თუნდაც ერთ ნიშანს, რომელსაც შეიცავს გამოგონების ცნების ლეგალური განსაზღვრა (გამონაკლისს შეადგენენ ობიექტები, რომლებზეც კანონმდებლობაში პირდაპირი მითითების მიხედვით შეიძლება გაცემა იყოს საავტორო მოწმობა);

— რომლებიც არ ექვემდებარებიან საავტორო მოწმობით ან პატენტით დაცვას კანონმდებლობაში პირდაპირი მითითების ძალით, თუნდაც მოიცავდნენ გამოგონების საერთო განსაზღვრას;

— რომლებიც არ ექვემდებარებიან დაცვას საგამომგონებლო უფლების ნორმების მიხედვით, რამდენადაც ეს გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის საერთო პრინციპებიდან.

გამოგონებად არ მიიჩნევა წინადადებები, რომლებშიც არ არის ნაჩვენები კონკრეტული საშუალებები, დასმული ამოცანის გადაწყვეტის ხერხები. თავისი განუხორციელებლობის გამო არადაცვისუნარიანია აგრეთვე წინადადებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ბუნების კანონებს, მაგალითად, მექანიზმები, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ შინაგანი ძალების გამოყენებით — ე.წ. „მუღმივი ძრავები“.

არადაცვისუნარიანია წინადადებები, რომლებიც სავესებით განხორციელდება და წყვეტენ კონკრეტულ ამოცანებს, მაგრამ არ შეიცავენ ტექნიკურ გადაწყვეტას ე. ი. არ ექცევიან მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების ან გამოყენების კატეგორიების ქვეშ. ასეთებია მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები და სისტემები (დაგეგმვა, ფინანსირება, აღრიცხვა. მომარაგება და სხვ.), პირობითი აღნიშვნები (მაგალითად, საგზაო ნიშნები, მარშრუტები და ა. შ.), განრიგები, წესები (მაგალითად, თამაშის წესები, ქუჩაში მოძრაობის წესები და სხვ.), აღზრდის, სწავლების მეთოდები და სისტემები, ენის გრამატიკული სისტემები და სხვ. (დებულების 21-ე პუნქტი). მაგრამ აღნიშნულ დარ-

გებშიც შეიძლება გამოვიყენოთ საშუალებები, რომლებიც წარმოადგენენ ტექნიკურ გადაწყვეტებს: მაგალითად, სწავლების მეტოდოლოგია ითვალისწინებს თვალსაჩინო ხელსაწყოების, მოდელების, მოწყობილობების გამოყენებას, რომლებიც შეიძლება იყოს ახალი ტექნიკური გადაწყვეტები, ფლობდეს არსებით განსხვავებებს.

დაცვას არ ექვემდებარებიან დაგეგმარებითი გადაწყვეტები — ნაგებობათა, შენობათა და ტერიტორიების (დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, პარკების და სხვ.) დაგეგმარების პროექტები და სქემები, რომლებიც ტრადიციულად განიხილება როგორც სამხატვრო დარგი და არა საგამომგონებლო შემოქმედება (დებულების 21-ე პუნქტი).

ასევე არ მიიჩნევა დაცვის უნარის მქონედ წინადადებები ესთეტიკის დარგიდან, ე. ი. წინადადებები, რომლებიც ეხება ნაკეთობის მხოლოდ გარე სახეს (ფორმას, ფასონს), რომლებიც დაცული არიან სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად (დებულების 21-ე პუნქტი).

არ მიიჩნევა გამოგონებებად აშკარად უსარგებლო გადაწყვეტები (მაგალითად, თვითმისასალმებელი ქულების კონსტრუქციები, გლიოტინები ბუხებისათვის, ველოსიპედები ცხენებისათვის და სხვ.).

არ მიიჩნევა გამოგონებებად გადაწყვეტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, ჰუმანურობის პრინციპებს და სოციალისტურ მორალს (დებულების 21-ე პუნქტი).

## § 8. რა დოკუმენტით ვბაკისდება გამოგონების ავტორობა?

სსრ კავშირში გამოგონებაზე ავტორობა მტკიცდება საავტორო მოწმობით ან პატენტით.

გამოგონების ავტორს შეუძლია თავისი სურვილით მოითხოვოს მხოლოდ თავისი ავტორობა ან გამოგონებაზე ავტორობისა და განსაკუთრებული უფლების აღიარება. პირველ შემთხვევაში გამოგონებაზე გაიცემა საავტორო მოწმობა, მეორე შემთხვევაში — პატენტი (დებულების 23-ე პუნქტი).

გამოგონებაზე, რომელზეც გაეშუქება საავტორო მოწმობა, გამოგონების გამოყენების უფლება ეკუთვნის სახელმწიფოს,

რომელიც თავის თავზე იღებს მზრუნველობას მისი რეალიზაციისათვის. საავტორო მოწმობის მოქმედება არ არის განსაზღვრული დროში (უვადოა) და ვრცელდება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

პატენტი საავტორო მოწმობისაგან ძირითადად განსხვავდება ცალკეული პირის — პატენტისმფლობელის მიერ გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლებით. ეს გულისხმობს: ნაკეთობის დამზადებას, დაპატენტებული ტექნიკური გადაწყვეტის განხორციელებას, გამოგონების საწარმოო პროცესში გაშვებას, ე. ი. ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია მის რეალიზაციასთან მრეწველობასა და ვაჭრობაში.

საავტორო მოწმობისაგან განსხვავებით, სსრ კავშირში პატენტი გაიცემა 15 წლის ვადით, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის დღიდან 15 წლის ვადის შემდეგ, ნებისმიერ პირს უფლება აქვს გამოიყენოს გამოგონება ავტორის თანხმობის გარეშე.

მხოლოდ პატენტის მფლობელს შეუძლია მისცეს უფლება მისი გამოგონების გამოყენებაზე, ან სრულად გადასცეს განსაკუთრებული უფლება გამოგონებაზე სხვა პირს კანონით დადგენილი წესით (დებულების 30-ე პუნქტი).

დებულება ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა გამოგონებაზე გაიცემა მხოლოდ საავტორო მოწმობა და არა პატენტი. ამ შემთხვევებს მიეკუთვნება გამოგონებები, რომლებიც შეიქმნა ავტორის მიერ საწარმოში ან ორგანიზაციაში მუშაობასთან დაკავშირებით ან მათი დავალებით, აგრეთვე თუ გამოგონებელმა საწარმოდან (ორგანიზაციიდან) ზიილო ფულადი ან სხვა მატერიალური დახმარება გამოგონების დამუშავებისათვის (დებულების 24-ე პუნქტი).

ქიმიური გზით მიღებულ, აგრეთვე სამკურნალო ნივთიერებაზე იცემა მხოლოდ საავტორო მოწმობები. საავტორო მოწმობა გაიცემა ავადმყოფობის მკურნალობის (ადამიანთა და ცხოველთა) ახალ ხერხებზე; მათ შორის ქირურგიულ ოპერაციებზე, დიაგნოსტიკისა და გამოკვლევათა ხერხებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია ავადმყოფობის განსაზღვრა ან მკურნალობის ხერხის შეჩვენება (თუნდაც ისინი არ იყვნენ დაკავშირებული ტექნიკასთან). ამ წინადადებაზე საავტორო მოწმობები გაიცემა მხოლოდ მათი პრაქტიკული შემოწმებისა და ჯანმრთელობის ორგანოების მიერ



სათანადო აპრობაციის შემდეგ, ზოლო ვეტერინარიაში ამას ახდენს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციები. გარდა აღნიშნული ობიექტებისა, სსრ კავშირში საავტორო მოწმობები გაიცემა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სხვა კულტივირებულ მცენარეთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ახალ ჯიშებზე და ჰიბრიდებზე; მათ მალალპროდუქტიულ, ქარხნულ და შიდა ჯიშობრივ ტიპებზე და საქარხნო ხაზებზე, ბეწვიან ნადირთა და თუთის აბრეშუმის ჰიის ახალ ჯიშებზე.

მითითებული სელექციური მიღწევები უფლებრივი დაცვით უტოლდებიან გამოგონებებს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სხვა გამოყვანულ მცენარეთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა, ბეწვიან ნადირთა ტიპებისა და თუთის აბრეშუმის ჰიის გაუმჯობესებულ ჯიშებზე გაიცემა მოწმობები.

ავტორებს (სელექციონერებს), აგრეთვე საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებშიც მიღებულია მითითებული სელექციური მიღწევები, საავტორო მოწმობებს და მოწმობებს აძლევს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ამასთან საავტორო მოწმობების გაცემა წარმოებს მხოლოდ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მათი რეგისტრაციის შემდეგ (დებულების 22-ე პუნქტი).

განაცხადი პატენტის გაცემაზე ფორმდება და განიხილება იმავე წესით, როგორც განაცხადი საავტორო მოწმობის გაცემაზე.

#### § 9. როგორია გამოგონებაზე პატენტის გაცემის განაცხადების განხილვის თავისებურებანი?

პატენტზე უფლებების გაფორმების წესი, მთლიანად ემთხვევა საავტორო მოწმობაზე უფლების გაფორმების წესს, თუმცა აქვს ზოგიერთი თავისებურებებიც. ერთი მათგანია — ექსპერტიზის პროცესში მოქმედების შესრულებისათვის ბაჟის გადახდევინება: საგანაცხადო ბაჟის გარდა, განმცხადებელი იხდის ბაჟებს შეპასუხებებისა და საჩივრების შეტანაზე, აგრეთვე პატენტის გაცემისათვის<sup>12</sup>. აღსანიშნავია, რომ კანონი ადგენს განსხვავებებს საავტორო

<sup>12</sup> დადგენილია შემდეგი საპატენტო ბაჟები:

— ერთდროული საგანაცხადო 110 მანეთის ოდენობით. თუ განაცხადში გაერთიანებულია ორი ან მეტი გამოგონება, რომელიც მიეკუთვნება სხვადასხვა

მოწმობებზე განაცხადებისა და პატენტზე განაცხადების უფლებრივ დადგენილ წესში. მაგალითად, განაცხადი საავტორო მოწმობაზე არ შეიძლება იყოს ცალმხრივი წესით გამოთხოვილი არც ავტორის, არც განმცხადებლის მიერ; განაცხადი პატენტზე შეიძლება იყოს გამოთხოვილი ექსპერტიზის ნებისმიერ სტადიაზე. შემდგომ, საავტორო მოწმობაზე განაცხადის შეცვლა პატენტის განაცხადზე არ დაიშვება, ხოლო პირიქით — დაშვებულია. ეს წესები განპირობებულია გამოგონებაზე საავტორო მოწმობის აღების უპირატესობით, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ წყობასთან მისი შესატყვისობით.

#### § 10. რას ნიშნავს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება?

გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ეწოდება უფლებამოსილებას, რომლის მიხედვით აკრძალულია გამოგონების გამოყენება იმ პირის (ორგანიზაციის) თანხმობის გარეშე, რომელსაც მიეკუთვნება განსაკუთრებული უფლება.

თუ გამოგონებაზე გაცემულია პატენტი, განსაკუთრებული უფლება მიეკუთვნება პატენტის მფლობელს — გამომგონებელს ან სხვა პირს, რომელსაც გამომგონებელმა დაუთმო თავისი უფლება, ე. ი. უფლების მემკვიდრეს.

თუ გამოგონებაზე გაცემულია საავტორო მოწმობა, განსაკუთრებულ უფლება მიეკუთვნება სახელმწიფოს.

განსაკუთრებული უფლების მოქმედება შეიძლება იყოს შეზღუდული ამა თუ იმ ურთიერთობაში. ის ყოველთვის შეზღუდუ-

---

ობიექტებს (მოწყობილობას, ხერხს, ნივთიერებას), რომლებიც ემსახურებიან ერთიან მიზანს და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთობლივად, მაშინ ერთზე მეტი თითოეული გამოგონებისათვის დამატებით გადაიხდება ორმოცდათხუთმეტი მანეთი; გამოგონებაზე პატენტის გაცემისათვის თავდაპირველი განაცხადის რამდენიმე დამოუკიდებელ განაცხადად გაყოფის შემთხვევაში თითოეულ ახლად შეტანილ განაცხადზე გადაიხდება ერთდროული საგანაცხადო საპატენტო ბაჟი;

— გამოგონებაზე პატენტის გაცემაში უარის შესახებ გადაწყვეტილებაზე შეპასუხების შეტანის შემთხვევაში ან გამოგონების ფორმულის გამო შეპასუხებისათვის გადაიხდება ბაჟი 50 მანეთის ოდენობით.

— საჩივარი ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეიტანება საკონტროლო საბჭოში, ანაზღაურდება ბაჟით 70 მანეთის ოდენობით;

— გამოგონებაზე პატენტის გაცემისათვის გადაიხდება 45 მანეთი ბაჟი.

ლია სივრცეში: განსაკუთრებული უფლება საბჭოთა პატენტით ან საავტორო მოწმობით ვრცელდება მხოლოდ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, მაგრამ არ მოქმედებს საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ.

განსაკუთრებული უფლება შეიძლება იყოს შეზღუდული ვადით. მას ყოველთვის აქვს დაწყების მომენტი — განსაკუთრებული უფლების წარმოქმნის დღე. გამოგონების პატენტით დაცვის შემთხვევაში არსებობს მისი მოქმედების ვადა — 15 წელი განაცხადის შეტანის დღიდან სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. განსაკუთრებული უფლების მოქმედება, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს საავტორო მოწმობის საფუძველზე, არავითარი ვადით არ არის შეზღუდული, ე. ი. უვალოა.

განსაკუთრებული უფლება შეზღუდულია საგნით: ის კრძალავს მხოლოდ ისეთი ნაკეთობების ან ხერხების გამოყენებას, რომლებიც შეესატყვისებიან გამოგონების საგანს, რომელიც განსაზღვრულია გამოგონების ფორმულის საშუალებით. ამასთან აკრძალულია არა ყოველგვარი გამოყენება, არამედ მხოლოდ გამოყენება რეწვის სახით. რეწვის ქვეშ გაიგება საწარმოო ან სხვა სამეწარმეო მოღვაწეობაში კერძოდ მოგების ან სხვა შემოსავლის მიღებისათვის გამოყენება. განსაკუთრებული უფლება არ კრძალავს უშუალოდ გამოგონების გამოყენებას, პირადი სარგებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ასე მაგალითად, თუ საავტორო მოწმობა გაცემულია ქუდების დამზადების ხერხზე, მაშინ არ იქნება სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლების დარღვევა რომელიმე მოქალაქის მიერ, თავისთვის ან საჩუქრად სხვა პირისთვის ქუდის დამზადების ფაქტი, მაგრამ მათი დამზადება გასაყიდად იქნება განსაკუთრებული უფლების დარღვევა.

არ წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების დარღვევას გამოგონების გამოყენება, დებულებაში აღნიშნულ ზოგიერთ შემთხვევაში, როცა გამოგონება გამოიყენება დროებით ან შემთხვევით სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფ სატრანსპორტო საშუალებებზე.

და პოლოს, განსაკუთრებული უფლების მოქმედება შეზღუდულია განსაზღვრული პირების შიშარტ. ამრიგად ის არ მოქმედებს წინასწარ მოსარგებლის წინააღმდეგ, ე. ი. იმის მიშარტ, ვინც პატენტით დაცული გამოგონების პრიორიტეტის მომენტი-

სათვის გააკეთა ყველა აუცილებელი სამზადისი მსგავსი გამოგონების გამოსაყენებლად.

სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება, საავტორო მოწმობის საფუძველზე, არ მოქმედებს საბჭოთა სახელმწიფო, კოოპერაციულ და დაზოგადობრივ ორგანიზაციების, დაწესებულებების და საწარმოების წინააღმდეგ, რამდენადაც დებულებაში სპეციალურად დათქმულია, რომ მათ ეკუთვნით გამოგონების გამოყენების უფლება მასზე სპეციალური ნებართვის გარეშე.

განსაკუთრებული უფლება დადგენილია კანონით მხოლოდ გამოგონებების მიმართ. რაციონალიზატორული წინადადებები არ წარმოადგენენ განსაკუთრებული უფლებების ობიექტს.

#### § 11. ვინ უიძლევა იყოს გამოგონების ავტორი?

გამოგონების ავტორები, ისევე როგორც აღმოჩენისა და რაციონალიზატორული წინადადებებისა, შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, მათ შორის არასრულწლოვანებიც, აგრეთვე უცხოელები. თუ გამოგონება დამუშავდა ავტორების მიერ საწარმოში ან ორგანიზაციაში სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით, მაშინ მოწმობა გაიცემა საწარმოს (ორგანიზაციის) სახელზე კონკრეტული ავტორების აღნიშვნით.

#### § 12. რას ნიშნავს თანაავტორობა გამოგონებაში?

უფლება გამოგონებაზე, რომელიც შეიქმნა ორი ან მეტი მოქალაქის ერთობლივი შემოქმედებითი შრომით, ეკუთვნის ყველა თანაავტორს ზიარად.

ცალკეულ შემთხვევაში კანონმდებლობა უშვებს გამოგონებაზე თანაავტორობის წარმოშობას ერთობლივი შრომის არარსებობისას, მაგალითად, დებულების 51-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის პროორიტეტის თარიღები ემთხვევა, განაცხადში მოხსენებული ყველა ავტორი განიხილება როგორც თანაავტორი. ასეთი სიტუაცია შესაძლებელია, თუ ერთნაირი განაცხადები შევიდა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ერთსა და იმავე დღეს, ან ერთი მათგანი შევიდა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში, ხოლო სხვა, იმავე დღეს — დებულების

79-ე პუნქტში აღნიშნულ სამინისტროში, უწყებაში, ჩაბარებულა ფოსტაში, რეგისტრირებულია ორგანიზაციაში ან გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ ორგანოში. აიხსნება ეს იმით, რომ განაცხადის მიღებისას და რეგისტრაციისას აღნიშნული ორგანიზაციები თარიღის ფიქსირებას ახდენენ შათი შეტანის დღის მიხედვით.

არ შეიძლება მიჩნეული იქნენ გამოგონების თანაავტორებად პირები, რომლებიც გამოგონების შექმნის სამუშაოში არ იღებდნენ შემოქმედებით მონაწილეობას და ავტორებს უწევდნენ მხოლოდ ტექნიკურ დახმარებას: ნახაზების დამზადება, გამოთვლები, დოკუმენტების გაფორმება, საცდელი შემოწმების ჩატარება და ა. შ. ასევე არ ითვლებიან გამოგონების თანაავტორებად მუშაკები, რომლებმაც გასწიეს დახმარება საცდელი ნიმუშის შექმნაში და გამოცდაში, ნვარაუდები გამოგონების გამოყენებაში.

განაცხადში გამოგონებაზე საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ მისი ნამდვილი ავტორები, რომლებმაც უშუალო შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღეს მის შექმნაში.

იძულება თანაავტორობისათვის ითვლება საგამომგონებლო სამართლის დარღვევად და ამაში დამნაშავე პირები უნდა მიეცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ისეთი პირების შეგნებულად თანაავტორებად ჩართვა, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა შემოქმედებით მუშაობაში (თუნდაც იძულების გარეშე), ასევე კანონსაწინააღმდეგოა.

სხვისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების ავტორობის მითვისება ან მათი ავტორის თანაავტორობაზე იძულება, აგრეთვე გამომგონებლის უნებართვოდ გამოგონების გამოქვეყნება მასზე განაცხადის გაკეთებამდე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი).

§ 13. შეიძლება თუ არა მიჩნეული იქნოს თანაავტორად მუშაკი, რომელმაც მიაწოდა იდეა, მაგრამ არ იღებდა მონაწილეობას ამ იდეის რეალიზაციაში?

თანაავტორებად ითვლებიან ისინი, ვინც ერთობლივად შემოქმედებითად წყვეტდნენ მოცემულ ამოცანას. თანაავტორებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება ჩართონ ავტორების კოლექ-

ტივში მუშაი, რომელმაც მიაწოდა იდეა, ეს გასაგებიცაა, რადგანაც ხშირად თვით იდეა კარნახობს ამოცანის ტექნიკურად გადაწყვეტის ხერხს.

#### § 14. რა სიახლეებზე გავიყვანავ საავტორო მოწოდებები და პატენტები?

დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად საავტორო მოწოდებები და პატენტები გაცივმა შემდეგ ობიექტებზე: ახალ მოწყობილობებზე (მანქანებზე, ხელსაწყოებზე, ნაკეთობებზე და ა. შ.), ხერხებზე (სხვადასხვა ნივთიერებათა მიღების ხერხები, მასალების დამუშავების ხერხები, მკურნალობის ხერხები), ნივთიერებებზე (შენადნობები, ნარევეები, ხსნარები და ა. შ.).

სავტორო მოწოდებები და პატენტები შეიძლება გაცივს აგრეთვე ადრე ცნობილი მოწყობილობების, ხერხების, ნივთიერებათა ახალი დანიშნულებით, ტექნიკის სხვა დარგებში გამოყენებაზე, თუ ეს გამოყენება იძლევა ახალ დადებით ეფექტს.

მოწყობილობები — კონსტრუქციული ხასიათის გამოგონებებია. ისინი სხვადასხვაგვარია. ასეთი გამოგონების არსი შეიძლება იყოს ინსტრუმენტის, მოწყობილობის, კვანძის დეტალების ან სხვა ელემენტების განსაკუთრებული ფორმა. კონსტრუქციული გამოგონება შეიძლება განსხვავდებოდეს ცნობილი კონსტრუქციული ელემენტების განსაკუთრებული შეხამებით, ან ელემენტებს შორის კავშირის (ურთიერთკავშირი) განსაკუთრებული ხასიათით, რომელიც ერთობლიობაში წარმოქმნის გამოგონებულ მოწყობილობას.

გამოგონებები, რომლებიც მიეკუთვნება ხერხებს, წარმოადგენს ტექნოლოგიური ხასიათის გამოგონებებს. ის შეიძლება იყოს ახალი ერთობლიობა ან ტექნოლოგიური ოპერაციების (მუშაობის ხერხების) ახალი თანამიმდევრობა, მათ რიცხვში ცნობილ ტექნოლოგიურ პროცესებში ახალი ოპერაციების შეტანაც ან კიდევ მუშაობის ახალი ხერხის ხარჯზე ტექნოლოგიური პროცესიდან ოპერაციის გამორიცხვა.

ხერხის გამოგონება შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ სავარაუდოა ცნობილი ოპერაციის ახალი რეჟიმი ან სხვაგვარი პირობები, რომელსაც მივყავართ ახალ დადებით ეფექტთან.

ცნობილ ნივთიერებათა ან შრომის იარაღების გამოყენება ტექნოლოგიაში (მუშაობაში), რაც იძლევა ახალ დადებით ეფექტს,

შეიძლება შეადგინოს აგრეთვე გამოგონებული ხერხის განსხვავებულიმა თავისებურებამ.

ნივთიერებას მიეკუთვნება გამოგონებები, რომლებიც ჩვეულებრივ განსხვავდებიან ცნობილი შემადგენლობებისაგან მათში შემავალი ინგრედიენტებით (შემადგენელი ნაწილებით) ან კიდევ შემადგენელი ნაწილების ახალი თანაფარდობით.

#### § 15. მუშაობის რა სტადიაზეა მიზანშეწონილი განაცხადის შეტანა გამოგონებაზე?

როგორც კი დამთავრდება დამუშავების ცალკეული გადაწყვეტა, რომელიც შესრულდა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე, აუცილებელია დაუყოვნებლივ გავაფორმოთ და შევიტანოთ განაცხადი სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. არ უნდა ვუცადოთ პროექტის ან თემის მთლიანად დამთავრებას. საქმე ისაა, რომ დაყოვნებას შეიძლება მოჰყვეს პრიორიტეტის დაკარგვა გამოგონებაზე, რომელიც პირველად სსრ კავშირში გაკეთდა, რადგანაც ანალოგიური გადაწყვეტა, რომელიც გაკეთდა მოგვიანებით, შეიძლება საზღვარგარეთ დაპატენტდეს ადრე; ეს კი ნიშნავს მატერიალურ ზარალს, რამდენადაც სახელმწიფო ასეთ შემთხვევებში კარგავს შესაძლებლობას გაყიდოს საპატენტო ლიცენზია მოცემულ გამოგონებაზე.

#### § 16. ვინ ავლენს და ვის მიერ შეიტანება განაცხადი გამოგონებაზე?

გამოგონებების ძირითადი ნაწილი ამჟამად იქმნება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში და საწარმოებში. უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ სახით იქმნება ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებული გამოგონებების 80%-ზე მეტი.

სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით წყდება სახალხო მეურნეობისათვის უფრო აქტუალური ამოცანები. მათ გადასაწყვეტად შრომობენ კვალიფიციური სამეცნიერო და ინჟინერ-ტექნიკური კადრები, რაც შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ორიგინალური და დიდი მნიშვნელობის მქონე გამოგონებები.

1962 წლიდან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილ გამოგონებათა გამოვლენა და მათი უფლებრივი დაცვა წარმოადგენს ორგანიზაციების ხალმძღვანელების მოვალეობას.

დებულების 41-ე პუნქტის თანახმად, ორგანიზაცია მოვალეა უზრუნველყოს სამსახურებრივ დავალებასთან დაკავშირებით შექმნილი გამოგონების დროული გამოვლენა, გააფორმოს და დადგინილი წესით შეიტანოს განაცხადი საავტორო მოწმობის მისაღებად. ინიერ-ტექნიკურმა პერსონალმა უნდა აცნობოს ადმინისტრაციას სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით მათ მიერ, ან დაქვემდებარებული მუშაკების მიერ შემუშავებულ ტექნიკურ გადაწყვეტებზე, იმ შემთხვევებში, როცა ასეთი გადაწყვეტები, მათი აზრით, შეიძლება იყოს მიჩნეული გამოგონებებად.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილ გამოგონებაზე განაცხადის შეტანისა, უშუალოდ ავტორის მიერ — თუ განაცხადი არ არის შეტანილი ორგანიზაციის მიერ ტექნიკური გადაწყვეტის გამოვლენიდან ერთი თვის მანძილზე, ავტორი უფლებამოსილია დამოუკიდებლად შეიტანოს განაცხადი უშუალოდ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ან შესაბამის სამინისტროში, უწყებაში. იგი აღნიშნავს, რომ გამოგონება შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით და ორგანიზაციამ არ გააფორმა წინადადება ერთი თვის ვადაში.

ავტორს უფლება აქვს შეიტანოს განაცხადი ორგანიზაციის საშუალებით, სადაც ის მუშაობს შექმნილ გამოგონებაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან. ამ შემთხვევაში ადმინისტრაცია მოვალეა დაეხმაროს ავტორს წინადადების გაფორმებაში, ჩაატაროს საჭირო გამოკვლევები, მოამზადოს აუცილებელი დასკვნები და ავტორის მომართვიდან ერთი თვის ვადაში გააგზავნოს განაცხადი გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. გამოგონების ავტორს შეუძლია მიმართოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია დაეხმაროს ავტორს განაცხადის გაფორმებაში და ერთი თვის ვადაში მომართვის დღიდან გააგზავნოს სათანადოდ გაფორმებული განაცხადი სახელმწიფო კომიტეტში.

სამსახურებრივ დავალებასთან დაკავშირებულ გამოგონე-



ბათა გამოვლენით და საგანაცხადო მასალების გაფორმებით დაკავებულია საპატენტო ქვეგანყოფილებები, ხოლო იქ, სადაც იგი არაა — გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროები, განყოფილებები. გამოგონებათა წარმატებით გამოვლენას და მათზე განაცხადების გაფორმებას ხელს უწყობს ამ სამუშაოში ავტორების ჩაბმა — სამუშაოს შესრულება ერთობლივად.

განაცხადი უნდა იყოს შედგენილი დებულებისა და გამოგონებაზე განაცხადის შედგენის მითითებების მოთხოვნებთან ზუსტი შესატყვისობით. აღნიშნული აქტები შეიცავენ საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის დოკუმენტებისადმი კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც შეადგენენ მათ შინაარსს. ამ მოთხოვნების ზუსტი დაცვა იძლევა განსახილველად განაცხადის მიღებისა და საავტორო უფლებების სათანადო უფლებრივი დაცვის გარანტიას.

განაცხადი, როგორც წესი, საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე უნდა ეხებოდეს ერთ გამოგონებას ან გამოგონებათა ჯგუფს, რომლებიც დაკავშირებულია ერთიმეორესთან იმდენად, რომ ისინი ქმნიან ერთიან საერთო საგამომგონებლო ჩანაფიქრს.

#### § 17. რა დოკუმენტებს უმიცავს გამოგონებაზე განაცხადის მასალები?

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები სამ ეგზემპლარად: ნავარაუდები გამოგონების აღწერილობა გამოგონების ფორმულით; ნახაზები, სქემები, გამოცდის აქტი და გამოგონების სხვა საილუსტრაციო მასალები, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების არსისა და მნიშვნელობის უფრო სრული გახსნისათვის; ცნობა თითოეული თანაავტორის შემოქმედებით მონაწილეობაზე გამოგონების შექმნაში; დასკვნა ტექნიკური გადაწყვეტის სიახლეზე, არსებით განსხვავებასა და დადებით ეფექტზე; ცნობა განცხადებული გამოგონების ობიექტის საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევის შესახებ; ანოტაცია; გამოცდის ან დანერგვის აქტი; პრიორიტეტის ცნობა განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ.

გამოგონებების და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე დადგენი-

ლია განცხადების წარდგენის სხვადასხვა ფორმა იმისდა მიხედვით, თუ ვინ წარმოადგენს განმცხადებელს.

#### § 18. როგორ ღვადა გამოგონების აღწერილობა?

იმისათვის, რომ მივიღოთ გამოგონებაზე დამკველი დოკუმენტი — საავტორო მოწმობა ან პატენტი — აუცილებელია გამოგონებაზე განაცხადში დატული იყოს ისეთი ფორმალური მოთხოვნები, რომლებიც წაყენებული აქვს ამა თუ იმ ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობას.

განაცხადში მთავარი მნიშვნელობა აქვს გამოგონების აღწერილობას, რომელიც შეიცავს: გამოგონების დასახელებას, შესავალ ნაწილს, ნახაზებზე ფიგურების ნუსხას, გამოგონების დაწვრილებით აღწერასა და გამოგონების ფორმულას.

გამოგონების დასახელება უნდა იყოს მოკლე, გასაგები, ზუსტი და პასუხობდეს გამოგონების არსს.

გამოგონების აღწერილობა იწყება შესავალი ნაწილით. იგი უნდა შეიცავდეს საერთო ცნობებს და ეხებოდეს მრეწველობის ან ტექნიკის იმ დარგს, რომელსაც მიეკუთვნება გამოგონება, აგრეთვე ამოცანის საერთო ტექნიკურ და კერძო დახასიათებას.

შესავალ ნაწილში აუცილებელია მივუთითოთ მსგავს ან ანალოგიურ ცნობილ ტექნიკურ გადაწყვეტაზე და მოვიყვანოთ ინფორმაციის წყაროები, სადაც ისინი არის აღწერილი.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროების შესწავლის შედეგად მოკლედ დახასიათდეს საერთო ტექნიკის დონე იმ დარგში, რომელსაც გამოგონება მიეკუთვნება. დახასიათება ილუსტრირებული უნდა იყოს მაგალითებით და აღინიშნოს ნაკლოვანებები, რომლებიც ახასიათებს ცნობილი ხერხით ამ ამოცანის გადაწყვეტას. ამასთან, შემდგომი შედარებისათვის პროტოტიპის სახით უნდა შეირჩეს კონკრეტული ობიექტი (ინფორმაციის წყაროს აუცილებელი მითითებებით) და აღინიშნოს ის ნაკლოვანებები, რომელთა აღმოსაფხვრელადაც არის მიმართული აღწერილი გამოგონება. დასაშვებია შერჩეული პროტოტიპის ნახაზით, სქემით ილუსტრირება. შემდგომ საჭიროა ჩამოითვალოს ის მიზნები, რომლებიც მიიღწევა ამ გამოგონებით. აქვე უნდა აღინიშნოს ის უპირატესობები (ტექნიკური, ეკონომიკური და სხვ.), რომლებსაც შეიცავს გამოგონება ცნობილ

ტექნიკურ გადაწყვეტასთან და შერჩეულ ობიექტთან (პროტოტიპთან) შედარებით.

შესავალ ნაწილს უნდა მოჰყვეს გამოგონების საერთო პრინციპული დახასიათება. აუცილებელია ლოგიკურ კავშირში და მიმდევრობით ჩამოითვალოს ყველა ის ნიშან-თვისება, რომლებსაც მიეყვართ დასახული მიზნის მისაღწევად; ვუჩვენოთ თუ რომელია დამახასიათებელი პროტოტიპისათვის და რომელი არა და ამით განვასხვავოთ აღწერილი გამოგონება პროტოტიპისაგან. სიახლის შემცველი ეს ნიშნები წარმოადგენენ ტექნიკური გადაწყვეტის იმ ნაწილს, რომელიც საშუალებას იძლევა მივიჩნიოთ იგი გამოგონებად.

თუ გამოგონების სრული და სწორი გაგებისათვის აუცილებელია ნახაზები, აღწერილობის შესავალი ნაწილის შესაბამისად უნდა შევადგინოთ ფიგურები და ნახაზები თავისი განმარტებებით.

ნახაზების ჩამოთვლის შემდეგ საჭიროა დაწვრილებითი აღწერა. თუ შესავალ ნაწილში გამოგონების არსი მოცემულია საერთო სახით, დაწვრილებით აღწერაში ხდება მისი განმასხვავებელი თავისებურებების, კერძო ვარიანტის შეძლებისდაგვარად განმარტება, მოწყობილობის მუშაობის აღწერა. დაწვრილებითი აღწერა დგება ნახაზებთან სრული შეთავსებით. მითითებებით ფიგურებზე და პოზიციებზე, რომლებიც გვიჩვენებს კონსტრუქციის ელემენტებს, მის დეტალებს, კვანძებს და ა. შ.

თუ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის მომენტში შესრულებულია რაიმე პრაქტიკული სამუშაოები (აგებულია მოდელი, ჩატარებულია ლაბორატორიული ცდები, მომზადებულია საცდელი ნიმუში), ამის შესახებ უნდა ითქვას დაწვრილებითი აღწერის ბოლოში და განაცხადის მასალებს დაუერთოთ გამოცდის პროგრამა და აქტი (ოქმი, დასკვნა) მათ შედეგებზე. თუ ასეთი სამუშაოები განაცხადის შეტანამდე არ ჩატარებულა, მაშინ საწარმომ (ორგანიზაციამ) უნდა განიხილოს არსებული მასალები და, „ეზ-3-74“ მითითების თანახმად, მისცეს დასკვნა გამოგონების სარგებლიანობაზე. ეს დასკვნა დაერთება განაცხადის მასალებს როგორც მათი შემადგენელი ნაწილი. იგი უნდა შეიცავდეს წინადადების სიახლის შეფასებას (ცნობებს საპატენტო გამოკვლევებზე), ტექნიკურ ანალიზს; უპირატესობის თვალსაზრისით უნდა ეხებოდეს მის პრაქტიკულ რეალიზაციას და სამრეწველო დანერგვას, შეძლებისდაგვარად უნდა აღინიშნოს მოსალოდნელი ეკონომიკური ეფე-

ქტი, თუ განსახილველი მასალების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ასეთი პროგნოზი; სხვა ცნობები, რომლებსაც საწარმო (ორგანიზაცია) ჩათვლის საჭიროდ, უნდა შეტანილ იქნეს დასკვნაში.

დასკვნის მომზადებისას საწარმომ (ორგანიზაციამ) უნდა შეაფასოს წინადადება აგრეთვე საზღვარგარეთ მისი დაპატენტების თვალსაზრისით. ამასთან საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საზღვარგარეთ დაპატენტების ძირითადი მიზანი კომერციულია და ამიტომ დაპატენტებისათვის უნდა წარდგეს ისეთი გამოგონებები, რომელთა გასაღება გარანტირებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ზარალდება, ვინაიდან დაპატენტებულ გამოგონებაზე წესდება ბაჟი.

გამოგონების აღწერილობის უკანასკნელი ნაწილია გამოგონების ფორმულა.

გამოგონების ფორმულას განაცხადში ცენტრალური ადგილი უკავია და ემსახურება იმ შემოქმედებითი წვლილის დახასიათებას, რომელიც შეიტანა გამოგონებამ ტექნიკის მოცემულ დარგში.

გამოგონების აღწერილობის მოყვანილი მიმდევრობა და სტრუქტურა ლოგიკურად გამომდინარეობს იქიდან, რომ ავტორმა დაბეჭდვით უჩვენოს თავისი ტექნიკური გადაწყვეტის სიახლე და უპირატესობა. ამიტომ ყველა ქვეყანაში, სადაც არის საპატენტო დაცვა, გამოგონების აღწერილობა უმეტესად ამ სქემით დგება.

გამოგონების აღწერილობის ასეთი სტრუქტურა მოსახერხებელია, რადგან რამდენიმე ქვეყანაში გამოგონების დაპატენტების აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ყველა ასეთი განაცხადისათვის არსებითი გადაკეთების გარეშე გამოვიყენოთ ერთი და იგივე ტექსტი.

#### § 19. როგორ ფორმდება ნავარაუდები გამოგონების საილუსტრაციო მასალები?

გამოგონების საილუსტრაციო მასალები შეიძლება იყოს: ნახაზები, სქემები, ნახატები, ფოტოები, გრაფიკები, გამოცდის აქტები. თითოეული ეს მასალა უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს.

უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი გრაფიკული მასალა (ნახაზები, სქემები, გრაფიკები, ნახატები) ზუსტად უნდა იყოს შეთანხმებული აღწერილობის ტექსტთან და თვალნათლივ იძლეოდეს წარმოდგენას გამოგონების ობიექტის შესახებ.

თითოეული გრაფიკული გამოსახულება ინომრება როგორც ფიგურა (ფიგ. 1, ფიგ. 2 და ა. შ.), ამ გამოსახულების სახისაგან დამოუკიდებლად (ნახაზი, სქემა, გრაფიკი, ნახატი და სხვ.) ერთიანი რიგით, აღწერილობის ტექსტში მოყვანილი მიმღვევრობის შესაბამისად.

ერთ ფურცელზე შეიძლება განლაგებული იყოს რამდენიმე ფიგურა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი ერთიმეორისაგან.

თუ ფიგურები, განლაგებული რამდენიმე ფურცელზე, ქმნიან ერთიან ფიგურას, მაშინ ისინი განლაგდება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი შეერთება და მთლიანის გამოსახვა ფიგურის რომელიმე ნაწილის გამოტოვების გარეშე, რომლებიც გამოსახულია სხვადასხვა ფურცელზე.

ნებისმიერი ფიგურის თითოეული ელემენტი სრულდება ამ ფიგურის სხვა ელემენტების პროპორციულად, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა პროპორციების განსხვავება საჭიროა გამოგონების უფრო მკაფიო ასახვისათვის.

და ბოლოს, მასალების მასშტაბი და მათი გრაფიკული შესრულების მკაფიოობა უნდა იყოს ისეთი, რომ ზომების 2/3-მდე ფოტორეპროდუქციების ხაზობრივი შემცირების შემთხვევაში შესაძლო იყოს განვასხვავოთ ყველა დეტალი ყოველგვარი სიძნელის გარეშე

ნ ა ხ ა ზ ე ბ ი სრულდება ხაზობრივ მასშტაბში ტექნიკური ნახაზების დამზადების წესების შესაბამისად.

ობიექტი ნახაზებზე უნდა იყოს გამოსახული სწორკუთხოვან პროექციებში (სხვადასხვა სახით, კრილებში და კვეთებში); აუცილებელ შემთხვევებში, თვალსაჩინოებისათვის, ნახაზი შეიძლება შეიყოს გამოსახულებით აქსონომეტრიულ პროექციაში

ნახაზებზე არ უნდა იყოს წარწერები და განმარტებები, გარდა გამოსახულების დასახელებისა და ხელმოწერისა.

მონაცემები, რომლებიც განმარტავენ ნახაზს, გადმოცემული უნდა იყოს აღწერილობის ტექსტში.

ნახაზის ერთ ფიგურაზე უნდა იყოს გამოსახული მოწყობილობის (კონსტრუქციის) ან მისი იმ დეტალის საერთო ხედი, რომელიც წარმოადგენს გამოგონების ობიექტს. მოწყობილობის ცალკეული პროექტები, ნაწილები და კვანძები შეიძლება გამოსახოს იმავე ან სხვა ნახაზებზე. ნახაზზე ფიგურები განლაგებული უნდა იყოს ისე, რომ ნახაზის ფურცლები მაქსიმალურად გაიყოს და რომ ნახაზის წაკითხვა შესაძლებელი იყოს ვერტიკალურ მდგომარეობაში, ე. ი.

ფურცლის მოკლე მხარეები უნდა იყოს ნახაზის ქვედა და ზედა ნაწილები.

ნახაზზე გამოსახული კვანძები და დეტალები აღინიშნება იმავე არაბული ციფრებით როგორც აღწერილობაშია, აღწერილობის ტექსტში მათი მოხსენიების რიგით. ერთი და იგივე დეტალი ან კვანძი რამდენიმე ფიგურაზე აღინიშნება ერთი და იგივე ციფრით.

კვანძებისა და დეტალების ციფრობრივი აღნიშვნები ან კრილების და კვეთების ასოებრივი აღნიშვნები, როგორც წესი, გამოტანილი უნდა იყოს აღნიშნული კვანძის ან დეტალის გამოსახულებების ზღვრებიდან და უერთდებოდეს შესაბამის ნაწილებს პირდაპირი, უფრო წვრილი ხაზით, ვიდრე ფიგურის ხაზები.

ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებულია პოზიციების განლაგება გამოსახული მოწყობილობის კონტურის შიგნით (მაგალითად, კონტურის შიგნით თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, რამდენიმე დეტალისაგან დატუშული ზედაპირის და მისთანების გამოსატანი ხაზით გადაკვეთის აუცილებლობანი).

ნახაზების რაოდენობა და დეტალირება საკმარისი უნდა იყოს განაცხადის მიხედვით წინადადებების არსის გარკვევისათვის. მუშა ნახაზების წარმოდგენა არ დაიშვება.

ს ქ ე მ ე ბ ს ასრულებენ მასშტაბების დაცვის გარეშე, ნაკეთობებს (დანადგარების) შემადგენელი ნაწილების მოქმედი განლაგების ჩვენება დაახლოებითია. სქემებს ასრულებენ კომპაქტურად, მაგრამ მათი წაკითხვის გარკვეულობისა და მოხერხებულობისათვის ზიანის გარეშე. სქემებზე რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს ტეხილებისა და კაფშირის ხაზების გადაკვეთების ოდენობა.

სქემების შესრულებისას საჭიროა გამოვიყენოთ პირობითი გრაფიკული აღნიშვნები, რომლებიც დადგენილია საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთიანი სისტემით. სქემებზე ასეთ პირობით აღნიშვნებს არ განმარტავენ, ხოლო არასტანდარტულ პირობით აღნიშვნებს განმარტავენ.

ერთი სახის სქემაზე დასაშვებია სხვა სახის სქემის ცალკეული ელემენტების გამოსახვა, რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენენ ამ სახით სქემის მუშაობაზე (მაგალითად, ელექტრულ სქემაზე გამოსახავენ კინემატიკურ ან პიდრაველიკურ ელემენტებს).

ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ატარებს სქემატურ ხასიათს და შესრულების მიხედვით უნდა იყოს მარტივი. აღწერილობას დაერთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ნახაზებით ან სქემებით ილუსტრირება

შეუძლებელია (მაგალითად, დაზგა ცხოველთა ფიქსაციისათვის, რომელზეც უნდა ვუჩვენოთ ცხოველის მდებარეობა).

ფოტოები წარმოადგენს სხვა სახის გრაფიკული გამოსახულების მხოლოდ დამატებას. გამონაკლის შემთხვევებში დაიშვება ფოტოების, როგორც გრაფიკულ გამოსახულებათა ძირითადი სახის, წარდგენა (მაგალითად, თუ აუცილებელია ქირურგიული ოპერაციის ეტაპების ჩვენება). ფოტოების ფორმატი არ უნდა აღემატებოდეს ფურცლის ან გრაფიკული გამოსახულების დადგენილ ზომებს.

გრაფიკებში, რომლებიც მოყვანილია აღწერილობის ტექსტში, მეტი გარკვევისათვის საჭიროა ორდინატთა და აბსცისათა ღერძების გასწვრივ მოვათავსოთ წარწერები, რომლებიც განმარტავენ ამ ღერძების მნიშვნელობას. წარწერა უნდა მოთავსდეს მათ შუა ნაწილში ორდინატთა ღერძის ან აბსცისათა ღერძის პარალელურად. წარწერები თვით გრაფიკზე, რომლებიც მიეკუთვნება მრუდეებს და წერტილებს, აუცილებელია დავტოვოთ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ცოტაა და მოკლეა. სხვა შემთხვევებში წარწერები საჭიროა შეიცვალოს პოზიციებით, რომლებიც იზიფრება აღწერილობის ტექსტში.

გამოცდის აქტი დაერთვის განაცხადს აუცილებლობის შემთხვევაში (მაგალითად, გამოგონების ეფექტურობის დასადასტურებლად). გამოცდის აქტი შეიცავს მონაცემებს გამოცდის ადგილსა და ვადებზე, ჩამტარებელი ორგანიზაციის დასახელებას, ნიმუშის დახასიათებას, რომელიც ადასტურებს, რომ მას აქვს ისეთივე ნიშანთვისებები, რაც განცხადებულ ობიექტს, გამოცდის ჩატარების რიცხობრივ მაჩვენებლებს (მარგი ქმედების კოეფიციენტს, ნაყოფიერებას, მოპირკეთების სიწმინდეს და მისთანებს), რომლებიც ადასტურებენ მონაცემებს ტექნიკურ-ეკონომიკურ ან სხვა ეფექტურობაზე, რომელიც მოყვანილია გამოგონების აღწერილობის ნაწილში, აგრეთვე მითითებებს, რამდენ ობიექტზე (ან ფართობზე) ჩატარდა გამოცდა. ნივთიერების გამოცდის აქტში დადასტურებული უნდა იყოს მისი მიღების შესაძლებლობა და მოცემული უნდა იყოს ცნობები, რომლებიც გვიჩვენებს ნავარაუდევი ნივთიერების კონკრეტულ სახეებს, რომლებიც თავისი თვისებებით უზრუნველყოფენ აღწერილობაში და გამოგონების ფორმულაში მითითებული მიზნის მიღწევას.

გამოცდის აქტი დამოწმდება და მასზე კეთდება ხელმოწერა მოცემული ორგანიზაციისათვის დადგენილი წესით.

§ 20. როგორ ფორმდება დასკვნა გამომგონების სიახლეზე,  
არამბით განსხვავებებზე და დადებით ეფექტზე?

დასახელებული დასკვნები დგება საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ განაცხადების მიხედვით საავტორო მოწმობების გაცემაზე. დასკვნას ადგენენ „ეზ-3-74“ მითითებების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია დებულების 41-ე, 42-ე, 46-ე პუნქტებით. დასკვნები დაერთვის განაცხადებს, შეტანის საწარმოებისა და ავტორების მიერ საწარმოების საშუალებით მათი თემატიკის მიხედვით.

დასკვნაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი პუნქტები:

1. განცხადებული გამოგონების სიახლის დასაბუთება (ჩატარებულ საპატენტო გამოკვლევებზე ცნობების დართვით);

2. განცხადებული გამოგონების სახალხო მეურნეობაში გამოყენების შესაძლო დარგები უშუალოდ დარგის და მისი მონათესავე ან მეზობელი სახალხო მეურნეობის დარგების ჩვენებით, რომელშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს განცხადებული ობიექტი, აგრეთვე აღნიშნით, რომელი ცნობილი უფრო სრულყოფილი ობიექტები ცვლიან განცხადებულ ობიექტს; სამუშაოთა ჩატარების წესი და საორიენტაციო ვადები, აუცილებელი განცხადებული ობიექტის სამრეწველო გამოყენებამდე დაყვანისათვის (აღნიშნით, როგორი სახის გეგმაშია — სახელმწიფო, საუწყებო და სხვ. — ჩართული ეს სამუშაოები);

3. განცხადებული გამოგონების გამოყენებისაგან მოსალოდნელი ტექნიკურ-ეკონომიკური ან სხვაგვარი ეფექტი განცხადებული ობიექტის ცნობილთან, მათ შორის პროტოტიპის სახით მოყვანილ უფრო პროგრესულ ტექნიკურ გადაწყვეტასთან შედარებით ტექნიკურ ან სხვა უპირატესობებზე მონაცემები. ობიექტის სახალხო მეურნეობაში გამოყენების შესაძლო მასშტაბი: შეჭამებული ეკონომიკური ეფექტი (სასურველია ფულად გამოსახვაში), რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს გამოგონების მაქსიმალური მოცულობით გამოყენების შემთხვევაში;

4. მონაცემები განაცხადის შეტანის დროისათვის სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად განცხადებული გამოგონების ტექნიკურ მზადყოფნაზე;

5. აზრი განცხადებული გამოგონების ღია პუბლიკაციის შესაძლებლობაზე;

6. დასკვნები.



დასკვნის პირველ პუნქტში ჩატარებული საპატენტო გამოკვლევის მონაცემების ანალიზის შედეგების საფუძველზე მოყავთ განცხადებული გამოგონების სიახლის დასაბუთება, რომელიც გადმოცემულია „ცნობაში განცხადებული გამოგონების ობიექტის საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევის შესახებ“, აგრეთვე განცხადებული გამოგონების სიახლის შესახებ სხვა მონაცემების გათვალისწინებით, რომლებიც აქვთ დასკვნების შემდგენლებს.

დასკვნის მეორე პუნქტში უნდა იყოს ნაჩვენები სახალხო მეურნეობის დარგები, რომლებშიც შესაძლოა და მიზანშეწონილი განცხადებული გამოგონების გამოყენება, მათ შორის უშუალოდ დარგი და მისი მონათესავე ან მასთან მეზობელი სახალხო მეურნეობის დარგები შესაბამისი დასაბუთების მოყვანით. ამასთან ითვალისწინებენ არა მარტო ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობას, არამედ მომავალში განცხადებული გამოგონების გამოყენების შესაძლებლობასაც, აგრეთვე საზღვარგარეთ გამოგონების გამოყენების შესაძლებლობას. ამავე პუნქტში უჩვენებენ ცნობილ ობიექტებს (ობიექტს), რომელიც იცვლება განცხადებულით, სამუშაოთა ჩატარების წესს და საორიენტაციო ვადებს, რომელიც აუცილებელია განცხადებული ობიექტის სამრეწველო გამოყენებამდე დაყვანისათვის, ამასთან უჩვენებენ გეგმის სახეს, რომელშიც ჩართულია ეს სამუშაოები: სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის გეგმას ან ორგანიზაციის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმას.

დასკვნის მესამე პუნქტში უჩვენებენ მოსალოდნელ ტექნიკურ ეკონომიკურ ან სხვაგვარ ეფექტს და იძლევიან მის შეფასებას. ასეთი შეფასება უნდა განისაზღვროს, პირველ რიგში, მოცემული გამოგონების წვლილით პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც ნაჩვენებია შესაბამის გეგმებში.

განცხადებული გამოგონება შეიძლება ეკუთვნოდეს სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან გამოგონებებს, თუ იგი ხელს უწყობს იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც მითითებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის დირექტივებში.

განცხადებული ობიექტის ტექნიკურ ან სხვაგვარ უპირატესობებს ავლენენ ცნობილთან, მათ შორის პროტოტიპის სახით მოყვანილ იმავე ამოცანის უფრო პროგრესულ ტექნიკურ გადაწყვეტებთან

შედარებაში, კონკრეტული მონაცემების ჩვენებით. შედარება აუცილებელია მოწყობილობების, ხერხების, ნივთიერებების ძირითადი ტექნიკური და ეკონომიკური მონაცემების მიხედვით, რომლებიც განვითარების მოცემულ ეტაპზე წარმოადგენენ უფრო ეფექტურს არა მარტო სსრ კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. შედარებისათვის კრიტერიუმებად უნდა გვემსახუროდეს მანქანების, ხელსაწყოების, ტექნოლოგიური პროცესების, მასალების და მისთ. ადრე მიღწეული მაქსიმალური მაჩვენებლები.

ტექნიკურ-ეკონომიკური ან სხვაგვარი ეფექტის შეფასებისას უნდა ისარგებლონ საერთოდ მიღებული მეთოდებით, რომელთაც იყენებენ წინასწარი დაპროექტების ან დანახარჯების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს.

თუ იყო ჩატარებული საცდელი შემოწმება ან გამოგონების განცხადებული ობიექტის გამოცდა, მაშინ დასკვნაში მოყავთ მონაცემები (აქტების, გამოცდის, შემოწმების ოქმების და მისთანების დართვით) ასეთი გამოცდის ან შემოწმების შედეგების შესახებ.

დასკვნის მეოთხე პუნქტში მოყავთ კონკრეტული მონაცემები საავტორო მოწმობის გაცემაზე განაცხადის შეტანის თარიღისათვის სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად განცხადებული გამოგონების ტექნიკური მზადყოფნის შესახებ. ისინი უნდა იყოს დადასტურებული დასკვნაში შესაბამის დოკუმენტზე მითითებით (ოქმი, გამოცდის ოქმი, შემოწმების ოქმი, ტექნიკური დავალება, ბრძანება, განკარგულება და სხვ.).

დასკვნის იმავე პუნქტში აღინიშნება ძირითად სამუშაოთა ჩამოთვლა, რომლებიც, დასკვნის შემდგენლების აზრით, აუცილებელია განცხადებული გამოგონების სამრეწველო გამოყენებამდე დაყვანისათვის.

დასკვნაში საჭიროა მოვიყვანოთ აგრეთვე ორგანიზაციის აზრი განცხადებული გამოგონების არსის ღია პუბლიკაციის შესაძლებლობის შესახებ იმისაგან დამოუკიდებლად, იქნება იგი მიჩნეული გამოგონებად თუ არა. ღია პუბლიკაციის შესაძლებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ცნობების საუწყებო ნუსხით, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას, და ცნობებით, რომლებიც ექვემდებარება გასაიდუმლოებას, აგრეთვე ცნობების ნუსხით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში

სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ.

დასკვნები განცხადებული გამოგონების ობიექტის სიახლისა და გამოყენების პერსპექტიულობის შესახებ გადმოიციემა გამოსაყენებლად მისი მზადყოფნის დონის, სახალხო მეურნეობაში გამოყენების შესაძლო დარგებისა და მოსალოდნელი ტექნიკურ-ეკონომიკური ან სხვაგვარი ეფექტის გათვალისწინებით.

დასკვნა განაცხადების მიხედვით, რომელიც შეტანილია ავტორების მიერ საწარმოს საშუალებით, მათი თემატიკის მიხედვით ძირითადად ანალოგიურია საწარმოთა მიერ განაცხადებზე დასკვნებისა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები არ წარმოადგენენ დასკვნებს საავტორო მოწმობის გაცემაზე განაცხადების მიხედვით, რომლებიც შეიტანება ავტორების მიერ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით.

§ 21. როგორ ღვადა ცნობა განცხადებული გამოგონების საპატენტო და სამცენიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევის შესახებ და სამცენიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევის შესახებ?

განცხადებული გამოგონების ობიექტის საპატენტო და სამცენიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევის შესახებ ცნობაში უნდა აისახოს განმცხადებლის მიერ შესწავლილი საპატენტო დოკუმენტაცია (საბჭოთა და საზღვარგარეთული საავტორო მოწმობები და პატენტები, გამოქვეყნებული განაცხადები და მისთანები), მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურა (წიგნები, ჟურნალები, გამოქვეყნებული ანგარიშები, დისერტაციები, პროსპექტები, კატალოგები და ა. შ.), რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს განცხადებულ ობიექტთან; გამოკვლევის პროცესში გამოვლენილი განცხადებული ობიექტის ანალოგები — მათ შორის უფრო უახლოესი პროტოტიპის ჩვენებით.

ამასთან სრულად უნდა იქნეს გამოყენებული წარმოებაში მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნისა და ათვისების დროს ჩატარებული საპატენტო გამოკვლევების შედეგები, საპატენტო გამოკვლევების ჩატარებაზე მეთოდური მითითებების („ზპ-2-78“)

შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია გამოგონებების და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1978 წლის 2 მარტს.

ცნობები ჩატარებულ საპატენტო გამოკვლევებზე ფორმდება ცნობის სახით განცხადებული გამოგონების საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევის შესახებ (იხ. დანართი).

ცნობაში, როგორც მინიმუმი, აისახება სსრ კავშირის, აშშ-ის, გფრ-ის (1945 წ-მდე გერმანიის), დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის საპატენტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოკვლევის შედეგები.

ამასთან საჭიროა ვემყარებოდეთ იმას, რომ ტექნიკური გადაწყვეტის სიახლის უზრუნველყოფა და გამოგონების სათანადო უფლებრივი დაცვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებული ობიექტის მიხედვით საპატენტო გამოკვლევები მოიცავენ ყველა ქვეყანას, სადაც შეიძლება იყოს საპატენტო დოკუმენტები ანალოგიურ ტექნიკურ გადაწყვეტებზე.

საპატენტო დოკუმენტაციის გადათვალისწინების დაწყება საჭიროა სსრ კავშირში გაცემული საავტორო მოწმობათა და საპატენტო აღწერილობათა ფონდით. შემდეგ გამოკვლევული უნდა იქნეს იმ ქვეყნების საპატენტო დოკუმენტაციის ფონდები, რომლებსაც წამყვანი ადგილი უკავია ტექნიკის იმ დარგში, რომელსაც მიეკუთვნება განცხადებული გამოგონება. თუ გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტებაა გათვალისწინებული, მაშინ, აღნიშნული ქვეყნის საპატენტო ფონდებს გარდა, უნდა გადათვალისწინდეს ყველა იმ ქვეყნის საპატენტო ფონდები, სადაც ნავარაუდევია გამოგონების დაპატენტება.

თუ ამდაგვარ ფონდებში ჩვენთვის საინტერესო გამოგონების თემა ან ფორმულა ხელმისაწვდომი არ არის, საჭიროა ვისარგებლოთ სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების საპატენტო სასიგნალო ინფორმაციებით: ბიულეტენით — „აღმოჩენები გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები“, კრებულით — „გამოგონებები სსრ კავშირში და საზღვარგარეთ“, რეფერატული ჟურნალებით, გამოგონებათა ბიულეტენებით, რომლებსაც აქვეყნებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო და ცენტრალურ-დარგობრივი ორგანოები.

განცხადებული გამოგონებების ობიექტის საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევისას დიდი

СПРАВКА

Об исследовании заявляемого объекта изобретения по патентной и научно-технической литературе

\_\_\_\_\_ (название изобретения)

Заявитель \_\_\_\_\_

Авторы изобретения \_\_\_\_\_

I. ПАТЕНТНАЯ ДОКУМЕНТАЦИЯ

Страны по которым проведен поиск	Индексы патентной классификации	Вид использованных источников информации	Глубина осуществленного поиска	Выявленные аналоги*
1	2	3	4	5

II. НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКАЯ ЛИТЕРАТУРА И ТЕХНИЧЕСКАЯ ДОКУМЕНТАЦИЯ (УКАЗЫВАЮТСЯ БИБЛИОГРАФИЧЕСКИЕ ДАННЫЕ ИСТОЧНИКОВ ИНФОРМАЦИИ, ДОСТАТОЧНЫЕ ДЛЯ НАХОЖДЕНИЯ ОХАРАКТЕРИЗОВАННЫХ В НИХ АНАЛОГОВ)

Поиск проводился по фондам \_\_\_\_\_

(указываются: ВПТБ, ТПФ, Отраслевой и т. д.)

При составлении справки использован отчет о патентных исследованиях по теме \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (фамилии, инициалы лиц(а),

\_\_\_\_\_ осуществлявших поиск)

\_\_\_\_\_ (подпись)

Полноту и достоверность приведенных сведений удостоверяю:

Руководитель патентного подразделения \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (подпись)

\_\_\_\_\_ (дата)

\* Аналог, являющийся прототипом, отмечается словом «прототип».

სამსახურის გაწევა შეუძლია კარგად ორგანიზებულ მთავარ საცნობარო კარტოთეკას და სხვა დამხმარე კარტოთეკებს, რომლებიც ორგანიზებულია ორგანიზაციების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურებში.

როგორც წესი, ამ წყაროებში მოძებნილი რეფერატული და სასიგნალო ინფორმაციის ანალოგი უნდა შემოწმდეს სრული ინფორმაციის პირველწყაროთი, რისთვისაც უკვეთავენ შესაბამის საინფორმაციო ორგანოს გამოგონების სრული აღწერილობის ან სხვა სახის დოკუმენტური ინფორმაციის პირველწყაროს ასლს. სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროების მისაღებად, გარდა ფასდადებითი დაკვეთისა, ფართოდ უნდა ვისარგებლოთ ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით. ანალოგების ძიების დროს აუცილებელია ანგარიშების გამოყენება საპატენტო-ტექნიკურ გამოკვლევებზე, რომლებიც ჩატარებულია დამამუშავებლების მიერ ტექნიკურ გადაწყვეტათა დამუშავების ყველა სტადიაზე, მათ შორის თემის გეგმაში შეტანის დროსაც. საპატენტო გამოკვლევა სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ყველა სტადიაზე.

ცნობის I ნაწილის I სვეტში მითითებულია ყველა ის ქვეყანა, რომელთა საპატენტო დოკუმენტაცია იყო შესწავლილი.

ცხრილის მე-2 სვეტში მიეთითება გამოგონებების ნაციონალური საკლასიფიკაციო ინდექსები, რომლებიც გამოიყენება იმ ქვეყანაში, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ანალოგების ძიება. თუ ძიების ჩატარების პერიოდში ამ ქვეყანაში შეიცვალა კლასიფიკაციის სისტემა, მაშინ მიეთითება ერთიცა და მეორეც, მაგრამ თუ ქვეყანაში გამოიყენება გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემა, აუცილებლად უნდა მიეთითოს გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსები.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სწორი და ზუსტი კლასიფიკაცია უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალების საიმედო ძიებას, ხოლო განცხადებული ობიექტის შეცდომით კლასიფიცირება გამოიწვევს გამოკვლევის უხარისხოდ ჩატარებას, რადგან ძიების ჩატარება მოხდება ფონდის სხვა ნაწილში და საძიებო თემის შესატყვისი საინფორმაციო მასალა არ მოხვდება მკვლევრის ხელში. ასევე გასათვალისწინებელია იმ მონათესავე კლასების არსებობა, რომლებშიც შესაძლოა იყოს განცხადებულ ობიექტთან ფუნქციონალური ნიშან-თვისებებით მონათესავე ტექნიკური გადაწყვეტა. კლასიფიკაციის ნაციონალური სისტემის განსაზღვრისათვის გამო-

იყენება გამოგონებათა კლასიფიკაციის ინდექსების გარდამავალი (შესატყვისი) ცხრილები, კლასიფიკაციის ნაციონალური სისტემების საძიებლები და სხვა საცნობარო მასალები. თუ მკვლევრისათვის ცნობილია ან ძიების დროს მის მიერ გამოვლენილია აშშ-ის, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის და სხვ. ფირმა (ფირმები), რომლებიც ამუშავებენ შესაბამის დარგში ტექნიკურ გადაწყვეტას, ამ ქვეყნების საპატენტო ფონდებში ძიებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ გაცემული პატენტების სახელობითი (საფირმო) საძიებლები. ასეთი ძიება გვიჩვენებს უშუალოდ როგორც პატენტებს, ისე საძიებო თემატიკის საკლასიფიკაციო რუბრიკებს. რეკომენდებულია ძიების ჩატარება ისეთი ქვეყნის საპატენტო ფონდებშიც, სადაც მოქმედებს პატენტების გაცემის განცხადების სისტემა, რადგან ამ ქვეყნებში პატენტები გაიცემა ისეთ უმნიშვნელო ტექნიკურ გადაწყვეტაზე, რომელსაც პატენტის გაცემის გამოკვლევის სისტემის ქვეყნებში არ სცნობენ პატენტუნარიანად და ამის გამო არც აქვეყნებენ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რადგან ძიების საგნის ანალოგს შეიცავს.

მე-3 სვეტი მიუთითებს, თუ საპატენტო გამოკვლევის პროცესში თითოეული კონკრეტული ქვეყნის რომელი წყაროებია გამოყენებული (გამოგონების აღწერილობები, საპატენტო უწყებათა ბიულეტენები და მისთანები) მე-2 სვეტში მითითებული კლასების მიხედვით.

მე-4 სვეტი მიუთითებს თითოეული კონკრეტული ქვეყნის მიხედვით განხორციელებული ანალოგების ძიების სიღრმეს, მე-3 სვეტში მითითებული ინფორმაციის წყაროების შესაბამისად.

ძიების სიღრმე, რომელიც განხორციელდა თითოეული გამოყენებული ინფორმაციის წყაროს მიხედვით, მიეთითება ან ნომრების ინტერვალის სახით (ამ №-დან აჰ №-მდე), რაც მიზანშეწონილია საავტორო მოწმობებისა და პატენტების გამოგონებათა აღწერილობების მიხედვით ობიექტის სიახლის გამოკვლევის დროს, ან წლების ინტერვალის სახით, რაც მიზანშეწონილია საპატენტო უწყებების ბიულეტენების ან საპატენტო ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრებულების „გამოგონებები სსრ კავშირში და საზღვარგარეთ“ გამოყენების შემთხვევაში.

თუ გამოკვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ გამოყენებული ფონდები არ არის სრული, მაშინ მოცემულ სვეტში უნდა მიეთითოს შესაბამისი ქვეყანა, კლასი, ინფორმაციის წყარო.

ცნობის მე-5 სვეტში ნაჩვენები იქნება საპატენტო დოკუმენტაციიდან გამოვლენილი ანალოგები<sup>13</sup>.

ცნობის II ნაწილში მიეთითება სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურისა და ტექნიკური დოკუმენტაციის წყაროების შესახებ, რომლებშიც აღმოჩენილია განცხადებული გამოგონების ანალოგები.

ცნობები უნდა მოვიყვანოთ ბიბლიოგრაფიული მონაცემების სახით, რითაც შეიძლება ვიპოვოთ ინფორმაციის წყარო, სადაც აღწერილია ეს ანალოგი.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ინდექსი მიეთითება, თუ ის არის აღნიშნული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის წყაროზე.

მე-5 სვეტში ან ცნობის II ნაწილში მითითებული, ანალოგებიდან შერჩეული, განცხადებული გამოგონების ობიექტის პროტოტიპი გამოიყოფა განსაკუთრებით (სიტყვით „პროტოტიპი“).

შემდეგში მიეთითება, თუ საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის რომელი ფონდები გამოიყენება მოცემული ობიექტის გამოკვლევის ჩატარების პროცესში: საკავშირო-საპატენტო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, ტერიტორიული საპატენტო ფონდი, დარგობრივი და სხვ. და რომელი თემის მიხედვით არის გამოყენებული ანგარიში საპატენტო გამოკვლევებზე. ცნობას ხელს აწერს პირი (პირები), რომლებმაც განახორციელეს განცხადებული გამოგონების ობიექტის სიახლის გამოკვლევა.

ცნობაში მოყვანილი მონაცემების სისრულეს და უტყუარობას ადასტურებს საპატენტო ქვეგანყოფილების ან გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილების ხელმძღვანელი.

---

<sup>13</sup> როგორც წესი, მოქმენილი ანალოგებიდან არჩევენ ობიექტს, რომელიც შეიცავს განცხადებული ობიექტის ნიშნების იდენტურ ან ტექნიკურად ეკვივალენტურ მაქსიმალური ოდენობის ნიშნებს, ან რომელიც მსგავსია ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნისა (ნიშნებისა). პროტოტიპი ხასიათდება განცხადებული ობიექტის, ტექნიკური არსის გამოხატველი და გამოგონების მიზანთან კავშირის მქონე იდენტური ან ტექნიკურად ეკვივალენტური ნიშნებით (მათ შორის დასახელებითაც); მოყავთ აგრეთვე მონაცემები სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის და ტექნიკური დოკუმენტაციის წყაროებზე, რომლებიც შეიცავს ცნობებს პროტოტიპზე.



§ 22. მოეთხოვება თუ არა ცნობის დართვა საპატენტო გამოკვლევებზე ყველა განაცხადს, რომლებიც იზავენება სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საპაპირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში?

აღმოჩენებზე, გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე დებულების 41-ე და 42-ე პუნქტების თანახმად, ცნობა გამოგონებაზე განცხადებული ობიექტის საპატენტო და სამეცნიერო ტექნიკური ლიტერატურით საპატენტო გამოკვლევების შესახებ, აუცილებლად მოეთხოვება მხოლოდ იმ განაცხადებს, რომლებიც იგზავნება საწარმოების (ორგანიზაციების) სახელით ან მათი საშუალებით. ცნობის დართვა საპატენტო გამოკვლევებზე ავტორების სახელით გაგზავნილ განაცხადებს არ მოეთხოვება.

§ 23. როგორ ფორმდება ცნობა გამოგონების უპირველი თითოეული თანაავტორის უმომავლობითი მონაწილეობის შესახებ?

ამ ცნობას აქვს დადგენილი ფორმა.

უშუალოდ გამოგონების ავტორებისაგან განაცხადის შეტანის შემთხვევაში სტრიქონი „განმცხადებელი“ არ ივსება (დაისმება ზახი).

სვეტში „თანაავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი“ მიუთითებენ ყველა თანაავტორს, რომლებიც ჩამოთვლილია განაცხადში საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე.

სვეტში — „რასი გამოიხატა მონაწილეობა გამოგონების შექმნაში ობიექტის ნიშან-თვისებების მიხედვით“ — უჩვენებენ კონკრეტულად, რა შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღო მოცემულმა ავტორმა გამოგონების, მისი კონკრეტული ნიშან-თვისებების შექმნაში. თუ შეუძლებელია ზუსტად მიუთითოთ, გამოგონების ფორმულაში ჩამოთვლილი ნიშან-თვისებებიდან რომელი დამუშავდა კონკრეტული თანაავტორის მიერ, მიუთითებენ შემოქმედებითი მუშაობის იმ ნაწილს, რომელიც შესრულებულია თანაავტორის მიერ (მაგალითად, დაამუშავა პარამეტრების თეორიული დასაბუთება, დაასაბუთა ცდებით, მისცა ფორმა მუშა ორგანოს და სხვ.). ცნობას ხელს აწერს ყველა თანაავტორი (თანაავტორების მიერ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის შემთხვევაში ან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით, ან — ორგანიზაციის საშუალებით) ან ორგანი-

ზაციის ხელმძღვანელი და თანაავტორები ორგანიზაციის მიერ განაცხადის შეტანის შემთხვევაში. ხელმძღვანელის ხელმოწერა მოწმდება ბეჭდით.

§ 24. როგორია გამოგონებაზე პატენტის მიწოდების წესი?

განაცხადებზე საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემისას ტარდება: ა) განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნების დაცვის შემოწმება (წინასწარი ექსპერტიზა); ბ) გამოგონებებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაცვის შემოწმება (გამოგონებების სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა) (დებულების 46-ე პუნქტი).

წინასწარი ექსპერტიზა ტარდება 15 დღის ვადაში გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის დღიდან და შეიცავს გამოგონების პრიორიტეტის დადგენას და როგორც ფორმალურ, ისე არსებით დადგენილ მოთხოვნებთან განაცხადის შესატყვისობას (უპირველეს ყოვლისა — გამოგონების ერთიანობის მოთხოვნებს). პრიორიტეტი დგინდება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის დღიდან; დავის შემთხვევაში პრიორიტეტი დგინდება განაცხადის ფოსტაში ჩაბარების დღიდან ან საწარმოში, ორგანიზაციაში ან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ ორგანოში განაცხადის მასალების რეგისტრაციის დღიდან.

განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს კონვენციური პრიორიტეტით. მაშინ განაცხადთან ერთად საჭიროა განაცხადება, სადაც მითითებული იქნება ქვეყანა, რომელშიც პირველად იყო შეტანილი განაცხადი და პირველი განაცხადის პრიორიტეტის თარიღი; გარდა ამისა, საჭიროა მასალების წარდგენა, რომლებიც აუცილებელია პრიორიტეტის დღის დასადგენად, და პირველ ყოვლისა — პირველი განაცხადის დამოწმებული ასლი მისი რუსულ ენაზე თარგმანთან ერთად.

სპეციალური წესების მიხედვით განისაზღვრება სსრ კავშირის ტერიტორიაზე ორგანიზებულ საერთაშორისო გამოფენებზე წარმოდგენილ ექსპონატებში გამოყენებული გამოგონებების პრიორიტეტი: ასეთი გამოგონებების პრიორიტეტი დგინდება გამო-

ფენაზე ექსპონატის მოთავსების თარიღიდან, თუ განაცხადი შეტანილია არა უგვიანეს 6 თვისა ამ თარიღის შემდეგ.

განაცხადის შეუსაბამობა დადგენილ მოთხოვნებთან იწვევს განსაზღვრულ შედეგებს.

მაგალითად, თუ გამოგონების აღწერილობაში დაცული არ არის „ეზ-1-74-ის მითითებები და ამის შედეგად შეუძლებელია გავარკვიოთ გამოგონების შინაარსი — განაცხადი უბრუნდება განმცხადებელს სათანადო გაფორმებისათვის, ე. ი. განაცხადი არ მიიღება განსახილველად.

თუ დაშვებული დარღვევები საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს განაცხადის განსახილველად, მაშინ განმცხადებელს ეძლევა ორი თვის ვადა გამოსაწიროს განაცხადი ან შეავსოს გარკვეული მასალებით. ამ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, განაცხადის პრიორიტეტი გამოითვლება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მისი შეტანის თარიღიდან: იმ შემთხვევაში, თუ ეს დოკუმენტები არ წარსდგა დადგენილ ვადაში, განაცხადი არ ითვლება შეტანილად.

წინასწარი ექსპერტიზის შედეგების მიხედვით განმცხადებელს ეცნობება განაცხადის განსახილველად მიღებისა ან განაცხადის მიღებაზე უარის შესახებ, უარის მოტივების ჩვენებით, ან წინადადება ეძლევა მას შეიტანოს განაცხადში აუცილებელი ცვლილებები და დამატებები.

დებულებით დადგენილია, რომ ყველა უფლება, რომელიც მიეცემული აქვს განმცხადებელს განაცხადის განხილვისას, ეკუთვნის როგორც განაცხადის შემტან საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, ისე გამოგონების ავტორსაც (თანაავტორებს) (დებულების 41-ე პუნქტი).

განსახილველად მიღებულ განაცხადზე განმცხადებელს მიეცემა ცნობა, რომელიც ადასტურებს განაცხადის მიღებას და გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მოვალეობას გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი არსებობის მიხედვით; გარდა ამისა ცნობა, როგორც წესი, ადასტურებს გამოგონების პრიორიტეტის თარიღს.

გამოგონებების სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა ტარდება ვადაში, რომელიც არ აღემატება ექვს თვეს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის დღიდან.

აქ განმცხადებელს შეიძლება მოეთხოვოს დამატებითი მასა-

ლები, რომლებიც აზუსტებენ გამოგონებების არსს, თუ ასეთი მასალების გარეშე განაცხადის შემდგომი განხილვა შეუძლებელია. ამ მასალების გაგზავნისათვის განმცხადებელს ეძლევა ერთი თვის ვადა. თუ ერთი თვის განმავლობაში არ გაიგზავნა მასალები, ეს გამოიწვევს განაცხადის განხილვის ვადის გაგრძელებას, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა, რომლის შემდეგ განაცხადი ითვლება უარყოფილად.

განაცხადის განსახილველად მიღების დღიდან ორი თვის განმავლობაში განმცხადებელს შეუძლია დაამატოს და შეასწოროს განაცხადი ისე, რომ არ შეიცვალოს მისი არსი: დამატებითი მასალების წარდგენა, რომლებიც ცვლის განაცხადის არსს, წარმოქმნის ახალი განაცხადის გაფორმების აუცილებლობას, რომლის პრიორიტეტი დადგენილი იქნება მისი შეტანის თარიღით.

განაცხადის განხილვის შედეგების მიხედვით გამოგონებების სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა იღებს გადაწყვეტილებას დამცველი დოკუმენტის გაცემაზე ან მის გაცემაზე უარის შესახებ. გადაწყვეტილებაში დამცველი დოკუმენტის გაცემაზე მოყვანილია გამოგონების ფორმულა და პრიორიტეტის თარიღი. გადაწყვეტილებაში დოკუმენტის გაცემაზე უარის შესახებ აღინიშნება უარის მოტივები.

აუცილებლობის შემთხვევაში გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი იწვევს ავტორს საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის განხილვაში მონაწილეობისათვის.

განმცხადებელს უფლება აქვს გაეცნოს მასალებს, რომელთა საფუძველზე განაცხადის მიხედვით ამოტანილია გადაწყვეტილება, და სამი თვის ვადაში გადაწყვეტილების მიღების დღიდან მოითხოვოს გაუგზავნონ მას დაპირისპირებული საპატენტო მასალების ასლები უფასოდ.

იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე უარის შესახებ ან კიდევ საავტორო მოწმობის გაცემის გადაწყვეტილებაში დადგენილი გამოგონების ფორმულას, მას უფლება აქვს ორი თვის ვადაში, გადაწყვეტილების ან მოთხოვნილი დაპირისპირებული მასალების ასლების მიღების დღიდან, შეიტანოს შეპასუხება. შეპასუხება, რომელიც დაკავშირებულია განცხადებული წინადადების აშკარა უსარგებლობის მოტივით საავტორო მოწმობის გაცემაზე უართან, შეიძლება შეტანილ იქნეს განმცხადებლის მიერ აღნიშ-

ნული ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგაც, თუ წარედგინება დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ წინადადების სარგებლიანობას. განმცხადებლის შეპასუხება განიხილება ექსპერტიზის მიერ ორი თვის ვადაში.

გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ექსპერტიზის მიერ განმცხადებლის შეპასუხების გამო, შეიძლება გასაჩივრდეს სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის საკონტროლო საბჭოში.

§ 25. რას წარმოადგენს გამოგონებათა და აღმოჩენათა საკმითა სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის საკონტროლო საბჭო?

საბჭოთა კავშირის საგამომგონებლო მოღვაწეობის პრაქტიკაში პირველად, მოქმედი დებულება აღმოჩენებზე, გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე, რომელიც ძალაში შევიდა 1974 წლის 1 იანვრიდან, ითვალისწინებს განსაკუთრებულ ორგანოს — გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის საკონტროლო საბჭოს (პუნქტი 148).

თანახმად დებულების 46-ე პუნქტისა, ამჟამად გამოგონებაზე განაცხადების ექსპერტიზა ორი ეტაპისაგან შედგება: წინასწარი ექსპერტიზა, რომელიც წარმოადგენს განაცხადისადმი წაყენებული ფორმალური მოთხოვნების დაცვის შემოწმებას, და სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომელიც ვლინდება განმცხადებლის მიერ გამოგონების წინაშე წაყენებული არსებითი მოთხოვნების დაცვის შემოწმებაში. ექსპერტიზის მეორე ეტაპის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტა საავტორო მოწმობის (პატენტის) გაცემის ან გაცემაზე უარის შესახებ, ეკისრება უშუალოდ იმ ორგანოს, რომელიც ატარებს გამოგონებათა სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერტიზას. ერთდროულად ამ ორგანოს — სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს — ეკისრება განმცხადებლის შეპასუხების განხილვა მოცემული ინსტიტუტის ექსპერტების მიერ საავტორო მოწმობის (პატენტის) გაცემაზე უარის გამო ან სხვა საკითხებზე.

აღნიშნულ პირობებში საკონტროლო საბჭო, როგორც გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განსაკუთრებული ორგანო, დამოუკიდებლად სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისაგან,

უფლებამოსილია განიხილოს, ერთი მხრივ. განმცხადებლების საჩივრები ინსტიტუტის ექსპერტიზის მიერ განმცხადებლების შეპასუხებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ხოლო მეორე მხრივ — პროტესტები გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის გაუქმებულად მიჩნევის გადაწყვეტილებებზე (დებულების 148-ე პუნქტი).

საკონტროლო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სტაბილურობისა და ავტორიტეტის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ეს გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თანახმად დებულების 148-ე პუნქტისა, საკონტროლო საბჭოს შეუძლია გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პროტესტთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია გადაწყვეტილების მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან ახლად წარმოქმნილი გარემოების მოტივით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს შეუძლია ამ საბჭოს გადასცეს განსახილველად გამოგონებაზე განაცხადების ექსპერტიზასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი.

#### § 26. რა არის გამოგონების ფორმულა და როგორი მოთხოვნები წაეყენება მას?

გამოგონების ფორმულა — ეს დადგენილი წესებით შედგენილი, ტექნიკური არსის გამომხატველი, გამოგონების მოკლე სიტყვიერი დახასიათებაა.

გამოგონების ფორმულის დანიშნულება დადგენილია მითითებებით „ეზ-2-74“ : —

— ფორმულა მოკლედ და მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს გამოგონების ტექნიკურ არსს, ე. ი. მისი არსებითი ნიშან-თვისებების ერთობლიობით გამოგონების ობიექტს ასახავდეს ლოგიკურ განსაზღვრაში;

— ფორმულა უნდა განსაზღვრავდეს გამოგონების საზღვრებს, ე. ი. საავტორო მოწმობის (ან პატენტის) მფლობელის უფლებათა საზღვრებს;

— ფორმულა უნდა გვემსახურებოდეს საშუალებად განვასხვავოთ გამოგონების ობიექტი სხვა ობიექტებისაგან ან მსგავსების განსაზღვრისათვის გამოგონების გამოყენების ფაქტის დასადგენად;

— აძლევდეს ინფორმაციას შესაბამის სპეციალისტებს პროგრესის შესახებ, რომელიც მიიღწევა გამოგონებით დარგში, რომელსაც მიეკუთვნება გამოგონება.

ფორმულა უნდა იყოს ლაკონიური, განზოგადებული, სრული, განსაზღვრული.

ფორმულის ლაკონიურობა ნიშნავს საგნის განსაზღვრას ზედმეტი სიტყვების გარეშე. ლაკონიურობის მიღწევისათვის და ფორმულის განმარტებაში ერთგვაროვნებისათვის პრაქტიკით შემუშავებულია გადმოცემის რიგი აუცილებელი წესები.

ფორმულის განზოგადება (სიფართოვე) მდგომარეობს იმაში, რომ ის განსაზღვრავს გამომგონებლის უფლებებს შესაძლოდ უფრო ფართო საზღვრებში. განზოგადების მისაღწევად გამოგონების საგანი უნდა იყოს დახასიათებული საერთო ნიშან-თვისებებით, რომლებიც შეესატყვისებიან მის სიახლეს.

ფორმულის სისრულე განისაზღვრება მაქსიმალურად გამოგონების შემადგენელი, არა მარტო საერთო, არამედ კერძო, ყველა არსებითი ნიშან-თვისებების ჩართვით.

ფორმულის განსაზღვრულობა ნიშნავს იმას, რომ მასში ჩაწერილი ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებენ გამოგონებას, არ დაუშვებენ თვითნებურ განმარტებას და ზუსტად განსაზღვრავენ გამომგონებლის უფლებათა საზღვრებს.

## § 27. როგორია გამოგონების ფორმულის სტრუქტურა?

საერთო წესის მიხედვით, ფორმულა შედგება ორი ნაწილისაგან:

— განმსაზღვრელისაგან, რომელიც შეიცავს გამოგონების ობიექტისა და პროტოტიპისათვის საერთო ნიშან-თვისებებს;

— განმსხვავებლისაგან, რომლის ნიშან-თვისებები (ახალი ნიშან-თვისებები) განასხვავებენ გამოგონების ობიექტს პროტოტიპისაგან.

ფორმულის ეს ორი ნაწილი გამოყოფილია სიტყვებით „განსხვავდება იმით, რომ“ და გამოგონების მიზნის ფორმულირებით.

§ 28. უპირისპირდება თუ არა განცხადებულ გამოგონებას  
დეკონსტრუქციული მასალები, სხვადასხვა სახის შეტყობინებები და  
სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები?

ინსტრუქციაში გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის შესახებ („ეზ-2-74“) ჩამოყალიბებულია სიახლის განსაზღვრის წესები. დადგენილია, რომ დეკონსტრუქციული ხელნაწერული სამუშაოები უპირისპირდება გამოგონებაზე განაცხადებს, დეკონსტრუქციის რეგისტრაციის დღიდან, ხოლო ზეპირი შეტყობინებები ან ცნობები ტელევიზიით, რადიოთი, კინოჩვენებით და სხვა — ასეთი შეტყობინებების დღიდან პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ ის ფიქსირებულია ხმის ჩამწერი აპარატით ან კინოფირზე, მაგნიტურ ლენტზე და სხვ. კონკურსზე მიღებული სამუშაოები — მიმოხილვისათვის გაწყობის დღიდან პირთა განუსაზღვრელი წრისათვის.

პრესაში გამოქვეყნებული ანგარიშები დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, საპროექტო დოკუმენტაცია, ნახაზები და სხვ. — მსგავსი დოკუმენტები უპირისპირდება გამოგონებებზე განაცხადებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ისინი შემოსულია საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ბიბლიოთეკებში ინფორმაციის მიზნით ან გადაცემულია სხვა ორგანიზაციებში გამოყენებისა და ინფორმაციისათვის. აღნიშნულ შემთხვევებში ისინი უპირისპირდებიან გამოგონებაზე განაცხადებს ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის ან აღნიშნულ ორგანიზაციაში გაგზავნის დღიდან. სხვა ორგანიზაციაში დასკვნებზე, კონსულტაციისათვის ან დასამტკიცებლად გაგზავნა არ წარმოადგენს საფუძველს ასეთი მასალა ჩაითვალოს გამოქვეყნებულად, პირთა განუსაზღვრელი წრისათვის გაცნობილად, ისევე როგორც მისი თავისუფალი დამუშავებისათვის დახურულ არქივში ჩაბარება.

§ 29. ვინ აწერს ხელს გამოგონებაზე განაცხადს?

განცხადებას, აღწერილობას და ნახაზებს ხელს აწერს ავტორი. თუ გამოგონება შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებისათვის დაკავშირებით, მაშინ განცხადებას ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და გამოგონების ავტორი. აღწერილობას, გრაფიკული მასალების თითოეულ ფურცელს ხელს აწერს საპატენტ-



ტო ქვეგანყოფილების (გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილების) ხელმძღვანელი და გამოგონების ავტორი.

§ 30. შუაშლია თუ არა ავტორს სთხოვოს გამოგონებადგისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოიძახოს იგი თავისი განაცხადის განხილვაში მონაწილეობისათვის?

ავტორს შეუძლია ითხოვოს ამის შესახებ; გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეუძლია, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიწვიოს ავტორი საავტორო მოწმობას ან პატენტზე განაცხადის განხილვაში მონაწილეობისათვის. ამ შემთხვევაში ავტორს გამოგონებისა, რომელზეც მოთხოვნილია საავტორო მოწმობა. სამუშაო აღვალის მიხედვით უნარჩუნდება სამუშაო ხელფასი. საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია, სადაც ავტორი მუშაობს, აძლევს ავტორს დადგენილი წესით სამსახურებრივ მივლინებას, როგორც წესი, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის ხარჯზე (დებულების 56-ე პუნქტი).

§ 31. თუ ორგანიზაციის შტაბში არ არის სააბანოთო კვანძოფილბა, ვის შუაშლია დახმაროს გამოგონებადგისა გამოგონებაზე განაცხადის გავორამბაში?

საწარმოს ან ორგანიზაციას, სადაც არ არის ასეთი ქვეგანყოფილება, ან ამ საქმისათვის არ ჰყავს გამოყოფილი პირი, გამოგონების გაფორმებისათვის შეუძლია ისარგებლოს საკავშირო საპატენტო სამსახურების თბილისის ფილიალის მომსახურებით, ან მიმართოს დახმარებისათვის გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საკონსულტაციო პუნქტებს ქ. თბილისში. ანალოგიური პუნქტები შექმნილია ქ. რუსთავეში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში გრსს-ის საბჭოებთან.

§ 32. რა შიმთხმამბაში უნდა დავურთოთ ნაგარაუდვი გამოგონების აღწერილობას არა მარტო ნახაზები, არამედ ნახატები და ფოტოები?

ნახატები დაერთვის აღწერილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ნახაზებითა და სქემებით გაუაკეთოთ განაცხადის

ილუსტრირება, (მაგალითად, მოწუობილობა ცხოველის ფიქსირები-სათვის, რომელშიც საჭიროა მისი მდგომარეობის ჩვენება). არ არის საჭირო არავითარი „ფერწერული“ წერილობანი და დეტალები — ნახატები უნდა იყოს რაც შეიძლება უბრალო, სქემატური და ამავე დროს იმდენად მკვეთრი, რომ მათგან შესაძლებელი იყოს ასლის გადაღება (გამოგონებაზე განაცხადის შევსებაზე მითითებების 123-ე პუნქტი).

### § 33. როგორ დავაღებინო გამოგონების პრიორიტეტს?

დიდი მნიშვნელობა აქვს გამოგონების პრიორიტეტის (პირველობის) დადგენას. პრიორიტეტი — გამოგონებლის უფლებაა, რომელმაც პირველმა შეიტანა განაცხადი საავტორო მოწმობის ან პატენტის მიღებაზე, დადგენილი წესით, თავის გამოგონების შესახებ. პრიორიტეტის დადგენა ხდება არა გამოგონების შექმნის თარიღიდან, არამედ განაცხადის შეტანის დღიდან გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში (დებულების 79-ე პუნქტში აღნიშნულ სამინისტროებსა და უწყებებში); დავის წამოჭრის შემთხვევაში — განაცხადის ფოსტაში ჩაბარების ან ორგანიზაციაში ან გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ ორგანოში მასალების რეგისტრაციის დღიდან.

### § 34. რას ნიშნავს კონვენციური პრიორიტეტი?

საერთაშორისო კონვენციით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, შეიძლება იყოს გათვალისწინებული შეღავათები კონვენციური პრიორიტეტის მიხედვით ე. ი. სწორად გაფორმებული პირველი ნაციონალური განაცხადის პირველობის დადგენაზე.

საპატენტო საკითხებზე შეთანხმების მნიშვნელოვან აქტად შეიძლება ჩაითვალოს სამრეწველო საკუთრების დაცვაზე პარიზის კონვენცია, რომელსაც სსრ კავშირი შეუერთდა 1965 წლის 1 ივლისს. ეს არის გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების სამართლის საკითხებზე მრავალმხრივი შეთანხმება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პარიზის კონვენციის მე-4 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ე. წ. კონვენციური პრიორიტეტის დადგენის წესს. ამ მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნიდან გამოგონებაზე განმცხადებელს, რომელმაც შეიტანა თავის საპატენტო უწყებაში პირველი სწორად გაფორმებული (ქვეყნის ნაციონალური საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისად) განაცხადი გამოგონებაზე პარიზის კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში, ენიჭება განაცხადის შეტანის პრიორიტეტის უფლება იმავე გამოგონებაზე კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებში ერთი წლის განმავლობაში.

კონვენციური პრიორიტეტის გამოყენება შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი.

პიროვნებამ, რომელსაც სურვილი აქვს ისარგებლოს კონვენციური პრიორიტეტით, ვალდებულია გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში შეტანილ განაცხადთან ერთად წარადგინოს განცხადება. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული ქვეყანა, სადაც გამოგონება პირველად არის განცხადებული და კონვენციური პრიორიტეტის თარიღი.

კონვენციური პრიორიტეტის დადგენისათვის აუცილებელია სათანადო სახით უცხოური განაცხადისა და სხვა მასალების დამოწმებული ასლების შეტანა. აღნიშნული მასალები წარედგინება არა უგვიანეს 3 თვისა კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნაზე განაცხადის შეტანის დღიდან. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის წარდგენისას კონვენციური პრიორიტეტი არ დადგინდება, თუ არ არის თხოვნა ამის შესახებ ან ასეთი თხოვნა არის შეტანილი პირველი განაცხადის 12-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

§ 35. თუ ავტორი არ არის თანახმა გამოგონებაებისა და აღმოჩენების საკმათა სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებას, როგორ უნდა მოიქცეს იგი?

თუ განმცხადებელი არ ეთანხმება საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე უარს ან გადაწყვეტილებაში დადგენილ გამოგონების ფორმულას, მას უფლება აქვს შეიტანოს 2 თვის განმავლობაში გადაწყვეტილების ან მოთხოვნილ დაპირისპირებული მასა-

ლების ასლების მიღების დღიდან, გამოგონებებისა და აღმოჩენების 'საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში' მოტივირებული შეპასუხება.

შეპასუხება წინადადებების განაცხადში შემცველ აშკარა უსარგებლობის მოტივით საავტორო მოწმობის გაცემის უარზე, შეიძლება შეტანილი იყოს განმცხადებლის მიერ ზემოაღნიშნული დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც, თუ წარდგენილი იქნება სარგებლიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გამოგონებების სამეცნიერო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ შეპასუხება უნდა განიხილოს 2 თვის ვადაში (დებულების 59-ე პუნქტი).

§ 36. რა არის ობიექტის პატენტუნარიანობა და საპატენტო სიწმინდე, რა კავშირია მათ შორის?

პატენტუნარიანობა არის ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტის თვისება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია გამოგონება დაპატენტდეს მოცემულ ქვეყანაში ან სხვა ქვეყნებში. პატენტუნარიანია ისეთი სახის ტექნიკურად გადაწყვეტილი ობიექტი, რომელიც სსრ კავშირში დაცულია საავტორო მოწმობით, ხოლო საზღვარგარეთ — პატენტით.

საექსპორტო პატენტუნარიანია ობიექტის დროული დაცვა საავტორო მოწმობებით ჩვენში და პატენტებით—საზღვარგარეთ ხელსაყრელ პირობებს ქმნის საექსპორტო ოპერაციების განხორციელებისათვის. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ნაწარმი არა მარტო გავიდეს საექსპორტოდ, არამედ ფართოდ იყიდებოდეს საპატენტო ლიცენზიები საბჭოთა გამოგონებებზე.

საექსპორტო პროდუქციის საზღვარგარეთ წარმატებით გაყიდვისა ან გატანისათვის საჭიროა მისი მეორე მნიშვნელოვანი პირობა — საექსპორტო პროდუქციის საპატენტო სიწმინდის გარანტია.

საპატენტო სიწმინდე უნდა ჰქონდეს არა მარტო საზღვარგარეთისათვის საექსპორტოდ დამზადებულ მანქანებს, ხელსაწყოებს, მოწყობილობებს, მასალებს, არამედ იმათაც, რომლებიც ახლად მუშავდება და უმჯობესდება. ისინიც შეიძლება გახდეს საბჭოთა საექსპორტო ობიექტები; თუ საპატენტო სიწმინდის მოთხოვნილებები თავის დროზე, მათი დამუშავების პროცესში, არ გავითვალისწინეთ, შემდეგ ამ მანქანების, ხელსაწყოებისა და სხვათა ექსპორტი დიდ სიძნელებთან იქნება დაკავშირებული.

საპატენტო სიწმინდე არის ნაკეთობის (მანქანების, ხელსაწყოთა, იარაღის, ინსტრუმენტის, ტექნოლოგიური პროცესის, მასალის და ა. შ.) იურიდიული თვისება, რაც შესაძლებელს ხდის გამოგონების რომელიმე ქვეყანაში გამოყენებას (ექსპორტის, ექსპლოატაციის გზით) და არ არღვევს ამ ქვეყანაში გაცემული მოქმედი პატენტების უფლებებს.

პატენტუნარიანობასა და საპატენტო სიწმინდეს შორის ზოგი რამ საერთოა, კერძოდ, ორივე დაკავშირებულია საპატენტო სისტემასთან, ე. ი. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში არსებული გამოგონებების უფლებრივ დაცვასთან.

ნებისმიერი ობიექტის როგორც პატენტუნარიანობა, ისე საპატენტო სიწმინდე დაკავშირებულია ტექნიკურად გადაწყვეტასთან, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება იქნეს ან არ იქნეს აღიარებული გამოგონებად. ამრიგად, ობიექტის პატენტუნარიანობაზე ან საპატენტო სიწმინდეზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყანასთან ან ქვეყნების ჯგუფთან შეფარდებით. ერთი და იგივე ობიექტი ერთ ქვეყანაში შეიძლება იყოს პატენტურიანი, მეორეში კი — არა. ეს ეხება საპატენტო სიწმინდესაც.

მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა. პატენტის აღება რომელიმე ობიექტზე არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პატენტი გაიცა. იმ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს მოცემული ობიექტის საპატენტო სიწმინდის თვალსაზრისით. ნაკეთობა შეიძლება არ იყოს პატენტურიანი, რადგან არ შეიცავდეს ამოცანის ახალ და არსებითი განსხვავების მქონე ტექნიკურ გადაწყვეტას, მაგრამ ამავე დროს შეიძლება ჰქონდეს საპატენტო სიწმინდე იმ ქვეყნებში, სადაც ანალოგიური გადაწყვეტა არ არის დაპატენტებული.

პატენტუნარიანობაზე და საპატენტო სიწმინდეზე არსებით გავლენას ახდენს დროის ფაქტორი, თუმცა იგი მათზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. თუ გარკვეული დროის შემდეგ ობიექტის პატენტუნარიანობა იკარგება, დროთა განმავლობაში იგი იძენს საპატენტო სიწმინდეს, რასაც ადრე არ ფლობდა.

მაგალითად, რომელიმე უმნიშვნელო ორიგინალური მოწყობილობის პატენტუნარიანობა შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს ნაადრევ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, მაგრამ იმავე მიზეზით იგი აღმოჩნდება საპატენტო სიწმინდის მქონე უმეტეს ქვეყნებში.

დიდი ხნის განმავლობაში ცნობილი და ფართოდ გამოყენე-

ბული ნაკეთობები პატენტუნარიანი არ არის იმ მიზეზით, რომ ისინი ცნობილია, მაგრამ იმავე მიზეზით ისინი ფლობენ საპატენტო სიწმინდეს თითქმის ყველა ქვეყანაში; მაგალითად, ჰანკიკი ქანჩით ჩვეულებრივი კონსტრუქციაა და დიდი ხანია რაც აღარ არის პატენტუნარიანი, მაგრამ იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ფლობს საპატენტო სიწმინდეს.

ხდება ისეც, რომ პატენტუნარიანი ნაკეთობა, რომელზედაც შეიძლება გაიცეს და გაიცემა პატენტები ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, არ ფლობს საპატენტო სიწმინდეს იმავე ქვეყნებში. ანალოგიური მდგომარეობაა მაშინ, როცა ახალი ორიგინალური გადაწყვეტა ნაკეთობას მატებს არსებით სიახლეს (პატენტუნარიანობას), მაგრამ ეს ნაკეთობა შეიცავს ზოგიერთ უკვე ცნობილ გადაწყვეტას, რომლებიც შეიძლება გამოცხადდეს რომელიმე პიროვნების ან ფირმის ობიექტის პატენტად და ამით ხელს უშლის მთლიანად ნაკეთობის საპატენტო სიწმინდეს.

ობიექტის საპატენტო სიწმინდეზე დასკვნის გამოტანა შეიძლება მხოლოდ საპატენტო ექსპერტიზის საფუძველზე, ე. ი. იმ ქვეყნების საპატენტო ფონდებით შემოწმებათა შედეგად, რომელთა მიმართ დგინდება საპატენტო სიწმინდე და შერჩეული პატენტების ანალიზი.

### § 37. რა არის პარსპექტიული გამოგონებაები?

გამოგონების სარგებლიანობა არ უნდა გავიგოთ როგორც მისი გამოყენების დაუყოვნებელი შესაძლებლობა ან მიზანშეწონილობა: საქმე ისაა, რომ მთელი რიგი გამოგონებების მიმართ ასეთი შესაძლებლობა ამჟამად შეიძლება არც იყოს აუცილებელი ტექნიკური წინამძღვრების არ არსებობის გამო და წარმოიშეება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ. მაგალითად, რეაქტიულძრავიანი საფრენი აპარატების გამოგონება რეგისტრირებული იყო ჩვენს ქვეყანაში 20-30-იან წლებში, ხოლო ფართო გამოყენება კპოვეს მხოლოდ 1947 წლიდან; ლითონთა ელექტრონაპერწყლოვანი დამუშავების ხერხის სამრეწველო გამოყენება მოხდა მისი შექმნის 20 წელზე მეტი ხნის შემდეგ; ბურთულებიანი ავტოკალამი გამოიგონეს 1920 წელს, ხოლო მისი მასობრივი გამოშვება შესაძლებელი გახდა შედარებით ახლახან. ყველა ამ შემთხვევაში ლაპარაკია ე. წ. პერსპექტიულ გამოგონებებზე, ე. ი. ისეთ გადაწყვეტებზე, რომელთა

გამოყენება ამჟამად, არსებულ ტექნიკურ დონეზე, შეუძლებელია, მაგრამ მათი გამოყენების შესაძლებლობა მომავალში ექვს არ იწვევს.

### § 38. რა არის გამოგონების განმეორებითობა?

წინადადება, გამოგონებად აღიარებისათვის, გარდა გათვალისწინებული ნიშან-თვისებებისა უნდა ფლობდეს ნიშან-თვისებას, რომელიც არ არის აღნიშნული დებულებაში, მაგრამ მისგან გამომდინარეობს.

ლაპარაკია გამოგონების განხორციელების არაერთგზის შესაძლებლობის შესახებ, ობიექტის განმეორებითობის შესახებ, რომელშიც რეალიზებულია გამოგონება. ინსტრუქცია „ეზ-2-74“ მიუთითებს წინადადების მრავალგზის კვლავწარმოების შეუძლებლობაზე, რომელიც ითვალისწინებს რომელიმე უნიკალური, ბუნებრივი და სხვა პირობების გამოყენებას და ამდენად, შეუძლებლობას — მივაკუთვნოთ ასეთი წინადადება გამოგონებათა კატეგორიას.

ნამდვილად, სახელდობრ ობიექტის, რომელშიც გამოყენებულია გამოგონება, არაერთგზისი კვლავწარმოების შესაძლებლობაზე, აგებულია გამოგონებათა დაცვა ყველა ქვეყანაში.

### § 39. როგორ გამოგონებას ეწოდება დამატებითი?

გამოგონება ითვლება დამატებითად, თუ ის წარმოადგენს სხვა გამოგონების (ძირითადის) გაუმჯობესებას, რომელზედაც ადრე გაცემული იყო საავტორო მოწმობა ან არის მოქმედი პატენტი და ძირითადი გამოგონების გარეშე არ შეიძლება იქნეს გამოყენებული (დებულების 36-ე პუნქტი).

ამრიგად, გამოგონება მიიჩნევა დამატებითად იმ შემთხვევაში, როცა არსებობს სამი პირობა:

— ძირითადი გამოგონების გაუმჯობესება;

— ძირითადი გამოგონების უფლებრივი დაცვის ფაქტი (საავტორო მოწმობა ან პატენტი);

— ძირითადი გამოგონების აუცილებელი გამოყენება დამატებითის რეალიზაციისას.

ამ პირობებიდან რომელიმე მათგანის უქონლობა საშუალებას

არ იძლევა მივიჩნით გამოგონება დამატებითად. გამოგონების დამატებითად აღიარება ხაზს უსვამს ძირითადი გამოგონების მნიშვნელობას და ავტორის უპირატეს წვლილს ამოცანის ტექნიკურად გადაწყვეტაში.

**§ 40. როგორ ფორმდება განაცხადი დამატებით გამოგონებაზე?**

დამატებით გამოგონებაზე განაცხადის გაფორმება პრინციპულად არ განსხვავდება ძირითად გამოგონებაზე განაცხადის გაფორმებისაგან. ავტორობის გაფორმების წესი დამატებით გამოგონებაზე ისეთივეა, როგორც ძირითადი გამოგონების გაფორმებისას. პროტოტიპის სახით იღებენ ძირითად გამოგონებას.

თუ ძირითად გამოგონებაზე მიღებულია საავტორო მოწმობა, მაშინ დამატებითზე არ შეიძლება მოვითხოვოთ პატენტი; შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი საავტორო მოწმობის მოთხოვნა.

**§ 41. აქვს თუ არა უფლება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გააუქმოს არასწორად მიღებული გადაწყვეტილება გამოგონების საავტორო მოწმობის გაცემაზე?**

აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე დებულების 145-ე პუნქტით დადგენილია სამი წლის ვადა გამოგონებაზე პუბლიკაციის დღიდან, ხოლო თუ პუბლიკაცია არ განხორციელებულა, — სსრ კავშირის გამოგონებების სახელმწიფო რეესტრში გაცხადების შეტანის დღიდან, რომლის განმავლობაშიც ნებისმიერ საწარმოს ან ორგანიზაციას ან ცალკეულ პირს შეუძლია შეედავოს საავტორო მოწმობის გაცემის სისწორეზე იმ მოტივით, რომ დარღვეულია დებულებით დადგენილი წინადადების გამოგონებად აღიარების მოთხოვნები. განსაკუთრებულ შემთხვევებში სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ან მოადგილეს შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული სამწლიანი ვადა. როდესაც გამოგონების ავტორი ან თანაავტორები არასწორად არის აღნიშნული — ეს ვადა არ არის განსაზღვრული საავტორო მოწმობის გაცემის დღიდან.

აღნიშნული შემთხვევების დროს საავტორო მოწმობა გამოგონებაზე შეიძლება იყოს სადავო და მიჩნეულ იქნეს სრულიად ან



ნაწილობრივ გაუქმებულად. (ასეთივე წესია გამოგონებაზე პატენტის გაცემის შემთხვევაშიც).

§ 42. უნდა იქნას თუ არა გამოგონების ისეთი მასალაზე გამოგონებულად, რომელზედაც არ არის გაცემული საპატენტო მოწმობა და რა შემთხვევაშია საჭირო გამოგონებებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტის ნებართვა?

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ნებართვა ნავარაუდევ გამოგონებაზე ცნობების გამოქვეყნების შესახებ საჭიროა განაცხადზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. განაცხადზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუ მასზე არ არის გრიფი ღია პრესაში პუბლიკაციის აკრძალვაზე ან გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ შეტყობინება ამის შესახებ, ამ მასალის გამოქვეყნება ნებადართულია ჩვეულებრივი წესით.

§ 43. რას იძლევა გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტება?

საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტება აუცილებელია უპირველესად გამომგონებელთა საავტორო უფლებების და იმ ორგანიზაციების ინტერესების დაცვისათვის, რომლებსაც საექსპორტოდ გააქვთ საბჭოთა მანქანები, ხელსაწყოები, მასალები, მოწყობილობები, რომლებშიც გამოყენებულია გამოგონებები. მეორე — იგი საშუალებას იძლევა გაიყიდოს საპატენტო ლიცენზიები ჩვენს ქვეყანაში დამუშავებულ ტექნიკურ სიახლეებზე, რომლებშიც გამოყენებულია გამოგონებები. გარდა ამისა, საზღვარგარეთ დაპატენტება საჭიროა გამოგონებზე და ბაზრობებზე დემონსტრირებულ გამოგონებათა დაცვისათვის.

გამოგონებებზე პატენტები უზრუნველყოფენ მათ მფლობელთათვის გამოგონებათა გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას. დაპატენტება ერთადერთი გზაა, რომელიც განამტკიცებს გამოგონებათა მფლობელების მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, საშუალებას აძლევს მათ დაიკავონ უფრო ხელსაყრელი კომერციული პოზიციები. როგორც კი გამოჩნდება პუბლიკაცია გამოგონებაზე პატენტის გაცემაზე, დაუყოვნებლივ გამოჩნდება დაინტერესებული ფირმები. ეს კი ნიშნავს, რომ შეიძლება გამოიძენოს პატენ-

ციური მყიდველები, შეირჩეს უფრო ხელსაყრელი პარტნიორები და უზრუნველყოფილ იქნეს სალიცენზიო ხელშეკრულების უფრო ხელსაყრელი პირობები.

საბჭოთა გამოგონებების დაპატენტებისას საზღვარგარეთ აუცილებელია პატენტურიანი ობიექტების შერჩევა, მათი უფლებრივი დაცვა.

#### § 44. როგორი წესით შეიძლება და ფორმდება გამოგონებები საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის?

საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის შერჩეულ გამოგონებებზე ორგანიზაციები სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანასთან ერთად, სამინისტროში, უწყებაში წარადგენენ წინადადებებს საზღვარგარეთ მათი დაპატენტების შესახებ.

სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან განაცხადის განსახილველად მიღებაზე ცნობის მიღების შემთხვევაში, ორგანიზაცია, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე, დაუყოვნებლივ უგზავნის სამინისტროს ან უწყებას განაცხადის ასლს და შევსებულ საპატენტო პასპორტს. მასში აღინიშნება სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მინიჭებული განაცხადის ნომერი საავტორო მოწმობაზე და ამ დაპატენტების მიზანშეწონილობის ყველა აუცილებელი დასაბუთება. პასპორტს დაერთვება განცხადებული ობიექტის საპატენტო გამოკვლევაზე ცნობის ასლი, რომელიც წარედგინება სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

ავტორებს შეუძლიათ დამოუკიდებლად წარადგინონ შესაბამის სამინისტროებში ან უწყებებში წინადადებები თავიანთი გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე. ერთდროულად ისინი ადგენენ შევსებულ საპატენტო პასპორტს, განაცხადის ასლს, სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გადაწყვეტილებას საავტორო მოწმობის გაცემის შესახებ და ცნობას საპატენტო გამოკვლევაზე.

არ დაიშვება განაცხადის წარდგენა გამოგონებაზე, რომელიც შექმნილია სსრ კავშირში ან საბჭოთა მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ, თუ იგი არ არის განცხადებული სსრ კავშირში. აუცილებელ შემთხვევებში გამოგონებებისა და აღმოჩენების სა-

ქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეუძლია ნებართვის მიცემა გამოგონების დაპატენტებაზე საზღვარგარეთ, სსრ კავშირში განაცხადის შეტანამდეც, მაგრამ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს მიღებული სპეციალური გადაწყვეტილება.

ორგანიზაციის, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა წინადადებებს გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე იხილავს სამინისტროები და უწყებები. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში წინადადებები ერთი თვის ვადაში წარედგინება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს. სამინისტროებისა და უწყებების წინადადებები უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ მტკიცებას გამოგონების დაპატენტების მიზანშეწონილობაზე და დაასახელებს იმ ქვეყნებს, რომლებშიც საჭიროა გამოგონების დაპატენტება.

კონკრეტული გამოგონებების შერჩევა განისაზღვრება, პირველ რიგში, დაპატენტების მიზნით. თუ დაპატენტება წარმოებს საპატენტო ლიცენზიის გაყიდვის მიზნით, მაშინ, როგორც წესი, მიიღება გამოგონებები, რომელთა გამოყენებაც ტექნიკის ობიექტებში უზრუნველყოფს უფრო მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღებას, ვიდრე აქვს საზღვარგარეთის საუკეთესო მანქანებს, მოწყობილობებს, ხელსაწყოებს, მასალებს და ტექნოლოგიურ პროცესებს.

ექსპორტის დაცვის შემთხვევაში შეიძლება დაპატენტდეს ყველა გამოგონება, რომელიც გამოყენებულია საექსპორტო პროდუქციაში. ამასთან ერთად საექვოა ისეთი გამოგონებების დაპატენტება, რომელთა მნიშვნელობაც ობიექტში, სადაც ისინია გამოყენებული, დიდი არ არის. მაგრამ თუ ობიექტში არის რამდენიმე ასეთი გამოგონება (მთელი ბლოკი) და მათი ერთობლივი გამოყენება ამაღლებს ობიექტის მნიშვნელობას, ასეთი გამოგონებები რეკომენდებულია საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის. სამინისტროებმა, უწყებებმა უნდა დასვან საკითხი ობიექტში გამოგონებათა ბლოკის დაცვაზე და გააგზავნონ განაცხადები ერთდროულად ამ ობიექტს მიკუთვნებულ ყველა გამოგონებაზე.

ამავე დროს განაცხადების შეტანა, საზღვარგარეთ პატენტების მიღება და დაცვა დაკავშირებულია მნიშვნელოვანი სავალუტო თანხების დახარჯვასთან, ამიტომ საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ საკითხი თითოეული კონკრეტული გამოგონების დაპატენტების მიზანშეწონილობაზე.

სამინისტროებს, უწყებებს, გამოგონებათა დასაპატენტებლად ქვეყნების შერჩევის დროს სიძნელთა წარმოქმნის შემთხვევაში, შეუძლიათ მიმართონ შესაბამისი რეკომენდაციებისათვის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტს, საკავშირო (საგარეო ვაჭრობის) გაერთიანებებს და სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებს.

სამინისტრო ან უწყება დაპატენტებაზე წინადადებასთან ერთად ადგენს სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილ საპატენტო პასპორტს; განაცხადის ასლს და გამოგონების საპატენტო გამოკვლევებზე ცნობას. მთლიანი დოკუმენტაცია, რომელსაც ადგენს სამინისტრო, უწყება, ფორმდება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული საბჭოთა გამოგონებების დაპატენტების წესის შესახებ მითითებების მოთხოვნებთან ზუსტი შესაბამისობით.

საზღვარგარეთ გამოგონებაზე დამცველი დოკუმენტი მოითხოვება საბჭოთა ორგანიზაციის სახელზე ნამდვილი გამომგონებლის (გამომგონებლების) აღნიშვნით ან ნამდვილი გამომგონებლის (გამომგონებლების) სახელზე, თუ დამცველი დოკუმენტი შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით არ შეიძლება იყოს გაცემული ორგანიზაციის სახელზე.

გამოგონების დაპატენტების სამუშაოებს ატარებს შესაბამისი ორგანიზაცია, დამოუკიდებლად იმისა, პატენტი მოითხოვება მის სახელზე თუ გამომგონებლის სახელზე. დამპატენტებელი ორგანიზაცია აღინიშნება სამინისტროს, უწყების მიერ. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ერთ განაცხადზე იყოს რამდენიმე დამპატენტებელი ორგანიზაციის განცხადება, თუმცა მიწერ-მოწერა ამ შემთხვევაში მიმდინარეობს მოლაპარაკებით დანიშნულ ერთ ორგანიზაციასთან.

დამპატენტებელი ორგანიზაციისათვის ფუნქციების გადაცემის საკითხებს, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების წინადადებებით, წყვეტს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. დამპატენტებელი ორგანიზაციის შეცვლის შესახებ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ინფორმირებას უკეთებს სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატას და დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

§ 45. ვინ იღებს გადაწყვეტილებას საბჭოთა გამოგონებების  
საზღვარგარეთ დაპატენტებაზე?

გადაწყვეტილებას საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე იღებს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. არ არის საჭირო გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, როცა გამოგონება შექმნილია საბჭოთა მოქალაქის მიერ უცხოელთან თანაავტორობით (განაცხადის შეტანისათვის თანაავტორ-უცხოელის მოქალაქეობის ქვეყანაში) აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საბჭოთა ორგანიზაციები. დაპატენტება წარმოებს საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული დოკუმენტების შესაბამისად.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი დაპატენტებაზე იღებს გადაწყვეტილებას, სამინისტროებიდან, უწყებებიდან წინადადებების ყველა აუცილებელ მასალებთან ერთად მიღების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, გადაწყვეტილების მიღების გამოტანიდან ერთი კვირის განმავლობაში, ატყობინებს სამინისტროს, უწყებას, დამპატენტებელ ორგანიზაციას, სსრ კავშირის საკავშირო-სამრეწველო პალატას და საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

გამოგონების დაპატენტების უარის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილება ამ საკითხზე საბოლოოა.

§ 46. როგორ ღებავ განაცხადი საზღვარგარეთ პატენტის მიღებაზე?

საზღვარგარეთ დასაპატენტებლად გამოგონების აღწერილობის შედგენის დროს აუცილებელია განსაკუთრებული გულდასმით, ყველა იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც წაყენებულია იმ ქვეყანაში, სადაც ნავარაუდევია დაპატენტება, გადმოვცეთ გამოგონების ფორმულა. ამაზე იქნება დამოკიდებული გამოგონებაზე უფლებათა მომცველობა საზღვარგარეთ.

ასევე გულდასმით გადმოიციემა გამოგონების აღწერილობა რთლიანად. ის უნდა იყოს გასაგები, შეიცავდეს ახსნა-განმარტებებს ნახაზებზე და მაგალითებზე. აღწერილობის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ იმ ქვეყნის საპატენტო კანონების თავისებურებანი, სადაც პატენტდება გამოგონება, და სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის დებულება განაცხადების იდენტურობის შესახებ (თავდაპირველი და საზღვარგარეთ გაგზავნილი).

ნახაზები უნდა შეივსოს სპეციალურად განაცხადისათვის. არ შეიძლება წარვადგინოთ სამუშაო ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაციიდან გადმოღებული ნახაზების ასლები. არ დაიშვება ზედმეტი სქემები ნახაზებზე. ისინი უნდა გვაძლევდნენ სრულ და მკაფიო წარმოდგენას თვით გამოგონებაზე, მის ადგილზე და კავშირებზე მოწყობილობაში, რომელშიც გამოგონება გამოიყენება.

#### § 47. რა არის საპატენტო პასპორტი?

საპატენტო პასპორტი — ეს არის დასაბუთებული რეკომენდაცია გამოგონების დაპატენტების მიზანშეწონილობაზე. დგება იმ ორგანიზაციის მიერ, რომელიც შუამდგომლობს გამოგონების დაპატენტებაზე. თუმცა, რასაკვირველია, თავისთავად ამ საქმეში უნდა მონაწილეობდეს ავტორი, რომელმაც უნდა იცოდეს დაპატენტების კომერციული პერსპექტიულობა და ქვეყნები, სადაც უფრო ხელსაყრელია მოცემული გამოგონების დაპატენტება. დამპატენტებელი ორგანიზაციის მიერ შედგენილი საპატენტო პასპორტი წარედგინება სამინისტროს ან უწყებას. საპატენტო პასპორტის შედგენის წესები დაწერილებით გადმოცემულია საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე მითითებებში („ზპ-5-74“).

#### § 48. რა არის და როგორ დგება სალიცენზიო პასპორტი?

სალიცენზიო პასპორტი ძირითადი დოკუმენტია ლიცენზიის გაყიდვის საკითხის გადაწყვეტისათვის. ის დგება ლიცენზიის საგნის დამმუშავებელი საწარმოს მიერ და ამტკიცებს სამი-

ნისტრო (უწყება), რომელიც წარმოადგენს ლიცენზიის საგნის გენერალურ მიმწოდებელს.

სალიცენზიო პასპორტის ფორმა დადგენილია სპეციალური მითითებით და შეიცავს შემდეგ მუხლებს:

მუხლი 1—4 ითვალისწინებს რიგი რეკვიზიტების მითითებას — ლიცენზიის საგნის დასახელებას, ლიცენზიის საგნის შემადგენლობაში შემავალი გამოგონების დასახელებას, ლიცენზიის გაყიდვის რეკომენდაციის გამწევი ორგანიზაციის შესახებ მონაცემებს, მონაცემებს საწარმოს შესახებ, რომელიც ახორციელებს ლიცენზიის საგნის სამრეწველო წარმოებას.

მუხლი 5 უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ქვეყნის შიგნით ლიცენზიის ობიექტზე მოთხოვნების შესახებ. ვიცით რა ეს მოთხოვნა, შეიძლება მნიშვნელოვნად განვსაზღვროთ მოთხოვნები სხვა ქვეყნებშიც.

მე-6 მუხლში მითითებულია სამუშაო ტექნიკური დოკუმენტაციის მოცულობა, რომელიც მიეკუთვნება ლიცენზიის საგანს.

მე-7 მუხლში აღინიშნება დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებულია ლიცენზიის საგნის დამუშავებასთან. მასალები, რომლებსაც შეიცავენ მე-6 და-7 მუხლები, გაითვალისწინება ლიცენზიის ღირებულების განსაზღვრისას.

მე-8 მუხლში მოყვანილია მონაცემები საერთაშორისო გამოფენებზე და ბაზრობებზე ლიცენზიის საგნის ჩვენების შესაძლებლობების შესახებ, რამდენადაც ჩვენება საბჭოთა ლიცენზიების რეკლამის მნიშვნელოვანი საშუალებაა. აქ განისაზღვრება, როგორი სახით არის მიზანშეწოლილი ჩვენება (ნატურალური ნიმუში, მაკეტი, სქემა, კატალოგები და სხვ.).

მე-9 მუხლში აღინიშნება ორგანიზაცია, სამინისტრო (უწყება), რომლებიც პასუხისმგებელია ლიცენზიის საგანზე ტექნიკური და ტექნოლოგიური დოკუმენტაციისა და საექსპორტო შესრულებაში მისი თანხლები მოწყობილობის დამზადებისათვის, ტექნიკური დოკუმენტაციის შესრულების ვადები და დამზადების საორიენტაციო ღირებულება.

მე-10 და მე-11 მუხლში მიეთითება დამამზადებელი და ლიცენზიის საგნის მიმწოდებელი, დამზადების ვადები და ღირებულება და სხვ.

სალიცენზიო პასპორტს ხელს აწერს ორგანიზაციის, აგრეთვე ორგანიზაცია-თანაშემსრულებლების ხელმძღვანელი, რომე-

ლიც რეკომენდაციას უწევს გამოგონებას ლიცენზიის გაყიდვაზე, და მტკიცდება სამინისტროების (უწყებების) ხელმძღვანელების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ გენერალურ მიმწოდებლებს და თანაშემსრულებლებს.

სალიცენზიო პასპორტი შეიცავს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ლიცენზიების განყოფილების დასკვნას ლიცენზიის გაყიდვის მიზანშეწონილობაზე, რომელსაც ხელს აწერს განყოფილების გამგე.

#### § 49. რა არის ლიცენზია?

ლიცენზია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ნების დართვას“. საპატენტო ლიცენზია — ეს არის უფლების მიცემა სხვა პირებისათვის განახორციელონ და გამოიყენონ დაპატენტებული გამოგონება.

საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში ცნობილია საპატენტო ლიცენზიები და ლიცენზიები სამეცნიერო-კვლევით დამუშავებებზე („ნოუ-ხაუ“). დაუპატენტებელი ტექნოლოგიის გაყიდვაც შეიძლება, მაგრამ ყველა სხვა თანაბარ პირობებში ასეთი ლიცენზიის ღირებულება აღმოჩნდება მნიშვნელოვნად დაბალი. დაპატენტებული ტექნოლოგიის მყიდველი იძენს მონოპოლიურ უფლებას ისარგებლოს თვითონ ახალი ტექნოლოგიით. ასეთი უპირატესობის გამოა, რომ ის იხდის მეტს.

სალიცენზიო ვაჭრობის მასშტაბები იზრდება არა მარტო იმიტომ, რომ მისი წყალობით მაღალგანვითარებული ქვეყნები იღებენ დიდ მოგებას. პატენტებით ვაჭრობა ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლა-გამოცვლას და მოგებას დროში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთ ქვეყანაში ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის და შეუძლებელიცაა ჩავატაროთ ყველა დარგში სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები ერთნაირი ინტენსივობით. აი რატომ არის მიზანშეწონილი ლიცენზიების ყიდვა ტექნიკის იმ უბნებისათვის, რომელშიც ქვეყანა ჩამორჩება სხვა უფრო განვითარებულ ქვეყნებს. ასეთივე თვალსაზრისით, თითოეული ქვეყნისათვის ხელსაყრელია მიაწოდოს საერთაშორისო ბაზარს ყველაფერი საუკეთესო, რაც მის მიერ არის შექმნილი.



სალიცენზიო ვაჭრობის პრაქტიკაში გვხვდება სამი ძირითადი სახე სალიცენზიო შეთანხმებებისა: ჩვეულებრივი ლიცენზიის, განსაკუთრებული ლიცენზიის და სრული ლიცენზიის.

ჩვეულებრივი ლიცენზიის მოლაპარაკებაზე ლიცენზიარი უფლებას აძლევს ლიცენზიატს განსაზღვრული პირობებით გამოიყენოს გამოგონება ან წარმოების საიდუმლოება, ამასთან იტოვებს თვითონ, როგორც დამოუკიდებელი მათი გამოყენების უფლებას, ასევე მისცეს ანალოგიური პირობებით ლიცენზია ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირებს. პრაქტიკაში ჩვეულებრივი ლიცენზიის მოლაპარაკებაზე ხელშეკრულების დადება გავრცელება პპოვა ისეთ დარგებში, სადაც ლიცენზიის საგნები მიეკუთვნება მასობრივი წარმოების და ფართო მოხმარების სფეროს და წარმოებული პროდუქცია არ ექვემდებარება ზუსტ აღრიცხვას და, გარდა ამისა, მასზე მუდმივი მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ რამდენიმე ლიცენზიატის არსებობა ერთი ქვეყნის ბაზარზე არ შეუშლის ხელს ლიცენზიით წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ნორმალურ მიმდინარეობას. უმეტესად ამას ადგილი აქვს მედიკამენტების, საკვები პროდუქტების და ა. შ. წარმოების დარგში.

განსაკუთრებულ ლიცენზიაზე მოლაპარაკებისას ლიცენზიარი აძლევს ლიცენზიატს, შეთანხმების დათქმულ საზღვრებში, გამოგონების გამოყენებაზე განსაკუთრებულ უფლებას და უკვე არ შეიძლება წარმოადგენდეს ლიცენზიის პირობებით სხვა პირებთან (ფირმებთან, ორგანიზაციებთან) ანალოგიურს. თუმცა ეს არ აღკვეთავს ლიცენზიარის უფლებას გაცემული გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) როგორც დამოუკიდებელი გამოყენებაზე, ასევე სხვა პირებზე (ფირმებზე, ორგანიზაციებზე) ლიცენზიის გაცემაზე პირობებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან პირველი შეთანხმების პირობებს. ყველაზე ხშირად განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის პირობების შეზღუდვა მიეკუთვნება ტერიტორიებს, რომელთა საზღვრებშიც ლიცენზიატს შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლებები სალიცენზიო მოლაპარაკებით.

ასე მაგალითად, საბჭოთა გამოგონების — სამშენებლო მასალის სილიკალციტის მიღების ტექნოლოგიის ლიცენზიის გამოყენებაზე ნებართვის მიყიდვისას, იაპონიის ფირმა „სასაი კემ-

იკლ იხდასტრიზ“-თან შეთანხმებაში დათქმული იყო, რომ იყიდება განსაკუთრებული ლიცენზია იაპონიის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ლიცენზიის საგნის წარმოებისა და გასაღების უფლებაზე. ამავე დროს ლიცენზიარს — საკავშირო გაერთიანება „ლიცენზიტორგს“ ჰქონდა სალიცენზიო მოლაპარაკება ერთ იტალიურ ფირმასთან, რომლის მიხედვითაც ამ ფირმა-ლიცენზიატს ჰქონდა იტალიის ტერიტორიაზე მოხსენიებული სამშენებლო მასალის წარმოებისა და გასაღების განსაკუთრებული უფლება. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ორი მოლაპარაკება თავის პირობებში გადაცემული უფლებების განსაკუთრებულობაზე არ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს.

სრული ლიცენზიის შეთანხმების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ლიცენზიარი უთმობს გამოგონების (წარმოების საიდუმლოებას) გამოყენებაზე ლიცენზიატს სრულად ყველა უფლებას, შეთანხმების მოქმედების მთელი ვადის მანძილზე. ამასთან ერთად თვით ლიცენზიარს მთელი ამ ხნის მანძილზე ალკვეთილი აქვს გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) გამოყენების უფლება, როგორც დამოუკიდებლად, ასევე რომელიმე სახის ლიცენზიის გაცემის გზით. ამ სახით სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება გვაგონებს პატენტის მიხედვით (იმ შემთხვევაში, როცა ლიცენზიის საგანი დაპატენტებულია ან დაპატენტების სტადიაში იმყოფება) უფლებათა სრულ დათმობას (გაყიდვას). სინამდვილეში ეს ასე არ არის, რამდენადაც სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება შეიძლება იყოს დადებული განსაზღვრული ვადით (5, 8, 10 წელი), როგორც ეს მიღებულია სალიცენზიო ვაჭრობის პრაქტიკაში და აშ ვადის გასვლის შემდეგ ლიცენზიარს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს ლიცენზიის საგანი (დაშოუკიდებლად დადოს ახლი შეთანხმება იმავე ან სხვა ლიცენზიატთან და ა. შ.). და ბოლოს; სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება შეიძლება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი მოქმედებით, ე. ი. გაუქმებული პირობებით, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს თვით მოლაპარაკება. ამრიგად, სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკებაც საჭიროა განვასხვავოთ ე. წ. პატენტის გაყიდვისაგან, როცა ლიცენზიარი სრულად და თუ შეიძლება ასე ითქვას, სამუდამოდ უთმობს გამოგონებაზე ყველა უფლებას. ეს განსხვავება საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რამდენადაც სპეციალისტები ზოგჯერ ერთ დონეზე აყენებენ სრული ლიცენზიის მოლაპარაკებასა და ე. წ. „პატენტის გაყიდვას“. საჭიროა აგრეთვე ვიქონიოთ მხედვე-

ლობაში, რომ სრულ ლიცენზიაზე შეთანხმებები დაიდება ჩვეულებრივ იმ შემთხვევებში, როცა ლიცენზიარს არა აქვს საჭირო პირობები დამოუკიდებლად გამოგონების პრაქტიკული გამოყენებისათვის და აგრეთვე არა აქვს რეალური შესაძლებლობები გამოგონების რეალიზაციისათვის კომერციულ სამუშაოთა ჩასატარებლად, როგორც თავისი ქვეყნის ბაზარზე, ასევე სხვა ქვეყნებისაზეც; და ამ შემთხვევაში ის უთმობს ამ უფლებას რომელიმე ერთ ლიცენზიატს, რომელსაც აქვს ამისათვის შესაბამისი პირობები. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში და აგრეთვე საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ გამოყენებაზე ლიცენზიის გაყიდვის პრაქტიკაში ყველაზე დიდი გავრცელება მიიღო განსაკუთრებული ლიცენზიების შეთანხმებებმა. ეს აიხსნება რამდენიმე ვითარებით, რომლებიც აძლევენ ერთდროულად სარგებლობას როგორც გამყიდველს, ასევე მყიდველსაც.

უპირველესად, მყიდველი, როგორც წესი, დაინტერესებულია იმით, რომ ლიცენზიის საგნის პრაქტიკულად გამოყენებისას არ შეეჩახოს ბაზარზე კონკურენციას. ასეთი შესაძლებლობა უზრუნველყოფილია მისთვის განსაკუთრებული ლიცენზიით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია დასაპატენტებელ გამოგონებებზე. ამასთანავე გამყიდველი, ქმნის რა მყიდველისათვის ლიცენზიის საგნის რეალიზაციის ასეთ კეთილნაყოფიერ პირობებს, ითვალისწინებს ამ გარემოებას ლიცენზიის ღირებულების განსაზღვრისას, რომელიც ყველა სხვა ერთნაირი პირობების შემთხვევაში ყოველთვის მნიშვნელოვნად მაღლა დგას განსაკუთრებულ ლიცენზიაზე მოლაპარაკების შემთხვევაში.

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება შემთხვევები ერთ მოლაპარაკებაში განსაკუთრებულ ლიცენზიაზე პირობების და ჩვეულებრივ ლიცენზიაზე პირობების შეხამებისა. თუმცა სალიცენზიო შეთანხმებების დადებისას სხვა ქვეყნების ფირმებთან და ორგანიზაციებთან საკმარისი არ არის მითითება იმაზე, როგორი სახის ლიცენზია არის გადაცემული (განსაკუთრებული თუ ჩვეულებრივი). აუცილებელია შეთანხმების პირობებში ზუსტად განისაზღვროს გადაცემულ უფლებათა მოცულობა და ხასიათი.

## რაციონალიზატორული წინადადება

§ 1. რა არის რაციონალიზატორული წინადადება და რა მოთხოვნებია წაყენებული მის მიმართ?

რაციონალიზატორულ წინადადებად ითვლება ისეთი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც სიახლეს წარმოადგენს და სასარგებლოა წარმოებისათვის, ორგანიზაციისა ან დაწესებულებისათვის, სადაც ის არის წარდგენილი და ათვალისწინებს ნაკეთობის კონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტექნიკის ან მასალის შედგენილობის შეცვლას; აგრეთვე ისეთი წინადადებები, რომლებიც აუმჯობესებს გამოყენებულ ტექნიკას (მანქანებს, მოწყობილობებს, ინსტრუმენტებს, აპარატებს, აგრეგატებს და ა. შ.), გამოშვებულ პროდუქციას, წარმოების ტექნოლოგიას, კონტროლის, დაკვირვებისა და გამოკვლევების ხერხებს, უსაფრთხოების ტექნიკას და შრომის დაცვას ან ზრდის შრომის ნაყოფიერებას, საშუალებას იძლევა უზურო ეფექტურად გამოვიყენოთ ენერჯია, მოწყობილობა, მასალები.

რაციონალიზატორული წინადადება უნდა შეიცავდეს ამოცანის (ტექნიკის, პროდუქციის, ტექნოლოგიის და ა. შ. გაუმჯობესება) არა უბრალოდ დაყენებას, არამედ დასაბუთებულ ტექნიკურ გადაწყვეტას და არ უნდა იმეორებდეს იმას, რაც ადრე გამოიყენებოდა და გამოიყენება, დამუშავდა ან უკვე იყო წამოყენებული, გათვალისწინებული მოქმედი ნორმატივებით (ტექნიკური პირობები, სტანდარტები და სხვა.) ან რეკომენდებული ზემდგომი ორგანოების მიერ. ამ ნიშნებით რაციონალიზატორული წინადადების ავტორი იმკვიდრებს საავტორო უფლებას იმ საწარმოს ფარგლებში, სადაც წამოყენებულია წინადადება. ეს არ ართმევს საავტორო უფლებას პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად წამოაყენებენ ანალოგიურ ტექნიკურ გადაწყვეტას სხვა საწარმოში. თუკი ზემდგომი ორგანოების რეკომენდაციებში არის მხოლოდ ამოცანის დაყენება, მაგრამ არ არის მისი ტექნიკური გადაწყვეტა, მაშინ წინადადება, რომელიც შეიცავს იმ გადაწყვეტას, ჩაითვლება რაციონალიზატორულად.

გარდა ამისა, რაციონალიზატორული წინადადება უნდა იყოს ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) დამოუკიდებელი მუშაობის შედეგი ან საწარმოს კონკრეტული პირობების შესაბამისი სხვა სა-

წარმოების მუშაობის გამოცდილებიდან ან ლიტერატურიდან გამო-  
ყენებული დამოუკიდებლად გადამუშავებული ტექნიკური გადაწყ-  
ვეტა. ამრიგად, რაციონალიზატორული წინადადება ხასიათდება  
ტექნიკური შემოქმედების ელემენტებით, უნდა იყოს სასარგებლო,  
იძლეოდეს ეკონომიკურ ან სხვაგვარ დადებით ეფექტს.

გამოგონებისაგან განსხვავებით, რაციონალიზატორული წი-  
ნადადებისათვის საკმარისია, რომ იგი წარმოადგენდეს სიახლეს ტექ-  
ნიკის ადგილობრივ დონესთან შედარებით, ჰქონდეს ლოკალური  
ხასიათი.

რაციონალიზატორული წინადადება ითვლება ახალ წინადა-  
დებად საწარმოსათვის, ორგანიზაციისა ან დაწესებულებებისა-  
თვის, სადაც ის არის შეტანილი, თუ განცხადების შეტანამდე მო-  
ცემული ან ასეთივე გადაწყვეტა არ გამოიყენებოდა ამ საწარმოში,  
ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში (გარდა შემთხვევებისა, როდეს-  
აც გადაწყვეტა გამოიყენებოდა ავტორის ინიციატივით არანაკ-  
ლებ 3 თვისა განცხადების შეტანამდე); არ იყო გათვალისწინებუ-  
ლი ადმინისტრაციის ბრძანებით ან განკარგულებით; არ იყო დამუ-  
შავებული ამ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ტექნი-  
კური სამსახურის მიერ ან არ იყო განცხადებული სხვა პირის მიერ,  
რომელსაც ეკუთვნის პირველობა განცხადების მიცემის თარიღით;  
არ იყო რეკომენდებული ზემდგომი ორგანიზაციის მიერ ან გამო-  
გამოქვეყნებული საინფორმაციო გამოცემებში მუშაობის მოწინა-  
ვე გამოცდილებათა გავრცელებისათვის მოცემულ დარგში; არ  
არის გათვალისწინებული საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და და-  
წესებულებისათვის აუცილებელი ნორმატივებით (სტანდარტები,  
ნორმალები, ტექნიკური პირობები და სხვ.).

## § 2. როგორ განისაზღვრება რაციონალიზატორული წინადადების პირველობა?

დებულების თანახმად, რაციონალიზატორული წინადადების  
პირველობა განისაზღვრება საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესე-  
ბულებაში მისი შეტანის თარიღით. პირველობა განისაზღვრება  
ავტორზე, რომელმაც პირველმა შეიტანა დადგენილი წესით წინა-  
დადება, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ წინადადება თავდაპირველად  
უსაფუძვლოდ იყო უარყოფილი და ეს უარყოფა არ იყო ავტორის  
მიერ გასაჩივრებული (დებულების 74-ე პუნქტი). თუ საწარმოში  
არსებობს წინადადებების სარეგისტრაციო ქურნალები, მაშინ ასეთი

რეგისტრაციის თარიღი იქნება კიდევ საწარმოში წინადადების შემოსვლის დადასტურება, მაშასადამე, მისი პრიორიტეტის თარიღი.

§ 3. რა სახის წინადადებები არ ჩაითვლება რაციონალიზატორულად?

რაციონალიზატორულ წინადადებად არ ჩაითვლება წინადადება, რომელიც:

— დაბლა სწევს პროდუქციის ხარისხს, საიმედოობას, ხანგამძლეობას ან სხვა მაჩვენებლებს, აუარესებს შრომის პირობებს, მუშაობის ხარისხს და სხვა;

— მხოლოდ სვამს ამოცანას ან განსაზღვრავს მოსალოდნელ ეფექტს, რომელიც შეიძლება იქნეს მიღებული წინადადების გამოყენებით, კონკრეტული ტექნიკური გადაწყვეტის ჩვენების გარეშე;

— გადმოღებულია საინფორმაციო წყაროებიდან ან ლიტერატურიდან, აგრეთვე სხვა საწარმოთა გამოცდილებიდან დამატებითი კონსტრუქციული ან ტექნოლოგიური დამუშავების გარეშე საწარმოს არსებულ პირობების შესაბამისად;

— ითვალისწინებს ნაწარმის, წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტექნიკის ცნობილი კონსტრუქციების ან მასალების ტოლფასი და აღნიშნულ დარგში ცნობილით შეცვლას;

— იძლევა დადებით ეფექტს ორგანიზაციულ და არა ტექნიკური ხასიათის ღონისძიებათა გამოყენების შედეგად;

— მიეკუთვნება მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდებს (დაგეგმვა, დაფინანსება და სხვ.), აღზრდის, სწავლების, კვლევის, პროექტირების მეთოდებს, აგრეთვე საინფორმაციო სისტემებს;

— მიეკუთვნება პირობით აღნიშვნებს, განრიგებს, თამაშის წესებს, საგზაო მოძრაობას, ნაოსნობას და სხვა;

— ითვალისწინებს საწარმოო დანადგარების განლაგებას შენობა-ნაგებობებში, თუ მას არ მოსდევს ტექნოლოგიური პროცესების ან კონსტრუქციის შეცვლა;

— მიეკუთვნება სკალების, ცხრილების, დიაგრამების, გრაფიკების, ნომოგრამების შედგენას, თუ მას არ მოსდევს მათი შემცველი ხელსაწყოების კონსტრუქციების შეცვლა;

ითვალისწინებს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას (სამუშაო ადგილის მდგომარეობის გაუმჯობესება, სა-

წარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის მოწესრიგება, ანგარიშგება, სამუშაოს გრაფიკის და დანადგარების ან სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების გრაფიკის შეცვლა, ტვირთის მიწოდების დროის შემცირება და სხვ.);

— შეიცავს ამოცანის მათემატიკურ გადაწყვეტას, კერძოდ, ალგორითმს, პროგრამას ელექტროგამომთვლელი მანქანისათვის, თუ მას არ მოსდევს კონსტრუქციული თვისებების ცვლა, მათ შორის ისეთების, რომელთა არსებობა გათვალისწინებულია ალგორითმის თვისებებით, რომლებაც განაპირობებენ ეგმ-ის რესურსების ორგანიზაციასა და განაწილებას ან ტექნოლოგიის შეცვლას, რომელსაც ახასიათებს ინფორმაციის მატერიალური მატარებლის მიმართ განსაზღვრული რიგი მოქმედების ჩატარება მატერიალური ობიექტების მეშვეობით. ამასთან მატერიალური მატარებლის ქვეშ იგულისხმება ობიექტები, რომლებზედაც ფიქსირდება ინფორმაცია (მაგნიტური ფირები, მაგნიტური დისკოები და სხვა.).

#### § 4. როგორია რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადების შეტანისა და განხილვის წესი და ვალდებუ?

განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე შეიტანება იმ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, რომლის პროფილსაც მიეკუთვნება წინადადება, დამოუკიდებლად იმისა, მუშაობს თუ არა ავტორი იმ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში.

თუ შეიძლება წინადადების გამოყენება სხვადასხვა საწარმოში ან დაწესებულებაში, ავტორს შეუძლია შეიტანოს განცხადება სამინისტროში, რომელსაც ექვემდებარება ეს საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება. ამ შემთხვევაში სიახლე განისაზღვრება ზემოთ ჩამოთვლილი წესების შესაბამისად.

საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელიც მიიღებს გამოსაყენებლად წინადადებას და, მათი აზრით, წარმოადგენს ასევე საინტერესოს სხვა საწარმოსათვის, ორგანიზაციისა ან დაწესებულებისათვის, ვალდებულია სამი თვის ვადაში გააგზავნოს წინადადებასთან დაკავშირებული მასალები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში (დებულების ნმ-ე პუნქტი).

საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, სამინისტრო ან უწყება, მიიღებს რა განსახილველად წინადადებას, ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს ის და ავტორის თხოვნით ხუთი დღის განმავ-

ლობაში გასცეს ან გაუგზავნოს ავტორს ცნობა, რომელიც ამტკიცებს ფაქტს და განცხადების შეტანის თარიღს (დებულების 69-ე პუნქტი).

რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადება განხილული უნდა იყოს საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში და მასზე უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება 15 დღის განმავლობაში, ხოლო სამინისტროში ან უწყებაში ეს ვადა შეადგენს 1,5 თვეს განცხადების მიღებიდან.

რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მასზეა დამოკიდებული რაციონალიზატორების მიერ შექმნილი ტექნიკური გადაწყვეტის შემდგომი ბედი. თითოეული რაციონალიზატორული წინადადების განხილვის დროს წყდება უფლებრივი, ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის საკითხები.

მიღებული განცხადება წინადადების სარგებლიანობისა და სიახლის დასკვნაზე წინასწარი შესწავლის შემდეგ განსახილველად ეგზავნება ტექნიკურ სამსახურს. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება საკითხები, რომლებიც მოითხოვს კოლეგიურ და კვალიფიციურ განხილვას ან ეხება, მაგალითად, დავის დროს წინადადების ტექნიკურ არსს, რაციონალიზატორული წინადადების მასალები განიხილება ტექნიკურ საბჭოზე.

რაციონალიზატორულ წინადადებაზე აუცილებელი დასკვნის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს სამი სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილება: წინადადების რაციონალიზატორულად აღიარება და გამოსაყენებლად მიღება (ეს იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადება მკაფიოა, უდავოა და არ მოითხოვს საცდელ შემოწმებას); რაციონალიზატორული წინადადების საცდელი შემოწმება (საცდელი შემოწმების ჩატარების შემდეგ 15 დღის განმავლობაში ავტორს ეცნობება მიღებული გადაწყვეტილება); რაციონალიზატორული წინადადების უარყოფა (უარყოფის მოტივები გარკვეულად უნდა იყოს ფორმულირებული და ეცნობოს ავტორს).

#### § 5. როგორ ფორმდება განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე?

რაციონალიზატორული წინადადების, ისევე როგორც გამოგონების უფლებრივი დაცვის აუცილებელ პირობად ითვლება მისი



სწორად გაფორმება. კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ რაციონალიზატორული წინადადება უნდა იყოს წერილობითი განცხადების ფორმით, ამ წინადადების არსის აღწერით, აუცილებელ შემთხვევებში ნახაზების, სქემების, ესკიზების დართვით (დებულების 67-ე პუნქტი). ეს მოთხოვნა კონკრეტიზებულია მითითებებით, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ განცხადება უნდა იყოს გაფორმებული ავტორის (თანაავტორების) მიერ ფორმა № რ-1 ბლანკზე. თუ რამდენიმე ტექნიკური გადაწყვეტა მიმართულია ერთი და იგივე ობიექტის გასაუმჯობესებლად, თითოეული მათგანი ფორმდება ცალკე განცხადებით. ერთ განცხადებაში რამდენიმე ტექნიკური გადაწყვეტა შეიძლება იყოს გაერთიანებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ემსახურებიან ერთობლივ მიზანს და შეიძლება იყვნენ გამოყენებული ერთობლივად.

განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს წინადადების დასახელება, ჩამოითვლება ყველა თანაავტორი და აღინიშნება ცნობები მათ შესახებ (გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა, განათლება, პარტიულობა, დაბადების წელი). ჩვეულებრივ, განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე შეაქვთ პირებს, რომლებიც მუშაობენ მოცემულ საწარმოში; თუ კი ავტორი არ წარმოადგენს ამ საწარმოს მუშაკს, მაშინ განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს მისამართი, რომლის მიხედვითაც იწარმოებს წინადადებასთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა.

განცხადების ნაწილში „წინადადების აღწერილობა“ გადმოცემული უნდა იყოს: კონსტრუქციის გაუმჯობესების მიზანი, მასალის შემადგენლობის ტექნოლოგია ან შეცვლა: ტექნიკური გადაწყვეტის შინაარსი, ე. ი. მონაცემები, რომლებიც საკმარისია მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის; ცნობები ეკონომიკური ან სხვაგვარი დადებითი ეფექტის შესახებ. საჭიროა აღინიშნოს, რომ მითითებები ფორმულირებას იძლევიან წინადადების აღწერის მიმართ ყველაზე საერთო სახით. ამიტომ რიგი საწარმოების პრაქტიკაში შემუშავებულია აღწერილობის სტრუქტურა, რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს განცხადებას, რომელიც შეტანილია მოცემულ საწარმოში. მაგალითად, ერთი ასეთი აღწერილობის სტრუქტურა, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

1. რაციონალიზატორული წინადადების ობიექტის დასახელებას;
2. წინადადების შეტანამდე გამოყენებული ტექნიკის ობიექტის მოკლე აღწერილობას;

3. გამოყენებული ობიექტის ნაკლოვანებებს, რომლებიც აღმოიფხვრება განცხადებული წინადადებით;

4. ავტორის მიერ შემოთავაზებულ ტექნიკურ საშუალებებს ადრე გამოყენებული ტექნიკის ობიექტის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. ავტორის მიერ შემოთავაზებული ობიექტის ტექნიკურ, ეკონომიკურ ან სხვაგვარ უპირატესობებს გამოყენებულთან შედარებით;

6. რაციონალიზატორული წინადადების საგანს.

რასაკვირველია, ობიექტის სპეციფიკის და დარგების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წინადადების აღწერილობის სხვა სტრუქტურებიც.

წინადადების აღწერილობა იმდენად სრულად და მკაფიოდ უნდა გადმოსცემდეს გადაწყვეტის არსს, რომ აღწერილობის მიხედვით შესაძლებელი იყოს განხორციელება, წინადადების რეალიზება. პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება უკიდურესობანი: რაციონალიზატორისაგან თხოულობენ გადაწყვეტის ან დეტალურ დამუშავებას (კონსტრუქციულს ან ტექნოლოგიურს), ან, პირიქით, იღებენ აშკარად დაუმუშავებელ წინადადებებს, როცა აღწერილობიდან გაუგებარია მისი არსი ცკ.

აუცილებელ შემთხვევებში განცხადებას უნდა დაერთოს გრაფიკული მასალები — ნახაზები, სქემები ან ესკიზები, ილუსტრირების დონე დამოკიდებულია ობიექტის არსისაგან: მაგალითად, თუ რაციონალიზატორული წინადადება ეხება ტვიფრის კონსტრუქციის სრულყოფას — აუცილებელია ნახაზები; თუ ლაპარაკია მარტივ მოწყობილობაზე — მაგალითად, მფარავ გარსაცმზე, დამცველ ფარზე, საკმარისია ესკიზი; სქემა შეიძლება იყოს საკმარისი ახლის, გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესის არსის განმარტებისათვის.

ზუსტად ასევე, წინადადების არსის განმარტებისათვის და კონკრეტულად — მისი სარგებლიანობის განმარტებისათვის, განცხადებას შეიძლება დაერთოს ავტორის მიერ გაკეთებული ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებანი.

განცხადებას ხელი უნდა მოაწეროს ყველა ავტორმა.

ავტორების თხოვნით საწარმომ ან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო ჯანჯანდოების ადგილობრივმა ორგანომ უნდა აღმოუჩინოს ავტორს დახმარება განცხადების გაფორმებაში (აღწერილობის შედგენაში, გრაფიკული მასალების დამზადე-

ბაში, ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების და მის წარმოებაში).

§ 6. ვის აქვს უფლება გადაწყვიტოს რაციონალიზატორულია თუ არა წინადადება?

ორგანიზაციაში შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებებზე გადაწყვეტილებები მიიღება ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ. დიდ ორგანიზაციებში რაციონალიზატორული წინადადების განხილვისა და მათი გამოყენების დაჩქარებისათვის ეს საკითხები შეიძლება გადაწყვიტოს ქვეგანყოფილებების (განყოფილებათა, საანჭროთა და ა. შ.) ხელმძღვანელებმა, რომლებსაც ორგანიზაციამ ბრძანებით დააკისრა ეს მოვალეობა.

წარმოების, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელის, მისი მოადგილის, მთავარი ინჟინრის, მთავარი ინჟინრის მოადგილის მიერ მუშაობის ადგილზე ან დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებებს განიხილავს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ასეთი წესი მოქმედებს ისეთი წინადადებების მიმართაც, რომლებიც შეიტანეს აღნიშნულმა მუშაკებმა სხვა პირებთან თანავეტორობით.

სახალხო მეურნეობის რიგი დარგებისათვის მნიშვნელოვან წინადადებებზე გადაწყვეტილება მიიღება სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს საქმე ექნება დავალებული.

წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებასა და მის გამოსაყენებლად მიღებაზე გადაწყვეტილების შესახებ მოწმობა ავტორს მიეცემა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი ფორმით.

თანავეტორობის შემთხვევაში რაციონალიზატორულ წინადადებებზე მოწმობა გაიცემა თითოეულ თანავეტორზე. მოწმობა გაიცემა იმ ორგანიზაციის, სამინისტროსა ან უწყების მიერ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებისა და მის გამოსაყენებლად მიღებაზე.

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვე-

განყოფილების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებათა რაციონალიზატორულად კვალიფიცირების შემთხვევაში საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 1975 წლის 15 მაისის № 1 განმარტებით „ზოგიერთი საკითხის შესახებ, რომელიც ეხება სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვედანაყოფების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებების რაციონალიზატორულად მიჩნევის, აგრეთვე მათი შემოტანის წესის შესახებ.

#### § 7. რა არის რაციონალიზატორული წინადადების დეკლარაცია?

დეკლარაცია — ეს შეცდომების შესწორების საშუალებაა, რომელიც დაშვებულია წინადადებების განხილვისა და პათი კვალიფიკაციის დროს. ხდება, რომ გაიცემა მოწმობა წინადადებაზე. რომელიც არ პასუხობს რაციონალიზატორული წინადადების ნიშან-თვისებებს, ანდა მიეცემა პიროვნებას, ვასი წინადადებაც არ ფლობს პირველობას. ამ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელო საკუთარი ინიციატივით ან სხვა ორგანოების წარდგენით — სახალხო კონტროლის, საფინანსო და მისთანების, ან მოქალაქეთა განცხადებების გამო გადასინჯავს წინადადებას და გამოაქვს გადაწყვეტილება წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევაზე წინაგადაწყვეტილების გაუქმების საფუძველზე, რის შემდეგ აღრე გაცემული მოწმობა ძალადაკარგულად იქცევა.

#### § 8. არსებობს თუ არა რაციონალიზატორული წინადადების გაფორმებაზე განსაკუთრებული წესები და დამატებითი მოთხოვნები, როცა იგი შეიბანება სამინისტროში?

თუ შეიძლება წინადადების გამოყენება სხვადასხვა საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, ავტორს შეუძლია შეიტანოს განცხადება იმ სამინისტროში, რომლის გამგებლობაშიც იპყრება ეს საწარმოები და ორგანიზაციები (დებულების

ნმ-ე პუნქტი). არავითარი დამატებითი მოთხოვნები ასეთი წინადადების გასაფორმებლად არ არსებობს. ისე რომ, სამინისტროში რაციონალიზატორული წინადადების შეტანისას გაფორმდება ის ჩვეულებრივი წესით განცხადების ფორმა № რ-1 დადგენილბლანკზე. დაემატება მხოლოდ სამინისტროს ან უწყების მისამართი.

**§ 9. რა სახის ტიპური ფორმები გამოიყენება რაციონალიზატორული წინადადების გაფორმებისათვის?**

განცხადების ან სხვა დოკუმენტის გაფორმების დროს, რომელიც ეხება რაციონალიზატორულ წინადადებას, გამოყენებული უნდა იქნეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წარმოება-დაწესებულებების, სამინისტროებისა და უწყებებისათვის დაწესებული დოკუმენტაციის პირველადი აღრიცხვის საუწყებო-თაშორისო ტიპური ფორმები: (ფორმა № რ-1 — განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, ფორმა № რ-2 — წინადადების გამოყენების აქტი, ფორმა № რ-3 — წინადადების მიღების ცნობა, ფორმა № რ-4 — რაციონალიზატორულ წინადადებათა განცხადებების რეგისტრაციის ეურნალი, ფორმა № რ-5 — რაციონალიზატორის (გამომგონებლის) ბარათი და ფორმა № რ-6 — რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების შიშხადების, დაუშავებისა და გამოყენების გრაფიკები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ და ფორმები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ (გასამრჯელოს თანხის გაანგარიშება-დასაბუთების ფორმა რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც არ ქმნის ეკონომიას — დანართი 7; მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე — დანართი 8). ყველა ფორმა ივსება გელნით (ან მანქანური ტექსტით მკაფიოდ, გარკვევით, შესწორებების გარეშე).

დანართი № 1

ტიპური საუწყებთაშორისო ფორმა  
№ რ-1

დამტკიცებულია

სსრ კავშირის ცსს 1976 წლის 18  
აგვისტოს № 681 ბრძანებით

\_\_\_\_\_ ხელმძღვანელს  
ორგანიზაციის, დაწესებულე-  
ბის დასახელება

რეგისტრირებული № _____ " _____ 198 წ.
---

ავტორის (თანაავტორის) გვარი, სახელი და მამის სახელი	სამსახურის ან სა- ცხოვრებელი ბინის ადგილი	თანამ- დებობა	განათ- ლება	პარტი- ულობა	დაბად. წელი

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

რაციონალიზატორულ წინადადებაზე

კთხოვთ განიხილოთ წინადადება სათაურით: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(რაციონალიზატორული წინადადების მოკლე დასახელება)

\_\_\_\_\_

მიწნეულ იქნეს იგი რაციონალიზატორულად და მიღებულ იქნეს გამოსაცდელად  
წინადადების აღწერა

(დაიწეროს გარკვევით, შესწორების გარეშე)

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

დამატებითა ცნობები წინადადებებზე \_\_\_\_\_

(აღნიშნოს სად და როდის მიაწოდა ადრე ავტორმა (თანაავტორებმა)

ასეთივე წინადადება და მასზე მიღებული გადაწყვეტლება)

---

---

---

ვამტკიცებ (ვამტკიცებთ), რომ ნამდვილად ვარ მოცემულა წინადადების ავტორი (თანაავტორები).

ჩემთვის (ჩვენთვის) ცნობილია, რომ წინადადება თუ მიჩნეული იქნება საიდუმლოდ, მე (ჩვენ) ვალდებულვას ვაღებ (ვალდებთ) დაეიცვა (დაეიცვათ) საიდუმლოების წესები, მათ შორის აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დებულებით გათვალისწინებული წესები.

თან ერთდეს: ა) გრაფიკულა მასალეზა (ესკიზები), ნახაზები, სქემები, გრაფიკები და სხევა \_\_\_\_\_ ფურცელზე.

ბ) ტექნიკურ-კონსტრუქციური გაანგარიშება, დასაბუთება და მისთ. \_\_\_\_\_ ფურცელზე

გ) დანარჩენი მასალეზი \_\_\_\_\_ ფურცელზე.

სულ \_\_\_\_\_ ფურცელი.

„\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 198 წ.

ავტორი  
(თანაავტორები): \_\_\_\_\_  
(ხელმოწეზა)

დასკვნები წინადადებაზე

ა) ძირითადი საწარმოო ქვეგანყოფილის (სამქრო, სამშენებლო უბანი, აგრო-განყოფილება და ა. შ.)

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

„\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 198 წ. თანამდებობა (ხელმოწერა)

ბ) სხვა ქვეგანყოფილების (მთ. მექანიკოსის განყოფილება, საკონსტრუქტორო ბიურო და ა. შ.)

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

„\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 198 წ. თანამდებობა (ხელმოწერა)





ტაქური საუწყებთათმორისო ფორმა № რ-4

დამტკიცებულია სსრ კავშირის ცსს 1976  
წლის 18 აგვისტოს № 681 ბრძანებით

უწყება, ორგანიზაცია, დაწესებულება \_\_\_\_\_

(სამქრო, სამშენებლო უბანი, განყოფილება და ა. შ.)

რაციონალიზატორულ წინადადებებზე განცხადებების  
რეგისტრაციის

შუენალი

დაწყება „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 198 წ. დამთავრება „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 198 წ

№ \_\_\_\_\_ დან

№ \_\_\_\_\_ მღე

ქურნალი შედგება \_\_\_\_\_ გვერდისაგან





ტიპური საუწყებთათაშორისო ფორმა № რ-3  
დამტკიცებულია სსრ კავშირის ცსს 1976 წ.  
18 აგვისტოს № 681 ბრძანებით

უწყება, ორგანიზაცია, დაწესებულება \_\_\_\_\_  
განყოფილება, სამქრო, სამშენებლო უბანი და ა. შ. \_\_\_\_\_

წინადადების მიღების ცნობა

„\_\_\_\_\_“ 198 წ. მოქ. \_\_\_\_\_

გვარი, სახელი, მამის სახელი ავტორის (თანავტორების)

მიღებულია წინადადება, რეგისტრირებულა №\_\_\_\_\_, დასახელებით

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

წინადადებასთან ერთად მიღებულია:

ნახაზები (ესკიზები) \_\_\_\_\_ ფურცელზე

ნამუშები (მოდელი) \_\_\_\_\_ ცალი

სხვა დოკუმენტები \_\_\_\_\_ ფურცელზე

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის  
განყოფილების უფროსი

(საპატენტო განყოფილების უფროსი,  
საგამომგონებლო და რაციონალიზატორული  
საქმიანობის რწმუნებული)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

„\_\_\_\_\_“ 198 წ. წ. \_\_\_\_\_

ტელური საუწყებათაშორისო ფონმა № 4-5  
 ლამტკიცებულა სსრ კავშირის ცსს 1976 წ.  
 18 აგვისტოს № 681 ბრძანებით

შეუბა, ორგანიზაცია, დასწესებულება \_\_\_\_\_  
 საამქრო, სამსახურბლო უბანი, განყოფილება და ა. შ. \_\_\_\_\_

რამცირენალრაზატორის (რამორგონებალის) ბარათი

გვარი \_\_\_\_\_ სახელი \_\_\_\_\_ მამის სახელი \_\_\_\_\_  
 დაბადების წელი \_\_\_\_\_ ბარტეულიობა \_\_\_\_\_ განათლება \_\_\_\_\_  
 თანამდებობა \_\_\_\_\_ ტბელის № \_\_\_\_\_  
 მოსამსახურე, მუშა, საინჟინრო-ტექნიკური მუშაკი (ბაზი გაუსეთ)

№	წინადადების შემოტანის თარიღი	წინადადების რეგისტრაციის ნომერი	წინადადების დასახელება	წინადადების გამოყენების თარიღი	წლური კონომკა ათ. მან.	გაკმეული გასამრჩეულის თახხა-(მან.)	რაციონალიზატორული წინადადების მოწოდების გაცემის თარიღი და ნომერი ან გამოკონების საცემორო მოწოდების ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8

იბეძლება შეიარე გვერდზე ტბტულის გარეშე

უწყება, ორგანიზაცია, დაწესებულება  
სააგრო, სამშენებლო უბანი, განყოფილება

დასასრული № 5  
ტ.უბრი საუწყებთათმომისო ფორმა № 6-6 დამტკიცებულია  
სსრ კავშირის 1976 წლის 18 აგვისტოს № 681 ბრძანებით

ვამტკიცებ:

ორგანიზაციის (უწყების) დაწესებულების ხელმძღვანელი

(ხელმოწერა)

198 წ.

გ რ ა ფ ი ტ ი

რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოკონების მომხადებს, დამუშავებისა  
და შემოწმების

წინადადების ან საავ- ტორი მოწოდების №	ავტორის (თანაავტო- რების) გვარი, სახე- ლი, მამ.ს სახელი	ეტაპის დასახელება და სამუშაოს მო- ცულობა	უბანი, სადაც გა- თვალისწინებულია სამუშაო ეტაპის რეალიზაცია	უქრულებს ვალა	უქრულება- ზე-ვასუბს- მგებელი	უნიშვნა

და ა. შ. ბოლომდე

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილების გამგე (საპა-  
ტენტო განკ. გამგე რაციონალიზაციისა და საგამომგონებლო საქმი-  
ანობის რწმუნებული) (ხელმოწერა)

198 წ.

იბეჭდება უანა გვერდზე სათაურის გარეშე, თა-  
რალი და ხელმოწერა იბეჭდება უანა გვერდზე.

ტიპური საუწყებთათმორისო ფორმა № რ-2  
დამტკიცებულია სსრ კავშირის ცსს 1976  
წლის 18 აგვისტოს № 681 ბრძანებით

საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება

წინადადების ბამოყენების

ა ტ ი

„\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 198 წ.

რეგისტრაციის ნომერი (რაციონალი-  
ზატორული წინადადების ან სააეტო-  
რო მოწმობის) \_\_\_\_\_

წინადადების დასახელება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

გამოყენებულია „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 198 წ. \_\_\_\_\_  
(სად)

რაციონალიზატორული, წინადადების აღწერის ან გამოგონების ფორმულის შესაბამისად

საწარმოს, ორგანიზაციის  
დაწესებულების ხელმძღვანელი  
(საამქროს უფროსი) \_\_\_\_\_

ხელმოწერა

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილების  
უფროსი

კომისიის წევრები: (საპატენტო განყოფილების უფროსი,  
რაციონალიზაციისა და საგამომგონებლო  
საქმიანობის რწმუნებული

\_\_\_\_\_ ხელმოწერა  
\_\_\_\_\_ ხელმოწერა

წინადადების გამოყენების დაწყებას გავეცანი (გავეცანით)

ავტორი (თანავტორები) \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ 198 წ.



წინამდებარე ფორმა გამოიყენება შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრკ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1974 წ. 15 იანვარს დამტკიცებული ინსტრუქციის — გასამრჩელოს ოლენობის განსაზღვრის შესახებ იმ გამოგონებებზე და რაკონაწარმოებულ წინადადებაზე, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან—1-ლ და მე-2 პუნქტებში; ან აღნიშნულ გამოგონებებზე და რაკონაწარმოებულ წინადადებაზე საერთორო გასამრჩელოს ინსტრუქციის შესაბამისად გაანგარიშების დროს, ეკონომიის არარსებობა საბუთდება აქტში, რომელსაც ამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების უფროსი, რომელიც წარმოადგენს გაანგარიშება-დასაბუთებას განუყოფელ ნაწილს.

\_\_\_\_\_

(სამინისტრო, უწყება  
საწარმო, ორგანიზაცია,  
დაწესებულება)

გასამრჩელოს თანხის გაანგარიშება-დასაბუთება რაციონა-  
ლოზატორულ წინადადებაზე, რომელიც არ ქმნის ეკო-  
ნომიას

რეგისტრაციის № \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(წინადადების დასახელება და მისი არსის მოკლე აღწერა)

\_\_\_\_\_

(ავტორის, ავტორების გვარი და ინიციალები)

1. კოეფიციენტი  $\alpha_1$  შეადგენს

რადგანაც \_\_\_\_\_

რაც მტკიცდება \_\_\_\_\_

2. კოეფიციენტი  $\alpha_2$  შეადგენს \_\_\_\_\_

რადგანაც \_\_\_\_\_

რაც მტკიცდება \_\_\_\_\_

3. კოეფიციენტი  $\alpha_3$  შეადგენს \_\_\_\_\_

რადგანაც \_\_\_\_\_

რაც მტკიცდება \_\_\_\_\_

სულ გასამრჩელო შეადგენს:

$g = \alpha_1 \times \alpha_2 \times \alpha_3 \times 10$  მან — (ჩაიხვას კოეფიციენტების რიცხოზ-  
რივი მონაცემები \_\_\_\_\_

სულ გასამრჩელო (სიტყვებით)



§ 10. ვინ გასცემს მოწმობას რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც შეტანილია საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელის, მისი მოადგილის, მთავარი ინჟინრის, მთავარი ინჟინრის მოადგილის მიერ?

თანახმად დებულების 75-ე პუნქტისა, მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე გაიცემა წინადადების რაციონალიზატორულად ჩათვლის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის და მისი გამოსაყენებლად მიღების შემდეგ.

თუმცა წინადადებებზე, რომლებიც შეტანილია საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელის, მისი მოადგილის, მთავარი ინჟინრის, მთავარი ინჟინრის მოადგილის მიერ სამუშაო ადგილის მიხედვით ან დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში ან დაწესებულებებში, ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს გამოაქვს მხოლოდ გადაწყვეტილება, წინადადების რაციონალიზატორულად ჩათვლის შესახებ, ხოლო რაც შეეხება გადაწყვეტილების მეორე ნაწილს, რომლის შემდგომაც გაიცემა მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე, წინადადებას გამოსაყენებლად მიღების შესახებ, იგი გამოაქვთ იმ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, სადაც იყო განცხადებული წინადადება აღნიშნული პირების მიერ.

ამასთან დაკავშირებით რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადების მიღების გაფორმებისა და განხილვის წესების შესახებ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 1976 წლის 19 აგვისტოს დროებითი მითითებების მე-19 და 29-ე პუნქტების თანახმად, გადაწყვეტილება იმ წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის შესახებ, რომელიც შეაქვთ საწარმოს ხელმძღვანელს, მის მოადგილეს, მთავარი ინჟინერს, მთავარი ინჟინრის მოადგილეს, მთავარ აგრონომს, გამოაქვს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს. ასეთივე წესი მოქმედებს იმ წინადადების მიმართ, რომელიც შემოტანილია აღნიშნული მუშაკების მიერ სხვა პირებთან თანავეტორობით.

საწარმო ამ შემთხვევაში წინადადებას რეგისტრაციას უკეთებს ეურნალში და წინადადების დედანს უგზავნის ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, წინადადების სიახლისა და სარგებლიანობის დასკვნასთან ერთად მოცემულ საწარმოსათვის.

ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას წინადადების მიმართ. ფორმდება ჩანაწერი განცხადების ნაწილში „გადაწყვეტილების მიღება წინადადებაზე“, რის შემდეგ განცხადება უბრუნდება საწარმოს.

საწარმოს ხელმძღვანელს, მის მოადგილეს, მთავარ ინჟინერს, მთავარი ინჟინრის მოადგილეს — ავტორებს წინადადებისა, რომელიც ჩათვლილია რაციონალიზატორულად — მოწმობას აძლევს საწარმო, რომელმაც იგი გამოსაყენებლად მიიღო.

§ 11. ვის მიერ ღგინდება სიახლე რაციონალიზატორულ წინადადებაზე და შეიძლება თუ არა იგი აღიარებულ იქნას გამოგონებად?

ტექნიკური გადაწყვეტის სიახლეზე მოთხოვნა განისაზღვრება კომპეტენტური ორგანოების მიერ: გამოგონებებზე — სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტების მიერ; რაციონალიზატორულ წინადადებებზე — საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების თანამშრომლების მიერ. საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში რაციონალიზატორული წინადადების სახით შეტანილი ტექნიკური გადაწყვეტა შეიძლება აკმაყოფილებდეს გამოგონების წინაშე წაყენებულ მოთხოვნებსაც და შესაბამისი გაფორმების შემდეგ აღიარებულ იქნეს გამოგონებად.

§ 12. რაციონალიზატორისაგან ზოგჯერ, გარდა ჩვეულებრივი დოკუმენტაციისა, თხოულობან მოდელის და ფოტოების წარღვენას. სწორია თუ არა ეს?

არ არის სწორი. ავტორმა არ უნდა წარადგინოს მოდელი. სხვა საქმეა, თუ რაციონალიზატორი გააკეთებს მოდელს თავისი ინიციატივით, მას ამისათვის უზრდიან გასამრჯელოს.

მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე გაიცემა მას შემდეგ, როცა ეს წინადადება მიიღება გამოსაყენებლად. მაშასადამე, დანერგვის გეგმა, ბრძანება ან მთავარი ინჟინრის (დირექტორის მოადგილის) რეზოლუცია გამოყენებაზე წარმოადგენს აუცილებელ დოკუმენტს მოწმობის გასაცემად.

§ 13. შეიძლება თუ არა გაიცეს საავტორო ვოფოზა  
რაციონალიზატორულ წინადადებაზე გამაღმთ დამოწმებულ  
ჩვეულებრივ ფურცელზე?

არ შეიძლება. მოწმობა უნდა გაიცეს მხოლოდ დადგენილი  
ფორმის ბლანკზე. საწარმოს ან ორგანიზაციის აღმინისტრაციამ  
უნდა იზრუნოს ამ ბლანკებით მომარაგებაზე.

§ 14. როგორი წესია სამეცნიერო-კვლევით, საკომპლუქსო,  
საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების  
ანალოგიური კვებანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა  
წინადადებების რაციონალიზატორულად აღიარებისა და მათი შეტანის  
შეხება?

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სა-  
ხელმწიფო კომიტეტმა 1975 წ. 15 მაისს, საკავშირო პროფსაბქოს-  
თან და გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო სა-  
ზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით, დაამტკიცა  
განმარტება № 1 სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქ-  
ტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანა-  
ლოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაცი-  
ონალიზატორული წინადადებების რაციონალიზატორულად მიჩ-  
ნებისა და აგრეთვე განცხადების შეტანის წესის ზოგიერთ სა-  
კითხზე.

აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წი-  
ნადადებებზე მოქმედი დებულების 63-ე პუნქტში (მეორე აბზაცი)  
გათვალისწინებულია, რომ სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, სა-  
კონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარ-  
მოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ  
მუშაკთა წინადადებებზე (გარდა გამოგონებებისა), რომლებიც  
მიეკუთვნება ამ მუშაკების მიერ დამუშავებულ პროექტებს, კონ-  
სტრუქციებს და ტექნოლოგიურ პროცესებს, აღნიშნულ დებუ-  
ლების მოქმედება არ ვრცელდება.

ეს აიხსნება იმით, რომ ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების  
და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექ-  
ნიკური მუშაკების მოღვაწეობა უნდა იქნეს მიმართული ისეთი  
პროექტების, კონსტრუქციების და ტექნოლოგიური პროცესების  
დამუშავებაზე, რომლებიც პასუხობენ 'ამ დამუშავებისადმი წაყე-  
ნებულ თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც წესი, გამოგონებებ-

ის დონეზე, რისთვისაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ავტორების დადგენილი წესით მორალური და მატერიალური სტიმულირება. ამავდროს დებულებით გათვალისწინებულია ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაციონალიზაციაში მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი განმარტავს:

1. სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინადადებები, რომლებიც მიმართულია ექსპლოატაციაში მყოფი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე, მოწყობილობის მოდერნიზაციაზე, მექანიზაციაზე და საწარმოო პროცესის ავტომატიზაციაზე, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მისი საიმედოობის და ხანგრძლივობის ამაღლებაზე, აგრეთვე იმ საწარმოების ქვეგანყოფილებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინადადებები, რომლებიც ახორციელებენ პროექტის რეალიზაციას, ამზადებენ კონსტრუქციას ან ახორციელებენ ტექნოლოგიურ პროცესს, შეიძლება იყოს მიჩნეული რაციონალიზატორულად, თუ ისინი შეესატყვისებიან მოთხოვნებს, რომლებიც მითითებულია დებულების 63-ე, 64-ე და 65-ე პუნქტებში.

2. სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებები (გარდა გამოგონებებისა), რომლებიც მიეკუთვნება ამ მუშაკების მიერ დამუშავებულ პროექტებს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს რაციონალიზატორულად:

— საწარმოების, შენობების და ნაგებობების პროექტების დამტკიცების შემდეგ (მუშა ნახაზების ან ერთსტადიური დამტკიცების დროს მუშა-ტექნიკური პროექტის დამტკიცების შემდეგ);

— რომლებიც მიეკუთვნება კონსტრუქციებს — სერიული (სათაო) ნიმუშის მიღების შემდეგ;

— რომლებიც მიეკუთვნება ტექნოლოგიურ პროცესებს — მისი ექსპლუატაციაში დადგენილი წესით მიღების შემდეგ;

— თუ ეს წინადადებები აღმოჩენებენ პროექტების, კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიური პროცესების ტექნიკურ მახასიათებ-

ლებს, ასეთი წინადადებები მიიღება და განიხილება საწარმოს, ორგანიზაციის, სამინისტროს ან უწყების მიერ, რომლებიც ახორციელებენ ამ პროექტების რეალიზაციას, ამზადებენ კონსტრუქციებს და ექსპლუატაციას უწევენ ტექნოლოგიურ პროცესებს.

საწარმოების ანალოგიურ ქვეგანყოფილებებში იგულისხმება საწარმოების ისეთი ქვეგანყოფილებები, როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საპროექტო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებები და საკონსტრუქტორო განყოფილებები, მთავარი ტექნოლოგის განყოფილებები და ტექნიკური განყოფილებები, მთავარი მეტალურგის განყოფილებები, საქარხნო ლაბორატორიები.

3. ინჟინერ-ტექნიკურ, ხელმძღვანელ მუშაკთა წინადადებებზე, რომლებთანაც დადგენილი წესით განიხილება, თანხმდება და მტკიცდება შესაბამისი პროექტები, კონსტრუქციები და ტექნოლოგიური პროცესები, აგრეთვე წინადადებებზე, რომლებიც შეტანილია ამ მუშაკების მიერ სხვა პირებთან თანავტორობით, ვრცელდება შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია აღნიშნული განმარტების მე-2 პუნქტის პირველ აბზაცში.

4. სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების იმ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებები, რომლებიც არ ამუშავებდნენ პროექტებს, კონსტრუქციებს და ტექნოლოგიურ პროცესებს, აგრეთვე სხვა კატეგორიების მუშაკების წინადადებები, რომლებიც შეტანილია პროექტის კონსტრუქციის, ტექნოლოგიური პროცესის შემოწმების ექსპერიმენტულ (საცდელ) სტადიაზე, მიიღება და განიხილება ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ამუშავებენ ამ პროექტებს, კონსტრუქციებს და ტექნოლოგიურ პროცესებს. წინადადებები, რომლებიც მიჩნეულია რაციონალიზატორულად, ჩაითვლება ტექნიკურ დოკუმენტაციაში და გადაეცემა დამაზადებელ საწარმოს. გასამრჩელო ავტორს მიეცემა იმ წესით, რომელიც დადგენილია დებულებით და სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ 1974 წ. 15 იანვარს დამტკიცებული აღმოჩენებისათვის, გამოგონებებისათვის და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჩელოს გადახდის წესზე ინსტრუქციით.

5. სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური

9. ო. კველაშვილი, შ ფუთურიძე

ქვეგანყოფილებების მეცნიერი მუშაკების წინადადებებზე, გარდა გამოგონებებისა, ვრცელდება აღნიშნული განმარტება.

6. აღნიშნული განმარტება შესულია ძალაში 1975 წლის 1 ივლისიდან და გამოიყენება წინადადებების მიმართ, რომლებზედაც მისი ძალაში შესვლის თარიღისათვის არ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება დებულების 72-ე პუნქტის შესაბამისად.

წინადადებები, რომლებიც შეიტანეს საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, სამინისტროში ან უწყებაში 1974 წ. 1 იანვრამდე, განიხილება ადრე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## თ ა ვ ი

### რაციონალიზაცია მშენებლოგაში

#### §- 1. რა თავისებურებით ხასიათდება რაციონალიზატორული წინადადებები მშენებლოგაში

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში რაციონალიზატორული წინადადება უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ძირითად მოთხოვნებს (იხ. თავი IV, § 1).

ამასთან რაციონალიზატორული წინადადებები მშენებლობაში ხასიათდება თავისებურებითაც.

ზოგჯერ რაციონალიზატორულ წინადადებას, რომელიც გამოყენებულია ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში, იყენებენ სხვა სამშენებლო ორგანიზაციებშიც. ამ შემთხვევაში, თუ წინადადება შეიტანა იმავე ავტორმა, ან სხვა პირებმა რაიმე დამატებითი დაპუშავების გარეშე, მაშინ ეს იქნება წინადადების გამოყენებას მოცულობის უბრალოდ გაფართოება, რაც, ბუნებრივია, შეიძლება იქნეს გათვალისწინებული გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრისას. მაგრამ თუ დამატებით დაამუშავეს იგივე ან ანალოგიური წინადადება ავტორმა ან სხვა პირმა ახალი ობიექტის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, მაშინ წინადადება უნდა იყოს განხილული როგორც სხვა, დამოუკიდებელი წინადადება და მიეცეს კვალიფიკაცია დადგენილი წესით.

ხშირად რაციონალიზატორულად თვლიან შეუსაბამო წინადადებას. მაგალითად, რაციონალიზატორულ წინადადებად არ უნდა იქნეს შიჩნეულა კვალიფიცირებული წინადადება ერთი მასალის,



ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის და ა. შ. სხვა მასალებით შეცვლისა, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია სამშენებლო ნორმებით, წესებით ან მშენებლობის ხაზით სხვა ნორმატიული დოკუმენტებით. არ ითვლება რაციონალიზაციად ლითონის კონსტრუქციების შეცვლა რკინაბეტონის კონსტრუქციებით, ბეტონისაგან ან რკინაბეტონისაგან ანაკრები ფუნდამენტების შეცვლა აგურის ბლოკებით, ყორე-ბეტონით ან მონოლითური ბეტონით; ხის ფარიანი ტიხრების შეცვლა კარკასულ-ააფიციური ტიხრებით; და მათბუნებლების ფილემის (აირბეტონის, აიოსილიკატის ქაფბეტონის, ქაფპლასტიკატის, ფიბროლიტის, მინერალური ბამბის) — შლაკის საფენით და სხვა ფხვიერი მასალებით; ემალირებული მოცულობების შეცვლას შავი ლითონის მოცულობით და ა. შ.

რაციონალიზატორულად არ ჩაითვლება ერთი ცნობილი მანქანის სხვა ცნობილი მანქანით შეცვლის წინადადება, მაგალითად, წინადადება უქსკავატორის შეცვლის შესახებ სკრებერით. ასევე არ წარმოადგენს რაციონალიზატორულ წინადადებას პარკეტის იატაკის შეცვლა ხის იატაკით, ტოლის — შიფერის სახურავით და ა. შ. საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ცნობილი მასალები, მექანიზმები ან სატრანსპორტო საშუალებები იქნება გამოყენებული თითოეულ მოცემულ კერძო შემთხვევაში, მიყვარათ უკეთესი ვარიანტის შერჩევამდე.

არ შეიძლება მივიჩნიოთ რაციონალიზატორულ წინადადებად პროექტებში დაშვებული აშკარა შეცდომების გასწორება. მაგალითად, სამუშაო ნახაზების თანახმად, ძირითადი კედლების სისქე დადგენილია 51 სმ. სამუშაო მოცულობების განსაზღვრის დროს ხარჯთაღრიცხვის შედგენისას ძირითადი კედლის სისქე შეცდომით იქნა მიღებული 64 სმ. ზედირკვლის სისქის ნაცვლად. ამან მიგვიყვანა აგურის წყობის მოცულობის ხელოვნურ გაზრდასთან. ამ შემთხვევაში არ შეიძლება შევიტანოთ რაციონალიზატორული წინადადება კედლის სისქის შემცირებაზე და მივიღოთ დამკვეთისაგან ფული ხარჯთაღრიცხვაში შეცდომით ნაჩვენებ არასწორ მოცულობაზე. არ შეიძლება მიიჩნიონ რაციონალიზატორულად წინადადებები, რომლებიც აუარესებენ კონსტრუქციის ან მთლიანად ობიექტის ხარისხს, აგრეთვე შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის მაჩვენებლებს. არ შეიძლება, მაგალითად, კვალიფიცირებულ იქნეს რაციონალიზატორული წინადადებების სახით მუხის ან ალუმინის ფანჯრის ბლოკების შეც-

ვლანაძის ხის მასალით, პარკეტის ფიცრით და ა. შ. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული წინადადებები, რომელთა გამოყენების შედეგად იზრდება ეკონომიკური პროდუქტის რაოდენობა, მცირდება კონსტრუქციების ანაკრებობა ან პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მოცულობა.

არ შეიძლება წინადადება მივაკუთვნოთ რაციონალიზატორული წინადადებების კატეგორიას მხოლოდ მიღებული ეკონომიკური საფუძველზე ან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აკმაყოფილებს მშენებლობის ღირებულების შემცირების მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია „კაპიტალურ მშენებლობებზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ წესებით“.

რაციონალიზატორული წინადადებების შინაარსი ყველა შემთხვევაში უნდა ასახავდეს ავტორის ან ავტორთა კოლექტივის შემოქმედებით დამოუკიდებლობას ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტაში. ეს ნიშნავს, რომ წინადადებას არ უნდა მიეყავდეთ მხოლოდ სხვა სამშენებლო ორგანიზაციების და საწარმოების გამოცდილების აღწერასთან და პროექტებში დაშვებული უხეში შეცდომების გასწორებასთან ან ლიტერატურულ წყაროებიდან ცნობილი ღონისძიებების გადმოტანასთან, დამატებითი შემოქმედებითი დაწესებულების გარეშე, რომელიც აწარმოვა თვით ავტორმა იმ სამშენებლო ორგანიზაციის ობიექტის კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით, რომელსაც ეგზავნება მოცემული წინადადება.

ძალზე გავრცელებულია შეცდომა, რომლითაც წინადადება რაციონალიზატორულად არ მიიჩნევა, თუ მისი თემა ჩაწერალია თემატურ გეგმაში ან ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმაში, ამოცანის გადაწყვეტის გზების ჩვენების გარეშე. წინადადებები, რომლებიც მდგომარეობს ამ ამოცანების გადაწყვეტაში, შეიძლება მიჩნეულ იქნეს რაციონალიზატორულად.

წინადადებები არ არის რაციონალიზატორული, რომლებიც მიმართულია აღრიცხვის, მართვის და მუშაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, რადგან ისინი არ შეიცავენ ტექნიკურ გადაწყვეტებს. ასეთია, მაგალითად, წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებენ მშენებლობასთან ახლო მდებარე ადგილიდან სილის ან ხრეშის გამოყენებას, ნაცვლად კარიერიდან მიზიდვისა, რომელიც გათვალისწინებულია პროექტით. ასევე არ უნდა მივაკუთვნოთ რაციონალიზატორულ წინადადებებს ისეთები, რომლებიც ითვალისწინებენ მანძილის შემცირებას ტრანსპორტირებისას, მაგალითად, დამუშავებული გრუნტის ნაყარი მიწის 10 კმ-ის ნაცვ-

ლად 6 კმ-ზე გადატანას სხვა ობიექტზე დასაყრელად და ა. შ.

ასეთი წინადადებები მიეკუთვნებიან ორგანიზაციულ სამეურნეო წინადადებათა რიცხვს და არა რაციონალიზატორულს.

ორგანიზაციულ-ტექნიკური წინადადებების გამოყენება წარმოადგენს სასარგებლოს; ისინი, როგორც წესი, საშუალებას იძლევიან პივილოთ ეკონომიკური ეფექტი, და ასეთი წინადადებების ავტორები იმსახურებენ წახალისებას, მაგრამ არა რაციონალიზაციაზე და გამომგონებლობაზე გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

მშენებლობაში რაციონალიზატორული წინადადების რეგლამენტირებაზე ვრცელდება სხვა პირობებიც, რომლებიც მოტანილია ცნობარის წინა თავში.

## § 2. როგორი წესით შეაქვთ და განიხილავენ რაციონალიზატორულ წინადადებას მშენებლობაში?

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 1978 წ. 23 მარტს, სსრ კავშირის მშენებანკთან, სსრ კავშირის სახბანკთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცა განმარტება № 3 (11) განცხადების შეტანის წესის შესახებ რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც მიეკუთვნება კაპიტალურ მშენებლობას;

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი განმარტავს:

განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც დაკავშირებულია საპროექტო გადაწყვეტის შეცვლასთან, დამკვეთის მიერ მუშა-ნახაზების (ერთსტადიური დაპროექტებისას ტექნიკური მუშა პროექტის) მოიჯარადრისათვის გადაცემამდე სამუშაოთა წარმოებისათვის მიეწოდება დამკვეთს დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ წარმოადგენს ამ წინადადების ავტორს.

სანეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციების და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინადადებები, რომლებიც მიეკუთვნება ამ მუშაკების მიერ დასამუშავებელ

პროექტებს, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ, ხელმძღვანელ მუშაკთა წინადადებები, რომლებთანაც დადგენილი წესით განიხილება, თანხმდება და მტკიცდება პროექტები, შეიძლება მიჩნეულ იქნენ რაციონალიზატორულად ერთსტადიური დაპროექტებისას ამ პროექტების დამტკიცებისა და დადგენილი წესით დამკვეთის მიერ მუშა ნახაზების ან ტექნიკური მუშა პროექტის მოიჯარადრისათვის გადაცემის შემდეგ.

განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც დაკავშირებულია საპროექტო გადაწყვეტების შეცვლასთან დამკვეთის მიერ მუშა ნახაზების (ერთსტადიური დაპროექტებისას ტექნიკური მუშა პროექტის) მოიჯარადრისათვის გადაცემის შემდეგ სამუშაოთა წარმოებისათვის მიეწოდება:

ა) დამკვეთს, თუ ამ წინადადების ავტორებს წარმოადგენენ დამკვეთი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების სამსახურების მუშაკები, ან თუ ამ წინადადების ავტორებს წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციების და საწარმოთა ანალოგიური ქვეგანყოფილებების მუშაკები, რომლებიც, ამუშავენ ობიექტის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრაცხოვო დოკუმენტაციას;

ბ) მოიჯარადრეს (ქვემოიჯარადრეს), თუ ამ წინადადებების ავტორებს წარმოადგენენ მოიჯარადრის (ქვემოიჯარადრის) ორგანიზაციის მუშაკები.

გადაწყვეტილება ასეთი წინადადების გამოყენებაზე მიიღება მოიჯარადრე (ქვემოიჯარადრე) ორგანიზაციის მიერ დამკვეთის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შეცვლაზე თანხმობის მიღების შემდეგ.

დამკვეთის მიერ უნდა განხილულ იქნეს წინადადება ვადებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოთა დროულ შესრულებას, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა მოიჯარადრის წინადადების მიღების დღიდან.

თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არ შემოვიდა პასუხი წინადადების უარყოფის შესახებ დამკვეთის მხრიდან, მაშინ წინადადება ითვლება შეთანხმებულად.

განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც ითვალისწინებს წარმოების მეთოდების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიის, გამოყენებული ტექნიკის, მასალების შემადგენლობის შეცვლას, მიეწოდება მოიჯარადრეს (ქვემოიჯარადრეს).

ადრეს) დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ წარმოადგენს ამ წინადადების ავტორს.

დამკვეთი ან მოიჯარადრე (ქვემოიჯარადრე), რომელმაც მიიღო განსახილველად განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, მოვალეა დებულების 71-ე და 72-ე პუნქტებით დადგენილ ვადებში და წესით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

რაციონალიზატორულ წინადადებად, რომელიც მიეკუთვნება კაპიტალურ მშენებლობას, შეიძლება მიიჩნიონ მხოლოდ ისეთი წინადადება, რომელიც პასუხობს დებულების 63-ე, 64-ე და 65-ე პუნქტებში მითითებულ მოთხოვნებს.

წინადადება, რომელიც მიეკუთვნება კაპიტალურ მშენებლობას, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული რაციონალიზატორულად იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე თუ იგი მიმართულია:

ა) სამშენებლო კონსტრუქციების, მასალების, დეტალების, ნაკეთობების შეცვლაზე ცნობილით, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია საწარმოებისათვის, ორგანიზაციების ან დაწესებულებებისათვის სამშენებლო ნორმებით, წესებით და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით მშენებლობაში, აგრეთვე თუ ამ შეცვლას მიყვავართ ძირითადი სამშენებლო მასალების ეკონომიურ ხარჯვასთან ტექნიკური წესების დარღვევით;

ბ) მშენებლობის საჭიროებისათვის კარიერების დამუშავების, წყალმიმღები ნაგებობების, გრუნტის გატანის ადგილის შეცვლაზე. საინჟინრო კომუნიკაციების მანძილის შეცვლაზე, თუ ასეთი წინადადება არ შეიცავს ტექნიკურ გადაწყვეტას, აგრეთვე საინჟინრო კომუნიკაციების მანძილის შემცირებაზე, მხოლოდ შემთხვევაზე ტექნიკური პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია ელექტრომომარაგების, კავშირგაბმულობის, აირმომარაგების, თბომომარაგების, წყლის გაყვანილობის ტრასების დაახლოებით მშენებლობის ობიექტებთან, სამშენებლო ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

წინადადება, რომელიც ქმნის მხოლოდ ეკონომიას, მაგრამ არ პასუხობს სხვა მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით, არ მიიჩნევა რაციონალიზატორულად.

არ მიიჩნევა რაციონალიზატორულად აგრეთვე წინადადებები. რომლებიც დაკავშირებულია საპროექტო გადაწყვეტების შეცვლასთან, თუ განცხადება მასზე შეტანილია საპროექტო გადაწყვეტების ამ ცვლილებების დამკვეთთან შეთანხმების შემდეგ,

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წინადადება გამოიყენებოდა ავტორის ინიციატივით არა უმეტეს 3 თვის განმავლობაში განცხადების შეტანამდე.

ამ შემთხვევაში წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევაზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელი პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ან, პროფკავშირული ორგანოს დავალებით, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო ორგანოსთან ერთობლივად.

საპროექტო გადაწყვეტების შეცვლის წინადადებები, საპროექტო ჯარგანიზაციების მუშაკებისა, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობის პროცესში საავტორო ზედამხედველობას, არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ რაციონალიზატორულად.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ზემოთ აღნიშნული განმარტება ვრცელდება საწარმოებზე, ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზე, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალურ მშენებლობას საიჯარო ან სამეურნეო საშუალებით, აგრეთვე საწარმოებზე, ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზე, რომლებიც ატარებენ კაპიტალურ რემონტს საიჯარო ან სამეურნეო საშუალებით დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომელიც მიეკუთვნება კაპიტალურ მშენებლობას, გასამრჯელოს გაცემა წარმოებს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს ან უწყების მიერ დებულებით დადგენილი წესის მიხედვით გამომგონებლობაზე და რაციონალიზაციაზე ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული დანახარჯების სახსრების ხარჯზე დამკვეთისა და მოიჯარადრის ეკონომიაზე გაანგარიშებებისაგან დამოუკიდებლად, რომელიც მიღებულია მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, ნაგებობის სიმტკიცისა და საექსპლოატაციო მაჩვენებლების შეპცირების გარეშე.

იმ შემთხვევაში, როცა დამკვეთს ან მოიჯარადრეს არ გააჩნია სახსრები გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული დანახარჯებისათვის, გასამრჯელო რაციონალიზატორული წინადადებისათვის გაიცემა ეკონომიის ხარჯზე, რომელიც შეიქმნება რაციონალიზატორული წინადადების ან ღონისძიების გამოყენების შედეგად.

რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომელიც მიეკუთვნება კაპიტალურ შეკეთებას, გასამრჯელოს გაცემა სწარმოებს დებულებით დადგენილი წესის მიხედვით გამომგონებლობაზე და რაციონალიზაციაზე გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვების სახსრების ხარჯზე.

გასამრჯელო გაციემა წინადადების გამოყენების პირობის შემთხვევაში. რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც მიეკუთვნება კაპიტალურ მშენებლობას, მიიჩნევა გამოყენებულად მშენებარე ობიექტზე მისი გამოყენების დაწყების დღიდან. საპროექტო დოკუმენტაციის შეცვლა რაციონალიზატორული წინადადების საფუძველზე არ ითვლება მის გამოყენებად.

აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე დებულებით დადგენილია რაციონალიზატორული წინადადების განხილვის შემდეგი წესი: სამშენებლო ორგანიზაციამ, საწარმომ ან დაწესებულებამ 5 დღის განმავლობაში განცხადების მიღების შემდეგ ავტორის მოთხოვნით უნდა გააცეს ან გაუგზავნოს ავტორს ცნობა, რომელიც ადასტურებს განცხადების შეტანის ფაქტსა და თარიღს.

ავტორის მიერ შეტანილი განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, შემდგომში მიღებული გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად, რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. განცხადებაზე ერთდროულად უნდა დაისვას ამ წინადადების შემოტანის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი, რის შემდეგაც განცხადება ითვლება სამშენებლო ორგანიზაციის, საწარმოს ან დაწესებულების დოკუმენტად და არ მიეცემა ხელზე არაღიშვით ავტორსაც და თანაავტორებსაც კი.

შეტანილი განცხადება განიხილება 15 დღის ვადაში, ხოლო სამინისტროებსა და უწყებებში შეტანის დღიდან — თვენახევრის განმავლობაში. აღნიშნულ ვადებში ეცნობება ავტორს მისი წინადადების განხილვის შედეგები იმის ჩვენებით, მიჩნეულია თუ არა მისი წინადადება რაციონალიზატორულად, გათვალისწინებულია თუ არა საცდელი შემოწმებისათვის ან უარყოფილია შესაბამისი კონკრეტული მიზეზების გამო.

თუ წინადადება არ ეხება იმ ორგანიზაციის მოღვაწეობას, სადაც ის არის შეტანილი, უბრუნდება ავტორს აღნიშვნით, თუ სად არას საპირო მისი გაგზავნა.

გადაწყვეტილება რაციონალიზატორული წინადადების განხილვის შედეგების შესახებ მიიღება სამშენებლო ორგანიზაციის, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ან სხვა პასუხისმგებელი მუშაკის მიერ, რომელზედაც ბრძანებით დაკისრებულია ეს მოვალეობანი.

სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მრადგილის, მთავარი ინჟინრის და მისი მრადგილის მიერ შეტანილი წინადადებები კვალიფიცირდება და მიიღება ზემდგომ ორგანიზაციების მიერ. თუ წინადადებები დაკავშირებულია ან ითვალისწინებენ დამტკიცებული ნორმატივებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის (პროექტების, სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, ტექნიკური პირობების) შეცვლას, მაშინ შეიძლება მათი მიღება მხოლოდ შესაბამისი პროექტის, ნორმატივებისა და დოკუმენტაციის დამამტკიცებელი ორგანიზაციების ნებართვის შემდეგ.

ასეთი წინადადებების განხილვის ვადა გადაიდება იმ დროით, რომელიც საჭიროა ნებართვის მიღებისათვის. დამკვეთის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლაზე ნებართვა ფორმდება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ასეთი შეთანხმება წარმოებს საპროექტო ორგანიზაციის მონაწილეობით. რაციონალიზატორულ წინადადებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის და მისი გამოსაყენებლად მიღების შემდეგ ავტორს მიეცემა მოწმობა, რომელიც ადასტურებს მის ავტორობას და რომ მისი წინადადება მიხილულია რაციონალიზატორულად.

ავტორის უფლება, რომელიც დადასტურებულია აღნიშნული მოწმობით, მოქმედებს იმ სამშენებლო ორგანიზაციის, საწარმოსა და დაწესებულების ფარგლებში, რომელმაც იგი გასცა. თუ წინადადება მიიჩნევა რაციონალიზატორულად სამინისტროს ან უწყების მიერ, მაშინ ავტორის უფლება მოქმედებს ამ სამინისტროს (უწყების) დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. რაციონალიზატორული წინადადების ავტორის უფლება ვრცელდება იმ სამშენებლო ორგანიზაციებზე ან საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს ტექნიკური დოკუმენტაცია ხელშეკრულებით სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გადაცემაზე და დახმარების გაწევაზე მოწინავე გამოცდილების გამოყენებაში.



§ 3. რას გულისხმობს რაციონალიზაცია და მოიჯარადრის  
ლონისძიებაში მშენებლობის ღირებულების შემამცირებლად?

სამშენებლო ორგანიზაციებში შეაქვთ წინადადებების დიდი ოდენობა როგორც კაპიტალური მშენებლობის ობიექტებისა და მათი აგების ხერხების სრულყოფაზე, ასევე წინადადებებიც, რომლებიც ხელს უწყობენ მშენებლობის გაიაფებას ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, რომელიც შედგენილია მუშა ნახაზების მიხედვით, ე. წ. მოიჯარადრის ღონისძიებანი მშენებლობის ღირებულების შესამცირებლად.


ტერმინი „ღონისძიება“ შემოღებულია მხოლოდ კაპიტალური მშენებლობისათვის. საგამომგონებლო სამართალში ეს ტერმინი არ გამოიყენება და კანონებით გამომგონებლობის შესახებ არ რეგულირდება. მაგრამ ორი ცნების არსებობას — რაციონალიზატორული წინადადებისა და ღონისძიებისა ხშირად მივყავართ წინადადებების არასწორ კვალიფიკაციამდე, რაც იწვევს მცდარ ანგარიშსწორებებს როგორც დამკვეთებთან, ასევე განსაკუთრებით ავტორებთანაც.

მშენებლობის ღირებულების შემცირების ღონისძიებად შეიძლება მიიჩნიონ ნებისმიერი წინადადება, რომელიც შეტანილია მოიჯარადრის მიერ დამკვეთთან (ან გატარდა დამკვეთთან შეთანხმებით) და მიმართულია მშენებლობის გაიაფებისაკენ, სამუშაო ნახაზების მიხედვით შედგენილ, ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით ე. ი. წინადადებები, რომლებიც იძლევიან ეკონომიას ნაგებობის დაპროექტებული სიმტკიცის და საექსპლოატაციო მაჩვენებლების შემცირების გარეშე.

მოიჯარადრის ღონისძიებები შეიძლება დაფუძნებული იყოს (თუმცა არ არის აუცილებელი) წინადადებებზე, რომლებიც შეტანილია მოიჯარადრე ორგანიზაციაში, მოიჯარადრე ან სხვა ორგანიზაციების მუშაკების მიერ. თუ დამკვეთი მისცემს თანხმობას შემოთავაზებულ ღონისძიებების განხორციელებაზე, მოიჯარადრე ორგანიზაცია დამოუკიდებლად გადაწყვეტს საკითხს, წარმოადგენს თუ არა მასთან შემოსული წინადადება რაციონალიზატორულს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ღონისძიება ყოველთვის არ წარმოადგენს რაციონალიზატორულ წინადადებას, თუ იგი შეიძლება არ აკმაყოფილებს ერთ-ერთ მოთხოვნას, რომელიც წაყენებულია რაციონალიზატორული წინადადებებისადმი (მაგალითად, ნასეს-

ზებია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ შემოქმედებით გადაწყვეტას, არ არის ახალი მოიჯარადრე ორგანიზაციისათვის, რადგან ადრე იყო განხორციელებული ანალოგიურ ობიექტზე, და ა. შ.). ტერმინი „მოიჯარადრის ღონისძიება“ უფრო ფართოა, ვიდრე „რაციონალიზატორული წინადადება“ (იხ. სქემა).



ღონისძიებებს, რომლებიც ამცირებენ მშენებლობის ფაქტიურ ღირებულებას, მიეყვებათ აგრეთვე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებასთან. ამავ დროს ანგარიშსწორება მოიჯარადრესა და დამკვეთს შორის ხორციელდება ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის ან მშენებლობით დამთავრებული კონსტრუქციული ელემენტების მიხედვით. ამიტომ თუ მოიჯარადრის წინადადების მიხედვით სამუშაოების მოცულობა მცირდება, მოიჯარადრე საერთო წესის მიხედვით ვერ მიიღებს დამკვეთისაგან სახსრებს პირ-

ველსაწყისი მოცულობის შესაბამისად. ამ შემთხვევაში მოიჯარადრე არ იქნებოდა დაინტერესებული მშენებლობის ღირებულების შემცირებაში, რადგანაც გეგმები მტკიცდება და აღირიცხება ფულად გამოსახულებებში, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომია მოიჯარადრე ორგანიზაციისათვის შებრუნდებოდა როგორც კაპიტალური სამუშაოების გეგმის შეუსრულებლობა.

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით 1955 წლიდან მოქმედებს წესი, რომლის თანახმად სამშენებლო ორგანიზაციების ღონისძიებები, მიმართული მშენებლობის გასააფხვლად სამუშაო ნახაზების მიხედვით შედგენილ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებებთან შედარებით, დამკვეთის მიერ სამუშაოების საწარმოებლად გამოყოფილი სახსრებიდან მოიჯარადრის სტიმულირების საშუალებას იძლევა. ამ პრინციპმა შემდგომი განვითარება მიიღო „მშენებლობის ფინანსირების წესების“ 42-ე პუნქტით, რომელიც დამტკიცებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 746 დადგენილებით. დადგენილებაში მითითებულია, რომ სამშენებლო ორგანიზაციის მიერ, ნაგებობის სიმტკიცისა და საექსპლუატაციო მახასიათებლების შემცირების გარეშე, ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, მიღებული ეკონომია რჩება სამშენებლო ორგანიზაციის განკარგულებაში და ამასთან ეკონომია ჩათვლება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმის შესრულებისა და მათი ღირებულების შემცირების დავალებებში.

მშენებლობის ხარისხის გაუარესების გარეშე, მისი ღირებულების შემცირების სტიმულირების წესი, მშენებლობის გაიაფებისათვის ღონისძიებების გატარების პირობებში დაწვრილებითაა გაშუქებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 დეკემბრის № 973 დადგენილებით დამტკიცებულ „კაპიტალურ მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ წესების“ 45-ე პუნქტით, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ დამკვეთის მიერ სამუშაოების საწარმოებლად მოიჯარადრისათვის სამუშაო ნახაზების გადაცემის შემდეგ, მოიჯარადრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად (სამუშაოების წარმოების მეთოდების, აგრეთვე დამკვეთის თანხმობით მასალების, კონსტრუქციების და სხვა ტექნიკური გადაწყვეტების შეცვლა), რომლებიც ხელს უწყობენ მშენებლობის გაიაფებას, ნაგებობათა სიმტკიცისა და საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუარესების გარეშე, მი-

ლებულა ეკონომია რჩება მოიჯარადრის განკარგულებაში და ჩათვლება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმის შესრულებასა და შალი თვითღირებულებების შემცირების დავალებათა (მოგების) შესრულებაში.

§ 4. როგორი შრომითი დამოკიდებულება არსებობს მოიჯარადრსა და დამკვეთ ორგანიზაციებს შორის გზანაგლოზის ღირებულების შემცირების ღონისძიებების განხორციელების საქმეში?

კაპიტალურ მშენებლობებზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ წესების 45-ე პუნქტის თანახმად, მოიჯარადრე ორგანიზაცია ვალდებულია ნებისმიერი მისაღები წინადადება შეათანხმოს დამკვეთთან. დამკვეთი, სამშენებლო ორგანიზაციისაგან ოფიციალური წერილის მიღების შემდეგ, ვალდებულია განიხილოს შემოტანილი ღონისძიება იმ ვადებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების თავისდროულ შესრულებას, მაგრამ არა უგვიანეს 2 თვისა მოიჯარადრისაგან წერილს მიღების დღიდან. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ დამკვეთისაგან არ იქნა მიღებული პასუხი წინადადების უარყოფის შესახებ, სამშენებლო ორგანიზაციის მიერ შემოტანილი წინადადება აღნიშნული წესის 45-ე პუნქტის და სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 1978 წ. 123 მარტის განმარტებების შესაბამისად ითვლება მიუღებლად.


აღსანიშნავია, რომ დამკვეთთან შეთანხმების შემდეგ დაიწყება ღონისძიების ჩატარება და მისი განხორციელება, სამშენებლო ორგანიზაცია დამოუკიდებლად განიხილავს და შეუძლია წინადადება მიიჩნიოს (მთლიანად ან ნაწილობრივ) რაციონალიზატორულად, თუ არსებობს წინადადების კონკრეტული ავტორი და წინადადებას გააჩნია დებულების შესაბამისად რაციონალიზატორული წინადადების ყველა ნიშანი.

დამკვეთს ეკისრება მშენებლობის გაიაფების ღონისძიების ჩატარების შეთანხმება. დამკვეთი, მოიჯარადრე სამშენებლო ორგანიზაციისაგან ასეთი ღონისძიებების ჩატარების შესახებ წინადადების მიღებისას, თუ საჭიროდ ჩათვლის, მის განხილვაზე მოიწვევს საპროექტო ორგანიზაციას, მაგრამ ყველა შემთხვევაში ოპერატიულად უნდა გადაწყვიტოს ღონისძიების შეთანხმების საკითხი.

დაეა დამკვეთსა და მოიჯარადრე ორგანიზაციას შორის ლოა

ნისძიებების სასარგებლოდ მიჩნევის თაობაზე წყდება საარბიტრაჟო ორგანოების მიერ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავის განხილვის საერთო წესების თანახმად. ეს დავა შეიძლება გადაწყვიტოს მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენმა (ან სსრ კავშირის სახმშენმა) ან დამკვეთის ზემდგომმა ორგანომ.

დამკვეთი თავის მხრივ ვალდებულია შეატყობინოს წამყვან საპროექტო ორგანიზაციას მოიჯარადრის ყველა წინადადების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია საპროექტო გადაწყვეტების შეცვლასთან (იხ. სქემა).



§ 5. როგორი წესით აისახავა მშენებლობის გეგმაში მოიჯარადრის მიერ გაბარებული ლონისძიებებით მიღებული ეკონომია?

მოიჯარადრის ლონისძიების რეალიზაციის შედეგად მიღებული ეკონომია, რომელიც სანშენებლო-სამონტაჟო სამუშაო-

ბის დამტკიცებული და ფაქტიური ღირებულების სხვაობის ტოლია, ცალკე სტრიქონით უნდა იქნეს ნაჩვენები შესრულებული სამუშაოების მიღების აქტში და გადაირიცხოს მოიჯარადრე ორგანიზაციის ანგარიშზე. ეს დადგენილი წესი უზრუნველყოფს მოიჯარადრე ორგანიზაციების დაინტერესებულ მშენებლობის ღირებულების შემცირების საქმეში.

§ 6. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მშენებლობის ბაიზაზის მოიჯარადრის ღონისძიება?

იმისათვის, რომ წინადადება კვალიფიცირებულ იქნეს მოიჯარადრის ღონისძიებად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

— წინადადება უნდა მომდინარეობდეს მოიჯარადრისაგან და ითვლებოდეს ახლად დამკვეთისათვის (აღრე არ უნდა იყოს იგი მათ მიერ გამოყენებული);

— წინადადება უნდა იძლეოდეს ეკონომიას და ამასთან არ ამცირებდეს ობიექტის და ნაგებობის სიმტკიცესა და საექსპლუატაციო მოთხოვნებს.

მოიჯარადრის ღონისძიებებს არ განეკუთვნებიან ისეთი ღონისძიებები, რომლებიც აღრე იყო წამოყენებული მოცემულ მშენებლობაზე საპროექტო ორგანიზაციის დამკვეთის მუშაკების მიერ ან შემოტანილ იქნა დამკვეთისათვის განსახილველად, სხვა წესით, ვიდრე მას წარმოადგენდა მოიჯარადრე ორგანიზაცია.

მოიჯარადრის ღონისძიებად არ შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე წინადადებები, რომლებიც, თუმცა იძლევიან ეკონომიას, მაგრამ ერთდროულად ამცირებენ ნაგებობის სიმტკიცეს ან აუარესებენ მის საექსპლუატაციო მახასიათებლებს.

მოიჯარადრის ღონისძიებები შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო ტექნიკურ, არამედ ორგანიზაციულ-სამარეწველო ან ორგანიზაციულ-სამეურნეო გადაწყვეტებს, თუ ისინი იძლევიან ეკონომიას (მაგალითად დამუშავებული გრუნტის ტრანსპორტირების მანძილის შემცირება, მინაბლოკის არმირებული მინით შეცვლა, გარე ფასადის წითელი აგურით მოპირკეთება, ჩაშენებული კარადების გეგმარების შეცვლა, ერთი ტიპის სახურავის ანაკრეფი რკინა-ბეტონის ფილების შეცვლა მეორე ტიპით და ა. შ.).

ეს წინადადებები არ ითვლება რაციონალიზატორულად, ჩადგან არ შეიცავს ტექნიკური შემოქმედების ელემენტებს და ცნობილია მშენებლებისათვის. ასეთია აგრეთვე წინადადებები, რომლებიც შეიცავს ერთი მასალის მეორე მასალით უბრალოდ შეცვლას და ამასთან მათი დანერგვა არ მოითხოვს საკითხის ტექნიკურ დამუშავებას, ე. ი. გამოიყენება ახალი ტექნოლოგიის, ახალი აღჭურვილობის კონსტრუქციებისა და დამუშავების, წინასწარ საცდელი შემოწმების გარეშე და ა. შ.

ხშირად წამოიჭრება საკითხი, შეიძლება თუ არა მიეკუთვნოს მშენებლობის გაიაფების ღონისძიებებს, სამუშაოების საწარმოებლად გაცემული სამუშაო ნახაზების მიხედვით პროგრესული ანაკრეფ კონსტრუქციებისა და დეტალების შეცვლა სხვა კონსტრუქციებითა და მასალებით, რომლებიც აიაფებენ მშენებლობას, მაგრამ მათი იძულებითი გამოყენება არ უწყობს ხელს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების განვითარებას<sup>13</sup>.

კაპიტალურ მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ წესების 45-ე პუნქტით და კაპიტალური მშენებლობის ფინანსირების წესების 42-ე პუნქტით დადგენილია, რომ მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების განხორციელებით მიღებული ეკონომია რჩება შოიჯარადრე სამშენებლო ორგანიზაციების განკარგულებაში და ჩაითვლება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმის და მათი თვითღირებულების შექცირების დავალება-თა შესრულებაში იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ღონისძიებების ჩატარება ასაგები შენობა-ნაგებობების სიმტკიცისა და საექსპლოატაციო მახასიათებლებს არ აუარესებს.

ამ კანონმდებლობათა ძირითადი მიზანია სამშენებლო ორგანიზაციების სტიმულირება, რომ ვაშენოთ იაფად, მაგრამ არა უარესა ხარისხით, ვიდრე ამას ითვალისწინებს სამუშაოს წარმოებისათვის მიღებული სამუშაო ნახაზები.

საკითხა იმის შესახებ, თუ რა მეთოდით მიიღწევა ეს, მათ შორის, უფრო ან ნაკლებად ინდუსტრიულით, არ უნდა მოქმედებდეს ასეთ შემთხვევაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისათვის ანგარიშსწორების დადგენილ წესზე.

ასე, მაგალითად, მინერალური ბამბის ფილოვანი დამატებუნებლების ან სხვა საიზოლაციო ფილების არასრულფასოვანი ხარისხისა წიდის ფხენილის ნაფენით შეცვლა არ შეიძლება მივაკ-

<sup>13</sup> ჟურნ. «Экономика строительства», 1972, № 2, 47.

უფრო მშენებლობის გაიაფების ღონისძიებებს იმის გამო, რომ იგი აუარესებს მშენებლობის ხარისხს. ამგვარად, მასალების ან კონსტრუქციების ინებისმიერი შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამცირებდეს შენობისა და ნაგებობის სიმტკიცეს, საიმედოობას და საექსპლუატაციო მაჩვენებლებს; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება მიიხსიონ მშენებლობის გაიაფების ღონისძიებად.

## § 7. როგორია რაციონალიზატორული წინადადებისა და მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების გაფორმების წესი?

რაციონალიზატორული წინადადებების და მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების შეტანა შეიძლება სხვადასხვა ორგანიზაციაში.

თუ ვის უნდა მიეწოდოს რაციონალიზატორული წინადადება წყდება არა მისი ავტორებისა და მათი სამუშაო ადგილის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რომელი ორგანიზაციის ან წარმოების სფეროს განეკუთვნება თვით წინადადება, ე. ი. ვის შეუძლია მისი პრაქტიკული რეალიზება. ამიტომ გვხვდება პრაქტიკაში, როცა ერთი წინადადების თანაავტორებად შეიძლება იყოს ერთდროულად მოიჯარადრისა და დამკვეთი ორგანიზაციის მუშაკები.

ღონისძიებათა, როგორც რაციონალიზატორულ წინადადებათა კვალიფიკაციასთან, რომლებიც აიაფებენ მშენებლობას, აგრეთვე საავტორო გასამრჩელოს გაცემასთან დაკავშირებული საკითხები გადმოცემულია გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 1961 წლის 10 მარტის შესაბამის განმარტებებში — „კაპიტალურ მშენებლობაში რაციონალიზატორული წინადადებების დასაწერად მიღებისა და საავტორო გასამრჩელოს ანაზღაურების წესის შესახებ“.

თუ წინადადება მიეკუთვნება მოიჯარადრე სამშენებლო ორგანიზაციის მოღვაწეობას, მაშინ მას იგი უკეთებს კვალიფიკაციას.

კაპიტალურ მშენებლობაში საიჯარო ხელშეკრულების წესების თანახმად, მშენებლობის გაიაფების ღონისძიებებს მოიჯარადრე ორგანიზაცია ახორციელებს დამკვეთთან შეთანხმებით, რომელთანაც იგი დაკავშირებულია ხელშეკრულებითი ურთიერთო-



ბებიო. ამ ღონისძიებების ჩატარება შეიძლება განხორციელებულ ექნეს მოიჯარადრის მიერ საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმების გარეშე.

დაშვეეთი ასევე არ არის ვალდებული შეათანხმოს საპროექტო ორგანიზაციასთან მოიჯარადრის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების ჩატარება. წესები ავალდებულებს დამკვეთს მხოლოდ ინფორმაცია გაუყეთოს საპროექტო ორგანიზაციას მოიჯარადრე ორგანიზაციის ყველა წინადადების შესახებ, რომელიც მიმართულია მშენებლობის ღონისძიებების შესამცირებლად, დაპროექტებულ შენობა-ნაგებობების სიმტკიცისა და საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუარესების გარეშე. ასეთი წესია საპროექტო ორგანიზაციის გასაფრთხილებლად, რათა შემდგომში ანალოგიური არარაციონალური გადაწყვეტილებები არ განმეორდეს.

**§ 8. რა ძირითადი განსხვავებებია რაციონალიზატორულ წინადადებასა და მოიჯარადრის მშენებლობის გაიფრების ღონისძიებებს შორის?**

მშენებლობაში რაციონალიზატორულ წინადადებასა და მშენებლობის გაიფრების ღონისძიებებს შორის არსებული ძირითადი განსხვავებები შეტანლია ცხრილში:

№ რიგში	განსხვავების შინაარსი	განსხვავების თავისებურებები	
		რაციონალიზატორულ წინადადებაებში	ღონისძიებებში
1	2	3	4
1	ანტატივა	პირადი (ავტორის)	სამსახურებრივი (ორგანიზაციის)
2	ტექნიკური ეფექტი	არსებულზე უკეთესი	არა ნაკლები, ვიდრე ითვალისწინებს პროექტი
3	ტექნიკური დამუშავება (რა და როგორ უნდა გაეთქვას)	აუცილებელია	ყოველთვის არ არის აუცილებელი
4	ადგილობრივი სახელი	აუცილებელია	არ არის აუცილებელი
5	ეკონომიკური ეფექტი	ყოველთვის არ არის აუცილებელი	ყოველთვის აუცილებელია
6	მეწოდების დრო	საპროექტო, სამშენებლო და სხვა სამუშაოების ნებისმიერ სტადიაზე	საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ და დამკვეთის წარწერის შემთხვევაში წარმოებაში ნახაზების გამოცემის შემდეგ

1	2	3	4
7	ავტორის დაჯილდოება	აუცილებელია დამტკიცებულა სკალის მიხედვით	არ არის აუცილებელია
8	უფლება ეკონომიკურ-რა ეფექტის (ეკონომის) გაცემაზე	არ არსებობს	არის
9	სსრ კავშირის მშენ-ბანკის დაწესებულების კონტროლი	შემდგომი (საავტორო გა-სამრჩელოს გაცემის შემდეგ)	წინასწარი (მიღწეული ეკონომის გაცემამდე) და შემდგომი

ერთეული ღონისძიებები, რომლებიც შემოტანილია მოიჯარადრე ორგანიზაციის მუშაკების მიერ, დამკვეთთან შეთანხმების შემდეგ შეიძლება მიიჩნიონ მოიჯარადრე ორგანიზაციის მიერ რაციონალიზატორულ წინადადებებად. ამისათვის წინადადებები უნდა შეესაბამებოდეს დებულების 63-ე, 64-ე და 65-ე პუნქტებში მოცემულ მოთხოვნებს.

მშენებლობის გათვების მოიჯარადრის ღონისძიებებს არ განეკუთვნება წინადადებები, რომლებიც ადრე იყო შეტანილი მოცემული მშენებლობისათვის საპროექტო ორგანიზაციების, დამკვეთი მუშაკების მიერ ან შემოვიდა დამკვეთის განსახილველად სხვა მოიჯარადრისაგან ადრე; აგრეთვე წინადადებები, რომლებიც მხოლოდ ასწორებენ დამპროექტებლების შეცდომებს.

მაგრამ, თუ პროექტი დამუშავებულია მოქმედი სამშენებლო ნორმატივებისა და წესების მკაცრი შესაბამისობით, ხოლო მოიჯარადრე თავაზობს პროექტის გადაწყვეტაში მოცემული პირობებისათვის შედარებით უფრო მიზანშეწონილ წინადადებებს ხარისხის გაუარესების გარეშე, ასეთი წინადადებები დამკვეთმა უნდა მიიღოს, ისინი იძლევიან შესაძლებლობას მშენებლობის თვითღირებულების შესამცირებლად.

#### § 9. როგორია მოიჯარადრე ორგანიზაციების მშენებლობის განაშენიანების ღონისძიებების წახალისების წესები?

სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკები; რომელთაც შეაქვთ მშენებლობის გათვების ღონისძიებები, ე. ი. მოიჯარადრის ღონისძიებები, უსათუოდ იმსახურებენ წახალისებას, მაგრამ უკანასკნელი არ შეიძლება დაერიცხოს „აღმოჩენების, გამოგონებებისა

და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს გაცემის შესახებ ინსტრუქციის“ სკალით და გადახდილ იქნეს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხარჯთაღრიცხვების ფონდიდან.

ლონისძიებები იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობის ფინანსირება ნებადართულია განსაზღვრული ვადით აუცილებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებობის გარეშე, მაგალითად, მისი დაშუშავებისა და დამტკიცების შეფერხებასთან დაკავშირებით, ხორციელდება ჩვეულებრივი წესით, რომელიც გათვალისწინებულია „საიჯარო ხელშეკრულებაზე წესების“ 45-ე პუნქტით. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა შესრულებული სამუშაოს განაღდება შენობა-ნაგებობების მშენებლობიდან, უნდა ხდებოდეს დამკვეთის მიერ წარმოებისათვის გაცემული სამუშაოს ნახაზებით გათვალისწინებული მოცულობების შესაბამისად.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დამატებითი მოცულობები, რომლებიც წარმოიქმნება მოიჯარადრე ორგანიზაციის წინადადების შესაბამისად სამუშაო ნახაზების შეცვლის შედეგად, ამ შემთხვევაში განაღდება არ ექვემდებარება, და თუ შექდგომში გამოვლინდა, რომ ასეთი განაღდება არსებობს, მაშინ ბანკის დაწესებულებებს შეუძლიათ ზედმეტად განაღდებული თანხა აღადგინონ მშენებლობის ფინანსირების ანგარიშზე.

მოიჯარადრის ლონისძიებების გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომია, მისი განმეორებითი განხორციელების შემთხვევაში რამდენიმე ობიექტზე, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია იმავე წლის გეგმებით, რომელშიც მიღებულ იქნა ლონისძიება, ჩვეულებრივად წარმოებს საიჯარო ხელშეკრულების 45-ე პუნქტით დადგენილი წესის მიხედვით და რჩება მოიჯარადრე ორგანიზაციის განკარგულებაში.

ლონისძიების გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომია არ ვრცელდება მოიჯარადრე ორგანიზაციის მიერ სამუშაოთა წარმოების მეთოდების შეცვლაზე, აგრეთვე დამკვეთის თანხმობით მასალების, კონსტრუქციების და სხვა ტექნიკური გადაწყვეტების შეცვლაზე, რომლებიც გათვალისწინებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით იმ ობიექტების და სამუშაოების ხაზით, რომელთა მოცულობები, შესრულების მეთოდები და ღირებულება არ შეიძლება განისაზღვროს საკმარისი სიზუსტით

დაბროექტებისას, და ზუსტდება ობიექტის მშენებლობის პროცესში, რომელთანაც დაკავშირებით ანგარიშსწორება წარმოებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობების ფაქტიური შესრულების მიხედვით.

სსრ კავშირის სახმშენისა და სსრ კავშირის მშენბანკის განმარტების შესაბამისად, მიღებული ეკონომია არ ვრცელდება დროებითი შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე, სამუშაოების წარმოების მეთოდების შეცვლის, მასალების, კონსტრუქციებისა და სხვა გადაწყვეტების შეცვლის ღონისძიებებზე. არ მიიღება ღონისძიების სახით წინადადებები, რომლებიც თავის დროზე მოიჯარადრე ორგანიზაციის მიერ იქნა უარყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმების სტადიაზე (საპროექტო გადაწყვეტები, კონსტრუქციები, მასალები ან სამუშაოების წარმოების მეთოდები).

მოიჯარადრის მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების გატარების შემდეგ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკები წახალისდებიან სამშენებლო ორგანიზაციების, საწარმოების და დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ მუშაკების წახალისების კანონმდებლობის წესების შესაბამისად.

#### § 10. როგორი წესით უნდა იყოს დაგეგმული ცვლილებები წარმოებაში გადაცემულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში?

შეიძლება იყოს შენთხვევები, როცა მოიჯარადრისათვის გადაცემულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში დამკვეთს შეაქვს დადგენილი წესის მიხედვით ცვლილებები. ამასთან დამკვეთი ვალდებულია სამუშაოების დაწყებამდე 15 დღით ადრე გადასცეს მოიჯარადრე ორგანიზაციას შეცვლილი ტექნიკური დოკუმენტაციის საჭირო რაოდენობა და გაუქმებული ნახაზების სია. ცვლილებების შეტანისას დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს მოიჯარადრე ორგანიზაციას ყველა დანახარჯი და ზარალი ადრე გაცემული საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლასთან დაკავშირებით.

მოიჯარადრისათვის შეცვლილი ტექნიკური დოკუმენტაციის გაცემიდან 10 დღის განმავლობაში დამკვეთი მოიჯარადრესთან ერთად ადგენს ერთობლივ აქტს ზედმეტად შესრულებული სამუშაოებისა და დაშლადებული კონსტრუქციების გადაკეთებაზე;

დამკვეთი მეთანხმებულ ვადაში ღებულობს მოიჯარადრისაგან მატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც მოიჯარადრეს არ შეუძლია გამოიყენოს სხვა ობიექტების მშენებლობაზე და აუნაზღაურებს მასალებისა და კონსტრუქციების მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულების გაუქმებასთან ან შეცვლასთან დაკავშირებულ ზარალს, აგრეთვე სხვა ობიექტებზე გამოყენებულ მატერიალურ ფასეულობათა გადაზიდვის ხარჯებს.

კაპიტალურ მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ წესების 45-ე პუნქტის ტექსტიდან არ გამომდინარეობს, რომ დამკვეთი დაკარგავს უფლებას მშენებლობის ნებისმიერ სტადიაზე ჩაატაროს კაპიტალურ მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის განსახორციელებლად მიმართული ღონისძიებები, შეცვალოს მოწვევებული საპროექტო გადაწყვეტები, რომლებიც არ შეესაბამება მშენებლობის განხორციელების რეალურ პირობებს და შეცვალოს ისინი უფრო პროგრესულითა და ეკონომიურით.

ამის გამო ყოველგვარი მოღვაწეობა, მათ შორის რაციონალიზატორულიც, რომელიც მიმართულია საპროექტო გადაწყვეტების გასაუმჯობესებლად, უნდა წარმოებდეს დაპროექტებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ყველა სტადიაზე. მაგრამ, იმის შემდეგ, რაც პროექტი ან მისი ნაწილი მთლიანად დამთავრდა, შემოწმდა, დამტკიცდა და გადაიგზავნა დამკვეთის მიერ მოიჯარადრისათვის სამუშაოების საწარმოებლად, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია „კაპიტალურ მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ წესების“ 45-ე პუნქტით, უნდა განხორციელდეს მოიჯარადრე ორგანიზაციის საშუალებით. ასეთი წესი უზრუნველყოფს სამშენებლო სამონტაჟო-სამუშაოების სწორ დაგეგმვას, ხელს უწყობს სამშენებლო ორგანიზაციების საქმურნეო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას.

ეკონომია, რომელიც წარმოიქმნება ღონისძიებების რეალიზაციით, მათ შორის რაციონალიზატორული წინადადებებისაგან, როგორც ეს 45-ე პუნქტითაა გათვალისწინებული, რჩება მოიჯარადრე ორგანიზაციას, რომელსაც იგი გამოიყენებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულების შემცირებისათვის.

ამ პრინციპის შენარჩუნება ამაღლებს დამკვეთის და საპროექტო ორგანიზაციების პასუხისმგებლობას მათ მიერ გამოშვებული და დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხზე.

§ 11. რა სახის ნაკლოვანებები შეინიშნება მოიჯარადრის  
ლონისძიებების სწორად კვალიფიკაციის საქმეში?

მოიჯარადრის ღონისძიებათა გაფორმების ანალიზის შედეგად გამოვლენილია არსებითი ნაკლოვანებები. კერძოდ: მოიჯარადრე ორგანიზაციები ხშირად დამკვეთთან და საპროექტო ორგანიზაციებთან ათანხმებენ რა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში 'შედარებით უფრო ძვირ ტექნიკურ გადაწყვეტილებათა, აგრეთვე ახალი პროგრესული კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენებას, ცვლიან მათ შემდგომ უფრო იაფი და შესაბამისად ტრადიციული, წარმოების მიერ უკვე ათვისებული მძიმე, შრომატევადი და მოძველებული კონსტრუქციებით. აღნიშნულ ცვლილებას მოიჯარადრე ორგანიზაციები ათანხმებენ დამკვეთთან, ეკონომიას იტოვებენ თავიანთ განკარგულებაში, შემდგომში აფორმებენ ამ ღონისძიებებს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროების საშუალებით, როგორც რაციონალიზატორულს, და ანაზღაურებენ შესაბამის გასამრჩელოს.

როგორც წესი, ასეთი ღონისძიებები ამცირებს ინდუსტრიულობას, ადიდებს შენობა-ნაგებობების მასას, ამცირებს მას სიმტკიცეს და საექსპლუატაციო მახასიათებლებს და არ უწყობს ხელს მშენებლობაში საშეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა გამოყენებას.

ეს ნაკლოვანებები ზოგჯერ გამოწვეულია იმით, რომ დამკვეთები და დამპროექტებლები ნაკლებ ინტერესს იჩენენ, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ტექნიკური გადაწყვეტების მაღალ დონეზე შესრულებას. არ იყენებენ იმ უახლეს მიღწევებს, რაც ასახულია საინფორმაციო მასალებში და უპირველესად სამაქულო და საზღვარგარეთის საპატენტო ინფორმაციის წყაროებში.

გვხვდება აგრეთვე შემთხვევები, როცა მოიჯარადრე ორგანიზაციების მუშაეებს შეაქვთ წინადადებები, რომლებიც ადრე იყო გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციაში და მოიჯარადრის დაინებული მოთხოვნით დამპროექტებლებმა შეცვალეს ნაკლებად პროგრესული პროექტით, ხოლო შემდგომში სამუშაოთა წარმოებისათვის იმავე ობიექტზე მათ მიერ ადრე უარყოფილი წინადადებები მათ მიერვე წამოყენებულ და კვალიფიცირებულ იქნა რაციონალიზატორულად, რაც არასწორია.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთავარი ყურადღება საჭიროა მიექცეს დამკვეთებისა და დამპროექტებ-

ლების პასუხისმგებლობის ამალღების სამუშაოების წარმოებისათვის შესრულებული პროექტების მალალ ზარისხზე, სათანადო კონტროლის დაწესებაზე, რათა ადგილი არ ჰქონდეს საბელმწიფო სახსრების უყარათო ფანტვას, მშენებლობის ღირებულების ხელოვნურად გაზრდასა და ტექნიკური პროგრესის ხელოვნურად დამუხრუჭებას.

1

§ 12. როგორია ძვემოიჯარადრე სამშენებლო ორგანიზაციების რაციონალიზატორული წინადადებაების გაზორემის წესები?

კაპიტალურ მშენებლობაში რაციონალიზატორული წინადადებები შეიძლება შეტანილ იქნეს არა მარტო გენერალური მოიჯარადრე ორგანიზაციების, არამედ ქვემოიჯარადრე სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკების მიერ.

საქვემოიჯარადრო სამუშაოების შესრულებისას, მხარეები ხელძღვანელობენ „კაპიტალურ მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ წესებით“, „მშენებლობის ფინანსირების წესებით“ და „გენერალურ მოიჯარადრე და ქვემოიჯარადრე ორგანიზაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დებულებებით“.

საქვემოიჯარადრო ხელშეკრულების მიხედვით დანკვეთის მოვალეობა ეკისრება გენერალურ მოიჯარადრეს, ხოლო მოიჯარადრის ვალდებულებები — ქვემოიჯარადრე ორგანიზაციას. დავა მოიჯარადრე და ქვემოიჯარადრე ორგანიზაციებს შორის დადგინილი წესისამებრ განიხილება საარბიტრაჟო ორგანოების მიერ, ორგანიზაციებს შორის დავის განხილვის საერთო წესების საფუძველზე.

აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ დებულების 68-ე პუნქტის შესაბამისად, განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე უნდა მიეწოდოს იმ ორგანიზაციას, წარმოებას ან დაწესებულებას, ვისი მოლოვაწობის სფეროსაც მიეკუთვნება წინადადება, იმისაგან დამოუკიდებლად, მუშაობს თუ არა წინადადების ავტორი ამ წარმოებაში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში.

დამკვეთის მიერ მოიჯარადრე ორგანიზაციისათვის სამუშაოების საწარმოებლად ნახაზების გადაცემამდე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეცვლასთან დაკავშირებული

განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, მიეწოდება და-  
მკვეთს მისგან დამოუკიდებლად, თუ ვის მიერ არის ეს წინადადე-  
ბა დამუშავებული.

განცხადებები ქვემოთააღრე ორგანიზაციების შუშაკების,  
რაციონალიზატორულ წინადადებებზე, რომლებიც იწვევენ დამ-  
კვეთის მიერ მოიჯარადრისათვის სამუშაოების საწარმოებლად  
გადაცემულ სამუშაო ნახაზეში (ერთსტადიური დაპროექტები-  
სას ტექნიკურ-სამუშაო პროექტებში) ცვლილებების შეტანის აუცი-  
ლებლობას, უნდა მიეწოდოს მოიჯარადრე ორგანიზაციას, ამასთან  
შეუთანხმდეს დამკვეთ ორგანიზაციას, რომელიც, თავის მხრივ,  
აცნობებს ამ წინადადების შესახებ საპროექტო ორგანიზაციას.

ზემოთ განხილული წესის თანახმად, ქვემოთააღრე ორგა-  
ნიზაციას აწვდიან წინადადებებს, რომლებიც მიეკუთვნება მათი  
მოღვაწეობის სფეროს.

ქვემოთააღრე ორგანიზაციაში წინადადებების შეტანის წე-  
სი იგავეა, რაც მოიჯარადრე ორგანიზაციისათვის.

საქვემოთააღრეო ხელშეკრულება ჩვეულებისამებრ იდება  
იმავე, ან სხვა უწყების სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციას-  
თან, სპეციალური სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების ჩა-  
სატარებლად.

ერთეულ შემთხვევებში საერთო-სამშენებლო სამუშაოების  
სპეციალიზაციის დროს საქვემოთააღრეო ხელშეკრულებები შე-  
იძლება დაიდოს საერთო-სამშენებლო სამუშაოებზედაც. მაგრამ გა-  
შრომგონებლობის ხაზით არც ერთ ინსტრუქციულ დოკუმენტში  
არ არის მითითებული, ვის უნდა მიმართოს ქვემოთააღრემ მას-  
თან შესული წინადადების გამოყენებაზე საკითხის გადასაწყვეტ-  
ად (უშუალოდ დამკვეთს, თუ გენერალურ მოიჯარადრეს).

ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ კაპიტალურ მშენე-  
ბლობაში საიჯარო ხელშეკრულების მარეგულირებელი ზემოთ  
აღნიშნული ნორმებით, თუმცა ეს ნორმები არ განეკუთვნება გა-  
შრომგონებლობასა და რაციონალიზაციას.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის  
შემთხვევაში ქვემოთააღრე ორგანიზაციები ანგარიშს ასწორე-  
ბენ გენერალურ მოიჯარადრესთან მთლიანად დამთავრებული შე-  
საბამისი სამონტაჟო და სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაო-  
ების კომპლექსების, ობიექტებისა და ეტაპების მიხედვით, რომ-  
ლებიც ჩასმული აქვს გენმოიჯარადრეს გეგმაში. ამასთან, დაგეგ-



შვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდებზე გადასული გენმოიჭარადრე და ქვემოიჭარადრე ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორება ხდება შესაბამისი სახის სპეციალური სამწე-ნებლო სამუშაოების დამთავრებული კომპლექსების, ობიექტების ან ეტაპების მიხედვით იმისგან დაშოუყდებლად, გადაყვანილია თუ არა ქვემოიჭარადრე ორგანიზაცია დაგეგმვისა და ეკონომი-კური სტიმულირების ახალ მეთოდზე. ზემოთ აღნიშნულის გათ-ვალისწინებით ქვემოიჭარადრე ორგანიზაციას არ შეუძლია თავი-სი ინიციატივით, გენერალური მოიჭარადრის გვერდის ავლით შეათანხმოს წინადადება დამკვეთთან და განახორციელოს მშენებ-ლობის გათავების ღონისძიება. თანხმობა ასეთი ღონისძიების გა-ტარებაზე ქვემოიჭარადრე ორგანიზაციამ უნდა მიიღოს გენმო-იჭარადრე ორგანიზაციისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მან მიიჩნიოს მასთან შეტანილი წინადადება რაციონალიზატორ-ულად.

ქვემოიჭარადრის მიერ განხორციელებული ღონისძიების შე-დეგად მიღებული ეკონომია, რომელიც ათავებს მშენებლობას, გა-დაეცემა მას ნატერიალური სტიმულირებისა და რაციონალიზა-ტორულა მუშაობის აქტივიზაციის მიზნით.

არის შემთხვევები, როცა სპეციალიზებული სამონტაჟო ჯა-მუშაოების შესასრულებლად იდება პირდაპირი ხელშეკრულება დამკვეთისა და სპეციალიზებულ სამონტაჟო ორგანიზაციას შორის. ასეთ შემთხვევაში ქვემოიჭარადრე ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, წინადადებას ათანხმებს მხოლოდ დამკვეთთან.

მნიშვნელოვან საკითხად ითვლება ქვემოიჭარადრე და გენე-რალურა მოიჭარადრე ორგანიზაციებს შორის გამოგონების, რა-ციონალიზატორული წინადადების ან მშენებლობის გათავების ღონისძიების განხორციელების შედეგად მიღებული ეკონომიის თანხის განაწილება. მიღებული ეკონომია ამ შემთხვევაში საკი-რთა განაწილდეს მათ მიერ შესრულებული სამუშაო მოცულობ-ის შესაბამისად. ხოლო წინადადების კვალიფიკაციას, როგორც მშენებლობის გათავების ღონისძიებას, ახდენს ის სამშენებლო ორგანიზაცია, რომელშიც შეტანილ იქნა წინადადება, ე. ი. გენე-რალური მოიჭარადრე ან ქვემოიჭარადრე.

გენმოიჭარადრეს შეუძლია მიიღოს რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებით მიღებული ეკონომია, რომელიც მიეკ-უთვნა ქვემოიჭარადრის სპეციალიზებულ სამუშაოებს მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალიზებული ქვემოიჯარადრის მიერ რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებამდე არ იყო დადებული ხელშეკრულება ამ სამუშაოების შესრულებაზე და მისთვის არ იყო გადაცემული შეუცვლელი სამუშაო ნახაზები.

გენერალურ მოიჯარადრე ორგანიზაციების მუშავენს შეუძლიათ აგრეთვე, დებულების 68-ე პუნქტის თანახმად, სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად (მაგალითად, შიგა სანიტარულ-ტექნიკური, ელექტრო-სამონტაჟო, მიწის სამუშაოების და ა. შ.) საპროექტო გადაწყვეტათა შესაცვლელად მიმართული განცხადებები რაციონალიზატორულ წინადადებებზე შეიტანონ ქვემოიჯარადრე სამშენებლო ორგანიზაციებში, რომლებიც ასრულებენ ამ სამუშაოებს.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები სრულდება დამკვეთთან პირდაპირი სპეციალური ხელშეკრულებით და მისი მასალებით, წინადადება უნდა მიეწოდოს დამკვეთ ორგანიზაციას. თუ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, მაშინ ქვემოიჯარადრე ორგანიზაცია ვალდებულია ეს წინადადება შეათანხმოს გენმოიჯარადრე ორგანიზაციის მეშვეობით. მიღებული ეკონომია რჩება ქვემოიჯარადრე ორგანიზაციას.

§ 13. როგორია საშენებლო ორგანიზაციების მიერ გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით საშუაომების ორგანიზაციისა და დაგზავვის სტრუქტურა?

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს № 575 დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო შეურნეობაში აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების ეფექტური ორგანიზაციისა და სწორი ხელმძღვანელობის საქმეს. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია მშენებლობაში რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მუშაობის არსებითი გაუმჯობესება. თაოსნობა გამოგონებლობასა და რაციონალიზაცი-

ამი სამშენებლო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ეკისრებათ უშუალოდ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

ამ ორგანიზაციებისა და საწარმოების მოვალეობაში შედის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობის სრულყოფა, პერსპექტიული და მიმდინარე თემატური გეგმების დამუშავება, კონტროლის განხორციელება მათი შესრულებისათვის; უმოკლეს დროში სამშენებლო წარმოებაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება, ჩატარებულ დამუშავებებში გამოგონებების გამოვლენა და ზომების მიღება მათი დაცვისათვის ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ; დადგენილი წესით გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის გასამრჩელოს და გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისადმი ხელშეწყობისათვის პრემიების გაცემა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა კაპიტალურ მშენებლობაში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის წარმატებით განხორციელებაში ენიჭება ამ მუშაობის ძწორად დაგეგმვა.

საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის დაგეგმვა უნდა იყოს მიმართული გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების შემოქმედებითი ძალების ორგანიზებაზე. სამშენებლო წარმოების ყველაზე უფრო აუცილებელი და აქტუალური საკითხების სრულყოფისაკენ, ტექნიკური გადაწყვეტების დამუშავებისა და ფართოდ გამოყენებისათვის.

საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის დაგეგმვას წინ უნდა უძღოდეს სახალხო მიუწრნეობის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართებათა ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა, წამყვანი სამშენებლო ორგანიზაციების და საწარმოების მოწინავე ტექნიკური გამოცდილების შესწავლა. აგრეთვე სამამულო და საზღვარგარეთის გამოგონებებისა და სხვა ტექნიკური სიახლეების გაცნობა, რომლებიც ეხება ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო წარმოების ეფექტურობის ამაღლებას.

ღებულების 90-ე პუნქტის თანახმად, ორგანიზაციებში, წარმოებებში, სამინისტროებსა და უწყებებში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის დაგეგმვის წესს განსაზღვრავს გამომგონებების და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტთან და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი

პოლვაწეობის დაგეგმვა შეიცავს: ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებების გეგმას; გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედების თემატურ დაგეგმვას; მშენებლობაში ყველა სტადიაზე გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების დაგეგმვასა და ორგანიზაციას; გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების შედეგად ეკონომიის დაგეგმვას; სახალხო მეურნეობაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დროულ რეალიზაციასა და სამშენებლო წარმოების სრულყოფაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განხორციელებას; სამშენებლო წარმოებაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის სამუშაოების დაფინანსებას.

თანახმად გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1962 წლის 13 ნოემბერს დამტკიცებული საგამომგონებლო და რაციონალიზატორული სამუშაოების დაგეგმვის მითითებებისა, დადგენილია გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების დაგეგმვის წესი, შესაბამისი გეგმების შედგენით. ეს გეგმები მიეკუთვნება ამ გეგმებს, უშუალოდ ამუშავებს და ამტკიცებს სამშენებლო ორგანიზაციები, მსგავსად სამშენებლო უბნების, სამმართველოების, მშენებლობების, სამშენებლო საწარმოებისა და საამქროებისათვის გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისა, რომლებიც დამოუკიდებლად მტკიცდება ამ ორგანიზაციების მიერ.

პერსპექტიული და შიმიდინარე თემატური გეგმები და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით ორგანიზაციულ-მასობრივ ღონისძიებათა გეგმები სამშენებლო საწარმოებსა და ორგანიზაციებში დგება. უპირველეს ყოვლისა, წარმოების „ვიწრო“ ადგილების გათვალისწინებით.

#### § 14. როგორია საშუალო ორგანიზაციებში ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებების გაგმის უინაარსი?

როგორც წესი, სამშენებლო ორგანიზაციებში დგება ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებების წლიური გეგმები. ხოლო იშვიათ შემთხვევაში — კვარტალური, რომლებშიც წარმოდგენილია შემდეგი განყოფილებები:

—სამშენებლო საწარმოებსა და სააშქროებში, სამწართველოებში, ტრესტებში და ა. შ. თემატური კონკურსებისა და დავალიერებების ჩატარების საკითხები;

—საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის გასაუმჯობესებლად შეჯიბრების ორგანიზაცია;

— მუდმივი და ერთჯერადი გამოფენების ორგანიზაცია;

— „ნოვატორთა დღის“ ორგანიზაცია;

— გამოგონებლისა და რაციონალიზატორის კაბინეტებისა და კუთხეების ორგანიზაცია;

— გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკითხებზე კონფერენციები და თათბირები მუშაობის შედეგების შეჯამების გამოცდილების გაზიარების, სამუშაო გეგმის განხილვის და ასე შემდეგ;

— საწარმოებსა და გამოფენებზე შემოქმედებითი მივლინებები და ექსკურსიები;

— გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობის ამსახველი კრებულების, ფურცლების, პლაკატების და დიაგრამების გამოფენა.

ამავე გეგმებში შეაქვთ აგრეთვე ექსპერიმენტული ბაზების შექმნა და გაფართოება, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დამუშავების, შემოწმებისა და დანერგვისათვის უზნებისა და ჯგუფების შექმნა, ორგანიზაციის პროფილის მიხედვით სამამულო და საზღვარგარეთული გამოგონებებისა და სხვა ტექნიკურ სიახლეთა შესწავლა, შერჩევა და სხვა.

სოციალისტურ ვალდებულებებში შეაქვთ გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის საკითხები, პატი შესრულება განიხილება საანგარიშო პერიოდში შედეგების შეჯამებისას; სოციალისტური შეჯიბრების მიხედვით მიენიჭებათ წოდებები: „საუკეთესო სამშენებლო სამწართველო“, „საუკეთესო გამოგონებელი“, „საუკეთესო რაციონალიზატორი“, „გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საუკეთესო შემოქმედებითი ბრიგადა“ და ა. შ.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმები სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში სხვადასხვაა, მაგრამ მათი მიზანი ერთია — შთელი ძალებისა და რესურსების მობილიზება სამშენებლო წარმოების აქტუალურ ამოცანათა გადასაწყვეტად.

საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის სწო-  
ბად და მიზანდასახულად წარმართვის საქმეში განსაკუთრებულ  
მნიშვნელობა ენიჭება თემატურ დაგეგმვას სამშენებლო ორგანი-  
ზაციებსა და საწარმოებში. იგი უნდა ასახავდეს მიმდინარე და  
პერსპექტიული დაგეგმვის საკითხებს, ითვალისწინებდეს პირველ  
რიგში ყველა საწარმოო პროცესის სრულყოფას, შრომატევადი  
სამუშაოების შემცირებას, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაო-  
ების შემცირებას. სამშენებლო წარმოების ეფექტურობის ამაღ-  
ლებას.

ასეთი დაგეგმვა ხორციელდება პირველ რიგში თემატური  
გეგმების (თემატური კრებულების) გამოცემის გზით. მიმდინარე  
და პერსპექტიული გეგმები განიხილება მშენებლობებზე, უბნებ-  
ში, საამქროებში, სამშენებლო სამმართველოებში და ა. შ., მათ  
შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხების შერჩევის  
მიზნით, რომლებიც გადაუდებლად შეიძლება დაინერგოს.

მიმდინარე საკითხებზე მუშავდება წლიური თემატური კრე-  
ბულებები, ხოლო პერსპექტიულ საკითხებზე — ხუთწლიანი. ტექ-  
ნიკური საბჭოს მიერ თემატური კრებულის განხილვის შემდეგ  
მას ამტკიცებს ორგანიზაციის ან წარმოების მთავარი ინჟინერი.

თემატურ კრებულში დავალება უნდა შეიცავდეს: არსებული  
კონსტრუქციის, მექანიზმის და ტექნოლოგიური პროცესის ზუსტ  
აღწერილობას და მის მთავარ უარყოფით მხარეებს; დასახული ამო-  
ცანის (ე. ი. უარყოფითი მხარეების ლიკვიდაციის) გადაწყვეტის  
საერთო მიმართულებას; მონაცემებს მოსალოდნელ ტექნიკურ-  
ეკონომიკურ ეფექტზე; პასუხისმგებელ შესრულებლებს (თემის  
კონსულტანტის გვარს); სამუშაოთა შესრულების ვადებს.

პერსპექტიული თემატური გეგმები დგება მოცემული საკი-  
თხის განვითარების პერსპექტივების ღრმა შესწავლის საფუძველზე  
(მაგალითად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების  
მეთოდების, კონსტრუქციების, მოწყობილობების და ა. შ.), მათ  
შორის საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის  
წყაროების მიხედვით.

ზილებული თემატური გეგმების წარმატებით შესასრულებ-  
ლად უპირველეს ყოვლისა აუცილებელია უშუალოდ მშენებლო-  
ბებზე, უბნებზე, საამქროებში და ბრიგადაში მომუშავე გამოგო-

ნებლებსა და რაციონალიზატორების ძალების მიმართვა მათ შე-  
სასრულებლად.

თემატური გეგმების დამუშავებისა და შესრულებისათვის  
გამოწონებულთა და რაციონალიზატორთა ჩაბმის მიზნით მიზან-  
შეწონილია შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:

— თემატური დავალებების განაწილება ცალკეულ ნოვატო-  
რებზე, კომპლექსურ შემოქმედებით ბრიგადებზე, საზოგადოებ-  
რივ საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ბიუროებზე (ეს ღო-  
ნისძიებები საჭიროა ჩატარდეს გამომგონებელთა და რაციონალი-  
ზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანოს, სა-  
მეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების და სხვა საზოგადოებრივ  
ორგანიზაციებთან ერთად);

— შრომითი ხელშეკრულების დადება ადმინისტრაციასა და  
ცალკეულ ნოვატორებს ან კომპლექსურ შემოქმედებით ბრიგად-  
ებს შორის, როგორც მოცემულ საწარმოებსა და ორგანიზაციებ-  
ში მომუშავე, ასევე გარეშე მოწვეულ პირებთან (დებულების  
128-ე, 129-ე, 131-ე და 133-ე პუნქტების შესაბამისად).

შრომით ხელშეკრულებაში უნდა გაითვალისწინონ როგორც  
თემის დამუშავებისა და გამოსაყენებლად მომზადების პირობები,  
ასევე ავტორებისათვის გასამრჩელოს ოდენობა დოკუმენტაციის  
და მოდელის დამზადებისათვის, მოქმედი ნორმებისა და შეფასე-  
ვის შიხედვით; დროზე ადრე ან დროულად თემატური გეგმის შე-  
სრულების პრემიის ოდენობა და ა. შ. ასეთი შეთანხმებით გან-  
საზღვრული თანხა გაიცემა გამოგონებებისა და რაციონალიზა-  
ტორული წინადადებების გამოყენებისათვის გასამრჩელოსაგან  
დამოუკიდებლად (იხ. დანართი).

§ 16. როგორ ხდება მშენებლობაში გამოგონებების დამუშავების  
შემოწმებისა და გამოყენების საშუალების დაგეგმვა?

სამშენებლო ორგანიზაციებში გამოგონებების დამუშავების,  
შემოწმებისა და გამოყენების სამუშაოების დაგეგმვას ახორცი-  
ელებენ საგეგმო-საწარმოო განყოფილებები გამოგონებელთა და  
რაციონალიზატორთა ბიუროებთან (ჯგუფებთან) ერთად.

დამუშავებისა და გამოყენებისათვის მიღებული გამოგონე-  
ბები და რაციონალიზატორული წინადადებები უნდა იყოს შეტა-  
ნილი ტრესტის, სამმართველოს, კომბინატის, ქარხნის, საამქროს,  
უბნის და ა. შ. ახალი ტექნიკის გეგმასა და ორგანიზაციულ-ტექ-

თბილისის სახლმშენებელი კომბინატის თვითმართვის განყოფილება

№	თ ე მ ა	არსებული გადაწვევების უარყოფითი მხარეები	ახალი დადასტურებული საერთო ზომების აღწერა	მოსალოდნელი ტექნიკური მოხსენიებული დანახარები	საპროექტო საფუძვლის გათვლილი ნაშთი, მან.	შესრულების ვადები		კასეტისმგებელი შენობის რეკონსტრუქციის ვადები
						დაწყება	დასრულება	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	კაპიტალური შენობის რეკონსტრუქციის (საქონლის) შენობის, საფუძვლის, ბლოკების და ა.შ.) მონტაჟის ახალი მეთოდი	არსებული ხერხი ელოვნების საბოლოო მდგომარეობაში დაინერგვის შემდეგ ითვალისწინება მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება, ვასწორებებს, კაპიტალურად რეაბილიტაციის და რეაბილიტაციის მეთოდით დაგეგმვის, შედუღების, ნაწილობრივი რეკონსტრუქციის, მიწისფერ მონტაჟის, მიწისფერ მონტაჟის ფუნქციონირების და დადასტურების, გარეგანი და ახალი ელემენტების კაპიტალური მონტაჟის ხარისხის გაუმჯობესებას.	საკუთარი კაპიტალიზაციის საფუძვლის გათვლილი მონტაჟის ტექნიკური მოხსენიებული დანახარების აღწერა	შრომის ნაჯიკების და სახლმშენებლის კომბინატის საფუძვლის გათვლილი ნაშთი, მან.	3700	III 1979	XII 1979	საქ. სარ. შენობის საფუძვლის რეკონსტრუქციის ტექნიკური მოხსენიებული დანახარების აღწერა



ნიკურ ღონისძიებებში. ამ გეგმებში შეტანილი უნდა იყოს არა მარტო წინადადებები, რომლებიც შერჩეულია მოცემულ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკების მიერ, არამედ ზემდგომი სამშენებლო ორგანიზაციებისა და გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოყენებისათვის რეკომენდებული წინადადებებიც.

ჩვეულებისამებრ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს გამოყენებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გამოგონებებს, რომლებიც მიმართულია ახალი ტექნიკურად სრულყოფილი და ეკონომიკურად ეფექტური მანქანების, მექანიზმების, კონსტრუქციების, მასალების და ტექნოლოგიური პროცესების შესაქმნელად.

შიზანშეწონილია ამ გეგმებში შევიტანოთ აგრეთვე მოცემულ საწარმოში ან სამშენებლო ორგანიზაციაში გამოსაყენებლად ნავარაუდები გამოგონებები. რომლებზედაც შეტანილია განაცხადი გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში და იმყოფება განხილვის სტადიაში.

პერსპექტივაში გამოგონების გამოყენება შეიძლება დაიგეგმოს საორიენტაციოდ, გასული გამოცდილების ანალიზით.

მშენებლობის მთელი რიგი დარგისათვის მნიშვნელოვანი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ აუცილებელია შევატყობინოთ ზემდგომ ორგანიზაციას შესაბამისად სახელმწიფო გეგმებში მათ შესატანად.

**§ 17. როგორ ხდება გამოგონებაებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით მიღებული ეკონომიის დაგეგმვა მშენებლობაში?**

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით ეკონომიის დაგეგმვას მშენებლობაში ახორციელებს სამშენებლო სამმართველოები და უბნები, სამშენებლო საწარმოები ან მისი საამქროები, როგორც საწარმოების მიერ გამოსაშვები პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად დავალების ნაწილს. მისი გაანგარიშებისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ 1977 წლის 14 თებერვალს დამტკიცებული „სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წი-

ნადადეგების გამოყენებით ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდით“.

დასაგეგმავი ქონომიის რაოდენობის განსაზღვრისათვის აუცილებელია ჩავატაროთ ეკონომიკური გაანგარიშება იმ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადეგების მიხედვით, რომლებიც ჩასმულია ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმაში, აგრეთვე წინადადეგების მიხედვით, რომლებიც დასაგეგმ წელიწადში გათვალისწინებულია დასამუშავებლად თემატური გეგმის შესაბამისად. ამასთან იგეგმება არა პირობითი, არამედ რეალური ეკონომია წლიური გაანგარიშებით.

ეკონომიის ტიპობრივი დავალებების დამუშავებისას საჭიროა გავითვალისწინოთ:

— მიღებული წინადადეგების გამოყენებით ეკონომიის თანხის გარდამავალი ნაშთი;

— თემატური გეგმის მიხედვით ახალი წინადადეგების შემოსვლა;

— წინადადეგების გამოყენება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული თემატური გეგმით, მაგრამ რომლებიც ყოველდღიური მოღვაწეობის შედეგად წარმოიქმნება;

— სახელმწიფო კომიტეტის მიერ რეკომენდებული ან საპატენტო ლიტერატურიდან გადმოღებული გამოგონებების გამოყენებით მიღებული ეკონომიის თანხა.

უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა გამოგონებების დამუშავების და გამოყენების ქსელური დაგეგმვის ახალმა პროგრესულმა მეთოდმა.

ქსელური დაგეგმვა საშუალებას იძლევა უზრუნველყოთ გამოგონების გამოყენების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილე ცალკეულ ქვეგანყოფილებათა ეფექტური თანამიმდევრული მუშაობა. ასეთი ქვეგანყოფილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოგონებების დანერგვისას შეიძლება იყოს ძალიან ბევრი: საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, წარმოების მოსამზადებელი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ექსპერიმენტული გამოკვლევების სამუშაოების, ჩატარების, მოდელირების და ა. შ. ქსელური დაგეგმვა ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ამ სამუშაოების შეთანხმებულ და დაჩქარებულ შესრულებას.

§ 18. როგორია გამოგონებებისა და რაციონალიზატორული  
წინადადებების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიკა?

მშენებლობაში ტექნიკურ პროგრესს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გამოგონებები, რომლებიც გამოირჩევიან პრინციპული სიახლით და სარგებლიანობით, ძირეულად ცვლიან სამშენებლო წარმოებას.

აღნიშნულ გამოგონებათა მნიშვნელობა განისაზღვრება ტექნიკური და ეკონომიკური ფაქტორებით. ბევრი გამოგონება, რომელიც ხელს უწყობს სამშენებლო ტექნიკისა და კონსტრუქციების სრულყოფას, ნაკეთობებისა და მასალების დამზადების ახალი პრინციპების გამოყენებას, არ ახდენს რევოლუციურ გავლენას სამშენებლო წარმოების ხარისხზე, თუმცა უდავოდ ითვლება სასარგებლოდ და აუცილებელია მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ასეთი გამოგონებების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შეფასებისათვის აუცილებელია მათი ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა არა მარტო მშენებლობაში გამოყენების სტადიაზე, არამედ გაცილებით უფრო ადრე — გეგმიურ დავალებაში, ახალი ტექნიკის გეგმებში, ექსპერიმენტული მშენებლობის გეგმებში შეტანის და ა. შ. სტადიებზე.

დებულების 108-ე პუნქტის შესაბამისად, ასეთი გამოგონების გამოყენებით მიღებული ეკონომიის გაანგარიშება საჭიროა ჩატარდეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1977 წლის 14 თებერვალს დამტკიცებული „სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისას ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდის“ მიხედვით.

გამოგონების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოგონების (მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების) ფორმულას.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 1967 წლის 10 ივლისის № 3 (26) განმარტების — „გამოგონების და დანერგვის ფაქტის დადგენისა და მის შედეგად შექმნილი დადებითი ეფექტის განსაზღვრისათვის გამოგონების ფორმულის მნიშვნელობის შესახებ“ — მიხედვით, დადებითი ეფექტისა და შესაბამისად გამოგონების ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისათვის, აუცილებელია ჩატარდეს დასაწერავი გამოგონების

პროტოტიპთან შედარება გამოგონების ფორმულის შესაბამისად. გამოგონების პროტოტიპი ე. ი. მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, რომლის ნიშნები ნაჩვენებია გამოგონების ფორმულის პირველ ნაწილში (განმსაზღვრელში), და ეს მოცემული პროტოტიპი წარმოადგენს შედარებით ყველაზე უფრო ეფექტურ მოწყობილობას, ხერხს ან ნივთიერებას მოცემული მიზნისათვის, უნდა შედარებულ იქნეს გამოსაყენებელი გამოგონების ნიშნებთან.

ეკონომიის გაანგარიშებისას აუცილებელია გამოგონების დანერგვასთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯებისა და ამ დანახარჯების გამოსყიდვის ვადები. გამოსყიდვის ვადა განისაზღვრება როგორც კაპიტალურ დაბანდებათა საბაზო და დასანერგად გათვალისწინებულ ობიექტებს შორის სხვაობის შეფარდება ამ ობიექტების მიხედვით გამოშვებული მზა პროდუქციის თვითღირებულებების სხვაობასთან და გამოითვლება ფორმულით

$$T = \frac{K_2 - K_1}{C_1 - C_2},$$

სადაც  $K_1$  — კაპიტალური დაბანდება ტექნიკის ძველი დონის დროს ე. ი. პროტოტიპის გამოყენებისას,  $K_2$  — კაპიტალური დაბანდება ახალი გამოგონებების გამოსაყენებლად;  $C_1$  — ძველი ტექნიკის დროს გამოშვებული პროდუქციის (ან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების) თვითღირებულება, ხოლო  $C_2$  — გამოგონების გამოყენების შედეგად ახალი პროდუქციის (ან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების) თვითღირებულება.

მეტად მნიშვნელოვანია გამოგონებების ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა სამშენებლო კონსტრუქციების სფეროში ადრეულ სტადიაზე, როცა გამოგონება გამოიყენება დამუშავების პროცესში მყოფ ტექნიკურ დოკუმენტაციაში. განსაკუთრებით ეფექტურია გამოგონებების გამოყენება მასობრივი მშენებლობის შენობების ტიპობრივ პროექტებში. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია სახალხო მეურნეობის აღნიშნულ დარგში მაქსიმალური ეფექტის მიღება.

სხვადასხვა სამშენებლო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა (რომლებიც ამუშავებენ ახალ ეფექტურ სამშენებლო კონსტრუქციებს) გვიჩვენებს, რომ ფართო მასშტაბებით, საავტორო მოწმობით დაცული გამოგონებების ამა თუ იმ ახალი კონსტრუქციის მასობრივი დანერგვა პრა-

ქტიკულად შეუძლებელია, თუ მისი გამოყენება არ არის გათვალისწინებული ტიპობრივი პროექტებით.

ტიპობრივი პროექტებით შენობა-ნაგებობების მშენებლობისას, რომლითაც გათვალისწინებულია გამოგონების რეალიზაცია, ეკონომია არ იქნება, რადგან გამოგონება ჩართულია ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში.

ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ტიპობრივი პროექტების დამუშავებისას იმ ეკონომიის გაანგარიშება, რომელიც მიიღება ამა თუ იმ გამოგონების გამოყენებისას; ასეთ შემთხვევაში ეკონომიის მიიღებდა დამკვეთი ორგანიზაცია.

მაგრამ აქვე საჭირო იქნებოდა ავტორის, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების გააქტიურების მიზნით ტიპობრივ პროექტებში გამოგონების გამოსაყენებლად გარკვეული წესების შემოღება მათ დესაინტერესებლად. ასეთი წესები ხელს შეუწყობდა მშენებლობის პრაქტიკაში გამოგონებების ეფექტურ გამოყენებას, რადგან ამ დარგის გამოგონებების ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება მხოლოდ საპროექტო-საკონსტრუქტორო და საბეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მოღვაწეობას, რომლებიც ამუშავებენ გეგმიურ თემატიკას.

ამჟამად, მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდით (სამშენებლო ნორმები — 423—71), რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახმშენის ზიერ 1971 წლის 31 მაისს სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით მაჩვენებლების შემდეგი ჯგუფებია, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტურობა:

— სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ან შენობა-ნაგებობების ან ერთეული კონსტრუქციების მიხედვით დანახარჯების თვითღირებულება;

— კაპიტალური დანახარჯები ძირითადი საწარმოო და საბრუნავი ფონდების გაზრდაზე ან ამ ფონდების ღირებულება წარმოების პროცესში;

— ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა ან სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების განსაზღვრული კომპლექსის შესრულება;

— შრომის ნაყოფიერება.

დამახასიათებელია, რომ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერ-

გვისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების პრემირების შესახებ საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს და სსრკავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის 1964 წლის 26 დეკემბრის № 537/11—27 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში გათვალისწინებულია, რომ ახალი ტექნიკის გეგმის მიხედვით გამოგონებების დონეზე შესრულებული სამუშაოების, რომელთაც აქვთ დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა, პრემირება წარმოებდეს მაქსიმალური ოდენობებით ეკონომიკური ეფექტურობის შესაბამისად.

გამოგონებების გამოყენებით ახალი ტექნიკის ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს:

— მშენებლობის მექანიზაციას, ე. ი. ახალი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობების გამოყენებას არსებული მანქანებისა და მექანიზმების სრულყოფას და მოდერნიზებას;

— მსხვილპანელიან, მთლიანბლოკიან და მოცულობითბლოკიან სახლთმშენებლობაში ახალი მასალებისა და კონსტრუქციების გამოყენებას;

— სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფას;

— საპროექტო გადაწყვეტათა სამშენებლო ნაწილის სრულყოფას.

§ 19. როგორც მშენებლობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებული ეკონომიის განსაზღვრის მართიანი მეთოდის უინააკის?

სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის 1977 წ. 14 თებერვალს დამტკიცებული მეთოდით (ძირითადი დებულებებით) დადგენილია წინადადებათა ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდური პრინციპი. მეთოდისა საშუალებას იძლევა ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების საუკეთესო ვარიანტების შერჩევისათვის ყველაზე უფრო სწორი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მისაღებად, გამოვიანგარიშოთ მათა ეკონომიკური ეფექტურობა, აგრეთვე ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიის და გამოგონებებისა და რა-

ციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჯელოს რაოდენობა. გარდა ამისა, იქმნება საშენებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და სამინისტროების ნორმებში, ნორმატივებსა და გეგმის მაჩვენებლებში ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლების ობიექტური ასახვისა და ფასთწარმოქმნის სრულყოფის საშუალება.

მოცემული მეთოდის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მშენებლობაშიც, მუშავდება დარგობრივი მეთოდური მითითებები და ინსტრუქციები, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ობიექტების ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშების თავისებურებებს, მათი შექმნისა და გამოყენების ყველა სტადიაზე.

მეთოდის მიზანია — ახალი ტექნიკის შექმნისა და გამოყენების ყველა ეტაპზე ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების ერთიანი მეთოდების დანერგვა და მისი გავლენის ანალიზი საზოგადოებრივი წარმოების ამალგებაზე.

ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შექმნისა და გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გაანგარიშებული წლიური ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე, განსაზღვრულ საანგარიშო წელს ახალი ტექნიკით წარმოებულ წლიურ მოცულობაზე. ამასთან საანგარიშო წელიწადად მიიჩნევა პირველი წელიწადი ახალი ტექნიკის ათვისების დაგეგმილი (ნორმატიული) ვადის დამთავრების შემდეგ. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების შედეგად წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა წარმოებს საანგარიშო წელიწადში, რომელიც წარმოადგენს გამოყენების პირველ წელიწადს.

განსხვავება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას მდგომარეობს იმაში, რომ გამოგონებებისათვის საავეტორო გასამრჯელო განისაზღვრება ფაქტიური ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე (თუ გამოგონება გამოიყენება 1 წელიწადზე ნაკლებ პერიოდში, მაშინ ეკონომიკური ეფექტი იანგარიშება ფაქტიური გამოყენების პერიოდში), ხოლო რაციონალიზატორული წინადადებისათვის — მისი გამოყენების დასაწყისშივე (საავანსო გაცემის შემთხვევაში), დაგეგმილი ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე. რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებიდან პირველი და მეორე

წლის გასვლის შემდეგ საავტორო გასამრჯელო გაიცემა ეკონომიკური ეფექტის მიხედვით, რომელიც იანგარიშება ფაქტიური მონაცემების საფუძველზე.

§ 20. როგორ ხდება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა?

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების წლიური ეკონომიკური ეფექტი წარმოადგენს ყველა საწარმოო რესურსის ჯამურ ეკონომიას (ცოცხალი შრომის, მასალების, კაპიტალური დაბანდებების), რომელსაც მიიღებს სახალხო მეურნეობა და რომელიც საბოლოო ჯამში გამოიხატება ნაციონალური შემოსავლის გადიდებაში.

წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა დაფუძნებულია საბაზო და ახალი ტექნიკის გამოყენებისა დაყვანილი დანახარჯების შეფარდებაზე. დაყვანილი დანახარჯები წარმოადგენს თვითღირებულებებისა და ნორმატიული მოგების ჯამს (მეთოდის მე-7 პუნქტი):

$$3 = C + E_{\text{H}} \cdot K,$$

სადაც 3 — პროდუქციის ერთეულზე (სამუშაოზე) დაყვანილი დანახარჯებია მანეთებში; C — პროდუქციის ერთეულის (სამუშაოების) თვითღირებულება მანეთებში; K — საწარმოო ფონდებში ხვედრითი კაპიტალური დაბანდებები მანეთებში;  $E_{\text{H}}$  — კაპიტალური დაბანდებების ეფექტურობის ნორმატიული კოეფიციენტი (რომელიც მიიღება 0,15 ტოლად).

ვინაიდან გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების სახალხო-სამეურნეო ეფექტურობის ძირითად მაჩვენებელს ეკონომიკური ეფექტი წარმოადგენს, რომელიც განისაზღვრება საბაზო და ტექნიკის ახალი ვარიანტის დაყვანილი დანახარჯების სხვაობით და გაანგარიშებულია წარმოების წლიურ მოცულობაზე, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია საბაზო და ახალი ტექნიკის ვარიანტების ურთიერთდაპირისპირება.

შესაღარებელი ვარიანტების დაპირისპირება უნდა იყოს უზრუნველყოფილი: ახალი ტექნიკის დახმარებით წარმოებულ პროდუქციის მოცულობით; ხარისხობრივი პარამეტრებით; დრო-



ის ფაქტორით; პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების სოციალური ფაქტორებით, მათ შორის მისი გავლენით გარე სამყაროზე.

შედარებითი ეფექტურობა გვიჩვენებს ახალი ტექნიკის გამოყენებისას შედეგების ნამატს აბსოლუტურ სიდიდეებში, საბაზისოსთან შედარებით.

წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას, საბაზო მაჩვენებლების სახით შედარებისათვის მიიღება სსრ კავშირში დაპროექტებული საუკეთესო ტექნიკის მაჩვენებლები (ან საზღვარგარეთული ტექნიკის), რომელიც შეიძლება საჭირო რაოდენობით შესყიდულ ანდა წარმოებულ იქნეს სსრ კავშირში ლიცენზიის შექმნის შედეგად. საბჭოთა კავშირში საპროექტო დამუშავებების არარსებობის შემთხვევაში და საზღვარგარეთის გამოცდილების გამოყენების შეუძლებლობისას, შედარების ბაზის სახით მიიღება სსრ კავშირში არსებული ტექნიკის საუკეთესო მაჩვენებლები. ასეთი შედარება წარმოებს ახალი ტექნიკის შექმნის ვარიანტის შერჩევის პროცესში ან სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გეგმების ფორმირების ეტაპზე.

პირველი სამრეწველო სერიების ათვისებისას, პროგრესული ტექნოლოგიის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ახალი ხერხების დანერგვისა და ახალი ტექნიკის ექსპლუატაციის პერიოდებში გეგმების ფორმირების ეტაპზე, შედარების ბაზად მიიღება შესაძლებელი ტექნიკის მაჩვენებლები. საუკეთესოდ ითვლება ის ტექნიკა, რომლის გამოყენებაც იძლევა ერთეულ პროდუქტაზე მცირე დანახარჯებს. ყველა ეტაპზე საბაზო ტექნიკის მაჩვენებლები (თვითღირებულება, კაპიტალური დაბანდებები და სხვა) მიიღება წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების გათვალისწინებით, რომელიც მიიღწევა საანგარიშო პერიოდში.

მშენებლობაში, სადაც კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება ხშირად წლების მანძილზე ხდება, ახალი ტექნიკის წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას საჭიროა დროის ფაქტორის გათვალისწინება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ახალი ტექნიკის ობიექტის მუშაობის რეჟიმის შეცვლის შედეგად წარმოების მიმდინარე დანახარჯები და წარმოების შედეგები წლების მიხედვით ექსპლუატაციისას საგრძნობლად იცვლება.

დროის ფაქტორი გაითვალისწინება დროის ერთ მომენტზე (საანგარიშო წლის დასაწყისზე) ახალი და საბაზო ტექნიკის შექ-

მნისა და დანერგვისას ერთდროული და მიმდინარე ხარჯების დაყვანაზე და მისი გამოყენების შედეგებზე.

ასეთ დაყვანას ასრულებენ შესაბამისი წლის დანახარჯების და შედეგების გამრავლებით (დაყოფით) დაყვანის კოეფიციენტზე. დაყვანის კოეფიციენტს განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულის მიხედვით (მეთოდის მ-11 პუნქტი):

$$\alpha_i = (1 + E)^t,$$

სადაც  $\alpha_i$  — დაყვანის კოეფიციენტი;

E — დაყვანის ნორმატივი, რომელიც 0,1-ის ტოლია;

t — წლების რიცხვი, რომელიც აშორებს დანახარჯებს და შედეგებს.

ერთდროული და მიმდინარე დანახარჯების დაყვანა დროის ფაქტორის მიხედვით საანგარიშო წელიწადთან განპირობებული იმით, რომ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის ხანგრძლივი ვადებისას ის შეიძლება აღმოჩნდეს არაეფექტური, თუნდაც მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები სდემონსტრირებდეს საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

დანახარჯები და შედეგები, რომლებიც განხორციელებულია და მიღებულია საანგარიშო წლის დაწყებამდე, მრავლდება დაყვანის კოეფიციენტზე, ხოლო საანგარიშო წლის დაწყების შემდეგ ყოფენ ამ კოეფიციენტზე. სხვადასხვა დროს დაყვანილ დანახარჯებს და წარმოების შედეგებს იყენებენ მხოლოდ წლიური ეკონომიკური ეფექტის ანგარიშისას და არ შეიძლება მათი გამოყენება ახალი ტექნიკის ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შეცვლისა და სხვა გეგმიური მაჩვენებლების საფუძვლად.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დროის ფაქტორის აღრიცხვა არ მოქმედებს ახალი მანქანების და ტექნოლოგიური პროცესების, მასალებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნისა და დანერგვის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებებზე და აგრეთვე სხვა დასავეგმ მაჩვენებლებზე.

შრომის ახალი იარაღების ექსპლუატაციის მთელი პერიოდის მანძილზე მომხმარებელი ღებულობს საბაზისო ტექნიკის ანგარიშებში მიღებულ დანახარჯებთან შედარებით მიმდინარე და თანმხლები კაპიტალური დანახარჯების ეკონომიას. ეს ეკონომია შედის წლიურ ეკონომიკურ ეფექტში, მაგრამ გამოიხატება იგი დრო-

ის ფაქტორის და წარმოების ტექნიკური დონის განუწყვეტელი სრულყოფის გათვალისწინებით.

ახალი მეთოდის მიხედვით, წლიური ეკონომიკური ეფექტი, რომელიც მიღებულია ახალი ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ხერხების გამოყენებით, რომლებიც საწარმოო რესურსების ეკონომიას უზრუნველყოფენ, ერთი და იგივე პროდუქციის გამოშვებისას გამოიანგარიშება ფორმულით:

$$\Theta = (3_1 - 3_2) \cdot A_2,$$

სადაც  $\Theta$  — წლიური ეკონომიკური ეფექტია მანეთებში;

$3_1$  და  $3_2$  — ერთეული პროდუქციის (სამუშაოების) დაყვანილი დანახარჯები, წარმოებული საბაზო და ახალი ტექნიკის გამოყენებით, მანეთებში;

$A_2$  — წარმოების პროდუქციის (სამუშაოების) წლიური მოცულობა, ახალი ტექნიკის გამოყენებით საანგარიშო პერიოდში, ნატურალურ ერთეულებში.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება, როგორც წესი, ამალღებს ახალი პროდუქციის ხარისხს, აგრეთვე საშუალებას იძლევა ავითვისოთ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, რაც, თავის მხრივ, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს შრომის ნაყოფიერების გაზრდას, სამსახურის ვადის ამალღებას, მასალების ხვედრითი დანახარჯების შემცირებას. ამ შემთხვევაში, ახალი ან მაღალი ხარისხის პროდუქციის (უფრო მაღალი ფასით) გამოშვების შედეგად, წლიური ეკონომიკური ეფექტი შემდეგნაირად იანგარიშება:

$$\Theta = (\Pi - E_n \cdot K) \cdot A_2,$$

სადაც  $\Theta$  — მაღალი ხარისხის ახალი პროდუქციის გამოშვების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტია მანეთებში;  $\Pi$  — მოგება ახალი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, ან მოგების ნამატი ( $\Pi_2 - \Pi_1$ ) მაღალი ხარისხის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ( $\Pi_2$  — მაღალი ხარისხის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება,  $\Pi_1$  — ადრინდელი ხარისხის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება მანეთებში);  $K$  — ხვედრითი კაპიტალური დაბანდებები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი პროდუქციის გამოშვებასთან, ან ხვედრითი კაპიტალური დაბანდებები, დაკავშირებული პროდუქ-

ციის ხარისხის ამალვებასთან მანეთებში; E — ეფექტურობის ნორმატიული კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,15-ის;  $A_2$  — ახალი პროდუქციის ან მაღალი ხარისხის პროდუქციის წლიური მოცულობა საანგარიშო წელიწადში ნატურალურ ერთეულებში.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ანგარიშის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული მხოლოდ ის დანახარჯები, რომლებიც იცვლება ახალი ტექნიკის წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან საამქროსა და საერთო-საქარხნო დანახარჯები უნდა იყოს კორექტირებული პირდაპირი ანგარიშით, შეცვლილი სტატიების მიხედვით. მათი გადაანგარიშება ხელფასის შემცირების პროპორციულად არ დაიშვება. თუ წარმოება უშვებს რამდენამე დასახელების პროდუქციას, მაშინ საამქროსა და საერთო-საქარხნო წლიური დანახარჯების წილი, რომელიც მოდის პროდუქციის მოცემულ სახეზე, დგინდება წესის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია დაგეგმვის, აღრიცხვისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების დარგობრივი მეთოდოლოგიით.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების ეტაპზე (ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის ყველაზე უფრო ეფექტური ვარიანტის შერჩევის პროცესში), აგრეთვე წარმოებაში მუშაობის დაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშების დროს გამოიყენება საპროექტო, ნორმატიული და საგეგმო მაჩვენებლები.

ფაქტური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას ითვალისწინებენ საანგარიშო კალკულაციების და შენაკები დანახარჯების აღრიცხვის მონაცემებს, რომლებიც გამოხატავენ რეალურ დადგენილ დანახარჯებსა და წარმოების მოცულობებს.

ახალი ტექნიკის, გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მოცემულ ეტაპზე ყველა ანგარიშს, რომელიც შეთანხმებულია პროდუქციის მომხმარებლებთან (დამკვეთებთან), ხელს აწერენ წარმოებისა და ორგანიზაციების საგეგმო და ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელები.

თუ გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება ითვლება ახალი ტექნიკის ძირითად ობიექტად ან მის მთავარ ელემენტად. მაშინ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადა-

დების დაწესებით მიღებული ეფექტი გაითვალისწინება, როგორც მთლიანად ტექნიკის მოცემული ობიექტის ეფექტი.

იმ შემთხვევაში, როცა გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება ტექნიკის ობიექტის ელემენტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ ეფექტის ნაწილს, მაშინ ეკონომიკური ეფექტი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისას გამოიანგარიშება: გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებასთან უშუალოდ დაკავშირებული დანახარჯების და შედეგების შესაძლებლობის შემთხვევაში, — როგორც ტექნიკის ობიექტის მოცემული ელემენტის დამოუკიდებელი ეკონომიკური ეფექტი; გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებასთან უშუალოდ დაკავშირებული გამოყოფილი დანახარჯების და შედეგების შეუძლებლობის შემთხვევაში, — როგორც მთელი ტექნიკის ობიექტის, საექსპერტო კომისიის მიერ განსაზღვრული, ეკონომიკური ეფექტის წილი. კომისიას ნიშნავს საწარმოს ხელმძღვანელი ან ზემდგომი ორგანიზაცია.

მეთოდოვან გამოხატავს ახალი ტექნიკის ეკონომიკურ ეფექტურობას ნორმებში, ნორმატივებში, საგეგმო და საანგარიშო მაჩვენებლებში. ახალი ტექნიკის ეფექტურობის მაჩვენებლების და წარმოების გეგმის მაჩვენებლების ანგარიშები ხორციელდება სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების დამუშავებისათვის მოქმედი მეთოდური მითითებების შესაბამისად.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების დაგეგმვის სტადიაზე და მისი რეალიზაციის შედეგად წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებასთან ერთად, გაიანგარიშება მოგების ნაშატი, თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების ნაშატი, მიღებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ხარჯზე. შედარების ბაზად მიიღება შესაბამისი ტექნიკა.

გეგმიური ეფექტურობის საანგარიშო მონაცემები უნდა იყოს გათვალისწინებული ახალი ტექნიკის ეფექტურობის მონაცემების დარეკტიული დავალებების განსაზღვრისას, ტექნიკურ-საბრეწველო-საფინანსო (სამშენებლო-საფინანსო გეგმის), საფინანსო გეგმის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგ-

მების და შრომის ნაყოფიერების ამაღლების გეგმების და ა. შ. შესაბამისი განყოფილებების დამუშავებისას.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი დამატებითი მონაცემები, აუცილებელი ახალი მეთოდის მიხედვით ეკონომიკური გაანგარიშებისათვის:

ღრის ფაქტორის მიხედვით დაყვანის კოეფიციენტები  
გამოანგარიშებულა ფორმულის მიხედვით:

$$a_t = (1+E)^t;$$

t	$a_t$	$\frac{1}{a_t}$	t	$a_t$	$\frac{1}{a_t}$
1	1,1000	0,9091	11	2,8531	0,3505
2	1,2100	0,8264	12	3,1384	0,3186
3	1,3310	0,7513	13	3,4522	0,2897
4	1,4641	0,6830	14	3,7975	0,2633
5	1,6105	0,6209	15	4,1772	0,2394
6	1,7716	0,5645	20	6,7274	0,1486
7	1,9487	0,5132	25	10,8346	0,0923
8	2,1436	0,4645	30	17,4492	0,0573
9	2,3579	0,4241	40	45,2587	0,0221
10	2,5937	0,3855	50	117,3895	0,0085

ახალი ტექნიკის რენოვაციის კოეფიციენტები გაანგარიშე-

ბული ფორმულით:  $P = \frac{E}{(1+E)^{T_c} - 1}$ , სადაც  $T_c$  —

ახალი ტექნიკის სამსახურის ვადაა

$T_c$ —წელი	P	$T_c$ —წელი	P	$T_c$ —წელი	P	$T_c$ —წელი	P
1,0	1,0000	6,0	0,1296	11,0	0,0540	20,0	0,0175
2,0	0,4762	7,0	0,1054	12,0	0,0468	25,0	0,0102
3,0	0,3021	8,0	0,0874	13,0	0,0408	30,0	0,0061
4,0	0,2155	9,0	0,0736	14,0	0,0357	40,0	0,00226
5,0	0,1638	10,0	0,0627	15,0	0,0315	50,0	0,00086

§ 21. ვის მიერ მტკიცდება ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის ანგარიშები არამიის ოდენობის განსაზღვრისათვის?

პრემიის ოდენობის განსაზღვრისათვის წლიური ეკონომიკური ეფექტის ანგარიშები, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის, მტკიცდება:

ცენტრალიზებული ფონდიდან პრემიების გაცემის შემთხვევაში სამინისტროების, უწყებების, სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელების მიერ;

— ორგანიზაციების და საწარმოების განკარგულებაში დარჩენილი სახსრებიდან პრემიების გაცემის შემთხვევაში, ამ ორგანიზაციების და საწარმოების ხელმძღვანელების მიერ.

2,0 მილიონ მანეთზე ზემოთ წლიურ ეკონომიკურ ეფექტზე გაანგარიშება თანხმდება მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან.

ახალი მეთოდიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა ახალი ტექნიკის ობიექტებში პრინციპულად ახალი (გამოგონებების) და სრულყოფილი (რაციონალიზატორული წინადადებების) ტექნიკურ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გათვალისწინებით. გაანგარიშებისას აუცილებელია ერთიანი მეთოდური დებულებისა და ფორმების გამოყენება.

## თ ა ვ ი VI

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენება. უფლება გასამრჯელოზე და სხვა უფლებები

### § 1. როგორია გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციის წესი?

საგამომგონებლო მუშაობის მთავარი მიზანია გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება სახალხო მეურნეობაში ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტის მისაღებად.

საავტორო მოწმობით დაცული გამოგონების გამოყენება ხორციელდება სახელმწიფო და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოთა, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, სპეციალური ნებართვის გარეშე (დებულების 27-ე პუნქტი). სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ რომელიმე ორგანოს ან პირის სპეციალური ნებართვის გარეშე გამოიყენოს რაციონალიზატორული წინადადებები, რომლებიც

მეკუთვნება მათი მოღვაწეობის სფეროს. იმისაგან დამოუკიდებლად, სად და ვის მიერ არის ისინი შექმნილი (დებულების 66-ე პუნქტი).

სსრ კავშირში გამოგონებათა დაცვის უფლებრივი რეჟიმი სოციალისტური საზოგადოებისათვის ქმნის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სხვა უპირატესობებს, როგორც გამოყენების მასშტაბებს, ასევე სახალხო მეურნეობაში მათი რეალიზაციის ვადებსაც.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების პრინციპი ტარდება საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ისტორიის მანძილზე და თანმიმდევრულად მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის. ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს საგამომგონებლო და რაციონალიზატორული შემოქმედების განვითარებას, ყოველმხრივ სტიმულირებას და მისი შედეგების უფრო ეფექტურ გამოყენებას. ამ სისტემაში ჩართულია გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე მუშაობის ყველა სტადია მათი შექმნიდან დაწყებული და დამთავრებული პრაქტიკული გამოყენებით, რომელთა შედეგადაც უზრუნველყოფილია ოპტიმალური პირობები მოწინავე ტექნიკური გადაწყვეტების დამუშავებისათვის. ამ პირობების რეალიზება ხდება გეგმიური წესით. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გეგმიური გამოყენება საშუალებას იძლევა ოპერატიულად და ფართო მასშტაბებში მოხდეს მათი რეალიზაცია. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გეგმიური გამოყენების პრინციპმა მიიღო შემდგომი განვითარება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს დადგენილებაში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1973 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებულ დებულებაში.

გეგმიური წესით გამოგონებათა გამოყენება გულისხმობს ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ სისტემატურად მათ შერჩევას. შესაბამისი გეგმების ფორმირებისათვის და ორგანიზაციების ან დარგის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად გამოგონებების შერჩევა წარმოებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან. ჩვენს ქვეყანაში არსებობს სამამულო და უცხოურ გამოგონებებზე საკმაოდ სრული ინფორმაციები, რომელთა საშუალებითაც ყოველთვის შეიძლება შეირჩეს სახალხო მეურნეობისათვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი გამოგონებები.



უპირველესად ყოვლისა, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი აწარმოებს ყველა სამამულო გამოგონებაზე პუბლიკაციას ოფიციალურ ბიულეტენში „აღმოჩენები, გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები“. იგი გამოსცემს აგრეთვე სამამულო გამოგონებების აღწერილობებს, რომლებიც დადგენილი წესით შუადის ტერიტორიულ და დარგობრივ, აგრეთვე დაინტერესებულ ორგანიზაციების საპატენტო ფონდებში.

1974 წლიდან გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ყოველკვარტალურად გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს სსრ კავშირში გამოყენებულ გამოგონებებზე. სხვა საწარმოებში და მრეწველობის სხვა დარგებში მათი გამოყენების მოცულობის გაფართოების მიზნით მრეწველობა ბიულეტენიდან იღებს სისტემატურ ინფორმაციას დანერგილ გამოგონებებზე. ორგანიზებულია აუცილებელი ინფორმაციის მიღება უცხოურ გამოგონებებზეც. ყოველწრიულად სსრ კავშირი გაცვლითი წესით იღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 500 ათასამდე გამოგონების აღწერილობებს.

საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ უცხოური გამოგონებები, რომლებიც არ არის დაცული ჩვენს ქვეყანაში დამცველი დოკუმენტით, ფართოდ შეიძლება იყოს გამოყენებული საბჭოთა ორგანიზაციების მიერ. არაავითარი უფლების დარღვევა მოცემულ შემთხვევაში არ არის, რამდენადაც გამოგონების დაცვა ხდება მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც მათზე მიღებულია დამცველი დოკუმენტი. საჭიროა შევარჩიოთ და ფართოდ გამოვიყენოთ გაცვლითი წესით მიღებული უცხოური გამოგონებები, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

შერჩევის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს წინადადებები, რომლებსაც დადგენილი წესით უგზავნის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ორგანიზაციებს, სამინისტროებს და უწყებებს.

გარდა ამისა, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ინფორმაციას აწვდის სამინისტროებს, უწყებებს და ორგანიზაციებს გამოგონებაზე განსახილველად მიღებულ განაცხადებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია და საინტერესო სახალხო მეურნეობისათვის.

§ 2. როგორ ღვინდება გამოგონებისა და რაციონალიზატორული  
წინადადების გამოყენების ფაქტი?

გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან იურიდიულ ფაქტს, რომელიც წარმოშობს უფლებრივ შედეგებს: სახელდობრ, გამოყენება იწვევს უფლების წარმოშობას გასამრჩელოზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ გამოგონების თითოეული ობიექტის რეალიზაციას აქვს თავისი თავისებურებები.

ცნება „გამოყენება“ დაკონკრეტებულია ინსტრუქციაში გასამრჩელოს შესახებ. დადგენილია, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება იძლევა უფლებას გასამრჩელოზე სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის თავდაცვაში. ამასთან არ მიიჩნევა გამოყენებად გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება სტანდარტებში, ტიპურ პროექტებში და სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციაში, აგრეთვე დაპროექტების, საკონსტრუქტორო დამუშავების, ექსპერიმენტული შემოწმების, პროდუქციის საცდელი ნიმუშის დამზადებისა და გამოცდის, წარმოების მომზადების დროს და სამეცნიერო გამოკვლევათა შესრულებისას.

თუ საცდელი შემოწმების დამთავრების შემდეგ გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება მიჩნეულია სამრეწველო ექსპლუატაციისათვის ვარგისად, იგი ითვლება გამოყენებულად სამრეწველო ექსპლუატაციაში საცდელი ნიმუშის (პარტიის, სერიის) ხერხის (ტექნოლოგიის) გადაცემის დღიდან.

გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც მიეკუთვნება საწარმოო ან სხვა ხერხს, ითვლება გამოყენებულად მისი საწარმოო პროცესში გამოყენების დღიდან. გამოგონება, რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც მიეკუთვნება მოწყობილობას ან ნივთიერებას, ითვლება გამოყენებულად დასამზადებელ ან საექსპლუატაციო პროდუქციაში, მათ რიცხვში საექსპლუატაციოდ გადაცემულ საცდელ ნიმუშებში მისი გამოყენების დაწყების დღიდან.

გამოგონება ითვლება გამოყენებულად, თუ მოწყობილობის, ნივთიერების დამზადების ან ხერხის განხორციელების დროს გამოყენებულია ყველა ნიშან-თვისება ჩამოთვლილი გამოგონების ფორმულის ორივე ნაწილში, რომელიც შედგება ერთი პუნქტისაგან. თუ

გამოგონების ფორმულა შედგება რამდენიმე პუნქტისაგან, მაშინ გამოგონება ითვლება გამოყენებულად ყველა ნიშან-თვისების გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ჩამოთვლილია გამოგონების ფორმულის პირველ პუნქტში, დამოუკიდებლად იმისა, გამოყენებულია თუ არა ფორმულის პუნქტების შემდეგი ნიშან-თვისებები. თუ გამოგონების ფორმულა შედგება რამდენიმე პუნქტისაგან, შეიცავს ორ ან მეტ გამოგონებას და მიეკუთვნება სხვადასხვა ობიექტს (მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება), ემსახურება ერთიან მიზანს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთობლივად, მაშინ გამოგონება ითვლება გამოყენებულად თუნდაც ფორმულის ერთი პუნქტის გამოყენების პირობის დროს.

გამოგონება ითვლება გამოყენებულად იმ შემთხვევებშიც, როცა დაშვებულია გამოგონების ერთი ან რამდენიმე ნიშან-თვისების შეცვლა სხვა ურთიერთშენაცვლებული ელემენტებით (ეკვივალენტებით). ეკვივალენტურად ითვლება გამოგონების ფორმულაში მითითებული ნიშან-თვისების ან ნიშან-თვისებების შეცვლა, თუ ამასთან გამოგონების არსი არ იცვლება, მიიღწევა ისეთივე შედეგი, ხოლო შეცვლის შესრულების საშუალებანი ცნობილია მოცემულ დარგში.

§ 3. როგორია გამოგონებალოგის ორგანიზაციის სტრუქტურა სოფლის მეურნეობაში. თუ გამოგონება გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოში, მაგალითად კოლმეურნეობაში, და კოლმეურნეობას არაააჩნია სახსრები გამოგონების დანაგზვის უზრუნველსაყოფად, ვინ გაიღებს საამისო ხარჯებს?

გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას სოფლის მეურნეობაში ხელშეწყობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტექნიკა“, სსრ კავშირის დამზადების სახელმწიფო კომიტეტი, მათი რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები. მათ კომპეტენციაში შედის: თემატური გეგმების შემუშავება, რაციონალიზატორული წინადადებების განხილვა, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ექსპერიმენტული შემოწმება, გამოგონებე-

.ბისა და რაციონალიზატორული წინადადებების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უსწრაფესი დანერგვა, ახალი პატენტუნარიანი მანქანების, იარაღების მოწყობილობებისა და წარმოების საშუალებათა შექმნისა და დამუშავების დროს, სამამულო და საზღვარგარეთული საპატენტო მასალების ფართოდ შესწავლის ორგანიზაცია და სხვა საკითხები.

ზემოთ დასახელებული სამინისტროებიდან და უწყებებიდან სოფლის მეურნეობაში საგამომგონებლო და რაციონალიზაციის დარგში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემას. საგამომგონებლო სამსახური სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში აგებულია შემდეგი სტრუქტურით. სოფლის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის წარმართვა დაკისრებული აქვთ ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში — უშუალოდ წამყვან სპეციალისტს (ინჟინერს, აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ვეტექიმს).

ამ სამუშაოს ორგანიზაცია კოლმეურნეობებში ევალება ერთ სპეციალისტთაგანს: ინჟინერს, აგრონომს და ა. შ.

სოფლის მეურნეობის სარაიონო საწარმოო სამმართველოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და რაიონის სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობა დაკისრებული აქვთ სოფლის მეურნეობის სარაიონო საწარმოო სამმართველოს უფროსებს. ამასთან ზოგიერთი საკითხი (რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვა და მათი წარმოებაში დანერგვაზე რეკომენდაციის მიღება, საავტორო გასამარჯელოს გაცემაზე ეკონომიისა და წინადადების დანერგვის ხელის შეწყობის პრემიის განსაზღვრა) წყდება სარაიონო სამმართველოს სპეციალისტების თათბირებზე, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებში, საოლქო (სამხარეო) სამმართველოებში და საბჭოთა მეურნეობის ტრესტებში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობისათვის გამოყოფილია სპეციალისტები.

მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებში საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობას ეწევა განყოფილებები (ბიუროები).

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ბევრი სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო დაწესებულება და საკონსტრუქტურო ორგანიზაციაა. სათავო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ორგანიზებულია საპატენტო და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებები (ბიუროები), ხოლო სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში და ორგანიზაციებში ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილია მუშაკები.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობას ეწევა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილება, ხოლო საპატენტო-სალიცენზიო მუშაობას სისტემის საპატენტო განყოფილებები და ქვეგანყოფილებები.

თუ გამოგონება გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოში, მაგალითად, კოლმეურნეობაში, და კოლმეურნეობას არ გააჩნია სახსრები ამისათვის, გამოგონების გამოყენების უზრუნველყოფისათვის უნდა მიმართონ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

§ 4. როგორი პერიოდულით ღვადა და სად იგზავნება ცნობა „№ 4 ნტ“ წარმოებაში გამოყენებულ გამოგონებათა შესახებ?

წარმოებაში გამოყენებულ გამოგონებათა ნუსხა ფორმით „№ 4 ნტ“ დგება საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო ორგანიზაციების, დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციების მიერ ორჯერ წელიწადში — პირველი და მეორე ნახევრისა და იგზავნება შემდეგი მისამართებით:

ა) სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში (მოსკოვი, 103621, მ. ჩერკასკის შესახვევი 2/6);

ბ) თავის ზემდგომ ორგანიზაციაში;

გ) სტატისტიკურ სამმართველოში საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის და ა. შ. ადგილმდებარეობის მიხედვით.

დიდი მნიშვნელობისა და დანიშნულების დარგობრივი და დარგ-თაშორისო ხასიათის მქონე გამოგონებების გამოყენება გათვალის-წინებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებში, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების გეგმებით.

სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე დარ-გობრივი და დარგთაშორისო გამოგონებების გამოყენებაზე წინა-დადებები მზადდება სამინისტროების, უწყებების და სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტე-ტის მიერ და წარედგინება ერთდროულად სსრ კავშირის სახელმ-წიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექ-ნიკის სახელმწიფო კომიტეტს ან მოკავშირე რესპუბლიკების მი-ნისტრთა საბჭოებს, რათა გადაწყდეს ასეთი გამოგონებების სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამის გეგმების პროექტებში შეტანის საკითხი.

მნიშვნელოვან გამოგონებათა გამოყენებაზე კონტროლს ახორ-ციელებს როგორც გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სა-ხელმწიფო კომიტეტი, ასევე სამინისტროები და უწყებები.

გამოგონებების გამოყენებასა და ამ დარგში კანონმდებლობის დაცვაზე საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებს გამომგონებ-ელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოება და მისი ორგანოები ადგილებზე.

ორგანიზაცია ვალდებულია შეატყობინოს ავტორს მისი გამო-გონების გამოყენების დაწყების შესახებ. ასეთი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ერთი თვის განმავლობაში გამოყენების დღიდან (დებუ-ლების 97-ე პუნქტი). ამას აქვს დიდი იურიდიული მნიშვნელობა, რამდენადაც ამ მომენტიდან ითვლიან სამი წლის დროგადასულობას გამოგონებაზე გასამრჯელოს გადახდევინების დროს.

§ 6. აქვს თუ არა უფლება ავტორს მონაწილეობა მიიღოს თავისი გამოგონების გამოყენებაში და რა წილი არსებობს ამაში?

გამოგონების ავტორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თავისი ტექნიკური გადაწყვეტის გამოსაყენებლად გაწეულ მოსამზა-დებელ სამუშაოებში. თუ გამოგონებას ავტორის მუდმივ სამუშაოზე

იყენებენ, მას შეიძლება ძირითადი მოვალეობის შესრულება არ მოეთხოვოს და საშუალო ხელფასი შეუნარჩუნდეს. თუ ავტორის განთავისუფლება ძირითადი მოვალეობის შესრულებისაგან სამუშაო პირობების გამო არასასურველია, გამოგონების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაო შეიძლება არასამუშაო დროს შესრულდეს. ამ შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება შეთანხმებით. თუ გამოგონებას იყენებს საწარმო, ავტორს შეიძლება დაუდონ შრომითი ხელშეკრულება სამუშაოს მთლიანად შესრულებამდე, ანდა რაიმე გარკვეული ვადით. ავტორს ამ დროის მანძილზე ძირითადი სამუშაოდან ათავისუფლებენ, საზღაურს კი აძლევენ იმ ოდენობით, რასაც საშუალოდ იღებდა ძირითად სამუშაოზე. სხვა სამუშაოზე დროებით გადასულ ავტორს ძირითად სამუშაოზე ენახება თანამდებობა, უწყვეტი სტაჟი, შვებულება. თუ ავტორის მუშაობა სხვა საწარმოში 11 თვეზე მეტს გაგრძელდა, შვებულებას მას ეს საწარმო მისცემს. თუ ავტორს მისი გამოგონების დანერგვის მოსამზადებლად სამუშაოზე იწვევენ ისეთ ადგილას, სადაც თვითონ მუდმივად არ ცხოვრობს, მას უნაზღაურებენ ყოველ ხარჯს სამსახურებრივი მივლინების კანონმდებლობის შესაბამისად. თუ გამოგონების ავტორი არსად არ მუშაობს, მას დაუდებენ შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც აღნიშნული იქნება სამუშაოს შესრულების ვადა და ავტორის კვალიფიკაციის შესაფერისი გასამრჯელო.

ავტორის შრომის წიგნაკში აღნიშნული უნდა იყოს გამოყენებული გამოგონებისათვის კუთვნილი ფულადი გასამრჯელოს მიღება (ეს წესი ვრცელდება მეცნიერული აღმოჩენების და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებზეც).

#### § 7. დადგენილია თუ არა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოაწილების ვადები?

ვადების დადგენა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციაზე კანონით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება ადგენს გამოყენების ვადებს დამუშავების გრაფიკისა და წინადადებათა გამოყენების გეგმის შედგენისას.

§ 8. რა წესითა და ოდენობით ეძლევა ავტორს გამოგონებაზე  
გასამრჯელო?

საავტორო მოწმობის მიღების შემთხვევაში ავტორთა ჯგუფს ეძლევა წამახალისებელი ფულადი ჯილდო 20—200 მანეთის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს 50 მანეთისა თითოეულ ავტორს. ხოლო ძირითადი ფულადი გასამრჯელო ავტორს ეძლევა მის მიერ შექმნილი გამოგონების გამოყენებისას, როდესაც ნათელი გახდება, რა ეკონომიკური ეფექტი მისცა გამოგონებამ სახალხო მეურნეობას.

გასამრჯელო ისეთ გამოგონებაზე, რომელიც ქმნის ეკონომიას, ავტორს (ავტორებს) მიეცემა თითოეულ კალენდარულ წელს მიღებული ეკონომიის 2%-ის ოდენობით, 5 წლის მანძილზე. ძირითადი ფულადი გასამრჯელოს მაქსიმალური ზღვარია 20000 მანეთი.

§ 9. სად უმიჯნავა მივიღოთ ცნობა თუ რომელ საწარმოში  
გამოიყენება ავტორის გამოგონება?

ასეთი სახის ცნობების მიღება შეიძლება საპატენტო ინფორმაციის და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევებათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცნობარო-საინფორმაციო განყოფილებაში. მისამართი — მოსკოვი, ქ-35, რაუშსკაია ნაბერეჟნაია, 4.

§ 10. რა ითვლება გამოგონების გამოყენების დაწყებად?

გამოგონების გამოყენების დაწყებად ითვლება გამოგონების ფორმულის შესაბამისი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დაწყება. გამოყენების დაწყების თარიღი განისაზღვრება დანერგვის გეგმის ან აქტის თარიღით.

§ 11. უმიჯნავა თუ არა გამოგონების ისეთი მასალის გამოკვეთება,  
როგლებზეც არ არის გაცემული საავტორო მოწმობა და რა  
უპირობოვანოა საჭირო გამოგონებადისა და აღმოჩენების საჩემთა  
სახელმწიფო კომიტეტის ნებართვა?

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ნებართვა ნაპრაუდევ გამოგონებაზე ცნო-



ბების გამოქვეყნების შესახებ საჭიროა განაცხადზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. განაცხადზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუ მასზე არ არის გრიფი ღია პრესაში პუბლიკაციის აკრძალვაზე ან გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ შეტყობინება ამის შესახებ, ამ მასალების გამოქვეყნება ნებადართულია ჩვეულებრივი წესით.

§ 12. თუ გამოგონება გამოიყენება სსრ კავშირში და საზღვარგარეთ, როგორ ხდება გასამრჯელოს გადახდა?

ჩვენს ქვეყანაში გამოგონების გამოყენებაზე გასამრჯელოს ოდენობა გამოითვლება საერთო წესით; გარდა ამისა, თუ გამოგონებაზე გაყიდულია საპატენტო ლიცენზია, ავტორს უხდებიან დამატებით გასამრჯელოს გაყიდული საპატენტო ლიცენზიიდან მიღებული თანხის 3%-მდე.

გასამრჯელოს საერთო ჯამმა გამოგონების სსრ კავშირში გამოყენებაზე და საზღვარგარეთ რეალიზაციაზე, არ უნდა გადააჭარბოს გასამრჯელოს დადგენილ მაქსიმუმს.

§ 13. როგორ ისაზღვრება გასამრჯელოს ოდენობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე?

რაციონალიზატორულ წინადადებაზე ფულადი გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება იმ წლიური ეკონომიით, რაც მოაქვს წინადადებას გამოყენების პირველ წელს შემდეგი სკალის მიხედვით:

წლიური ეკონომიის ჯამი (მან.)	გასამრჯელო რაციონალიზატორულ წინადადებაზე (ეკონომიის %)
100-მდე	17%. მაგრამ არა ნაკლებ 10 მან.
100-დან 500-მდე	7% + 10
500-დან 1000-მდე	5% + 20 მან.
1000-დან 5000-მდე	3% + 40 მან.
5000-დან 50000-მდე	2% + 90 მან.
50000-დან 100000-მდე	1% + 590 მან.
100000-დან ზევით	0.5% + 1090 მან. მაგრამ არა უმეტეს 5000 მან.-ისა

§ 14. როგორია გასამრჩეველს გაცემის წესი რაციონალიზატორულ  
წინადადებაზე?

რაციონალიზატორულ წინადადებაზე გასამრჩელო, რომელიც არ აღემატება 200 მანეთს, უნდა გაიცეს ერთი თვის ვალაში, წინადადების გამოყენების დაწყების დღიდან.

იმ შემთხვევაში, თუ გასამრჩელო აღემატება 200 მანეთს, იგი გაიცემა იმავე ვადებში 25%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 200 მანეთისა. გასამრჩელოს დანარჩენი ნაწილი, ე. ი. 75% გაიცემა არა უგვიანეს ორი თვის ვადისა, წინადადებების გამოყენების პირველი წლის დამთავრების შემდეგ. გასამრჩელოს გაცემის ვადები დგინდება როგორც იმ წინადადებებზე, რომელთა გამოყენებაც ქმნის ეკონომიას, ასევე იმ წინადადებებზეც, რომლებიც არ ქმნის ეკონომიას.

თუ რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების მოცულობა მეორე წელს იზრდება და ამასთან დაკავშირებით იზრდება ეკონომია, მაშინ წარმოებს გასამრჩელოს დამატებითი გადახდა 5000 მანეთის ფარგლებში, გამომდინარე წინადადების მეორე წელს მიღწეული გამოყენების მაქსიმალური მოცულობიდან.

რაციონალიზატორულ წინადადებებზე, რომელიც არ იძლევა ეკონომიას, მეორე წელს გამოყენების მოცულობის გაზრდისას, წარმოებს გასამრჩელოს დამატებითი გადახდა მაქსიმალური გასამრჩელოს ფარგლებში. ასეთ წინადადებაზე დამატებითი გასამრჩელოს გადახდისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დადებითი ეფექტის გაზრდა რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების მეორე წელს. ცალკეულ შემთხვევებში გასამრჩელოს ოდენობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც არ შეიძლება იყოს ფართოდ რეალიზებული, თუმცა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღებისა, შეიძლება გაიზარდოს სამინისტროს, უწყების მიერ დებულებით დადგენილი წესის თანახმად.

§ 15. ვინ არის ვალდებული გამოთვალოს ეკონომია?

გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების ეკონომიას ითვლის საგეგმო განყოფილება ან ის ქვეგანყოფილება, რომელსაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი დაავალებს.

§ 16. როგორ ნაწილდება თანაავტორებს შორის გასამრჩელო და რა დოკუმენტების საფუძველზე?

გასამრჩელო აღმოჩენის, გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადებისათვის ნაწილდება თანაავტორებს შორის პროცენტული ფარდობით მათი წერილობითი შეთანხმების მიხედვით. დავა გასამრჩელოს განაწილებაზე განიხილება სასამართლო წესით.

გასამრჩელოს გაცემა არ წარმოებს გასამრჩელოს განაწილებაზე თანაავტორებს შორის წერილობითი შეთანხმების ან სასამართლოს გადაწყვეტილების წარმოდგენამდე.

სამინისტრო, უწყება, საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომლებიც იხდიან გასამრჩელოს, მოვალენი არიან ავტორის მოთხოვნით მომართვის დღიდან ერთი თვის განმავლობაში გააცნონ მას გასამრჩელოს გაანგარიშება, იმ შემთხვევების გამონაკლისით, როცა გაანგარიშება შეიცავს ცნობებს, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ გასამრჩელოს გადახდის საფუძველია შემდეგი დოკუმენტები:

გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან რაციონალიზატორული წინადადებაზე მოწმობა;

წინადადების გამოყენების აქტი ან სხვა ტოლფასოვანი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების ფაქტს;

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისაგან ეკონომიის გაანგარიშება, რომელსაც აღგენენ ტექნიკური და ეკონომიკური სამსახურები;

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ნამდვილი ღირებულების გაანგარიშება-დასაბუთება იმ წინადადებების მიხედვით, რომლებიც არ იძლევიან ეკონომიას;

თანაავტორებს შორის გასამრჩელოს განაწილებაზე შეთანხმება.

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისაგან ეკონომიის გაანგარიშებას, წინადადებების მიხედვით, რომლებიც არ იძლევა ეკონომიას, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ნამდვილი ღირებულების გაანგარიშება-დასაბუთებას ხელს აწერს საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ხელმძღვანელი და ანგარიშის შემდგენელი სამსახურების უფროსები.

სამინისტროების, უწყებების მიერ გასამრჯელოს გაცემის შემთხვევაში ზემოთ მითითებულ დოკუმენტებს დამატებით დაერთება და წარედგინება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცნობა გამოგონების გამოყენების შესახებ სტატისტიკური ანგარიშების ფორმა „4 ნტ-ს“ ჩამოთვლილი მონაცემების მიხედვით, რომლის საფუძველზეც სამინისტრო, უწყება განსაზღვრავს ეკონომიას.

§ 17. რით ხელშეწყობს ორგანიზაცია ეკონომიის გამოთვლისას?

ეკონომია, რომელსაც იღებს სახალხო მეურნეობა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებიდან, განისაზღვრება ეკონომიის გამოთვლის ინსტრუქციის მიხედვით.

§ 18. შეიძლება თუ არა გასამრჯელოს ოდენობის გაზრდა?

ზოგიერთი გამოგონებისათვის გასამრჯელოს ოდენობა შეიძლება იყოს გაზრდილი სამინისტროს, უწყების, აღმასკომის ხელმძღვანელის მიერ გასამრჯელოზე ინსტრუქციის მიხედვით. ამავე ინსტრუქციის თანახმად, გასამრჯელო შეიძლება იყოს გაზრდილი საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში გასამრჯელოს საერთო ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს დადგენილ მაქსიმუმს.

§ 19. რა სახის წინადადებაზე და როგორ ხდება გასამრჯელოს გადახდა ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებაზე. რომლებიც არ იძლევიან ეკონომიას?

ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან, ხდება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ 1974 წლის 15 იანვარს დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.

აღნიშნული ინსტრუქციის ზოგადი დებულებები აწესებს ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის ერთიან პრინციპს იმ შემთ-

ხვევისათვის, როცა ეკონომიის ნაცვლად ადგილი აქვს სხვა დადებით ეფექტს (შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის და სხვა გაუმჯობესება) და გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა:

ა) საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულ აქტში, რომელიც გასამრჩელოს ოდენობის გაანგარიშების განუყრელი ნაწილია, დასაბუთებულია ეკონომიის უქონლობა;

ბ) გამოგონება გამოყენებულია დოკუმენტაციაში, რომელიც სხვა ქვეყნებს გადაეცა ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით;

გ) გამოგონება გამოყენებულია ობიექტებზე, რომლებსაც სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები საზღვარგარეთ აგებენ საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის წესით.

თუ ეკონომია არ გამოხატავს გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების მთელ მნიშვნელობას, მაშინ გასამრჩელოს ოდენობა ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განსაზღვროს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელმა ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჩელოს ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნის, მაგრამ ეს თანხა არ უნდა იყოს ეკონომიის მიხედვით განსაზღვრული გასამრჩელოს ოდენობაზე ნაკლები.

გასამრჩელო ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომლებიც ეკონომიას არ ქმნის დებულების 113-ე და 120-ე პუნქტების შესაბამისად, გაიცემა ერთდროულად იმ ოდენობით, რომელიც განისაზღვრება მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით და ტექნიკური ან სხვა დადებითი ეფექტის გათვალისწინებით, რომელსაც გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება იძლევა, აგრეთვე გამოყენების მოცულობის მიხედვით.

გასამრჩელოს ოდენობა ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომლებიც ეკონომიას არ ქმნის, განისაზღვრება მიღწეული დადებითი ეფექტის, გამოყენების მოცულობის, ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტის სირთულისა და არსებითი განსხვავების გამთვალისწინებელი კოეფიციენტების გამოყენებით. გასამრჩელოს მაქსიმალური ოდენობა ერთი ისეთი გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, 20000 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

გასამრჩელოს ოდენობა ერთი ისეთი რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, არ შეიძლება იყოს 10 მანეთზე ნაკლები და 5000 მანეთზე მეტი.

საწარმო, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელს შეუძლია გამოგონების შემდგომ 4 წელიწადში და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების მეორე წელს გამოყენების მოცულობის გაფართოების შემთხვევაში გაზარდოს გასამრჩელოს ოდენობა; თუ ეს იძლევა შესაძლებლობას გამოიყენოს მეტი მნიშვნელობის კოეფიციენტი, გასამრჩელოსათვის დადგენილი მაქსიმალური თანხის ფარგლებში.

თუ დებულების 45-ე პუნქტის შესაბამისად გაცემულ საავტორო მოწმობაში გაერთიანებულია ორი ან მეტი გამოგონება, რომლებიც სხვადასხვა ობიექტებს (მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება) ეხება და ყველა ეს გამოგონება გამოყენებულია, ასეთი გამოგონებების გამოყენებისათვის გასამრჩელო ცალ-ცალკე გაიცემა.

თუ რაციონალიზატორულად განცხადებული და გამოყენებული წინადადება, შესაბამისი წესით გაფორმების შემდეგ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ მიჩნეულ იქნა გამოგონებად, დებულების 124-ე პუნქტის შესაბამისად მასზე იანგარიშება გასამრჩელო საავტორო მოწმობის გაცემის შემდეგ და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენებისათვის ავტორს მიეცემა იმ თანხის ჩათვლით, რომელიც მას რაციონალიზატორული წინადადებისათვის დაერიცხა.

თუ გამოგონების გამოყენების შემდგომი 4 წლის რომელიმე წელიწადში და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების მეორე წელიწადს ეკონომიის ზრდის გამო გასამრჩელოს ოდენობა აღნიშნული ინსტრუქციით აღრე განსაზღვრულს აღემატება, გასამრჩელოს ოდენობის სხვაობა დამატებით უნდა გაიცეს იმ წლის გასვლიდან ორი თვის ვადაში, რომელი წლისთვისაც მოხდა გადაანგარიშება.

სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელს უფლება აქვს ნება დართოს გაადიდონ გამოგონებაზე გასამრჩელოს ოდენობა 20000 მანეთის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე 3-ჯერ იმ გამოგონების გასამრჩელოსთან შედარებით, რომლის გამოყენება იწვევს ახალი სახეობის წარმოების, მნიშვნელოვანი მოწყობილობების ან ნივთიერებების შექმნას, აგრეთვე იმ გამოგონების გასამრჩელოსთან შედარებით, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი ფართოდ რეალიზება არ შეიძლება.

საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარდგენით სამინისტროს ან უწყებას უფლება აქვს 5000 მანეთის ფარგლებში გაზარდოს იმ რაციონალიზატორული წინადადების გასამრჯელოს ოდენობა, რომელიც თუმცა მნიშვნელოვანი ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ მისი ფართოდ რეალიზება არ შეიძლება. ამასთან ერთად გასამრჯელოს ოდენობა შეიძლება გადიდდეს სამმაგად და არა უმეტეს, იმ გასამრჯელოს ოდენობასთან შედარებით, რაც დებულების 120-ე პუნქტის შესაბამისად დაირიცხება.

ინსტრუქციით განსაზღვრული გასამრჯელოს გაცემა ხდება იმ ვადებში, რომლებიც დებულების 116-ე პუნქტით არის გათვალისწინებული. ამასთან, ისეთ შემთხვევებში, როცა გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება გამოიყენება წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში, გასამრჯელოს გაცემა ხდება ორი თვის განმავლობაში, გამოყენების ფაქტიური ვადის გასვლის შემდეგ.

ინსტრუქციის თანახმად, გასამრჯელოს ოდენობა ისეთი გამოგონებისათვის, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$B = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times 20 \text{ მან.},$$

სადაც  $K_1$  — არის მიღწეული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი;  $K_2$  — გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი;  $K_3$  — გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტი;  $K_4$  — არსებით განსხვავებათა კოეფიციენტი.

კოეფიციენტების მნიშვნელობები მოცემულია 1-ლ მე-2, მე-3 და მე-4 ცხრილებში.

ცხრილი 1

მიღწეული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი  $K_1$

№	მიღწეული დადებითი ეფექტი	$K_1$ -ის მნიშვნელობა
1	შეორებაარისხოვანი ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება, რომლებიც განმსაზღვრელი არ არის კონკრეტული პროდუქციისათვის (ტექნოლოგიური პროცესისათვის)	1,0
2	დოკუმენტით ფიქსირებული ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება	1,5

1 დოკუმენტად იგულისხმება დამტკიცებული ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ცნობებს ტექნიკური მახასიათებლების შესახებ (ტექნიკური პირობები, ინსტრუქციები, პასპორტები და სხვ.).

№	მღწეული დადებითი ეფექტი	K <sub>2</sub> -ის მნიშვნელობა
3	იმ ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება, რომლებიც განმსაზღვრელია კონკრეტული პროდუქციისათვის (ტექნოლოგიური პროცესისათვის), რაც ფიქსირებულია დოკუმენტით	2,0
4	პროდუქციის (ტექნოლოგიური პროცესის) თვისებრივად ახალი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების მიღწევა, რაც დოკუმენტით არის ფიქსირებული	3,0
5	ახალი პროდუქციის (ტექნოლოგიური პროცესის) მიღება, რომელსაც ანალოგიურ ცნობილ სახეობებს შორის უფრო მაღალი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები აქვს	4,0
6	ახალი პროდუქციის (ტექნოლოგიური პროცესის) მიღება, რომელიც პირველად არის ათვისებული სახალხო მეურნეობაში და თვისებრივად ახალი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები აქვს	5,0

ცხრილი 2

გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი K<sub>2</sub><sup>1</sup>

№	გამოყენების მოცულობა	K <sub>2</sub> -ის მნიშვნელობა
1	2	3
1	ერთ საწარმოში ერთეულ წარმოებაში <sup>2</sup> გამოყენება	1,0
2	რამდენიმე (2-10) საწარმოში ერთეულ წარმოებაში ან ერთ საწარმოში წერილსერიულ წარმოებაში გამოყენება	1,5
3	რამდენიმე საწარმოში წერილსერიულ წარმოებაში გამოყენება	2,0

<sup>1</sup> გამოგონების გამოყენების მოცულობა, მათ შორის პროდუქციის მიღების ხერხისა, განისაზღვრება უშუალოდ ტექნიკური გადაწყვეტით დამზადებული პროდუქციის (ნაწარმის) რაოდენობით, რომელიც დატულია გამოგონებაზე საავტორო მოწმობით, ამ მოცულობიდან გამომდინარე განისაზღვრება წარმოების სახე.

<sup>2</sup> ერთეული წარმოება ხასიათდება ცალკეულ ეგზემპლარებად ან პატარ-პატარა განუმეორებადი დაკვეთებით პროდუქციის დამზადებით.

<sup>3</sup> წერილსერიული წარმოება ხასიათდება ერთნაირი ნაწარმის არარეგულარულად განმეორებადი დამზადებითა და გამოშვებით.



№	გამოყენების მოცულობა	K <sub>2</sub> -ის მნიშვნელობა
	2	3
4	ბევრ საწარმოში წერილსერიულ წარმოებაში ან ერთ საწარმოში სერიულ წარმოებაში გამოყენება, აგრეთვე უნიკალური ობიექტების დამზადება, ერთეული წარმოების დაგეგმვის დროს პროდუქციის (ნაწარმის) უშუალოდ მიღების გარეშე სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული ხერხების გამოყენება	3,0.
5	რამდენიმე საწარმოში სერიულ წარმოებაში გამოყენება, აგრეთვე გამოყენება დოკუმენტაციაში, რომელიც სხვა ქვეყნებს გადაეცემა ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით, და ისეთ ობიექტებზე გამოყენება, რომლებსაც სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები საზღვარგარეთ აგებენ საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების წესით	4,0
6	რამდენიმე საწარმოში მსხვილსერიულ წარმოებაში ან ერთ საწარმოში მსხვილსერიულ წარმოებაში გამოყენება	5,0
7	რამდენიმე საწარმოში მსხვილსერიულ წარმოებაში გამოყენება	5,5
8	ბევრ საწარმოში მსხვილსერიულ წარმოებაში გამოყენება ან ერთ საწარმოში მასობრივი წარმოება	6,0
9	რამდენიმე საწარმოში მასობრივ წარმოებაში გამოყენება	7,0
10	ბევრ საწარმოში მასობრივ წარმოებაში გამოყენება	8,0

4 სერიული წარმოება ხასიათდება ერთნაირი ნაწარმის (სერიების) დამზადებისა და გამოშვების პერიოდული განმეორებადობით.

5 მსხვილსერიული წარმოება ხასიათდება სერიულობის გაზრდით წელიწადში სერიების რაოდენობისა და მოცულობის გადიდების გზით.

6 მასობრივი წარმოება ხასიათდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოცულობის ერთნაირი პროდუქციის დამზადების უწყვეტობით, ამასთან საწარმოო პროცესების ზუსტად განმეორებადობით.

გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტი  $K_3^1$

№	გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულე	$K_3$ -ის მნიშვნელობა
1	2	3
1	ერთი მარტივი დეტალის კონსტრუქცია, მარტივი პროცესის ერთი პარამეტრის, პროცესის ერთი ოპერაციის, რეცეპტურის ერთი ინგრედიენტის შეცვლა და სხვ.	1,0
2	რთული ან ასაწყობი დეტალის კონსტრუქცია, არაძირითადი კვანძის, მექანიზმის კონსტრუქცია, არართული პროცესების ორი და მეტი არაძირითადი პარამეტრის შეცვლა, ტექნოლოგიური პროცესების ორი და მეტი ოპერაციის შეცვლა, რეცეპტურის ორი და მეტი არაძირითადი ინგრედიენტის შეცვლა	1,5
3	მანქანების, მექანიზმების ერთი ძირითადი კვანძის ან რამდენიმე არაძირითადი კვანძის კონსტრუქცია, პროცესების (არაძირითადთა) ნაწილი, რეცეპტურის (არაძირითადთა) ნაწილი და სხვ.	2,0
4	რამდენიმე ძირითადი კვანძის კონსტრუქცია, ტექნოლოგიის ძირითადი პროცესები, რეცეპტურის (ძირითადი) ნაწილი და სხვ.	2,5
5	მანქანის, ხელსაწყოს, ჩარხის, აპარატის, ნაგებობის კონსტრუქცია, ტექნოლოგიური პროცესები, რეცეპტურები და სხვ.	3,5
6	მანქანის, ჩარხის, ხელსაწყოს, აპარატის, ნაგებობის კონსტრუქცია რთული კინემატიკით, კონტროლის აპარატურით, რადიოელექტრონული სქემით, ძალური მანქანების, ძრავების, აგრეგატების კონსტრუქცია, კომპლექსური ტექნოლოგიური პროცესები, რთული რეცეპტურები და სხვა.	4,5

<sup>1</sup> გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა  $K_3$  შეირჩევა გამოგონების ობიექტიდან გამომდინარე, ე. ი. გამოგონების ფორმულაში ჩამოყალიბებული ყველა ნიშან-თვისებათა ერთობლიობით, როგორც სიტყვა „განსხვავებული“-მდე, ისე მის შემდეგ (ინსტრუქცია გამოგონებების სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერტიზაზე (იგზ-2-74\*), რომელიც დამტკიცებულია გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1973 წლის 13 დეკემბერს).

	გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულე	K <sub>4</sub> -ის მნიშვნელობა
1	2	3
7	მანქანის, აპარატის, ნაგებობის კონსტრუქცია ავტომატური ნაკადური ხაზების კონტროლის რთული სისტემით, რომლებიც შედგება ახალი სახეობის მოწყობილობის, მართვისა და რეგულირების სისტემისაგან, რთული კომპლექსური ტექნოლოგიური პროცესები, განსაკუთრებული სირთულის რეცეპტურები და სხვ.	5,5
8	განსაკუთრებული სირთულის კონსტრუქცია, ტექნოლოგიური პროცესები და რეცეპტურები, რომლებიც უშთაურესად განეკუთვნებიან მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ დარგებს	6,25

ცხრილი 4

არსებით განსხვავებათა კოეფიციენტი K<sub>4</sub><sup>1,2,3</sup>,

1	არსებითი განსხვავებები	K <sub>4</sub> -ის მნიშვნელობა
№	2	K <sub>4</sub> -ის
1	გამოგონება, რომელიც ცნობილი საშუალებების გამოყენებაზეა აგებული, მათ რიცხვში გამოყენებაზე, როდესაც გამოგონების ფორმულა იწყება სიტყვით „გამოყენება“.	1,25
2	გამოგონება, რომელიც ცნობილ ტექნიკურ გადაწყვეტათა ისეთ ახალ ერთობლიობაზეა აგებული, რომელიც ახალ დადებით ეფექტს ქმნის, ე. ი. როცა გამოგონების ფორმულის განმასხვავებელი ნაწილი შეიცავს მითითებებს ცნობილ ელემენტებს შორის ახალ ურთიერთკავშირზე, ოპერაციების სსვა თანამიმდევრობას ან პროტოტიპთან შედარებით ინგრადიენტების სხვა ახალ პროცენტულ შემადგენლობას	1,5

<sup>1</sup> კოეფიციენტი K<sub>4</sub>-ის რიცხვით მნიშვნელობას ირჩევენ გამოგონების ობიექტიდან გამოვლინარე, ე. ი. გამოგონების ფორმულაში ჩამოყალიბებულ ყველა ნიშან-თვისებათა ერთობლიობით, როგორც სიტყვა „განსხვავებული“-მდე, ისე მის შემდეგ.

№	არსებითი განსხვავებები	K <sub>4</sub> -ის მნიშვნელობა
1	2	3
3	გამოყენება, რომელსაც პროტოტიპი აქვს და ძირითადი ნიშნების დიდი ნაწილით ემთხვევა ახალ გადაწყვეტას	2,0
4	გამოგონება, რომელსაც პროტოტიპი აქვს და ძირითადი ნიშნების ნახევრით ემთხვევა ახალ გადაწყვეტას	2,5
5	გამოგონება, რომელსაც პროტოტიპი აქვს და ძირითადი ნიშნების მცირე ნაწილით ემთხვევა ახალ გადაწყვეტას	3,0
6	გამოგონება, რომელიც ხასიათდება არსებით განსხვავებათა ერთობლიობით და პროტოტიპი არა აქვს ე. ი. როცა გამოგონება წყვეტს ახალ ამოცანას, ან ცნობილ ამოცანას პრინციპულად სხვა გზით (პიონერული გამოგონება)	4,0

2 მოწყობილობაზე, ხერხზე ან ნივთიერებაზე, კოეფიციენტ K<sub>4</sub>-ის რიცხვითი მნიშვნელობა 2,0-დან 3,0-მდე ღვინდება ცნობილი ტექნიკური გადაწყვეტის ახალ ტექნიკურ გადაწყვეტასთან თანხედენილი ძირითადი ნიშან-თვისებების (რომელსაც შეიცავს ფორმულის განმსაზღვრელი ნაწილი) ახალი ტექნიკური გადაწყვეტის ძირითად ნიშან-თვისებათა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით, რომლებსაც შეიცავს გამოგონების ფორმულის პირველი პუნქტის განმასხვავებელი და განმსაზღვრელი ნაწილი (2 — როცა შეფარდების სიდიდე ნახევარზე მეტია, 2,5 — როცა ნახევრის ტოლია და 3 — როცა შეფარდების სიდიდე ნაკლებია ნახევარზე).

ამასთან ძირითადი ნიშან-თვისების ქვეშ იგულისხმება ახალი არსებითი ნიშან-თვისებები, რომლებიც წარმოდგენილია გამოგონების ფორმულის განმასხვავებელ ნაწილში შემდეგი სახით: ოპერაცია — ხერხში, ელემენტი — კონსტრუქციაში, ინგრედიენტი — შემადგენლობაში (ანდა მათი განსაკუთრებული შესრულება).

3 რამდენადაც გამოგონების ფორმულა ნივთიერებაზე, რომელიც მიღებულია ქიმიური გზით, და მიკროორგანიზმის ახალ შტამებზე ჩამოყალიბდება განმსაზღვრელ და განმასხვავებელ ნაწილებად დაყოფის გარეშე, კოეფიციენტ K<sub>4</sub>-ის რიცხვითი მნიშვნელობა მიიღება 2-ის ტოლად, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა გამოგონების ობიექტად გვევლინება ქიმიური გზით მიღებული ნივთიერება, რომლის სტრუქტურა არ განეკუთვნება ქიმიური ცნობილ არც ერთ სტრუქტურას და რომლისთვისაც კოეფიციენტის მნიშვნელობა მიიღება 4-ის ტოლად.

გასამრჯელოს ოდენობა ისეთი რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$B = K_1 \times K_2 \times K_3 \times 10 \text{ მან.},$$

სადაც  $K_1$  მიღებული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი;  $K_2$  — გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი;  $K_3$  — გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტი. კოეფიციენტების მნიშვნელობა მოცემულია მე-5, მე-6 და მე-7 ცხრილებში.

ცხრილი 5

მიღწეული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი  $K_1$

№	მიღწეული დადებითი ეფექტი	$K_1$ -ის მნიშვნელობა
1	მეორეხარისხოვანი ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება, რომლებიც განმსაზღვრელი არ არის კონკრეტული პროდუქციისათვის (ტექნოლოგიური პროცესისათვის), რაც ფიქსირებული არ არის დოკუმენტით <sup>1</sup>	1,0
2	ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება, ფიქსირებულია დოკუმენტით	1,5
3	ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება განმსაზღვრელია კონკრეტული პროდუქციისათვის (ტექნოლოგიური პროცესისათვის), რაც დოკუმენტითაა ფიქსირებული	2,0
4	პროდუქციის (ტექნოლოგიური პროცესის) თვისებრივად ახალი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების მიღწევა დოკუმენტით არის ფიქსირებული	3,0
5	ისეთი ახალი პროდუქციის (ტექნოლოგიური პროცესის) მიღება, რომელსაც ანალოგიურ ცნობილ სახეობებს შორის უფრო მაღალი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები აქვს.	4,0

<sup>4</sup> ინსტრუქცია გამოგონებების სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერტიზაზე („ეზ-2-74“), რომელიც დამტკიცებულია გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1973 წლის 13 დეკემბერს).

<sup>1</sup> დოკუმენტად იგულისხმება დამტკიცებული ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ტექნიკური მახასიათებლების შესახებ (ტექნიკური პირობები, ინსტრუქციები, პასპორტები და სხვა).

1	2	3
6	ისეთი ახალი პროდუქციის (ტექნოლოგიური პროცესის) მიღება, რომელიც პირველად არის ათვისებული სახალხო მეურნეობაში და თვისებრივად ახალი ტექნიკური მახასიათებლები აქვს	5,0
გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი $K_2^1$		ცხრილი 6

გამოყენების მოცულობა		$K^1$ -ის მნიშვნელობა
1	2	3
1	ერთ საწარმოში ერთეულ წარმოებაში გამოყენება	1,0
2	რამდენიმე (2÷10) საწარმოში ერთეულ წარმოებაში ან ერთ საწარმოში წვრილსერიულ წარმოებაში გამოყენება	1,5
3	რამდენიმე საწარმოში წვრილსერიულ წარმოებაში <sup>2</sup> გამოყენება	2,5
4	ბევრ საწარმოში წვრილსერიულ წარმოებაში <sup>3</sup> ან ერთ საწარმოში სერიულ წარმოებაში გამოყენება პროდუქციის (ნაწარმის) უშუალოდ მიღების გარეშე სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული ხერხების გამოყენება	3,5
5	რამდენიმე საწარმოში სერიულ წარმოებაში <sup>4</sup> გამოყენება	4,5

1 რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების მოცულობა, მათ შორის პროდუქციის მიღების ხერხებისა, განისაზღვრება პროდუქციის (ნაწარმის) რაოდენობით, რომელიც მიღებულია უშუალოდ ტექნიკური გადაწყვეტის მიხედვით, დატულია მოწმობით რაციონალიზატორულ წინადადებაზე; ამ მოცულობიდან გამომდინარე განისაზღვრება წარმოების სახე.

2 ერთეული წარმოება ხასიათდება ცალკეულ ეგზემპლარებად ან მცირე განმეორებადი დაკვეთებით პროდუქციის დამზადებით.

3 წვრილსერიული წარმოება ხასიათდება ერთნაირი ნაწარმის (სერიების) არარეგულარულად განმეორებადი დამზადებითა და გამოშვებით.

4 სერიული წარმოება ხასიათდება ერთნაირი ნაწარმის (სერიების) პერიოდულად განმეორებადი დამზადებითა და გამოშვებით.

1	2	3
6	ბევრ (10-ზე მეტ) საწარმოში სერიულ წარმოებაში ან ერთ საწარმოში მსხვილსერიულ წარმოებაში გამოყენება	5,5
7	რამდენიმე საწარმოში მსხვილსერიულ წარმოებაში გამოყენება	6,5
8	ბევრ საწარმოში მსხვილსერიულ წარმოებაში ან ერთ საწარმოში მასობრივ წარმოებაში გამოყენება	8,0
9	რამდენიმე საწარმოში მასობრივ წარმოებაში გამოყენება	9,0
10	ბევრ საწარმოში მასობრივ წარმოებაში გამოყენება	10,0

ტხზალი 7

გადაწვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტი  $K_3$

№	გადაწვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულე	$K_3$ ს მნიშვნელობა
1	ერთი მარტივი დეტალის კონსტრუქცია, მარტივი პროცესის ერთი პარამეტრის, პროცესის ერთი ოპერაციის, რეკუპტურის ერთი ინგრედიენტის შეცვლა და სხვ.	1,0
2	რთული ან ასაწყობი დეტალის კონსტრუქცია, არაძირითადი კვანძის, მექანიზმის კონსტრუქცია, არართული პროცესების ორი ან მეტი არაძირითადი პარამეტრის შეცვლა, ტექნოლოგიური პროცესების ორი ან მეტი არაძირითადი ოპერაციის შეცვლა, რეკუპტურის ორი ან მეტი არაძირითადი ინგრედიენტების შეცვლა და სხვ.	2,0
3	მანქანების, მექანიზმების ერთი ძირითადი კვანძის ან რამდენიმე არაძირითადი კვანძის კონსტრუქცია, პროცესების ნაწილი (არაძირითადი), რეკუპტურის ნაწილი (არაძირითადი) და სხვ.	3,0
4	რამდენიმე ძირითადი კვანძის კონსტრუქცია, ტექნოლოგიის ძირითადი პროცესები, რეკუპტურის ნაწილი (ძირითადი) და სხვ.	4,0

5 მსხვილსერიული წარმოება ხასიათდება წელიწადში სერიების რაოდენობისა და მოცულობის გადიდების გზით სერიულობის გაზრდით.

6 მასობრივი წარმოება ხასიათდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოცულობის ერთნაირი პროდუქციის დამზადების უწყვეტობითა და საწარმოო პროცესის ზუსტი განმეორებადობით.

1	2	3
5	მანქანის, ხელსაწყო, ჩარხის, აპარატის, ნაგებობის კონსტრუქცია, ტექნოლოგიური პროცესები, რეცეპტურები და სხვ.	5,0
6	მანქანის, ჩარხის, ხელსაწყო, ნაგებობის, აპარატის კონსტრუქცია რთული კინემატიკით, კონტროლის აპარატურით, რადიოელექტრონული სქემით, ძალური მანქანების, ძრავების, აგრეგატების კონსტრუქცია, კომპლექსური ტექნოლოგიური პროცესები, რთული რეცეპტურები და სხვ.	6,5
7	მანქანის, ნაგებობის, აპარატის კონსტრუქცია ისეთი ავტომატური ნაკადური ხაზების კონტროლის რთული სისტემით, რომლებიც შედგება ახალი სახეობის მოწყობილობის, მართვისა და რეგულირების სისტემისაგან, რთული კომპლექსური ტექნოლოგიური პროცესები, განსაკუთრებული სირთულის რეცეპტურები და სხვ.	8,0
8	განსაკუთრებული სირთულის კონსტრუქცია, ტექნოლოგიური პროცესები და რეცეპტურები, რომლებიც უმთავრესად შეეხებიან და ტექნიკის ახალ დარგებს განეკუთვნებიან	10,0

ბასამრჯალოს ოდენობის განსაზღვრის მაგალითები ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომლებიც ეკონომიას არ ქმნის

მაგალითი 1. 15 მეტალურგიულ ქარხანაში გამოყენებულია გამოგონება „ავტომატური დროსელური სარქველი გაზისათვის“. გამოგონების გამოყენებამ შესაძლებელი გახდა მოეხდინათ ჰაერსახურებლების სარქველების ავტომატური გადართვა და უზრუნველყოფა მუშაობის უსაფრთხოება, ვინაიდან ელექტროქსელის ავარიული წესით დენის გამორთვის დროს სარქველი ავტომატურად უზრუნველყოფს ჰაერსახურებელში გაზის მიწოდების შეწყვეტას და ამით თავიდან გვაცილებს მის აფეთქებას.

როგორც პასპორტიდან ჩანს, გამოგონებამ გააუმჯობესა სარქველის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. ამიტომ 1-ლი ცხრილის (მე-3 პუნქტი) მიხედვით მიღწეული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი  $K_1$  უნდა მივიღოთ 2,0-ის ტოლად.



იმასთან დაკავშირებით, რომ გამოგონება გამოყენებულია 15 შეტალურგიული ქარხნის სერიულ წარმოებაში, მე-2 ცხრილის მიხედვით (მე-6 პუნქტი) გამოგონების გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი  $K_2$  დადგენილია 5,0-ის ტოლად.

ავტომატური სარქველი შეიცავს ოთხი ძირითადი კვანძის კონსტრუქციას. ამიტომ გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტი  $K_3$ , რომელიც მე-3 ცხრილით (მე-4 პუნქტი) არის განსაზღვრული, დადგენილია 2,5-ის ტოლად.

გამოგონების ნიშნების მის პროტოტიპთან შედარების შედეგად დადგენილია, რომ პროტოტიპი გამოგონებას ემთხვევა ძირითადი ნიშნების მხოლოდ მცირე ნაწილით. ამიტომ არსებითი განსხვავების კოეფიციენტი  $K_4$  მე-4 ცხრილის (მე-5 პუნქტი) შესაბამისად იქნება 3,0.

$$B = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times 20 \text{ მან.}$$

$$B = 2,0 \times 5,0 \times 2,5 \times 3,0 \times 20 \text{ მან.} = 1500 \text{ მან.}$$

მაგალითი 2. შემუშავებულია ძნელად მისადგომ ადგილებში რთული კონსტრუქციის ლითონის ზედაპირის ელექტროშედულების აპარატის ტექნოლოგიური პროცესი და კონსტრუქცია. ადრე ამისათვის იყენებდნენ დამოქლონებას პნევმატიკური სარტყამი ინსტრუმენტის საშუალებით. წინადადება ეყრდნობა ახალი ერთობლიობით ცნობილ ტექნიკურ გადაწყვეტათა გამოყენებას და გამოგონებად არის აღიარებული. გამოგონების გამოყენებამ შრომატევადობა ვერ შეამცირა, მაგრამ შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო შრომის პირობები საწარმოო ხმაურის შემცირების შედეგად.

წინადადება გამოყენება ჰპოვა ამ დარგის 5 საწარმოს სერიულ წარმოებაში. 1-ლი ცხრილის (მე-2 პუნქტი) მიხედვით მიღწეული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი  $K_1$  მიიღება 1,5-ის ტოლად. გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი  $K_2$  მე-2 ცხრილის (მე-5 პუნქტი) მიხედვით შეადგენს 4,0, მე-3 ცხრილის (მე-5 პუნქტი) მიხედვით ვადგენთ გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტს  $K_3$ -ს, რომელიც 3,5-ის ტოლია. არსებით განსხვავებათა კოეფიციენტი  $K_4$  მე-4 ცხრილის (მე-2 პუნქტი) მიხედვით მიიღება 1,5-ის ტოლად.

$$B = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times 20 \text{ მან.}$$

$$B = 1,5 \times 4,0 \times 3,5 \times 1,5 \times 20 \text{ მან.} = 630 \text{ მან.}$$

მაგალითი 3. რეკომენდებულია პირადი მოხმარების ნაკეთობის ძირითადი კვანძის კონსტრუქციული შეცვლა. ამან შესაძლებ-

ბელი გახდა გაუმჯობესებინათ ნაკეთობის ძირითადი კვანძის კონსტრუქციული შეცვლა. ამან შესაძლებელი გახდა გაუმჯობესებინათ ნაკეთობის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და შეეტანათ ისინი ტექნიკურ პირობებში, მაგრამ ნაკეთობის ფასი არ შეცვლილა, რაც არ იძლევა ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის შესაძლებლობას. წინადადება რაციონალიზატორულად იქნა ცნობილი და გამოყენებულია ერთი საწარმოს მასობრივ წარმოებაში.

მე-5 ცხრილის (მე-3 პუნქტი) მიხედვით მიღწეული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი  $K_1$  შეადგენს 2,0-ს, გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი  $K_2$  მე-6 ცხრილის (მე-8 პუნქტი) მიხედვით მიიღება 8,0-ის ტოლად. მე-7 ცხრილის (მე-3 პუნქტი) მიხედვით გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულის კოეფიციენტი  $K_3$ — 3,0-ის ტოლია.

$$B = K_1 \times K_2 \times K_3 \times 10 \text{ მან.}$$

$$B = 2,0 \times 8,0 \times 3,0 \times 10 \text{ მან.} = 480 \text{ მან.}$$

მაგალითი 4. ახალი პლასტიკური მასალისაგან რთულ ნაგებობათა დამზადების რეკომენდებულმა პროცესმა შესაძლებელი გახდა მასობრივ წარმოებაში პირველად აეთვისებინათ ისეთი პროდუქციის გამოშვება, რომელსაც ხარისხობრივად ახალი ტექნიკური მახასიათებლები აქვთ. პროცესი გამოყენებულია ელექტრომრეწველობის 12 საწარმოში, წინადადება აღიარებულია რაციონალიზატორულად. ეკონომიკური ეფექტი განსაზღვრული არ არის იმასთან დაკავშირებით, რომ შედარებითი ბაზა არ არსებობს.

მე-5 ცხრილის (მე-3 პუნქტი) მიხედვით მიღწეული დადებითი ეფექტის კოეფიციენტი  $K_1$  მიღებულ უნდა იქნეს 5,0-ის ტოლად. გამოყენების მოცულობის კოეფიციენტი  $K_2$  მე-6 ცხრილის (მე-10 პუნქტი) მიხედვით 10,0-ის ტოლია. გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის სირთულისა და რეკომენდებული პროცესის გამოყენების სფეროს გათვალისწინებით კოეფიციენტი  $K_3$  მე-7 ცხრილის (მე-8 პუნქტი) მიხედვით მიღებულ უნდა იქნეს 10,0-ის ტოლად.

$$B = K_1 \times K_2 \times K_3 \times 10 \text{ მან.}$$

$$B = 5,0 \times 10,0 \times 10,0 \times 10 \text{ მან.} = 5000 \text{ მან.}$$

#### § 20. გასამრჯელოს გაცემის როგორი ფანია აღმოჩენების ავტორებისათვის?

თანახმად დადგენილი წესისა, გასამრჯელოზე უფლება აქვს აღმოჩენის ავტორს, რომელმაც მიიღო დიპლომი. გასამრჯელო

აღმოჩენისათვის დგინდება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 5000 მანეთამდე მისი ავტორების რიცხვისაგან დამოუკიდებლად და ეძლევა ავტორს (თანაავტორებს) აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის შემთხვევაში. გასამრჯელოს წილი თითოეული თანაავტორისათვის განისაზღვრება შეთანხმებით, რომელიც დაიდება თვით თანაავტორების მიერ.

აღმოჩენისათვის გასამრჯელოს გაცემაზე და მისი ოდენობის შესახებ დავა პრაქტიკაში არ არის ცნობილი. ეს განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს, რომ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის შემთხვევაში უხდის ავტორს (ავტორებს) გასამრჯელოს 5000 მანეთამდე

#### § 21. როგორ გასამრჯელოს იღებენ ანგარიშით გამოგონებათა ავტორები?

გამოუყენებელ პერსპექტიულ გამოგონებათა ავტორებს, რომელთა გამოგონებების გამოყენება მომავალში სამინისტროების (უწყებების) დაქვემდებარებულ საწარმოებში მიჩნეულია მიზანშეწონილად, შეიძლება გადაუხადოს პრემიები სამინისტროებმა (უწყებებმა), პრემირებასა და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის ხელშესაწყობად გათვალისწინებული თანხების ხარჯზე. ეს პრემიები არ ჩაითვლება გასამრჯელოს ანგარიშში და შემდეგში მიეცემა ავტორებს პრესპექტიული გამოგონებების გამოყენების შემთხვევაში.

#### § 22. ვინ იხდის გამოგონებაზე საავტორო გასამრჯელოს?

გასამრჯელოს ანგარიშობს და იხდის:

ა) გამოგონებაზე, რომელიც გამოიყენეს ერთ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, — ეს საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება;

ბ) გამოგონებაზე, რომელიც გამოიყენეს ერთი და იგივე სამინისტროს ან უწყების რამდენიმე საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, — ეს სამინისტრო, უწყება.

გ) გამოგონებაზე, რომელიც გამოიყენეს რამდენიმე სამი-

ნისტროს, უწყების საწარმოებში, ორგანიზაციებში ან დაწესებულებებში, — სამინისტრო, უწყება, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეს გამოგონება, შემდგომში ამ სამინისტროს, უწყებას უნაზღაურებენ შესაბამის თანხას სხვა სამინისტროები, უწყებები, რომელთა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმაც გამოიყენეს მოცემული გამოგონება. დავას თუ რომელი სამინისტრო ან უწყება არის ვალდებული გადაუხადოს გასამრჩელო გამოგონების გამოყენებაზე, წყვეტს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

გასამრჩელოს გამოგონებაზე, რომელიც გამოყენებულია დოკუმენტაციაში, და გადაცემულია სხვა ქვეყნებში ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით, გამოთვლის და იხდის სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებები, რომლებმაც გადასცეს დოკუმენტაცია საზღვარგარეთ, თუ სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებით ან მოლაპარაკებით.

გასამრჩელოს გამოგონების გამოყენებაზე ობიექტებში, რომლებსაც აგებენ საზღვარგარეთ სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის წესით, გამოთვლის და იხდის სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება საზღვარგარეთ ობიექტების მშენებლობის განმახორციელებელი საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებები.

გასამრჩელოს საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ გაყიდული ლიცენზიებზე განსაზღვრავს ლიცენზიის გაყიდვისაგან მიღებული თანხის 3%-მდე ოდენობით, და იხდის სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, კომიტეტისათვის დადგენილი წესით გადმორიცხული თანხების ხარჯზე.

§ 23. ვინ წარმოადგინა გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების უფლებას სუბიექტებს?

საავტორო მოწმობით დაცული გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლების სუბიექტს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც სამეურნეო ურთიერთობებში გამოდის რო-

გორც უფლების სუბიექტი. სახელმწიფო სახელით და მისი ინტერესებით ამ უფლებას ახორციელებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. მასზეა დაკისრებული გამოგონებათა გამოყენების საქმე ქვეყანაში და ნებართვების გაცემა გამოგონებების გამოყენებაზე პირებისათვის და ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ამდგვარი ნებართვის გარეშე არა აქვთ მიცემული გამოგონებების გამოყენების უფლება.

პატენტზე დაფუძნებულ გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლების სუბიექტს წარმოადგენს პატენტის მფლობელი. მას სრულად ეძლევა უფლება მოიხმაროს გამოგონება (გაცეს ან არ გაცეს საპატენტო ლიცენზია, გაყიდოს პატენტი და ა. შ.), ხოლო გამოგონების პრაქტიკულად გამოყენების საქმეში ის შეზღუდულია უფლებებით, რომლებითაც რეგლამენტირებულია სამეწარმეო მოღვაწეობა სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

განსაკუთრებული უფლების სუბიექტებისაგან საჭიროა განვასხვავოთ სუბიექტები, რომლებსაც მიცემული აქვთ ჩვეულებრივი (არა განსაკუთრებული) გამოყენების უფლება, ე.ი. არა აკრძალვის უფლება, არამედ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების პრაქტიკულად განხორციელების უფლება. ასეთ სუბიექტებს წარმოადგენენ, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. მათ აქვთ საავტორო მოწმობებით და მოწმობებით დაცული გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შეუზღუდავი, დაუბრკოლებელი გამოყენების უფლება.

მათ გარდა გამოგონების გამოყენების ჩვეულებრივი უფლების სუბიექტებს წარმოადგენენ ლიცენზიატები ე. ი. ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომლებმაც დადგინილი წესით მიიღეს ნებართვა (ლიცენზია) გამოგონების გამოყენებაზე, მათ შეუძლიათ გამოგონების გამოყენება სარეწ მოღვაწეობის მათთვის ნებადართულ საზღვრებში.

რაციონალიზატორული წინადადებები შეიძლება დაუბრკოლებლად იქნეს გამოყენებული არა მარტო საწარმოების მიერ, რომლებშიც ისინია შეტანილი, არამედ სხვა საწარმოების, ორგანიზაციების და მოქალაქეების მიერაც.

§ 24. ვინ და როგორი წესით იცავს გამომგონებლობისა და რაციონალიზატორების უფლებებს?

თანახმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 47-ე მუხლისა, „გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებს სახელმწიფო იცავს“.

საბჭოთა კანონმდებლობა არა მარტო ფართო უფლებებს აძლევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს და სახელმწიფო იცავს ამ უფლებებს, არამედ დებულებით ზუსტად რეგლამენტირებულია ამ უფლებათა საზღვრები, დადგენილია როგორი წესით და რომელი ორგანოები განიხილავენ დავას ამ საკითხებზე.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლების დაცვა ხორციელდება ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-სასამართლო და სასამართლო წესით.

ადმინისტრაციული წესით გამომგონებლები და რაციონალიზატორები შესაბამის შემთხვევებში გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში, სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც იღებენ მათზე გადაწყვეტილებას, შეიტანენ შეპასუხებას, საჩივრებს ან თხოვნას.

ადმინისტრაციულ-სასამართლო წესით თავდაპირველად საკითხს განიხილავს ადმინისტრაციული ორგანო და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან არ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, გამომგონებელს ან რაციონალიზატორს შეუძლია მიმართოს მის გადასაწყვეტად სასამართლოს.

და ბოლოს, თავისი უფლებების დაცვისათვის გამომგონებელს ან რაციონალიზატორს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში შეუძლია უშუალოდ მიმართოს სასამართლოს, აღძრას სარჩელი სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის ან პირის მიმართ, რომელთანაც მას აქვს დავა.

§ 25. როგორ განისაზღვრება და გადაიხდება გასამრჯელო სამრეწველო ნიმუშებისათვის?

თანახმად ინსტრუქციისა, სამრეწველო ნიმუშის ავტორს, რომელზეც გაცემულია მოწმობა, წარმოებაში მისი გამოყენების შემთხვევაში აქვს უფლება გასამრჯელოზე 5 ათას მანეთამდე ოდენობით ერთი სამრეწველო ნიმუშისათვის, მაგრამ არა უმეტეს 2 ათასი მანეთისა ერთ პირზე. სამრეწველო ნიმუშისათვის გასამრჯელოს

მინიმალური ოდენობა დადგენილია 20 მანეთის ოდენობით: გასამრჩელო გაიცემა საწარმოს მიერ, რომელმაც პირველმა დანერგა მოცემული სამრეწველო ნიმუში თავის წარმოებაში. გასამრჩელოს ოდენობა განისაზღვრება საწარმოს ხელმძღვანელის მიერ ნიმუშის ნამდვილი ღირებულების შესაბამისად. ინსტრუქცია გასამრჩელოზე სამრეწველო ნიმუშისათვის ადგენს სამრეწველო ნიმუშის ნამდვილი ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმებს და შეიცავს სირთულის კატეგორიების მიხედვით ნაკეთობების სავარაუდო დაყოფის ცხრილს:

სირთულის კატეგორია	ნაწარმი	გასამრჩელოს მაქსიმალური ოდენობა (მანეთებში)
I	სახალხო მოხმარების ნაწარმის შეფუთვა, კურკელი, საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტი და ა. შ.	150
II	ელექტროგამანათებელი არმატურა, ავეჯი, სპორტული ინვენტარი და მისთ.	250
III	მტვერსასრუტები, ჩარხები, რთული ინსტრუმენტები, ელოსიპედები, კომბინირებული ავეჯი და მისთ.	1250
IV	რთული ჩარხები, ელექტრონულ-გამომრთველი მანქანები, მაკიერები, მოტოციკლები და მისთ.	2500
V	თვითმფრინავები, ავტომობილები, გემები, სამგზავრო ვაგონები და მისთ.	5000

გასამრჩელო გაიცემა ერთი თვის ვადაში სამრეწველო ნიმუშის წარმოებაში ფაქტიური დანერგვის დაწყების დღიდან.

გასამრჩელო დანერგილი სამრეწველო ნიმუშისათვის ნაწილდება ავტორებს შორის შეთანხმების მიხედვით იმისაგან დამოუკიდებლად, გაცემულია თუ არა მოწმობა საწარმოს (ნამდვილი ავტორების ჩვენებით) თუ ავტორების სახელზე; დავის წარმოშობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

გასამრჩელოს ურიცხავს საწარმო სამრეწველო ნიმუშის ავტორს, იმისგან დამოუკიდებლად განცხადება გასამრჩელოს გაცემის შესახებ შეტანილია თუ არა. საწარმო ვალდებულია ერთი თვის ვადაში გასამრჩელოს დარიცხვის დღიდან გააცნოს ავტორს მონაცემები დარიცხვის დასაბუთებით, ხოლო ავტორის მოთხოვნის შემთხვევაში

გასცეს ან გაუზღავნოს ამ მონაცემების ასლი, თუ მათში არ არის მონაცემები, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

სამრეწველო ნიმუშის ავტორს უფლება აქვს გასამრჯელოზე სამრეწველო ნიმუშზე საზღვარგარეთ ლიცენზიის გაყიდვის შემთხვევაში, გაყიდვისაგან მიღებული თანხის 3%-მდე ოდენობით. გასამრჯელოს იხდის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით.

ორივე საფუძველზე გასამრჯელოს საერთო ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 10 ათას მანეთს.

ნიმუშის ავტორს გასამრჯელო ეძლევა მის მიერ მიღებული სხვა გასამრჯელოებისაგან (პრემიებისაგან) დამოუკიდებლად და აგრეთვე დამოუკიდებლად იმისა, აქვს თუ არა ამ სამრეწველო ნიმუშს დამოკიდებულება მის სამუშაოსთან.

#### § 26. როგორ ნაწილდება გასამრჯელო ავტორებს შორის?

გასამრჯელო აღმოჩენისათვის, გამოგონებისათვის, რაციონალიზატორული წინადადებებისათვის და სამრეწველო ნიმუშისათვის ნაწილდება თანაავტორებს შორის მათი წერილობითი შეთანხმების მიხედვით პროცენტული შეფარდებით. ასეთი შეთანხმების არსებობა გასამრჯელოს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

შეთანხმების დადგენის აუცილებლობა წარმოიშობა არა მხოლოდ ერთი გამოგონების თანაავტორებს შორის. შესაძლებელია ისეთი შეთანხმების შემთხვევები, როდესაც ერთდროულად გამოიყენება ძირითადი და დამატებითი გამოგონებები, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ავტორის მიერ, და შეუძლებელია გამოიყოს თითოეული გამოგონების მიერ შექმნილი ეკონომია. ამ შემთხვევაში ასევე აუცილებელია შეთანხმება გასამრჯელოს განაწილების შესახებ.

დავას თანაავტორებს შორის გასამრჯელოს განაწილებას შესახებ განიხილავს სასამართლო, რომელიც აუცილებელ შემთხვევებში ნიშნავს სპეციალურ ექსპერტიზას.

#### § 27. რა სახის დავა განიხილება ადმინისტრაციული წესით?

ადმინისტრაციული წესით განიხილება უმეტესად ტექნიკური გადაწყვეტის გამოგონებად ან რაციონალიზატორულ წინადადებად



ალიარებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის, აგრეთვე გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის და რაციონალიზატორულ წინადადებაზე მოწმობის გაუქმებულად მიჩნევის თაობაზე დავა, თუ ისინი გაცემულია დებულებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით.

მსგავს დავათა რიცხვს მიეკუთვნება:

ა) განმცხადებლების შეპასუხება საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე უარის გამო, ან კიდევ თუ ავტორი გადაწყვეტილებაში დადგენილი გამოგონების ფორმულას არ ეთანხმება.

მოტივირებული შეპასუხება შეაქვთ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ორი თვის ვადაში განმცხადებლის მიერ გადაწყვეტილების ან მოთხოვნილი დაპირისპირებული მასალების მიღების დღიდან. შეპასუხება, განმცხადებლის მიერ საავტორო მოწმობის გაცემაზე უარის მიღების გამო განაცხადში წინადადების შინაარსის აშკარა უსარგებლობის მოტივით, შეიძლება იყოს შეტანილი ორი თვის ვადის შემდეგაც, თუ იქნება წარდგენილი მისი სარგებლიანობის დამამტკიცებელი დოკუმენტები (დებულების 59-ე პუნქტი). აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გამოგონებლის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას, არსებითად ნებისმიერ დროს დააყენოს საკითხი ზემოთ აღნიშნულ საფუძველებზე გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ.

შეპასუხება განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის მიერ ორი თვის ვადაში მათი მიღების დღიდან;

ბ) საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე გადაწყვეტილების შეცვლა ან გადასინჯვა განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც სარგებლობს უფრო ადრეული პრიორიტეტით საერთაშორისო მოლაპარაკების ან შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი (დებულების მე-60 პუნქტი). ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის ან გადასინჯვის შესახებ საკითხს განიხილავს სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა. სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის გადაწყვეტილება ეცნობა განმცხადებელს, რომელსაც შეუძლია შეიტანოს შეპასუხება ამ გადაწყვეტილებაზე;

გ) განმცხადებლების საჩივრები, რომლებიც მიღებულია შეპასუხებებზე და პროტესტებზე გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის აღიარების გადაწყვეტაზე. უსაფუძვლოა წინადადების გამოგონებად აღიარებისათვის დებულებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის გამო, ხოლო პატენტისათვის — დამატებით გამოგონება-

ზე მისი გაცემის საფუძვლებზე, რომელზედაც შეიძლება იყოს გაცემული მხოლოდ საავტორო მოწმობა (დებულების 145-ე და 146-ე პუნქტი).

საჩივრები და პროტესტები შეაქვთ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. მათი განხილვისათვის შექმნილია სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის საკონტროლო საბჭო. საკონტროლო საბჭოს მიერ საჩივრებისა და პროტესტების კოლეგიური, საჯარო და ექსპერტიზისაგან დამოუკიდებელი განხილვა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ყველაზე უფრო ობიექტური გადაწყვეტილებები. საკონტროლო საბჭოს მუშაობაში ჩაბმულია კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ ტექნიკურ და სამართლებრივ ცოდნას. ასეთი ორგანოს შექმნა ემსახურება გამოგონებებს იმ სახელმწიფო ორგანოებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც ატარებენ გამოგონებაზე განაცხადების ექსპერტიზას და გამოგონებლების უფლებათა დაცვის ამალგების გარანტიას.

საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იგი შეიძლება იყოს გადასინჯული სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პროტესტთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია მოქმედ კანონმდებლობასთან გადაწყვეტილების შეუსატყვისობის მოტივით ან ახლად შექმნილ ვითარებათა გამო (დებულების 48-ე პუნქტი):

დ) ავტორთა საჩივრები წინადადების რაციონალიზატორულ წინადადებად აღიარებაში უარის თქმაზე ან მათი გამოსაყენებლად მიღების გადაწყვეტილებაზე. ავტორს სამი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღების დღიდან უფლება აქვს გაასაჩივროს იგი ორგანიზაციის, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელთან, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. ამასთანავე საჩივრების განხილვა ავტორის სამუშაო ადგილის მიხედვით წარმოებს ხელმძღვანელის მიერ, პროფკავშირული ორგანოს ან პროფკავშირული ორგანოს დეპარტამენტით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანოს მიერ. ორგანიზაციაში მომუშავე ავტორი მოწვეული უნდა იყოს მისი საჩივრის განხილვაში მონაწილეობისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა ავტორი არ არის დაკმაყოფილებული საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებით ან კიდევ თუ საჩივრის განხილვის გამო გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი, რადგანაც შეთანხმება ორგანიზაციის ხელმძღვანელსა და შესაბამის პროფკავშირულ ორგანოს შორის არ არის მიღწეული, ავტორს შეუძლია

შეიტანოს საჩივარი ზემდგომ ორგანოში, რომელიც ვალდებულია ორი თვის ვადაში მისი მიღებიდან შეატყობინოს ავტორს მოტივირებული გადაწყვეტილება.

სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელის ან მოადგილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე საბოლოოა (დებულების 151-ე პუნქტი);

ე) ავტორთა საჩივრები, წინადადების რაციონალიზატორულად აღიარების გადაწყვეტის ან წინადადების გამოსაყენებლად მიღების შეცვლაზე. შეიტანება ზემდგომ ორგანოში, რომელიც ვალდებულია ორი თვის ვადაში მისი მიღების დღიდან შეატყობინოს ავტორს თავისი მოტივირებული გადაწყვეტილება (დებულების 152-ე პუნქტი).

სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელის ან მოადგილის გადაწყვეტილება საბოლოოა:

3) დავას გამოგონების პრიორიტეტზე (დებულების 51-ე და 52-ე პუნქტები) განიხილავს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი:

ზ) დავას იმაზე, რომელი სამინისტროები ან უწყებებია ვალდებული გადაიხადონ გასამრჩელო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებაზე, იხილავს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი (დებულების 112-ე და 119-ე პუნქტი).

## § 28. რა სახის დავა განიხილება ადმინისტრაციულ-სასამართლო წესით?

ადმინისტრაციულ-სასამართლო წესით განიხილება:

ა) დავა ეკონომიის სწორად გამოთვლაზე, ოდენობაზე, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჩელოს გადახდის ვადასა და დარიცხვის წესზე და აგრეთვე მათი გამოყენების ფაქტის დადგენის საკითხები. უპირველესად, დავა გაიჩრევა ორგანიზაციის, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის მიერ საჩივრის შემოტანის მომენტიდან 15 დღის ვადაში.

საჩივრის განხილვა ორგანიზაციაში წარმოებს პროფკავშირულ ორგანოსთან ან მისი დავალებით—გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოსთან ერთობლივად. თუ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადე-

ზის ავტორი არ მიიღებს პასუხს დადგენილ ვადაში ან არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, მას შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელთან ან მიმართოს საარჩევნო სასამართლოს. ავტორის საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა საშუალებას აძლევს მას თვითონ, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინოს თავისი უფლებების დაცვის უფრო მოსახერხებელი ფორმა.

ამასთან ერთად სასამართლო წესით განიხილება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამარჯვლოს გადახდევინებასთან დაკავშირებული საკითხები. იგულისხმება როგორც წინადადებები, რომლებიც იძლევიან ეკონომიას, ასევე — რომლებიც არ იძლევიან ეკონომიას. აღნიშნული საკითხების განხილვასთან დაკავშირებული სარჩელი შეაქვთ სახალხო სასამართლოში იმ ორგანიზაციის ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელმაც, ავტორის აზრით, მიიღო არასწორი გადაწყვეტილება ან უპასუხა დადგენილ ვადაში საჩივარზე.

ბ) დავა რაციონალიზატორული წინადადებების პირველობაზე განიხილება ორგანიზაციის, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის მიერ 15 დღის ვადაში საჩივრის შემოტანის დღიდან. საჩივრის განხილვა ორგანიზაციაში წარმოებს პროფკავშირულ ორგანოსთან ან პროფკავშირული ორგანოს დეალებით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ ორგანოსთან ერთობლივად: მხარეებს იწვევენ დავის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

## § 29. რა სახის დავა განიხილება სასამართლო წესით?

საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ საქმეში ზოგიერთი დავისათვის დადგენილია მხოლოდ სასამართლო წესი მათ განსახილველად.

სასამართლო დაცვა გარეშე გავლენას არ ექვემდებარება. ამიტომ საბჭოთა სამოქალაქო პროცესში სარჩელი — ჰეშმარიტების დადგენისა და სუბიექტურ უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. მიმართვის ფორმას სასამართლოში უფლების დაცვისათვის წარმოადგენს სასარჩელო განცხადება. სარჩელი საერთო წესით წარედგინება სახალხო სასამართლოს მოპასუხის

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასარჩელო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: სასამართლოს დასახელება, სადაც შეაქვთ განცხადება; მოსარჩლის დასახელება, მისი საცხოვრებელი ადგილი ან, თუ მოსარჩლე წარმოადგენს იურიდიულ პირს — მისი მისამართი, აგრეთვე წარმომადგენლის დასახელება და მისი მისამართი, თუ განცხადება შეაქვს წარმომადგენელს, მოპასუხის დასახელება, მისი საცხოვრებელი ადგილი ან, თუ მოპასუხე წარმოადგენს იურიდიულ პირს — მისი მისამართი; ვითარება, რომელზეც მოსარჩლე აპყარებს თავის მოთხოვნას, და მოსარჩლის მიერ გადმოცემული ვითარებების დამადასტურებელ მტკიცებებს: მოსარჩლის მოთხოვნა: სარჩელის ფასი, თუ სარჩელი ექვემდებარება შეფასებას: განცხადებასთან თანდართულ დოკუმენტების სიას.

§ 30. როგორ განიხილავენ გამოგონებისათვის, რაციონალიზატორული წინადადებისათვის და სამრეწველო ნიმუშისათვის გასამრჩავლად

გამოყენებული გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების ან სამრეწველო ნიმუშის ავტორს, რომელიც თვლის, რომ მას გადაუხადეს გასამრჩელო ნაკლები ოდენობით, ვიდრე საჭიროა, აგრეთვე თუ არ ეთანხმება გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების მიხედვით ჩატარებულ ეკონომიის გამოთვლას, შეუძლია მიმართოს საჩივრით საწარმოს (ორგანიზაციას), რომელიც ვალდებულია გადაუხადოს გასამრჩელო, სადაც ეს საჩივარი განიხილება ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირის საქარხნო (ადგილობრივ) კომიტეტთან ან, პროფკავშირული ორგანოს დავალებით, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოსთან ერთად. თუ ავტორი გამოტანილ გადაწყვეტილებას არასწორად თვლის, მას შეუძლია გაასაჩივროს ის ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან. იმ შემთხვევაში, თუ ავტორი თვლის მისი საჩივრის მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებას არასწორად ან 15 დღის განმავლობაში საჩივარი არ იქნება განხილული, ავტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

განსახილველ დავაზე სასამართლოში მიმართვისათვის აუცილებელი არ არის საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელთან: ავტორი თვით წყვეტს,

გაასაჩივროს გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში თუ მაშინვე მიწართოს სასარჩელო განცხადებით სასამართლოში (დებულების 154-ე პუნქტი). კანონის მიხედვით ავტორს სასამართლოში შეუძლია მიმართოს იმ შემთხვევაშიც, თუ არ ეთანხმება ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებას.

სასამართლო განიხილავს საქმეებს დავაზე გასამრჩელოს შესახებ იმისგან დამოუკიდებლად, ქმნის გამოყენებული გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება ეკონომიას, თუ გასამრჩელოს ოდენობა განისაზღვრება წინადადების ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულების წესების შესაბამისად, რომლებსაც შეიცავენ მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსები, სასამართლოს გადაწყვეტილება გასამრჩელოს გადახდევინების შესახებ ექვემდებარება იძულებით შესრულებას.

§ 31. რა ვადებში და რა წესით განიხილება გამოგონების ავტორთა საჩივარი, რომელიც ეხება ეკონომიის არასწორ გამოთვლას?

ეკონომიის გამოთვლის ოდენობის სისწორის, დარიცხვის წესისა და გასამრჩელოს გადახდის ვადების დებულების 154-ე პუნქტით საჩივრების განხილვისათვის დადგენილია 15-დღიანი ვადა. ასეთი საჩივრები უნდა განიხილონ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელმა პროფკავშირის კომიტეტთან (ან მისი დავალებით — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საბჭოებთან) ერთობლივად. თუ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების ავტორი არ მიიღებს პასუხს დადგენილ ვადაში, მას შეუძლია შეიტანოს საჩივარი ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელთან ან მიმართოს სასამართლოს.

§ 32. როგორ იქმნება გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის კამერების ფონდი?

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემიების ფონდი მიეკუთვნება მიზნობრივი დანიშნულების სპეციალურ ფონდებს. იგი იქმნება საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, სამინისტროებში და უწყებებში გამომგონებლობაზე და რაციონალიზაციაზე დანახარჯების ხარჯთაღრიცხვების

ფარგლებში. სახსრები პრემირებაზე გამოიყოფა საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში 1,5%-ის ოდენობით ეკონომიდან, რომელიც მიღებულია გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით პირველ წელს, და 35%-ის ოდენობით გასამრჩელოს თანხიდან, რომელიც გადახდილ იქნა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისათვის, რომლებიც არ ქმნიან ეკონომიას: ხოლო სამინისტროებში (უწყებებში)—ეკონომიის თანხის 0,4% ოდენობით, რომელიც მიღებულია დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების პირველ წელს. მითითებული ხარჯები გამომგონებლობაზე და რაციონალიზაციაზე დანახარჯების ხარჯთაღრიცხვას მიეკუთვნება და ანგარიშში მითითებულ ეკონომიიდან გამომდინარე დაერიცხება სტატისტიკურ ორგანოებს და იგზავნება „4-ნტ“-ს ფორმით ნახევარწლიურ ანგარიშთან ერთად. ამასთან სახსრები გასამრჩელოს თანხების 35%-ის ოდენობით, რომელიც გადახდილია გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის, რომლებიც არ ქმნიან ეკონომიას, დაირიცხება პრემირების ფონდში ავტორისათვის გასამრჩელოს დარიცხვასთან ერთად.

სამინისტროებს (უწყებებს) შეუძლიათ ნება დართონ საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებებს შექმნან გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობის პრემირების ფონდი ეკონომიის თანხის 0,4%-მდე ოდენობით, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების პირველ წელს, ამ გაერთიანებებს დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. ამასთან, პრემირების ფონდების საერთო თანხა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის სამინისტროს (უწყების) ხაზით მთლიანად. მათ შორის ფონდები, რომელიც შექმნილია საკავშირო და რესპუბლიკური გაერთიანებების მიერ, არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიის თანხების 0,4%-ს, რომლებიც მიღებულია მოცემული სამინისტროს (უწყების) საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების პირველ წელს.

როგორც აღინიშნა, პრემირების ფონდში სახსრების გადარიცხვა წარმოებს გამოგონების (რაციონალიზატორული წინადადებების) ავტორისათვის გასამრჩელოს დარიცხვასთან ერთდროულად, ამასთან-

ნავე კანონმდებლობა ითვალისწინებს ახალ ტექნიკურ მიღწევათა ავტორების უფლებათა დამატებით გარანტიებს: დადგენილია, რომ პრემიების გაცემა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის წარმოებს ვადებში, რომლებიც დადგენილია საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამრეწველო გაერთიანების, სამინისტროების და უწყების ხელმძღვანელის მიერ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების ხელშესაწყობად პრემიები არ შეიძლება გადახდილ იქნეს ადრე, ვიდრე გამომგონებლისა და რაციონალიზატორის გასამრჩელო.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობის პრემირების ფონდის სახსრები, რომლებიც არ დახარჯულა წინა წელს, რჩება საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამრეწველო გაერთიანების, სამინისტროს, უწყების განკარგულებაში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმავე მიზნებისათვის მომდევნო წლებში. ეს სახსრები არ შეიძლება იქნეს ცენტრალიზებული ან გამორიცხული ზემდგომი ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე არ შეიძლება დაიხარჯოს პრემიების გაცემაზე გამომგონებლობისა და რაციონალიზაციაში დათვალიერებების კონკურსების და შეჯიბრებების შედეგებზე.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობის პრემირების ფონდის სახსრები, რომლებიც წარმოქმნილია სამინისტროებში, უწყებებში, საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებებში, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს ნაწილობრივ ან მთლიანად მათ დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გამოგონებების დამუშავების, გამოვლენის, გაფორმებისა და საავტორო მოწმობის მიღებაზე განაცხადების დაცვის, აგრეთვე გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ხელშეწყობის პრემირებისათვის.

§ 33. რა საშუაომაზა და ვის მიეცემა პრემია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის ხალის შემყოფაზე?

დებულება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობასა და ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების გამოყენებაზე პრემირების წესის შესახებ იძლევა საშუაოთა ამომწურავ ნუსხას, რომლებზედაც გაიცემა პრემია. მათ ეკუთვნის:



გამოგონების დამუშავებაზე გაანგარიშების შესრულება;  
ექსპერიმენტების ჩატარება, რომელნიც გამოავლენენ გამოგონებებად მიჩნეულ, ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს;

ახალ ტექნიკურ გადაწყვეტათა გამოვლენის მიზნით ექსპერიმენტული, საანგარიშო, საინფორმაციო ან სხვა მასალების შერჩევა; გამოგონებლების მიერ მოძებნილი პრინციპული გადაწყვეტის საკონსტრუქტორო ან ტექნოლოგიური დამუშავება;

საპატენტო გამოკვლევების შესრულება, რომლებმაც უზრუნველყვეს განაცხადის ხარისხიანი შესრულება;

დამატებითი საპატენტო გამოკვლევების ჩატარება და წინადადებების სარგებლიანობის დასაბუთება;

გამოგონების ან რაციონალიზატორულ წინადადებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებაში მონაწილეობა;

საცდელი და სხვა სახის ნიმუშების დამზადებისა და გამოცდისას ლაბორატორიული და საწარმო გამოკვლევებში მონაწილეობა;

წინადადების შეტანა გამოყენებული გამოგონებების ან რაციონალიზატორული წინადადებების გაუმჯობესებაზე, რომელიც ჭერ არ არის რეგისტრირებული როგორც დამოუკიდებელი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება;

წინადადების გამოყენებისათვის წარმოების ორგანიზაციაში მონაწილეობა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ვადამდე გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობის სხვა სამუშაოების გამო.

პრემირების წესზე დებულების თანახმად, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობაზე პრემიები მიეცემათ მუშებს, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და ორგანიზაციის, სამრეწველო გაერთიანებების, სამინისტროების და უწყებების სხვა სპეციალისტებს (მათ შორის საპატენტო განყოფილებების, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილების ან ბიუროების მუშაკებს).

წახალისდებიან მხოლოდ ის მუშაკები, რომლებიც პირად მონაწილეობას იღებენ კონკრეტულ გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე ზემოთ აღმინული სამუშაოების შესრულებაში.

ამასთანავე, სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო გა-

ერთიანებისა და სხვა მართვის ორგანოების მუშაკებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშემწყობ სამუშაოებში პირადი მონაწილეობის შემთხვევაში პრემიები ეძლევათ უშუალოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

არ შეიძლება პრემია გაიცეს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშემწყობი სამუშაოს საერთო მაჩვენებლებისათვის.

პრემირება შეუძლია უშუალოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელს გამოგონების (რაციონალიზატორული წინადადების) შექმნის ან გამოყენების ადგილზე, როგორც ორგანიზაციის შტატში მყოფი, ასევე შტატგარეშე პირებისა.

ორგანიზაციების, სამრეწველო გაერთიანებების, სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკების პრემირება ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელის უფლებებშია, შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით. მათ მიეკუთვნება ყველა მუშაკი, რომლებსაც პრემიები, პრემირებაზე მოქმედი დებულების შესაბამისად, ძირითადი მოღვაწეობის შედეგებისათვის უმტკიცდება ზემდგომი ორგანოების მიერ.

მაგალითად, სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარ (უფროს) ბუღალტერზე, 1964 წ. 6 ნოემბრის დებულებით ნაგარაუდევია, რომ საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებების მთავარი (უფროსი) ბუღალტრის პრემირება ხდება ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. ეს ნიშნავს, რომ პრემიაც გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშემწყობისათვის მთავარ (უფროს) ბუღალტერზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ ამ ხელმძღვანელის მიერ.

ზემდგომი ორგანიზაციების მუშაკები გასამრჩელოს იღებენ ამ ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, პრემიები არ შეიძლება გაიცეს დაქვემდებარებული საწარმოების და ორგანიზაციების ხარჯზე, არ შეიძლება პრემირებულ იქნენ დამუშავებისა და გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ხელშემწყობაზე მათი ავტორები.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშემწყობისათვის პრემირება და ამ სამუშაოთა განხორციელებაში პირთა მონაწილეობის წვლილის განსაზღვრა წარმოებს ორგანიზაციის, სამრეწველო გაერთიანების, სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელის მიერ წინადადების დამუშავების (გამოყენების) ადგილის მიხედვით.

§ 34. რა შემთხვევაში ეძლევათ ავტორებს ერთდროული წამახალისებელი წამახალისებელი ჯილდო და რა ვადავები?

გამოგონებათა ავტორებს ერთდროული წამახალისებელი ჯილდო ეძლევათ საავტორო მოწმობის გაცემისას, თუ:

ა) გამოგონება შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით (სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმის მიხედვით, ახალი ტექნიკის და ა. შ. დამუშავების და დანერგვის გეგმის მიხედვით);

ბ) გამოგონება შექმნილია ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე (საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროები, ბრიგადები და ა. შ.).

წამახალისებელი ჯილდო გამოგონებაზე, რომელიც შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, მიეცემა ავტორს (ავტორებს) 3 თვის განმავლობაში საწარმოს (ორგანიზაციის, დაწესებულების) მიერ გამოგონებაზე საავტორო მოწმობის მიღების მომენტიდან (აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე გასამრჯელოს გადახდის წესზე ინსტრუქციის მე-13 და მე-15 პუნქტები).

§ 35. გამოგონებაზე მიღებული ერთდროული წამახალისებელი ჯილდო აქვითება თუ არა ავტორს საგამოგონებლო ჰონორარის (ძირითადი გასამრჯელოს) მიღების დროს?

ძირითადი ფულადი საავტორო გასამრჯელოს გადახდის დროს ავტორებს ექვითებათ გაცემული წამახალისებელი გასამრჯელოს ოდენობა.

§ 36. როგორ განისაზღვრება გასამრჯელოს ოდენობა, რომელიც ავტორის გამოგონების თითოეულ თანაავტორს?

თითოეული თანაავტორის გასამრჯელოს წილი დგინდება მათ შორის შეთანხმების მიხედვით. ჩვეულებრივ დგება წერილობითი შეთანხმება თანაავტორებს შორის, რომელიც წარმოადგენს საფუძველს საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის გასამრჯელოს გასანაწილებლად.

თუ შეთანხმება თანაავტორებს შორის არ არის მიღწეული,

დავა გასამრჯელოს თანხის განაწილებაზე წყდება სასამართლოს მიერ ნებისმიერი თანაავტორის საჩივრის მიხედვით.

§ 37. არის თუ არა დადგენილი პრემიების გაცემის ვადები?

პრემიების გაცემის ვადებს ადგენს ხელმძღვანელი, მოცემული საწარმოსათვის, სამინისტროსათვის, უწყებისათვის კონკრეტულ პირობებთან დამოკიდებულებაში. პრაქტიკულად, ეს პრემიები გაიცემა კვარტალურად, ზოგიერთ საწარმოში 6 თვეში ერთხელ. მიზანშეწონილია პრემიების გაცემა კვარტალში ერთხელ.

გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის ხელშეწყობაზე პრემიის გაცემა არ შეიძლება გამომგონებლის ან რაციონალიზატორის საავტორო გასამრჯელოზე ადრე.

§ 38. ბაიციმა თუ არა გამოყენებული რაციონალიზატორული წინადადების გასამრჯელო. თუ ნაპითობა, რომელშიც გამოყენებულია ეს წინადადება, ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული?

წინადადება გამოყენებულია — ეს ნიშნავს, რომ ავტორს ეკუთვნის გასამრჯელო. გასამრჯელოს გადახდას არ შეიძლება მივუყენოთ სხვა საფუძველი, გარდა გამოყენებისა.

§ 39. როგორ წყდება საკითხი გაცემული გასამრჯელოს დაბრუნების შესახებ?

გასამრჯელოზე ავტორთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გაცემული გასამრჯელოს საფუძვლების შეზღუდვათა დადგენა. ზედმეტი გასამრჯელოს გაცემის ან შემდეგში ძალადაკარგული საფუძვლების მიხედვით გასამრჯელოს გადახდის მიზეზები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი (მაგალითად, დამცველი დოკუმენტის გაუქმება). სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია, რომ არ შეიძლება დაბრუნება; როგორც უსაფუძვლოდ მიღებული საავტორო გასამრჯელოსი, გასამრჯელოსი აღმოჩენისა თუ ისეთი გამოგონებისათვის, რომლისთვისაც საავტო-

რო მოწმობაა გაცემული, აგრეთვე გასამრჩელოსი რაციონალიზატორული წინადადებებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გასამრჩელო გადახდილია ორგანიზაციის მიერ ზედმეტად ან ისეთი საფუძველით, რაც შემდეგში მოისპო, თანაც ნებაყოფლობით და ისე, რომ ანგარიშში შეეღობა არ ყოფილა დაშვებული, მიმღების მხრივ არაკეთილსინდისიერებას ადგილი არ ჰქონია ( საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 487-ე მუხლი).

მაშასადამე, თუ ზედმეტი გადახდა მოხდა არა ანგარიშში შეღდომის შედეგად, არამედ სხვა მიზეზების გამო (მაგალითად, კანონის არასწორი გამოყენების შედეგად), მაშინ გადახდილ გასამრჩელოს არ აბრუნებს.

ავტორის არაკეთილსინდისიერების (მაგალითად, მის მიერ შეგნებულად ყალბი დოკუმენტების წარდგენა) შემთხვევაში, გასამრჩელოს უკან აბრუნებს ავტორი.

მაშასადამე, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 487-ე მუხლში აღნიშნული საფუძველების არარსებობის შემთხვევაში (მათი ნუსხა ამომწურავია), გასამრჩელოს უკან დაბრუნება დაუშვებელია.

#### § 40. როგორ ხდება საქართველოს სსრ დამსახურებული გამოგონებლის ან რაციონალიზატორის წოდების მინიჭება?

საქართველოს სსრ საპატიო წოდებებს ანიჭებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. რესპუბლიკის დამსახურებული გამოგონებლისა და დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ შუამდგომლობას პრეზიდიუმში წარადგენენ სამინისტროები, უწყებები და სახალხო დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსთან ერთად. პირველად შუამდგომლობას კი აღძრავენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საბჭოებთან ერთად გამოგონებლის (რაციონალიზატორის) სამუშაო ადგილის მიხედვით, პენსიონერებისათვის — ბოლო სამუშაო ადგილის მიხედვით.

შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების სათანადო მოწმობათა ასლები,

აგრეთვე ცნობები ამ წინადადებათა წარმოებაში დანერგვისა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის თაობაზე.

რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლის საპატიო წოდება ენიჭებათ გამოგონებათა ავტორებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ტექნიკურ პროგრესში და მათ გამოგონებებს აქვს გარკვეული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, დანერგილია სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში, სოციალურ-კულტურულ მშენებლობასა ან ქვეყნის თავდაცვაში; აგრეთვე გამომგონებლებს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ეწევიან ნაყოფიერ საგამომგონებლო მოღვაწეობას.

რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება ენიჭებათ დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებს, რომლებმაც არსებითი წვლილი შეიტანეს წარმოების სრულყოფაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, პროდუქციის ხარისხის, შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესებაში და ა. შ. აგრეთვე რაციონალიზატორებს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ეწევიან რაციონალიზატორულ მოღვაწეობას.

იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭათ საპატიო წოდება, ეძლევათ ოქროსფერი სამკერდე ნიშანი „დამსახურებული გამომგონებელი“ ან ვერცხლისფერი სამკერდე ნიშანი „დამსახურებული რაციონალიზატორი“. მათ უფლება აქვთ დამატებით საცხოვრებელ ფართობზე მეცნიერ მუშაკთა თანაბრად, ამას გარდა სხვა არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები. რესპუბლიკის დამსახურებულ რაციონალიზატორებს, აგრეთვე დანერგილ გამომგონებათა ავტორებს, უფლება აქვთ უკონკურსოდ ჩაერიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში დადგენილი წესით.

§ 41. როგორი აღნიშვნები კეთდება ავტორების შრომის წიგნაკში აღმოჩენებთან, გამოგონებებთან, რაციონალიზატორულ წინადადებაებთან და სამრეწველო ნიშნებთან დაკავშირებით?

დებულების თანახმად, აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებაებზე, აგრეთვე სამრეწველო ნიშნუშებზე — აღმოჩენების გაცემულ დიპლომებზე, გამოყენებულ გამოგონებებზე, რაციონალიზატორულ წინადადებაებზე და სამრეწველო ნიშნუშებზე, და ამასთან დაკავშირებით გასამრჩელოზეც კეთდება აღნიშვნები ავტორის შრომის წიგნაკში. განსხვავებით საავტორო მოწმობისაგან, რომელშიც გაცემულ გასამრჩელოზე ჩა-

ნაწერების წარმოება უმთავრესად ზედმეტი გასამრჩელოს აცილებინათვის ხდება, ასეთი ჩანაწერები შრომის წიგნაკში მიუთითებს მოცემული ავტორის აღმოჩენების, გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების და სამრეწველო ნიმუშების მნიშვნელობაზე სახელმწიფოსათვის. რამდენადაც შრომის წიგნაკი ინახება საწარმოში (ორგანიზაციაში, დაწესებულებაში), სადაც ავტორი მუშაობს, მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი მუშაობის ადგილის მიხედვით გაკეთდეს კიდევ შესაბამისი ჩანაწერები. მათთვის საფუძველს წარმოადგენს დიპლომი, საავტორო მოწმობა, რამდენადაც ავტორს შეიძლება ჰქონდეს გამოგონებები, გამოყენებული წესების დადგენამდე, რომლის მიხედვით გაცემულ გასამრჩელოზე ჩანაწერი კეთდება საავტორო მოწმობაში, ასეთ საფუძველად გამოდგება სხვა დოკუმენტებიც, გაცემული იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც გასცეს გასამრჩელო.

აღნიშვნები ავტორის შრომის წიგნაკში — დიდი მორალური სტიმულია, და საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელები მოვალენი არიან, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს 1973 წ. 6 სექტემბრის დადგენილებისა „მუშათა და მოსამსახურეთა შრომის წიგნაკების შესახებ“, უზრუნველყონ აუცილებელი ჩანაწერების თავისდროული და სწორი შეტანა.

#### § 42. რა სახის და როგორი უზღავთებით სარგებლობენ გამოგონებლები და რაციონალიზატორები?

სოციალისტური კანონმდებლობა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს აძლევს ფართო პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებებია:

გამოგონებაზე და რაციონალიზატორულ წინადადებაზე ავტორობის და თანავტორობის უფლება — გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მნიშვნელოვანი უფლებაა. კონკრეტული პირის მიერ განსაზღვრული გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების შექმნის ფაქტი იღებს საზოგადოებრივ აღიარებას. პირს, რომელმაც შემოქმედებითი შრომით შექმნა გამოგონება ან შეიტანა რაციონალიზატორული წინადადება, არა-

ვითარ პირობებში არ შეიძლება ჩამოერთვას ავტორობის უფლება. თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა გამოგონება შექმნილია სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებში მუშაობასთან დაკავშირებით და მან მიიღო მისი დამუშავებისათვის ფულადი ან მატერიალური დახმარება, გამომგონებელს არ ჩამოერთმევა ავტორობის უფლება. თუ ავტორობის უფლება გამოგონებაზე ან რაციონალიზატორულ წინადადებაზე არ არის გაფორმებული დადგენილი წესით, თანახმად კანონმდებლობისა, მის შემქმნელს არა აქვს სხვა უფლებებიც. ავტორობის უფლებრივი დაცვის დადგენისათვის საკმარისი არ არის გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების შექმნის ფაქტი, ისინი უნდა იყოს მიჩნეული ასეთებად დადგენილი წესით.

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორად მიჩნევა მხოლოდ ის პირი, რომლის შემოქმედებითი შრომითაცაა იგი შექმნილი.

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ერთობლივი შემოქმედებითი შრომით შექმნის შემთხვევაში წარმოიშობა თანაავტორობა.

ცალკეულ შემთხვევებში კანონმდებლობაში დაშვებულია გამოგონებაზე თანაავტორობის წარმოქმნის არა ერთობლივი შრომის არსებობის შემთხვევები. მაგალითად, დებულების 51-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის პრიორიტეტის თარიღები ემთხვევა, ყველა ავტორი, მოხსენებული განაცხადებში, განიხილება, როგორც თანაავტორი.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის ავტორობის დაცვის მოცულობა ერთნაირი არ არის. სსრ კავშირში არავინ არ შეიძლება ჩაითვალოს გამოგონების ავტორად, რომელზეც გაცემულია საავტორო მოწმობა (პატენტი), გარდა პირებისა, რომლებიც აღნიშნულია მათში ავტორების სახით. რაციონალიზატორულ წინადადებაზე ასეთი ფართო დაცვა არ ვრცელდება: ერთნაირი წინადადების ავტორებად შეიძლება ერთდროულად ჩაითვალოს პირები, რომლებმაც შექმნეს ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და შეიტანეს სხვადასხვა ორგანიზაციაში.

უფლება სახელზე — გამოგონების ავტორს შეუძლია მოითხოვოს — მიენიჭოს გამოგონებას თავისი სახელი ან სპეციალური დასახელება

მოთხოვნა სახელის ან სპეციალური დასახელების მინიჭებაზე



განიხილება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ ადმინისტრაციული წესით.

ავტორებს იმ გამოგონებებზე, რომლებზეც მოთხოვნილია პატენტი, აგრეთვე რაციონალიზატორებს არა აქვთ მინიჭებული უფლება მისცენ თავის წინადადებებს საავტორო სახელი ან სპეციალური დასახელება. თანაავტორობისას ეს საკითხი შეიძლება იყოს გადაწყვეტილი დადებითად მხოლოდ ყველა თანაავტორის თანხმობით. თუ არ არის თუნდაც ერთ-ერთი მათგანის თანხმობა, ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხვია.

მოთხოვნა სახელის ან სპეციალური დასახელების მინიჭებაზე შეიძლება იყოს განცხადებული ავტორის მიერ განაცხადის შეტანასთან ერთდროულად ან მისი შეტანის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა საავტორო მოწმობის გაცემის დღიდან. ზოგიერთ შემთხვევაში, როცა ამდაგვარი განცხადება გაკეთებულია გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეუძლია დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა და გამოაქვს დამატებითი დადგენილება. ავტორის (ავტორთა) სახელის მინიჭებაზე ან თხოვნაზე უარის შესახებ დამატებითი გადაწყვეტილება ეგზავნება განმცხადებელს.

ავტორის (ავტორთა) ან კიდევ სპეციალური დასახელების მინიჭებული სახელი აღინიშნება საავტორო მოწმობაში, აგრეთვე მოცემულ გამოგონებაზე ტექნიკურ დოკუმენტაციაში, ნაკეთობებზე ან მათ შეფუთვაზე.

უფლება გამოგონებლებისა და რაციონალიზატორებისა დახმარების მიღებაზე მათს მოღვაწეობაში — გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციები ყოველმხრივ ეხმარებიან. ამ დახმარების ფორმები სხვადასხვაა.

უფლება გამოგონებაზე განაცხადისა და რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადების შეტანისა — ეს უფლება ეკუთვნის ავტორს (ავტორებს) იმ გამოგონებებზე გარდა, რომლებიც შეიქმნა სამსახურებრივ დაეალებასთან დაკავშირებით, რომლებზეც განაცხადები შეაქვთ ორგანიზაციებს.

ავტორს აქვს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს საკითხი, შეიტანოს განაცხადი ნაწარაუდევ გამოგონებაზე ან განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, ან არ შეიტანოს.

უფლება ნაწარაუდევი გამოგონების პრიორიტეტზე და

რაციონალიზატორული წინადადებების პირველობაზე — არსებობს ავტორის უფლება იმაზე, რომ მათ მიერ შეტანილი განაცხადი ნა-ვარაუდევ გამოგონებაზე ან განცხადება რაციონალიზატორულ წინა-დადებებზე მიჩნეულ იქნეს პირველობის მქონედ სხვა მოგვიანებით განცხადებულ წინადადებასთან დაკავშირებით.

კანონმდებლობა პრიორიტეტის დადგენას უკავშირებს არა წი-ნადადების შექმნის მომენტს, არამედ შესაბამისი წესით მისი წარ-დგენის ფაქტს. ამიტომ ადრე შექმნილი წინადადება, მაგრამ სხვაზე გვიან განცხადებული არ ფლობს პრიორიტეტს უკანასკნელებთან შედარებით.

პრიორიტეტის უფლება დასტურდება წინადადების განსახილ-ველად მიღებაზე ცნობით, რომელშიც აღინიშნება ავტორის (ავ-ტორთა) ან განმცხადებლის, თუ ის წარმოადგენს ავტორს (გვარი, სახელი, მამის სახელი), განაცხადის ნომერი და შეტანის თარიღი, ნავარაუდევი გამოგონების დასახელება. გამოგონების პრიორიტეტი დგინდება განაცხადის შეტანის დღიდან გამოგონებებისა და აღმოჩე-ნების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ან ზოგიერთ შემთხვევაში სამინისტროში და უწყებაში, რომლებსაც დადგენილი წესით მიცე-მული აქვთ უფლება მიიღონ და განიხილონ განაცხადები საიდუმლო გამოგონებებზე.

რაციონალიზატორულ წინადადებებზე პირველობა განისაზ-ღვრება ორგანიზაციაში მისი შეტანის თარიღით. წინადადებებზე, რომლებიც შეტანილია სამინისტროში, უწყებაში, პირველობა განი-საზღვრება მათი შეტანის თარიღით აღნიშნულ ორგანოებში. რა-საკვირველია, თუ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რამდენიმე პირის მიერ შექმნილია რაციონალიზატორული წინადადება და შეტანილია სხვადასხვა ორგანიზაციაში, შესაძლებელია დადგინდეს რამდენიმე პრიორიტეტი და გაცემულ იქნეს თითოეულზე დამო-უკიდებელი მოწმობა.

უფლება მასალების გაცნობაზე, რომელთა საფუძველზეც განა-ცხადის მიხედვით გამოტანილია გადაწყვეტილება—განმცხადებელს აქვს უფლება ეცნობოდეს მასალებს, რომელთა საფუძველზეც მისი განაცხადის მიხედვით გამოტანილია გადაწყვეტილება და გაკეთებ-ულია გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერ-ტიზის დასკვნა, და აგრეთვე სამი თვის ვადაში გადაწყვეტის მიღების დღიდან მოითხოვს განაცხადის დაპირისპირებული მასალების ასლების გამოგზავნა (გარდა საიდუმლო და ისეთი მასალებისა, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას). მხოლოდ საავტორო

მოწმობის გაცემაზე განაცხადის დაპირისპირებული საპატენტო მასალების ასლები იგზავნება უფასოდ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში სხვა დაპირისპირებული მასალების ასლები, ხოლო გამოგონებაზე პატენტის მთხოვნელ განმცხადებელს ასლები და საპატენტო მასალები ეგზავნება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით.

გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მონაწილეობა მათი წინადადებების გამოყენებაში — გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ თავიანთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოსაყენებლად მომზადებაში. აღნიშნულ სამუშაოებში მონაწილეობის უფლება და პირობები დათქმულია როგორც სამოქალაქო კანონმდებლობით, ასევე დებულებით.

უფლება შრომის წიგნაკში ჩაწერაზე — გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების შესახებ და მათზე გაცემულ გასამრჩელოზე წარმოებს ჩაწერა ავტორის შრომის წიგნაკში. არ შეიძლება გაკეთდეს ერთი ჩანაწერი რამდენიმე წინადადებაზე წინადადების ოდენობისა და გადახდილი გასამრჩელოს საერთო ჯამის აღნიშვნით. თითოეული დანერგილი წინადადება ჩაიწერება ცალკე.

უფლება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა შემოქმედებით მივლინებებზე — გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოსამსახურეებისათვის და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის ეწყობა შემოქმედებითი მივლინებები მოწინავე საწარმოებში, დაწესებულებებში, თემატურ გამოფენებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე და სხვა ღონისძიებებზე. გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორები სხვა თანაბარი პირობებისას სარგებლობენ უპირატესობით სპეციალისტების გაგზავნისას შემოქმედებით მივლინებებში მოწინავე გამოცდილების შესასწავლად.

უფლება უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ მიღებაზე — წარმოებაში გამოყენებული გამოგონებების ავტორებს და აგრეთვე პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება, უფლება აქვთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უკონკურსოდ მიღებაზე.

რამდენადაც გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს შორის ახალგაზრდობა ბევრია, ეს წესი ძალიან სასარგებლოა. ახალგაზრდა ადამიანი, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული უპირატე-

ზობა. მიღებული იქნება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში კონკურსის გარეშე.

შელავათები სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა და სამეცნიერო წოდების მიკუთვნების საკითხში აღმოჩენებისა და გამოგონებების ავტორებისათვის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 14 მაისის დადგენილებით ძალადაკარგულია აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ დებულების 139-ე პუნქტი, რომლითაც აღმოჩენებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოგონებების ან ადრე გამოქვეყნებული ერთობლივი ნაშრომების ავტორებისათვის შესაძლებელი იყო სამეცნიერო ხარისხის მინიჭება ან სამეცნიერო წოდების მიკუთვნება დისერტაციის დაცვის გარეშე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი წესი—დებულება სამეცნიერო კადრების მომზადებისა და ატესტაციის შესახებ<sup>14</sup>, სამეცნიერო ხარისხის მინიჭების და სამეცნიერო წოდების მიკუთვნების პირობებისა და მოთხოვნების უფრო ზუსტ რეგლამენტირებას აწესებს აღმოჩენებისა და გამოგონებების და აგრეთვე სხვა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისათვის (ახალი მანქანების, მართვის სისტემების, ხელსაწყოების, ნაგებობებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნის სამუშაოების დამთავრებისათვის), რომლებიც ახალი ტექნიკის ობიექტებად ითვლება.

ახალი წესის მიხედვით, სამეცნიერო ხარისხის მიღების ერთადერთი გზაა შესაბამისი დისერტაციის საჯარო დაცვა, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ხელნაწერის ან გამოქვეყნებული მონოგრაფიის სახით. დისერტაციისაგან განსხვავებით, მისი მოცულობა განსაზღვრული არ არის და ხარისხის მაძიებლის მიერ, როგორც სამეცნიერო მოხსენება, ადრე ჩატარებული გამოკვლევების შედეგების განზოგადებული გადმოცემა უნდა იყოს.

რაც შეეხება დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის აღმოჩენებსა და გამოგონებებს, ამასთან სამუშაოებს ახალი მანქანებისა და ხელსაწყოების, ნაგებობებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნაზე, რომლებიც დაინერგა წარმოებაში, ყველა ეს მიღწევები შეიძლება იქნეს წარმოდგენილი საჯარო დაცვისათვის, როგორც დისერტაციის საფუძველი, მათ შორის სამეცნიერო მოხსენ-

---

<sup>14</sup>. დებულება სამეცნიერო წოდებების მინიჭების შესახებ დამტკიცებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით.

ნების სახით, თუ ისინი თავისი მნიშვნელობით აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებული აქვთ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა ყველა ზემოთ აღნიშნული პირადი არაქონებრივი უფლება შესაბამისად გადმოცემულია აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე დებულების მე-3, 136-ე, 87-ე, 51-ე, 74-ე, 58-ე, 127-ე, 128-ე, 129-ე, 130-ე, 131-ე, 132-ე, 133-ე, 134-ე, 135-ე, 140-ე, 138-ე პუნქტებში.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა ქონებრივი უფლებებია:

უფლება გასამრჩელოზე — გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორების მნიშვნელოვანი ქონებრივი უფლებაა, რომელიც დაწვრილებით განხილულია აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე დებულების VIII განყოფილებაში.

უფლება საავტორო მოწმობის და მოწმობის უფასო მიღებაზე — პირებმა, რომლებმაც შეიტანეს განაცხადები და განცხადებები თავის გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე, არავითარ ხარჯებს არ სწევენ. საავტორო მოწმობისა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე მოწმობის გაცემაზე ბაჟს არ იხდიან.

მათ განხილვაზე, ექსპერტიზაზე და შემოწმებაზე ყველა ხარჯს სახელმწიფო თავის თავზე იღებს.

უფლება ადრინდელი ნორმებისა და ფასების შენარჩუნებაზე — ამ უფლებას აქვს დიდი მნიშვნელობა. იგი გარანტიას იძლევა გამოგონებისა ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებასთან დაკავშირებით ახალი ნორმებისა და ფასების შემოღებისას ავტორთა, აგრეთვე იმ პირთა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის მომზადებაში, შრომისათვის გასამრჩელოს გადახდას მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. უმეტესი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად მუშებზე და მოსამსახურეებზე — გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებისათვის, რომლებიც ცვლიან ტექნიკურ ნორმებს და ფასებს, უწინდელი ფასები შენარჩუნებულია 6 თვის განმავლობაში ახალი ნორმების და ფასების შემოღების დროიდან. სხვა მუშაკებზე, რომლებ-

მაც აღმოუჩინეს დახმარება წინადადების დანერგვაში, ისინი შენარჩუნებულია 3 თვის განმავლობაში.

აღრინდელი ფასები შენარჩუნებულია იმ შემთხვევებშიც, როცა გამომგონებელი და რაციონალიზატორი არ ასრულებდა სამუშაოს, რომლებზეც ნორმები და ფასები შეცვლილია მისი წინადადების შეტანასთან დაკავშირებით, და გადაყვანილია ამ სამუშაოზე გამოგონების დანერგვის შემდეგ.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა უფლება ტექნიკური დოკუმენტაციის ან მოდელის დამუშავების ხარჯების ანაზღაურებაზე — ავტორს, რომელმაც იმ ორგანიზაციის თხოვნით, სადაც გამოიყენება მისი გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება, წარადგინა ტექნიკური დოკუმენტაცია ან მოდელი, საავტორო გასამრჩელოს გადახდისაგან დამოუკიდებლად, უფლება აქვს მისი შრომის და ტექნიკური დოკუმენტაციის ან მოდელის დამზადების ხარჯების ანაზღაურებაზე.

უფლება დამატებით საცხოვრებელ ფართზე — გამოგონებლებსა და რაციონალიზატორებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლის ან რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება, აგრეთვე დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს, უფლება აქვთ დამატებით საცხოვრებელ ფართზე, მეცნიერ მუშაკთა თანაბრად.

უფლება საშემოსავლო გადასახადის შეღავათზე — გამოგონებისათვის და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელო, რომელიც არ აღემატება 1000 მანეთს, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადზე ბეგარისაგან. თუ გასამრჩელოს ჯამი აჭარბებს 1000 მანეთს, საშემოსავლო გადასახადი გადახდება ცალკე თითოეულ გამოგონებაზე და რაციონალიზატორულ წინადადებაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ 1000 მანეთის თანხის ზღვარი დგინდება გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების არა თითოეული თანავტორისათვის, არამედ ცალკეული წინადადების მიხედვით. მაგალითად, თუ გაცემული გასამრჩელოს ოდენობა ოთხი თანავტორიდან თითოეულზე შეადგენს 800 მანეთს, ხოლო მთლიანად წინადადებაზე — 3200 მანეთს, მაშინ საერთო თანხიდან თავისუფლდება ბეგარის გადახდისაგან, მხოლოდ 1000 მანეთი. ამიტომ დაუბეგრავი გასამრჩელოს თითოეული თანავტორისათვის შეადგენს არა ყველა 800 მანეთი, რომელიც მას ერგება, არამედ მხოლოდ 250 მანეთი. დანარჩენი თანხიდან საშემოსავლო ბეგარა დაეკავება.

თუ გასამრჩელოს საერთო თანხა რამდენიმე წინადადებისათვის აქარბებს 1000 მანეთს, მაგრამ თითოეულ მათგანზე გადასახდელად ერგება ავტორს 1000 მანეთზე ნაკლები, საშემოსავლო ბეგარას ავტორი არ იხდის. იმ შემთხვევაში, როცა გასამრჩელო გადაეხდება სამუშაო ადგილზე და ექვემდებარება საშემოსავლო ბეგარის შეწერას, უკანასკნელი იანგარიშება ავტორის ხელფასის თანხის ბეგარის ანგარიშისაგან ცალკე.

**უფლება სასამართლო ხარჯების შეღავათზე** — სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლოს წარმოების საფუძვლების 23-ე მუხლის შესაბამისად გამომგონებლები და რაციონალიზატორები თავისუფლდებიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან საჩივრებზე, რომლებიც გამომდინარეობენ გამოგონებაზე და რაციონალიზატორულ წინადადებაზე სამართალიდან. ეს შეღავათი ნიშნავს, რომ საჩივრებზე, რომლებიც დაკავშირებულია გამოგონებასა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე გასამრჩელოს ოდენობის განსაზღვრასთან, დარიცხვის და გადახდის ვადასთან, თანაავტორებს შორის გასამრჩელოს განაწილებასთან, ავტორობასთან და თანაავტორობასთან, რაციონალიზატორული წინადადებების პირველობასთან და სხვა საჩივარზე გამომგონებლები და რაციონალიზატორები არ გაიღებენ ხარჯებს.

გამომგონებლებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა აღნიშნული ქონებრივი უფლებები შესაბამისად გადმოცემულია დებულების 108-ე, მე-9, 134-ე, 133-ე, 141-ე, 126-ე პუნქტებში.

§ 43. ეძლევათ თუ არა გამოგონების ავტორებს საავტორო მოწოდების გარდა სამკარფო ნიშანი და რა პირობებია საპირო ამისათვის?

სამკერდე ნიშანი „სსრ კავშირის გამომგონებელი“, ეძლევა ყველა საავტორო მოწოდების მფლობელს დაწყებული № 406499-დან (ჩათვლით), იმ პირობით, რომ გამოგონება გამოიყენება სახალხო მეურნეობაში.

§ 44. ვალდებულია თუ არა საწარმო, რომელიც იყენებს გამოგონებას, შეაბუღონოს ავტორს ამ ფაქტზე და მისი კუთვნილი გასამრჩელოს თანხა?

დებულების 97-ე პუნქტის თანახმად, საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება თვითონაა ვალდებული შეატყობინოს ავტორს ერთი

ოვის ვადაში გამოყენების დაწყების დღიდან მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების დაწყებაზე. თუ საწარმოს არა აქვს ცნობები გამოგონების ავტორის საცხოვრებელ ადგილზე, მაშინ ასეთ ცნობებს სთხოვს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც მოვალეა ერთი თვის ვადაში შეატყობინოს ეს საწარმოს, ორგანიზაციას. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში გაგზავნილ მოთხოვნაში აუცილებელია აღინიშნოს საავტორო მოწმობის ნომერი და ავტორის გვარი.

§ 45. კონაუტსუჲ წარღბენილი ხელსაწყო, რომელჴაც არ არის გაცემული საავტორო მოწმობა, აღიარებულა საუბათესოდ და გადაეცა საწარმოს მასობრივი დამზადებისათვის. აჴვის თუ არა უფლება ხელსაწვოს ავტორს მიიღოს გასამრჯელო?

უფლება მიღებული ეკონომიიდან გასამრჯელოზე აჴვთ მხოლოდ გამოყენებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს, რომელთა წინადადებაზეც გაცემულია საავტორო მოწმობა ან მოწმობა. რამდენადაც ხელსაწყო არ წარმოადგენს გამოგონებას, არ არის გაფორმებული როგორც რაციონალიზატორული წინადადება, საავტორო გასამრჯელოს მიღების უფლება მას არა აქვს. რაც შეეხება საკონკურსო პრემიას — ხელსაწვოს ავტორმა მიზანშეწონილია მიმართოს საკონკურსო ეიურის.

§ 46. საავტორო გასამრჯელოს რა ოდენობაჴაა დაღბენილი საშემოსავლო ბიზარის გადახდა?

ღებულების 126-ე პუნქტის შესაბამისად გასამრჯელო აღმოჩენისათვის, გამოგონებებისა ან რაციონალიზატორული წინადადებისათვის, თუ არ აღემატება 1000 მანეთს, თავისუფლდება საშემოსავლო ბეგარისაგან. იმ შემთხვევაში, თუ გასამრჯელო 1000 მანეთზე მეტია, ბეგარა გადაიხდება გასამრჯელოს მთლიანი თანხიდან 1000 მანეთის გამოკლებით.



§ 47. შეუძლია თუ არა ავტორს გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტების შესახებ საკითხი თვითონ აღძრას და რომელი ორგანიზაცია იღებს გზავნილობას ამასთან დაკავშირებით?

საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტების წესზე მითითებების (ზპ-5-74“) მე-15 პუნქტის შესაბამისად ცალკეულ საბჭოთა მოქალაქეს შეუძლია სამინისტროს (უწყების) წინაშე, სადაც შექმნილია გამოგონებები ან რომელთა მოღვაწეობასაც მიეკუთვნება ეს გამოგონებები, აღძრას შეამდგომლობა თავისი გამოგონებების დაპატენტებაზე.

§ 48. რა როლს ითამაშებს სასამართლო იღებს ავტორი იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოგონება დაპატენტებულია საზღვარგარეთ?

თვით გამოგონების დაპატენტების ფაქტი საზღვარგარეთ არ იძლევა საფუძველს გასამრჯელოს გადახდისათვის „პატენტზე“. ასეთ საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ საპატენტო ლიცენზიის გაყიდვა დაპატენტებულ გამოგონებაზე. საბჭოთა გამოგონებებზე საზღვარგარეთ ლიცენზიის გაყიდვისაგან გასამრჯელო განისაზღვრება გაყიდული ლიცენზიიდან მიღებული თანხის 3 პროცენტამდე ოდენობით და ანაზღაურდება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ (დებულების 112-ე პუნქტი).

§ 49. თუ ავტორი თვლის, რომ მისი რაციონალიზატორული წინადადება უსამართლოდ უარყვამს, ხოლო ზუსტად ასეთივე, მოგვიანებით შეტანილი დანერგვის, აქვს თუ არა უფლება ავტორს მიმართოს სასამართლოს?

აღნიშნულ შემთხვევაში კონფლიქტის გადაწყვეტა ავტორმა ჯერ უნდა სცადოს თავის სამუშაო ადგილზე, შეიტანოს საჩივარი ხელმძღვანელთან. დავა ავტორობაზე, ე. ი. რაციონალიზატორული წინადადების პირველობაზე, განიხილება საწარმოს ხელმძღვანელის მიერ საჩივრის შემოტანის დღიდან 15 დღის განმავლობაში (დებულების 153-ე პუნქტი). დავის განხილვა ხდება პროფკავშირულ კომიტეტთან (ან მისი დავალებით გამომგონებელთა და რაციონალიზა-

ტორთა საკავშირო საზოგადოების საბჭოსთან) ერთობლივად, ამასთან მოდავე მხარეებს იწვევენ საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის. თუ დავა პირველობაზე არ გადაწყდა ე. ი. ერთ-ერთი მხარე მიღებული გადაწყვეტილების თანახმა არ არის, მიმართავენ საჩივრით სასამართლოში.

§ 50. რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც გამოიყენება, შეტანილია განაცხადი გამოგონებაზე გამოგონებებისა და აღმოჩენების სამხეთა სახელმწიფო კომიტეტში. მიღებულია გადაწყვეტილება სავტორო მონომის გაცემაზე. ამჟამ თუ არა ავტორს უფლება გასამრჯელოს მიღებაზე?

უფლება აქვს. თუ წინადადება მიჩნეული იყო რაციონალიზატორულად, მასზე სავტორო მოწმობის გაცემის შემდეგ ხდება გადაანგარიშება ე.ი. გამოიანგარიშება გასამრჯელო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენებისათვის, და გამოექვითება ავტორს რაციონალიზატორული წინადადებებისათვის მიცემული გასამრჯელო.

§ 51. განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე ორგანიზაციაში გაატარეს რეგისტრაციაში, მაგრამ არ გამოუყენებიათ. მოგვიანებით სხვა მუშაკმა იმავე ორგანიზაციაში გააფორმა ზუსტად იმათივე წინადადება, რომელიც დაინერგა. ვინ ჩაითვლება ავტორად, ვის მიეცემა გასამრჯელო?

ავტორობა, ანუ, როგორც დებულებაშია ნათქვამი. პირველობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე განისაზღვრება მისი შეტანის თარიღით საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, ხოლო წინადადებებზე, რომლებიც შეიტანეს სამინისტროში ან უწყებაში — აღნიშნულ ორგანოებში წინადადების შეტანის თარიღით. ავტორობაზე დავის გადაწყვეტის დროს ზუსტად უნდა დავიცვათ დებულების 74-ე პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ პირველობა ენიჭება ავტორს, რომელმაც პირველმა შეიტანა დადგენილი წესით წინადადება, იმ შემთხვევაშიც, თუ წინადადება თავდაპირველად უსაფუძვლოდ უარყვეს და ეს უარყოფა არ იყო გასაჩივრებელი ავტორის მიერ.

§ 52. ავტორს რაციონალიზატორული წინადადების საფუძვალზე ნახაზებზე მოუვიდა წერილი — მოთხოვნა, შეუძლია თუ არა გაუზიაროს ნახაზები ღამათს ფასდებით?

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია წინასწარ წერილობით დაშვებულ საწარმოებს შეუთანხმდეს ღირებულება ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადების სამუშაოებზე. უფრო სასურველია ამ საწარმოებთან დადოს ავტორმა შრომითი ხელშეკრულება დაკვეთის შესრულებაზე.

§ 53. რა ასაკიდან უძილება იხოს მიჩნეული პიროვნება აღმოჩენის, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორად?

საბჭოთა მოქალაქეებს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-9 მუხლის თანახმად სხვა უფლებების შესაძლებლობათა შორის აქვთ უფლება მიჩნეულ იქნენ აღმოჩენის, გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადების ავტორებად. ავითარებენ რა ამ დებულებას, რესპუბლიკური კანონმდებლობა — მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსები — საერთო წესების სახით ანიჭებენ არასრულწლოვან პირებს (15-დან 18 წლამდე) შესაძლებლობას განახორციელონ თავიანთი საავტორო და საგამომგონებლო უფლებები.

## თ ა ვ ი VII

### სამრეწველო ნიმუში და სასაქონლო ნიშანი

§ 1. რა არის სამრეწველო ნიმუში?

სამრეწველო ნიმუშად ითვლება ახალი, სამრეწველო ხერხით გამოსაყენებლად ვარგისი სამრეწველო ნაკეთობის გარე სახის მხატვრული გადაწყვეტა, რომელშიც მიღწეულია მისი ტექნიკურ და ესთეტიკურ თვისებათა ერთიანობა.

როგორც განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, სამრეწველო ნიმუშის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს ნაკეთობის მხატვრულ გადაწყვეტას. ინსტრუქციაში სამრეწველო ნი-

მუშზე განაცხადის შევსების შესახებ „გადაწყვეტის“ ქვეშ იგულისხმება მისი გარე სახე, სამრეწველო ნაკეთობის ფორმა და არა თვით ნაკეთობა. ამასთან კონსტრუქციის ელემენტები, ნაკეთობის შიდა სახე არ მოექცევა „სამრეწველო ნიმუშის“ ცნების ქვეშ. მაგალითად, ტელევიზორის გარე სახე შედის ამ ცნებაში, ხოლო დეტალების განლაგება მის შიგნით — არა. ტელევიზორის ორიგინალური ელექტრული სქემა მიეკუთვნება გამოგონებათა კატეგორიას, ხოლო ცნება „მაცივრის გარე სახე“ შეიცავს აგრეთვე მაცივრის სახეს გაღებული კარით. სამრეწველო ნიმუშის სახით შეიძლება იყოს რეგისტრირებულ ორიგინალური გარე სახე ისეთი ნაკეთობებისა, როგორცაა ჩარხები, საათები, ელექტროსაპარსები, შანდლები და ა.შ.

## § 2. როგორ ფორმდება უფლება სამრეწველო ნიმუშზე?

საბჭოთა კანონმდებლობით სამრეწველო ნიმუშის ავტორს მიცემული აქვს უფლება მოითხოვოს თავისი სურვილით როგორც ავტორობა, ასევე განსაკუთრებული უფლება სამრეწველო ნიმუშზე. შესაბამისად ავტორისთვის სამრეწველო ნიმუშზე შეიძლება იყოს გაცემული ან მოწმობა, ან პატენტი. ავტორს ეძლევა მხოლოდ მოწმობა, თუ სამრეწველო ნიმუში შექმნილია მის მიერ სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს (მაგალითად, შტატიანი მხატვარ-კონსტრუქტორი აფორმებდა დასაპროექტებელ ჩარხს).

საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში და სხვა ორგანიზაციებში მომუშავე ავტორებს, როგორც წესი, შეაქვთ განაცხადი მოწმობის გაცემაზე საწარმოების (ორგანიზაციების) საშუალებით, რომელშიც ისინი მუშაობენ. ეს საწარმოები (ორგანიზაციები) აღმოუჩენენ ავტორებს დახმარებას განაცხადების გაფორმებაში და ერთი თვის ვადაში აგზავნიან განაცხადებს მოწმობის გაცემაზე გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში დასკვნით სამრეწველო დამზადებისთვის ვარგისიანობის შესახებ. ავტორებს, რომლებიც არ მუშაობენ, შეაქვთ განაცხადი მოწმობის გაცემაზე გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საშუალებით, რომელიც აღმოუჩენს საჭირო დახმარებას განაცხადის გაფორმებაში და ერთი თვის ვადაში აგზავნის მასალებს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში.

თუ სამრეწველო ნიმუში შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს, საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი მოვალეა გააფორმოს განაცხადი საწარმოს (ორგანიზაციის) სახელზე სამრეწველო ნიმუშის ავტორის ჩვენებით. ამ შემთხვევაში ცნობაში, რომელიც ადასტურებს განაცხადის განსახილველად მიღებას, უნდა იყოს ნაჩვენები საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება, რომლის სახელითაც შეტანილია განაცხადი.

თითოეულ ნიმუშზე შეიტანება ერთი განაცხადი. თუ განმცხადებელი თვლის მიზანშეწონილად რეგისტრაციაში გაატაროს სამრეწველო ნიმუში საზღვარგარეთ, მაშინ განაცხადს აუცილებელია დაურთოს რეკომენდაცია ქვეყნების მითითებით, სადაც საჭიროა მისი დაპატენტება. წარდგენილი აღწერილობა უნდა განსაზღვრავდეს ნაკეთობის გარე სახის დამახასიათებელ თავისებურებებს.

გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ვალდებულია ექვსი თვის განმავლობაში გააგზავნოს გადაწყვეტილება სამრეწველო ნიმუშზე მოწმობის ან პატენტის გაცემის, ან უარის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ავტორი არ არის თანახმა გამოტანილი გადაწყვეტილებისა, მას შეუძლია ერთი თვის ვადაში გააგზავნოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მოტივირებული შეპასუხება, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ორი თვის განმავლობაში.

გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ, საბოლოოა.

ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს შეუძლიათ სადავო გახადონ სამრეწველო ნიმუშის სიახლე, რომელზედაც გაცემულია მოწმობა ან პატენტი. დავა სიახლის შესახებ წყდება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ, რომელსაც შეუძლია აუცილებლობის შემთხვევაში დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა.

პატენტის მიღებაზე განაცხადების განხილვის წესი სამრეწველო ნიმუშზე მთლიანად ემთხვევა განაცხადების განხილვის წესს მოწმობის მიღებაზე. მაგრამ არის განსხვავებაც: განაცხადებზე პატენტის გაცემაზე გათვალისწინებულია ბაჟის გადახდა. თანა-

ზმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წ. 3 ივნისის № 416 დადგენილებისა, დადგენილია შემდეგი ბაუები:

- ერთდროული საგანაცხადო 55 მანეთია ოდენობით;
- საპატენტო ბაუი 20 მანეთის ოდენობით პატენტის გაცემაზე უარის შემთხვევაში შეპასუხების შეტანის დროს;
- პატენტის გასაცემად სამრეწველო ნიმუშზე დაწესებულია ბაუი 45 მან-ის ოდენობით.

**§ 3. რა მოთხოვნებია წაუენახული სამრეწველო ნიმუშების მიმართ, და რა სიახლე მოითხოვება მათ?**

იმისათვის, რომ ნაკეთობის გარე სახე იყოს რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის სახით, მას უნდა ჰქონდეს რიგი ნიშან-თვისებები: სიახლე, სამრეწველო ხერხით განხორციელებისათვის ვარგისობა, მხატვრული ღირსებები და ტექნიკურ და ესთეტიკურ თვისებათა ერთიანობა.

საბჭოთა კანონმდებლობა მოითხოვს განცხადებული ნიმუშისაგან ლოკალურ სიახლესა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში. თუ ნიმუში საზღვარგარეთ არის ცნობილი, იგი არ აბათილებს მის სიახლეს.

**§ 4. როგორ ტარდება განაცხადების ექსპერტიზა სამრეწველო ნიმუშებზე?**

სამრეწველო ნიმუშებზე დებულების მიღების პირველ წლებში მთავარ ექსპერტს წარმოადგენდა ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ის ავლენდა ნაკეთობის გაფორმების სიახლეს, ღირსებებს და სამრეწველო გზით განხორციელების შესაძლებლობას. ინსტიტუტის დასკვნა ეგზავნებოდა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც განიხილავდა მას და მიიღებდა გადაწყვეტილებას.

1969 წლიდან მთელი სამუშაო განაცხადების მასალების მიხედვით ტარდება სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტების მიერ—შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ (მიღებული განაცხადის რეგისტრაციის შემდეგ). ექსპერტების მიერ საგანაცხადო მასა-

ლების გამოკვლევის პროცეაი წარმოებს განსაზღვრული მიმდევრობით, შეიცავს რამდენიმე სტადიას. უპირველესად სამრეწველო ნიშნულების მიღებულ განაცხადებზე ტარდება წინასწარი ექსპერტიზა.

ჯერ შეისწავლება განაცხადის მასალები: ობიექტის ფოტოები, მისი აღწერა, განაცხადში წარმოდგენილი სხვა დოკუმენტები. ასეთი ექსპერტიზა აუცილებელია, რათა გამოვლინდეს—ხოვ არ აკლია საგანაცხადო მასალებს დოკუმენტები, ან ხომ არ არის განაცხადი გაფორმებული არასწორად. ექსპერტიზის ამ სტადიაზე გადაირჩევა ისეთი წინადადებები, რომლებიც გარეგანი ნიშან-თვისებებით არ შეიძლება მივსაჯუთვნოთ ნაკეთობებს, რომლებიც შეიძლება დაცულ იქნეს კანონით.

წინასწარი ექსპერტიზის სტადიაზე ზდება ისეთ ობიექტებზე განაცხადების უარყოფაც, რომლებმაც აშკარად დაკარგეს სიახლე და ამ მიზნით არ შეიძლება იყვნენ რეგისტრირებული. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი არასწორად არის გაფორმებული, სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 10 დღიან ვადაში უბრუნებს მას განმცხადებელს მიზეზების გადმოცემით. ნაკლოვანებათა გამოაწორების შემდეგ განაცხადი შეიძლება შეტანილ იქნეს ხელახლა.

10 დღის ვადაში სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი განმცხადებელზე გასცემს ცნობას განაცხადების მიღების შესახებ.

შემდეგ განაცხადზე ტარდება ძირითადი ექსპერტიზა ეტაპების მიხედვით ვადაში, რომელიც არ აღემატება 6 თვეს.

#### § 5. ვინ აქვს კვალიფიკაციას წინადადებას—არის თუ არა ის სამრეწველო ნიშნუში?

სამრეწველო ნიშნულის სახით წამოყენებულ წინადადებას კვალიფიკაციას აძლევს მხოლოდ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

#### § 6. რა სახის დამცველი დოკუმენტი მიეცემა სამრეწველო ნიშნულის ავტორებს?

ჩვენს ქვეყანაში ავტორობა სამრეწველო ნიშნუზე მტკიცდება მოწმობით ან პატენტით. სამრეწველო ნიშნულის ავტორს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფორმა.

სსრ კავშირში სამრეწველო ნიმუშების პატენტებით დაცვის სისტემამ არ ჰპოვა გამოყენება. პრაქტიკულად მას იყენებენ მხოლოდ საზღვარგარეთული ფირმები და უცხოელი მოქალაქენი, ძირითადად, კაპიტალისტური ქვეყნებიდან (ყველა პატენტი გაცემულია უცხოელი განმცხადებლების სახელზე).

**§ 7. რა ვადით მოქმედებს საპირფარეო ნიმუში ჩაცემული დამცველი დოკუმენტი?**

სსრ კავშირში სამრეწველო ნიმუშზე გაცემული მოწმობა უვადოა და ვრცელდება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

პატენტი წარმოადგენს ვადიან დოკუმენტს. მოწმობიიდან განსხვავებით, პატენტი გაიცემა 5 წლის ვადით გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის დღიდან. პატენტის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს შემდგომი 5 წლით.

**§ 8. რა უმთხვევებში გაიცემა საპირფარეო ნიმუში მხოლოდ მოწმობაში?**

დებულებაში გათვალისწინებულია შემთხვევები, როცა სამრეწველო ნიმუშზე გაიცემა მხოლოდ მოწმობები:

თუ სამრეწველო ნიმუშები შექმნილია სსრ კავშირის სახელმწიფო, კოოპერაციულ ან საზოგადოებრივ საწარმოებში (ორგანიზაციებში) ავტორის მუშაობასთან დაკავშირებით ან მათი დავალებით. 2. თუ ავტორს აღმოუჩინეს ფულადი ან სხვა მატერიალური დახმარება.

სამსახურებრივ სამრეწველო ნიმუშზე ფაქტიურად გაიცემა ორი დოკუმენტი: მოწმობა განმცხადებლისათვის და მოწმობა — ავტორისათვის. თუ პირველი მოწმობა გვემსახურება ნაკეთობის შექმნის ადგილის აღნიშვნისათვის და წარმოადგენს წარმოების შემოქმედებითი მუშაობის დადებით მაჩვენებელს, მეორე — ამტკიცებს ნიმუშის შექმნელზე ავტორობის უფლებას ყველა აქედან გამომდინარე უფლებებითა და შეღავათებით.



§ 9. შეუძლია თუ არა ავტორს მოითხოვოს განაცხადის ხელმოწერად განიღმავა მოწოდების გაცემაზე უარის შემთხვევაში?

თუ ავტორი არ ეთანხმება უარს, მას შეუძლია შეიტანოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში დასაბუთებული შეპასუხება, მაგრამ არა უგვიანეს 1 თვის ვადისა გადაწყვეტილების მიღების დღიდან. დავა, რომელიც ეხება სამრეწველო ნიჭუშებს, წყდება შემდეგი წესით: სიახლეზე — გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ, ავტორობაზე — სასამართლოთი.

§ 10. რა სისტემით არის კლასიფიცირებული სამრეწველო ნიმუშები და როგორია მისი სტრუქტურა?

სამრეწველო ნიმუშები (სამრეწველო ნახატები და ნახაზები) დაცულია მსოფლიოს 60 ქვეყანაში.

მთელ რიგ ქვეყნებში რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშების ზრდასთან დაკავშირებით წარმოიქმნა კლასიფიკაციის ნაციონალური სისტემები (აშშ-ში, საფრანგეთში, იაპონიაში და სხვ).

ასეთი სისტემების სხვადასხვაგვარობის გამო სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო საბჭომ, რომელიც შეიქმნა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის საფუძველზე, შეიმუშავა სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაცია. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაცია მიღებულია ლოკარნის შეთანხმებით 1972 წლის 1 იანვრიდან. ქვეყნებს შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ შეთანხმებას, არიან: ალჟირი, ავსტრია, აშშ, ბელგია, იტალია, იუგოსლავია, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია და ა.შ. (სულ 22 სახელმწიფო იყო 1972 წლის 1 იანვრის მონაცემებით). ამ შეთანხმებას შეუერთდა საბჭოთა კავშირიც.

სამრეწველო ნიმუშების კლასიფიკაციას საერთო არაფერი აქვს გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემასთან. სამრეწველო ნიმუშების კლასიფიკაციის სისტემა მნიშვნელოვნად მარტივი სისტემაა გამოგონებათა კლასიფიკაციის სისტემასთან შედარებით. იგი ნაკლებად დიფერენცირებულია, თუმცა კი მოიცავს მატერიალური წარმოების ყველა სფეროს.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციას აქვს ზუსტი ლოგიკური სტრუქტურა, რომელიც სამრეწველო ნიმუშების

განსახლდრული კლასიფიკაციის საშუალებას იძლევა თემატური (გამოყენების დარგების მიხედვით) პრინციპით. მაგალითად, განყოფილებაში „სატრანსპორტო საშუალებები“ შევა მათი ყველა სახე: ქვეითი, საჰაერო, საწყლოსნო. ეს შეიძლება იყოს ხომალდები და ნავეები, საჰაერო და კოსმოსური ტრანსპორტი, ხელის ურიკები, ვაგონები, საბარგულები და ტრაქტორები, მოტოციკლები და მოტოროლერები.

აღნიშნულ განყოფილებაში შედის არა მარტო ყველა სატრანსპორტო საშუალება, არამედ მათი დამკომპლექტებელი, მაგალითად პნეუმატური საბურავები და კამერები და ყველა დანარჩენ მოწყობილობათა საშუალებანი, აგრეთვე ავტოტრანსპორტის მოწყობილობანი, რომლებიც არ არის აღნიშნული სხვა კლასებში.

ამაშია კლასიფიკაციის ახალი სისტემის ერთ-ერთი უპირატესობა.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაცია ამჟამად თავისი სახით ორსაფეხურიანია. მასში ორი ძირითადი გრადაციაა — კლასი და ქვეკლასი.

კლასები ამ სისტემაში აღინიშნება არაბული ციფრებით. ასეთივე ციფრებით აღნიშნულია ქვეკლასებიც. ქვეკლასების დასახელებები ერთი საფეხურით მარჯვნივ არის მიწეული, უზრუნველყოფს კლასის რუბრიკის დაქვემდებარების ლოგიკურ აუცილებლობას.

სამრეწველო ნიმუშების საკლასიფიკაციო სისტემაში 31 კლასია. როგორც აღინიშნა, თითოეული კლასი იყოფა ქვეკლასებად 01-დან 99-მდე, რომელთა ოდენობაც შეიძლება იყოს სხვადასხვა. ქვეკლასებად დაყოფა ასახავს ძირითადი კლასების სამრეწველო ნიმუშების თავისებურებებს. ამასთან თითოეული კლასის 99-ე ქვეკლასი განკუთვნილია იმ სამრეწველო ნიმუშებისათვის, რომლებიც არ შევიდნენ სხვა ქვეკლასებში და იწოდებიან „სხვადასხვა“.

კლასებში შევსებული არ არის ყველა 99 ქვეკლასი. მათ უმრავლესობაში მნიშვნელოვნად ნაკლები რიცხვია. კლასიფიკაციის სისტემის წყობის ასეთი ფუნქციონალური პრინციპი საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქვეკლასების რუბრიკები. ყველაზე მეტი ქვეკლასები (14) შეტანილია 22-ე კლასში. სხვა კლასებს ისინი აქვთ 10-მდე.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემის ბევრ კლასს ემატება განმარტებითი შენიშვნები, რომლებშიც გახსნილია ცალკეული რუბრიკების შინაარსი.

ასე მაგალითად, მე-8 კლასს — იარაღები, ინსტრუმენტებო და კავეული ნაკეთობები ქვეკლასებით:

01. ინსტრუმენტები და იარაღები სოფლის მეურნეობისათვის, მეტყევეობისა და მებალეობისათვის.

02. სხვა ინსტრუმენტები და იარაღები.

03. კლიტეები, საკეტები და კავის არმატურა (მოჭედლობა, ჭედვა).

04. ლურსმნები, ქანჩები, ქანჭიკები და სხვ.

99. სხვადასხვა

აქვს შენიშვნა, სადაც ნათქვამია: „მე-8 კლასი ძირითადად მოიცავს ხელის საყოფაცხოვრებო ინსტრუმენტებს, თუნდაც ისინი მოქმედებდნენ ხელის კუნთების ძალით (მაგალითად, ელექტრული ხერხები); ინსტრუმენტები და იარაღები, რომელთა მართვა ადამიანის ხელით არ წარმოებს, მიეკუთვნებიან მე-15 კლასს (მაგალითად, სამაცივრო მანქანები 15. 10). ქვეკლასში 8.03 — „კლიტეები, საკეტები და კავის არმატურა“ აღნიშნავენ კლიტეებს, საკეტებს და კავის არმატურას ნებისმიერი მასალისაგან (მაგალითად, პლასტმასისაგან); მათ მიეკუთვნებიან აგრეთვე საკეტები ჩანთებზე, ჩემოდნებზე და სხვ.

სამრეწველო ნიმუშების კლასიფიკაციას აქვს დიდი მნიშვნელობა საბჭოთა საწარმოებისათვის და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ახლად დასამუშავებელ ნაკეთობათა სიახლის და საპატენტო სიწმინდის შემოწმებას, მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტ-ექსპერტებისათვის.

§ 11. სად უიძლევა სსრ კავშირში სამრეწველო ნიმუშებზე გაცემული მოწოდებისა და პატენტების გაცემა?

ცნობები სამრეწველო ნიმუშებზე გაცემულ მოწოდებებსა და პატენტებზე მოცემულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბიულეტენში „აღმოჩენები, გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები“ 1967 წლიდან. აღნიშნული ბიულეტენი არის ჩვენი რესპუბლიკის როგორც მსხვილ სამეცნიერო და ტექნიკურ ბიბლიოთეკებში, ასევე საწარმოებისა და დაწესებულებების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და საპატენტო ქვეგანყოფილებებში, აგრეთვე ტექნიკურ ბიბლიოთეკებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1962 წ. 15 მაისს მიიღო დადგენილება № 442, რომლის თანახმად დაევალა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებს და ორგანიზაციებს აღნიშნონ მათ მიერ გამოშვებულ ნაკეთობებზე ან მათ შეფუთვაზე სპეციალური მხატვრული გამოსახულება—სასაქონლო ნიშნები, რომლებიც მოწმობენ, სახელდობრ რომელი საწარმო (ან ორგანიზაცია) უშვებს მოცემულ ნაკეთობას. სხვა სიტყვებით, სასაქონლო ნიშანი საჭიროა იმისათვის, რომ გავარჩიოთ ერთი საწარმოს ნაკეთობები მსგავსი ნაკეთობებისაგან, რომელსაც უშვებს სხვა საწარმო, და რეკლამისათვის. დამამზადებლების ასეთი აღნიშვნის მიზანია ამალდეს მათი პასუხისმგებლობა მათ მიერ გამოშვებული საწარმო-ტექნიკური დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების საგნების ნაკეთობების ხარისხისათვის.

სასაქონლო ნიშნები შეიძლება შედგებოდეს ასოებისაგან, სიტყვებისაგან, ციფრებისაგან, სხვადასხვა სახის გამოსახულებებისაგან ან წარმოადგენდეს აღნიშნული ელემენტების შეთავსებას მხატვრულ კომპოზიციაში. თითოეული სასაქონლო ნიშანი აუცილებლად რეგისტრირდება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში, რომლის შემდეგ საწარმოს (ორგანიზაციას) ენიჭება თავისი სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული გამოყენების უფლება.

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისა და სარგებლობის წესი რეგლამენტირებულია დებულებით სასაქონლო ნიშნებზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1974 წლის 8 იანვარს.

იმ პროდუქციას შორის, რომელზეც შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშანი, ბევრია ნაკეთობა, რომლებიც მთლიანად შექმნილია ან გაუმჯობესებულია გამოგონებლებისა და რაციონალიზატორების შემოქმედებითი შრომის შედეგად. ამრიგად, ამ პროდუქციას სასაქონლო ნიშანი ემსახურება იმის დასადგენად, სახელდობრ რომელი საწარმო აგებს პასუხს პროდუქციაში გამოყენებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციის ხარისხისათვის.

§ 13. როგორი აღნიშვნები არ რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნების სახით?

რიგი საფუძვლების გამო ზოგიერთი აღნიშვნა, როგორცაა მათი სპეციფიკა, განმასხვავებელ თავისებურებათა უკმარობა ან აუცილებლობა გამოსაყენებლად, არ რეგისტრირდება და არ ჩაითვლება სასაქონლო ნიშნად. დებულება ადგენს, რომ არ რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნების სახით შემდეგი აღნიშვნები:

ა) რომლებიც იგივე ან მსგავსია ერთნაირი საქონლისათვის ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის მონაწილესაც წარმოადგენს სსრ კავშირი, ჩვენს ქვეყანაში ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა;

ბ) რომლებიც შემოვიდნენ საერთო სარგებლობაში ცნობილი სახის საქონლის აღნიშვნის სახით, აგრეთვე საერთოდ მიღებული სიმბოლოები, რომლებიც დაკავშირებული არიან განსაზღვრულ მოღვაწეობასთან;

გ) რომლებიც არ ფლობენ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ან ატარებენ აღწერით ხასიათს (მაგალითად, შედგებიან მხოლოდ უბრალო გეომეტრიული ფიგურებისაგან, რიცხვებისაგან, ასოებისაგან, არ ფლობენ სიტყვიერ თვისებებს);

დ) რომლებზეც მათი სპეციფიკის გამო არ შეიძლება წარდგენილ იქნეს გამოყენების განსაკუთრებული უფლება, მათ შორის: ნაწილობრივ ან სრულად შედგებიან გეოგრაფიული დასახელებისაგან, რომლებიც შეიძლება აღთქმული იქნეს როგორც საქონლის დამზადების ადგილის მაჩვენებელი; დროშებისაგან, გერბებისაგან ან სახელმწიფოთა, მთავრობათა ან ოფიციალურად აღიარებულ საერთაშორისო ან სახელმწიფოთაშორისო და მათი მსგავსი ორგანიზაციების სხვაგვარი ემბლემებისაგან, თუ ამაზე არ არის შესაბამისი ორგანოების თანხმობა;

ე) რომლებიც შედგება მხოლოდ ოფიციალური საკონტროლო, საგარანტიო ან სასინჯი დალებისაგან და მათი მსგავსი ბეჭდებისაგან;

ვ) რომლებიც შეიცავენ არასწორ ან შეცდომაში შემყვან ცნობებს დამამზადებლის, აგრეთვე საქონლის თვისებებს, ხარისხია, წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ;

ზ) რომლებიც თავისი შინაარსით ეწინააღმდეგებიან მართლწესრიგს ან სოციალისტურ მორალს;

თ) ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა მონაწილესაც წარმოადგენს სსრ კავშირი.

#### § 14. როგორ ხორციელდება სასაქონლო ნიშნავის რეგისტრაცია?

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის აუცილებელია განაცხადის შეტანა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. განმცხადებელი შეიძლება იყოს სოციალისტური ორგანიზაცია ან უცხოური ორგანიზაცია, აგრეთვე უცხოელი — ფიზიკური პირი.

განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ფორმდება სამ ეგზემპლარად. განაცხადი შეიცავს სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას და ნაჩვენებია საწარმოს ან ორგანიზაციის სრული დასახელება, განმცხადებლის საფოსტო მისამართი, საქონლებია და (ან) მომსახურებების ნუსხა, რომელთა აღნიშვნისათვის რეგისტრირდება სასაქონლო ნიშანი. განაცხადს დაერთვება სასაქონლო ნიშნის 15 ეგზემპლარის ფოტოასლი ზომით არა უმეტეს 5×5 სმ და მისი აღწერილობა. განაცხადს ხელს აწერს ხელმძღვანელი, დამოწმებულია საწარმოს ან ორგანიზაციის გერბიანი ბეჭდით.

განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეაქვთ სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც ერთი თვის ვადაში ამოწმებს განაცხადის შესატყვისობას დადგენილ მოთხოვნებთან, აკლასიფიცირებს საქონლის და მომსახურების ნუსხას საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად და უგზავნის განმცხადებელს ცნობას განაცხადის მიღების შესახებ. ცნობაში ნაჩვენებია კლასები და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, აგრეთვე შეიძლება იყოს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის. ბაჟის გადასახდელად და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარსადგენად, აგრეთვე მოთხოვნილი დამატებითი მასალების წარსადგენად განმცხადებელს ეძლევა ერთთვიანი ვადა.

განსახილველად მიღებული განაცხადებით სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ატარებს ექსპერტიზას სასაქონლო ნიშნებისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესატყვისობაზე, აგრეთვე ამოწმებს იგივეობას და მსგავსებას სსრ კავშირში აღრე განცხადებულ და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებთან. ექსპერტიზის შედეგების მიხედვით გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო

კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაცია და მოწმობის გაცემის ან ამაზე უარის შესახებ.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეაქვს სასაქონლო ნიშანი სსრ კავშირის სასაქონლო ნიშნების სახელმწიფო რეესტრში, აწარმოებს პუბლიკაციას რეგისტრაციის შესახებ ოფიციალურ ბიულეტენში და აძლევს განმცხადებელს მოწმობას სასაქონლო ნიშანზე.

**§ 15. რაში მდგომარეობს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის აუცილებელი გამოყენების პრინციპი?**

დებულებით შემოღებულია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის აუცილებელი გამოყენების პრინციპი. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული ორგანიზაციების ან პირების მიმართვის საფუძველზე, მისი გამოუყენებლობის შემთხვევაში 5 წლის განმავლობაში რეგისტრაციის თარიღიდან, შეუძლია გააუქმოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშნის მფლობელი გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მოთხოვნისას მოვალეა წარადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფაქტს სსრ კავშირის ტერიტორიაზე\* ნებისმიერი ხერხით (საქონლის მარკირება შეფუთვაზე, ნახაზებზე, პროსპექტებზე, ანგარიშებზე, ბლანკებზე, იარაღებზე, სარეკლამო მასალებში და სხვა დოკუმენტაციებზე, რომლებიც თან ახლავს საქონელს ან დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან). განცხადების შეტანის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მოწმობის ვადის გაგრძელების შესახებ მფლობელმა ასევე უნდა უჩვენოს, როგორ გამოიყენება სასაქონლო ნიშანი. სასაქონლო ნიშნის აუცილებელი გამოყენების წესის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამოირიცხოს გამოუყენებელი სასაქონლო ნიშნები სახელმწიფო რეესტრიდან, გაფართოვდეს ახლად განცხადებული აღნიშვნების რეგისტრაციის შესაძლებლობები.

**§ 16. შეიძლება თუ არა გააკრობოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია?**

ხუთი წლის განმავლობაში ოფიციალურ ბიულეტენში „აღმოჩენები, გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო

ნიშნები“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე პუბლიკაციის მომენტიდან შეიძლება გაპროტესტდეს რეგისტრაცია ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან იგივეობის ან მსგავსებია გამო. სხვა საფუძვლებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის პროტესტით რეგისტრაციის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

§ 17. როგორია საბჭოთა სასაქონლო ნიშნების საზღვარგარეთ რეგისტრაციის მიზანი და წესი?

საბჭოთა სასაქონლო ნიშნები საზღვარგარეთ რეგისტრირდება:

- საბჭოთა საექსპორტო მიწოდების;
- საგარეო ბაზრებზე საბჭოთა საქონლის რეკლამირების;
- სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიის გაყიდვის შესაძლებლობის;

— საერთაშორისო გამოფენებზე და ბაზრობებზე სასაქონლო ნიშნებით აღნიშნული დემონსტრირებული საქონლის უფლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

საზღვარგარეთ შეიძლება მხოლოდ იმ სასაქონლო ნიშნების რეგისტრირება, რომლებიც უკვე რეგისტრირებულია სსრ კავშირში. საბჭოთა სასაქონლო ნიშნის საზღვარგარეთ რეგისტრირების ინიციატივა უნდა გამომდინარეობდეს დამამზადებელი საწარმოსაგან, რომლის პროდუქციაც ექსპორტირდება ან იგეგმება ექსპორტზე. საკითხი სასაქონლო ნიშნის საზღვარგარეთ რეგისტრაციის მიზანშეწონილობის შესახებ წყდება სამინისტროს (უწყების) მიერ. აქ ხელმძღვანელობენ რიგი ფაქტორებით: სასაქონლო ნიშნით მარკირებული პროდუქციის მიწოდების მოცულობით (ფაქტიური და ნავარაუდევ); ბაზრების სტაბილურობით; მარკირებულ ნაკეთობათა საპატენტო ლიცენზიების გაყიდვის შესაძლებლობებით; საერთაშორისო გამოფენებზე და ბაზრობებზე ნაკეთობების ექსპონატების სახით ჩვენებით.

დამამზადებელი საწარმოს სახელზე საზღვარგარეთ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის სპეციალურ ბლანკზე გაფორმებული განაცხადი სამ ეგზემპლარად იგზავნება სამინისტროში (უწყ-



ყებაში) დაქვემდებარების მიხედვით და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებში, რომელიც ერთი თვის ვადაში ამტკიცებს რა სასაქონლო ნიშნის საზღვარგარეთ რეგისტრაციის მიზანშეწონილობასა და რეგისტრაციის ქვეყნების სიას, დამოწმებს განაცხადს შესაბამისი თანამდებობის პირთა ხელმოწერით და ბეჭდებით.

თუ დამამზადებელი საწარმოს სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება საზღვარგარეთ საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის სახელზე, განაცხადს დაერთვის ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლების გადაცემის შესახებ საზღვარგარეთ საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის სახელზე. გარდა ამისა, განაცხადს დაერთვის მოწმობის დედანი სსრ კავშირში სასაქონლო ნიშნით სარგებლობის განსაკუთრებულ უფლებაზე. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი რეგისტრაციას უკეთებს უფლებას სასაქონლო ნიშანზე, აკეთებს რა შესაბამის ჩანაწერს, სასაქონლო ნიშნით სარგებლობის განსაკუთრებულ უფლებაზე სსრ კავშირის სასაქონლო ნიშნების სახელმწიფო რეესტრში და მოწმობის დედანში.

განიხილავს რა განაცხადების მასალებს, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ერთ თვეში გამოაქვს დასკვნა საზღვარგარეთ მისი რეგისტრაციის შესაძლებლობის შესახებ, ატყობინებს ამის შესახებ სასაქონლო ნიშნის მფლობელს, სამინისტროს (უწყებას) და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციას.

საბჭოთა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის საერთაშორისო შეთანხმებების მონაწილე ქვეყნებში, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ამზადებს საერთაშორისო განაცხადს (ფრანგულ ენაზე) და აგზავნის მას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის („ვიოს“)<sup>15</sup> საერთაშორისო ბიუროში. თუ კი სასაქონლო ნიშანი ექვემდებარება რეგისტრაციას ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებების მონაწილეს, განმცხადებელი ან დამოუკიდებლად აფორმებს განაცხადს, ან მიმართავს საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრის სამსახურს.

---

<sup>15</sup> სსრ კავშირი სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების მონაწილეა 1976 წლის 1 ივლისიდან (სტოკოლმის რედაქციით).

გაფორმებული განაცხადი განმცხადებლის მიერ იგზავნება სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, რომელიც საზღვარგარეთ თავისი საპატენტო რწმუნებულების საშუალებით აგზავნის განაცხადებს შესაბამისი ქვეყნების საპატენტო უწყებებში. პასუხებს საპატენტო უწყებების ან საპატენტო რწმუნებულების შეკითხვებზე ან დასკვნებზე ამზადებს განმცხადებელი, რომელსაც აუცილებელ შემთხვევებში დახმარებას უწევს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

მიიღებს რა დამცველ დოკუმენტს სასაქონლო ნიშანზე, მისი მფლობელი თვალყურს ადევნებს რეგისტრაციის ვადის დაცვას და აუცილებლობის შემთხვევაში თავის ღრობზე წყვეტს საკითხს მისი გაგრძელების შესახებ.

## თ ა ვ ი VIII

### საპატენტო დოკუმენტაცია და საპატენტო ინფორმაცია

#### § 1. რა არის საპატენტო დოკუმენტაცია?

საპატენტო დოკუმენტაცია სპეციალური ტექნიკური ლიტერატურის ერთ-ერთი სახეა. მასში შედის გამოგონებათა აღწერილობები—საავტორო მოწმობების და პატენტების აღწერილობები, პერიოდული გამოცემები (საპატენტო საუწყებო ბიულეტენები, კრებულები და ჟურნალები). გამოგონებათა კლასების საძიებლები, საპატენტო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ყოველგვარი რეფერატული და ანოტირებული გამოცემები და სხვ.

#### § 2. ვინ ახორციელებს ჩვენს კვებახაზში საპატენტო დოკუმენტაციის სიახლეებზე ინფორმაციას და საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობას?

მთავარი ხელმძღვანელი, მათრგანიზებელი და მგეგმავი ორგანო ამ დარგში არის სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საპატენტო ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („ვნიიპი“), რომელიც წარმოადგენს საკავშირო სამეცნიერო და საინფორმაციო ცენტრს, კოორდინაციას

უწევს საპატენტო ინფორმაციის სისტემის სხვა ორგანოების მუშაობას და ჩვენში ძირითადად ყველაზე სრულად აქვეყნებს საპატენტო ინფორმაციის მასალებს. აღნიშნული ინსტიტუტის საინფორმაციო გამოცემებში მოთავსებული ცნობები აქტუალური და უტყუარია, ამომწურავი სისრულით და ამავე დროს მოკლედ მოიცავს სამამულო და საზღვარგარეთის წყაროებს.

საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობას, გარდა აღნიშნული ინსტიტუტისა, ჩვენს ქვეყანაში ეწევა საკავშირო საპატენტო-ტექნიკური ბიბლიოთეკა („ვკტბ“), რომელიც თავმოყრილია სახელმწიფო საპატენტო ფონდი, აგრეთვე რიგი საცნობარო სამსახურები; წარმოება „პატენტი“, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების პოლიგრაფიულ ბაზას; საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრი („ვკპუ“), რომელიც ატარებს ძიებას და მუშავებათა დონის დადგენის მიზნით, ეხმარება საწარმოებსა და დაწესებულებებს ნავარაუდევ აღმოჩენებზე, გამოგონებებზე, სამარეწველო ნიმუშებზე, სასაქონლო ნიშნებზე, განაცხადების გაფორმებაში, ახორციელებს ტექნიკის ობიექტების საპატენტო ჰიწმინდეზე საკონტროლო შემოწმებასა და ა. შ.

„ვნიპი“, „ვკტბ“, წარმოება „პატენტი“ და „ვკპუ“ წარმოადგენენ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობას ეწევა აგრეთვე სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტი („ვინიტი“), რომელიც რეფერატულ ჟურნალებში აქვეყნებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემულ მნიშვნელოვან გამოგონებათა აღწერილობების რეფერატებს.

საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობას ეწევიან ასევე სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და სხვა საინფორმაციო ორგანოები.

თბილისში, გარდა ტერიტორიული საპატენტო ფონდისა, არსებობს წარმოება „პატენტისა“ და საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალები.

საწარმოებსა და დაწესებულებებს და ცალკეულ პირებს დიდ დახმარებას უწევს გამოგონებებზე განაცხადების გაფორმებაში

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო. საბჭოს აქტივისტები, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე საექსპერტო-უფლებრივი სექცია, რომლებიც კონსულტაციას უწევენ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, ეხმარებიან მათ საგამომგონებლო შემოქმედებასთან დაკავშირებული რთული საკითხების გადაწყვეტაში.

სასარგებლო მუშაობას ეწევა სახალხო მეურნეობაში სიახლეთა გამოყენების საქმეში სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თბილისის ტექნიკის სახლთან არსებული საქართველოს პროფსაბჭოს რესპუბლიკური ნოვატორთა საბჭო.

აღსანიშნავია საქართველოს პატენტმცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტის ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც 1966 წლიდან არსებობს: წარმოებიდან მოუწყვეტლივ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ამ ინსტიტუტში სწავლობენ მუშა-ნოვატორები, ინჟინერ-დამმუშაველები, იურისტები, ეკონომისტები, ბიბლიოგრაფები და სხვ.

§ 3. რა სახის და როგორი პირობებით უფავს მომსახურებას ორგანიზაციებსა და საწარმოებს საპატენტო მომსახურების სააპერირო ცენტრის თბილისის ფილიალი?

საპატენტო მომსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალი გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ფასების მიხედვით სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე ორგანიზაციებსა და საწარმოებს უწევს შემდეგი სახის საპატენტო მომსახურებას:

მომსახურება ნავარაუდევ გამოგონებაზე განაცხადის მასალების გასაფორმებლად. ფილიალი ადგენს განაცხადებს ნავარაუდევ გამოგონებათა სიახლეზე წინასწარი ძიების ჩატარებით სსრ კავშირის და, დამკვეთთან შეთანხმებით, საზღვარგარეთის ქვეყნების ფონდების მიხედვით შესაბამისი საპატენტო გამოკვლევებით.

თბილისის ფილიალი მომსახურებას სწევს, როგორც მთლიანად განაცხადის შედგენაში, ასევე დამკვეთის სურვილით განაცხადზე მუშაობის ცალკეულ სტადიებზე (აღწერილობის შედგენა, ფორმულის შედგენა, ნახაზების დამზადება და სხვა.).

სამუშაოს ვადა და ღირებულება განაცხადის შედგენაზე დამოკიდებულია ნავარაუდევ ტექნიკური გადაწყვეტის სირთულის

დონეზე. სიახლეზე ძიების გარეშე სამუშაოს ღირებულებაა 43-დან 128 მანეთამდე.

ფილიალი ადგენს საგანაცხადო მასალებს სამრეწველო ნიმუშებზე და ატარებს სამრეწველო ნიმუშის სიახლეზე ექსპერტიზას სსრ კავშირის ფონდის მიხედვით. სამუშაოს ღირებულებაა 13-დან 29 მანეთამდე.

ფილიალი ადგენს განაცხადებს სასაქონლო ნიშნებზე, დამკვეთის დავალებით შეუძლია გასწიოს წარმომადგენლობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრირებისას და აგრეთვე განაცხადის შეტანა სახელმწიფო ბაჟის გადახდით. სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შედგენის ღირებულებაა 17 მან. და 60 კაპ.

საპატენტო სამსახურების თბილისის ფილიალი იღებს დაკვეთებს განაცხადის დაპირისპირებული მასალების ანალიზზე და სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გადაწყვეტილების პროექტებზე მოტივირებული შეპასუხებების შედგენაზე. სამუშაოს ღირებულება 22-დან 65 მანეთამდეა, დამოკიდებულია დაკვეთის სირთულის დონეზე.

მომსახურება საპატენტო ძიების ჩასატარებლად. საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალი ატარებს ყველა სახის საპატენტო გამოკვლევებს. საპატენტო მასალების მიხედვით. ცალკეულ შემთხვევებში ხელშეკრულებით მას შეუძლია ჩაატაროს ძიება ცალკეულ საკითხებზე — კომპლექსურ ძიების ნაწილზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ეურნალებიდან, წიგნებიდან, საფირმო გამოცემებიდან და ა. შ. თითოეულ ძიებას ახლავს დაწვრთვებითი ანგარიში ძიების შედეგად შერჩეული მასალების ასლების დართვით.

სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება დამოკიდებულია დაკვეთის სირთულის დონეზე და თითოეულ შემთხვევაში განისაზღვრება წინასწარი და აღსასრულებელი კალკულაციით.

მომსახურება ტექნიკის ობიექტების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზის მიხედვით. თბილისის ფილიალი ატარებს ტექნიკის ობიექტების საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზას, ობიექტის დამმუშავებლის სავალდებულო მონაწილეობით, მეთოდურ დახმარებას უწევს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს. დამკვეთის სურვილით ფილიალს შეუძლია გაუწიოს მომ-

სახურება საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზის ცელკეულ ეტაპებზე.

საპატენტო სამსახურების თბილისის ფილიალი ატარებს სამუშაოებს, დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ცალკეული პატენტის ანალიზზე, დაპირისპირებული ობიექტის საპატენტო სიწმინდის განსაზღვრის მიზნით. გასაანალიზებელი პატენტის და ტექნიკის ობიექტის დაპირისპირების შედეგების მიხედვით ღდება ანგარიში საპატენტო გამოკვლევების შესახებ.

საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზის ჩატარების სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება დამოკიდებულია შესამოწმებელი ობიექტის სირთულისა და მდგომარეობის დონეზე. სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება წინასწარი და აღსასრულებელი კალკულაციით.

ს ა პ ა ტ ე ნ ტ ო მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ზ ე და კ ვ ე თ ე ბ ი ს გ ა ფ ო რ მ ე ბ ი ს წ ე ს ი. საპატენტო მომსახურებაზე დაკვეთები მიიღება ორგანიზაციებისაგან ან საწარმოებისაგან საგარანტიო წერილის საფუძველზე, რომელშიც დაწვრილებით არის გადმოცემული დაკვეთის სახე და აღნიშნულია საბანკო და საფოსტო რეკვიზიტები, ხელმოწერილია ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელის და მთავარი ბუღალტრის მიერ და დამოწმებულია ბეჭდით.

დაკვეთაზე, რომელიც მიღებულია შესასრულებლად, ღდება წინასწარი კალკულაცია და ორ ეგზემპლარად ეგზავნება დამკვეთს: ამ კალკულაციის ერთი ეგზემპლარი დამკვეთმა უნდა დააბრუნოს საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალში, თავისი თანხმობის დამოწმებით სამუშაოს შესრულებაზე. დაკვეთის შესრულებისათვის საფუძველს წარმოადგენს დამკვეთის და შემსრულებლის ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული, შეთანხმებული წინასწარი კალკულაცია. შესრულებულ დაკვეთას ერთვის აღსასრულებელი კალკულაცია და ანგარიში. დაკვეთა, რომლის შესრულება გაანგარიშებულია 3 თვეზე მეტი დროის განმავლობაში, შეიძლება შესრულდეს, ერთი მხრივ, ორგანიზაციისა და საწარმოს და, მეორე მხრივ, საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ხელშეკრულებას ერთვის წინასწარი კალკულაცია და ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებული კალენდარული გეგმა, რომელიც ადგენს დაკვეთის შესრულების ეტაპებს და მათი შესრულების ვადებს.

სამუშაოს შესრულების ეტაპზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეული ანგარიში აღსასრულებელი კალკულაციის აუცილებელ დართვით. დაკვეთა, რომელიც არ მიიღება შესასრულებლად რაიმე მიზეზის გამო, უბრუნდება ადრესატს 3-დღიან ვადაში მოტივირებული უარი ან აუცილებელი ცნობების მოთხოვნით.

#### § 4. რა არის საინფორმაციო გამოცემა?

საინფორმაციო გამოცემები პირველადი დოკუმენტური ინფორმაციის (ყურნალები, წიგნები, კრებულები, ბროშურები, სტანდარტები, პატენტები, დისერტაციები, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ანგარიშები) ანალიზურ-სინთეზური გადამუშავების შედეგად მიღებული გამოცემებია, რომლებსაც ასრულებენ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოები. გადამუშავება ხორციელდება იმ მიზნით, რომ გაეცნონ მეცნიერები, წარმოების სპეციალისტები და მუშა-ნოვატორები სამაშულო და საზღვარგარეთის ახალ სამეცნიერო-ტექნიკურ და საწარმოო მიღწევებს.

საინფორმაციო გამოცემების ძირითადი სახეებია: ბიბლიოგრაფიული აღწერილობები, ანოტაციები, რეფერატები, მიმოხილვები. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ქვეშ იგულისხმება დოკუმენტის მახასიათებელი სიტყვებით გამოხატული, ზოგიერთი აუცილებელი ცნობის მინიმუმი, ზუსტად დადგენილი წესით. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოიცავს დოკუმენტის ისეთი ფორმალური ნიშნების ნაერთს, როგორცაა ავტორების გვარები, ფირმის დასახელება, დოკუმენტის დასახელება, გვერდების რაოდენობა, ილუსტრაციების რაოდენობა, ბიბლიოგრაფიული მითითებანი, გამოცემის დასახელება, გამოცემის ადგილი და წელი, ტომის ნომერი და ა. შ. ე. ი. არაა მხოლოდ შინაარსი.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობა უნდა იყოს ერთგვაროვანი. ეს წესი ჩაწერილია ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწერის ერთიან წესებში. ერთიანი წესებით ნავარაუდევია აგრეთვე დოკუმენტში ჩაწვდომა.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საფუძველზე დგება საბიბლიოთეკო კატალოგები, ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები და სპიდელები. ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას, როგორც განუყრელ ნაწილს, შეიცავს მეორადი საინფორმაციო დოკუმენტები.

ანოტაცია — პირველადი სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტის მოკლე დახასიათება. ანოტაციაში აღნიშნულია თუ რაზეა ლაპარაკი

დოკუმენტში. ანოტაცია შედგება 2—3 ფრაზისაგან. ანოტაციის შედგენისას უნდა გვესმოდეს დოკუმენტის შინაარსი ზოგადად. ანოტაციები დგება უმთავრესად სასწავლო, საცნობარო, ქრონიკულ და სამეცნიერო-პოპულარული დოკუმენტაციის მასალებზე. ანოტირება ხდება საავტორო მოწმობების, საპატენტო აღწერილობებისა და სხვა მასალების. თუ პირველადი დოკუმენტის დასახელება არ გვაძლევს წარმოდგენას დოკუმენტზე, ანოტაცია აშუქებს მას. მისი შედგენა შეიძლება, თუ ვიცით ენა და გვაქვს ზოგადი წარმოდგენა ობიექტზე.

რეფერატი—დოკუმენტში ჩაწვდომის შემდეგი საფეხურია. რეფერატში გადმოცემულია დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, მისი ხასიათის, საგნის და გამოკვლევის მეთოდის ან საწარმოო პროცესის ტექნოლოგიის, ძირითადი შედეგების, გამოკვლევის ჩატარების დროისა და ადგილის, სიახლის დამუშავებისა და დანერგვის აღნიშვნით. რეფერატი სრულ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს დოკუმენტის ძირითად შინაარსზე და განსაზღვრავს პირველადი დოკუმენტის გაცნობის მიზანშეწონილობას.

რეფერატის მოცულობა მეტია, ვიდრე ანოტაციისა: როგორც წესი, ის არ უნდა აღემატებოდეს 2000 ბეჭდურ ნიშანს — დაახლოებით უტოლდება 30×20 სმ ფორმატის 1,5 გვერდზე ორი ინტერვალით ნაბეჭდს. ჩვეულებრივ რეფერატი არ შეიცავს კრიტიკულ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ გვხვდება რეფერენტის შენიშვნა შეფასებით.

მიმოხილვა — დოკუმენტში ჩაწვდომის ყველაზე ღრმა საფეხურია. შედგება რამდენიმე დოკუმენტისაგან. მიმოხილვის შედგენა მოითხოვს სპეციალისტის შემოქმედების მნიშვნელოვან დონეს. მიმოხილვაში შეიძლება იყოს ინფორმაცია, რომელიც არ არის დოკუმენტში. მიმოხილვაში ინფორმაციის სინთეზია, მიმოხილვის ავტორი გაიაზრებს დოკუმენტის შინაარსს და აკეთებს გარკვეულ დასკვნებს.

## § 5. რა არის სასიგნალო საპატენტო ინფორმაცია?

სასიგნალო საპატენტო ინფორმაცია ეწოდება რეგისტრირებულ პატენტებში და საავტორო მოწმობებში აღწერილ ახალ საგამომგონებლო წინადადებებზე შედგენილ ოპერატიულ და გეგმაზომიერ ინფორმაციას. სასიგნალო ინფორმაცია შეიცავს საავტორო მოწმობებსა და პატენტებზე მხოლოდ მინიმალურ მონაცემებს და დაწვრი-



ლებით არ ხსნის გამოგონების არსს. მისი ამოცანაა მიაწოდოს „სიგნალი“, გაამახვილოს ყურადღება ახალ გამოგონებებზე. გამოგონების დაწვრილებით გაცნობისათვის მიმართავენ სრულ საპატენტო აღწერილობას — საავტორო მოწმობისა და პატენტის აღწერილობას.

სასიგნალო საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის საპატენტო უწყებათა პერიოდული გამოცემები.

სასიგნალო საპატენტო გამოცემები გვხვდება სხვადასხვა სახით, ზოგიერთ გამოცემაში მოცემულია გამოგონების აღწერილობის მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ელემენტები, ზოგიერთში კი ქვეყნდება ნახაზებით ილუსტრირებული გამოგონების ფორმულა ან პუბლიკაციები გამოგონების დაწვრილებითი რეფერატის სახით.

§ 6. რა ძირითად სასიგნალო საკატეგორიო საინფორმაციო გამოცემებს ახორციელებს საკატეგორიო ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტი საბჭოთა და საზღვარგარეთის გამოგონებაზე?

ამჟამად სასიგნალო ინფორმაცია საბჭოთა გამოგონებებზე გამოდის სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალური ბიულეტენის სახით, რომელსაც ეწოდება „აღმოჩენები, გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები“. ბიულეტენი გამოდის 1924 წლიდან. 1959 წლამდე ყოველწლიურად გამოდიოდა 12 ნომერი, 1959—1967 წწ. — 24, 1968—1972 წწ. — 36, 1973 წლიდან — 48 (თვეში ოთხი ნომერი). გამოგონებებზე — სსრ კავშირში გაცემულ საავტორო მოწმობებსა და პატენტებზე პუბლიკაციების გარდა, ბიულეტენში 1959 წლიდან მოთავსებულია ოფიციალური ცნობები აღმოჩენებზე, 1967 წლიდან — სამრეწველო ნიმუშებზე, 1963 წლიდან — სასაქონლო ნიშნებზე.

ბიულეტენში მასალების გამოქვეყნების ვადაა 3—5 თვე სახელმწიფო რეესტრში გამოგონებების რეგისტრაციის დღიდან.

ბიულეტენისათვის „აღმოჩენები, გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები“ ქვეყნდება წლიური საძიებელი, რომელიც შეიცავს: გამოგონებებზე საავტორო მოწმობებისა და პატენტების, აგრეთვე სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების მოწმობების სისტემატურ საძიებლებს, გამოგონებებზე საავტორო მოწმობებისა და პატენტების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების ნუმერაციულ საძიებლებს; გამოგონებებზე საავ-

ტორო მოწმობასა და პატენტზე განაცხადების ნუმერაციულ საძიებელს: უცხოური ფირმებისა და ორგანიზაციების გამოგონებებზე პატენტების განმცხადებლების ვინაობის საძიებელს; გამოგონებებზე მოქმედება შეწყვეტილი პატენტების ნუმერაციულ საძიებელს; გამოგონებათა ავტორების ვინაობის საძიებელს.

საპატენტო ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აქვეყნებს 20-ზე მეტი ქვეყნის გამოგონებებზე და აგრეთვე საზღვარგარეთის იმ ქვეყნების გამოგონებებზე ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას, რომლებზედაც სსრ კავშირის პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვანი ოდენობა მოდის.

საპატენტო ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1963 წლიდან დაიწყო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოგონებებზე რეფერატული ინფორმაციის გამოცემა აშშ-ის საპატენტო ბიულეტენის თარგმანის სახით. შემდეგ წლებში გამოიცა გფრ-ის (1964 წ.), დიდი ბრიტანეთის (1965 წ.), იაპონიისა (1968 წ.) და საფრანგეთის (1970 წ.) საპატენტო ბიულეტენის თარგმანები. 1972 წლიდან აღნიშნული ინსტიტუტის აშშ-ის, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და საფრანგეთის ბიულეტენების რუსულ ენაზე ცალ-ცალკე გამოცემების ნაცვლად აქვეყნებს საპატენტო ბიულეტენების გაერთიანებულ გამოცემას — „იზობრეტენია ზა რუბეჟომ“, ხოლო 1978 წლიდან დასახელებით „იზობრეტენია ვ სსრ ი ზა რუბეჟომ“.

## § 7. სად უმიაღება გავაცნოთ საპატენტო დოკუმენტაციას?

ჩვენი რესპუბლიკის საპატენტო დოკუმენტაციის ცენტრალური საცავია საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილი და სისტემატიზებულია ტერიტორიული საპატენტო ფონდი.

სსრ კავშირში გაცემული საავტორო მოწმობებისა და საპატენტო აღწერილობების გაცნობა შეიძლება აგრეთვე კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

§ 8. რა არის ტერიტორიული და დარგობრივი საპატენტო ფონდები  
და როგორია მათი დანიშნულება?

ტერიტორიული საპატენტო ფონდები დირექტიული ორგანიზაციის მიზნებით შექმნილია სსრ კავშირის მსხვილ ეკონომიკურ რაიონებში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში. ტერიტორიული საპატენტო ფონდის ძირითადი დანიშნულებაა საპატენტო ინფორმაციით უზრუნველყოს მოცემული ეკონომიკური რაიონის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც არა აქვთ თავისი ფონდები ან დაცვებული არიან დარგის მოთავე ორგანიზაციებისაგან. ტერიტორიული საპატენტო ფონდებით სარგებლობენ გამომგონებლები, აგრეთვე სპეციალისტები. რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ტერიტორიული საპატენტო ფონდები წარმოადგენენ საკავშირო საპატენტო-ტექნიკური ბიბლიოთეკის საპატენტო დოკუმენტაციის ფონდის დუბლირებას, ფონდები კომპლექტდება განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების და აგრეთვე იმ ქვეყნების საპატენტო დოკუმენტაციის ფონდებით, რომლებშიც უპირატესად გადის სამამულო საექსპორტო პროდუქცია.

დარგობრივი საპატენტო ფონდი — ეს სახალხო მეურნეობის რომელიმე ერთი დარგის (ან რამდენიმე მონათესავე დარგის) საპატენტო დოკუმენტაციის კრებულია. დარგობრივი საპატენტო ფონდები შექმნილია ბევრ სამინისტროში, საშენიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციაში, ქვეყნის მსხვილ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ტერიტორიული და დარგობრივი საპატენტო ფონდები განკუთვნილია საწარმოთა, ორგანიზაციების, ცალკეული გამომგონებლების საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებისათვის. მისი საშუალებით შესაძლებელია:

ა) შესწავლილ იქნეს მსოფლიოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, განვითარების პერსპექტივები და ტენდენციები ტექნიკის სხვადასხვა სფეროში;

ბ) შემოწმდეს სიახლე პატენტუნარიანობაზე და გამომგონება საპატენტო სიწმინდეზე, საშენიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშაობის სხვადასხვა სტადიაზე;

გ) შემოწმდეს საპატენტო სიწმინდეზე საზღვარგარეთისათვის ექსპონირებული მანქანები, იარაღები, ხელსაწყოები, მასალები და ტექნოლოგიური პროცესები;

დ) შეირჩეს მნიშვნელოვანი სამამულო და უცხოური გამოგონებები სახალხო მეურნეობაში დასაწერგავად;

ე) ლიცენზიების შესყიდვა და გასაღების ეფექტური მუშაობა.

#### § 9. რა არის საპატენტო აღწერილობა?

ეს ისეთი გამოგონების აღწერილობაა, რომელზეც დამცველი დოკუმენტის სახით გაცემულია პატენტი. ლიტერატურაში ხშირად საავტორო მოწმობის და პატენტის აღწერილობას უწოდებენ საპატენტო აღწერილობას. საპატენტო აღწერილობაში გამოგონების არსი განხილია ისეთი სისრულით და კონკრეტულობით, რომ ეს გამოგონება შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ცნობების გარეშე. კონსტრუქციული სახის აღწერილობას ჩვეულებრივ ერთეის ნახაზები.

#### § 10. არსებობს თუ არა ყველა მკვანისათვის საპატენტო აღწერილობის შედგენის ერთიანი წესი?

ასეთი ერთიანი წესი არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულია საპატენტო აღწერილობის შედგენის სხვადასხვა წესი. გამონაკლისს წარმოადგენს ქვეყნები, რომლებიც შედიან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში. როგორც ცნობილია, აღნიშნულ საბჭოში შემავალმა ქვეყნებმა 1965 წლიდან უნიფიცირებული გახადეს პატენტებისა და საავტორო მოწმობების აღწერილობების შედგენის წესები.

#### § 11. რა ძირითადი ნაწილებიდან შედგება საპატენტო აღწერილობა?

საპატენტო აღწერილობის ძირითადი ნაწილებია: ბიბლიოგრაფიული ნაწილი, საკუთრივ აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები ან ნახატები, მიმთითებელი მონაცემები. ბიბლიოგრაფიული ნაწილი და საკუთრივ აღწერილობა აუცილებლად არის ყველა ქვეყნების საპატენტო აღწერილობებში. სხვა ნაწილები შეიძლება არ იყოს.

§ 12. რა ცნობები საპატენტო აღწერილობის ბიბლიოგრაფიულ ნაწილში?

აღწერილობის ბიბლიოგრაფიული ნაწილი შეიცავს: ქვეყნის დასახელებას, რომელმაც გასცა საავტორო მოწმობა ან პატენტი, საპატენტო უწყების დასახელებას, ნამდვილი გამომგონებლის (ან რამდენიმე გამომგონებლის) გვარს, ცნობებს გამომგონებლის ქვეშევრდომობის შესახებ და მის მისამართს, პატენტის იურიდიულ მფლობელზე მითითებას, გამომგონების დასახელებას, საავტორო მოწმობის ან პატენტის ნომერს, საკლასიფიკაციო ინდექსებს (ინდექსს), სხვადასხვა თარიღებს, რომლებიც დაკავშირებულია გამომგონებაზე განაცხადის შეტანის ფაქტთან და გამომგონების რეგისტრაციასთან. ზოგიერთი ამ ელემენტებიდან ცალკეული ქვეყნის საპატენტო აღწერილობებში შეიძლება არც იყოს. სხვადასხვა აგრეთვე ბიბლიოგრაფიული ელემენტების განლაგების წესი.

§ 13. საპატენტო აღწერილობების ნუმერაციის როგორი სისტემა არსებობს?

არის ნუმერაციის ორი სისტემა — მიმდინარე, რომელიც გრძელდება წლიდან წლამდე, და მეორე — წლიური სისტემა, რომელიც ყოველ წელს იწყება № 1-ით. ამჟამად მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები იყენებენ პატენტების ნუმერაციის მიმდინარე სისტემას.

§ 14. შეიძლება თუ არა პატენტის ნომრით განვსაზღვროთ ჰვეანა, რომელშიც ის გაიცა?

სხვადასხვა ქვეყნებში გაცემული პატენტების რიცხვი სხვადასხვაა. ამიტომ პატენტის ნომერი ხშირად შეიძლება გვემსახუროს ქვეყნის განსაზღვრისათვის, რომელმაც გასცა პატენტი.

მაგალითად, საჭიროა მოიძებნოს პატენტი № 3.900.000, ამასთან ცნობილი არ არის რომელ ქვეყანაშია ის გაცემული. ჩვენ ვიცით, რომ აშშ-ში პატენტები ამჟამად აღწევს ოთხ მილიონამდე, საფრანგეთში და გფრ-ში — აღემატება ორ მილიონს, ინგლისში მილიონ ნახევარს აღწევს, ხოლო იტალიასა და ბელგიაში — ერთ მილიონამდეა. ჩვენს ქვეყანაში გაცემულია უკვე 600 000-მდე საავ-

ტორო მოწმობა და პატენტი. ამრიგად, ჩვენს მოყვანილ მაგალითში, პატენტის ნომრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის, ალბათ, გასცა აშშ-ის საპატენტო უწყებამ.

#### § 15. როგორი თარიღები აღინიშნება საპატენტო აღწერილობაზე?

თარიღების ოდენობა და მნიშვნელობა, რომელსაც შეიცავს საპატენტო აღწერილობების ბიბლიოგრაფიული ნაწილი, დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყანაში მიღებულ საპატენტო სამართლის თავისებურებაზე. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საპატენტო აღწერილობებზე, როგორც წესი, აღინიშნება განცხადების თარიღი, რომელიც ადასტურებს გამოგონების პრიორიტეტს. ზოგჯერ ის შეიძლება ემთხვეოდეს თარიღს, რომლიდანაც გამოითვლება პატენტის მოქმედების ვადა.

პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში საპატენტო აღწერილობებზე პატენტის გამცემი ქვეყნის პრიორიტეტის თარიღთან ერთად აღინიშნება კონვენციური პრიორიტეტიც. ზოგჯერ ეს თარიღებიც ემთხვევა ერთიმეორეს. მაგალითად, სსრ კავშირში გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში გამოგონებაზე შეტანილი განაცხადის თარიღი და კონვენციური პრიორიტეტის თარიღი ერთი და იგივეა.

ზოგიერთ შემთხვევაში საპატენტო აღწერილობებზე აღინიშნება განაცხადის გამოქვეყნების თარიღი, პატენტის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი და სრული აღწერილობის გამოქვეყნების თარიღი.

#### § 16. გამოგონებათა კლასიფიკაციის რა სისტემა გამოიყენება სსრ კავშირში და როგორია მისი სტრუქტურა?

სსრ კავშირში გაცემულ საავტორო მოწმობებსა და საპატენტო აღწერილობებზე აღნიშნულია ორი საკლასიფიკაციო სისტემის ინდექსები: გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციისა და უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციისა.

გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემა ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (ძირითადი ან დამა-

ტებითი სახით). სისტემას საფუძვლად უდევს ფუნქციონალურ-დარგობრივი პრინციპი.

გამოგონებათა კლასიფიკაციის საერთაშორისო სისტემა მოიცავს მატერიალური წარმოების ყველა სფეროს; ყოფს მათ 8 ნაწილად, რომლებიც ატარებს პირობით სახელწოდებებს და აღინიშნება ლათინური ანბანის მთავრული ასოებით: A — ადაპიანის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; B — სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესი და ტრანსპორტი; C — ქიმია და მეტალურგია; D — ქსოვილი, ქაღალდი; E — მშენებლობა; F — გამოყენებითი მექანიკა, განათება, გათბობა, ძრავები და სამუშაო მანქანები; იარაღი და საბრძოლო მასალა; G — ფიზიკა; H — ელექტრონიკა.

თითოეული ნაწილი იყოფა კლასებად და აღინიშნება ნაწილის ინდექსით და ორი არაბული ციფრით, მაგალითად, A 01, A 02, A 03 და ა. შ.

ამრიგად, თითოეული ნაწილი ამგვარი ინდექსაციით შეიძლება შეიცავდეს 99 კლასს.

კლასები თავის მხრივ იყოფა ქვეკლასებად და აღინიშნება ლათინური ანბანის თანხმოვანი მთავრული ასოებით. მაგალითად, A 01 B; C 23F; F 16L და ა. შ.

ქვეკლასები იყოფა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. ჯგუფები აღინიშნება კენტი რიცხვებით, ხოლო ქვეჯგუფები — ლუწი რიცხვებით.

გამოგონების აღწერილობის სრული საკლასიფიკაციო ინდექსი უნდა შეიცავდეს ნაწილის, კლასის, ქვეკლასის, ჯგუფისა და ქვეჯგუფის აღნიშვნას. მაგალითად, D 03 D 47/40; F 16 K 19/04; G 03 B 17/28 და ა. შ.

§ 17. გამოგონებათა როგორი კლასიფიკაციები არსებობს?  
რა სისტემით არის განლაგებული სამაშულო გამოგონებათა აღწერილობები ჩვენი რესპუბლიკის საპატენტო ფონდში?

აქამად ყველაზე გავრცელებულ საპატენტო კლასიფიკაციის სისტემას წარმოადგენს გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია. ზოგიერთ ქვეყანას აქვს საპატენტო კლასიფიკაციის თავისი

ნაციონალური სისტემა. მაგალითად, ცნობილია გერმანული, ამერიკული, ინგლისური, იაპონური და სხვა საპატენტო კლასიფიკაციის სისტემები. 1971 წლიდან სსრ კავშირში გაცემულ საავტორო მოწმობებსა და საპატენტო აღწერილობებზე აღნიშნულია გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსი, როგორც ძირითადი (ამ დრომდე — 1962 წლიდან აღინიშნებოდა, როგორც დამატებითი).

ჩვენი რესპუბლიკის საპატენტო დოკუმენტაციის ფონდი — სსრ კავშირში გაცემული საავტორო მოწმობები და პატენტები, რომლებიც დაცულია გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკასა და კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, დამუშავებული და განლაგებულია გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემით. რომელიმე თემის აღნიშნული კლასიფიკაციის საკლასიფიკაციო ინდექსის დადგენისათვის უნდა ვისარგებლოთ გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ანბანურ-საგნობრივი საძიებლებით და კლასიფიკატორებით.

#### § 18. რა არის უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია და როგორია მისი სტრუქტურა?

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ყველა ორგანოსათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წ. 11 მაისს სპეციალური დადგენილებით, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის უკეთ ორგანიზაციის მიზნით, დადგენილია, რომ მთელი სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყოს საცნობარო-საინფორმაციო ფონდებში ინდექსირებული საერთაშორისო უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. ინდექსირებას ექვემდებარება ყველა ბეჭდური სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტი და საინფორმაციო ბარათი და, რასაკვირველია, საპატენტო აღწერილობებიც.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემას, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, საფუძვლად უდევს დაყოფის კლასიფიკაციის ათწილადობის პრინციპი. ადამიანის ცოდნის ყველა დარგი აღებულია როგორც ერთი მთელი და დაყოფილია ათ ძირითად განყოფილებად, შემდეგ თითოეული განყოფილება თავის მხრივ კიდევ იყოფა ათ ქვეგანყოფილებად, თითოეული ქვეგანყოფილება



ათ ჭგუფად, თითოეული ჭგუფი — ათ ქვეჯგუფად და ა. შ. დაყოფა შეიძლება ვაწარმოოთ უსასრულოდ.

ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილები შეიცავს თითოეული ინდექსის აზრობრივი მნიშვნელობის გაშიფვრას. ძირითადი განყოფილებები აღნიშნულია ერთნიშნა არაბული ციფრებით — დაწყებული 0-დან დამთავრებული 9-ით. ათი ძირითადი განყოფილება შემდეგია: 0. საერთო განყოფილება; 1. ფილოსოფია; 2. რელიგია; 3. საზოგადოებრივი მეცნიერებანი, სამართალი, მართვა; 4. დროებით თავისუფალია; 5. მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 6. გამოყენებითი მეცნიერებები, მედიცინა, ტექნიკა; 7. ხელოვნება, გამოყენებითი ხელოვნება, თამაშები, სპორტი; 8. ფილოსოფია, ენათმეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა; 9. მხარეთმცოდნეობა, გეოგრაფია, ბიოგრაფიები, ისტორია.

თითოეული განყოფილება, როგორც აღვნიშნეთ, იყოფა ათ ქვეგანყოფილებად. მაგალითად: 5. მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებად:

51. მათემატიკა; 52. ასტრონომია, გეოდეზია; 53. ფიზიკა; 54. ქიმია, კრისტალოგრაფია, მინერალოგია; 55. გეოლოგია, გეოლოგიური და გეოფიზიკური მეცნიერებანი; 56. პალეონტოლოგია; 57. ბიოლოგიური მეცნიერებანი; 58. ბოტანიკა; 59. ზოოლოგია.

ამდაგვარი პრინციპი საშუალებას გვაძლევს ათწილად კლასიფიკაციაში ცნებები დავყოთ ზოგადიდან ვიწრო სპეციალობამდე, მაგალითად: 6. გამოყენებითი მეცნიერებები, მედიცინა, ტექნიკა; 62. საინჟინრო საქმე, ტექნიკა; 624. მიწისქვეშა მშენებლობა; 624. 1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა, მიწის სამუშაოები, ფუძეებისა და საძირკელების მოწყობა, გვირაბების მშენებლობა; 624. 13. მიწის ნაგებობები; 624.131. გრუნტების მექანიკა, გრუნტმცოდნეობა, ტექნიკური და ეკონომიკური მოსამზადებელი სამუშაოები; 624. 131. 4. გრუნტების თვისებები; 624. 131. 43. გრუნტის ფიზიკური და მექანიკური თვისებები; 624. 131. 439; გრუნტების მექანიკური დახასიათებები; 624. 131. 439. 4. სიმტკიცე კუმშვისას.

როგორც მაგალითიდან ჩანს, რაც უფრო ვიწროა ცნება, მით უფრო გრძელია მისი ინდექსი.

ათწილად კლასიფიკაციაში ყველა ცნება იყოფა ძირითად და დამხმარე ცნებებად. ძირითადი ცნებები აღინიშნება ინდექსებით, რომლებიც განლაგებულია ცხრილებში სისტემატური რიგით. დამხმარე ცნებებს ეწოდება განმსაზღვრელები. ისინი გამოხატავენ

ნიშან-თვისებებს, დამახასიათებელ თავისებურებებს, პარამეტრებს, ძირითადი საგნის ცალკეულ თვისებებს და აღნიშნებიან სპეციალური ნიშნებით, კერძოდ, არაბული ციფრებითა და გამოსაცნობი ნიშნებით (წერტილი, ფრჩხილები, ბრჭყალები, აპოსტროფი). განმსაზღვრელი ორი სახისაა — საერთო და სპეციალური. განმსაზღვრელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი გამოსაცნობი ნიშნების მიხედვით შედიან ძირითად ინდექსში.

ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც ინდექსირებულია ძირითადი ინდექსით და განმსაზღვრელებით, შემდეგი სახე აქვს: მაგალითად, წიგნს „ავტომობილების რემონტი“, აქვს ინდექსი 629. 113. 004. 67. აქ 629. 113. — ძირითადი ინდექსია, აღნიშნავს ავტომობილს, ხოლო 004. 67. რემონტის აღმნიშვნელი საერთო განმსაზღვრელია. წერტილი, ორი ნული — თვალსაზრისის საერთო განმსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანია.

ქრონოლოგიური განმსაზღვრელები ასევე საერთო განმსაზღვრელებს მიეკუთვნება. მისი საშუალებით შეიძლება გამოიხატოს წელი, რიცხვი, თვე, აწყმო, მომავალი, წარსული, პროგნოზი და ა. შ.

მაგალითად, სტატია-მიმოხილვის „მომავლის ავეჯის“ ინდექსია 684. „313“, სადაც 684 ძირითადი ინდექსია, აღნიშნავს ავეჯის წარმოებას, „313“ — ქრონოლოგიური ინდექსია, და აღნიშნავს მომავალს. ქრონოლოგიური განმსაზღვრელების გამოსაცნობი ნიშანია — სტრიქონზედა ბრჭყალები.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროების ფორმებია წიგნები, საყურნალო სტატიები, დისერტაციების ავტორეფერატები, საავტორო მოწმობების და პატენტების აღწერილობები, ტექნიკური პირობები, სტანდარტები და ა. შ. სხვადასხვა სახის გამოცემების აღნიშვნისათვის ასევე გამოიყენება საერთო განმსაზღვრელები. მათი გამოსაცნობი ნიშანია ფრჩხილები, ნული. მაგალითად, საავტორო მოწმობები, გარდა ძირითადი ინდექსისა, აღნიშნება განმსაზღვრელით (088. 8), რომელიც აღნიშნავს პატენტს, საავტორო მოწმობას.

ხშირად გამოიყენება საერთო გეოგრაფიული განმსაზღვრელები ან ადგილის განმსაზღვრელები სხვადასხვა ქვეყნის, ოლქების, ქალაქების, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა აღსანიშნავად. მაგალითად, სტატიას „ტრაქტორები მთიან პირობებში მუშაობისათვის“ ექნება ინდექსი 629. 114. 2 (23).

ციფრი ფრჩხილებში აღნიშნავს მთებს. იგი გეოგრაფიული მსაზღვრელების გამოსაცნობი ნიშანია.

საერთო განმსაზღვრელების გარდა ათწილად კლასიფიკაციაში გამოიყენება სპეციალური მსაზღვრელები, რომლებიც გარკვეული მნიშვნელობით სპეციალურად მხოლოდ ერთ განყოფილებაში ან ქვეგანყოფილებაში იხმარება (სხვა განყოფილებაში მას სულ სხვა მნიშვნელობა ექნება). ისინი ჩვეულებრივ მოყვანილია სოლმე იმ განყოფილებაში, რომელშიც გამოიყენება. სპეციალური განმსაზღვრელები გვხვდება კელექტროტექნიკის, სამთო მრეწველობის, მანქანათა მშენებლობის და სხვა განყოფილებებში. ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში ისინი გამოყოფილია მარცხნიდან ვერტიკალური შავი ხაზით. სპეციალური განმსაზღვრელების გამოსაცნობი ნიშნებია დეფისი და წერტილი და ნული.

ცნებებს შორის სხვადასხვა აზრობრივი კავშირების განსაზღვრისათვის ათწილად კლასიფიკაციაში გამოიყენება მათემატიკური ნიშნები: +, :, / ყველაზე ღშირად გამოიყენება ათწილადი კლასიფიკაციის რამდენიმე ინდექსის ერთიმეორესთან შეერთების ნიშანი — მიმართების ნიშანი (:) იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის მსაზღვრელია, აკავშირებს ორ საგანს, მეცნიერების ორ დარგს ან ორ საკითხს; დაისმის ორ ინდექსს შორის. მიმართების განმსაზღვრელი იხმარება, როდესაც ინფორმაციის წყაროში მოცემულია დამოკიდებულება ორ დისციპლინას ან ორ საკითხს შორის ან ერთი საგანი, ერთი საკითხი განხილულია მეორე დარგის თვალსაზრისით. მაგალითად, წიგნს „გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება სამთო მრეწველობაში“ აქვს ინდექსი 622:681.3 (სამთო მრეწველობა გამოთვლითი ტექნიკის მიმართებაში).

ნიშანი + (იკითხება როგორც „და“) მიმატების მსაზღვრელია და გამოიყენება ორი და მეტი ინდექსის შესაერთებლად. იგი მიგვითითებს, რომ დოკუმენტის წყაროს ძირითადი საგანი ორი, სამი ან მეტი საკითხია. მაგალითად, წიგნი „თეორიული და გამოყენებითი ქიმიკა“ მიიღებს ინდექსს 54 + 66, სადაც 54 თეორიული ქიმიკა, 66 — გამოყენებითი ქიმიკა.

გავრცელების ნიშანი / (ირიბი ხაზი) იკითხება როგორც „აქედან — აქამდე“ და გამოიყენება რამდენიმე ცნების აღმნიშვნელად. ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში აღნიშნავენ მიმდევრობითი რიგის ინდექსებს; მაგალითად, 621, 37/39 — რადიოელექტრონიკა,

სადაც 621. 37 განსაზღვრავს ელექტრული და ელექტრომაგნიტური რხევების ტექნიკას, რადიოტექნიკას, 621. 38 — ელექტროტექნიკას, 621. 39 — ელექტროკავშირის ტექნიკას, ტელემართვას.

აპოსტროფის ნიშანს ('—სტრიქონზედა ნიშანი მძიმის სახით ეწოდება სინთეზის, გაერთიანების ნიშანი; გამოიყენება ათწილადი კლასიფიკაციის მხოლოდ ზოგიერთ განყოფილებებში სრულიად ახალი ცნებების მისაღებად. მაგალითად, ცნება „კალიუმციანიდი“ აღინიშნება ინდექსით 546. 32' 267, სადაც 546.32 კალიუმია. 546.267 ციანიდური მეტალები.

ათწილადი კლასიფიკაციის აუცილებელ სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს ბოლოში მოთავსებული ანბანურ-საგნობრივი საძიებელი. ანბანურ-საგნობრივ საძიებელში გაშუქებულია ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში მოთავსებული ყველა ძირითადი ცნება. ანბანურ-საგნობრივი საძიებელი წარმოადგენს დამხმარე აპარატს — გასაღებს, რომელიც აადვილებს ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში საჭირო ინდექსის მოძებნას, აგრეთვე აადვილებს ინფორმაციის ძიებას. ბიბლიოთეკებში და საინფორმაციო ორგანოებში კარტოთეკების და კატალოგების ანბანურ-საგნობრივი საძიებლები ჩვეულებრივ ბარათული სახისაა.

როგორ მოიძებნოს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით ორგანიზებულ ფონდში აუცილებელი ინფორმაცია?

თავდაპირველად საძიებლის მიხედვით იძებნება საჭირო ცნება. მოძებნილ ბარათზე ნაჩვენებია მოცემული ცნების შესაბამისი უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ინდექსი. შემდეგ კარტოთეკაში ან კატალოგში იძებნება გამყოფი ამ ინდექსით, გამყოფის უკან ნახულობენ საჭირო ინფორმაციის წყაროებს. პირველად წყაროს პოულობენ ფონდში იმავე უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ინდექსით ან ინვენტარული ნომრით.

ამჟამად ზოგიერთ საინფორმაციო ორგანოსა და ბიბლიოთეკაში, რომ გაუადვილონ მკითხველებს ინფორმაციის ძიება უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, ეს პროცესი მექანიზებულია.

გ. მიქელაძის სახელობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში 1971 წლიდან შექმნილი მთავარი საცნობარო კარტოთეკა შეიცავს ცენტრალიზებული გზით შერჩევით რეფერირებულ ან ანოტირებულ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროებს. აღნიშნულ საცნობარო აპარატში წარმოდგენილია მსოფლიოში გაცემული მნიშვნელოვანი გამოგონებებიც.

კარტოთეკაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ყველა სახე

თავმოყრილია ერთად და განლაგებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. ეჭვს არ იწვევს, რომ საერთო ტექნიკური, სარეკლამო-ტექნიკური და საპატენტო ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ მხოლოდ ერთობლივ ცნობებს შეუძლიათ უზრუნველყონ სრულფასოვანი საპატენტო გამოკვლევების ჩატარება და შესაძლებლობას იძლევიან განისაზღვროს საგარეო ბაზარზე კონკურენციისუნარიან სამუშაოთა მიმართულებანი ახალი ტექნიკის შექმნისას. აღნიშნული კარტოთეკა დიდ სამსახურს უწევს საწარმოებსა და დაწესებულებებს როგორც საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებაში, ასევე ადგილებზე მაპროფილებელი დარგის საცნობარო აპარატის შექმნაში.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით სისტემატიზებული საცნობარო-საინფორმაციო ფონდებში ორიენტირება რომ გაადვილდეს, აუცილებელია დაინტერესებული სპეციალისტი გაეცნოს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სტრუქტურას და მისი გამოყენების წესებს.

§ 19. როგორ უნდა განვსაზღვროთ გამოგონების აღწერილობის საკლასიფიკაციო ინდექსი. თუ ვიცით აქვანა, რომელმაც გასცა პატენტი და პატენტის ნომერი?

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიულ საპატენტო ფონდში საპატენტო აღწერილობები განლაგებულია ამა თუ იმ ქვეყნის შესაბამისი გამოგონებათა კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით. აღნიშნული აღწერილობებისათვის ბიბლიოთეკაში შექმნილია ნუმერაციული წიგნები. თუ ვიცით ქვეყანა, რომელმაც გასცა პატენტი და პატენტის ნომერი, შესაბამის ნუმერაციულ წიგნში მოიძებნება ნომერი, რომლის გასწვრივ აღნიშნულია მისი საკლასიფიკაციო ინდექსი.

§ 20. რა სახის რატროსაკმატული და მიმდინარე გამოცემებია და როგორ უნდა ვისარგებლოთ აშშ-ის, გფრ-ის და იაპონიის საპატენტო დოკუმენტაციით?

კაპიტალისტური ქვეყნების პატენტები — გამოგონებათა აღწერილობები ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიულ საპატენტო ფონდში. რომელიც თავმოყრალია და სისტემატიზებულია გ. მიქელაძის საბე-

ლობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში, წარმოდგენილია მიკროფოტოპირების სახით.

აშშ-ის პატენტების გამოგონებათა აღწერილობები აღნიშნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 1935 წლიდან.

სხვადასხვა სახით საპატენტო გამოკვლევის ჩატარებისას აუცილებელია გამოვიყენოთ საპატენტო ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („ენიიპი“) გამოცემები.

1963—1971 წლებში აღნიშნული ინსტიტუტი გამოსცემდა აშშ-ის საპატენტო ბიულეტენის — „Official Gazette“ (ოფიციალური გაზეთი) თარგმანს რუსულ ენაზე (1963—1965 წლებში ეს გამოცემები ბარათების სახით იყო, 1966—69 წლებში გამოდიოდა კომპლექტის სახით და შედგებოდა სამი ნაწილისაგან: „საერთო საკითხები და მანქანათმშენებლობა“, „ქიმია“, „ელექტროტექნიკა და რადიოტექნიკა“, 1970—71 წლებში იყო რვა გამოცემა გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის რვა განყოფილების მიხედვით).

1972 წლიდან რუსულ ენაზე აშშ-ის საპატენტო ბიულეტენის მასალები ქვეყნდება გაერთიანებულ გამოცემაში — „გამოგონებები და საზღვარგარეთ“. თითოეული პუბლიკაცია გამოგონებებზე შეიცავს ძირითად ბიბლიოგრაფიულ ცნობებს (პატენტის ნომერს, გამოგონების დასახელებას, გამომგონებლის გვარს და სახელს, მონაცემებს მის საცხოვრებელ ადგილზე, პატენტის მფლობელის დასახელებას და ადგილსამყოფელს, განაცხადის თარიღს და ნომერს, გამოგონების ფორმულაში პუნქტების რაოდენობას, ნაციონალური კლასიფიკაციისა და გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსს, რეფერატსა და ძირითად ნახაზს). რამდენადაც მასალები გამოცემაში განლაგებულია გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციით, მის ბოლოში მოყვანილია გამოგონებათა ნაციონალური კლასიფიკაციის სისტემური საძიებლები, რაც აადვილებს ამ გამოცემებით მუშაობას.

საცნობარო-საძიებო აპარატის სახით აშშ-ში საპატენტო ბიულეტენისათვის გამოცემულია რიგი წლიური საძიებლები, კერძოდ, აშშ-ის გამომგონებელთა და პატენტის მფლობელთა საძიებელი (1964—1972 წწ.); აშშ-ის პატენტებზე პირველადი განაცხადების ნუმერაციული საძიებელი (1963—1973 წწ.); აშშ-ის პატენტების ნომრების სისტემატური საძიებელი აშშ-ის საპატენტო კლასიფიკაციის მიხედვით (1964—1972 წწ.). 1973 წელს გამოიცა აშშ-ში 1963-1971

წლებში გაცემული პატენტებისათვის პატენტანალოგების საძიებელი.

„ოფიციალური გაზეთის“ მასალების მიხედვით გამოდიოდა საცნობარო-საინფორმაციო ბიულეტენი აშშ-ში პატენტების მოქმედ ფონდში ცვლილებების შესახებ (1964—1972.) .

აშშ-ის პატენტების რეფერირებას რუსულ ენაზე ახორციელებს აგრეთვე სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტი („ვინიტი“). აღნიშნული რეფერატები ქვეყნდება „რეფერატულ ჟურნალებში“.

აშშ-ის პატენტების ფონდისათვის გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში არის ნუმერაციული წიგნები, რომელთა საშუალებითაც ტარდება ნუმერაციული ძიება. თუ ვიცით პატენტის ნომერი, ვადგენთ მის ნაციონალურ საკლასიფიკაციო ინდექსს, რომლის მიხედვითაც განლაგებულია გამოგონებათა აღწერილობების ფონდი, თავისი საცნობარო სისტემატური კარტოთეკით.

თემატური ძიება აღნიშნულ ფონდში საჭიროა დავიწყოთ ჩვენთვის საჭირო თემის შესატყვისი აუცილებელი კლასების განსაზღვრით. კლასების დადგენის შემდეგ წლიური სისტემატური საძიებლების საშუალებით ვადგენთ ჩვენთვის საინტერესო პატენტების ნომრებს, რომლის შემდეგ ვეცნობით ბიულეტენში „Official Gazette“ გამოგონებათა აღწერილობების რეფერატებს ან ტერიტორიულ საპატენტო ფონდში არსებულ სრულ გამოგონებათა აღწერილობებს. ამ სახის ძიების ჩატარებისას აუცილებელია გამოვიყენოთ აგრეთვე აშშ-ის პატენტების შემაჯამებელი სისტემატური საძიებელი.

გვარისა და სახელის (საფირმო) ძიება ხდება აშშ-ის გამომგონებელთა და პატენტმფლობელთა წლიური საძიებლებით. როცა მოიძებნება და დადგინდება გამომგონებლის გვარი ან ფირმის დასახელება და პატენტის ბიბლიოგრაფიული მონაცემები, შემდგომ ხდება გამოგონებათა აღწერილობების რეფერატების გაცნობა ბიულეტენში „Official Gazette“ ან გამოგონებათა აღწერილობების ფონდში.

თუ აშშ-ის პატენტები დაცულია გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში, რეფერატული გამოცემები არის როგორც რესპუბლიკის მსხვილ ბიბლიოთეკებში, ისე მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებების საინფორმაციო ქვეგანყოფილებებში მოღვაწეობის იმ პროფილის მიხედ-

დვით, რომელსაც ემსახურება ორგანიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური ან საპატენტო ქვეგანყოფილების საინფორმაციო ორგანო.

გფრ-ის გამოგონებათა აღწერილობების ფონდი გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 1951 წლიდან.

გფრ-ის საპატენტო დოკუმენტაციით მუშაობისათვის „ვნიიპი“ 1964—1970 წლებში გამოსცემდა ბიულეტენის — „ამონაწერები გფრ-ის საპატენტო განაცხადებიდან“ — მასალების თარგმანს რუსულ ენაზე; მასში ქვეყნდებოდა ცნობები განაცხადებზე, რომლებმაც გაიარა ექსპერტიზა.

1968—1970 წლებში გამოიკვმოდა ბიულეტენის „Auszüge aus den Offenlegungsschriften“ — „საყოველთაო გაცნობისათვის გაბოტანილი გფრ-ის საპატენტო განაცხადების“ რუსული თარგმანი, რომელშიც ასახული იყო ცნობები უექსპერტიზო განაცხადებზე, რომელთაც არ გაუწლიათ ექსპერტიზა.

ორივე ეს გამოცემა 1971 წელს გაერთიანდა და „ვნიიპი“-მ დაიწყო ბიულეტენის — „გფრ-ის საპატენტო განაცხადები“ — გამოშვება, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან. ბიულეტენის I ნაწილში მოყვანილი იყო ცნობები განაცხადებზე, რომლებიც გამოქვეყნდა ექსპერტიზის ჩატარებამდე („Auszüge aus den Offenlegungsschriften“-ის მასალების მიხედვით), II ნაწილში — ცნობები განაცხადებზე, რომლებმაც გაიარეს ექსპერტიზა („Auszüge aus den Offenlegungsschriften“-ის მასალების მიხედვით). ბიულეტენი გამოდიოდა მხოლოდ 1971 წელს. 1972 წლის იანვრიდან ბიულეტენის „Patentblatt“ („ამონაწერები გფრ-ის საპატენტო განაცხადებიდან“) მასალები მოთავსდა გაერთიანებულ გამოცემაში — „გამოგონებები საზღვარგარეთ“.

თითოეული პუბლიკაცია გამოგონებათა შესახებ ამ გამოცემებში შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, გამოგონების ფორმულის პირველ პუნქტს და ძირითად ნახაზს.

სპეციალისტების უფრო სრული ინფორმირების მიზნით გფრ-ში ყველა შეტანილი განაცხადის შესახებ „ვნიიპი“ 1972 წლიდან გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ ბიულეტენს „Auszüge aus den Offen“-ის („საყოველთაო გასაცნობად გამოტანილი გფრ-ის საპატენტო განაცხადები“) მასალების მიხედვით, რომელშიც მოყვანილია განაცხადებზე ბიბლიოგრაფიული ცნობები და გამოგონების დასახელების თარგმანი.



ჩამოთვლილი მასალებისათვის ქვეყნდება რიგი საძიებლები, რომლებიც გვიადვილებენ გამოგონებათა აღწერილობების ძიებას.

სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტი რეფერატულ ყურნალებში საერთო ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად აქვეყნებს გფრ-ის პატენტების აღწერილობების რეფერატებს.

გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში არის გფრ-ის გამოგონებათა აღწერილობების ფონდისათვის ნუმერაციული წიგნები, რომლებშიც მასალები ნომრების ზრდის მიხედვით არის განლაგებული და ნოცემულია თითოეული მათგანის საკლასიფიკაციო ინდექსები.

გფრ-ში განაცხადებისა და პატენტების — გამოგონებათა აღწერილობების თემატური ძიების ჩატარებისას ჯერ განისაზღვრება აუცილებელი საკლასიფიკაციო ინდექსები, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ „სსრ კავშირის გამოგონებათა კლასების საძიებელი“ და ამ საძიებლის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

აუცილებელ გამოგონებათა აღწერილობების შერჩევისათვის შეიძლება გამოვიყენოთ განხილვაზე გამოტანილი გამოქვეყნებულა განაცხადების და გაცემული პატენტების ყოველწლიური საძიებელი („Jahresverzeichnis der Auslegeschriften und erteilten Patenten“), აგრეთვე შემაჯამებელი სისტემატური საძიებლები ზოგიერთ კლასისათვის; შემდეგ გადავიდეთ ბიულეტენის „Patentblatt“ და რეფერატული გამოცემების შესწავლაზე, რომლის შემდეგ ვეცნობით განაცხადებისა და პატენტების სრულ აღწერილობას — გამოგონებათა აღწერილობებში, რომლებიც, როგორც აღინიშნა, თავმოყრილია ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიულ საპატენტო ფონდში.

გვარისა და სახელის ძიება ტარდება განმცხადებლებისა და პატენტმფლობელთა გვარისა და სახელის კვარტალური საძიებლით („Vierteljährliches Nemenverzeichnis“), რომელშიც განმცხადებლის ან პატენტის მფლობელთა დასახელების მიხედვით შეიძლება დადგინდეს ბიბლიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც აუცილებელია განაცხადების ან გამოგონებათა აღწერილობების ძიებისათვის.

ნუმერაციული ძიება ხდება გფრ-ის გამოგონებათა ნუმერაციული წიგნების საშუალებით, რომლებიც დაცულია გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში.

ძოვნახავთ ჩვენთვის საინტერესო განაცხადის ან პატენტის ნო-

მერს და განისაზღვრება რა საკლასიფიკაციო ინდექსი, ვეცნობით მის გამოგონების აღწერილობას ბიულეტენში ან უშუალოდ გფრ-ის გამოგონებათა აღწერილობების ფონდში.

აუცილებელია ასევე გამოვიყენოთ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიულ საპატენტო ფონდში არსებული საცნობარო-საძიებო აპარატი, რომელსაც გამოსცემს „ვნიიპი“ გფრ-ის საპატენტო დოკუმენტაციის ფონდისათვის: გვარისა და სახელის; სისტემატური და ნუმერაციული საძიებლები, აგრეთვე ბიულეტენი „გამოგონებები საზღვარგარეთ“.

იაპონიის საპატენტო დოკუმენტაცია ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიულ საპატენტო ფონდში არის 1951 წლიდან.

იაპონიის საპატენტო დოკუმენტაციით მუშაობისას უნდა გავითვალისწინოთ გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდის ზოგიერთი თავისებურებანი, კერძოდ, — მასალები ერთიანი სისტემით არ არის განლაგებული, რაც გამოწვეულია გამოგონებათა კლასიფიკაციის ნაციონალური სისტემის ცვლილებებით. გასათვალისწინებელია აგრეთვე თვით გამოცემათა სახეებისა და შინაარსის სხვადასხვაობა, რაც, თავის მხრივ, კანონმდებლობაში ცვლილებებით არის გამოწვეული.

იაპონიაში სამრეწველო საკუთრების დაცვის რამდენიმე სახეა; გარდა პატენტებისა, გამოგონებებზე რეგისტრირდება მცირე პატენტებიც, რომლებსაც ეწოდება „სასარგებლო მოდელები“, აგრეთვე სამრეწველო ნიმუშები და სასაქონლო ნიშნები.

ცნობები იაპონიის გამოგონებებზე (რეფერატების სახით) რუსულ ენაზე ქვეყნდებოდა „ვნიიპი“-ს მიერ 1968 წლის იანვრიდან 1972 წლამდე ბიულეტენში „იაპონიის საპატენტო განაცხადები“, რომლებიც წარმოდგენილი იყო გამოგონებებზე ყველა განაცხადი „ტოკიო-კოხოს“ მონაცემებით. გარდა ორიგინალის ყველა ბიბლიოგრაფიული მონაცემებისა, მათში აღინიშნებოდა უნივერსალური ათწილადი და სსრ კავშირის გამოგონებათა კლასიფიკაციის სისტემის ინდექსები, აგრეთვე გამოგონების დასახელების და საპატენტო ფორმულის პირველი პუნქტის თარგმანი ნახაზებით.

1972 წლიდან ვნიიპი შეუდგა ბიულეტენის — „გამოგონებები საზღვარგარეთ“ გამოშვებას, რომლის მასალები შეიცავდა იმავე ცნობებს, რომლებიც იყო ზემოაღნიშნულ ბიულეტენში.

1970 წელს „ვნიიპი“-მ გამოსცა იაპონიის გამოგონებათა კლასების და გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის საძიებლის ინდექსების შესატყვისი ცხრილები, ხოლო 1971 წელს — გამოგო-

ნებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის და იაპონიის გამოგონებათა კლასების საძიებლის ინდექსების შესატყვისი ცხრილები.

სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის რეფერატული ჟურნალების შესაბამისი განყოფილებები შეიცავს გამოგონებებზე იაპონიის განაცხადების რეფერატებს. „ტოკიო-კოხოს“ მასალების მიხედვით.

თემატური ძიების ჩასატარებლად აუცილებელია განვსაზღვროთ ძიების ობიექტის შესატყვისი იაპონიის გამოგონებათა კლასიფიკაციის ინდექსები, რისთვისაც ვიყენებთ იაპონიის გამოგონებათა კლასების საძიებელს, რომელიც არის გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში, როგორც თარგმანის, ისე ორიგინალის სახით: შეიძლება გამოვიყენოთ „გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის და იაპონიის გამოგონებათა კლასების საძიებლის შესატყვისი ცხრილები“.

სერიის ნომრის (ან სერიის განყოფილების) განსაზღვრისათვის ვიყენებთ კლასების ცხრილს, რომელიც გაყოფილია 7 სერიად (ან განყოფილებად).

1978 წლიდან გაერთიანებული გამოცემა „გამოგონებები საზღვარგარეთ“ გამოდის დასახელებით „გამოგონებები სსრ კავშირში და საზღვარგარეთ“.

§ 21. როგორი პერიოდის და როგორი კვანძის გამოგონებათა აღწერილობებითაა დაკომპლექტებული ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკის სააბაზო ფონდი?

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გ. მიქელაძის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში არსებულ ტერიტორიულ საპატენტო ფონდში თავმოყრილი, სისტემატიზებული და დაცულია მსოფლიოს 40-მდე ქვეყნის 10 მილიონზე მეტი გამოგონების აღწერილობა და ინფორმაცია გამოგონებებზე. აღნიშნული მასალები წარმოდგენილია ორიგინალების, მიკრო-ფოტოაპირების და ბიბლიოგრაფიული საპატენტო კრებულების სახით.

ორიგინალები:

სსრ კავშირი — 1949 წ-დან  
ბულგარეთი — 1965

გღრ	— 1956
პოლონეთი	— 1949
რუმინეთი	— 1965
უნგრეთი	— 1965
ჩეხოსლოვაკია	— 1957

მიკრო-ფოტოპირები:

ავსტრალია	— 1966 წ-დან
ავსტრია	— 1911
აშშ	— 1935
ბელგია	— 1966
გფრ	— 1950
დანია	— 1943
დიდი ბრიტანეთი	— 1955
ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა	— 1955 წ-დან
იაპონია	— 1951
ინდოეთი	— 1946
ირლანდია	— 1967
იტალია	— 1951
იუგოსლავია	— 1968
კანადა	— 1966
ნიდერლანდია	— 1947
ნორვეგია	— 1929 „
პოლონეთი	— 1924 წ-დან 1963 წ-მდე
საფრანგეთი	— 1956 წ-დან
ფინეთი	— 1944
შვეიცარია	— 1898
შვეცია	— 1885 „
ჩეხოსლოვაკია	— 1924 წ-დან 1963 წ-მდე

საპატენტო კრებულები:

განა  
ერაყი  
თურქეთი  
ირანი  
კუბა

მაროკო  
პაკისტანი  
სირია  
შრი-ლანკა და სხვ.

§ 22. სააბტანტო-საინფორმაციო მოღვაწეობის ზოგიერთი ტიპიანი,  
რომელიც არ შევიდა VIII თავში

1. ინფორმაციის წყარო — ინფორმაციის გადაცემისათვის განკუთვნილი ნებისმიერი სისტემა, რომელიც შეიმუშავებს ან შეიცავს ინფორმაციას.

2. ინფორმაციის მატარებელი — ფიზიკური არე, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის ჩაწერისათვის და დაცვისათვის.

3. დოკუმენტური ინფორმაცია — ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს დოკუმენტი (იხ. დოკუმენტი).

4. პირველადი ინფორმაცია — ინფორმაცია, რომლის წყარო განსახილველ საინფორმაციო სისტემის გარეშე იმყოფება.

5. მეორადი ინფორმაცია — განსახილველი დოკუმენტების სისტემის საზღვრებში არსებული ინფორმაცია, რომელიც წარმოიქმნა დოკუმენტური ინფორმაციის გარდაქმნის შედეგად.

6. ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია — მეორადი ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა.

7. მიმოხილვითი ინფორმაცია — მეორადი ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს დოკუმენტების მიმოხილვები.

8. რეფერატული ინფორმაცია — მეორადი ინფორმაცია, რომელსაც შეიცავენ დოკუმენტების ანოტაციები და რეფერატები.

9. შერჩევითი ინფორმაცია — ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს ცნობების გროვას, სპეციალურად გამოყოფილს, დასმული ამოცანის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე წყაროდან.

10. სასიგნალო ინფორმაცია — სხვადასხვა დონით შემოკლებული მეორადი ინფორმაცია მის წყაროზე მითითებით, რომელიც ასრულებს წინასწარი შეტყობინების ფუნქციას.

11. საცნობარო ინფორმაცია — მეორადი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სისტემატიზებულ მოკლე ცნობებს ცოდნის რომელიმე დარგში.

12. ოპერატიული ინფორმაცია — საინფორმაციო მოთხოვნების შესატყვისი ინფორმაცია, რომელიც წარმოიქმნება კონკრეტ-

ტული ამოცანის გადაწყვეტის დროს და დაიყვანება მომხმარებელამდე ამ ამოცანის გადაწყვეტის პროცესში.

13. მიმდინარე ინფორმაცია — ინფორმაცია, რომელიც მიიღება მომხმარებლის მიერ მისი წარმოქმნის შემთხვევაში.

14. დოკუმენტი — მატერიალური ობიექტი, რომელიც შეიცავს მიმაგრებულ ინფორმაციას და განკუთვნილია მისი გადაცემისათვის სივრცეში და დროში.

15. პირველადი დოკუმენტი — დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პეორად ინფორმაციას.

16. ინფორმაციის გადაცემა — ინფორმაციის გავლის პროცესი კავშირის არხით წყაროდან მიმღებამდე.

17. ინფორმაციის დაცვა — ინფორმაციის გადაცემის პროცესი დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე ინფორმაციის მატარებლის მდგომარეობის შეუცვლელად.

18. ინფორმაციის გავრცელება — ინფორმაციის გადაცემის პროცესი ერთი წყაროდან რამდენიმე მიმღებამდე (მომხმარებლებამდე).

19. ინფორმაციის ამორჩევით გავრცელება — ინფორმაციის გავრცელების პროცესი, რომელიც დიფერენცირდება საინფორმაციო მოთხოვნებთან ან შეკითხვასთან დამოკიდებულებით.

20. ინფორმაციის მიღება — ინფორმაციის მიღების პროცესი ნებისმიერი მიმღები მოწყობილობით.

21. დოკუმენტური ინფორმაციის შეკრება — დოკუმენტური ინფორმაციის ერთი მომხმარებლის მიერ მიღების პროცესი, რომელიც შემოდის რამდენიმე წყაროდან.

22. ინფორმაციის ჩაწერა — ინფორმაციის მიმაგრების პროცესი ინფორმაციის მატარებელზე ნებისმიერი სისტემის მიღებული ნიშნების დახმარებით.

23. ანოტაცია — პეორადი დოკუმენტი, რომელიც წარმოქმნა პირველადი დოკუმენტის ინფორმაციის გარდაქმნის შედეგად და შემოკლებული ფორმით მიუთითებს მის თემას.

24. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა — პირველადი დოკუმენტის ინფორმაციის გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილი პეორადი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მისი ფორმალური ნიშანთვისებების მოწესრიგებული სიტყვების გროვას და განკუთვნილია ამ დოკუმენტის იდენტიფიკაციისათვის.

25. გაფართოებული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა —

ზიბლიოგრაფიული აღწერილობა ანოტაციით ან პირველადი დოკუმენტის გაფართოებული სათაურით.

25. მიმოხილვა — მეორადი დოკუმენტი, რომელიც წარმოიქმნა პირველადი დოკუმენტების რამდენიმე ტექსტის ანალიზის შედეგად.

27. ანალიზური მიმოხილვა — მიმოხილვა, რომელიც შედგენილია რეფერატის სახით ზოგიერთი პირველადი დოკუმენტების გამოყენებით.

28. თემატური მიმოხილვა — მიმოხილვა, რომელიც შედგენილია ერთი თემით გაერთიანებული, პირველადი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე.

29. რეფერატი — მეორადი დოკუმენტი, რომელიც წარმოიქმნა პირველადი დოკუმენტის გარდაქმნის შედეგად და შეიცავს მოკლე ცნობებს მასში აღწერილ ობიექტებზე, პროცესებზე მუშაობის მეთოდებზე და მიღებულ შედეგებზე.

30. ინფორმაციის შემჭიდროვება — ინფორმაციის შემოკლება მისი უფრო არსებითი ნაწილის გამოყოფით დასმული ამოცანის შესაბამისად.

31. ანოტირება — ინფორმაციის გარდაქმნის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მივყავართ ანოტაციის შექმნასთან.

32. ბიბლიოგრაფირება — ინფორმაციის გარდაქმნის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მივყავართ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შექმნასთან.

33. რეფერირება — ინფორმაციის გარდაქმნის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მივყავართ რეფერატის შექმნასთან.

34. მიმოხილვის შედგენა — ინფორმაციის გარდაქმნის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც მივყავართ მიმოხილვის შექმნასთან.

35. ტექსტი — დამწერლობის ნიშნების დაკავშირებული მიზნდევრობა, რომელიც გამოსახავს განსაზღვრულ სემანტიკურ ინფორმაციას.

36. ტექსტის თარგმნა — ინფორმაციის წარმოდგენის პროცესი, რომელიც გამოისახება ერთი ნიშნის სისტემით, სხვა ნიშნის სისტემის საშუალებებით.

37. დედანის ენა — ენა, რომელზეც დაწერილია თარგმანს დაქვემდებარებული დოკუმენტი.

38. თარგმანის ენა — ენა, რომელზეც ითარგმნება ტექსტის დოკუმენტი.

39. სრული თარგმანი — მთლიანი ტექსტის თარგმანი.

40. ნაწილობრივი თარგმანი — საწყისი ტექსტის ნაწილის თარგმანი.

41. შემოკლებული თარგმანი — ტექსტის თარგმანი, რომელიც დაექვემდებარა შემოკლებას.

42. ადეკვატური თარგმანი -- თარგმანი, რომლის დროსაც უფრო ზუსტად გადაიცემა ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს საწყისი ტექსტი.

43. პინალური თარგმანი — თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე.

44. ინდექსირება — დოკუმენტის შინაარსის გამოსახვა რომელიმე საინფორმაციო საძიებო ენაზე (დოკუმენტის საძიებო სახის შექმნა).

45. დოკუმენტის ინდექსი — ტექსტი, რომელიც გამოხატავს დოკუმენტის შინაარსის ნაწილს რომელიმე საინფორმაციო საძიებო ენაზე.

46. დოკუმენტის ძირითადი ინდექსი — ტექსტი, რომელიც გამოხატავს დოკუმენტის ძირითად შინაარსს რომელიმე საინფორმაციო საძიებო ენაზე.

47. დოკუმენტის დამატებითი ინდექსი — ტექსტი, რომელიც გამოხატავს დოკუმენტის ძირითად შინაარსს რომელიმე საინფორმაციო საძიებო ენაზე.

48. დოკუმენტების კლასიფიცირება — დოკუმენტების დაჯგუფების პროცესი, განსაზღვრული კლასიფიკაციის რუბრიკების მიხედვით.

49. დოკუმენტების რეკლასიფიცირება — დოკუმენტების კლასიფიკაცია სხვა კლასიფიკაციით.

50. ინფორმაციის ძიება — დოკუმენტების შასივში ინფორმაციის გადარჩევის პროცესი საინფორმაციო-საძიებო სისტემის დახმარებით.

51. რელევანტურობა — დახასიათება, რომელიც გამოხატავს მოძებნილი დოკუმენტის საინფორმაციო მოთხოვნების შესატყვისობას.

52. საცნობარო-საძიებო აპარატი — დოკუმენტური ინფორმაციის ძიების სისტემების და დოკუმენტების აღრიცხვის ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება, როგორც პირველადი, ასევე მეორადი დოკუმენტების ძიების დროს.

53. საინფორმაციო მოთხოვნა — საინფორმაციო მოთხოვნების გამოხატვა რომელიმე ნიშნური სისტემის დახმარებით.



54. დოკუმენტის მისამართი — დოკუმენტის ადგილმდებარეობის აღნიშვნა.

55. საინფორმაციო მოლვაწეობა — მოლვაწეობა, რომელსაც მივყავართ ინფორმაციის შეკრების, დაცვის ან გადაცემის, ან ვადაშუშავების ან ძიების და ა. შ. პროცესების განხორციელებასთან.

56. კოორდინირებული საინფორმაციო მოლვაწეობა — საინფორმაციო მოლვაწეობა — რომელიც ხორციელდება საინფორმაციო ორგანოების მიერ ცენტრალიზებული მართვის დროს.

57. ცენტრალიზებული საინფორმაციო მოლვაწეობა — საინფორმაციო მოლვაწეობა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო ორგანოს მიერ.

58. დეცენტრალიზებული საინფორმაციო მოლვაწეობა — საინფორმაციო მოლვაწეობა, რომელიც ხორციელდება რამდენიმე საინფორმაციო ორგანოს მიერ პარალელურად.

59. საინფორმაციო მომსახურება — პროცესების კომპლექსი, რომლის შედეგად ინფორმაცია დაიყვანება მომხმარებელამდე.

60. ინფორმაციის მომხმარებელი — პირი ან დაწესებულება, რომელიც იყენებს ინფორმაციას მეცნიერული ან საწარმოო მოლვაწეობასათვის.

61. საინფორმაციო მოთხოვნა — ინფორმაციის მომხმარებლის დახასიათება, რომელიც ასახავს მისთვის საჭირო ინფორმაციის ოდენობას და შინაარსს.

62. ინფორმაციის გამოყენება — ინფორმაციის გამოკვლევის პროცესი, რომლის შედეგს წარმოადგენს მისი ათვისება.

63. საპატენტო ინფორმაციის მატარებელი — ინფორმაციის მატარებელი, რომელიც გამოიყენება საპატენტო ინფორმაციის ჩაწერისათვის და დაცვისათვის.

64. საპატენტო ინფორმაცია — მეცნიერულ-ტექნიკური მოლვაწეობის შედეგებზე, განცხადებულ ან სამრეწველო საკუთრების ობიექტების სახით, ამ ობიექტების დამცველი დოკუმენტების სახით და აღნიშნული დოკუმენტების მფლობელთა უფლებებზე ცნობების ერთობლიობა.

65. საპატენტო დოკუმენტი — დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საპატენტო ინფორმაციას.

66. საპატენტო დოკუმენტაცია — საპატენტო დოკუმენტების ერთობლიობა.

67. დაწესებულების (საწარმოს) საპატენტო ფონდი — საპატენტო ფონდი, რომელიც წარმოადგენს დარგობრივი საპატენტო ფონდის ნაწილს; არის მოცემულ დაწესებულებაში (საწარმოში) და შეიცავს ამ დაწესებულებაზე (საწარმოზე) მიმაგრებულ სამუშაოთა თემატიკის დოკუმენტებს.

68. მრავალდარგოვანი საპატენტო ფონდი — საპატენტო ფონდი, რომელიც შეიცავს დოკუმენტებს რამდენიმე დარგის თემატიკის მიხედვით და თავმოყრილია ერთ ადგილზე.

69. პატენტ-ანალოგების ძიება — იურიდიულ ან ფიზიკურ პირთა, აგრეთვე ეკონომიკურ ან იურიდიულ საპატენტო უფლებების განსაზღვრა.

70. საპატენტო ფონდის დაკომპლექტება — დოკუმენტების შიზანდასახული დაგროვება, რომლებიც წარმოქმნიან საპატენტო ფონდს.

71. საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობა — იხ. „საინფორმაციო მოღვაწეობა“.

## თ ა ვ ი IX

### რ ა წ ა ვ ი კ ი თ ხ ო თ ?

წიგნებიდან და ბროშურებიდან, რომლებსაც გამოსცემენ ცენტრალური და ადგილობრივი გამომცემლობები, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს უხდებათ იმ გამოცემების შერჩევა, რომლებიც ეხება მათი შემოქმედებითი ინტერესებიდან გამომდინარე საკითხებს. ამიტომ საჭიროა ცოდნა იმისა, თუ რა გამოცემები გამოქვეყნდა შერჩეული თემის მიხედვით. ჩვეულებრივ ასეთი ცნობების მიღება შეიძლება საბიბლიოთეკო კატალოგებისა და სხვადასხვა სახის საძიებლების საშუალებით ან სპეციალისტ-ბიბლიოგრაფების დახმარებით.

ამ სახით შერჩეული ლიტერატურის გაცნობა წარმოადგენს თითოეული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის მუშაობის აუცილებელ ეტაპს. ეს მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ აუცილებელი საფუძვლიანი ცოდნა მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის არჩეული პროფილის მიხედვით.

მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ პერიოდული გამოცემების შესახებაც, რადგან ზოგჯერ ეს გამოცემები შეიცავენ ისეთ საინტე-

რესო ცნობებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს წიგნში მოხვედრა. იმასთან დაკავშირებით, რომ აქ ყველა ჟურნალის, ბიულეტენისა და სხვა მასალების ჩამოთვლის არც შესაძლებლობა არის და არც საჭიროება, ამიტომ ტექნიკური შემოქმედებით დაინტერესებული ზოგიერთი მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება დავახასიათოთ ზოგიერთი გამოცემა, რომელიც შეიძლება გამოადგეთ მუშაობაში.

„ვოპროსი იზობრეტატელსტვა“ — სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ჟურნალი, გამოდის თვეში ერთხელ.

ჟურნალი აშუქებს საკითხების ფართო წრეს, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის განვითარებასთან და გაუმჯობესებასთან; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაზე მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების გავლენასთან; სახალხო მეურნეობის და ცალკეული საწარმოების დარგების ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებასთან; სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საშუაოთა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე — გამოგონების დონეზე შესრულებისათვის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფასთან; წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვასთან; სსრ კავშირში და საზღვარგარეთ საგამომგონებლო და საპატენტო საქმის თეორიასა და პრაქტიკასთან.

ჟურნალში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის გავლენას საწარმოების ეკონომიკურ მონაცემებზე, სამეურნეო რეფორმის პირობებში საგამომგონებლო და საპატენტო სამსახურების მუშაობის გამოცდილების გაზიარებას, ნოვატორთა მატერიალური სტიმულირების ახალ ფორმებს.

ჟურნალში რეგულარულად ქვეყნდება მასალები, რომლებიც ეძღვება საგამომგონებლო და საპატენტო სამართლის, საპატენტო ექსპერტიზის, საპატენტო ინფორმაციის პრობლემებს; ფართოდ არის გაშუქებული სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საკონტროლო საბჭოს პრაქტიკა, სასამართლო პრაქტიკა, სამრეწველო ნიმუშების და სასაქონლო ნიშნების საკითხები, საპატენტო-სალიცენზიო პრაქტიკა; მოცემულია კონსულტაციები.

რეგულარულად ქვეყნდება ახალი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები საგამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესახებ.

ჟურნალში ქვეყნდება ფართო ბიბლიოგრაფია, რომელიც აცნობს მკითხველებს გამომგონებლობისა და პატენტმცოდნეობის დარგში გამოქვეყნებულ სიახლეებს, სისტემატურად ქვეყნდება რეცენზიები და ანოტაციები სსრ კავშირში და საზღვარგარეთ გამოსულ ამ დარგის საინტერესო წიგნებსა და ბროშურებზე.

„იზობრეტატელ ი რაციონალიზატორ“ — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ყოველთვიური მასობრივი სამეცნიერო პოპულარული ჟურნალია, განკუთვნილია გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის. გამოცემა მოუთხრობს მკითხველებს გამომგონებებზე და გამომგონებლებზე, რაციონალიზატორებზე და მათ წინადადებებზე, შემოქმედებითი აზრისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განვითარების გზებზე.

მკითხველი ამ ჟურნალში ნახავს მრავალ ახალ საინტერესო ხერხს კონსტრუირებაში, მათთვის საინტერესო შეკითხვებს და პასუხებს, რომლებიც ეხება გამომგონებებთან და რაციონალიზატორულ წინადადებების გამოყენებასთან დაკავშირებულ და ამ წინადადებათა ავტორებისათვის გასამრჯელოს გაცემისა და სხვა სახის სტამულირების საკითხებს, აგრეთვე მასალებს, რომლებიც ასახავენ ეკონომიკისა და საგამომგონებლო სამართლის საკითხებს. ჟურნალის ფურცლებზე კონსულტაციებს იძლევიან კვალიფიციური პატენტმცოდნეები და სამართლისმცოდნეები. ჟურნალი ფართოდ გვიჩვენებს საბჭოთა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცხოვრებას, ბევრ ადგილს უთმობს საბჭოთა და საზღვარგარეთულ გამომგონებებს, განსაკუთრებით ისეთებს მათ შორის, რომლებიც გამოირჩევიან სწრაფი და გარანტირებული ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობით, რეალიზაციის ხელმისაწვდომობით, გადაწყვეტის სილამაზით ან კიდევ გადაწყვეტის გაბედული სითამამით.

ჟურნალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მრავალ ქარხანასთან და კარგად არის ინფორმირებული საუკეთესო ტექნიკურ სიახლეებზე. ის ბეჭდავს ცნობებს ღია ტექნიკური კონკურსების შესახებ, რომლებშიც შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა მსურველმა. ჟურნალის ფურცლებზე ხშირად გამოდიან სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელი მუშაკები; მეცნიერი მუშაკები მოგვითხრობენ იმაზე, რა ტექნიკური პრობლემებია სახალხო მეურნეობისათვის უფრო აქტუალური მოცემულ მომენტში, რა არის აუცილებელი გამომვიგონოთ პირველ რიგში.

თუ თქვენ წარმოებაში გაქვთ „ვიწრო ადგილები“ და საკუთარი ადგილობრივი ძალებით არ შეგიძლიათ დაძლიოთ, შეგიძლიათ მიმართოთ დახმარებისათვის ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიან გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების არმიას — გამოაქვეყნოთ ჟურნალში თქვენ მიერ გადაუჭრელი საინჟინრო ამოცანის პირობები, რომლებიც ასახავს პოვნებენ ჟურნალის სპეციალურ განყოფილებაში „განცხადებების დაფა“.

აღნიშნული ჟურნალი კარგი თანაშემწეა მუშაობაში, იმისგან დამოუკიდებლად ტექნიკური შემოქმედების რომელ სფეროს მიეკუთვნება თქვენი მოღვაწეობა.

„ტეხნიკა ი ნაუკა“ — სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საკავშირო საბჭოს ყოველთვიური მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო ჟურნალია.

განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელნიც დაინტერესებული არიან მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის და წარმოების საკითხებით. ჟურნალის გვერდებზე რეგულარულად იბეჭდება მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ ახალი ტექნიკის გეგმის შესრულებაზე, მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე. რომლებსაც ასრულებენ სამინისტროებისა და უწყებების ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები. ფართოდ არის გაშუქებული სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მოღვაწეობა ინსტიტუტებსა და საწარმოებში.

ეკონომიკა, წარმოების მართვა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ტექნიკური ესთეტიკა, ნაკეთობათა ხარისხი და საიმედოობა — აი არასრული ნუსხა საკითხებისა, რომლებსაც ასახავს ჟურნალი. აქ გაშუქებულია სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების, ეკონომიკური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროს ნორმირებისა და მისთანების მუშაობის ფორმები და მეთოდები. ქვეყნდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე თემატური გამოფენების მიმოხილვები, ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ტექნიკის აიახლევბზე, საინტერესო ცნობები დარგობრივი ჟურნალებიდან.

სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ჟურნალი განსაკუთრებით საინტერესოა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, რომლებიც მუშაობენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

„აღმოჩენები, გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები. სასაქონლო ნიშნები“ — სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების

საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალური ბიულეტენი 1924 წლიდან გამოდის რუსულ ენაზე. მასში ქვეყნდება აღმოჩენებისა და გამოგონებების ფორმულები, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის გამოგონებების სახელმწიფო რეესტრში. ბიულეტენში თავსდება ცნობები სამრეწველო ნიმუშებზე და სასაქონლო ნიმუშებზე და მათი გრაფიკული გამოსახულება. ამ ბიულეტენით შეიძლება თვალყური ვადევნოთ გამომგონებლობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

კრებული „ინფორმაციის იზობრეტენია“—შეიცავს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებს და წარმოადგენს სასარგებლო საცნობარო სახელმძღვანელოს გამოგონებების შერჩევისათვის წარმოებაში მათი დანერგვის მიზნით.

კრებულში მოყვანილია ინფორმაცია სსრ კავშირში დანერგული გამოგონებების შესახებ. თითოეული პუბლიკაცია შეიცავს შემდეგ ცნობებს: გამოგონების დასახელებას, ავტორის გვარს, საწარმოს მისამართს, რომელმაც პირველმა დანერგა გამოგონება, მიღებული ეკონომიკური ეფექტის ოდენობას, გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსებს.

სსრ კავშირის რეფერატული გამოცემები — მოიცავენ საინფორმაციო გამოცემებს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე. აღსანიშნავია სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის რეფერატული ყურნალი, რომელიც გამოდის საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგების მიხედვით. ინსტიტუტი ერთ-ერთი უდიდესი საინფორმაციო ორგანოა არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მსოფლიოში. ინსტიტუტი სისტემატურად ანალიზებს და ავრცელებს მსოფლიოში გამოქვეყნებულ მნიშვნელოვან მასალებს, მათ შორის მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის გამოგონებათა აღწერილობებს. გამოცემები განკუთვნილია მეცნიერი მუშაკებისათვის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, მაღალი კვალიფიკაციის მუშებისათვის, ასპირანტებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის და სხვა.

სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის გამოცემებში არ აისახება ან ნაწილობრივ აისახება ისეთი დარგები, როგორც არის მედიცინა, მშენებლობა და არქიტექტურა, სოფლის მეურნეობა, რადგან ჩვენში ამ პროფილით შექმნილია საკავშირო და ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის

ორგანოები, რომლებიც ანალოგიურ საქმეს ეწევიან თავიანთ დარგებში.

„იზობრეტენია ვ სსსრ ი ზა რუბეჟომ“ — კრებულს გამოსცემს საპატენტო ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1978 წლამდე გამოდიოდა დასახელებით „იზობრეტენია ზა რუბეჟომ“. კრებულში მოცემულია სსრ კავშირის, აშშ-ის, ფფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის და საფრანგეთის საპატენტო ბიულეტენების მასალები რუსულ ენაზე.

„მეცნიერება და ტექნიკა“—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“-ს ყოველთვიური მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი. გამოდის 1949 წლიდან. ჟურნალი წლების მანძილზე ეხმაურებოდა და ეხმაურება მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებს. ჟურნალში ქვეყნდება წერილები ქვეყნის ელექტრიფიკაციის, ენერჯის ახალ სახეობათა გამოვლინება-ათვისების, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, ახალი ეფექტური მასალების მიღების, საწარმოო ძალთა ეფექტური გამოყენების შესახებ და სხვა; სტატიები, სადაც გაშუქებულია თანამედროვე ფიზიკის, ქიმიის, კიბერნეტიკის, გამოთვლითი ტექნიკის, ასტრონომიის, ტექნიკის მეცნიერებათა აქტუალური საკითხები. ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა წარმოებისა და სოფლის მეურნეობაში ახალი მანქანებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, კოსმოსის ათვისებისა და შესწავლის, კოსმოსური აპარატების შექმნის საკითხებს და სხვა.

აღნიშნულ ჟურნალში გამომგონებლები და რაციონალიზატორები ნახავენ საინტერესო სიახლეებს მეცნიერებისა და ტექნიკის ზოგიერთ საკითხებზე. ჟურნალში ზოგჯერ ქვეყნდება ხოლმე აგრეთვე სტატიები მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე.

და ბოლოს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს რეკომენდაციას ვუწევთ ისარგებლონ აგრეთვე გამომცემლობათა თემატური გეგმებით, სადაც აღნიშნულია გამოსაცემად მომზადებული წიგნები და ბროშურები. უპირველესად მიზანშეწონილია გავეცნოთ საპატენტო ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემების პროსპექტს — იმ შრომების გამოსაცემ გეგმას, რასაც

გეგმავს ეს ინსტიტუტი საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის დარგში. ყველაფერი აღნიშნული საშუალებას მოგვცემს არა მარტო ვიყოთ საქმის კურსში ახალი ლიტერატურის შესახებ და თავისდროულად შევუკვეთოთ წიგნით მოვაჭრე მალაზიებს ჩვენთვის საინტერესო გამოცემები, არამედ წინასწარ გამოცემების პროსპექტით შევარჩიოთ და დაკვეთის ბლანკით ორგანიზაციის საშუალებით გამოვიწეროთ მასალები.

გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების ტექნიკური შემოქმედება სულ უფრო ფართოვდება.

მე-9 ხუთწლედთან შედარებით მე-10 ხუთწლედში საშუალოდ 5 500-ით გაიზარდა შეტანილ წინადადებათა ავტორთა და 12700-ით გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვი.

დადგენენ რა სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კპ XXVI ყრილობის ვახტზე, საქართველოს ტექნიკურმა შემოქმედებმა აიღეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი შექმნან XI ხუთწლედის ეკონომიის რაციონალიზაციის ფონდი 360 მილიონი მანეთის ოდენობით.

მე-10 ხუთწლედში საგრძნობლად გაიზარდა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ჩვენი რესპუბლიკიდან შევიდა 6189 განაცხადი ნავარაუდევ გამოგონებაზე, მიღებულია 3076 საავტორო მოწმობა, სახალხო მეურნეობაში გამოყენებულია 1740 გამოგონება და 124,5 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა შედეგად მიღებულია 368,8 მილიონი მანეთი ეკონომია, რაც 135 მილიონი მანეთით აჭარბებს ვალდებულებას და 176 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე იყო IX ხუთწლედში.

ჩვენს რესპუბლიკაში გამომგონებლობისა და ტექნიკური პროგრესის შემდგომ განვითარებას და წარმართვას დიდად უწყობს ხელს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო. ეს ორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის, მისი ეკონომიკისა და სიძლიერის განმტკიცებისათვის.



აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები სისტემატურად ერთობლივად ატარებენ კონკურსებს და სხვა სახის ღონისძიებებს, რომლებშიც ჩაბმულია მრავალი წარმოების ნოვატორი.

ჩვენს რესპუბლიკაში ორგანიზებულია სოციალისტური შეჯიბრება გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, სამმართველოები, ტრესტები, საწარმოები და ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები.

ამ პირობებში საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი აზრით, ერთი ფრიად საჭირო საკითხის წამოჭრა, რომელსაც, ალბათ, მთელი ტექნიკური ინტელიგენცია გაიზიარებს.

როგორც ცნობილია, პირველი ქართული ტექნიკური ხასიათის ჟურნალი სახელწოდებით „ტექნიკა და ცხოვრება“, საქართველოს სსრ პროფკავშირთა საბჭოსთან არსებული ინჟინერ-ტექნიკოსთა ცენტრალური ბიუროს და საქართველოს ტექნიკური საზოგადოების ყოველთვიური ორგანო, გამოვიდა 1925 წელს. 1929 წელს ჟურნალი გამოდის „ტექნიკა და შრომა“-ს, ხოლო 1939 წლიდან „ტექნიკა“-ს სახელწოდებით.

1941 წელს ჟურნალმა შეწყვიტა არსებობა. აღნიშნული ჟურნალის უპირველესი მიზანი იყო მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება და ტექნიკის პროპაგანდა, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ტექნიკის უახლესი მიღწევების გაშუქება. განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობოდა რესპუბლიკაში განლაგებული საწარმოებისა და მაშინ ახლად შექმნილი კვლევითი დაწესებულებების მუშაობას. ჟურნალი მოუთხრობდა მკითხველებს უშუალოდ ტექნიკურ შემოქმედებზე, მათ მიერ შექმნილ სიახლეებზე, პირველ ხუთწლედში ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებებზე. ჟურნალის თანამშრომლები უშუალოდ ადგილებზე — მშენებლობებიდან თუ საწარმოებიდან აანალიზებდნენ საქმის ვითარებას, მოუთხრობდნენ მკითხველებს ხარისხისა და შრომითი დისციპლინის მდგომარეობას, სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს მშენებლობის ტემპებისა და წარმოების საშუალებათა რეზერვების ასამოქმედებლად. ყველა ამ საქმიანობის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგნენ ის ტექნიკოსები, ნოვატორები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები, რომლებიც თავისი დაუღალავი ენერგიით ცდი-

ლობდნენ, რაც შეიძლება მალე აეთვისებინათ, გაეუმჯობესებინათ და დაენერგათ ახალი ტექნიკა, ხელი შეეწყოთ ახლად შექმნილი ქვეყნის წინსვლისათვის.

ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა იმ ტექნიკურ შემოქმედთა წინადადებების შესახებ, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინდა თავს დამკვრელობაში და საწარმოო და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ჟურნალი მკაცრად აკრიტიკებდა იმ საწარმოებსა და ხელმძღვანელებს, რომლებიც სუბიექტური მიზეზების გამო ჩამორჩებოდნენ, ვერ ასრულებდნენ გეგმებს; ამავე დროს აქებდა მოწინავეებს.

1935 წლის მარტის ნომერში 26-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ბათუმის სადგურის უფროსმა კიკნაძემ და ჩრდილოეთ კავკასიის რკინის გზის დისპეტჩერმა კუტაფინმა შემოიღეს მუშაობის ერთგვარი სისტემა, რომელიც უნდა გაიცნოს და გამოიყენოს ყველა საწარმომ და ყველა მშრომელმა. როგორც კიკნაძე, ისე კუტაფინი რკინის გზელია. მათი სისტემა ეხება რკინის გზას, მისი მუშაობის გაუმჯობესებას, მაგრამ იგი მისაღებია ყველა წარმოებისათვის, ყველა დარგისათვის“ — შემდეგ აღწერილია კონკრეტულად წინადადების არსი. აღნიშნული არ საჭიროებს ვამტკიცოთ ასეთი ღონისძიების კეთილნაყოფიერება მოწინავე გამოცდილებათა გავრცელებასა და დანერგვაზე.

ჟურნალი ფართოდ აშუქებდა ინჟინერ-ტექნიკოსთა ცენტრალური ბიუროს და მისი ორგანოების საქმიანობას.

დღეს, როცა მეცნიერება და ტექნიკა განსაცვიფრებელი სისწრაფით ვითარდება, როცა ტექნიკური შემოქმედება ჩვენს ქვეყანაში აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის რანგის დონეზე, ასეთი ჟურნალის არსებობა. უფრო სწორად, აღდგენა დიდ სამსახურს გაუწევს ტექნიკური შემოქმედებისა და ნოვატორობის შემდგომ განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

შეიძლება წარმოიშვას აზრი, რომ „მეცნიერება და ტექნიკა“ წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული ჟურნალის საქმის განგრძობასო, მაგრამ ეს ასე არ არის. ამ ჟურნალის დანიშნულება და ამოცანები სრულიად გარკვეულია — გამომდინარეობს საუწყებო ასოციაციებიდან. ჩვენ სულაც არ გვინდა უარვყოთ ამ ჟურნალის დიდი მნიშვნელობა და გაწეული მუშაობა, რომელსაც ის ასრულებს და საკმაოდ წარმატებითაც, რასაც მოწმობს მასზე დიდი მოთხოვნა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ქართული ტექნიკური ჟურნალის აღდგენა ხელს შეუწყობს სპატენტო-სალიცენზიო მუშაობისა და ტექნიკური "შემოქმედების" შემდგომ განვითარებას, ტექნიკური პროგრესის აქტუალური საკითხების გადაჭრას და მის წინსვლას, მშენებარე ობიექტებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდას, იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომელიც დასახულია ღირებულებითი ორგანოების მიერ გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წინაშე ტექნიკური პროგრესის "შემდგომი განვითარების საქმეში".

## თ ა ვ ი X

### დანართი

- § 1. დებულება აღმოჩენების, გამოგონებების და რაციონალიზატორულ წინადადებების შესახებ. დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აპრილის № 584 დადგენილებით. ცვლილებებითა და დამატებებით. რეგლამიც შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წ. 28 დეკემბრის № 1078 დადგენილების შესაბამისად.

## კ ა რ ი I

### ზოგადი დებულებანი

1. ამ დებულებით რეგულირდება აღმოჩენებთან, გამოგონებებთან და რაციონალიზატორულ წინადადებებთან დაკავშირებით წარმოშობილი ორგანიზაციული, ქონებრივი, პირადი არაქონებრივი და შრომითი ურთიერთობანი.
2. აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე უფლებებს იცავს სახელმწიფო და დასტურდება: აღმოჩენებზე — დიპლომებით, გამოგონებებზე — საავტორო მოწმობებით ან პატენტებით და რაციონალიზატორულ წინადადებებზე — მოწმობებით.

აღმოჩენებზე—დიპლომები, გამოგონებებზე—საავტორო მოწმობები და პატენტები, რაციონალიზატორულ წინადადებებზე—მოწმობები გაიცემა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ერთიანი ფორმების მიხედვით.

3. აღმოჩენაზე, გამოგონებაზე ან რაციონალიზატორულ წინადადებაზე ავტორობის უფლება ამ დებულებით დადგენილი წესით ენიჭება მოქალაქეებს, რომელთა შემოქმედებითი შრომით გაკეთდა აღმოჩენა, გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება.

4. ორი ან მეტი მოქალაქის ერთობლივი შემოქმედებითი შრომით გაკეთებული აღმოჩენის, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორობაზე უფლება ეკუთვნით მათ ერთობლივად, როგორც თანაავტორებს.

არ მიიჩნევიან თანაავტორებად პირები, რომლებმაც აღმოჩენის, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორს აღმოუჩინეს მხოლოდ ტექნიკური დახმარება (ნახაზების ან ნიმუშების დამზადება, გაანგარიშების შესრულება, დოკუმენტაციის გაფორმება, საცდელი შემოწმების ჩატარება და მისთანანი).

უფლებებით სარგებლობის წესი, რომლებიც ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, განისაზღვრება თანაავტორების შეთანხმებით.

5. აღმოჩენის, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორს ეკუთვნის უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დებულებით, აგრეთვე სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა აქტებით.

უფლებები, რომელიც გათვალისწინებულია ამ დებულების VIII კარში, არ ვრცელდება იმ გამოგონებების ავტორებზე, ვისზედაც გაცემულია პატენტები და არა საავტორო მოწმობები, ამ დებულების 24-ე პუნქტის მეორე აბზაცში მითითებულ შემთხვევათა გამოკლებით.

6. აღმოჩენაზე დიპლომის, გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის, ან რაციონალიზატორულ წინადადებაზე მოწმობის მიღების უფლება, აღმოჩენისათვის, გამოგონებისათვის და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელოზე უფლება, აგრეთვე პატენტზე დაფუძნებული განსაკუთრებული უფლება გამოგონებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადადის მემკვიდრეობით.

7. უცხოელი მოქალაქენი — გამოგონებებისა და რაციონალ-

ზატორული წინადადებების ავტორები, და აგრეთვე მათი უფლებამონაცვლენი (მათ შორის იურიდიული პირები), სსრ კავშირის მოქალაქეების (იურიდიული პირების) თანაბრად სარგებლობენ ამ დებულებით და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა აქტებით გათვალისწინებული უფლებებით.

უცხოელი მოქალაქენი — აღმოჩენების ავტორები და მათი მემკვიდრენი, სსრ კავშირის მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ ამ დებულებით და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა აქტებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ აღმოჩენა გაკეთებულია საბჭოთა მოქალაქის თანაავტორობით ან სსრ კავშირის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში სამუშაოს შესრულების დროს.

უცხოელი მოქალაქენი და იურიდიული პირები, რომლებიც ცხოვრობენ ან აქვთ შესაბამისად მუდმივი ადგილსამყოფელი საზღვარგარეთ, გამოგონებებზე საავტორო მოწმობის ან პატენტების მისაღებად და პატენტების მოქმედების შესანარჩუნებლად სსრ კავშირში საქმეებს აწარმოებენ სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საშუალებით.

8. ავტორობის მითვისება, თანაავტორობაზე, ავტორობაზე უარის თქმის იძულება ან აღმოჩენაზე, გამოგონებაზე განაცხადის ან რაციონალიზატორული წინადადების შესახებ განცხადების შეტანაზე უარის თქმის იძულება განაცხადის შეტანამდე ნაეარაუდევო აღმოჩენის ან გამოგონების არსის დადგენილი წესის დარღვევით, მათ შორის ავტორის თანხმობის გარეშე, დადგენილი წესის დარღვევით გამჟღავნებას. თავის მხრივ მოსდევს პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების განხილვისა და გამოყენების დროს გაკვიანურება და ბიუროკრატიზმის სხვა გამოვლინებები, გამომგონებლის და რაციონალიზატორის გასამრჯელოზე უფლების განზრახ დარღვევას თავის მხრივ მოსდევს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა.

9. აღმოჩენაზე დიპლომის, გამოგონებაზე საავტორო მოწმობის და რაციონალიზატორულ წინადადებებზე მოწმობის გაცემასთან დაკავშირებულ საქმეებზე ბაჟს არ ახდევინებენ.

გამოგონებათა და პატენტებასთან დაკავშირებულ საქმეებზე იხდიან საპატენტო ბაჟებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით და ოდენობით.

9. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, დადგენილია სხვაგვარი წესები, ვიდრე ისინა, რომელსაც შეიცავს ეს დებულება, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

## კ ა რ ი II

### აღმოჩენები

10. თანახმად ამ დებულებისა, აღმოჩენად ითვლება ადრე უცნობი, მატერიალურ სამყაროში ობიექტურად არსებული კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების დადგენა, რომელთაც ძირეული ცვლილებები შეაქვთ შემეცნების სფეროში.

გეოგრაფიულ, არქეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ აღმოჩენებზე. სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების აღმოჩენებზე და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში აღმოჩენებზე ეს დებულება არ ვრცელდება.

11. აღმოჩენაზე დიპლომი გაიცემა ავტორის სახელზე და ადასტურებს: მატერიალურ სამყაროს გამოვლენილი კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების აღმოჩენად აღიარებას, აღმოჩენის პრიორიტეტსა და აღმოჩენაზე ავტორობას. თანაავტორობის შემთხვევაში აღმოჩენაზე დიპლომი მიეცემა თითოეულ თანაავტორთაგანს მასში სხვა თანაავტორების მითითებით.

12. აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე განაცხადი შეაქვთ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში.

განაცხადი შეაქვს თვით ავტორს (თანაავტორებს) ან მის მკვიდრებს ან საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას, რომელსაც ეს მიანდო ავტორმა.

სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით გაკეთებული აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე განაცხადი ფორმდება საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ ავტორთან (თანაავტორებთან) ერთად და შეაქვთ აუცილებელ დასაბუთებებთან ერთად ამ საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას ასეთი განაცხადის შეტანის შესახებ წინადადების შემოსვლის დღიდან ერთი თვის ვადაში. თუ განაცხადი არ შეიტანა საწარმომ, ორგანიზაციამ ან დაწესებულებამ მითითებულ ვადაში, ავტორს უფლება აქვს დამოუკიდებლად შეიტანოს განაცხადი უშუალოდ

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მითითებით, რომ აღმოჩენა გაკეთებულია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით და რომ საწარმომ, ორგანიზაციამ და დაწესებულებამ არ გააფორმა განაცხადი დადგენილ ვადაში.

13. განაცხადი აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ აღმოჩენას და შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

განცხადებას აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის შესახებ;

ნავარაუდები აღმოჩენის აღწერილობას;

აღმოჩენის საილუსტრაციო მასალებს, თუ ისინი აუცილებელია;

აღმოჩენის პრიორიტეტის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

განაცხადი წარედგინება სამ ეგზემპლარად.

განცხადებაში აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის შესახებ უნდა იყოს მითითებული ავტორის (თანავტორების) გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი (მათი) საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო ადგილი (უცხოელებისათვის — აგრეთვე მოქალაქეობა), ნავარაუდები აღმოჩენის დასახელება.

ნავარაუდები აღმოჩენის აღწერილობაში მოყვანილი უნდა იქნეს მატერიალური სამყაროს გამოვლენილ კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების უტყუარობის თეორიული ან ექსპერიმენტული მტკიცებანი, აგრეთვე განცხადებული აღმოჩენის არსის მოკლედ, მკაფიოდ და ამომწურავად გამოხატული აღმოჩენის ფორმულა.

აღმოჩენის საილუსტრაციო მასალების სახით წარედგინება ნახაზები, გრაფიკები, ფოტოსურათები და მისთ.

14. აღმოჩენის პრიორიტეტი განისაზღვრება იმ თარიღის მიხედვით, როცა პირველად იყო ფორმულირებული აღმოჩენის სახით განცხადებული დებულება, ან აღნიშნული დებულების პრესაში გამოქვეყნების თარიღის მიხედვით, ან მესამე პირებისათვის პისი სხვა გზით გაცნობის თარიღის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როცა აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე განაცხადი არ შეიცავს მითითებული წესით პრიორიტეტის თარიღის ოფიციალურად დამადასტურებელ მონაცემებს, აღმოჩენის პრიორიტეტი დგინდება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შესვლის თარიღის მიხედვით.

15. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ვალდებულია აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის განაცხადის შესვლის მომენტიდან 3 თვის ვადაში ჩაატაროს მისი წინასწარი ექსპერტიზა და მისცეს განმცხადებელს ცნობა განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ ან მოითხოვოს წარდგენილ მასალებში აუცილებელი შესწორებების ან დამატებების შეტანა, ხოლო აღმოჩენისადმი ამ დებულებით წარდგენილ მოთხოვნებთან, განცხადებულ დებულებათა შეუსატყვისობის შემთხვევაში, აცნობოს განმცხადებელს განაცხადის განსახილველად მიღებაზე უარის შესახებ უარის მოტივების მითითებით.

განაცხადის შესწორებისა ან შევსებისათვის დამატებითი მასალებით განმცხადებელს ეძლევა 2 თვის ვადა მის მიერ ამ წინადადების მიღების დღიდან. თუ განმცხადებელმა არ შეიტანა მითითებულ ვადაში შესწორებები განაცხადში ან არ წარადგინა დამატებითი მასალები, განაცხადი შეტანილად არ ითვლება.

16. აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე განსახილველად მიღებული განაცხადი ნავარაუდევია აღმოჩენის ხასიათისაგან დამოკიდებულებით ეგზავნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს, დარგობრივ აკადემიებს, უნივერსიტეტებს, წამყვან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს ან სამინისტროებსა და უწყებების სასწავლო დაწესებულებებს აღმოჩენის არსებობის საკითხის შესახებ დასკვნაზე.

მითითებული ორგანიზაციები სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში 3 თვის ვადაში წარადგენენ თავის დასკვნებს აღმოჩენის არსებობის შესახებ (აღმოჩენის რეკომენდებული ფორმულის გადმოცემით), მისი მნიშვნელობის შეფასებით და აღმოჩენის შესაძლო გამოყენების გზებზე რეკომენდაციებით ან აღმოჩენის არარსებობის შესახებ, ამ დასკვნის დამამტკიცებელი მოტივების მითითებით.

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ამ დებულების 56-ე პუნქტით დადგენილი წესით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია მოიწვიოს აღმოჩენის ავტორი მისი განაცხადის განხილვაში მონაწილეობისათვის.

17. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი განაცხადის მიხედვით აღმოჩენის დიპლომის გაცემაზე დასკვნების მიღების შემდეგ წყვეტს საკითხს



განცხადებული დებულების აღიარებაზე ან ამ აღიარებაზე უარის შესახებ. ამასთან გადაწყვეტილება განცხადებული დებულების აღიარებაზე მიიღება კომიტეტის მიერ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან შეთანხმებით. გამოვლენილი დებულების აღმოჩენად აღიარების შემთხვევაში კომიტეტი ავტორთან (თანაავტორებთან) შეთანხმებით ამტკიცებს აღმოჩენის ფორმულას, აღგენს მისი პრიორიტეტის თარიღს და რეგისტრაციაში ატარებს აღმოჩენას სსრ კავშირის აღმოჩენების სახელმწიფო რეესტრში.

რეგისტრირებული აღმოჩენის შესახებ (აღმოჩენის დამტკიცებული ფორმულის მოტანით) წარმოებს პუბლიკაცია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში, აგრეთვე აღმოჩენის აღწერილობის პუბლიკაცია შესაბამის აკადემიურ ჟურნალებში.

ითვალისწინებს რა სახელმწიფო ინტერესებს, კომიტეტს შეუძლია გადადოს ან სრულებით არ აწარმოოს პუბლიკაცია რეგისტრირებულ აღმოჩენაზე.

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ სამინისტროებს და უწყებებს რეგისტრირებულ აღმოჩენებზე სახალხო მეურნეობაში მათი ფართოდ გამოყენების მიზნით.

გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე აღმოჩენებზე, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი შესაბამისად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებთან, დარგობრივ აკადემიებთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთობლივად წარადგენს რეკომენდაციებს ამ აღმოჩენების გამოყენების შესახებ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, რომელიც განიხილავს მათ 3 თვის ვადაში და განსაზღვრავს რეკომენდებული აღმოჩენების სახალხო მეურნეობაში გამოყენების წესს.

18. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება აღმოჩენაზე განაცხადის განსახილველად მიღებაზე უარისა ან განცხადებული დებუ-

ლებს აღმოჩენად აღიარებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას, შეუძლია 2 თვის ვადაში დღიდან გადაწყვეტილების მიღებისა შეიტანოს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მოტივირებული შეპასუხება, რომელიც განხილულ უნდა იქნეს კომიტეტის მიერ 2 თვის ვადაში. თუ განაცხადი შეტანილი იყო საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, მაშინ მოტივირებული შეპასუხება აღნიშნულ შემთხვევებში აგრეთვე შეიძლება შეტანილ იქნეს ავტორის (თანაავტორების) მიერ.

აუცილებლობის შემთხვევაში კომიტეტმა განაცხადი შეიძლება გაუგზავნოს ამ დებულების მე-16 პუნქტში მითითებულ ორგანიზაციებს განმეორებით დასკვნაზე.

91. თუ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში რეგისტრირებულ აღმოჩენაზე პუბლიკაციის ან სსრ კავშირის აღმოჩენების სახელმწიფო რეესტრში შეტანის დღიდან (როცა პუბლიკაცია არ მომხდარა) ერთი წლის განმავლობაში რეგისტრაცია სადავო არ გახდა, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით (ამ დებულების 143-ე და 144-ე პუნქტები) გასცემს დიპლომს აღმოჩენაზე და გადაუხდის ავტორს (თანაავტორებს) გასამრჯელოს.

თუ აღმოჩენის რეგისტრაცია მითითებული ვადის განმავლობაში გახდა სადავო, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი გადადებს აღმოჩენაზე დიპლომის გაცემას ამ ვადის გამო გადაწყვეტილების მიღებამდე.

20. სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით გაკეთებულ აღმოჩენაზე, საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას მიეცემა მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ეს აღმოჩენა გაკეთებულია მოცემულ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში. მოწმობის ფორმას ადგენს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

გამოგონებები

გამოგონების ცნება

21. გამოგონებად ითვლება სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის ან ქვეყნის თავდაცვის ნებისმიერ დარგში ამოცანის ახალი და არსებითი განსხვავებების მქონე ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც დადებით ეფექტს იძლევა.

გადაწყვეტა ითვლება ახლად, თუ განაცხადის პრიორიტეტის თარიღამდე ეს ან ასეთივე გადაწყვეტის არსი არ იყო ცნობილი სსრ საეშირში ან საზღვარგარეთ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის იმდენად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი განხორციელება.

გადაწყვეტა ითვლება არსებითი განსხვავებების მქონედ, თუ განაცხადის პრიორიტეტის თარიღისათვის მეცნიერებაში და ტექნიკაში ცნობილ გადაწყვეტებთან შედარებით, იგი ხასიათდება ნიშან-თვისებების ახალი ერთობლიობით.

გამოგონების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს: ახალი მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, აგრეთვე აღრე ცნობილი მოწყობილობების, ხერხების, ნივთიერებების ახალი დანიშნულებით გამოყენება.

გამოგონებად ითვლება აგრეთვე მიკროორგანიზმების ახალი შტამები.

გამოგონებებად არ ითვლება, კერძოდ:

მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები და სისტემები (დაგეგმვა, დაფინანსება, მომარაგება, აღრიცხვა და სხვ.).

პირობითი აღნიშვნები (მაგალითად, საგზაო ნიშნები, მარშრუტები და სხვ.), განრიგები, წესები (მაგალითად, თამაშის წესები ქუჩაში მოძრაობის წესები და სხვ.).

ნაგებობათა, შენობებისა და ტერიტორიების (დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, პარკების და სხვ.), დაგეგმარების პროექტები და სქემები.

აღზრდის, სწავლების მეთოდები და სისტემები, ენის გრამატიკული სისტემები და სხვ.

სამრეწველო ნიმუშებზე მესაბამისი კანონმდებლობით დაცული წინადადებები, რომლებიც ეხება ნაკეთობების მხოლოდ გარე სახეს (ფორმას, ფასონს).

არ ითვლება გამოგონებებად გადაწყვეტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, ჰუმანურობისა და სოციალისტური მორალის პრინციპებს, აგრეთვე აშკარად უსარგებლოა.

22. სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სხვა კულტივირებულ მცენარეთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ახალ ჯიშებზე და ჰიბრიდებზე, მათ მალაპროდუქტიულ, ქარხნულ და შიდა ჯიშობრივ ტიპებზე და საქარხნო ხაზებზე, ბეწვიან ნადირთა და თუთის აბრეშუმის ჰიის ახალ ჯიშებზე გაიცემა საავტორო მოწმობები.

მითითებული სელექციური მიღწევები უფლებრივი დაცვით უტოლდებიან გამოგონებებს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სხვა გამოყვანილ მცენარეთა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა, ბეწვიან ნადირთა ტიპებისა და თუთის აბრეშუმის ჰიის გაუმჯობესებულ ჯიშებზე გაიცემა მოწმობები.

ავტორებს (სელექციონერებს), აგრეთვე საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებშიც მიღებულია მითითებული სელექციური მიღწევები, საავტორო მოწმობებს და მოწმობებს აძლევს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამასთან საავტორო მოწმობების გაცემა წარმოებს მხოლოდ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მათი რეგისტრაციის შემდეგ.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დადგენილი წესით განსაზღვრავს მითითებული მიღწევების სიახლეს და სარგებლიანობას, განიხილავს ამ მიღწევებზე საავტორო მოწმობებისა და მოწმობების გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავასა და საჩივრებს, წყვეტს მიღწევების გამოყენების საკითხებს, აწარმოებს მათთვის გასამრჩელოს დარიცხვას და გადახდას, ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილი სახსრებით სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებულ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

## გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა თ ა დ ა ც ვ ა

23. გამოგონების ავტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ მოითხოვოს:

ან მხოლოდ ავტორობის აღიარება და მისთვის მოქმედი კა-

ნონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და შელავათების მიცემა, გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების სახელმწიფოზე გადაცემით;

ან ავტორობის აღიარება და მისთვის გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მიცემა.

პირველ შემთხვევაში გამოგონებაზე გაიცემა საავტორო მოწმობა, მეორე შემთხვევაში — პატენტი.

გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების ჩქონე იხორციელებს გამოგონების გამოყენებისა და გამგებლობის უფლებას.

24. გამოგონებაზე გაიცემა საავტორო მოწმობა, თუ იგი შექმნილია ავტორის მიერ სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში მუშაობასთან დაკავშირებით ან მათი დავალებით და აგრეთვე თუ ავტორისათვის სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ გწეული იყო ფულადი ან სხვაგვარი მატერიალური დახმარება.

საბჭოთა ორგანიზაციების საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან ეკონომიკური და სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელებისას, სამსახურებრივი დავალებების შესრულებასთან დაკავშირებულ ერთობლივ გამოგონებებზე, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე შეიძლება გაცემულ იქნეს, გაცნობის წესით, პატენტი, ამ დებულების 30-ე პუნქტის მეორე აბზაცით გათვალისწინებული პირობებით. ამ შემთხვევაში გამოგონების საბჭოთა ავტორებზე ვრცელდება უფლებები და შელავათები, რომლებიც მიცემული აქვთ საავტორო მოწმობებით დაცულ გამოგონებების ავტორებს.

25. გამოგონებაზე გაიცემა საავტორო მოწმობა, თუ გამოგონების ობიექტს წარმოადგენს:

ნივთიერება, რომელიც მიღებულია ქიმიური გზით;

სამკურნალო ნივთიერება, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის ან აღამიანთა ან ცხოველთა დაავადებათა მკურნალობის ხერხი, რომელაც აპრობირებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გამოგონებებზე, რომლებიც დადგენილი წესით მიჩნეულია საილუმლოდ და ამ დებულების 37-ე პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში დამატებით გამოგონებებზე, გაიცემა მხოლოდ საავტორო მოწმობები.

## ს ა ა ვ ტ ო რ ო მ ო წ მ ო ბ ა

26. გამოგონებაზე საავტორო მოწმობა გაიცემა ავტორის სახელზე და ადასტურებს: წინადადების გამოგონებად აღიარებას, გამოგონების პრიორიტეტს, გამოგონებაზე ავტორობას, სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე.

საავტორო მოწმობა მოქმედებს უვადოდ განაცხადის შეტანის დღიდან სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ან ამ დებულების 79-ე პუნქტში ნაჩვენებ სამინისტროში (უწყებაში). ამასთან გამოგონებაზე სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება მოქმედებს 15 წლის განმავლობაში განაცხადის შეტანის დღიდან.

თანაავტორობის შემთხვევაში გამოგონებაზე საავტორო მოწმობა მიეცემა თითოეულ თანაავტორს მასში სხვა თანაავტორების ძითითებით.

27. საავტორო მოწმობებით დაცულ გამოგონებათა გამოყენება ხორციელდება სახელმწიფო და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ, მასზე სპეციალური ნებართვის გარეშე.

მითითებული გამოგონებების გამოყენება სხვა ორგანიზაციებისა და პირების მიერ რეწვის მიზნით გამოგონებაზე განაცხადის შეტანის დღიდან 15 წლის განმავლობაში დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით.

28. არ ითვლება საავტორო მოწმობაზე დაფუძნებულ გამოგონებაზე სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლების დარღვევად:

1) საავტორო მოწმობით დაცულ, გამოგონების საგნის შეშლად საშუალებათა საზღვაო ან სამდინარო გემების ბორტზე, გეზის კორპუსში, მანქანებში, აღჭურვილობაში, აპარატებში და სხვა მოწყობილობაში გამოყენება, როცა ეს ხომალდები დროებით ან შემთხვევით იმყოფებიან სსრ კავშირის წყლებში, იმ პირობით, რომ აღნიშნული საშუალებები გამოიყენება მხოლოდ გემის საჭიროებისათვის;

2) გადაადგილების საპაერო ან მიწისზედა საშუალებების ან ამ საშუალებების დამხმარე მოწყობილობების კონსტრუქციაში ან ექსპლუატაციის დროს გამოყენებულ საშუალებათა, რომლებიც შეადგენენ საავტორო მოწმობით დაცული გამოგონების სა-

განს, როცა აღნიშნული გადაადგილების საშუალებები დროებით ან შემთხვევით იმყოფებიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

აღნიშნული მოქმედებები არ ითვლება სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლების დარღვევად, თუ საზღვაო ან სამდინარო გემები, საჰაერო ან მიწისზედა მიმოსვლის საშუალებანი ეკუთვნის იმ ქვეყნების მოქალაქეებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც ასეთივე უფლებებს ანიჭებენ საბჭოთა მოქალაქეებს და ორგანიზაციებს.

29. საავტორო მოწმობაზე დაფუძნებული გამოგონების ავტორის უფლებები არ მოქმედებს საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიმართ, რომელიც იყენებს გამოგონების იდენტურ წინადადებას, შეტანილს სხვა პირის მიერ ამ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში გამოგონების პრიორიტეტის თარიღამდე.

### პ ა ტ ე ნ ტ ი

30. პატენტი ადასტურებს: წინადადების გამოგონებად აღიარებას, გამოგონების პრიორიტეტს, გამოგონებაზე ავტორობას და პატენტის მქონებელის (მფლობელის) განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე.

პატენტი გაიცემა გამოგონების ავტორის ან მისი უფლებამონაცვლის სახელზე პატენტში გვარის, სახელისა და მამის სახელის მითითებით. პატენტი ერთობლივ გამოგონებაზე, ამ დებულების 24-ე პუნქტის მეორე აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაში გაიცემა საბჭოთა და საზღვარგარეთის მოთანამშრომლე ორგანიზაციების სახელზე პატენტში თითოეული თანავტორთაგანის გვარის, სახელისა და მამის სახელის მითითებით.

გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება, აგრეთვე პატენტზე დაფუძნებული განსაკუთრებული უფლება, შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით.

არავის არ შეუძლია გამოიყენოს გამოგონება, რომელზეც გაცემულია პატენტი, პატენტის მქონებელის თანხმობის გარეშე.

პატენტის მქონებელს შეუძლია გასამრჯელოთი ან უფასოდ გასცეს ნებართვა (ლიცენზია) გამოგონების გამოყენებაზე ან სრულად დაუთმოს პატენტი. გასამრჯელოს ოდენობა ლიცენზიის გაცემაზე ან პატენტის დათმობაზე განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი ლიცენზიის გაცემაზე ან პატენტის დათმობის შესახებ უნდა იქნეს რეგისტრირებული სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კო-

მიტეტში. ამ მოთხოვნის დაუცველობას თავის მხრივ მოსდევს ლიცენზიის გაცემაზე ან პატენტის დათმობის შესახებ ხელშეკრულების ან სხვა დოკუმენტის გაუქმება.

პირი, რომელმაც დაარღვია პატენტის მქონებლის განსაკუთრებული უფლება, პატენტით დაცული გამოგონების გამოყენებაზე, ეკლდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზარალი სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

31. პატენტი გაიცემა 15 წლის ვადით, დღიდან განაცხადის შეტანისა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში.

პატენტის მოქმედება ვადად შეწყდება:

წლიური საპატენტო ბაჟის გადახდის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში;

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში შეტანილი პატენტის მქონებლის განცხადების საფუძველზე.

32. მოქმედი პატენტი სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ ავტორის შუამდგომლობით, რომელიც წარმოადგენს პატენტის მქონებელს ან ავტორისა და პატენტის მქონებლის ერთობლივი შუამდგომლობით შეიძლება შეცვლილ იქნეს საავტორო მოწმობაზე.

პატენტის საავტორო მოწმობაზე შეცვლის წესი და პირობები განისაზღვრება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

33. საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც გამოგონებაზე პატენტის გაცემის შესახებ განაცხადის შეტანამდე (ხოლო უცხოური კონვენციური განაცხადების მიხედვით — კონვენციური პრიორიტეტის თარიღამდე) და გამომგონებლისაგან დამოუკიდებლად სსრ კავშირის ტერიტორიაზე გამოიყენა გამოგონების იგივეური წინადადება, შემოტანილი სხვა პირის მიერ ან გააკეთა ყველაფერი აუცილებელი ამის მოსამზადებლად, ინარჩუნებს უფლებას მოცემული წინადადების შემდეგ უსასყიდლო გამოყენებაზე (აღრე სარგებლობის უფლება).

34. არ მიიჩნევა პატენტის მქონებლის განსაკუთრებული უფლებების დარღვევად მოქმედება, რომელიც მითითებულია ამ დებულების 28-ე პუნქტში.



35. იმ შემთხვევაში, როცა გამოგონებას აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის, მაგრამ პატენტის მქონებელთან არ იქნება მიღწეული ლიცენზიის გაცემაზე ან პატენტის დათმობის შესახებ შეთანხმება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით პატენტი შეიძლება იძულებით იქნეს გამოსყიდული სახელმწიფოს მიერ ან შეიძლება მიეცეს შესაბამის ორგანიზაციას ნებართვა გამოგონების გამოყენებაზე, პატენტის მქონებლისათვის გასამრჯელოს დადგენით.

#### დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი დ ა მ ა თ ი დ ა ც ვ ა

36. გამოგონება ითვლება დამატებითად, თუ იგი წარმოადგენს სხვა გამოგონების (ძირითადის) გაუმჯობესებას, რომელზედაც წინათ გაცემულია საავტორო მოწმობა ან არსებობს მოქმედი პატენტი, და ძირითადი გამოგონების გამოყენების გარეშე არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

განაცხადი დამატებითი გამოგონების საავტორო მოწმობის გაცემაზე, რომელიც შეტანილია საავტორო მოწმობით დაცული ძირითადი გამოგონების ავტორის მიერ, 6 თვის გასვლამდე სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალური ბიულეტენის გამოსვლიდან, რომელშიც წარმოებულია პუბლიკაცია ძირითადი გამოგონების შესახებ, ხოლო თუ ძირითადი გამოგონება არ ექვემდებარება პუბლიკაციას ბიულეტენში, მაშინ მისი სსრ კავშირის გამოგონებების სახელმწიფო რეესტრში შეტანის დღიდან, სარგებლობს ასეთსავე გამოგონებაზე სხვა პირის მიერ შეტანილი განაცხადის წინაშე უპირატესობით.

37. დამატებით გამოგონებაზე გაიცემა დამატებითი საავტორო მოწმობა ან დამატებითი პატენტი.

თუ ძირითად გამოგონებაზე გაცემულია საავტორო მოწმობა, მაშინ დამატებით გამოგონებაზე შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ დამატებითი საავტორო მოწმობა, მაგრამ არა პატენტი.

თუ ძირითად გამოგონებაზე გაცემულია პატენტი, მაშინ დამატებით გამოგონებაზე შეიძლება მიღებულ იქნეს, განმცხადებლის არჩევით, დამატებითი საავტორო მოწმობა ან დამატებითი პატენტი. ამ შემთხვევაში დამატებითი გამოგონების გამოყენება დაიშვება მხოლოდ ძირითადი პატენტის მქონებელთან შეთანხმებით.

38. პატენტის მოქმედების ვადა დამატებით გამოგონებაზე განისაზღვრება თანახმად ამ დებულების 31-ე პუნქტისა.

თუ ძირითად გამოგონებაზე საავტორო მოწმობა ან პატენტი გაუქმდება მიზეზებით, რომლებიც არ შეეხება დამატებით გამოგონებას ან ძირითად გამოგონებაზე პატენტის მოქმედება შეწყდება, მაშინ საავტორო მოწმობა ან პატენტი დამატებით გამოგონებაზე განიხილება როგორც დამოუკიდებელი.

საავტორო მოწმობის გაცემაზე განაცხადის შეტანის დღიდან 15 წლის გასვლის შემდეგ ან ძირითად გამოგონებაზე პატენტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ განაცხადზე მისი გამოგონების გაუმჯობესების შესახებ გაიცემა დამოუკიდებელი საავტორო მოწმობა ან პატენტი.

### გ ა ნ ა ც ხ ა დ ის შ ე დ გ ე ნ ა დ ა შ ე ტ ა ნ ა

39. განაცხადი გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემის შესახებ შეაქვთ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დებულების 22-ე და 79-ე პუნქტებით.

საპატენტო კოოპერაციის შესახებ გამოგონებებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთაშორისო განაცხადები შეაქვს სსრ კავშირის მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში, რომელიც წარმოადგენს მიმღებ უწყებას აღნიშნული განაცხადების მიმართ.

40. განაცხადი საავტორო მოწმობის გაცემაზე შეაქვს ავტორს (თანაავტორებს) ან მის (მათ) მემკვიდრეებს.

განაცხადი საავტორო მოწმობის გაცემის შესახებ გამოგონებაზე, რომელიც შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, ფორმდება ავტორის (თანაავტორების) მონაწილეობით და შეაქვს საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას.

თუ განაცხადი არ არის შეტანილი საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ ამ დებულების 41-ე პუნქტით დადგენილ ვადაში, ავტორს უფლება აქვს დამოუკიდებლად შეიტანოს განაცხადი უშუალოდ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მითითებით, რომ გამო-

გონება შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით და რომ საწარმომ, ორგანიზაციამ ან დაწესებულებამ არ გააფორმა განაცხადი დადგენილ ვადაში.

განაცხადი პატენტის გაცემაზე შეაქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს, განაცხადში ნამდვილი ავტორის მითითებით.

საავტორო მოწმობის გაცემაზე ავტორის მემკვიდრის მიერ განაცხადის შეტანის დროს, აგრეთვე პატენტის გაცემაზე ავტორის უფლებამონაცვლის მიერ განაცხადის შეტანის დროს დაერთვის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უფლებამონაცვლობას.

ავტორის წარმომადგენლის ან ავტორის უფლებამონაცვლის წარმომადგენლის საშუალებით განაცხადის შეტანისას აუცილებელია ისეთი დოკუმენტის დართვა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

41. საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ სამსახურებრივ დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი გამოგონებების დროული გამოვლენა, გაფორმება და ასეთი გამოგონებებისათვის საავტორო მოწმობათა გაცემაზე დადგენილი წესით განაცხადის შეტანა.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ვალდებული არიან იმ შემთხვევაში, როცა ასეთი გადაწყვეტები შეიძლება იყოს, მათი აზრით, მიჩნეული გამოგონებად, ინფორმაცია მიაწოდონ საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულების ადმინისტრაციას ტექნიკურ გადაწყვეტებზე, რომლებიც დაამუშავეს მათ ან მათდამი დაქვემდებარებულმა მუშაკებმა სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით.

საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება ვალდებულია შეატყობინოს ავტორს განაცხადის გაფორმების შესახებ, ჩააბას იგი და მონაწილეობა მიიღოს განაცხადის მასალების გაფორმებაში.

ყველა უფლება, რომელიც განაცხადის განხილვის დროს ეძლევა განმცხადებელს, ეკუთვნის როგორც განაცხადის შემტან საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, ასევე გამოგონების ავტორს (თანავტორებს).

საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება ვალდებულია განაცხადთან ერთად წარმოადგინოს თავისი დასკვნა ტექნიკური გადაწყვეტის სიახლეზე (ჩატარებული საპატენტო გამოკვლევაზე ცნობების დართვით), სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების შესა-

ძლო დარგებისა და მოსალოდნელ ტექნიკურ-ეკონომიკურ ან სხვა ეფექტზე მითითებით.

განაცხადი შეტანილ უნდა იქნეს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მიერ ერთი თვის ვადაში ტექნიკური გადაწყვეტის გამოვლენის დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა წინადადება მისი შეტანის შესახებ გამომდინარეობს ავტორისაგან, — ავტორის მიერ ასეთი წინადადების შეტანის დღიდან.

42. გამოგონებებზე, რომელთა შექმნა არ არის დაკავშირებული სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან, ავტორს, რომელაც მუშაობს საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, უფლება აქვს შეიტანოს განაცხადი საავტორო მოწმობის ვაცემაზე ამ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების საშუალებით.

საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება ვალდებულია აღმოუჩინოს ავტორს დახმარება განაცხადის გაფორმებაში, შეაზოწმოს მათთან არსებული მონაცემების მიხედვით ნავარაუდები გაროგონების სიახლე და ავტორის მიმართვის დღიდან ერთი თვის განმავლობაში გააგზავნოს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში საავტორო მოწმობის ვაცემაზე სათანადოდ გაფორმებული განაცხადი სიახლეზე დასკვნასთან ერთად (ჩატარებულ საპატენტო გამოკვლევებზე ცნობების დართვით), სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების შესაძლო დარგების მითითებით (თუ იგი მიეკუთვნება მოცემული საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მოღვაწეობის პროფილს).

გამოგონების ავტორს შეუძლია შეიტანოს განაცხადი საავტორო მოწმობის ვაცემაზე გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის საშუალებით, რომელიც ვალდებულია ერთი თვის ვადაში ავტორის მიმართვის დღიდან აღმოუჩინოს მას დახმარება განაცხადის გაფორმებაში და გაგზავნოს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში სათანადოდ გაფორმებული განაცხადი საავტორო მოწმობის ვაცემაზე.

43. არ დაიშვება საავტორო მოწმობის ვაცემაზე განაცხადის შეტანამდე პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ხელმისაწვდომი იმ ახალი ტექნიკური გადაწყვეტების არსის გამხსნელი ცნობების გამოცემებში გამოქვეყნება, რომლებიც დამუშავებულია სსრ კავ-

შირის საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და შეიძლება მიჩნეულ იქნენ გამოგონებებად.

ისეთ გამოგონებებზე განაცხადების განხილვისას, რომლებიც მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობისათვის, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი განცხადებული ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ დადგენილი წესით აცნობებს სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, გამომდინარე მისი სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში უსწრაფესი გამოყენების აუცილებლობიდან.

სხვა ორგანიზაციებისა და პირების მიერ განსახილველად მიღებული განაცხადის ცნობების გამოქვეყნება განაცხადის შეტანის შემდეგ დაიშვება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ნაბართვით დადგენილი წესით.

44. საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

განცხადებას საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე;

გამოგონების აღწერილობას გამოგონების ჯორმულთ;

ნახაზებს, სქემებს, გამოცდის აქტს და ნეაარაუდევო გამოგონების სხვა საილუსტრაციო მასალებს, თუ ისინი აუცილებელია;

ცნობას თითოეული თანაავტორის შემოქმედებით მონაწილეობაზე გამოგონების შექმნაში;

ანოტაციას, რომელიც შეიცავს იმის მოკლე გადმოცემას, რაც ვახსნილია გამოგონების აღწერილობაში, გამოგონების ფორმულაში და განაცხადის სხვა მასალებში, გამოყენების დარგის და გამოგონების გამოყენების შესაძლებლობის მითითებით.

განაცხადი წარედგინება 3 ეგზემპლარად.

განცხადება უნდა შეიცავდეს: გამოგონების დასახელებას, ავტორის (თანაავტორების) გვარს, სახელს, მამის სახელს, მის (მათ) მისამართს, სამუშაო ადგილს (უცხოელთათვის, გარდა ამისა, საჭიროა მოქალაქეობის აღნიშვნა), მტკიცებას იმისა, რომ პირი (პირები), რომლის (რომელთა) სახელზე მოითხოვება საავტორო მოწმობა ან პატენტი, ნამდვილად წარმოადგენს მოცემულ გამოგონების ავტორს (თანაავტორებს) და რომ ამასთან დაკავშირებით განაცხადის განსახილველად მიღების შემდეგ არავითარი სხვა პირები არ იქნებიან ჩართული თანაავტორების შემადგენლობაში. თუ გამოგონება შექმნილია სამსახურებრივი დავალების

შესრულებასთან დაკავშირებით, მაშინ განცხადებაში მიეთითება აგრეთვე საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების დასახელება, სადაც შექმნილია გამოგონება.

გამოგონების აღწერილობაში უნდა იყოს გადმოცემული მიზანი, რომელიც მიიღწევა გამოგონებით, დეტალურად აღიწეროს გამოგონება, მათ შორის მისი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, ძირითადებულ იქნეს მონაცემები გამოგონების გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკურ ეფექტურობაზე, ტექნიკის დარგები, რომლებსაც მიეკუთვნება გამოგონება და სად შეიძლება იგი იყოს გამოყენებული, გამოგონების ფორმულა.

აღწერილობაში და მისი ნახაზების, სქემების და სხვა გრაფიკული მასალების განმარტებებში გამოგონება იმდენად სრულად და მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული, რომ ჩანდეს მისი სიახლე და არსებითი განსხვავებები და რომ მათ მიხედვით შესაძლებელი იყოს გამოგონების გამოყენება.

ქიმიური გზით მიღებული ნივთიერების აღწერილობაში მოტანილი უნდა იყოს აგრეთვე მონაცემები მის ქიმიურ აგებულებაზე, ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ასევე მიღების ხერხის (ხერხების) გახსნა და ამ ნივთიერების გამოყენების დარგი.

გამოგონების აღწერილობა უნდა მთავრდებოდეს გამოგონების ფორმულით, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ კრიტერიუმს გამოგონების მოცულობის განსაზღვრისათვის და გამოგონების ტექნიკური არსის გამომხატველ მოკლე სიტყვიერ დახასიათებას. გამოგონების ფორმულაში მოწყობილობა უნდა იყოს დახასიათებული კონსტრუქციული ნიშან-თვისებებით, ხერხი — რიგი მოქმედებების (მატერიალური ობიექტების დახმარებით ხერხების, ოპერაციების) განსაზღვრული თანამიმდევრობით შესრულებით, ნივთიერება — მასში შემავალი ინგრედიენტებით და მათი რაოდენობრივი თანაფარდობით.

45. განაცხადი საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე უნდა ეკუთვნოდეს ერთ გამოგონებას ან გამოგონებათა ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია იმდენად, რომ ისანი ქმნიან ერთიან საერთო საგამომგონებლო ჩანაფიქრს.

### გ ა ნ ა ც ხ ა დ ე ბ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა

45. საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის მიხედვით სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ტარდება:

1) განაცხადისადმი წარდგენილ მოთხოვნათა დაცვის შემოწმება (წინასწარი ექსპერტიზა);

2) გამოგონებისადმი წარდგენილ მოთხოვნათა დაცვის შემოწმება (გამოგონების სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა).

აუცილებლობის შემთხვევაში კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს საავტორო მოწმობათა გაცემაზე განაცხადის მიხედვით კომპეტენტური საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დაკენა გამოგონების შესაძლო გამოყენებაზე, რომლებიც ვალდებულნი არიან წარმოადგინონ უსასყიდლოდ მითითებული დანაკენა ორი თვის განმავლობაში დღიდან მოთხოვნის მიღებისა.

47. წინასწარი ექსპერტიზა ტარდება 15 დღის განმავლობაში საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის შესვლის მომენტიდან სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში.

წინასწარი ექსპერტიზის საფუძველზე განმცხადებელს ეცნობება განაცხადის განსახილველად მიღების, ან განაცხადის განსახილველად მიღებაზე უარის შესახებ, უარის მოტივების მითითებით, ან წინადადება ეძლევა მას შეიტანოს განაცხადში აუცილებელი ცვლილებები და დამატებანი. განსახილველად მიღებულ განაცხადზე განმცხადებელს მიეცემა ცნობა.

განაცხადის განსახილველად მიღებაზე უარი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ არ არის დაცული განაცხადისადმი ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან საავტორო მოწმობის გაცემაზე ასეთი უარი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული მოთხოვნების დაუცველობა აბრკოლებს განაცხადის განხილვას.

განაცხადისადმი მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში, რომლებიც არ წარმოადგენს მისი განსახილველად მიღებაზე უარის საფუძველს, განმცხადებელს ეგზავნება წინადადება შესასწოროს განაცხადი ან შეაესოს იგი მასალებით, რომლებიც აკლია. თუ განმცხადებელი 2 თვის ვადაში ასეთი წინადადების მიღების დღიდან გააგზავნის შესწორებულ ან დამატებით დოკუმენტებს, რომლებიც არ ცვლის განაცხადს არსებითად, განაცხადის პრიორიტეტი ითვლება მისი თავდაპირველად შეტანის თარიღიდან. შესწორებული ან დამატებითი დოკუმენტების მი-

თითებულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში განაცხადი არ ითვლება შეტანილად.

48. გამოგონებების სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების ვადა არ აღემატება 6 თვეს განაცხადის შეტანის დღიდან სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. ამ ხნის განმავლობაში განმცხადებელს უნდა გაეგზავნოს გადაწყვეტილება საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემისა ან გაცემაზე უარის შესახებ უარის მოტივების მითითებით.

განმცხადებლისაგან მოთხოვნის ან განმცხადებლის მიერ დამატებითი მასალების წარდგენის შემთხვევაში, ამ დებულების 54-ე და 55-ე პუნქტების თანახმად, მითითებული ვადა შესაბამისად გარძელებად.

თუ ამ დებულების შესაბამისად განაცხადის განხილვის ვადა გრძელდება ან მისი განხილვა შეჩერდება, განმცხადებელს უნდა ეცნობოს ამის შესახებ.

49. თუ განაცხადის განხილვის დროს დადგენილი იქნება, რომ განაცხადის მასალებში შემაჯავლი წინადადება შეიცავს ორი ან მეტი გამოგონების საგანს, მაშინ ორგანო, რომელიც ახორციელებს გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერტიზას: განიხილავს განაცხადს საავტორო მოწმობის გაცემაზე როგორც ორ ან რამდენიმე დამოუკიდებელ განაცხადს, ხოლო თუ შეუძლებელია ეს გაკეთდეს განმცხადებლის მონაწილეობის გარეშე, წინადადებას აძლევს განმცხადებელს გაყოს განაცხადი;

წინადადებას აძლევს განმცხადებელს, რომელმაც შეიტანა განაცხადი პატენტის გაცემაზე, გაყოს ასეთი განაცხადი 2 თვის ვადაში დღიდან ამის შესახებ შეტყობინების მიღებისა. თუ განმცხადებელმა მითითებულ ვადაში არ წარადგინა გაყოფილი განაცხადები, მაშინ პატენტის გაცემაზე განაცხადი ან უარყოფილი იქნება, ან მასზე განაცხადში ჩართულ მხოლოდ ერთ გამოგონებაზე გაიცემა პატენტი.

50. გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადს უპირისპირდება:

სსრ კავშირში გაცემული საავტორო მოწმობები და პატენტები, — პრიორიტეტის თარიღიდან;

საბჭოთა გამოცემები — დასაბეჭდად ხელმოწერის დღიდან; უცხოური გამოცემები — გამოცემის გამოქვეყნების დღიდან



ან თვის ბოლო დღიდან, ან გამოცემაში მითითებული წლის 31 დეკემბრიდან, თუ გამოცემის გამოქვეყნების დრო განსაზღვრულია შესაბამისად მხოლოდ თვით ან წლით;

გამოფენებზე მოთავსებული ექსპონატები, — გამოფენის პავილიონში ან განყოფილებებში ღია ჩვენების დღიდან, გარდა ამ დებულების 53-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

უცხოური პატენტები, საავტორო მოწმობები და გამოქვეყნებული განაცხადები — გამოქვეყნების დღიდან;

ცნობები გამოგონების ღია გამოყენების შესახებ — გამოგონების ღია გამოყენების დაწყების დღიდან. არ ითვლება სიახლის გაბათილებად გამოგონების ღია გამოყენება, თუ ამ გამოგონების ავტორმა შეიტანა განაცხადი მისთვის საავტორო მოწმობის გაცემაზე არა უგვიანეს 4 თვისა გამოგონების გამოყენების დაწყების დღიდან;

გამოგონების შესახებ სხვა ცნობები, რომლებიც მოქცეულია ამ დებულების 21-ე პუნქტით დადგენილი ნიშან-თვისებების ქვეშ, — დღიდან, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

51. გამოგონების პრიორიტეტი დგინდება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ან ამ დებულების 79-ე პუნქტში მითითებულ სამინისტროში და უწყებაში განაცხადის მიღების დღის მიხედვით, ხოლო დავის შემთხვევაში — განაცხადის ჩაბარების დღიდან ფოსტაში ან საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში ან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ ორგანოში მასალების რეგისტრაციის დღიდან.

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადების პრიორიტეტის თარიღები ემთხვევა, ყველა ავტორი, რომლებიც მოხსენებულია განაცხადებში, განიხილებიან როგორც თანავტორები.

52. პირი, რომელსაც სურვილი აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, ისარგებლოს ადრე შეტანილი განაცხადის პრიორიტეტით, მოვალეა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანის დროს წარადგინოს ამის შესახებ განცხადება, მიუთითოს ქვეყანა, სადაც გამოგონება პირველად იყო განცხადებული, და ამ ქვეყანაში განაცხადის შეტანის თარიღი.

კომიტეტი განსაზღვრავს განმცხადებლის მიერ რა დოკუმენტები უნდა იყოს წარდგენილი გამოგონების პრიორიტეტის თარიღის დასადგენად და მათი წარდგენის ვადებს, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

53. სსრ კავშირის ტერიტორიაზე ორგანიზებულ ოფიციალურ და ოფიციალურად აღიარებულ საერთაშორისო გამოფენებზე მოთავსებულ ექსპონატებში გამოგონებების ღია ჩვენება არ ითვლება გამოგონების სიახლის გაბათილებად, თუ განაცხადი შეტანილია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში გამოგონების ავტორის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ გამოფენაზე ექსპონატის მოთავსების დღიდან 6 თვის განმავლობაში ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. სია დამატებითი დოკუმენტებისა, რომლებიც ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს დართული განაცხადს, განისაზღვრება კომიტეტის მიერ.

54. საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის განხილვის დროს გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერტიზას უფლება აქვს მოსთხოვოს განმცხადებელს გამოგონების არსის დამაზუსტებელი დამატებითი მასალები, თუ ასეთი მასალების გარეშე განაცხადის შემდგომი განხილვა შეუძლებელია. განმცხადებელი მოვალეა გააგზავნოს მასალები ერთი თვის ვადაში მოთხოვნის მიღების მომენტიდან.

განმცხადებლის მიერ მითითებული მასალების დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში განაცხადის განხილვის ვადა შესაბამისად გაგრძელდება, მაგრამ არა უმეტეს ვიდრე 6 თვე, რომლის შემდეგ განაცხადი ითვლება უარყოფილად.

55. საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის განსახილველად მიღების დღიდან 2 თვის განმავლობაში განმცხადებელს უფლება აქვს შეავსოს და შეასწოროს მის მიერ წარდგენილი განაცხადის მასალები. დამატებითი მასალები უნდა წარედგინოს 3 ეგზემპლარად.

თუ დამატებითი მასალები ცვლიან განცხადებული გამოგონების არსს, მაშინ ისინი უნდა იყოს გაფორმებული განმცხადებლის მიერ დამოუკიდებელი განაცხადის სახით.

განმცხადებლის მიერ გამოგონების ფორმულის შეცვლა დაშვებულია განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე: საავტორო მოწმობის გაცემაზე განაცხადის მიხედვით — როგორც ფორმულის

განვრცობის, ასევე შემოკლების მხრივ, ხოლო პატენტის გაცემაზე განაცხადის მიხედვით — მხოლოდ ფორმულის შემოკლების მხრივ.

56. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს ავტორი საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის განხილვაში მონაწილეობისათვის. ამ შემთხვევაში გამოგონების ავტორს, რომელზეც მოთხოვნილია საავტორო მოწმობა, ენახება საშუალო ხელფასი სამუშაო ადგილზე და ეძლევა დადგენილი წესით საწარმოდან, ორგანიზაციიდან ან დაწესებულებიდან, სადაც ის მუშაობს, სამსახურებრივი მივლინება დადგენილი წესით, როგორც წესი; საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის ფინანსირებაზე გამოყოფილი თანხების ხარჯზე.

57. გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა განაცხადის განხილვის შედეგების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე ან მის გაცემაზე უარის შესახებ.

სავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მოტანილი გამოგონების ფორმულა და ნაჩვენები გამოგონების პრიორიტეტის თარიღი, ხოლო უარის შესახებ გადაწყვეტილებაში — უარის მოტივები.

სავტორო მოწმობის გაცემაზე გადაწყვეტილებაში გამოგონების ფორმულა დგინდება გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის განმზორციელებელი ორგანოს მიერ.

პატენტის გაცემაზე გადაწყვეტილებაში მოიყვანება გამოგონების ფორმულა, რომელსაც შეიცავს განაცხადი. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება ამ ფორმულას, გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის განმზორციელებელი ორგანო წინადადებას აძლევს განმცხადებელს შეიტანოს ცვლილებები გამოგონების ფორმულაში. თუ განმცხადებელი უარს ამბობს ამ წინადადების მიღებაზე, ექსპერტიზას უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე უარის შესახებ.

58. განმცხადებელს უფლება აქვს გაეცნოს მასალებს, რომელთა საფუძველზეც გამოტანილია გადაწყვეტილება მისი განაცხადის მიხედვით და გაკეთებულია დასკვნები გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის მიერ, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის ვადაში მოითხოვოს განაცხადთან დაპირისპირებული მასალების გამოგზავნა. (გარდა საიდუმლო მა-

სალებისა და იმ მასალებისა, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას).

საავტორო მოწმობის გაცემაზე განაცხადთან დაპირისპირებულ საპატენტო მასალების ასლები იგზავნება უფასოდ.

59. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ ეთანხმება საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას ან საავტორო მოწმობის გაცემაზე გადაწყვეტილებაში დადგენილ გამოგონების ფორმულას, განმცხადებელს უფლება აქვს გადაწყვეტილების ან მოთხოვნილი დაპირისპირებული მასალების მიღების დღიდან 2 თვის განმავლობაში შეიტანოს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში მოტივირებული შედავება.

შედავება საავტორო მოწმობის გაცემის შესახებ, უარზე განაცხადში წინადადების შინაარსის აშკარა უსარგებლობის მოტივით შეიძლება შეტანილ იქნეს განმცხადებლის მიერ ამ პუნქტში დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც, თუ წარდგენილი იქნება სარგებლიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შედავება გამოგონებათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ უნდა განიხილოს 2 თვის ვადაში.

60. საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს (მთლიანად ან ნაწილი) ან გადაისინჯოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც უფრო ადრეული პრიორიტეტით სარგებლობს.

გადაწყვეტილების გაუქმების ან გადასინჯვის შესახებ ეცნობება განმცხადებელს, რომელსაც უფლება აქვს ამ შემთხვევაში შეიტანოს შედავება ამ დებულების 59-ე პუნქტში გათვალისწინებული წესით.

61. საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი შეიტანს გამოგონებას სსრ კავშირის გამოგონებათა სახელმწიფო რეესტრში, ახდენს პუბლიკაციას გამოგონების შესახებ კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში, გამოსცემს გამოგონების აღწერილობას მასში გამოგონების ფორმულის მოტანით და გასცემს საავტორო მოწმობას ან პატენტს.

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სა-

ხელმწიფო კომიტეტს შეუძლია სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით გადადოს ან საერთოდ არ მოახდინოს გამოგონების შესახებ პუბლიკაცია.

62. სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილ გამოგონებაზე საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას მიეცემა მოწმობა გამოგონებაზე, რომელიც ადასტურებს გამოგონების შექმნის ფაქტს მოცემულ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში. მოწმობის ფორმა დგინდება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ

## კ ა რ ი IV

### რაციონალიზატორული წინადადებები

63. რაციონალიზატორულ წინადადებად ითვლება ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც წარმოადგენს ახალსა და სასარგებლოს საწარმოსათვის, ორგანიზაციისა ან დაწესებულებისათვის, სადაც ის არის შეტანილი, და ითვალისწინებს ნაკეთობის კონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტექნიკის ან მასალის შედგენილობის შეცვლას.

სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციების და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინადადებებზე (გარდა გამოგონებებისა), რომლებიც მიეკუთვნება ამ მუშაკების მიერ დასამუშავებელ პროექტებს, კონსტრუქციებს და ტექნიკურ პროცესებს, ამ დებულების მოქმედება არ ვრცელდება

64. წინადადება მიიჩნევა ახლად საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულებისათვის, სადაც ის არის შეტანილი, თუ დადგენილი ფორმით განცხადების შეტანამდე მოცემული ან ასეთივე გადაწყვეტა:

1) არ გამოიყენებოდა ამ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, გარდა შემთხვევებისა, როცა გადაწყვეტა გამოიყენებოდა ავტორის ინიციატივით არა უმეტეს 3 თვის განმავლობაში განცხადების შეტანამდე;

2) არ იყო გათვალისწინებული ბრძანებებით ან ადმინისტრაციის განკარგულებებით, არ იყო დამუშავებული ამ საწარმოების,

ორგანიზაციების ან დაწესებულებების ტექნიკური სამსახურების მიერ, ან არ იყო განცხადებული სხვა პირის მიერ, რომელსაც მიეკუთვნება პირველობა ამ დებულების 74-ე პუნქტის შესაბამისად;

3) არ იყო რეკომენდებული ზემდგომი ორგანიზაციის მიერ ან გამოქვეყნებული საინფორმაციო გამოცემებში მოცემულ დარგში მოწინავე გამოცდილების გასაჯრცელებლად;

4) არ არის გათვალისწინებული საწარმოსათვის, ორგანიზაციის ან დაწესებულებისათვის აუცილებელი ნორმატივებით (სტანდარტებით, ნორმალებით, ტექნიკური პირობებით და მისთ.).

65. წინადადება მიიჩნევა სასარგებლოდ, თუ მისი გამოყენება მოცემულ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში იმ პირობებში, რომლებიც არსებობს ან უნდა შეიქმნას დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ეკონომიკური, ტექნიკური ან სხვაგვარი დადებითი ეფექტი.

არ მიიჩნევა რაციონალიზატორულად წინადადებები, რომელთა გამოყენებასაც შეიძლება მოჰყვეს საიმედოობის, ხანგამძლეობის და პროდუქციის ხარისხის სხვა მაჩვენებლების დაქვეითება.

66. სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ რომელიმე ორგანოს ან პირის სპეციალური ნებართვის გარეშე გამოიყენონ მათი მოღვაწეობის სფეროს მიკუთვნებული რაციონალიზატორული წინადადებები, იმისაგან დამოუკიდებლად სად და ვის მიერ არის ისინი შექმნილი.

67. წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებისათვის ავტორს შეაქვს წერილობითი განცხადება წინადადების არსის აღწერით და ურთავს აუცილებელ შემთხვევებში ნახაზებს, საქმეებს ან ესკიზებს. წარდგენილი მასალები უნდა შეიცავდეს წინადადების პრაქტიკული განხორციელებისათვის საკმარის მონაცემებს.

განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის ფორმები, რომლებიც მიეკუთვნება რაციონალიზატორული წინადადების გაფორმებას, დგინდება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

68. განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე შეაქვთ იმ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, რომლის მოღვაწეობასაც მიეკუთვნება წინადადება, დამოუკიდებლად იმისა, მუშაობს თუ არა ავტორი ამ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში.

თუ წინადადება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სა-

წარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, ავტორმა შეიძლება შეიტანოს განცხადება სამინისტროში ან უწყებაში, რომლის გამგებლობაშიც იმყოფებიან საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებები. ამ შემთხვევაში წინადადების სიახლე განისაზღვრება ამ დებულების 64-ე პუნქტის წესებთან შეფარდებით მოცემული სამინისტროს, უწყების, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულების საზღვრებში, სადაც შეიძლება ამ წინადადების გამოყენება.

საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც მიიღო გამოსაყენებლად წინადადება, რომელიც, მისი აზრით წარმოადგენს საინტერესოს აგრეთვე სხვა საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულებისათვის, მოვალეა 3 თვის ვადაში გაუგზავნოს ამ წინადადებას მიკუთვნებული მასალები, შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

69. საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, სამინისტრო ან უწყება, რომელმაც მიიღო განსახილველად განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, მოვალეა იგი რეგისტრაციაში გაატაროს და ავტორის თხოვნის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში გაცეს ან გაუგზავნოს ავტორს განცხადების მიღების ფაქტის და თარიღის დამადასტურებელი ცნობა.

70. რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ რაციონალიზატორულ წინადადებად აღიარებაზე ან მისი უარყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე, ავტორს შეუძლია წინადადების არსის შეუცვლელად შეავსოს ან შეცვალოს აღწერილობა, ნახაზები, სქემები ან ესკიზები. წინადადების არსის შეცვლა განიხილება როგორც ახალი წინადადების შეტანა.

71. განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე უნდა იქნეს განხილული და მის გამო საწარმომ, ორგანიზაციამ ან დაწესებულებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება 15 დღის განმავლობაში, ხოლო სამინისტრომ ან უწყებამ—1,5 თვის განმავლობაში მისი შემოსვლის დღიდან. აღნიშნულ ვადებში ავტორს უნდა ეცნობოს ამ წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებაზე და მის გამოსაყენებლად მიღებაზე ან წინადადების საცდელი შემოწმების ჩატარებაზე, ან წინადადების უარყოფის შესახებ უარყოფის მოტივების მითითებით.

საცდელი შემოწმების ჩატარების შემთხვევაში ავტორს უნდა ეცნობოს მიღებულ გადაწყვეტილებაზე 15 დღის განმავლობაში საცდელი შემოწმების ჩატარების დღიდან.

72. გადაწყვეტილება წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებაზე და მისი გამოსაყენებლად მიღებაზე, ან საცდელი შემოწმების ჩატარებაზე, ან მისი უარყოფის შესახებ მიიღება საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების, ან შესაბამისი ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელის მიერ, რომელზეც ეს ბრძანებით არის დაკისრებული საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში.

საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელის, მისი მოადგილის, მთავარი ინჟინრის, მთავარი ინჟინრის მოადგილის მიერ სამუშაო ადგილის მიხედვით ან დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში ან დაწესებულებებში შეტანილი წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებაზე გადაწყვეტილება მიიღება ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. ასეთი წესი მოქმედებს აგრეთვე წინადადებების მიმართაც, რომლებიც შეტანილია აღნიშნული მუშაკების მიერ სხვა პირებთან თანავეტორობით.

წინადადებაზე, რომელიც შეტანილია ავტორის მიერ ან გაგზავნილია საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ სამინისტროში ან უწყებაში, გადაწყვეტილებები მიიღება აღნიშნული ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ექნება დავალებული.

73. გადაწყვეტილება წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებაზე და ამ წინადადების გამოსაყენებლად მიღებაზე, თუ იგი დაკავშირებულია დამტკიცებული ნორმატივებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის (პროექტების, სტანდარტების, ტექნიკური პირობების და სხვა ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაციის) შეცვლასთან, მიიღება იმ ორგანიზაციისაგან მიღებული ნებართვის შემდეგ, რომელმაც დაამტკიცა შესაბამისი ნორმატივი ან დოკუმენტაცია. ამ შემთხვევაში ვადა, რომელიც გათვალისწინებულია ამ დებულების 71-ე პუნქტში, შემოიფარგლება ნებართვის მიღებისათვის აუცილებელი დროით.

74. რაციონალიზატორული წინადადების პირველობა განისაზღვრება საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში მისი შეტანის თარიღით, ხოლო წინადადებებზე, რომლებიც შეტანილია სამინისტროში ან უწყებაში, აღნიშნულ ორგანოებში წინადადების მიღების თარიღით.

პირველობა ეკუთვნის ავტორს, რომელმაც პირველმა შეიტანა დადგენილი წესით წინადადება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ წინადადება თავდაპირველად უსაფუძვლოდ უარყვეს და ეს უარყოფა არ იყო გასაჩივრებული ავტორის მიერ.



75. წინადადებების რაციონალიზატორულად აღიარებაზე და მის გამოსაყენებლად მიღებაზე გადაწყვეტილების გამოტახის შემდეგ წინადადების ავტორს უნდა მიეცეს მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც ადასტურებს წინადადების რაციონალიზატორულად აღიარებას, მისი შეტანის თარიღს და ავტორობას რაციონალიზატორულ წინადადებაზე.

თანაავტორობის შემთხვევაში მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე მიეცემა თითოეულ თანაავტორს მასში სხვა თანაავტორების აღნიშვნით.

მოწმობა გაიცემა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს ან უწყების მიერ, რომელმაც მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება.

თუ სამინისტრო ან უწყება აძლევს მოწმობას რაციონალიზატორულ წინადადებაზე პირს, რომელზეც ადრე უკვე იყო გაცემული მოწმობა ამ წინადადებაზე მისდამი დაქვემდებარებული საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, მაშინ ამ ადრე გაცემული მოწმობის მოქმედება წყდება.

76. ავტორის უფლებები, დაფუძნებული რაციონალიზატორული წინადადების მოწმობაზე, მოქმედებს იმ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების საზღვრებში, რომელმაც გასცა მოწმობა. თუ მოწმობა გაცემულია სამინისტროს ან უწყების მიერ, ავტორის უფლებები მოქმედებს ამ სამინისტროზე ან უწყებაზე დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში.

მოწმობებზე დაფუძნებული ავტორის უფლებები ვრცელდება აგრეთვე საწარმოზე, ორგანიზაციაზე ან დაწესებულებაზე, რომელმაც მიიღო რაციონალიზატორული წინადადება მოწმობის გამცემი საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულებისაგან მოლაპარაკების საფუძველზე სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა გადაცემაზე და მოწინავე გამოცდილების გამოყენებაში დახმარების გაწევაზე. გადამცემი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება მოვალეა აცნობოს მიმღებს ხელშეკრულებით გაცემულ სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებებში (დოკუმენტაციაში) ახალი ტექნიკის ნიმუშებში და ა. შ. გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებების შესახებ..

**საიდუმლო აღმოჩენები, გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები**

77. თუ ავტორს მიაჩნია, რომ მის მიერ გაკეთებული აღმოჩენა, გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება შეადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, იგი ვალდებულია მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ მისი წინადადება არ იყოს გახმაურებული და გადასცეს ყველა მასალა საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას თავისი სამუშაო ადგილის მიხედვით ან სხვა სახელმწიფო საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას.

საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელსაც მიმართა ავტორმა, ვალდებულია აღმოუჩინოს ავტორს დახმარება განაცხადის მასალების გაფორმებაში დადგენილი წესით და გააგზავნოს ისინი სათანადო ორგანოებში.

78. აღმოჩენაზე ან გამოგონებაზე განაცხადის გაფორმების დროს საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, აგრეთვე გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან თითოეულ შემთხვევაში შეამოწმონ, ხომ არ წარმოადგენს განაცხადის შემცველი მასალები სახელმწიფო საიდუმლოებას. თუ განცხადებული აღმოჩენა ან გამოგონება მიჩნეულ იქნება საიდუმლოდ ან სრულიად საიდუმლოდ, განაცხადი ფორმდება დებულების ამ განყოფილებით გათვალისწინებული წესით, რაზედაც ეცნობება ავტორს.

ასეთივე შემოწმება ტარდება განაცხადების მიხედვით, რომლებიც შევიდა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. თუ განცხადებული აღმოჩენა ან გამოგონება მიჩნეული იქნება საიდუმლოდ ან სრულიად საიდუმლოდ, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება ავტორს და განმცხადებელს სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად აუცილებელი ზომების მიღებისათვის.

79. სრულიად საიდუმლო გამოგონებების საავტორო მოწმობების გაცემაზე განაცხადებს, რომლებიც მიეკუთვნება შეიარაღების ახალ საშუალებებს, საბრძოლო ტექნიკას და მათ ტაქტიკურ გამოყენებას, იღებენ და იხილავენ ამ დებულებით დადგენილი წესით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული სამინისტროები

და უწყებები, რომლებიც განიხილავენ აგრეთვე საავტორო მოწმობების გაცემის საკითხებზე გადაწყვეტილებების შესახებ დავას.

აღნიშნული გამოგონებების რეგისტრაცია და მათზე საავტორო მოწმობების გაცემა წარმოებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების შეტყობინების საფუძველზე, განაცხადის მასალებს წარდგენის გარეშე. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ან მის პირველ მოადგილეს უფლება აქვს შეამოწმოს სამინისტროების და უწყებების დასაბუთებული გადაწყვეტილება საავტორო მოწმობების გაცემაზე.

80. განაცხადების მიხედვით ექსპერტიზის ჩატარებისათვის განსაკუთრებით რთულ საიდუმლო და სრულიად საიდუმლო აღმოჩენებზე და გამოგონებებზე სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, აგრეთვე ამ დებულების 79-ე პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სამინისტროებსა და უწყებებს, უფლება აქვთ ჩააბან საჭირო სპეციალისტები სხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები ვალდებული არიან გამოყონ ამ შემთხვევაში აღნიშნული სპეციალისტები.

81. რაციონალიზატორული წინადადებები, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას, მიიღება და განიხილება საიდუმლოებისადმი მოთხოვნების წესების დაცვით (ამ დებულების IV კარი და შესაბამისი წესები გათვალისწინებული ამ დებულების 77-ე, 78-ე და 79-ე პუნქტებში).

## კ ა რ ი VI

**გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში და გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებაში სამუშაოთა ორგანიზაცია**

გ ა მ მ გ ო ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ა და რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს .  
გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ქ მ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა

82. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმის საერთო ხელმძღვანელობას ქვეყანაში ახორციელებს სსრ

კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

83. სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმის ხელმძღვანელობას მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში.

სამინისტროები და უწყებები, მათზე დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე და მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თავისი ფუნქციების შესასრულებლად ახორციელებენ:

დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებაში ღონისძიებათა შემუშავებას და ამ დარგში მათს საქმიანობაზე კონტროლს;

გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებას და მათს შესრულებაზე კონტროლს;

გამომგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების თავის დროზე გამოყენების ორგანიზაციას და მათს შესრულებაზე კონტროლს;

გამომგონებების საზღვარგარეთ დაპატენტების, ლიცენზიების, გაყიდვისა და ყიდვის წინადადებების მომზადებას, აგრეთვე სამინისტროს, უწყების სისტემას მიკუთვნებულ სალიცენზიო ხელშეკრულებით შეთანხმების ვალდებულებათა შესრულებას;

გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში მუშაობის გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას და გავრცელებას;

საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობაში მშრომელთა მასობრივად ჩაბმის უზრუნველყოფას;

გამომგონებლობაში და რაციონალიზაციაში შეჯიბრებების, კონკურსების და დათვალეირებების, აგრეთვე გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა თათბირების ჩატარებას;

გამომგონებლობასა და რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში მუშაობის ორგანიზაციას;

რამდენიმე საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში გამოყენებულ გამომგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის დადგენილი წესით გასამრჩელოს, და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელის შეწყობისათვის პრემიების გაცემას;

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე მათი კომპეტენციის ფარგლებში საჩივრებისა და განცხადებების განხილვას;

გამოყენებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ ცნობების პუბლიკაცია.

84. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებული არიან:

ორგანიზაცია გაუკეთონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობას, პროფკავშირულ, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო ორგანოების მონაწილეობით შეიმუშაონ პერსპექტიული და მიმდინარე თემატური გეგმები და განახორციელონ მათ შესრულებაზე კონტროლი;

უზრუნველყონ სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, მათ შორის ახალი და გაუმჯობესებული არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დამუშავების დროს საპატენტო მასალების ფართო გამოყენება, მიმდინარე სამეცნიერო გამოკვლევებში და საპროექტო-საკონსტრუქტორო დამუშავებებში აღმოჩენებისა და გამოგონებების გამოვლენა და ამ დებულებით დადგენილი წესით მიიღონ ზომები მათი დაცვისათვის დიპლომებით და საავტორო მოწმობებით, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში აგრეთვე გამოგონებების დაცვისათვის საზღვარგარეთ, თავის დროზე განიხილონ რაციონალიზატორული წინადადებები;

გამოიყენონ უმოკლეს ვადებში გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები, რომლებიც მიეკუთვნება საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების საქმიანობას;

გადაუხადონ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს დადგენილი წესით გასამრჩელო და პრემიები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის;

მხარი დაუჭირონ და წაახალისონ გამომგონებლები და რაციონალიზატორები, კერძოდ, აღმოუჩინონ მათ დახმარება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დამუშავებასა და შესაბამის გაფორმებაში, ჩაატარონ კონკურსები, დათვალეირებები და სხვა მასობრივი ღონისძიებანი გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში;

ამაღლონ გამომგონებლობასა და რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ მუშაკთა კვალიფიკაცია;

შეასრულონ ამ დებულებით მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციები.

85. კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცენტრალური ორგანოები მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ახორციელებენ სამინისტროებისა და უწყებებისათვის დადგენილი წესით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმის ხელმძღვანელობას.

86. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მასობრიობის განვითარებაში მთელი მუშაობა ხორციელდება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოება ახორციელებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში საზოგადოებრივ კონტროლს კანონმდებლობის დაცვაზე, ყოველმხრივ უწყევს დახმარებას გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათ საქმიანობაში და მათი უფლებების დაცვაში, აგრეთვე ხელს უწყობს სახალხო მეურნეობაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შექმნასა და გამოყენებას.

87. სამინისტროებმა, უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცენტრალურმა ორგანოებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ორგანოებმა უნდა აღმოუჩინონ მოქალაქეებს აუცილებელი დახმარება აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე მუშაობაში, აღმოჩენების დიპლომების და გამოგონებების საავტორო მოწმობების გაცემაზე განაცხადების გაფორმებაში და რაციონალიზატორული წინადადებების გაფორმებაში, აგრეთვე აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების დროს.

88. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის განვითარების ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობაში ხორციელდება ამ დებულების და სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების მუშაობაზე ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

ს ა გ ა მ მ გ ო ნ ე ბ ლ ო და რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ტ ო -  
რ უ ლ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს და გ ე გ მ ვ ა

გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი ს ა და რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ტ ო რ უ ლ ი  
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს წ ე ს ი

89. საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის დაგეგმვის მიზანია მიმართოს გამოგონებლებისა და რაციონალიზატორების შემოქმედებითი ძალები საზოგადოებრივი წარმოების სრულყოფის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისაკენ, უზრუნველყოს ეფექტური გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების წარმოებაში დროული და ფართო გამოყენება, მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების განვითარება და მათი საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ აქტიურ მუშაობაში ჩაბმა.

საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის დაგეგმვას წინ უნდა უძღოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესწავლა, სამამულო და უცხოური გამოგონებების, მოწინავე ტექნიკური გამოცდილების შესწავლა და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გამოვლენა, რომელთა გადაწყვეტამაც შეიძლება უზრუნველყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება.

90. საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის დაგეგმვის წესი საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, სამინისტროებსა და უწყებებში განისაზღვრება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ნიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომისიასთან და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

91. გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება მიიჩნევა გამოყენებულად მიუხედავად იმისა სახალხო მეურნეობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის თავდაცვის რომელ დარგშია იგი გამოყენებული.

გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც მიეკუთვნება ხერხს (ტექნოლოგიას), საწარმოო ან სხვა საქმიანობას, მიიჩნევა გამოყენებულად საწარმოო პროცესში მისი გამოყენების დაწყების დღიდან. გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც მიეკუთვნება მოწყობილობას (კონსტრუქციას) ან ნივთიერებას (მასალას), მიიჩნევა გამოყენებულად დამზადებულ ან ექსპლუატირებულ პროდუქციაში მისი გამოყენების დაწყების დღი-

დან, მათ შორის ექსპლუატაციაში გადაცემულ საცდელ ნიმუშებშიც. არ მიიჩნევა გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება გამოყენებულად პროდუქციის დამზადებისა და საცდელი ნიმუშის გამოცდის, მისი ექსპერიმენტული შემოწმების და წარმოების მომზადების შემთხვევებში.

გამოგონება, რომელიც დაცულია საავტორო მოწმობით, მიიჩნევა გამოყენებულად აგრეთვე მისი საზღვარგარეთ დადგენილი წესით გადაცემის შემთხვევაში.

92. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებას მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების მიხედვით ითვალისწინებენ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებში, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გეგმებში ან საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმებში.

სამეურნეო წლის განმავლობაში გამოსაყენებლად მიღებული გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები დამატებით ჩაირთვება დადგენილი წესით შესაბამის გეგმებში.

93. დარგობრივი და დარგთაშორისო ხასიათის გამოგონებათა გამოყენების შესახებ წინადადებები, რომლებსაც აქვს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, მზადდება სამინისტროების, უწყებებისა და სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ და წარედგინება ერთდროულად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შესაბამისად ასეთი გამოგონებების სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებში ჩართვის საკითხის გადაწყვეტისათვის.

94. სახალხო მეურნეობაში გამოგონებების დროული და ფართოდ გამოყენების მიზნით, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დადგენილი წესით უგზავნის წინადადებებს მათი საქმიანობის პროფილს მიკუთვნებულ გამოგონებათა გამოყენების შესახებ, გამოგონებების აღწერილობათა და კომიტეტში არსებული ამ გამო-



გონებათა ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების მახასიათებელი მასალების დართვით.

ანალოგიურ წინადადებებს სრულიად საიდუმლო გამოგონებებზე, რომლებიც მიეკუთვნება შეიარაღების ახალ საშუალებებს, საბრძოლო ტექნიკას და მათ ტაქტიკურ გამოყენებას, დაინტერესებულ ორგანიზაციებს დადგენილი წესით უგზავნიან ასეთ გამოგონებებზე განაცხადების განმზილველი სამინისტროები და უწყებები.

95. სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო-საკავშირო და დარგობრივი ორგანოების მასალებისა და სხვა საინფორმაციო მასალების (მათ შორის საპატენტო მასალების) მიხედვით აწარმოებენ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შერჩევას და იღებენ გადაწყვეტილებებს გეგმიანი წესით მათი გამოყენების შესახებ.

სამინისტროები და უწყებები ატყობინებენ კომიტეტს მათ სისტემაში გამოსაყენებლად მიღებული გამოგონებების შესახებ.

96. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებში, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გეგმებში, რომლებშიც გათვალისწინებულია დავალებები გამოგონებათა გამოყენებაზე, აგრეთვე გამოგონებების საფუძველზე შემუშავებულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში და პროსპექტებში ახალ ნაკეთობებზე და წარმოების ხერხებზე უნდა მიეთითოს საავტორო მოწმობების ნომრები.

97. საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ვალდებული არიან აცნობონ ავტორს მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების დაწყების შესახებ ერთი თვის ვადაში, გამოყენების დაწყების დღიდან.

გამოგონების ავტორის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობები უქონლობის შემთხვევაში ასეთ ცნობებს საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება მოსთხოვს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც ვალდებულია შეატყობინოს ერთი თვის ვადაში ის საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას.

98. გამომგონებლობასა და რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ჩატარებისათვის სამინისტროები, უწყებები,

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იყენებენ ან აუცილებელ შემთხვევაში აწყობენ ექსპერიმენტულ ბაზებს.

გ ა მ მ გ ო ნ ე ლ ო ბ ა ს ა და რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა ზ ე  
და ნ ა ხ ა რ ჯ ე ბ ი ს და ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ა

99. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაზე ხარჯების დაფინანსება წარმოებს განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით ამ დებულების მე-100 და 101-ე პუნქტებით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

100. გამომგონებლობა და რაციონალიზაციაზე ხარჯთაღრიცხვით სამინისტროებისა და უწყებების დანახარჯები იფარება შესაბამისი ცენტრალიზებული ფონდების საბიუჯეტო ასიგნობებისა და საშუალებათა სახსრების ანგარიშზე.

გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაზე დანახარჯების ხარჯთაღრიცხვით სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხარჯები დაიფარება:

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმოების ხარჯთაღრიცხვით ან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ან სხვა წესით დაფინანსებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენახვაზე ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სახსრებით;

საწარმოებში და ორგანიზაციებში წარმოქმნილი შესაბამისი ფონდების სახსრების ხარჯზე;

სამშენებლო ორგანიზაციების განკარგულებაში დარჩენილი ეკონომიის თანხით, რომელიც მიღებულია ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მშენებლობის გაიაფების ღონისძიებათა შედეგად ნაგებობათა გამძლეობისა და საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესების გარეშე.

101. კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეობათა შორისო და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამომგონებლობაზე და რაციონალიზაციაზე ხარჯების დაფარვა წარმოებს მათი სახსრების ხარჯზე.

102. გამომგონებლობაზე და რაციონალიზაციაზე ხარჯთაღრიცხვებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხარჯები:

1) გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების მიხედვით მოდელებისა და ნიმუშების დამზადებასა და გამოცდაზე;

2) ექსპერიმენტული ბაზების ორგანიზაციასა და შენახვაზე, რომლებიც განკუთვნილია გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შექმნისა და საცდელი შემოწმებებისათვის (გარდა დანახარჯებისა მშენებლობაზე და მოწყობილობათა შექმნაზე);

3) გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების, კონსტრუქტორების, დამპროექტებლებისა და ტექნოლოგების, ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების, დამზადებისა და მოდლებისა და ნიმუშების გამოცდისა და წარმოების ორგანიზაციის შრომის ანაზღაურებაზე (გარდა სამსახურებრივი დავალების წესით სამუშაოთა შესრულებისა);

4) გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა გასაპრჯელოს გადახდაზე;

5) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის ხელის შეწყობის პრემიების გადახდაზე;

6) აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ექსპერტიზის და კონსულტაციების ჩატარებასთან და დასკვნების შედგენასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ანაზღაურებაზე;

7) აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების საგანაცხადო მასალების გაფორმებისათვის სამუშაოთა ანაზღაურებაზე (სამსახურებრივი დავალების წესით შესრულებულ სამუშაოთა გარდა);

8) გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტების, ლიცენზიების გაყიდვისა და ყიდვისათვის მასალების მომზადებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ანაზღაურებაზე;

9) საპატენტო ფონდის დაკომპლექტებაზე და დამუშავებაზე, საპატენტო-ტექნიკური ინფორმაციის მასალებისა და გამომგონებლობაზე ლიტერატურის გამოცემასა და შექმნაზე;

10) საგანაცხადო მასალების განხილვასთან ან გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის სხვა საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროების უწყებებისა და სსრ კავშირის გამომგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ ავტორების, ექსპერტების და სხვა სპეციალისტთა გამოძახების მივლინებათა ანაზღაურებაზე;

11) გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში გამოფენების, შეჯიბრებების, დათვალიერებების, კონკურსებისა და სხვა ღონისძიებათა ორგანიზაციის, ამ მუშაობაში ჩაბმულ პირთა ანაზღაურებაზე;

ებზე, აგრეთვე მითითებულ ღონისძიებათა შედეგებზე პრემიების გადახდაზე.

გამომგონებლობასა და რაციონალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში, რისთვისაც გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაზე გასავლის ხარჯებში ითვალისწინებენ საჭირო ლიმიტებს.

## კ ა რ ი VII

**უფლებრივი დაცვა და გამოგონებების რეალიზაცია საზღვარგარეთ**

103. გამომგონებლობის დარგში საზღვარგარეთ სსრ კავშირის ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის და ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ახორციელებენ: საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტებას (უფლებრივ დაცვას);

ლიცენზიების გაყიდვას საბჭოთა გამოგონებებზე და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე და ლიცენზიების ყიდვას გამოგონებებზე და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე, რომლებიც ეკუთვნის უცხოელებს;

საბჭოთა პროდუქციის საპატენტო სიწმინდის შემოწმებას;

ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვისა და შექმნის ყველა სტადიაზე საპატენტო ინფორმაციის შესწავლასა და გამოყენებას.

104. სსრ კავშირში ან საბჭოთა მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ შექმნილ გამოგონებაზე განაცხადის საზღვარგარეთ შეტანა დაიშვება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ეა გამოგონება განცხადებული იქნება სსრ კავშირში. ეს წესი მოქმედებს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დებულების შესაბამისად სსრ კავშირში წინადადება არ მიიჩნევა გამოგონებად, ხოლო უცხოეთის სახელმწიფოში მასზე შეიძლება იყოს გაცემული პატენტი ან საავტორო მოწმობა.

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეუძლია აუცილებელ შემთხვევებში ნებადართოს გამოგონებების დაპატენტებისა საზღვარგარეთ სსრ კავშირში მათზე განაცხადის შეტანამდე.

105. საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის შერჩეულ გამოგონებებზე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები საოკავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანასთან ერთდროულად ადგენენ სამინისტროებში, უწყებებში წინადადებებს დაპატენტებაზე.

გამოგონების ავტორებს შეუძლიათ დამოუკიდებლად წარადგინონ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში წინადადებები თავიანთი გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე.

სამინისტროები და უწყებები განიხილავენ აღნიშნულ წინადადებებს და ერთი თვის ვადაში ადგენენ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში დასაბუთებულ წინადადებებს გამოგონებათა დაპატენტებაზე დაპატენტების ქვეყნების მითითებით.

გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტი სამინისტროების, უწყებების წინადადებების მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში.

იმ შემთხვევაში, როცა გამოგონება შექმნილია საბჭოთა მოქალაქის მიერ უცხოელთან თანაავტორობით, თანაავტორობის უცხოელის მოქალაქეობის ქვეყანაში განაცხადის შეტანისათვის კომიტეტის გადაწყვეტილება არ არის საჭირო. ასეთი გადაწყვეტილება არ არის საჭირო აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა გამოგონება შექმნილია საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საბჭოთა ორგანიზაციები და დაპატენტება წარმოებს საერთაშორისო ორგანიზაციის დაწესებული დოკუმენტების შესაბამისად.

106. გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტება წარმოებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით განსაზღვრული საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ ან საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების თანხმობით დადგენილი წესით, გამოგონებების ავტორის მიერ.

დამაპატენტებელი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება უზრუნველყოფს გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის განაცხადებელი მასალების მომზადებას. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი

უხმარება მათ საზღვარგარეთ შესატანი განცხადების შედგენაში და იცავს ამ განცხადებაზე საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს.

107. გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტების შეწყვეტისა და საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ მიღებული პატენტების ვადაზე აღრე შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას იღებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი სამინისტროთა და უწყებათა წინადადებებით ან საკუთარი ინიციატივით საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციების აზრის გათვალისწინებით.

## კ ა რ ი VIII

**უფლება გასამრჯელოზე და აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა სხვა უფლებები და შეღავათები**

### უ ფ ლ ე ბ ა გ ა ს ა მ რ ჯ ე ლ ო ზ ე

108. აღმოჩენის ავტორს, რომელმაც მიიღო დიპლომი, გამოგონების ავტორს, რომელმაც მიიღო საავტორო მოწმობა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორს, რომელზედაც გაცემულია მოწმობა, უფლება აქვს გასამრჯელოზე.

გასამრჯელოს გადახდა ხორციელდება შესაბამისად ამ დებულებისა, აგრეთვე სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებული აღმოჩენისთვის, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჯელოს გაცემის წესზე ინსტრუქციისა და გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრაზე ინსტრუქციისა ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომლებიც ეკონომიას არ იძლევიან. ამასთანავე გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისაგან ეკონომია დგინდება სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის

განსაზღვრის დადგენილი წესით დამტკიცებული მეთოდის შესაბამისად.

109. აღმოჩენაზე გასამრჯელო დგინდება სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 5000 მანეთამდე ოდენობით და ეძლევა ავტორს კომიტეტის მიერ აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის დროს.

110. სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით (სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმის, ახალი ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის გეგმის მიხედვით და მისთ.), აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანიზაციებში (საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროები, ლაბორატორიები, ბრიგადები და მისთ.), შექმნილ გამოგონებებზე საავტორო მოწმობების გაცემის დროს, ავტორებს ეძლევათ ერთდროული წამახალისებელი გასამრჯელო 20-დან 200 მანეთამდე ოდენობით ერთ გამოგონებაზე, მაგრამ არა უმეტეს 50 მანეთისა ერთ პირზე.

წამახალისებელ გასამრჯელოს გაცემენ:

გამოგონებისათვის, რომელიც შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, — სამინისტროები და უწყებები;

გამოგონებისათვის, რომელიც შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანიზაციებში, — სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

წამახალისებელი გასამრჯელო გათვალისწინებული იქნება შემდგომი გასამრჯელოს გაცემის დროს.

111. გამოგონების გამოყენებისათვის გასამრჯელო ეძლევა ავტორს (თანაავტორებს), თუ გამოგონება:

1) გამოყენებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში, მათ შორის საზღვარგარეთიდან შემოტანილ ექსპლოატირებულ პროდუქციაში;

2) გამოყენებულია დოკუმენტაციაში, რომელიც გადაეცა სხვა ქვეყნებს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით;

3) გამოყენებულია ობიექტებზე, რომლებსაც აგებენ საზღვარგარეთ სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები ტექნიკური დახმარების გაწევის წესით;

4) რეალიზებულია საზღვარგარეთ ლიცენზიის გაყიდვის გზით.

ამ შემთხვევაში გასამრჩელო გაიცემა, თუ გამოგონება დაცულია საავტორო მოწმობით სსრ კავშირში და პატენტით საზღვარგარეთ ან მხოლოდ საავტორო მოწმობით სსრ კავშირში ან პატენტით საზღვარგარეთ.

112. გასამრჩელოს გამოგონების გამოყენებისათვის შემდეგი წესით გამოითვლიან და იხდის:

1) გამოგონებისათვის, რომელიც გამოყენებულია ერთ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, — ეს საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება;

2) გამოგონებისათვის, რომელიც გამოიყენება ერთი და იგივე სამინისტროს ან უწყების რამდენიმე საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, — ეს სამინისტრო, უწყება;

3) გამოგონებისათვის, რომელიც გამოყენებულია რამდენიმე სამინისტროს, უწყების საწარმოების, ორგანიზაციების ან დაწესებულებების მიერ, — სამინისტრო, უწყება, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეს გამოგონება. ამასთან, სხვა სამინისტროები და უწყებები, რომელთა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა გამოიყენეს ეს გამოგონება, აუნაზღაურებენ შესაბამის თანხას სამინისტროს თუ უწყებას, რომელმაც პირველმა გამოიყენა მოცემული გამოგონება. დავია წარმოშობის შემთხვევაში იმაზე, რომელი სამინისტრო, უწყება არიან ვალდებული გადაიხადონ გასამრჩელო გამოგონების გამოყენებისათვის, საკითხს წყვეტს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

გასამრჩელოს გამოგონებისათვის, რომელიც გამოყენებულია სხვა ქვეყანაში ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით გაცემულ დოკუმენტაციაში, ვამოითვლის და იხდის სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება საზღვარგარეთ დოკუმენტაციის გადამცემი საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება.

გასამრჩელოს გამოგონების გამოყენებისათვის ობიექტებზე, რომლებსაც აგება საზღვარგარეთ სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები საზღვარგარეთის ქვეყნების ტექნიკური დახმარების გაწევის წესით, გამოითვლის და იხდის სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარებიან საზღვარგარეთ ობიექტების მშენებლობის განმახორციელებელი საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებები.



გასამრჩელო გამოგონებებისათვის მათზე ლიცენზიის გაყიდვასთან, აგრეთვე იმ ქვეყნებში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებსაც არ ეკუთვნის უფლება გამოგონებაზე, ტექნიკური დოკუმენტაციის ტექნიკისა და ტექნოლოგიურ ობიექტებზე, რომლებიც შექმნილია აღნიშნული ობიექტების დამუშავებაზე სახსრების ანაზღაურების შემთხვევებში ამ გამოგონებათა გამოყენებით, განისაზღვრება თანხის 3 პროცენტამდე ოდენობით, რომლებიც მიღებულია შესაბამისად ლიცენზიის გაყიდვისაგან ან დამუშავებაზე დანახარჯების ანაზღაურების სახით, და გადაეხდება გამოგონებათა ავტორებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით კომიტეტისათვის გადმორიცხებული სახსრების ხარჯზე.

გასამრჩელო საბჭოთა ავტორებზე ერთობლივი გამოგონებების, რომლებიც გამოყენებულია სხვა ქვეყნებში, რომლებსაც ეკუთვნის უფლება ამ გამოგონებებზე, აგრეთვე შემოაული გასამრჩელო სხვა ქვეყნებიდან მათ მიერ საზღვარგარეთ უცხოურ სახელმწიფოს მიერ მათი გამოყენების უფლების დამადასტურებელი დამკველი დოკუმენტით დაცული საბჭოთა გამოგონებების გამოყენებისათვის, გაიცემა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ ამ გამოგონებებისათვის შესაბამისი ქვეყნებიდან შემოსული სახსრების ხარჯზე. ასეთივე წესით გადაეხდებათ გასამრჩელო ერთობლივ და უსასყიდლოდ გადაცემულ საბჭოთა გამოგონებების ავტორებს ქვეყნებში, რომლებსაც არ ეკუთვნის უფლება ამ გამოგონებებზე, თუ დამკვემი ქვეყნია (ქვეყნების) და მიმღები ქვეყნის (ქვეყნების) ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებით ავტორებზე გასამრჩელოს გადახდა წარმოებს მიმღები ქვეყნის მიერ.

112<sup>1</sup>. ამ დებულების 24-ე პუნქტის შესაბამისად სსრ კავშირში პატენტებით დაცულ ერთობლივი გამოგონებების საბჭოთა ავტორებს გასამრჩელო გამოთვლებათ და გადაეხდებათ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით, სსრ კავშირში საავტორო მოწმობებით დაცულ გამოგონებათა ავტორების გასამრჩელოს გამოთვლისა და გადახდის წესთან შეფარდებით.

113. გასამრჩელო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც ქმნის ეკონომიას, ეძლევა ავტორს (თანავტორებს) საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეს გამოგონება,

დამოუკიდებლად საავტორო მოწმობის გაცემის მოძებტიდახ. გასული ვადისა, 5 წლის განმავლობაში გამოგონების გამოყენების დაწყების დღიდან ეკონომიის ჯამის 2%-ის ოდენობით, რომელიც მიიღება ასრ კავშირში გამოგონების გამოყენების თითოეულ კალენდარულ წელს.

გასამრჩელო გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც არ ქმნის ეკონომიას, ვაიცემა ერთდროულად გამოგონების მიერ შექმნილი ტექნიკური ან სხვა ეფექტის გათვალისწინებით მის ნამდვილ ღირებულებაზე და გამოგონების გამოყენების მოცულობაზე დამოკიდებულებით განსაზღვრული ოდენობით. საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელს უფლება აქვს შემდგომ 4 წელიწადში გაადიდოს ამ გასამრჩელოს ოდენობა გამოგონების გამოყენების მოცულობის გაფართოების შემთხვევაში, გასამრჩელოს დადგენილი მაქსიმალური თანხის საზღვრებში. აღნიშნული 5-წლიანი ვადის გამოთვლის დროს გამოგონება, რომლის გამოყენება დაიწყო წლის პირველ ნახევარში, ითვლება გამოყენებულად მოცემული წლის 1 იანვრიდან, ხოლო გამოგონება, რომლის გამოყენება დაიწყო წლის მეორე ნახევარში, — მეორე წლის 1 იანვრიდან.

ამ დებულების 111-ე პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამოგონების გამოყენების შემთხვევაში გასამრჩელოს ოდენობა განისაზღვრება ერთდროულად გამოგონების ნამდვილი ღირებულების მიხედვით (გამოგონების მიერ შექმნილი ტექნიკური და სხვა დადებითი ეფექტის, აგრეთვე გამოგონებია გამოყენების მოცულობის გათვალისწინებით).

გასამრჩელო გამოგონების გამოყენებისათვის გამოითვლება ცალკე ამ დებულების 111-ე პუნქტით გათვალისწინებული თითოეული საფუძვლით. ყველა ამ საფუძვლის მიხედვით ვასაცემი გასამრჩელოს მაქსიმალური ოდენობა ერთი გამოგონების გამოყენებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 20.000 მანეთს.

114. სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელს უფლება აქვს ნება დართოს გაზარდოს გასამრჩელოს ოდენობა გამოგონებისათვის, რომლის გამოყენებას მივყავართ წარმოების ახალ სახეთა, მნიშვნელოვან მოწყობილობათა ან ნივთიერებათა შექმნასთან, მაგრამ არა უმეტეს ვიდრე 3-ჯერ 20.000 მანეთის ფარგლებში, აგრეთვე გამოგონებისათვის, რომელიც არ შეიძლება ფართოდ იქნეს რეალიზებული, თუმცა აქვს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

115. გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის გასამრჩელოს გამოთვლის საფუძველია:

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებულად მიღების აქტი ან სხვა ტოლფასოვანი დოკუმენტი;

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისაგან წლიური ეკონომიის გაანგარიშება;

საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ წინადადების ნამდვილი ღირებულების შესახებ, რომელიც არ ქმნის ეკონომიას.

116. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებების მიერ გამოგონების გამოყენებისათვის გასამრჩელოს გაცემა წარმოებს გამოგონების გამოყენების კალენდარული წლის გასვლის შემდეგ 2 თვის ვადაში, ან ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით სხვა ქვეყნებში ტექნიკური დოკუმენტაციის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ან დადგენილი წესით ლიცენზიის გაყიდვისაგან მიღებული თანხის გადარიცხვის დღიდან 2 თვის ვადაში.

117. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი ორგანოების დახმარებით უფლება აქვს აუცილებელ შემთხვევებში თავისი ინიციატივით ან ავტორის განცხადებით დადგენილი წესით გაეცნოს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, სამინისტროებში, უწყებებში ყველა დოკუმენტაციას, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს გამოგონების გამოყენების ფაქტი და მოცულობა, გამოგონების გამოყენებისაგან ეკონომიის გამოანგარიშების სისწორე და გამოგონების ნამდვილი ღირებულების მიხედვით გასამრჩელოს გამოთვლისათვის აუცილებელი ცნობების სისწორე.

118. გამოუყენებელი პერსპექტიული გამოგონებებზე ავტორებზე შეიძლება დაიცეს პრემიები სამინისტროებისა და უწყებების მიერ, რომლებიც მიიჩნევენ გამოგონების გამოყენების მიზანშეწონილობას მომავალში დაქვემდებარებულ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ამ დებულების 164-ე პუნქტში გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

119. გასამრჩელო რაციონალიზატორული წინადადებისათვის გამოითვლება და გაიცემა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულე-

ზის, სამინისტროს, უწყების მიერ, რომელმაც მისცა ავტორს მოწმობა ამ რაციონალიზატორულ წინადადებაზე. ამ დებულების 75-ე პუნქტის მე-4 აბზაციით გათვალისწინებულ შემთხვევაში გასამრჩელოს გაცემა წარმოებს თანხების ჩათვლით, რომელიც მიიღო ავტორმა მოქმედებაზე წყვეტილი მოწმობის საფუძველზე.

თუ მოწმობა გაცემულია საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, ხოლო რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისაგან ეკონომია ან სხვა დადებითი ეფექტი იქმნება სხვა საწარმოში, ორგანიზაცია ან დაწესებულებაში, გასამრჩელო გამოითვლება და გაიცემა სამინისტროს, უწყების მიერ, რომელსაც ექვემდებარება საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც მისცა ავტორს მოწმობა.

როდესაც წამოიჭრება დავა იმაზე, თუ ვინაა ვალდებული გადაიხადოს გასამრჩელო, საკითხს წყვეტს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

120. რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელოს ოდენობა განისაზღვრება წინადადების გამოყენების პირველ წელს მიღებული წლიური ეკონომიის თანხისაგან დამოკიდებულებით, შემდეგი სკალის მიხედვით:

წლიური ეკონომიის ჯამი (მანეთებში)	გასამრჩელო რაციონალიზატორული წინადადებისათვის
100-მდე	17% ეკონომ.ის. მაგრამ არა ნაკლებ 10 მან.
100-დან 500-მდე	7% + 10 მან.
500-დან 1000-მდე	5% + 20 მან.
1000-დან 5000-მდე	3% + 40 მან.
5000-დან 50000-მდე	2% + 90 მან.
50000-დან 100000-მდე	1% + 590 მან.
100000-დან და ზევით	0,5% + 1090 მან. მაგრამ არა უმეტეს 5000 მანეთისა

რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომელიც არ ქმნის ეკონომიას, გასამრჩელოს ოდენობა განისაზღვრება მისი ნამდვილი ღირებულებისაგან დამოკიდებულებით, წინადადებით შექმნილი ტექნიკური და სხვა დადებითი ეფექტის და წინადადების გამოყენების მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ ერთ რაციონალიზა-

ტორულ წინადადებაზე ის არ შეიძლება იყოს 10 მანეთზე ნაკლები და 5000 მანეთზე მეტი.

121. რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების დაწყების დღიდან ერთი თვის ვადაში ავტორს მიეცემა გასამრჩელო, რომელიც არ აღემატება 200 მანეთს ან 200 მანეთზე მეტი გასამრჩელოს 25 პროცენტს (მაგრამ არა ნაკლებ 200 მანეთისა). პირველი წლის დამთავრების ან წინადადების გამოყენების დამთავრების შემდეგ, თუ ის გამოიყენება წელიწადზე ნაკლები დროის მანძილზე, 2 თვის ვადაში გაიკემა გასამრჩელოს დანარჩენი ნაწილი.

122. თუ რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების მოცულობა მეორე წელს იზრდება, მაშინ წარმოებს გასამრჩელოს დამატებითი გადახდა 5000 მანეთამდე საზღვრებში, გამოყენების მაქსიმალური მოცულობიდან გამომდინარე, რომელიც მიღწეულია მეორე წელს. დამატებითი გადახდა წარმოებს ორი თვის ვადაში წინადადების გამოყენების მეორე წლის გასვლის შემდეგ.

ეს წესი გამოიყენება იმ რაციონალიზატორული წინადადებების მიმართ, რომლებიც ქმნიან ან არ ქმნიან ეკონომიას. უკანასკნელ შემთხვევაში გასამრჩელოს დამატებითი გადახდის დროს შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე დადებითი ეფექტის გაზრდა წინადადების გამოყენების მეორე წელს.

123. სამინისტროს ან უწყებას, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარდგენით უფლება აქვს გაზარდოს გასამრჩელოს ოდენობა 5000 მანეთამდე საზღვრებში რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომელიც არ შეიძლება იქნეს ფართოდ რეალიზებული, თუმცა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღების საშუალებას იძლევა. ამასთანავე გასამრჩელოს ოდენობა შეიძლება გადიდდეს არა უმეტეს ვიდრე 3-ჯერ, ამ დებულების 120-ე პუნქტის შესაბამისად დარიცხული გასამრჩელოს ოდენობასთან შედარებით.

124. თუ რაციონალიზატორულის სახით განცხადებული და გამოყენებული წინადადება მიიჩნევა გამოგონებად, მაშინ მასზე საავტორო მოწმობის გაცემის შემდეგ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოყენებისათვის გასამრჩელო გამოითვლება და მიეცემა ავტორს რაციონალიზატორული წინადადებისათვის მასზე დარიცხული თანხის ჩათვლით.

125 აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორებს გასამრჩელო ეძლევათ ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა პრემიებისაგან დამოუკიდებლად.

126. აღმოჩენისათვის, გამოგონებისათვის, რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელოს თანხა, რომელიც არ აღემატება 1000 მანეთს, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისაგან.

თუ გასამრჩელოს თანხა აღემატება 1000 მანეთს, საშემოსავლო გადასახადს ახდებიან გასამრჩელოს თანხიდან 1000 მანეთის გამოქვითვით ცალკე თითოეულ აღმოჩენაზე, გამოგონებაზე, რაციონალიზატორულ წინადადებაზე.

### შ რ ო მ ი თ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი

127. გამომგონებლები და რაციონალიზატორები აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს მათი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებას და შემდგომ სრულყოფას.

გამომგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავიანთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოსაყენებლად მომზადებაში (ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება, საცდელი ნიმუშების დამზადება და გამოცდა და წარმოების ორგანიზაცია).

თუ ავტორი თვლის ამ უფლებას დარღვეულად, მაშინ საკითხს ავტორის საჩივარზე განიხილავს და წყვეტს ზემდგომი ორგანიზაციების ხელმძღვანელი.

128. ავტორის მუდმივ სამუშაო ადგილზე გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში მონაწილეობისათვის იგი შეიძლება დროებით მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ძირითადი სამუშაოს შესრულებისაგან ძირითადი სამუშაო ადგილის საშუალო ხელფასზე არანაკლები ოდენობის შრომის ანაზღაურებით. თუ წარმოების პირობებით ავტორის გათავისუფლება ძირითადი სამუშაოს შესრულებისაგან მიზანშეუწონელია, მაშინ მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში სამუშაო შეიძლება შეასრულოს ავტორმა არასამუშაო დროს შეთანხმების მიხედვით შრომის ანაზღაურებით.

129. ავტორის არამუდმივ სამუშაო ადგილზე გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში მონაწილეობისათვის, მასთან შეიძლება დადებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულება მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებით სამუშაოთა შესრულების

მთელი დროით ან განსაზღვრული ვადით. ამასთან ავტორი უნდა იყოს გათავისუფლებული ძირითადი სამუშაოს შესრულებისაგან, გარდა შემთხვევისა, როცა ის მონაწილეობს გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში არასამუშაო დროს.

თუ ავტორი მონაწილეობს მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში ძირითადი სამუშაოს შესრულებისაგან განთავისუფლებით, მისი შრომა ანაზღაურდება არანაკლებ მუდმივი სამუშაო ადგილის საშუალო ხელფასისა. არასამუშაო დროს სამუშაოს შესრულებისას ავტორის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

130. ძირითადი სამუშაოს შესრულებისაგან გათავისუფლებულ ავტორს, მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით შეუწარმუნდება თანამდებობა, უფლება შვებულებაზე და მუდმივ სამუშაო ადგილზე დადგენილი ყველა უფლებები და შეღავათები, ხოლო მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში მონაწილეობის მთელი პერიოდი მუდმივ სამუშაო ადგილზე ჩაითვლება განუწყვეტელ სტაჟში.

თუ ავტორის მუშაობა სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში გრძელდება არანაკლებ 11 თვისა, მორიგი შვებულება მას მიეცემა ამ სამუშაო ადგილზე.

131. თუ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში მონაწილეობისათვის ჩაბმულა ავტორი, რომელიც არ წარმოადგენს მუშას ან მოსამსახურეს, მასთან შეიძლება დადებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულება ამ სამუშაოს შესრულების მთელ მანძილზე ან განსაზღვრული ვადით ავტორის კვალიფიკაციისა და მუშაობის სირთულისაგან დამოკიდებულებით შრომის ანაზღაურებით და თანამდებობრივი ხელფასის მოქმედი სატარიფო განაკვეთის ან სქემების შესაბამისად.

132. ავტორის ჩაბმის შემთხვევაში მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში მონაწილეობისათვის ავტორის არამუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც დადო მასთან შრომითი ხელშეკრულება, მოვალეა აღნაზღაუროს მას ორივე მიმართულებით მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის ქირის ხარჯები და გადაუხადოს მივლინების დღიური თანხა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

133. საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას, რომელმაც შიილო გამოსაყენებლად გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება, შეუძლია ისარგებლოს ავტორის მიერ დამზადებული ტექნიკური დოკუმენტაციით ან მოდელით, ან დაავალოს ავტორს ასეთი სამუშაოს შესრულება. ავტორის მიერ სამსახურებრივი დავალებიდან დასაგან დამოუკიდებლად ამ სამუშაოს შესრულების შემთხვევაში საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება მოვალეა დადოს ავტორთან ხელშეკრულება მოქმედი ნორმებითა და ფასებით დოკუმენტაციის ან მოდელების დამზადებაზე სამუშაოსა და ხარჯების ანაზღაურების გათვალისწინებით. ასეთი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხები ეძლევა ავტორს გამოგონებისა ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის გასამრჯელოსაგან დამოუკიდებლად.

134. თუ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების შედეგად საწარმოში, ორგანიზაცია ან დაწესებულებაში შემოღებულია ახალი ნორმები და ფასები, ავტორის შრომა, აგრეთვე იმ პირთა შრომა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების მომზადებაში და გამომოყენებაში, ანაზღაურდება მოკავშირე რესპუბლიკების შრომითი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულ შემთხვევებში ახალი ფასების გათვალისწინებით დამატებითი შრომითი ხელფასი გაიცემა სართი ფურცლების მიხედვით ხელფასის ფონდის ხარჯზე.

135. აღმოჩენების შესახებ, რომლებზეც გაცემულია დიპლომები, გამოყენებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ და ამასთან დაკავშირებით გაცემულ გასამრჯელოებზე წარმოებს ჩაწერა ავტორის შრომის წიგნაკში.

### ს ხ ვ ა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი და შ ე ლ ა ვ ა თ ე ბ ი და ს ა - ხ ე ლ მ წ ი ფ ო წ ა ხ ა ლ ი ს ე ბ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი

136. აღმოჩენის ან გამოგონების ავტორს უფლება აქვს აღმოჩენას ან გამოგონებას მიანიჭოს თავისი სახელი ან სპეციალური დასახელება. აღმოჩენის ან გამოგონებისათვის ავტორის სახელის ან სპეციალური დასახელების მინიჭების შესახებ მოთხოვნა შეიძლება განცხადებულ იქნეს ავტორის მიერ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადის შეტანასთან ერთად ან მისი შეტანის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 2 თვისა დიპლომის ან საავტორო მოწმობის გაცემაზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.



დასაბუთებების შემთხვევაში კომიტეტს შეუძლია დააკმაყოფილოს ავტორის ასეთი მოთხოვნა, რომელიც განცხადებულია მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.

აღმოჩენისა ან გამოგონებისათვის მინიჭებული ავტორის სახელი ან სპეციალური დასახელება აღინიშნება აღმოჩენაზე დიპლომში, საავტორო მოწმობაში, აგრეთვე ტექნიკურ დოკუმენტაციაში, ნაკეთობებზე ან მათ შეფუთვაზე.

137. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მიენიჭოს რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლისა და რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებები.

138. წარმოებაში გამოყენებული გამოგონებებს ავტორებს, აგრეთვე პირებს, რომლებსაც მიენიჭათ რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება, უფლება აქვთ უმაღლეს სასწავლებელში კონკურს გარეშე მიღებაზე, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

139. დაკარგა ძალა თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წ. 14 ივლისის № 562 დადგენილებისა (სსრ კავშირის დადგენილებათა კრებული, № 14, გვ. 70).

140. სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში შემოქმედებით მივიღებებში ან თემატურ გამოფენებზე მოწინავე გამოცდილების შესწავლისათვის სპეციალისტების გაგზავნის შესახებ საკითხის გადაწყვეტიას საწარმოების, ორგანიზაციების ან დაწესებულებების ადმინისტრაცია ვალდებულია სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მისცეს აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს.

141. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს, რომლებსაც მიენიჭათ რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლის ან რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებები, აღმოჩენების ავტორებს, აგრეთვე დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს, უფლება აქვთ დამატებით საცხოვრებელ ფართზე მეცნიერ მუშაკთა თანაბრად.

142. ამ დებულების 139-ე და 140-ე პუნქტებში გათვალისწინებული უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ შემთხვევებში, სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები და

დაწესებულებები ვალდებული არიან გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორების, აგრეთვე დაინტერესებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნით მისცენ დასკვნები მათ მიერ გამოყენებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ.

## ქ ა რ ი IX

### აღმოჩენებზე, გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე უფლებების დაცვა

143. აღმოჩენის რეგისტრაცია, დიპლომი აღმოჩენაზე, საავტორო მოწმობა ან პატენტი გამოგონებაზე და მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე შეიძლება სადავო გახადოს ნებისმიერმა მოქალაქემ ან საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ.

144. აღმოჩენის რეგისტრაცია და დიპლომი აღმოჩენაზე შეიძლება სადავო გახდეს და მიჩნეულ იქნეს მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებულად რეგისტრირებული აღმოჩენის პუბლიკაციის დღიდან ნებისმიერ დროს, ხოლო თუ პუბლიკაცია არ მომხდარა, — განაცხადის შეტანის დღიდან სსრ კავშირის აღმოჩენების სახელმწიფო რეესტრში ან შესაბამისად დიპლომის გაცემის დღიდან, თუ:

1) მეცნიერული დებულება აღმოჩენად აღიარებულია ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით;

2) აღმოჩენის ავტორი ან თანაავტორთა შემადგენლობა არასწორად არის მითითებული.

145. საავტორო მოწმობა გამოგონებაზე შეიძლება სადავო იყოს და მიჩნეულ იქნეს გაუქმებულად მთლიანად ან ნაწილობრივ:

1. წინადადებების გამოგონებად მიჩნევისათვის ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის გამო, — გამოგონების შესახებ პუბლიკაციის დღიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო თუ პუბლიკაცია არ მომხდარა, — სსრ კავშირის გამოგონებების სახელმწიფო რეესტრში გამოგონების შეტანის დღიდან. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გაგრძელებულ იქნეს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ;

2. საავტორო მოწმობაში გამოგონების ავტორის (თანაავტორების) არასწორად მითითების გამო — ნებისმიერ დროს საავტორო მოწმობის გაცემის დღიდან.

146. პატენტი გამოგონებაზე შეიძლება სადავო გახდეს და მიჩნეულ იქნეს გაუქმებულად მთლიანად ან ნაწილობრივ:

1. წინადადებების გამოგონებად მიჩნევისათვის ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის გამო, — გამოგონების შესახებ პუბლიკაციის დღიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო თუ პუბლიკაცია არ მომხდარა, — სსრ კავშირის გამოგონებების სახელმწიფო რეესტრში გამოგონების შეტანის დღიდან. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გაგრძელებულ იქნეს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ;

2. გამოგონების ავტორის (თანაავტორების) პატენტში არასწორად მითითების გამო — ნებისმიერ დროს პატენტის გაცემის დღიდან;

3. გამოგონებაზე, რომელზეც შეიძლება გაცემულ იქნეს მხოლოდ საავტორო მოწმობა, პატენტის გაცემის გამო, — პატენტის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში;

4. პატენტის მიღებაზე პატენტის მქონებელთან უფლების უქონლობის გამო — პატენტის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

147. რაციონალიზატორულ წინადადებაზე მოწმობა შეიძლება სადავო გახდეს და მიჩნეულ იქნეს გაუქმებულად მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ:

1) წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევისათვის ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნები დარღვეულია, — წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევაზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი წლის განმავლობაში ან თუ გამოყენება დაიწყო მოგვიანებით, წინადადების გამოყენების დაწყების დღიდან;

2) მოწმობა გაცემულია იმ პირის სახელზე, რომელსაც არ ჰქონდა პირველობა ამ წინადადებაზე, ან მოწმობაში ავტორი ან თანაავტორთა შემადგენლობა არასწორად არის მითითებული — მოწმობის გაცემის დღიდან 3 წლის განმავლობაში.

განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება რაციონალიზატორული წინადადების მოწმობის სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებულად აღიარების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის მიერ, ამ

პუნქტის 1 ქვეპუნქტში გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით, ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც.

148. ამ დებულების 59-ე და მე-60 პუნქტების შესაბამისად შეტანილი შედავებების მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებებზე განმცხადებლების საჩივრებს, ამ დებულების 145-ე პუნქტის 1 ქვეპუნქტში და 146-ე პუნქტის 1 და 4 ქვეპუნქტებში ნაჩვენები საფუძვლების მიხედვით გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის გაუქმებულად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტებზე პროტესტებს განიხილავს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საკონტროლო საბჭო. კომიტეტის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს შეუძლია გადასცეს საკონტროლო საბჭოს განსახილველად გამოგონებებზე განაცხადის ექსპერტიზასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის საკონტროლო საბჭოში შემოსული საქმეები განიხილება კოლევიალურად საბჭოს არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. საკონტროლო საბჭოში საქმეების განხილვის წესი განისაზღვრება მასზე დებულებით.

საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. საკონტროლო საბჭოს შეუძლია გადახედოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პროტესტთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია ჩოქმედ კანონმდებლობასთან გადაწყვეტილების შეუსაბამობის ან ახლად წარმოქმნილ ვითარებათა მოტივებით.

149. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ აღმოჩენებზე განაცხადის განხილვის დროს შედავებათა გამო გადაწყვეტილებაზე განმცხადებლების საჩივრებს (ამ დებულების მე-18 პუნქტი), აღმოჩენების რეგისტრაციის ან აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებებზე პროტესტებს, რომლებიც შეტანილია ამ დებულების 144-ე პუნქტის 1-ლ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლებით, განიხილავს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

150. აღმოჩენის რეგისტრაციაზე ჩანაწერის გაუქმების ან შესწორების, აღმოჩენაზე დიპლომის, გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის გაუქმების შესახებ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირის გამოგონებების და აღმოჩენების საქ-

მეტა სახელმწიფო კომიტეტი აწარმოებს ამის თაობაზე პუბლიკაციას კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში.

151. ავტორს, რომელიც არ ეთანხმება წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის ან მის გამოსაყენებლად მიღებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის ვადაში გაასაჩივროს იგი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელთან, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება.

ავტორის საჩივარი უნდა განიხილოს აღნიშნულმა ხელმძღვანელმა ერთი თვის ვადაში მისი შეტანის დღიდან. ავტორის სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში საჩივარს განიხილავს ხელმძღვანელი პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად ან, პროფკავშირული ორგანოს დავალებით, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოსთან ერთად; ამასთან ავტორი უნდა მოიწვიონ განხილვაში მონაწილეობისათვის.

თუ ავტორი თვლის, რომ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება არასწორია ან თუ საჩივრის განხილვისას გადაწყვეტილება არ არის გააოტანილი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელის და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს შორის შეთანხმების მიუღწევლობის გამო, ავტორს შეუძლია მიმართოს ზემდგომ ორგანოს, რომელიც ვალდებულია საჩივრის შემოტანის დღიდან 2 თვის ვადაში შეატყობინოს ავტორს თავისი მოტივირებული გადაწყვეტილება.

სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელის მოადგილის გადაწყვეტილება საბოლოოა.

152. ამ დებულების 147-ე პუნქტის I ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლებსა და ვადებში გადაწყვეტილება წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის, აგრეთვე გადაწყვეტილება რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მიღების შესახებ შეიძლება გაუქმებულ იქნეს ზემდგომი ორგანოს მიერ.

ავტორის საჩივარი წინადადებების რაციონალიზატორულად მიჩნევის ან წინადადების გამოსაყენებლად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებაზე განიხილება ამ დებულების 151-ე პუნქტის მე-3 და მე-4 აბზაცებით გათვალისწინებული წესებით.

153. დავას რაციონალიზატორული წინადადების პირველობაზე განიხილავს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინი-

სტროს ან უწყების ხელმძღვანელი საჩივრის შემოტანის დღიდან 15 დღის ვადაში. საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში დავის განხილვა წარმოებს პროფკავშირულ ორგანოსთან ერთობლივად ან, პროფკავშირული ორგანოს დავალებით, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოსთან ერთად, ამასთან მხარეები უნდა იქნეს მოწვეული დავის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეს, რომელიც არ არის მიღებული გადაწყვეტილების თანახმა, შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

154. გამომგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორების საჩივარს ეკონომიის გაანგარიშების სინწორის, რაოდენობის, გამომგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს გაცემის გაანგარიშებისა და ვადების საკითხებზე, აგრეთვე მათი გამოყენების ფაქტის დადგენას განიხილავს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელი 15-დღიან ვადაში. საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში საჩივრის განხილვა წარმოებს პროფკავშირულ ორგანოსთან ერთობლივად ან, პროფკავშირული ორგანოს დავალებით, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოსთან ერთად.

ავტორს, რომელიც თვლის მისი საჩივრის მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებას არასწორად, ან დადგენილ ვადაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელთან ან მიმართოს სასამართლოს სარჩელით.

155. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სასამართლო წესით განიხილება:

- 1) აღმოჩენაზე, გამომგონებაზე ან რაციონალიზატორულ წინადადებაზე ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ დავა;
- 2) გამომგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს რაოდენობის, გაანგარიშებისა და ვადების და მათი გამოყენების შესახებ დავა, თუ იგი არ არის გადაწყვეტილი ამ დებულების 154-ე პუნქტით დადგენილი წესით;
- 3) დავა აღმოჩენის, გამომგონების ან რაციონალიზატორული წინადადებისათვის თანაავტორებს შორის გასამრჯელოს განაწილებაზე;
- 4) დავა გამოყენებული წინადადების ადრე სარგებლობის

უფლებზე და პატენტის მქონებლის განსაკუთრებული უფლების დარღვევაზე, აგრეთვე მოთხოვნები პატენტის გაუქმებულად მიჩნევაზე, ამ დებულების 146-ე პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე;

5) დავა რაციონალიზატორული წინადადების პირველობაზე, თუ იგი არ არის გადაწყვეტილი ამ დებულების 153-ე პუნქტით დადგენილი წესით.

156. დავა აღმოჩენაზე ან გამოგონებაზე ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ შეიძლება აღძრულ იქნეს სასამართლოში სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განცხადებული წინადადების აღმოჩენად მიჩნევის, ან გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

დავა რაციონალიზატორულ წინადადებებზე ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ შეიძლება აღძრულ იქნეს სასამართლოში, წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის და მისი გამოსაყენებლად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

157. სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი აღმოჩენაზე ან გამოგონებაზე ავტორობის შესახებ ან პატენტის გაუქმებულად მიჩნევაზე დავის გამო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძველზე შეასწორებს აღმოჩენის ან გამოგონების რეგისტრაციაზე ჩანაწერს, აწარმოებს კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში პუბლიკაციას აღმოჩენაზე წინა დიპლომის, გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის გაუქმებისა და ახლის გაცემის შესახებ და გასცემს ამ დოკუმენტებს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

158. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის შესაბამისად გასამრჯელოს გადახდევინებაზე მოქმედებს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ხანდაზმულობის ვადა გამოითვლება ავტორისათვის მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების დაწყების შესახებ შეტყობინების დღიდან.

159. გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების გამოსაყენებლად მომზადებაში ავტორის მონაწილეობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განიხილება შრომითი დავის განხილვისათვის დადგენილი წესით.

160. ამ დებულებით გათვალისწინებულ აღმოჩენაზე დიპლო-

მის, გამოგონებაზე საავტორო მოწმობის განაცხადების განხილვა-სთან დაკავშირებით მასალების წარდგენის ვადები, აგრეთვე საჩივრების, შედაგებისა და პროტესტების შეტანის ვადები შეიკლება გაგრძელდეს საპატიო მიზეზების არსებობის შემთხვევაში სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

## კ ა რ ი X

### გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემირება

161. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემიები ეძლევათ:

1) გამოგონებებად მიჩნეული ტექნიკური გადაწყვეტების, გამოვლენისა და დამუშავების, აგრეთვე ამ გამოგონებებზე საავტორო მოწმობების გაცემაზე განაცხადების გაფორმებისა და დაცვისათვის ხელშეწყობ პირებს;

2) გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისათვის ხელშემწყობ პირებს;

3) სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში გამოყენებულ ან პრესაში გამოქვეყნებულ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებაში ინიციატივის გამომჩენ პირებს.

იმ შემთხვევაში, როცა გამოგონებისა ან რაციონალიზატორული წინადადების შექმნისა ან გამოყენების ხელშემწყობ პირს, გამომგონებლობის ან რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემია-სთან ერთად ამავე სამუშაოსათვის შეიძლება დაერიცხოს ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემია, შემდგომი პრემიის გაცემა სწარმოებს ადრე გაცემული პრემიის ჩათვლით.

162. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის შეიძლება პრემირებულ იქნენ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების შექმნის ან გამოყენების ადგილის მიხედვით საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების როგორც შტატში მყოფი, ასევე შტატგარეშე პირები.

163. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემირებას აწარმოებს გამოგონების ან რაციონალიზატო-



რული წინადადების შექმნის ან გამოყენების ადგილის მიხედვით საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით ან. პროფკავშირულ ორგანოს დავალებით, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებას ადგილობრივ საბჭოსთან შეთანხმებით.

საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელი მუშაკების, აგრეთვე ზემდგომი ორგანიზაციის მუშაკების პრემირება წარმოებს ამ დებულების 165-ე პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ დებულებაში განსაზღვრული წესის მიხედვით. ამასთან ზემდგომი ორგანიზაციების მუშაკებს პრემიები მიეცემათ ამავე ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე და არ შეიძლება მიეცეთ დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სახსრების ხარჯზე.

164. საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში. სამინისტროებში, უწყებებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემირებაზე სახსრები გამოიყოფა შემდეგ ოდენობით:

1) საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში — გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების პირველ წელს მიღებული ეკონომიის 1,5 %-ის ოდენობით, და გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისათვის, რომლებიც არ ქმნის ეკონომიას, გაცემული გასამრჯელოს თანხის 35 %-ის ოდენობით;

2) სამინისტროებში, უწყებებში — დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების პირველ წელს მიღწეული ეკონომიის ჯამიდან 0,4 %-ის ოდენობით.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის გასული წლის გამოუყენებელი აღნიშნული სახსრები რჩება საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებების განკარგულებაში და გამოიყენება ამავე მიზნებისათვის.

165. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემირების წესი და ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენების წესი განისაზღვრება დებულებით, რომელიც მტკიცდება სსრ. კავშირის შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის მიერ სსრ კავშირის გამომგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა

და საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

166. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებების მუშაკები, რომლებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა გამოგონებების დაპატენტებაზე მუშაობაში და ლიცენზიების საზღვარგარეთ გაყიდვის წინადადებების მომზადებაში, აგრეთვე ასეთი ლიცენზიების რეალიზაციის სამუშაოებში, პრემიას იღებენ ამ მიზნისათვის დადგენილი ოდენობით და წესით ლიცენზიების საზღვარგარეთ გაყიდვისაგან მიღებული თანხიდან დარიცხული სახსრების ხარჯზე.

აღნიშნული მუშაკების პრემირება წარმოებს ინსტრუქციის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

167. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიები გაიცემა ზღვა სახის პრემიებისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ წლის განმავლობაში გაცემული პრემიების ოდენობა, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს ერთი გუშაკისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს.

§ 2. დროებითი მითითებანი რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადების მიღების, გაფორმებისა და განხილვის წესების შესახებ.  
დაბტაციაებულია სსრ კავშირის გამომგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1976 წლის 19 აპრისთვის შემთავსებულია სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან

## 1. ზოგადი დებულება

1. რაციონალიზატორულ წინადადებად ითვლება ისეთი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც სიახლეს წარმოადგენს და სასარგებლოა წარმოებისათვის, ორგანიზაციისა ან დაწესებულებებისათვის,

(შემდგომში საწარმო), სადაც ისაა წარდგენილი, და ითვალისწინებს ნაკეთობის კონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტექნიკის ან მასალის შემადგენლობის შეცვლას.

ამასთან, ნაკეთობის, წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტექნიკის კონსტრუქციის ან მასალის შემადგენლობის შეცვლის ქვეშ იგულისხმება არა მარტო მათი სრულყოფა, მოდერნიზაცია, არამედ ნაკეთობის, წარმოების ტექნოლოგიისა და მასალის ახალი კონსტრუქციების შექმნაც.

2. ორგანიზაციისა და საწარმოსათვის ახლად მიიჩნევა წინადადება, თუ მისი დაწესებული ფორმით შეტანის მომენტამდე იგი ან მისი მსგავსი გადაწყვეტა:

— არ იყო გამოყენებული ამ საწარმოში, იმ შემთხვევათა გარდა, როდესაც გადაწყვეტა გამოიყენებოდა ავტორის ინიციატივით არა უმეტეს 3 თვისა განცხადების შეტანამდე;

— არ იყო გათვალისწინებული ადმინისტრაციის ბრძანებით ან განკარგულებით, აღნიშნული არ იყო დამუშავებული ამ საწარმოს ტექნიკური სამსახურების მიერ, ან არ იყო შემოტანილი სხვა პირის მიერ, რომელსაც ეკუთვნის პირველობა თანახმად აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ დებულების 74-ე პუნქტისა;

— არ იყო რეკომენდებული ზემდგომი ორგანიზაციის მიერ ან არ იყო გამოქვეყნებული აღნიშნულ დარგში მოწინავე გამოცდილების გაზიარების საინფორმაციო გამოცემებში;

— არ არის გათვალისწინებული საწარმოსათვის აუცილებელი ნორმატივებით (სტანდარტები, ნორმალები, ტექნიკური პირობები და სხვა).

3. წინადადება მიიჩნევა სასარგებლოდ, თუ მისი გამოყენებამ აღნიშნულ საწარმოში, იმ პირობებში, რომლებიც არსებობს ან უნდა იქნეს შექმნილი დამტკიცებული გეგმების თანახმად, იძლევა შესაძლებლობას ეკონომიკური, ტექნიკური ან სხვა დადებითი ეფექტის მისაღებად.

წინადადების გამოყენებით მიღებული ეფექტი შეიძლება მდგომარეობდეს, მაგალითად, შრომის ნაყოფიერების, ხარისხის, საწარმის საიმედოობის და ხანგამძლეობის ზრდაში, მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიაში, შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესებაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდაში და სხვა.

4. რაციონალიზატორულ წინადადებად არ მიიჩნევა წინადადება, რომელიც:

— დაბლა სწევს პროდუქციის ხარისხს, საიმედოობას, ხანგამძლეობას ან სხვა მაჩვენებლებს, აუარესებს შრომის პირობებს, მუშაობის ხარისხს და სხვა;

— მხოლოდ სვამს ამოცანას ან განსაზღვრავს მრასალოდნელ ეფექტს, რომელიც შეიძლება იქნეს მიღებული წინადადების გამოყენებით, კონკრეტული ტექნიკური გადაწყვეტის ჩვენების გარეშე;

— გადმოღებულია საინფორმაციო წყაროებიდან ან ლიტერატურიდან, აგრეთვე სხვა საწარმოთა გამოცდილებიდან დამატებითი კონსტრუქტორული ან ტექნოლოგიური დამუშავების გარეშე საწარმოს არსებული პირობების შესაბამისად;

— ითვალისწინებს ერთი ცნობილი ნაწარმის, წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტექნიკის კონსტრუქციების, აგრეთვე მასალების სხვა ტოლფასი და აღნიშნულ დარგში ცნობილით შეცვლას;

— იძლევა დადებით ეფექტს ორგანიზაციულ და არა ტექნიკური ხასიათის ღონისძიებათა გამოყენების შედეგად;

— მიეკუთვნება მეურნეობის ორგანიზაციის და მართვის მეთოდებს (დაგეგმვა, ფინანსირება და სხვა), აღზრდის, სწავლების, კვლევის, პროექტირების მეთოდებს, აგრეთვე საინფორმაციო სისტემებს;

— მიეკუთვნება პირობით აღნიშვნებს, განრიგებს, თამაშის წესებს, საგზაო მოძრაობას, ნაოსნობას და სხვა;

— ითვალისწინებს საწარმოო დანადგარების განლაგებას შენობა-ნაგებობებში, თუ მას არ მოსდევს ტექნოლოგიური პროცესის ან კონსტრუქციის შეცვლა;

— მიეკუთვნება სკალების, ტაბულების (ცხრილების), დიაგრამების, გრაფიკების, ნომოგრამების შედგენას, თუ მას არ მოსდევს მათი შემცვლელი ხელსაწყოების კონსტრუქციის შეცვლა;

— ითვალისწინებს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას (სამუშაო ადგილის მდგომარეობის გაუმჯობესება, საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის მოწესრიგება, ანგარიშგება, სამუშაო გრაფიკისა და დანადგარების ან სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების გრაფიკის შეცვლა; ტვირთის მიწოდების დროის შემცირება და სხვ.);

— შეიცავს ამოცანის მათემატიკურ გადაწყვეტას, კერძოდ, ალგორითმს, პროგრამას ელექტროგამომრთველი მანქანისათვის, თუ

მას არ მოსდევს კონსტრუქტორული თვისების ცვლა, მათ შორის რსეთების, რომელთა არსებობა გათვალისწინებულია ალგორითმის თავისებურებებით, რომლებიც განაპირობებენ ეგმ-ის რესურსების ორგანიზაციასა და განაწილებას ან ტექნოლოგიის შეცვლას, რომელსაც ახასიათებს ინფორმაციის მატერიალური მატარებლის მიმართ განმსაზღვრელი რიგი მოქმედების ჩატარება მატერიალური ობიექტების მეშვეობით. ამასთან მატერიალური მატარებლების ქვეშ იგულისხმება ობიექტები, რომლებზედაც ფიქსირდება ინფორმაცია (მაგნიტური ფირები, მაგნიტური დისკოები და სხვა);

5. სამეცნიერო-კვლევითა, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებათა რაციონალიზატორულად კვალციფიცირების შემთხვევაში საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 1975 წლის 15 მაისის № 1 განმარტებით „ზოგიერთი საკითხების შესახებ, რომელიც ეხება სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვედანაყოფების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებების რაციონალიზატორულად მიჩნევის, აგრეთვე მათი შეტანის წესის შესახებ“.

6. განცხადებების ან სხვა დოკუმენტაციის გაფორმების დროს, რომელიც ეხება რაციონალიზატორულ წინადადებას, გამოყენებული უნდა იქნეს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წარმოება-დაწესებულებების, სამინისტროების და უწყებებისათვის დაწესებული დოკუმენტაციის პირველადი აღრიცხვის საუწყებათშორისო ტიპური ფორმები (ფორმა № რ-1 განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე, ფორმა № რ-2 — წინადადების გამოყენების აქტი, ფორმა № რ-3 — წინადადების მიღების ცნობა, ფორმა № რ-4 — რაციონალიზატორულ წინადადებათა განცხადებების რეგისტრაციის ყურნალი, ფორმა № რ-5 რაციონალიზატორის (გამომგონებლის) ბარათი და ფორმა № რ-6 — რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებთა მომზადების, დამუშავებისა და გამოყენების გრაფიკი (შემდეგში ფორმები), რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცსს-ის მიერ და ფორმებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ყველა ფორმა ივსება მელნით (ან მანქანური ტექსტით) მკაფიოდ, გარკვევით, შესწორების გარეშე.

## II. რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადებების გაფორმება

7. განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე უნდა იყოს გაფორმებული ავტორის (თანაავტორების) მიერ ფორმა № 6-1 ბლანკზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე ტექნიკური გადაწყვეტა მიმართულია ერთი და იგივე ობიექტის სრულყოფისაკენ, ყოველი მათგანი ფორმდება ცალკე განცხადებით.

8. განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს წინადადების დასახელება, ჩამოითვალოს უკლებლივ ყველა თანაავტორი, რომელთა შეჭოქმედებითი შრომით არის შექმნილი წინადადება და მოყვანილი უნდა იყოს ყველა მონაცემი მათ შესახებ: გვარი, სახელი, ზამის სახელი, საშუალო ადგილი, დაკავებული თანამდებობა, განათლება, პარტიულობა, დაბადების წელი.

თანაავტორებად არ მიიჩნევა პირები, რომლებმაც ავტორს გაუწიეს მხოლოდ ტექნიკური დახმარება (ნახაზებისა და ნიშნების დამზადება, გაანგარიშება, დოკუმენტაციის გაფორმება, საცდელი შემოწმების ჩატარება და სხვა).

თუ განცხადება შემოტანილია იმ პირის მიერ, რომელიც არ მუშაობს საწარმოში, აღინიშნება მისი მისამართი, რომლის მიხედვითაც შემდგომში მასთან მიმოწერა იწარმოებს.

9. განცხადებაში, განყოფილებაში — „წინადადების აღწერა“ — საჭიროა აღნიშნული იყოს ნაკეთობის, წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტექნიკის კონსტრუქციის ან მასალის შენეცვლობის სრულყოფის მიზანი, ტექნიკური გადაწყვეტის შინაარსი, ყველა საჭირო სრული მონაცემებით, რომლებიც საკმარისი იქნება წინადადების პრაქტიკული განხორციელებისათვის, აგრეთვე მონაცემები ეკონომიკური ან სხვა დადებითი ეფექტის შესახებ.

ნაწარმის კონსტრუქციის სრულყოფა შეიძლება ხასიათდებოდეს, მაგალითად, ცვლილებით დეტალების, კვანძების, ბლოკების და ა. შ. კონსტრუქციულ შესრულებაში, მათ ურთიერთკავშირში, ურთიერთგანლაგებასა და შეფარდებაში, გეომეტრიულ ფორმასა

და მასალებში, რომლითაც არის შესრულებული კვანძები და დეტალები.

წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა შეიძლება ხასიათდებოდეს, მაგალითად ცვლილებებით პროცესში მონაწილე მოწყობილობების ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარების ხერხებში, მათ თანამიმდევრობაში, რეჟიმის პარამეტრებში, (ტემპერატურა, წნევა და სხვა).

მასალის შემცველობის სრულყოფა შეიძლება ხასიათდებოდეს, მაგალითად, მის შემადგენლობაში შემავალი შენაერთებისა (ინგრედიენტები) და მათი რაოდენობითი შეფარდების შეცვლით.

აუცილებელ შემთხვევაში განცხადებას თან უნდა დაერთოს გრაფიკული მასალები (ნახაზები, სქემები და სხვ. მისთ.), ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება და დამატებითი მონაცემები წინადადების შესახებ, თუ იგი აღრე იყო შეტანილი.

10. ავტორის თხოვნით, საწარმო ან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების (გრსს) ადგილობრივი ორგანოები ვალდებულია დახმარება გაუწიოს მას განცხადების, ნახაზების, სქემების, ესკიზებისა და სხვ. გაფორმებაში.

### III. რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხადების შეტანისა და განხილვის წესი

11. განცხადება წარედგინება იმ საწარმოს, რომლის საქმიანობასაც ეხება წინადადება, იმის მიუხედავად, მუშაობს თუ არა ავტორი ამ საწარმოში.

თუ შეიძლება წინადადების გამოყენება სხვადასხვა საწარმოში, ავტორს შეუძლია განცხადებით მიმართოს სამინისტროს ან უწყებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს საწარმო. ამ შემთხვევაში წინადადების სიახლე განისაზღვრება დებულების 64-ე პუნქტის წესების შესაბამისად, მოცემული სამინისტროს, უწყების საწარმოთა ფარგლებში, სადაც შეიძლება ამ წინადადების გამოყენება.

12. განცხადებების შეტანის წესი, რომლებიც კაპიტალურ წმენებლობას მიეკუთვნება, რეგლამენტირებულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განმარტებით აღნიშნულ საკითხზე.

13. განცხადება აღირიცხება რაციონალიზატორულ წინადადებათა რეგისტრაციის ჟურნალში, ფორმა № რ-4.

ეურნალი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი, დამტკიცებული საწარმოს (ქვეგანაყოფის) ბუკდით და იმ პირის ხელმოწერით, რომელიც დებულების 72-ე პუნქტის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას წინადადებაზე.

საწარმო, რომელმაც განსახილველად მიიღო განცხადება, ვალდებულია მიღების დღესვე რეგისტრაცია გაუკეთოს მას, მიუხედავად შემდგომში გამოტანილი გადაწყვეტილებისა. განცხადებაზე აღინიშნება მისი შემოტანის თარიღი და ნომერი, რომლითაც იგი არის რეგისტრირებული ეურნალში.

რეგისტრაციის მომენტიდან განცხადება ითვლება საწარმოს დოკუმენტად და არ შეიძლება მისი ავტორზე (თანაავტორებზე) ხელზე გაცემა.

განცხადება ეურნალში არ აღირიცხება, თუ იგი საწარმოს საქმიანობას არ მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში იგი უბრუნდება ავტორს განმარტებით თუ სად უნდა იქნეს იგი შეტანილი.

თუ ავტორი თანახმა არ არის მისი წინადადების რეგისტრაციის უარზე, მას შეუძლია ეს უარი გაასაჩივროს საწარმოს ხელმძღვანელთან.

14. თანაავტორთა რიცხვში დამატებითი პირების შეყვანა მათი ერთობლივი განცხადების საფუძველზე შეიძლება განახორციელოს საწარმომ პროფკავშირის ორგანოსთან ერთად ან, პროფკავშირის ორგანოს დავალებით, გრსს-ის ადგილობრივ საბჭოსთან ერთად წინადადებაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

დავა რაციონალიზატორული წინადადების ავტორობაზე (თანაავტორობაზე) განიხილება თანახმად დებულებით დადგენილი წესისა.

15. განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის გადაწყვეტილების გამოტანამდე ან მის უარყოფამდე ავტორს უფლება აქვს დაამატოს ან შეცვალოს წინადადების აღწერა, ნახაზები, სქემები ან ესკიზები, წინადადების არსის შეუცვლელად. ცვლილებები და დამატებები გაფორმებული უნდა იყოს ცალკე ფურცელზე შემოტანის ვადის აღნიშვნით და ყველა თანაავტორის ხელმოწერით. წინადადების არსის შეცვლა განიხილება როგორც ახალი წინადადების შემოტანა, რომელიც უნდა გაფორმდეს ახალი განცხადებით.

16. ავტორის თხოვნის შემოტანიდან 5 დღის განმავლობაში, საწარმო აძლევს ან უგზავნის ავტორს ცნობას, რომელშიც აღინიშნება განცხადების შემოტანის ფაქტი და თარიღი, ფორმა № რ-3.



17. რეგისტრირებული განცხადება დასკვნისათვის წინადადების სიახლისა და სარგებლიანობის შესახებ ეგზავნება იმ ქვეგანყოფილებს, რომელთა საქმიანობასაც იგი უშუალოდ ეხება — საამქროს, სამშენებლო უბნის, მთავარი მექანიკოსის, ენერგეტიკოსის, კონსტრუქტორის, ტექნოლოგის განყოფილება და სხვ.

განცხადება, რეგისტრირებული სამინისტროსა ან უწყებაში, ზაჭირო შემთხვევაში დასკვნისათვის ეგზავნება დაქვემდებარებულ საწარმოებს.

დასკვნა ფორმდება განცხადების ნაწილში „დასკვნა წინადადებაზე“ და მას ხელს აწერენ პასუხისმგებელი პირები დაკავებული თანამდებობების აღნიშვნით.

18. გადაწყვეტილებას წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევისა და მისი გამოყენების ან უარყოფის შესახებ დასკვნას შესაბამისად იღებს საწარმოს ან შესაბამისი ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი, ჩანაწერი მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ფორმდება განცხადების ნაწილში „წინადადებაზე გადაწყვეტილების მიღება“.

გადაწყვეტილება წინადადების უარყოფაზე უნდა იყოს დასაბუთებული (მოტივირებული).

განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე განიხილება და მასზე გადაწყვეტილება მიიღება საწარმოში, ორგანიზაციაა და დაწესებულებაში 15 დღის განმავლობაში, სამინისტროსა და უწყებაში კი — 1,5 თვის განმავლობაში დღიდან მისი მიღებისა.

საცდელი შემოწმების ჩატარების შემთხვევაში ავტორს უნდა ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საცდელი შემოწმების დამთავრების შემდეგ 15 დღის განმავლობაში.

19. გადაწყვეტილება იმ წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის შესახებ, რომელიც შეიტანება საწარმოს ხელმძღვანელის, მისი მოადგილის, მთავარი ინჟინრის, მთავარი ინჟინრის მოადგილის, მთავარი აგრონომის მიერ, გამოაქვს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს; იგივე წესი მოქმედებს იმ წინადადების მიმართაც, რომლებიც შეტანილია აღნიშნული მუშაების მიერ სხვა პირებთან თანაავტორობით.

საწარმო ასეთ შემთხვევაში წინადადებას ატარებს სარეგისტრაციო უბრალოში და წინადადების დედანს დასკვნასთან ერთად

წინადადების სიახლისა და სარგებლიანობის შესახებ უგზავნის ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას წინადადების მიმართ, რის შესახებაც ფორმდება ჩანაწერი გახცხადების ნაწილში „გადაწყვეტილების მიღება წინადადებაზე“, რის შემდეგ განცხადება უბრუნდება საწარმოს.

20. წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევისა და მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, თუ იგი დაკავშირებულია დამტკიცებული ნორმატივებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლასთან (პროექტები, სტანდარტები, ტექნიკური პირობები და სხვა ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაცია), მიიღება იმ ორგანიზაციის ნებართვის შემდეგ, რომელიც ამტკიცებს შესაბამის ნორმატივს ან დოკუმენტაციას აღნიშნულ შემთხვევაში ნებართვის მისაღებად საჭირო ვადა განისაზღვრება დებულების 71-ე პუნქტით.

ეს ორგანიზაცია იძლევა მხოლოდ დამტკიცებული ნორმატივებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლის ნებართვას, და არ წყვეტს წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის საკითხს.

21. წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევისა და მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, დადგენილი წესით ნორმატიულ და ტექნიკურ დოკუმენტაციაში შეიტანება შესწორება, რის შესახებაც კეთდება ჩანაწერი გახცხადების ნაწილში „ცვლილებანი ნორმატიულ და ტექნიკურ დოკუმენტაციაში“ იმის აღნიშვნით, როდის, ვის მიერ და რის საფუძველზე შეიცვალა დოკუმენტაცია. ჩანაწერი მოწმდება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს უფროსის (საპატენტო ქვეგანყოფილების უფროსის ან რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის რწმუნებულის) ხელმოწერით.

22. რაციონალიზატორული წინადადების თითოეულ ავტორზე ივსება რაციონალიზატორის (გამომგონებლის) ბარათი ფორმა № რ-5.

თანავტორობის შემთხვევაში გრაფებში 6 და 7 აღნიშნება წინადადების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიის წილი და საავტორო გასამრჯელოს თანხა, რომელიც მოდის ერთ ავტორზე.

23. საწარმო, რომელიც იყენებს წინადადებას საინტერესოს სხვა საწარმოებისთვისაც, ვალდებულია 3 თვის ვადაში შესაბამის ზემდგომ ორგანოებს გადაუგზავნოს მასალები ამ წინადადება-

ზე. ეს მასალები იგზავნება ასლების სახით, საწარმოს ბეჭდითა და შესაბამისი პირის ხელმოწერით დამოწმებული.

24. გამოსაყენებლად მიღებულ წინადადებაზე, აგრეთვე მისი საცდელი შემოწმების ჩატარებაზე, საჭიროების შემთხვევაში დგება რაციონალიზატორული წინადადების მომზადების, დამუშავებისა და შემოწმების გრაფიკი ფორმა № რ-6, გრაფიკს ამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი და ეგზავნება პასუხისმგებელ შემსრულებლებს.

აღნიშნული ფორმის მე-7 გრაფაში „შენიშვნები“ აღნიშნება ბრძანების ნომერი და თარიღი ან გეგმის ნაწილი, რომლითაც განზრახულია გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების ჩატარება.

25. რაციონალიზატორული წინადადების გამოყენება ფორმდება აქტით ფორმა № რ-2.

26. გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებაზე დგება წლიური ეკონომიის გაანგარიშება სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდის მიხედვით ან რაციონალიზატორული წინადადების ნამდვილი ღირებულების გაანგარიშება-დასაბუთების თანახმად იმ რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, გასამრჯელოს ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციითა სპეციალური ფორმით.

27. რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების აქტი, წლიური ეკონომიის გაანგარიშება იმ რაციონალიზატორული წინადადების, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, ნამდვილი ღირებულების გაანგარიშება-დასაბუთება და თანავტორთა შეთანხმება საავტორო გასამრჯელოს განწილების შესახებ ინახება გაცხადებასთან ერთად.

28. რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას, მიიღება და განიხილება დებულებით დადგენილი საიდუმლოების დაცვის შესახებ.

#### IV. რაციონალიზატორულ წინადადებაზე მოწმობის შევსებისა და გაცემის წესი

29. წინადადების რაციონალიზატორულად მიჩნევის გადაწყვეტილების გამოტანისა და მისი გამოსაყენებლად მიღების შემ-

დეგ ერთი თვის განმავლობაში თითოეულ თანაავტორს ეძლევა მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე, (შემდეგში მოწმობა) სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმით.

მოწმობას აძლევს საწარმო, სამინისტრო ან უწყება, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

საწარმოს ხელმძღვანელს, მის მოადგილეს, მთავარ ინჟინერს; მთავარი ინჟინრის მოადგილეს — ავტორებს წინადადებისა, რომელიც მიჩნეულია რაციონალიზატორულად, თანახმად წინამდებარე მითითებების მე-19 პუნქტისა, მოწმობას აძლევს საწარმო, რომელმაც იგი გამოსაყენებლად მიიღო.

30. თანაავტორობის შემთხვევაში მოწმობაში აღინიშნება გვარი, სახელი და მამის სახელი იმ თანაავტორისა, რომელსაც ეძლევა მოწმობი, აგრეთვე რაციონალიზატორული წინადადების სხვა თანაავტორთა გვარები და ინიციალები. მოწმობის მიღების შესახებ თანაავტორები ხელს აწერენ განცხადებას.

31. განცხადების შეტანის ნომერი და თარიღი მოწმობაში ჩაიწერება ქურნალში რეგისტრაციის შესაბამისად.

32. მოწმობას ხელს აწერს საწარმოს, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელი და დასტურდება ბეჭდით.

33. თუ სამინისტრომ, უწყებამ მოწმობა გასცა პირზე. რომელსაც ადრე ჰქონდა მიღებული მოწმობა ამავე წინადადებაზე მოცემული ორგანიზაციის დაქვემდებარებული საწარმოსაგან, ვალდებულია აცნობოს ამ საწარმოს ადრე გაცემული მოწმობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

34. მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, ავტორის (თანაავტორის) თხოვნით საწარმომ, სამინისტრომ ან უწყებამ შეიძლება გასცეს დუბლიკატი, რის შესახებაც აღინიშნება განცხადებაში.

35. რაციონალიზატორული წინადადების დოკუმენტაციების შენახვის ვადები განისაზღვრება ტიპური დოკუმენტური მასალების ნუსხით, რომელიც ყალიბდება სამინისტროების, უწყებებისა და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობაში და დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მიერ 1967 წლის 3 დეკემბერს.

§ 3. სახალხო მუშრობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდია (ძირითადი დებულება).

დამტკიცებულია სსრ კავშირის მცენიარებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მცენიარებათა აკადემიისა და გამოგონებებისა და აღმოჩენების სამეთა სახელმწიფო კომიტეტის 1977 წლის 14 თებერვლის № 48/16/13/3 დღგენილებით

## კ ა რ ი I

### საერთო დებულებები

1. ეს მეთოდია ადგენს ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ერთიან მეთოდურ პრინციპებს და ნის დანიშნულებაა:

ა) ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის საუკეთესო ვარიანტების შერჩევის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

ბ) საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროების, უწყებებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის ნორმებში, ნორმატივებსა და გეგმების მაჩვენებლებში ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების ასახვა;

გ) ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ფაქტიური ეფექტიანობის გაანგაროება;

დ) ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრევიზიის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჯელოს ოდენობის, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების გადმოღების წესით დანერგილ ახალი ტექნიკის გეგმების ღონისძიებათა განხორციელებისათვის პრევიზიის ოდენობის გაანგარიშება;

ე) ფასწარმოქმნის სრულყოფა.

2. მეთოდია შემოღებულია ნაცვლად „ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდისა“, რომელიც დამტკიცებული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის მიერ 1961 წლის 18 თებერვალს, „მრეწველობაში ახალი ტექნიკის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდისა“, რომელიც დამტკიცებული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომი-

ტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1961 წლის 9 დეკემბერს, და „გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით შიღებული ეკონომიის გაანგარიშების ინსტრუქციისა“, რომელიც დამტკიცებული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების კონიტეტის მიერ 1959 წლის 22 დეკემბერს.

მეთოდთა სავალდებულოა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის და გვემსახურება საფუძვლად სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით სამინისტროებისა და უწყებების მიერ ახალი ტექნიკის, სახალხო მეურნეობის და მრეწველობის დარგებში გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების, აგრეთვე ტექნიკის კონკრეტული სახეების შექმნისა და გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებისას (ინსტრუქციის გათვალისწინებით). სახალხო მეურნეობის და მრეწველობის დარგებში დარგობრივი მეთოდური მითითებების დამუშავებისა და დამტკიცებისათვის.

მეთოდთა და მის საფუძველზე შემუშავებული ინსტრუქციები გამოიყენება სახალხო მეურნეობის დონეზე, სამინისტროებსა და უწყებებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში, დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებში, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის ყველა სტადიაზე.

3. მოცემული მეთოდთა მიხედვით ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშებისას ახალ ტექნიკას მიეკუთვნება სახალხო მეურნეობაში პირველად რეალიზებულ მეცნიერულ გამოკვლევათა და გამოყენებით დამუშავებათა შედეგები, რომლებიც შეიცავენ გამოგონებებსა და სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს, აგრეთვე ახალ ან უფრო სრულყოფილ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, შრომის იარაღებსა და საგნებს, წარმოების ორგანიზაციისა და შრომის ხერხებს, რომლებიც პარტის ყველა დონის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების შესაბამისად მათი გამოყენების დროს უზრუნველყოფენ წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას ან სოციალურ და სახალხო მეურნეობის განვითარების სხვა ამოცანათა გადაწყვეტას.

4. გადაწყვეტილება ახალი ტექნიკის, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შექმნისა და დანერგვის

მიზანშეწონილობაზე მიიღება საანგარიშო წელს ახალი ტექნიკის წარმოების წლიურ მოცულობაზე განსაზღვრული ეკონომიკური ეფექტის (წლიური ეკონომიკური ეფექტის) საფუძველზე. საანგარიშო წლად ითვლება პირველი წელი ახალი ტექნიკის წარმოების ათვისების დადგენილი (ნორმატიული) ვადის დამთავრების შემდეგ. როგორც წესი, ეს ახალი პროდუქციის სერიული გამოშვების ან წარმოებაში ახალი ტექნოლოგიის მეორე ან მესამე კალენდარული წელია. გამოგონებებისა ან რაციონალიზატორული წინადადებებისაგან წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის დროს საანგარიშო წლად ითვლება მათი გამოყენების პირველი წელი (იხ. IV კარი).

5. წლიური ეკონომიკური ეფექტისა და მისი შემადგენელი ელემენტების, აგრეთვე ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტურობის სხვა მაჩვენებლების ნორმებსა და ნორმატივებში და (საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროების, უწყებებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობაში) გეგმების მაჩვენებლებში ასახვისათვის შესაბამისი მონაცემები იანგარიშება მათი წარმოებისა და ექსპლუატაციის დაგეგმილი პერიოდის ყველა წლის მიხედვით.

6. ახალი ტექნიკის (გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების) წლიური ეკონომიკური ეფექტი წარმოადგენს ყველა საწარმოო რესურსების (ცოცხალი შრომის, მასალების, კაპიტალდაბანდებათა) შეჯამებულ ეკონომიას, რომელსაც სახალხო მეურნეობა იღებს ახალი ტექნიკის წარმოებისა და გამოყენების შედეგად და რომელიც, საბოლოო ჯამში, გამოიხატება ნაციონალური შემოსავლის გადიდებაში.

7. წლიური ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება დაყვანილი დანახარჯების დაპირისპირებით ბაზურ და ახალ ტექნიკაზე. დაყვანილი დანახარჯები წარმოადგენს თვითღირებულებისა და ნორმატიული მოგების ჯამს:

$$Z = C + E_{II}K, \quad (1)$$

სადაც

Z — დაყვანილი დანახარჯებია პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულზე, მან.;

C — პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულის თვითღირებულება, მან.;

K — ხვედრითი კაპიტალური დაბანდებებია საწარმოო ფონდებში, მან.;

E — კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი.

8. მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბით ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისადმი ადეკვატური მიდგომის უზრუნველსაყოფად და გამომდინარე იქიდან, რომ ახალი ტექნიკის წარმოების ორგანიზაცია მოითხოვს დამატებით სახალხო მეურნეობრივ რესურსებს, გაანგარიშებებში იყენებენ კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის ერთიან ნორმატიულ კოეფიციენტს, რომელიც 0,15-ის ტოლია.

იმ შემთხვევებში, როდესაც ახალი ტექნიკის ცალკეული ობიექტების დანერგვა, ამა თუ იმ დარგში შექმნილ პირობებთან დაკავშირებით, აგრეთვე სოციალური, თავდაცვითი და სხვა ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობის გამო, არ იძლევა ეკონომიკურ ეფექტს (მოგების მატება ნორმატიულ დონეზე დაბალია), ახალი ტექნიკის ასეთი ობიექტების გეგმაში ჩართვის მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილება მიიღება სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

შენიშვნა: მართვის ავტომატიზებული სისტემების ეფექტიანობის გაანგარიშებისათვის კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის ნორმატიულ კოეფიციენტს ადგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

9. წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესადარებელი ვარიანტების შეპირისპირება ახალი და ბაზური ტექნიკის მიხედვით:

— ახალი ტექნიკის დახმარებით წარმოებული პროდუქციის (სამუშაოს) მოცულობა:

— ხარისხის პარამეტრები;

— დროის ფაქტორი;

— პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების სოციალური ფაქტორი გარემოზე გავლენის ჩართვით.

10. ახალი ტექნიკის წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრასა შედარების ბაზად მიღებულია:

— სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო



სამუშაოთა გეგმების ფორმირების ეტაპზე (ახალი ტექნიკის შექმნის ვარიანტის შერჩევის პროცესში), ახალი ტექნიკის წარმოებაზე საქმის ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას — სსრ კავშირის დაპროექტებული უკეთესი ტექნიკის მაჩვენებლები (ან უცხოური ტექნიკის მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება იყოს შესყიდული აუცილებელი ოდენობით ან დამუშავებულია სსრ კავშირში შეტანილი ლიცენზიის საფუძველზე), რომლებსაც ამ ტექნიკის დახმარებით გამოშვებულ პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულზე გაანგარიშებით აქვთ უმცირესი მოყვანილი დანახარჯები. სსრ კავშირში საპროექტო დამუშავებათა უქონლობის და უცხოური გამოცდილების გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში შედარების ბაზის სახით მიიღება სსრ კავშირში არსებული საუკეთესო ტექნიკის მაჩვენებლები;

— პირველი სამრეწველო სფეროების ათვისების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ხერხების გეგმების ფორმირების ეტაპზე, აგრეთვე ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის ეტაპზე — შესაცვლელი ტექნიკის მაჩვენებლები.

შენიშვნა: ფასწარმოქმნის სისტემაში შედარების ბაზად მიჩნეულია უკეთესი ტექნიკის მაჩვენებლები.

ბაზური ტექნიკის მაჩვენებლები (თვითღირებულება, კაპიტალდაბანდებანი და ა. შ.) ყველა ეტაპზე მიიღება წარმოების ტექნიკური დონის ამალლების გათვალისწინებით, რომელიც მიღწეულია საანგარიშო წელს.

11. ახალი ტექნიკის წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას დროის ფაქტორი გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალდაბანდებანი ხორციელდება რამდენიმე წლის განმავლობაში, აგრეთვე როდესაც მიმდინარე ხარჯები და წარმოების შედეგები, ახალი ტექნიკის ობიექტის მუშაობის რეჟიმის შეცვლის გამო, არსებითად იცვლება ექსპლუატაციის წლების მიხედვით.

დროის ფაქტორის აღრიცხვა ხორციელდება ახალი და ბაზური ტექნიკის შექმნაზე და დანერგვაზე და მათი გამოყენების შედეგებზე ერთდროული და მიმდინარე დანახარჯების დროის ერთი მომენტის (საანგარიშო წლის დასაწყისი) დაყვანის გზით. ასეთი დაყვანა სრულდება დანახარჯებისა და შესაბამისი წლის შე-

დეგების გამრავლებით (გაყოფით) დაყვანის კოეფიციენტზე, რომელიც განისაზღვრება ფორმულით

$$\alpha_1 = (1 + E)^t, \quad (2)$$

სადაც:

$\alpha_1$  — დაყვანის კოეფიციენტი;

$E$  — დაყვანის ნორმატივია (0,1);

$t$  — წლების რიცხვია, რომელიც მოცემული წლის დანახარჯებსა და შედეგებს გამოყოფს საანგარიშო წლის დასაწყისისაგან.

დანახარჯები და შედეგები, რომლებიც ხორციელდება და მიიღება საანგარიშო წლის დაწყებამდე, შრავლდება დაყვანის კოეფიციენტზე ( $\alpha_1$ ). ხოლო საანგარიშო წლის დაწყების შემდეგ იყოფა კოეფიციენტზე. წარმოების სხვადასხვადროული დანახარჯებისა და შედეგების დაყვანა გამოიყენება მხოლოდ წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებებში და არ შეიძლება წარმოადგენდეს ახალი ტექნიკის ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და სხვა საგეგმო მაჩვენებლების შეცვლის საფუძველს.

დაყვანის კოეფიციენტები, რომლებიც გაანგარიშებულია ფორმულით (2), მოცემულია დანართში (1).

## კ ა რ ა II

### წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება

12. ახალი ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების შექმნიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ხერხების გამოყენების შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო რესურსების ეკონომიას ერთი და იგივე პროდუქციის გამოშვებისას, წარმოებს შემდეგი ფორმულით:

$$\Theta = (3_1 - 3_2) \cdot A_2, \quad (3)$$

სადაც:

$\Theta$  — წლიური ეკონომიკური ეფექტია, მან.;

$3_1$  და  $3_2$  — საბაზო და ახალი ტექნიკის დახმარებით წარმოებული პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულის დაყვანილი დანახარჯებია, რომლებიც განისაზღვრება ფორმულით (1), მან.;

$A_2$  — საანგარიშო წელიწადში ახალი ტექნიკის დახმარებით წარმოებული პროდუქციის (სამუშაოს) წლიური მოცულობაა, ნატურალურ ერთეულებში.

13. გაუმჯობესებული ხარისხობრივი მახასიათებლებიანი (მწარმოებლობა, ხანგამძლეობა, ექსპლუატაციის ხარჯები და ა. შ.) ხანგრძლივი გამოყენების შრომის ახალი საშუალებების (მანქანები, მონწყობილობები, ხელსაწყოები და ა. შ.) წარმოებისა და გამოყენებისაგან წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება წარმოებს შემდეგი ფორმულით:

$$\Theta = \left[ 3_1 \cdot \frac{B_2}{B_1} \cdot \frac{P_1 + E_{II}}{P_2 + E_{II}} + \frac{(H'_1 - H'_2) - E_{II}(K'_1 - K'_2)}{P_2 + E_{II}} - 3_2 \right] \cdot A_2, \quad (4)$$

სადაც

$3_1$  და  $3_2$  — შრომის საბაზო და ახალი საშუალებების შესაბამისად ერთეულების დაყვანილი და ნახარჯებია, რომლებიც განისაზღვრება ფორმულით (1), მან.;

$\frac{B_2}{B_1}$  — საბაზისოსთან შედარებით შრომის ახალი საშუალების ერთეულის მწარმოებლობის ზრდის აღრიცხვის კოეფიციენტია;

$B_1$  და  $B_2$  — იმ პროდუქციის (სამუშაოს) წლიური მოცულობაა, რომელიც წარმოებულა შესაბამისად შრომის ბაზური და ახალი საშუალებების ერთეულის გამოყენებით, ნატურალურ სიდიდეებში;

$\frac{P_1 + E_{II}}{P_2 + E_{II}}$  — საბაზისოსთან შედარებით შრომის ახალი საშუალების სამსახურის ვადის ცვლის აღრიცხვის კოეფიციენტია;

$P_1$  და  $P_2$  — საბაზისოს ღირებულებიდან შრომის ბაზური და ახალი საშუალებების სრულ აღდგენაზე (რენოვაციაზე) ანარიცხების წილია. გაიანგარიშება როგორც შრომის საშუალებათა სამსახურის იმ ვადების უკუსიდიდეები, რომლებიც განისაზღვრება მათი მორალური ცვეთის გათვალისწინებით. გაანგარიშების სიზუსტის ამაღლების აუცილებ-

ბლობის შემთხვევაში ისინი მიღებულ უნდა იქნეს დანართი 2-ის მონაცემების მიხედვით.

$E_{\text{н}}$  — ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი (0,15);

$\frac{(I_1^1 - I_2^1) - E_{\text{н}}(K_2^1 - K_1^1)}{P_2 + E_{\text{н}}}$  — მომხმარებლის ეკონომიაა ექსპლუატაციის

მიმდინარე ხარჯებზე და შრომის ახალ საშუალებათა სამსახურის მთლიანი ვადის განმავლობაში თანმხლებ კაპიტალურ დაბანდებებისაგან გადარიცხვებზე ბაზურთან შედარებით, მან.;

$K_1^1$  და  $K_2^1$  — მომხმარებლის თანმხლები კაპიტალდაბანდებებია (კაპიტალდაბანდებები განსახილველი შრომის საშუალებების გათვალისწინების გარეშე) შრომის ბაზური და ახალი საშუალებების გამოყენებისას, შრომის ახალი საშუალების დახმარებით წარმოებული პროდუქციის (სამუშაოს) მოცულობაზე გაანგარიშებით, მან.;

$I_1^1$  და  $I_2^1$  — მომხმარებლის წლიური საექსპლუატაციო ხარჯებია, მის მიერ შრომის ბაზური და ახალი საშუალებების გამოყენებისას იმ პროდუქციის (სამუშაოს) მოცულობაზე გაანგარიშებით, რომელიც წარმოებულია შრომის ახალი საშუალებების დახმარებით, მან. ამ ხარჯებში გათვალისწინებულია ამორტიზაციის მხოლოდ ნაწილი, რომელიც განკუთვნილია შრომის საშუალებათა კაპიტალური შეკეთებისათვის (ანუ მათი რენოვაციისათვის განკუთვნილი საშუალებების აღრიცხვის გარეშე), აგრეთვე საამორტიზაციო გადარიცხვები მომხმარებლის თანმხლები კაპიტალდაბანდებების მიხედვით;

$A_{\text{н}}$  — შრომის ახალი საშუალებების წარმოების წლიური მოცულობაა საანგარიშო წელს, ნატურალურ ერთეულებში.

14. შრომის ახალი ან სრულყოფილი საგნების (მასალები, ნედლეუ-

ლი, სათბობი) წარმოებისა და გამოყენების, აგრეთვე ერთ წელზე ნაკლები. სამსახურის ვადის; შრომის საშუალებათა წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება წარმოებს ფორმულით

$$\Theta_i = \left[ 3_1 \cdot \frac{Y_1}{Y_2} + \frac{(H_1^i - H_2^i) - E_{ii}(K_1^i - K_2^i)}{Y_2} - 3_2 \right] \cdot A_2, \quad (5)$$

სადაც

$3_1$  და  $3_2$  — შრომის საბაზო და ახალი საგნის ერთეულის დაყვანილი დანახარჯებია, მან.;

$Y_1$  და  $Y_2$  — ხვედრითი ხარჯებია შრომის ბაზური და ახალი საგნის შესაბამისად, იმ პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულზე გაანგარიშებით, რომელსაც უშვებს მომხმარებელი, ნატურალურ ერთეულებში;

$H_1^i$  და  $H_2^i$  — დანახარჯებია პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულზე, რომელსაც უშვებს მომხმარებელი შრომის ბაზური ან ახალი საშუალებების გამოყენებისას, მათი ღირებულების გათვალისწინების გარეშე, მან.;

$K_1^i$  და  $K_2^i$  — მომხმარებლის თანხმობები კაპიტალდაბანდებებია მის მიერ შრომის საბაზო ან ახალი საგნების გამოყენებისას, იმ პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულზე გაანგარიშებით, რომელიც წარმოებულა შრომის ახალი საგნების გამოყენებით, მან.;

$A_2$  — შრომის ახალი საგნის წარმოების წლიური მოცულობაა სანგარიშო წელს, ნატურალურ სიდიდეებში.

15. მომხმარებლის რამდენიმე სფეროში ახალი ტექნიკის წარმოებისა და გამოყენების შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება წარმოებს ფორმულით:

$$\Theta = \sum_{i=1}^n \Theta_i \cdot A_i, \quad (6)$$

სადაც

$\Theta_i$  — მოხმარების  $i$ -ს სფეროში გამოყენებული ახალი ტექნიკის ერთეულის წარმოებისა და გამოყენების შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტია, მან.

შესადარებელი ბაზა ახალი ტექნიკის მოხმარების თითოეული სფეროსათვის მიღებულია ინდივიდუალურად;  $A_i$  — საანგარიშო წელს ახალი ტექნიკის გამოშვების ნაწილია, რომელიც გამიზნულია მოხმარების  $i$  სფეროსათვის, ნატურალურ ერთეულებში;

$n$  — ახალი ტექნიკის მოხმარების სფეროთა რაოდენობა.

16. მოსახლეობის მოთხოვნების დამკაყოფილების მიზნით ახალი პროდუქციის ან გაუმჯობესებული ხარისხის (უფრო მაღალი ფასების) პროდუქციის, აგრეთვე გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა საფუძველზე შექმნილი ახალი პროდუქციის ან გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის საწარმოებისაგან მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება წარმოებს ფორმულით

$$\Theta = (\Pi - E_H \cdot K) \cdot A_2, \quad (7)$$

სადაც

$\Theta$  — მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წარმოებული ახალი პროდუქციის ან გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წლიური ეკონომიკური ეფექტია, მან.;

$\Pi$  — ახალი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება ან მოგების ნამატია ( $\Pi_2 - \Pi_1$ ) — გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის რეალიზაციისაგან ( $\Pi_2$  — მოგება გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის რეალიზაციისაგან,  $\Pi_1$  — ადრინდელი ხარისხის პროდუქციის რეალიზაციისაგან), მან.;

$K$  — ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი ახალი პროდუქციის წარმოებაზე ან ხვედრითი დამატებითი კაპიტალდაბანდებანია, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, მან.;

$E_H$  — ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი (0,15);

$A_2$  — ახალი პროდუქციის ან გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წლიური მოცულობა საანგარიშო წელს, ნატურალურ ერთეულებში.

17. ტექნიკის დამამზადებლებისა და მომხმარებლების კაპიტალდაბანდებათა შემადგენლობაში წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია როგორც უშუალოდ კაპიტალდაბანდებანი, რომლებიც მოიცავს დანახარჯებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სსრ კავშირის სახალხო

მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენის მეთოდური მითითებების შესაბამისად, ასევე სხვა ერთდროული დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია ტექნიკის შესაქმნელად და გამოსაყენებლად, მაუხედავად მათი დაფინანსების წყაროებისა. ასეთ დანახარჯებს მიეკუთვნება:

— დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რომლებიც მოიცავს საცდელი ნიმუშების გამოცდას და დამატებით დამუშავებას (მხოლოდ ახალი ტექნიკის ვარიანტი).

იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო სამუშაოების შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ტექნიკის შექმნასთან — გამოგონების დონეზე, შესაძლებელს გახდის მომავალში მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მათი გამოყენების მასშტაბები, მაშინ ახალ ტექნიკის განსახილველ ღონისძიებებს შეიძლება მიეკუთვნოს ექსპერტიზის გზით განსაზღვრული შესაბამისი დანახარჯების მხოლოდ ნაწილი;

შეძენის, ადგილზე მიტანის, მონტაჟის, დემონტაჟის, ტექნიკური მომზადების, აწყობისა და წარმოების ათვისების დანახარჯები;

— დანახარჯები ახალი ტექნიკის შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული საბრუნავი ფონდების შექმნაზე;

— აუცილებელი საწარმოო ფართობებისა და ძირითადი ფონდების სხვა ელემენტების ღირებულება, რომლებიც დაკავშირებულია ახალი და ბაზური ტექნიკის წარმოებასა და გამოყენებასთან;

— დანახარჯები ტექნიკურ ღონისძიებებზე და დანადგარებზე, რომლებიც თავიდან გვაცილებენ გარემოზე (გარემოს გაქუჩუყიანების თავიდან აცილება), აგრეთვე შრომის პირობებზე (საწარმოო ხმაურის შემცირება, კლიმატური პირობების შენარჩუნება საწარმოო შენობებში, ტრავმატიზმის თავიდან აცილება და ა. შ.) ტექნიკის ექსპლუატაციის გავლენის უარყოფით შედეგებს;

— ზარალი (პლუს ნიშნით) ან მოგება (მინუს ნიშნით) პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისაგან, წარმოების ათვისების იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებს საანგარიშო წელს.

18. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების სტატიების შემადგენლობა, მათი გაანგარიშების ხერხი და კალკულირების საერთო მეთოდები მიიღება სამრეწველო პროდუქციის თვითლი-

რებულების „დაგეგმვის, აღრიცხვის და კალკულირების ძირითადი დებულების“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1970 წლას 20 ივლისს (НАБ—21—Д) და ძალაში შესულია 1971 წლის 1 იანვრიდან.

მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და სოფლის მეურნეობაში თვითღირებულების კალკულირების მეთოდები მიიღება მათში მოქმედი ანალოგიური ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გაანგარიშებებში გასათვალისწინებელია მხოლოდ ის დანახარჯები, რომლებიც იცვლება ახალი ტექნიკის წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთანავე საამქროს და საერთო-საქარხნო დანახარჯები კორექტირებული უნდა იყოს პირდაპირი ანგარიშით ცვლადი მუხლების მიხედვით (მათი გადაანგარიშება ხელფასის შემცირების პროპორციულად არ დაიშვება). თუ საწარმო უშვებს პროდუქციის რამდენიმე სახეობას, მაშინ საამქროს და საერთო საქარხნო წლიური ხარჯების წილი პროდუქციის მოცემულ სახეობაზე დადგინდება პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების დარგობრივი მეთოდის მიხედვით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

19. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეტაპზე (ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის ყველაზე ეფექტიანი ვარიანტის შერჩევის პროცესში) წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისას, აგრეთვე მისი წარმოებაში დაყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენება საპროექტო, ნორმატიული და საგეგმო მაჩვენებლები.

ახალი ტექნიკის ფაქტიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია საანგარიშო კალკულაციებისა და ზარჯების ნაკრები აღრიცხვის მონაცემები, რომლებიც ასახავენ შექმნილ რეალურ დანახარჯებსა და წარმოების მოცულობებს.

20. გაანგარიშებებს ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ყველა ეტაპზე, რომლებიც შეთანხმებულია პროდუქციის ძირითად მომხმარებელთან, ხელს აწერენ ორგანიზაცი-



ებისა და საწარმოების საგეგმო და ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელები.

პრემიების ოდენობის განსაზღვრისათვის შესრულებული წლიური ეკონომიკური გაანგარიშებები მტკიცდება:

ა) ცენტრალიზებული ფონდიდან პრემიების გადახდის შემთხვევაში — სამინისტროების, უწყებების, სამხარეო აღმასკომებისა და საოლქო აღმასკომების ხელმძღვანელების მიერ;

ბ) ორგანიზაციებისა და საწარმოების განკარგულებაში დარჩენილ სახსრებიდან პრემიების გადახდის შემთხვევაში — ამ ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელების მიერ.

როდესაც წლიური ეკონომიკური ეფექტი აღემატება 2,0 მლნ. მანეთს, გაანგარიშებას უთანხმებენ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

### კ ა რ ი III

**ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობის ასახვა ნორმებში, ნორმატივებში, საგეგმო და საანგარიშო მაჩვენებლებში**

21. წლიური ეკონომიკური ეფექტის, აგრეთვე მისი ელემენტების შემადგენელი და ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ჰხვა მაჩვენებლების ეფექტურობის ასახვისათვის ნორმებისა და ნორმატივების მაჩვენებლებში, რომლებიც გამოიყენება ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისას, ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშება წარმოებს ხუთწლედის თითოეული წლის ახალი ტექნიკის გეგმურ მოცულობებზე. გაანგარიშებათა შედეგები გათვალისწინებულია გეგმების შესაბამის მაჩვენებლებში, აგრეთვე შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ბალანსებში.

საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროებისა და სახალხო მეურნეობის გეგმებში ახალი ტექნიკის ეფექტიანობის მაჩვენებლები გათვალისწინებულია მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ახალი ტექნიკა უზრუნველყოფს წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას ან სახალხო მეურნეობის განვითარების სოციალური ან სხვა ამოცანების გადაჭრას (მაგრამ არა უმეტეს პროდუქციის ხარისხის ატესტაციის მოქმედების ორი ვადისა — 6 წელი).

22. წარმოების გეგმის მაჩვენებლების გაანგარიშება ხორცი-

ელდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო იგეგმების ქშემუშავების მეთოდური მითითებების შესაბამისად, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მიერ არის დამტკიცებული. საგეგმო პერიოდის ეკონომია, ბაზურთან შედარებით, გამოისახება შემდეგი წესით:

გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე ნედლეულისა, მასალების, სათბობისა და ენერჯის ეკონომია (გადახარჯვა) გამოიხატება მატერიალური ნორმატივების შეცვლაში, რომელთა გაანგარიშების მეთოდის განხილულია მეთოდური მითითებების თავებში — „მატერიალური ბალანსები და განაწილების გეგმები“ და „მრეწველობასა და მშენებლობაში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმებისა და საწარმოო მარაგის ნორმების დამუშავება და გამოყენება“.

შრომითი რესურსების ეკონომია (გადახარჯვა) აისახება შრომითი ნორმატივების, შრომატევადობის ცვლილებაში, ესე იგი, პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების (კაც-სათებში) ან მუშაკთა საშუალო წლიურ შემცირებაში. ვითვალისწინებთ რა, რომ შრომატევადობის მაჩვენებელი არის ერთ მუშაკზე პროდუქციის გამომუშავების მაჩვენებლების უკუსიდიდე, ნორმატიული შრომატევადობის გაანგარიშებისას მიზანშეწონილია ამოსავლად ჩაითვალოს ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად შრომისნაყოფიერების დაგეგმილი ზრდა. ასეთი გაანგარიშების ხერხები განიხილება მეთოდური მითითებების თავებში „შრომისა და კადრების დეგეგმვა“ და „ნორმატიული ბაზა“.

კაპიტალდაბანდებათა ეკონომია (გადახარჯვა) აისახება ფონდტევადობისა და ხვედრითი კაპიტალდაბანდებების ნორმატივების ცვლილებაში, რომელთა გაანგარიშების მეთოდის განხილულია მეთოდური მითითებების თავებში — „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა“ და „დარგთაშორისი ბალანსის ნორმატიული ბაზა“.

გეგმების ნორმატიული ბაზის ცვლილებების გაანგარიშების შედეგები შეჯამებულია I-ლ ცხრილში.

ნატურალური ნორმატივების ცვლილება აისახება საწარმოების, გაერთიანებებისა და სამინისტროების დონეზე ნორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შესაბამისი თავების ნორმატიულ ბაზაში. ღირებულებითი ნორმატივების ცვლილება აისახება მატერიალურ რესურსებზე, მოწყობილობებზე, საწარმოო მარაგზე მოთხოვნილების გაანგარიშების, აგრეთვე

წარმოებასა და სახალხო მეურნეობაში პროდუქციის განაწილებ-  
ის დარგთაშორისი ბალანსების ნორმატიულ ბაზაში.

გეგმების ნორმატიულ ბაზაში ცვლილებების დამუშავებისა  
და შეცვლის წესი დადგენილია მეთოდური მითითებების თავის  
— „მრეწველობასა და მშენებლობაში მატერიალური რესურსებ-  
ის ხარჯვისა და სამრეწველო მარაგის ნორმათა დამუშავება და  
გამოყენება“ — შესაბამისად.

23. ახალი ტექნიკის გეგმური ღონისძიებების რეალიზაციის  
შედეგები აისახება საწარმოების, გაერთიანებებისა და საშინის-  
ტროების მუშაობის ძირითადი სამეურნეო ანგარიშების მაჩვენებ-  
ლებში. ეს შედეგები გაიანგარიშება როგორც ცალკეული ღონის-  
ძიებების, ასევე ნთლიანი გეგმის მიხედვით. ასეთი გაანგარიშება  
უნდა წარმოებდეს ცხრილი № 2 მაჩვენებლების მიხედვით.

ცხრილი 1

	ნორმატივები	ბაზური ტექნიკა	ახალი ტექნიკა	ცვლილება (-) გადახარჯვა(+)
1	2	3	4	5
	<p>ა. ნატურალური</p> <p>ა. მატერიალური რესურსების შესაბამის- სახეობებისა: — ნედლეულსა და მასალებს — სათბობსა და ელექტროენერჯის — სათადარიგო ნაწილებს</p> <p>II. შრომითი რესურსების შესა- ბამისი სახეობები:</p> <p>ბ. ლირებულებითი</p> <p>I. აბსოლუტური: პროდუქციის მასალატევადობა (მატე- რიალური დანახარჯები პროდუქციის მოცულობაზე ამორტიზაციის გარეშე).</p> <p>სულ: მათ შორის მატერიალური რესურ- სების მნიშვნელოვანი სახეობების მიხედვით — პროდუქციის ხელფასტევადობა (ხელფასის საერთო ფონდი პროდუ- ქციის მოცულობაზე) — პროდუქციის ფონდტევადობა (სა- შუალო წლიური საწარმოო ფონ- დების</p>			

1	2	3	4	5
	<p>— ძირითადის და საბრუნის—ლირე-ბელები პროდუქციის მოცულობაზე).</p> <p>II. ფარდობითი:</p> <p>— მატერიალური დანახარჯები პროდუქციის ნამატის 1 მანეთზე</p> <p>— შრომითი დანახარჯები პროდუქციის ნამატის 1 მანეთზე</p> <p>— კაპიტალური დანახარჯები პროდუქციის ნამატის 1 მანეთზე</p>			

შენი შენა: ნორმატივების ცვლილებების გაანგარიშებებში გაითვალისწინება პირველადი საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები დანახარჯების სფეროსთან შეფარდებით, რომლებიც უშუალოდ შეეუთვნება ბაზურ და ახალ ტექნიკას.

ცხრილი № 2

მაჩვენებლები	აღნიშვნა	ბაზური (შესაცვლელი) ტექნიკა	ახალი ტექნიკა			
			გეგმური		საანგარიშო (ფაქტური)	
			ს უ ს	კონომა (+), გადახარჯვა (-)	ს უ ს	კონომა (+), გადახარჯვა (-)
გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოს) რაოდენობა	A					
პროდუქციის ერთეულის ფასი	Ц					
პროდუქციის (სამუშაოს) ფერტილირებულება	С					
მოგება	П					
ლონისძიების რეალისაციისათვის აუცილებელი კაპიტალდაბანდებანი	K					
შრომისაყოფიერება საერთო პროდუქციის მხედვით	B <sub>B</sub>					
მომუშავეთა პირობითი გამოთავისუფლება	Δ <sub>4</sub>					
მასალისა და ენერჯის ხვედრითი დანახარჯი (ძირითადი სასკობების მხედვით)	С <sub>М</sub>					
მოწოდებლობას ერთეულების მჭარმოებლობა	B					
მოწოდებლობის სამსახურის ვადა	To					
რენტაბელობა	Π					
	K					

24. ახალი პროდუქციის წარმოებისაგან დაგეგმილი (ფაქტიური) მოგების ნამატი განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta \Pi_t = (\Pi_t - C_t) \cdot A_t - (\Pi_1 - C_1) \cdot A_1, \quad (8)$$

სადაც:

$\Delta \Pi_t$  — მოგების დასაგეგმი ნამატია  $t$  წელიწადში, (მან.);

$\Pi_t$  და  $C_t$  — საბითუმო ფასია (ბრუნვიდან გადასახადის გარეშე) და ახალი პროდუქციის ერთეულის წარმოების თვითღირებულებაა  $t$  დასაგეგმ წელს, (მან.);

$\Pi_1$  და  $C_1$  — საბითუმო ფასია (ბრუნვიდან გადასახადის გარეშე) და ახალი ტექნიკის დანერგვის ადრინდელ წელში შესაცვლელი პროდუქციის ერთეულის წარმოების თვითღირებულებაა (მან.);

$A_t$  და  $A_1$  — ახალი პროდუქციის წარმოების მოცულობაა დასაგეგმ  $t$  წელიწადში და ახალი ტექნიკის დანერგვის ადრინდელ, შესაცვლელი პროდუქციის წელს, ნატურალურ ერთეულებში.

თუ გეგმის ფორმირების დროს ახალი პროდუქციის საბითუმო ფასი ( $\Pi_t$ ) დადგენილი არ არის, მაშინ გაანგარიშების დროს გამოიყენება ფასი, რომელიც განისაზღვრება „საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ახალი პროდუქციის საბითუმო ფასების განსაზღვრის მეთოდის“ მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

ფაქტიური მაჩვენებლების გაანგარიშებისას გამოიყენება პიოველადი საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები.

25. ახალი ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისაგან, აგრეთვე მომხმარებლების მიერ ახალი პროდუქციის გამოყენებისაგან თვითღირებულების დაგეგმილი (ფაქტიური) თვითღირებულებების შექცირება (მოგების ნამატი) განისაზღვრება ფორმულით

$$\Delta C_t = (C_t - C_1) \cdot A_1, \quad (9)$$

სადაც

$\Delta C_t$  — თვითღირებულების (მოგების ნამატის) დაგეგმილი შექცირებაა  $t$  წელიწადში (მან.);

$C_t$  და  $C_1$  — პროდუქციის ერთეულის წარმოების თვითღირებულებაა დასაგეგმ  $t$  წელიწადში და ახალი ტექნიკის დანერგვის ადრინდელ წელს (მან.);

$A_t$  — წარმოების მოცულობა  $t$  დასაგეგმ წელიწადში, ნატურალურ ერთეულებში.

26. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის დაგეგმილი (ფაქტიური) შემცირება (მომუშავეთა პირობითი გამოთავისუფლება) უბნებზე, სადაც ინერგება ახალი ტექნიკა, განისაზღვრება ფორმულებით:

$$\Delta Y_t = (T_1 - T_t) \cdot A_t$$

ან

$$\Delta Y_t = \frac{I_{t_1} \cdot A_t}{B_{B1}} - \frac{I_{t_1} \cdot A_t}{B_{Bt}}, \quad (10)$$

სადაც

$\Delta Y_t$  — მომუშავეთა პირობითი გამოთავისუფლება  $t$  დასაგეგმ წელიწადში (კაცი);

$T_1$  და  $T_t$  — პროდუქციის ერთეულის შრომატევადობაა ნატურალურ (ან ღირებულებით) გამოსახვაში ახალი ტექნიკის დანერგვამდე და  $t$  დასაგეგმ წელიწადში (კაცი);

$B_{B1}$  და  $B_{Bt}$  — შრომის ნაყოფიერება ახალი ტექნიკის დანერგვამდე და  $t$  დასაგეგმ წელიწადში (მან/კაცი);

$A_t$  — წარმოების მოცულობაა  $t$  დასაგეგმ წელიწადში ნატურალურ ერთეულებში.

27. კაპიტალდაბანდებათა დაგეგმილი (ფაქტიური) ეკონომია განისაზღვრება ფორმულით

$$\Delta K_3 = \left( K_1 \frac{B_2}{B_1} - K_2 \right) \cdot A_2, \quad (11)$$

სადაც

$\Delta K_3$  — კაპიტალდაბანდებათა დაგეგმილი (ფაქტიური) ეკონომიაა ახალი ტექნიკის დანერგვის საანგარიშო წელს (მან.)

$K_1$  და  $K_2$  — ხვედრითი კაპიტალდაბანდებანია ბაზურ და ახალ ტექნიკაში (მან.);

$B_1$  და  $B_2$  — იმ პროდუქციის (სამუშაოს) წლიური მოცულობაა, რომელიც წარმოქმნილია ბაზური და ახალი ტექნიკის გამოყენებისას (ნატურალურ ერთეულებში);

$A_2$  — პროდუქციის (სამუშაოს) წარმოების წლიური მოცულობაა ახალი ტექნიკის ვარიანტში საანგარიშო წელს (ნატურალურ ერთეულებში).

28. მატერიალური დანახარჯების დაგეგმილი (ფაქტიური) შემცირება ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად განისაზღვრება ფორმულით

$$\Delta M_t = (M_1 - M_0) \cdot A_t, \quad (12)$$

სადაც

$\Delta M_t$  — ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მატერიალური დანახარჯების გეგმური (ფაქტიური) შემცირებაა  $t$  დასაგეგმ (საანგარიშო) წელს (მან.);

$M_t$  და  $M_1$  — მატერიალური დანახარჯებია პროდუქციის ერთეულზე  $t$  დასაგეგმ წელს და ახალი ტექნიკის დანერგვის აღრინდელ წელს (მან).

$A_t$  — წარმოების მოცულობაა  $t$  დასაგეგმ წელს, ნატურალურ ერთეულებში.

29. ახალი ტექნიკის დახერგვაზე დაგეგმილი კაპიტალდაბანდებათა და დამატებით კაპიტალდაბანდებათა ამოგების ვადა გაიანგარიშება ფორმულით:

$$T = \frac{K_2}{\Pi_t} \quad (13)$$

$$T^1 = \frac{K_{\text{გაგ.}}}{\Delta \Pi_t}, \quad (14)$$

სადაც

$T$  და  $T^1$  — დასაგეგმი და დამატებითი კაპიტალდაბანდებების ამოგების ვადა (წელი);

$K_2$  და  $K_{\text{გაგ.}}$  — დაგეგმილი და დამატებითი კაპიტალდაბანდებები ახალ ტექნიკაზე (მან).

$\Pi_t$  და  $\Delta \Pi_t$  — დაგეგმილი (აბსოლუტური) და დამატებითი (ბაზურ ტექნიკასთან შედარებით) მოგება ახალი ტექნიკის წლიური მოცულობის რეალიზაციისაგან, წარმოების  $t$  დასაგეგმ წელს (მან)\*.

დასაგეგმი წლის ყველა ღონისძიების რეალიზაციის შედეგები (და ფაქტიურად მიღებული) შეკრებილია მე-3 ცხრილში და შესაბამისად აისახება საწარმოების, გავრთიანებათა და სამინისტროების სამეურნეო საანგარიშო მხარეებლებში.

30. წარმოების კრებისით სამეურნეო საანგარიშო ეფექტი, რომელიც მიღებულია ახალი ტექნიკის გამოშვებისა და გამოყენების შედეგად, განისაზღვრება ფორმულით

$$\Theta_x = \Sigma \Delta \Pi_t - E_{\text{გ}} \Sigma \Delta K, \quad (15)$$

\* ფორმულა (14) გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც  $K_2 > K_1$

სადაც

$\Xi_x$  — წარმოების კრებსითი სამეურნეო-საანგარიშო ეფექტია ახალი ტექნიკის გამოშვებისა და გამოყენების შედეგად  $t$  დასაგეგმ წელიწადში (მან.);

$\Sigma\Delta\Pi_t$  — ახალი ტექნიკის გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებისაგან მიღებული მოგების ნამატია (თვით-ღირებულების შემცირება)  $t$  დასაგეგმ წელს (მან.). გაანგარიშებათა შედეგები ჯამდება ფორმულით (8) და (9);

$\Sigma\Delta K$  —  $t$  წლის კაპიტალდაბანდებანია ახალი ტექნიკის გეგმის ყველა ღონისძიებაზე (მან.);

$E_{\Pi}$  — ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი (0,15).

კრებსითი სამეურნეო ანგარიშის ეფექტი შეიძლება განისაზღვროს ახალი ტექნიკის გეგმის ცალკეული ღონისძიების მიხედვითაც.

31. ახალი ტექნიკის გეგმური (ფაქტიური) გაჯენა საწარმოს (გაერთიანების, საინისტროს) ბალანსური მოგების ნამატზე განისაზღვრება ფორმულით

$$a_t = \frac{\Sigma\Delta\Pi_t}{\Delta\Pi\delta_t} \cdot 100, \quad (16)$$

სადაც

$a_t$  — ახალი ტექნიკის ხარჯზე მიღებული მოგების ნამატის ხვედრითი წილია დასაგეგმ  $t$  წელს საწარმოს (გაერთიანების, საინისტროს) საბალანსო მოგების საერთო ნამატში;

$\Sigma\Delta\Pi_t$  — ახალი ტექნიკის გეგმის ყველა ღონისძიებისაგან მიღებული მოგების ნამატია (თვითღირებულების შემცირება)  $t$  დასაგეგმ წელს (მან.);

$\Delta\Pi\delta_t$  — საწარმოს (გაერთიანების, საინისტროს) საბალანსო მოგების ნამატია  $t$  დასაგეგმ წელს (მან.).

32. ახალი ტექნიკის გეგმური (ფაქტიური) გაჯენა შრომისნაყოფიერების ამალეებაზე საწარმოში (გაერთიანებაში, საინისტროში) განისაზღვრება ფორმულით

$$B_{\Pi} = \left[ \left( \frac{I_1}{V_1 - \Sigma\Delta V_t} : \frac{I_1}{V_1} \right) - 1 \right] \cdot 100, \quad (17)$$

სადაც

$B_{\Pi}$  — ახალი ტექნიკის დანერგვის ხარჯზე მიღებული შრომისნაყოფიერების ზრდის პროცენტი  $t$  დასაგეგმ წელს;





$U_1$  და  $V_1$  — საწარმოს (გაერთიანების, სამინისტროს) სასაქონლო პროდუქციის მოცულობა (ბრუნვის გადასახადის გარეშე) და სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალოსიობრივი რიცხვია ახალი ტექნიკის დანერგვის ადრინდელ წელს (მან./კაცი);

$\Sigma \Delta V_1$  — სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვის დაგეგმილი შემცირება (მომუშავეთა პირობითი გამოთავისუფლება) ახალი ტექნიკის დანერგვის ხარჯზე  $t$  დასაგეგმ წელს (კაცი).

#### კ ა რ ი IV

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით მიღებული ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის თავისებურებანი საავტორო გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის დროს**

33. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე, რომელიც გაანგარიშებულია მათი გამოყენების წლიურ მოცულობაზე. გამოგონებებისათვის გასამრჯელოს განსაზღვრისათვის ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება ხდება პირველი ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, ხოლო რაციონალიზატორული წინადადებისათვის — მათი გამოყენების დაწყებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში.

თუ გამოგონებების ან რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება წელიწადზე ნაკლებ პერიოდს მოიცავს, მაშინ ეკონომიკური ეფექტი გაიანგარიშება მათი ფაქტიური გამოყენების პერიოდში.

სავტორო გასამრჯელო გამოგონებისათვის განისაზღვრება ფაქტიური ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე, ხოლო რაციონალიზატორული წინადადებებისათვის — მათი გამოყენების დასაწყისში (ავანსის გადახდის დროს) — გეგმური მონაცემებით გაანგარიშებულა ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე, ხოლო მათი გამოყენების პირველი და მეორე წლის გასვლის შემდეგ კი — ფაქ-

ტიური მონაცემების მიხედვით გაანგარიშებული ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე.

34. თუ გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება წარმოადგენს ტექნიკის ობიექტის ან მისი ძირითადი ელემენტის საფუძველს, მაშინ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებებისაგან ეკონომიკური ეფექტი გაიანგარიშება როგორც ტექნიკის მოცემული ეფექტი მთლიანად.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება წარმოადგენს ტექნიკის ობიექტის ელემენტს, რომელიც მხოლოდ ეფექტის ნაწილს უზრუნველყოფს, მაშინ ეკონომიკური ეფექტი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების მიხედვით გაიანგარიშება:

ა) გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებასთან უშუალოდ დაკავშირებული დანახარჯებისა და შედეგების გამოყოფის შესაძლებლობისას, — როგორც ტექნიკის ობიექტის მოცემული ელემენტის დამოუკიდებელი ეკონომიკური ეფექტი;

ბ) როდესაც შეუძლებელია დანახარჯებისა და შედეგების გამოყოფა, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებასთან — როგორც ტექნიკის მთელი მოცულობის ეკონომიკური ეფექტის წილი, რომელსაც განსაზღვრავს საექსპერტო კომისია. კომისია ინიშნება საწარმოს ან ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ.

35. გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას კაპიტალდაბანდებათა და სხვა ერთდროული დანახარჯები დაიყვანება ფორმულით (2), გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების დაწყების წლის 1 იანვრისათვის. წარმოების მიმდინარე დანახარჯები და შედეგები გაითვალისწინება დროის ფაქტორის მიხედვით მათი დაყვანის გარეშე.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას მათი გამოყენების ყველა წლებში შედარების ბაზის სახით მიიღება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების დაწყების ადრინდელ წელს შესაცვლელი ტექნიკის საშუალო წლიური მაჩვენებლები.

დროის ფაქტორის მიხედვით დაყვანის კოეფიციენტები  
(გაანგარიშებულია ფორმულით  $a_t = (1+E)^t$ )

	$a_t$	$\frac{1}{a_t}$	t	$a_t$	$\frac{1}{a_t}$
1	1,1000	0,9091	11	2,8531	0,3505
2	1,2100	0,8264	12	3,1384	0,3186
3	1,3310	0,7513	13	3,4522	0,2897
4	1,4641	0,6830	14	3,7975	0,2633
5	1,6105	0,6209	15	4,1772	0,2394
6	1,7716	0,5645	20	6,7274	0,1486
7	1,9487	0,5132	25	10,8346	0,0923
8	2,1436	0,4665	30	17,4492	0,0573
9	2,3579	0,4241	40	45,2587	0,0221
10	2,5937	0,3855	50	117,3895	0,0085

ახალი ტექნიკის რენოვაციის კოეფიციენტი  
$$P = \frac{E}{(1+E)T^c - 1}$$
  
(გაანგარიშებულია ფორმულით  $P = \frac{E}{(1+E)T^c - 1}$ )  
სადაც  $T_c$  ახალი ტექნიკის სამსახურის ვადაა)

$T_c$ წელი	P	$T_c$	P	$T_c$ წელი	P	$T_c$ წელი	$P_c$ წელი
1,0	1,0000	6,0	0,1296	11,0	0,0540	20,0	0,0175
2,0	0,4762	7,0	0,1054	12,0	0,0468	25,0	0,0102
3,0	0,3021	8,0	0,0874	13,0	0,0408	30,0	0,0061
4,0	0,2155	9,0	0,0736	14,0	0,0357	40,0	0,00226
5,0	0,1638	10,0	0,0627	15,0	0,0315	50,0	0,00086

გაანგარიშების მაგალითები

- მაგალითი 1. ახალი ტექნიკის ყველაზე ეკონომიკური ვარიანტის შერჩევა გამოსაშვები პროდუქციის ერთნაირი მოცულობისა და ხარისხის დროს
- მაგალითი 2. წარმოების ტექნოლოგიისა და ავტომატიზაციის სრულყოფის შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა
- მაგალითი 3. დროის ფაქტორის გათვალისწინება ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშებისას
- მაგალითი 4. პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

- მაგალითი 5. უკეთესი ხარისხის მასალის გამოშვებისაგან წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა
- მაგალითი 6. ერთი მასალის მეორეთი შეცვლით წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა
- მაგალითი 7. ნაკეთობის ხანგამძლეობის ამაღლების შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა
- მაგალითი 8. ახალი მანქანის გამოშვებით ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა (ხანგრძლივი მოხმარების ნაკეთობა)
- მაგალითი 9. გამოგონების — „თხელმოძრავი ნარევის მოშადების დანადგარი“ — გამოყენებით ეფექტის განსაზღვრა
- მაგალითი 10. გამოგონების — „ელექტროსაპარისი“ — გამოყენებით წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა.
- მაგალითი 11. რაციონალიზატორული წინადადების — „პროდუქციის წუნისაგან დანაკარგების შემცირების ხერხი“ — გამოყენებით წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა
- მაგალითი 12. რაციონალიზატორული წინადადების — „სარეცხი მანქანის ამძრავი შკივი“ — გამოყენებით ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა
- მაგალითი 13. რაციონალიზატორული წინადადების — „საოჯახო მაცივრის კომპრესორის თავი“ — გამოყენებით ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

**მაგალითი 1.** ახალი ტექნიკის ყველაზე ეკონომიკური ვარიანტის შერჩევა გამოსაშვები პროდუქციის ერთნაირი მოცულობისა და ხარისხის დროს

განისაზღვროს ახალი ტექნიკის ღონისძიებათა ყველაზე ეკონომიკური ვარიანტი და წლიური ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც ამ ღონისძიებების განხორციელებით ღებულობს სახალხო მეურნეობა. პროდუქციის საპროექტო გამოშვება ათვისების პერიოდის დამთავრების მომენტში (საანგარიშო წლის დასაწყისში) შეადგენს 2 ათას ცალს. საწყისი მონაცემები მოყვანილია ქვემოთაბანილ ცხრილში.

მაჩვენებლები	ბაზური ვარიანტი	პირველი ვარიანტი	მეორე ვარიანტი	მესამე ვარიანტი
პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება, მან.	1900	1500	1250	1150
ხვედრითი კაპიტალდამანდებანი საწარმოო ფონდში (დაყვანილი საანგარიშო წლის დასაწყისზე)*, მან.	2600	2000	3000	4000

\* საანგარიშო წლის დასაწყისისათვის დაყვანილი კაპიტალდამანდებანი განხილულია მე-3 მაგალითში.

დაყვანილი დანახარჯები წარმოების საანგარიშო წელზე ვარიანტების მიხედვით განისაზღვრება ფორმულით (1):

$$\text{ბაზური} — Z_0 = C_0 + E_{II}K_0 = 1900 + 0,15 \cdot 2600 = 2290 \text{ მან.}$$

$$\text{პირველი} — Z_1 = C_1 + E_{II}K_1 = 1500 + 0,15 \cdot 2000 = 1800 \text{ მან.}$$

$$\text{მეორე} — Z_2 = C_2 + E_{II}K_2 = 1250 + 0,15 \cdot 3000 = 1700 \text{ მან.}$$

$$\text{მესამე} — Z_3 = C_3 + E_{II}K_3 = 1150 + 0,15 \cdot 4000 = 1750 \text{ მან.}$$

ყველაზე ეკონომიური ვარიანტი — მეორეა, რადგან მას აქვს მინიმალური წლიური დაყვანილი დანახარჯები — 1700 მანეთი.

ფორმულის (3) მიხედვით განისაზღვრება მეორე ვარიანტის განხორციელების შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი, ბაზურის ნაცვლად:

$$\Delta = (Z_0 - Z_2) \cdot A_2 = (2290 - 1700) \cdot 2000 = 1180 \text{ ათასი მანეთი.}$$

## მაგალითი 2. წარმოების ტექნოლოგიისა და ავტომატიზაციის სრულყოფის შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

მსუბუქი ავტომანქანის ძარას ასაწყობმა ახალმა ავტომატურმა ხაზმა შესაძლებელი გახადა წარმოებაში შედუღების უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური ხაზის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის მაღალ ნაყოფიერებასა და მიმდინარე დანახარჯების შემცირებას.

პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება ამ დროს შემცირ-

და 398 მან.-დან 396 მანეთამდე. ახალი ხაზი გაანგარიშებულია 120 ათასი ძარას გამოშვებაზე წელიწადში და ღირს 5,28 მლნ მან. ასეთივე ხარისხის პროდუქციის წარმოება არსებულ მოწყობილობაზე მოითხოვს 2,4 მლნ მან. კაპიტალდაბანდებას.

ახალი ავტომატური ხაზის გამოყენება იძლევა წლიურ ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც განისაზღვრება ფორმულით (3)

$$\begin{aligned} \Theta &= (3_1 - 3_2) \cdot A_2 = [(C_1 + E_H \cdot K_1) - (C_2 + E_H \cdot K_2)] \cdot A_2 = \\ &= \left[ \left( 398 + 0,15 \cdot \frac{2\,400\,000}{120\,000} \right) - \left( 386 + 0,15 \cdot \frac{5280\,000}{120\,000} \right) \right] \cdot 120\,000 = \\ &= (401 - 392,6) \cdot 120\,000 = 8,4 \cdot 120\,000 = 1,008 \text{ მლნ მან.} \end{aligned}$$

**მაგალითი 3.** დროის ფაქტორის გათვალისწინება ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისას

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების ვადა 3 წელია, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა — 2 წელი.

ახალი ტექნიკის ათვისების ვადა 2 წელია.

ობიექტის საპროექტო სიმძლავრე — პროდუქციის 20 ათასი ერთეული. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შექმნასთან და ახალი ტექნიკის ათვისებასთან დაკავშირებული კაპიტალდაბანდებანი განაწილდება წლების მიხედვით შემდეგი სახით:

$K_1 = 0,5$  მლნ მან.;  $K_2 = 0,7$  მლნ მან.;  $K_3 = 0,9$  მლნ მან.;

$K_4 = 1,9$  მლნ მან.;  $K_5 = 1,4$  მლნ მან.;  $K_6 = 4,0$  მლნ მან.;

$K_7 = 2,0$  მლნ მან.;

პუნქტი II რეკომენდაციების შესაბამისად საანგარიშო წლისათვის დაყვანილი საერთო კაპიტალდაბანდებანი განისაზღვრება ფორმულით (2). მოცემული მაგალითის პირობებისათვის დროის ფაქტორის აღრიცხვის საანგარიშო ფორმულა შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$\begin{aligned} K_r &= \sum_{n=1}^T K_n (1+E)^{r-n} = 0,5 \cdot 1,1^{7-1} + 0,7 \cdot 1,1^{7-2} + 0,9 \cdot 1,1^{7-3} + \\ &+ 1,9 \cdot 1,1^{7-4} + 1,4 \cdot 1,1^{7-5} + 4,0 \cdot 1,1^{7-6} + 2,0 \cdot 1,1^{7-7} = 0,5 \cdot 1,7716 + \end{aligned}$$

$$+0,7 \cdot 1,6105 + 0,9 \cdot 1,4641 + 1,9 \cdot 1,331 + 1,4 \cdot 1,21 + 4,0 \cdot 1,1 + \\ + 2,0 \cdot 1,0 = 13,95 \text{ მლნ მან.},$$

სადაც

$K_r$  — ჯამური კაპიტალდაბანდებანი, დაყვანილი საანგარიშო წელზე (მლნ მან.);

$K_n$  —  $n$  წლის კაპიტალდაბანდებანი (მლნ მან.);

$T$  — ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების საერთო ხანგრძლივობა (წელი);

$n$  — ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების წლის რიგითი ნომერი

$T - n$  წლის კაპიტალდაბანდებათა დასაყვანი წლების რიცხვი (წელი).

ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი, რომლებიც გათვალისწინებულია წლიური დაყვანილი დანახარჯების შემადგენლობაში, შეადგენს

$$K = \frac{K_r}{A} = \frac{13\,953\,700}{20\,000} = 698 \text{ მან.}$$

**მ ა გ ა ლ ი თ ი 4.** პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა.

ძრავების დამამზადებელი ქარხნის დასაგეგმი რეკონსტრუქცია შესაძლებელს გახდის არსებითად გაუმჯობესდეს მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის ხარჯზე. რეკონსტრუქციის შემდეგ იზრდება წარმოების მოცულობა და შრომისნაყოფიერება, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი და ფოლადის დნობის ხარჯი ერთ ძრავაზე. მიღებულია, რომ გამოშვებული ძრავას ხარისხი (მისი სიმძლავრე, საიმედოობა, სათბობის ხვედრითი წილი და ა.შ.) უცვლელი რჩება.

ცხრილში აღნიშნული საწყისი მონაცემებით უნდა: გაანგარიშდეს წლიური ეკონომიკური ეფექტები და მათი შემადგენლები საგეგმო პერიოდის წლების მიხედვით.



№	მაჩვენებლები	აღნიშვნა	საზომი ერთეული	ბაზური პერიოდი 1975 წ.	საგეგმო პერიოდი				
					1976 წ.	1977 წ.	1978 წ.	1979 წ.	1980 წ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ძრავების გამოშვების წლიური მოცულობა	A	ათასი ტალ.	40,0	30,0	50,0	55,0	60,0	60,0
2	ერთი ძრავას ფასი	L	მან.	450	450	450	450	450	450
3	ერთი ძრავას თვითღირებულება	C	მან.	370	420	380	340	320	320
4	ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი:				გაიანგარიშება ქვემოთ				
	ა) ღროის ფაქტორზე დაყვანით	K	მან.	600					
	ბ) ღროის ფაქტორზე დაუყვანლად	K	მან.	550					
5	სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი	L	კაც	3900	3900	4000	4000	3950	3950
6	ფოლადის სხმულის ხარჯი ერთი ძრავასათვის	CM	კგ	170	180	160	140	140	140

ქარხნის რეკონსტრუქციამდე მისი ძირითადი და საბრუნავი ფონდები შეადგენდა:

ა) ღროის ფაქტორზე დაყვანით:  
 $600.40000 = 24$  მლნ მან.

ბ) ღროის ფაქტორზე დაყვანის გარეშე:  
 $550.40000 = 22$  მლნ მან.

რეკონსტრუქციის ღროს ახალი ძირითადი ფონდების ღირებულება შეადგენს 4 მლნ მან. ამ საშუალებების დაბანდება განორციელებდა 1976 წელს. რეკონსტრუქციის ღროს შეიცვლება მოქმედი მოწყობილობის ნაწილი 2,2 მლნ მან. ღირებულებით, მისი შემდგომი რეალიზაციით 500 ათას მანეთად. წარმოების ათვისება განხორციელებდა 1977 წლის ბოლოსათვის. 1978 წლიდან დაგეგმილია ახალი ტექნოლო-

გით პროდუქციის ნორმალური გამოშვება. 1978 წელი მიიღება საანგარიშო წლის სახით.

თავდაპირველად განისაზღვრება 1978 წლის დასაწყისზე დაყვანილი ჯამური კაპიტალდაბანდებები, 1976 და 1977 წლებში ქარხნის მიერ მოგების გათვალისწინებით, აგრეთვე დემონტირებადი მოწყობილობის რეალიზაციის თანხები.

მიღებულია მოგება:

$$1976 \text{ წელს} — (450—420) \cdot 30000 = 0,9 \text{ მლნ მან.}$$

$$1977 \text{ წელს} — (450—380) \cdot 50000 = 3,5 \text{ მლნ მან.}$$

რეკონსტრუქციის შემდეგ გამოყენებული მოქმედი ძირითადი და საბრუნავი ფონდების (რომლებიც განსაზღვრულია დროის ფაქტორის გათვალისწინებით) ღირებულებაა

$$24 — 0,5 = 23,5 \text{ მლნ მან.}$$

გაანგარიშებაში გათვალისწინებულია, რომ დემონტირებადი მოწყობილობის რეალიზაციის შემდეგ ქარხანა 1976 წელს მიიღებს 0,5 მლნ მანეთს.

ჯამური კაპიტალდაბანდებანი რეკონსტრუქციის ვარიანტში განისაზღვრება ყველა მათი შემადგენლის 1978 წ. დასაწყისზე დაყვანის გზით, ფორმულით (2):

$$K = \sum_{n=1975}^{1977 \text{ წ.}} K_n \cdot \alpha_n = 24 \cdot (1 + 0,1)^2 + 4 \cdot (1 + 0,1) - 0,5 \cdot (1 + 0,1) - 0,9 \cdot (1 + 0,1) - 3,5 = 28,4 \text{ მლნ მან.}$$

ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი, გათვალისწინებული ფორმულაში (1), უტოლდება:

$$1978 \text{ წლისათვის } \frac{28\,400\,000}{55\,000} = 516,4 \text{ მან.}$$

$$1979 \text{ და } 1980 \text{ წლისათვის } \frac{28\,400\,000}{60\,000} = 473,3 \text{ მან.}$$

წლიური ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, რომ ბაზურ ვარიანტში პროდუქციის დანაკლისი რაოდენობა იწარმოება დაყვანილი დანახარჯებით, რომლებიც პროდუქციის ფასის 450 მანეთის ტოლია.

წლიური ეკონომიკური ეფექტი 1978 წლისათვის, რომელიც განისაზღვრება ფორმულით (3), ტოლია:

$$\Xi = [(370 + 0,15 \cdot 600) \cdot 40000 + 450 \cdot 15000] - (340 + 0,15 \cdot 516,4) \cdot 55000 = (18,4 + 6,75) - 22,96 = 2,19 \text{ მლნ მან.}$$

1979 და 1980 წწ. წლიური ეკონომიკური ეფექტია:

$$\Theta = [(370 + 0,15 \cdot 600) \cdot 40000 + 450 \cdot 20000] - (320 + 0,15 \cdot 473,3) \cdot 60000 = (12,4 + 9,00) - 23,46 = 3,94 \text{ მლნ მან.}$$

ქვემოთ მოყვანილია 1978 წლისათვის მთელი რიგი მაჩვენებლების გაანგარიშებები საწარმოო გეგმაში წლიური ეკონომიკური ეფექტის შემადგენლების ასახვისათვის.

თვითღირებულების შემცირება განისაზღვრება ფორმულით (9):

$$\Delta C = (C_1 - C_2) \cdot A_1 = (370 - 340) \cdot 55000 = 1,65 \text{ მლნ მან.}$$

საბალანსო მოგების ნამატი განისაზღვრება ფორმულით (8):

$$\Delta \Pi_1 = (\Pi_1 - C_1) \cdot A_1 - (\Pi_2 - C_2) \cdot A_2 = (450 - 340) \cdot 55000 - (450 - 370) \cdot 40000 = 6050000 - 3200000 = 2,85 \text{ მლნ მან.}$$

რეკონსტრუქციის შემდეგ (დროის ფაქტორის გაუთვალისწინებლად) ჯამური კაპიტალდაბანდებათა:

$$K = 22 - 0,5 + 4 = 25,5 \text{ მლნ მან.}$$

1978 წელს (დროის ფაქტორის გაუთვალისწინებლად) ხვედრითი კაპიტალდაბანდებათა:

$$K = \frac{25\,500\,000}{55000} = 463 \text{ მან.}$$

ეკონომია კაპიტალდაბანდებაზე პროდუქციის წლიურ გამოშვებაზე გაანგარიშებით შეადგენს

$$\Delta K = (K_1 - K_2) \cdot A_2 = (550 - 463) \cdot 55\,000 = 4\,785\,000 \text{ მან.}$$

გამოუყენებელი მოწყობილობის რეალიზაციის გათვალისწინებით

$$K_{\text{დამაგ}} = 4 - 0,5 = 3,5 \text{ მლნ მან.}$$

კაპიტალდაბანდებათა ამოგების ფაქტორი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით (14), ტოლია:

$$T^1 = \frac{K_{\text{დამაგ}}}{\Delta \Pi_1} = \frac{3,5}{2,85} = 1,23 \text{ წ.}$$

შრომისნაყოფიერება:

ქარხნის რეკონსტრუქციამდე

$$B_{B_1} = \frac{450 \cdot 40000}{3900} = 4615 \frac{\text{მან.}}{\text{კაც.}}$$

ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ

$$B_{B_1} = \frac{450 \cdot 55000}{4000} = 6187 \frac{\text{მან.}}{\text{კაც.}}$$

∴ იქვე შევეთა პირობითი გამოთავისუფლება განისაზღვრება ფორმულით (10)

$$\Delta \Psi_1 = \frac{U_2 \cdot A_2}{B_{B_1}} - \frac{U_2 \cdot A_2}{B_{B_1}} = \frac{450 \cdot 55000}{4615} - \frac{450 \cdot 55000}{6187} = 5362 - 4000 = 1362 \text{ კაც.}$$

ფორმულით (12) განსაზღვრული, ფოლადის სხმულის ეკოხოზია

$$\Delta M_1 = (M_1 - M_1) \cdot A_1 = (170 - 140) \cdot 55000 = 1650 \text{ ტ.}$$

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია მაჩვენებლები, ვანგარიშებულა გეგმური პერიოდის დანარჩენი წლების ანალოგიურად.

№	მაჩვენებლები	აღნიშვნა	საზომი ერთეული	ბაზური პერიოდი, 1975 წელი	სავეგმო პერიოდი				
					1976 წელი	1977 წელი	1978 წელი	1979 წელი	1980 წელი
1	წლიური ეკონომიკური ეფექტი	ჟ	მლნ მან.	—	—	—	2,19	3,94	3,94
2	ძრავას თვითღირებულება	С	მან.	370	420	380	340	320	320
3	ხვედრითი კაპიტალ-დაბანდებანი (დროის ფაქტორის გათვალისწინებ. თ)	К	მან.	600	—	—	516,4	473,3	473,3
4	ხვედრითი კაპიტალ-დაბანდებანი (დროის ფაქტორის გათვალისწინებლად)	К	მან.	550	850	510	453	425	425
5	თვითღირებულების დასავეგმ. შემცირება	ΔС	მლნ მან.	—	-1,5	-0,5	1,65	3,0	3,0

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
6	მოგების დასაგეგმი ნაშატი	ΔΠ	მლნ მან.	—	—2,3	0,3	2,85	4,6	4,6
7	ეკონომია კაპიტალ-დაბანდებებზე პრო-დუქციის წლიურ გამომუშავებაზე გაანგარიშებით	ΔK	მლნ მან.	—	—	—	4,78	7,5	7,5
8	ანაზღაურების ვადა	T <sup>1</sup>	წელი	—	—	—	1,23	0,76	0,76
9	მწარმოებლობა	B <sub>ნ</sub>	მან. კაც.	4615	3461	5625	6187	6835	6835
10	მომუშავეთა პირობებითი გამოთავისუფლება	Δყ	კაც.	—	—975	875	1362	1900	1900
11	ფოლადის სხმულ	ΔM	ტ	—	—300	500	1650	1400	1800

მაგალითი 5. უკეთესი ხარისხის მასალის გამოშვებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანაზღვრა

ქარხანა გადავიდა საღებავის ახალი სახეობის გამომუშავებაზე. რომელსაც უფრო ეკონომიურად ხარჯავს მომხმარებელი: მისი ნაკეთობის ერთეულზე საჭიროა 4 კგ ახალი საღებავი, მაშინ როცა ძველი საღებავის ხარჯი შეადგენდა 5 კგ. ახალი საღებავის გამოშვების წლიური მოცულობაა 1600 ტონა.

ძველი საღებავის ერთი ტონის თვითღირებულება არის 1840 მან., ხოლო ახლისა — 1960 მან. ხვედრითი კაპიტალდაბანდებიანი ძველი საღებავის მიხედვით შეადგენს 2400 მან., ხოლო ახლის მიხედვით — 2600 მან.

საღებავის მომხმარებელთა გადასვლა ახალი საღებავის გამოყენებაზე მოითხოვს საღებავის წასასმელ სპეციალურ აპარატს, რომელიც 1200 მან. ღირს და წელიწადში ხარჯავს 80 ტ საღებავს. ამ აპარატის სამსახურის ვადა 4 წელია. წელიწადში აპარატის შეკეთებაზე გაწეული დანახარჯები მისი ღირებულების 5%-ის ტოლია. მომხმარებლის წლიური საექსპლუატაციო დანახარჯები იმ ნაკეთობათა რაოდენობაზე გადაანგარიშებით, რომლებიც ერთი აპარატით მუშავდებიან, მცირდება: მომსახურე პერსონალის ხელ-

ფასის მიხედვით — 1100 მანეთით და ელექტროენერჯის გადასახადის მიხედვით — 650 მან-ათ.

თავდაპირველად განისაზღვრება ნაკეთობათა რიცხვი, რომლებიც წლის განმავლობაში ერთი აპარატით შეღებვაზე მოდის:

$$N = \frac{80}{0,004} = 20000 \text{ ცალი}$$

მე-2 დანართის მონაცემების მიხედვით განისაზღვრება ანარიცხები აპარატის რენოვაციაზე — 0,2 სამსახურის 4 წლის ვადის შემთხვევაში. შეკეთებაზე 5% გადარიცხვის გათვალისწინებით აპარატის შეკეთებისა და რენოვაციის საერთო დანახარჯები შეადგენს  $(0,2 + 0,05) \cdot 1200 = 300$  მან. წელიწადში.

ამ დამატებითი ხარჯების, ხელფასის ხარჯების შემცირება და ელექტროენერჯის გადასახადის გათვალისწინებით საერთო წლიური ეკონომია საექსპლოატაციო ხარჯებზე ახალი საღებავის მომხმარებლისათვის შეადგენს

$$1100 + 650 - 300 = 1450 \text{ მან.}$$

საღებავის მომხმარებლის მიერ ერთ გამოშვებულ ნაკეთობაზე გადანიშნული იჯივე ეკონომიაა

$$I_1' - I_2' = \frac{1450}{20000} = 0,0725 \text{ მან.}$$

მომხმარებლის თანხვლები ხვედრითი კაპიტალდაბანდებანია

$$K_2' - K_1' = \frac{1200}{20000} = 0,06 \text{ მან.}$$

ფორმულით (1) გამოვიტვლით ძველი და ახალი საღებავის მიხედვით დაყვანილ დანახარჯებს:

$$3_1 = C_1 + E_{\text{II}} \cdot K_1 = 1840 + 0,15 \cdot 2400 = 2200 \text{ მან./ტ}$$

$$3_2 = C_2 + E_{\text{II}} \cdot K_2 = 1960 + 0,15 \cdot 2600 = 2350 \text{ მან./ტ}$$

ახალი საღებავის გამოშვების შედეგად მიღებული ფორმულით (5) განსაზღვრული წლიური ეკონომიკური ეფექტი უდრის

$$\begin{aligned} \Theta &= \left[ 3_1 \frac{Y_1}{Y_2} + \frac{(I_1' - I_2') - E_{\text{II}}(K_2' - K_1')}{Y_2} - 3_2 \right] \cdot A_2 = \\ &= \left[ 2200 \frac{0,005}{0,004} + \frac{0,0725 - 0,15 \cdot 0,06}{0,004} - 2350 \right] \cdot 1600 = \\ &= (2750 + 16 - 2350) \cdot 1600 = 416 \cdot 1600 = 665,6 \text{ ათას მან.} \end{aligned}$$

**მაგალითი 6. ერთი მასალის მეორეთი შეცვლით მიღებული  
წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა**

განისაზღვროს წყალაირსადენი მილების წარმოებისას შავი  
ლითონის ვინილასტიტ შეცვლის შედეგად მიღებული წლიური  
ეკონომიკური ეფექტი. საწყისი მონაცემები მოტანილია ცხრილში.

№	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	აღნიშვნა	მასალა	
				შავი ლითონი (ძველი)	ვინილას- ტი (ახალი)
1	2	3	4	5	6
1	მასალების წარმოებას თეო- ლორებულება	მან./ტ	$C_1, C_2$	61,9	480,0
2	ხვედრითი კაპიტალდაბანდ- ვანი მასალებს წარმოების ღირს	მან./ტ	$K_1, K_2$	110,0	660,0
3	ძველი და ახალი მასალის ხვედრითი ხარჯი წყალაირ- სადენი მილების 1000 გრძ. მ.ზე	ტ	$Y_1, Y_2$	3,30	0,33
4	1000 გრძ. მ მილების დამ- ზადებას თეოლორებულება, მასალების ღირებულების კარგეშე	მან.	$H_1^1, H_2^1$	21,8	69,3
5	თანხლები კაპიტალდაბან- დვანი მასალების მომხმარ- ებელთან 1000 გრძ. მ მილების დამზადებისას	მან.	$K_1^1, K_2^1$	1060	700
6	ვინილასტიტის წარმოების მო- ცულობა საანგარიშო წელს	ათას. ტ	$A_2$	—	36,7

შენიშვნა: მიჩნეულ იქნეს, რომ საამორტიზაციო გადარიცხვები თანხლებ  
კაპიტალდაბანდებებზე მასალების მომხმარებელთან გათვალისწი-  
ნებულია მილების დამზადების თეოლორებულებაში (პოზ. 4).

გამოითვალეთ 1 ტ შავი ლითონის ( $3_1$ ) და ვინიპლასტის ( $3_2$ ) წარმოებაზე დაყვანილი დანახარჯები. ამისათვის ვიყენებთ ფორმულა (1):

$$3_1 = C_1 + E_{II} \cdot K_1 = 61,9 + 0,15 \cdot 110 = 78,4 \text{ მან./ტ}$$

$$3_2 = C_2 + E_{II} \cdot K_2 = 480 + 0,15 \cdot 660 = 579 \text{ მან./ტ}$$

ფორმულით (5) განესაზღვრავთ შავი ლითონის ვინიპლასტით შეცვლისას მიღებულ წლიურ ეკონომიკურ ეფექტს:

$$\begin{aligned} \Theta &= \left[ 3_1 \frac{y_1}{y_2} + \frac{(H_1! - H_2!) - E_{II}(K_2! - K_1)}{y_2} - 3_2 \right] \cdot A_2 = \\ &= \left[ 78,4 \frac{3,3}{0,33} + \frac{(21,8 - 69,3) - 0,15 \cdot (700 - 1060)}{0,33} - 579 \right] \cdot 36,7 = \\ &= (784 + 20 - 579) \cdot 36,7 = 225 \cdot 36,7 = 8257,5 \text{ ათას. მან.} \end{aligned}$$

**მაგალითი 7. ნაკეთობის ხანგამძლეობის ამაღლებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა**

სალტეების ქარხანაში რეკონსტრუქციის შედეგად ტექნოლოგიური პროცესის გადაკეთებამ შესაძლებელი გახადა უფრო მეტი სელისუნარიანი სალტეების გამოშვებაზე გადასვლა. საწყისი მონაცემები მოყვანილია ცხრილში:

№	მაჩვენებლები	აღნიშვნა	საზომი ერთეული	ძველი სალტე	ახალი სალტე
1	სალტეების წლიური გამოშვება		ათას. ც	900	900
2	სალტეების სელის უნარი	Д	ათას. კმ	78	113
3	სალტეებს წლიური გარბენა	Л	ათას. კმ	40	40
4	სალტის ფასი	Ц	მან.	85,5	98,4
5	სალტეების წარმოების თვითღირებულება	С	მან.	79,68	91,46
6	ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი	К	მან.	32,3	35,5
7	ახალი კაპიტალდაბანდებანი	К ახალი	მლნ მან.	—	,88
8	სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი	Ч	კაც.	1825	1780



განისაზღვროს მეტი სელისუნარიანი სალტეების გამოშვებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი, სალტეების მწარმოებელთან და მომხმარებელთან რეალიზებული წლიური ეკონომიკური ეფექტები, აგრეთვე მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია საწარმოს გეგმაში წლიური ეკონომიკური ეფექტის შემადგენლობის ასახვისათვის.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველი სალტის სამსახურის ვადა არის  $T_1 = \frac{78}{40} = 1,95$  წელი, ხოლო ახლისა —  $T_2 = \frac{113}{40} = 2,62$  წელი. რენოვაციის კოეფიციენტებს განვსაზღვრავთ გამარტივებულად, როგორც სამსახურის ვადის უკუსიდიდეებს.

$$P_1 = \frac{1}{1,95} = 0,513; \quad P_2 = \frac{1}{2,62} = 0,355$$

ფორმულით (1) განვსაზღვრავთ დაყვანილ დანახარჯებს ძველ და ახალ სალტეებზე:

$$3_1 = C_1 + E_{II}K_1 = 79,68 + 0,15 \cdot 22,3 = 84,52 \text{ მან.},$$

$$3_2 = C_2 + E_{II}K_2 = 91,46 + 0,15 \cdot 35,5 = 96,78 \text{ მან.}$$

რამდენადაც ძველი და ახალი სალტეების ექსპლუატაციის მიმდინარე ხარჯები (სალტეების რენოვაციის აღრიცხვის გარეშე) ერთნაირია და არ მოითხოვს მომხმარებლის თანშვლევ კაპიტალდაბანდებებს, განსახილველი მაგალითებისათვის წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის საანგარიშო ფორმულა შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$\begin{aligned} \Theta &= \left( 3_1 \frac{P_1 + E_{II}}{P_2 + E_{II}} - 3_2 \right) \cdot A_2 = \\ &= \left( 84,52 \frac{0,513 + 0,15}{0,355 + 0,15} - 96,78 \right) \cdot 900000 = (84,52 \cdot 1,31 - 96,78) \cdot \\ &\cdot 900000 = (110,72 - 96,78) \cdot 900000 = 13,94 \cdot 900000 = 12,55 \text{ მლნ მან.} \end{aligned}$$

ქ ა რ ხ ა ნ ა - დ ა მ ა მ ზ ა დ ე ბ ლ ი ს მ ა ჩ ე ე ნ ე ბ ლ ე ბ ი ს  
გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

მწარმოებლებთან რეალიზებული წლიური ეკონომიკური ეფექტია:  
 $\Theta = (A_2 - 3_2) \cdot A_2 - (A_1 - 3_1) \cdot A_1 =$   
 $= [(98,4 - 96,78) - (85,5 - 84,52)] \cdot 900 = 576 \text{ ათას მან.}$

თვითღირებულების დასაგეგმი შემცირება.

$$\Delta C = (C_1 - C_2) \cdot A_2 = (79,68 - 91,46) \cdot 900000 = 10,60 \text{ მლნ მან.}$$

საბალანსო მოგების დასაგეგმი ნამატი.

$$\Delta \Pi = (\Pi_2 - C_2) \cdot A_2 - (\Pi_1 - C_1) \cdot A_1 = [(98,4 - 91,46) - (85,5 - 79,68)] \cdot 900000 = (6,94 - 5,82) \cdot 900000 = 1,12 \cdot 900000 = 1,01 \text{ მლნ მან.}$$

შრომისნაყოფიერება:

$$\text{ქარხნის რეკონსტრუქციამდე } B_{B_1} = \frac{85,5 \cdot 900000}{1825} = 42164 \frac{\text{მან.}}{\text{კაც.}}$$

$$\begin{aligned} \text{ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ } B_{B_2} &= \frac{98,4 \cdot 900000}{1780} = \\ &= 49752 \frac{\text{მან.}}{\text{კაც.}} \end{aligned}$$

მომუშავეთა პირობითი გამორთავისუფლება განისაზღვრება ფორმულით (10):

$$\begin{aligned} \Delta \Upsilon &= \frac{\Pi_2 \cdot A_2}{B_{B_1}} - \frac{\Pi_1 \cdot A_1}{B_{B_2}} = \frac{98,4 \cdot 900000}{42164} - \frac{85,5 \cdot 900000}{49752} = \\ &= 2100 - 1780 = 320 \text{ კაც.} \end{aligned}$$

**მაგალითი 8.** ახალი მანქანის (ხანგრძლივი მოხმარების ნაკეთობების) გამოშვებით წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

ახალი მანქანა, ადრე გამოშვებულ მანქანასთან შედარებით, დაშვადების დროს მეტ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ აქვს უფრო მაღალი მწარმოებლობა, სამსახურის უფრო ხანგრძლივი ვადა, მომხმარებლის უფრო ნაკლები საექსპლუატაციო ხარჯები და კაპიტალდაბანდებანი.

განვსაზღვროთ წლიური ეკონომიკური ეფექტი საანგარიშო წლისათვის საწყისი მონაცემების მიხედვით, რომლებიც მოცემულია ცხრილში.

№	მაჩვენებლები	აღნიშვნა	საზომი ერთეული	ბაზური მანქანა	ახალი მანქანა
1	პროდუქციის გამოშვების წლიური მოცულობა	A	ცალ.	გაანგარიშები-სათვის არა აქვს მნიშვნელობა	1200
2	მანქანის თვითღირებულება	C	მან.	520	780
3	ხვედრითი კაპიტალდაბანდებიანი	K	მან.	440	620
4	მანქანის მწარმოებლობა	B	ათას. მ <sup>3</sup>	30	50
5	სამსახურის ვადები	T <sub>c</sub>	წელი	5	10
6	მიმდინარე წლიური დანახარჯები ექსპლუატაციის მიხედვით (მისი რენოვაციის გაუთვალისწინებლად)	I <sub>1</sub> , I <sub>2</sub>	მან.	3180	4960
7	თანმხლები კაპიტალდაბანდებიანი მომხმარებელთან	K <sub>1</sub> , K <sub>2</sub>	მან.	210	270

შენიშვნა: I<sub>1</sub> და K<sub>1</sub> აღნიშნავს მომხმარებლის მიმდინარე ხარჯებს (ნაკეთობის რენოვაციის გაუთვალისწინებლად) და მის თანმხლებ კაპიტალდაბანდებებს ბაზური მანქანის დახმარებით შესრულებულ სამუშაოს მოცულობაზე გაანგარიშებით.

მომხმარებელთა მიმდინარე წლის ხარჯები და მისი თანმხლები კაპიტალდაბანდებიანი ბაზურ ვარიანტში, ახალი ნაკეთობის გამოყენებისას შესრულებული მუშაობის მოცულობაზე გაანგარიშებით, ტოლია:

$$I_1^1 = I_1^2 \cdot \frac{B_2}{B_1} = 3180 \cdot \frac{50}{30} = 5300 \text{ მან.}$$

$$K_1^1 = K_1^2 \cdot \frac{B_2}{B_1} = 210 \cdot \frac{50}{30} = 350 \text{ მან.}$$

ფორმულის (1) მიხედვით განესაზღვრაუთ ბაზურ და ახალ მანქანაზე დაყვანილ დანახარჯებს:

$$Z_1 = C_1 + E_{II} K_1 = 520 + 0,15 \cdot 440 = 586 \text{ მან.}$$

$$Z_2 = C_2 + E_{II} K_2 = 780 + 0,15 \cdot 620 = 873 \text{ მან.}$$

მარტივად განსაზღვრული მანქანის რენოვაციის კოეფიციენტები ტოლია:

$$P_1 = \frac{1}{T_{c_1}} = \frac{1}{5} = 0,2; \quad P_2 = \frac{1}{T_{c_2}} = \frac{1}{10} = 0,1.$$

საანგარიშო წელს წლიური ეკონომიკური ეფექტი ახალი მანქანით განისაზღვრება ფორმულით (4)

$$\begin{aligned} \Theta &= \left[ 3_1 \cdot \frac{B_2}{B_1} \cdot \frac{P_1 + E_{II}}{P_2 + E_{II}} + \frac{(I_1^1 - I_2^1) - E_{II}(K_2^1 - K_1^1)}{P_2 + E_{II}} - 3_2 \right] \cdot A_2 = \\ &= \left[ 586 \cdot \frac{50}{30} \cdot \frac{0,2 + 0,15}{0,1 + 0,15} + \frac{(5300 - 4960) - 0,15 \cdot (270 - 350)}{0,1 + 0,15} - 873 \right] \cdot \\ &\quad \cdot 1200 = \left( 586 \cdot 1,66 \cdot 1,4 + \frac{340 + 0,15 \cdot 80}{0,25} - 873 \right). \end{aligned}$$

$$1200 = (1362 + 1408 - 873) \cdot 1200 = 1897 \cdot 1200 = 2276400 \text{ მან.}$$

**შ ა გ ა ლ ი თ ი 9.** გამოგონების — „თხელმოძრავი ნარევების მომზადების დანადგარი“ — გამოყენებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

გამოგონება მიეკუთვნება მეტალურგიული მრეწველობის დარგს. სამსხმელო წარმოებაში საყალიბო სხმულისათვის გამოგონების დანერგვამდე იყენებდნენ თიხის ღეროებს. გამოგონების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა შეცვლილიყო თიხის ღეროები თხელმოძრავი ნარევებით, რომლებიც სპეციალურ დანადგარში მზადდება. გამოგონების დანერგვის შედეგად შემცირდა ღეროების დამზადების შრომატევადობა, ლიკვიდირებულია მათი თბური შრომის პროცესი, შემცირდა შეკუმშული ჰაერისა და ლითონის ჭარჭი კარკასების დასამზადებლად.

გამოგონების გამოცდა 1975 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო.

ამიტომ ხუთწლიანი ვადა, რომლის განმავლობაში ავტორი იღებს საავტორო გასამრჩელოს, 1976 წლის 1 იანვრიდან იწყება.



№	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	წინადაღ- ების გამო- ყენებამდე	წინადაღების გამო- ყენებისას	
				1976 წ.	1977 წ.
	გ) სათბობი და ენერჯია	მან.		2,02	0,39
	დ) მოწყობილობის ამორტი- ზაცია	მან.		0,32	1,94
	ე) პირობით-მულმივი დანა- ხარჯები	მან.		2,20	2,20

ხედრითი კაპიტალდაბანდებანი გამოგონების გამოყენებამდე:

$$K_1 = \frac{27560}{13000} = 2,12 \text{ მან.}$$

ხედრითი კაპიტალდაბანდებანი გამოგონების გამოყენებისას:

$$K_2 = \frac{(153500 + 27560 - 3800)}{13000} = \frac{177260}{13000} = 13,64 \text{ მან.}$$

წლიური ეკონომიკური ეფექტი გამოგონების გამოყენების შედეგად 1976 წ. განისაზღვრება ფორმულით (3)

$$\begin{aligned} \Theta &= (3_1 - 3_2) \cdot A_2 = [(C_1 + E_{11}K_1) - (C_2 + E_{11}K_2)] \cdot A_2 = \\ &= [(16,42 + 0,15 \cdot 2,12) - (12,61 + 0,15 \cdot 13,64)] \cdot 13000 = \\ &= (16,74 - 14,66) \cdot 13000 = 27040 \text{ მან.} \end{aligned}$$

მონაცემები შემდგომ წლებში წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისათვის

№	მაჩვენებლება	საზომი ერთეული	1977 წელი	1978 წელი	1979 წელი	1980 წელი
1	თუჯის სხელის წლიური გამოშვება	ტონა	13500	15000	19000	20000
2	1 ტ სხელზე ღეროების დამზადების თვითღირე- ბულება	მან.	12,47	12,24	11,82	11,7
	მათ შორის —					
	პირობით-მულმივი დანა- ხარჯები	მან.	2,12	1,91	1,51	1,43
3	ხედრითი კაპიტალდაბან- დებანი	მან./ტ	13,13	11,82	9,33	8,86

წლიური ეკონომიკური

ეფექტია:

1977 წელს:

$$\begin{aligned} \Theta &= [16,74 - (12,47 + 0,15 \cdot 13,13)] \cdot 13500 = \\ &= (16,74 - 14,44) \cdot 13500 = 31050 \text{ მან.} \end{aligned}$$

1978 წელს:

$$\begin{aligned} \Theta &= [16,74 - (12,24 + 0,15 \cdot 11,82)] \cdot 15000 = \\ &= (16,74 - 14,01) \cdot 15000 = 40950 \text{ მან.} \end{aligned}$$

1979 წელს:

$$\begin{aligned} \Theta &= [16,74 - (11,82 + 0,15 \cdot 9,33)] \cdot 19000 = (16,74 - 13,22) \cdot 19000 = \\ &= 66880 \text{ მან.} \end{aligned}$$

1980 წელს:

$$\begin{aligned} \Theta &= [16,74 - (11,73 + 0,15 \cdot 8,86)] \cdot 20000 = \\ &= (16,74 - 13,06) \cdot 20000 = 73600 \text{ მან.} \end{aligned}$$

**მაგალითი 10. გამოგონების — „ელექტროსაპარსი“ — გამოყენებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა**

მოცემული გამოგონების ბაზაზე მზადდება გაუმჯობესებული ხარისხის ახალი ელექტრული საპარსები, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის.

ახალი ელექტროსაპარსების გამოშვება დაიწყო 1976 წლის 1 იანვრიდან. საწყისი მონაცემები მითითებულია ცხრილში.

№	მაჩვენებლები	აღნ.:შენა	საზომი ერთეული	გამოყენებამდე	გამოყენებისას
1	გამოშვების წლიური მოცულობა	A	ათასი ცალი	—	100
2	დამატებითი კაპიტალდაბანდებანი	K	ათასი მან.	—	10.
3	მოგება პროდუქტის ერთეული რეალიზაციისაგან	Π	მან.	0,8	1,1

პირველ წელს გამოგონების გამოყენებისაგან წლიური ეკონომიკური ეფექტი (1976 წ. 1 იანვრიდან 1976 წ. 31 დეკემბრამდე):

განისაზღვრება ფორმულით (7), რომელიც მოცემული მაგალითის პირობისათვის მიიღებს ასეთ სახეს:

$$\Xi = [(\Pi_2 - \Pi_1) - E_{II} \cdot K] \cdot A_2 = \left[ (1,1 - 0,8) - 0,15 \cdot \frac{10000}{100000} \right] \cdot 100000 = (0,3 - 0,015) \cdot 100000 = 0,285 \cdot 100000 = 28500 \text{ მან.}$$

გამოგონების გამოყენების შემდგომ წლებში წლიური ეკონომიკური ეფექტი არ იცვლება, რადგანაც საპარსების გამოშვება უცვლელი რჩება.

**მაგალითი 11.** რაციონალიზატორული წინადადების — „პროდუქციის წუნისაგან დანაკარგების შემცირების ხერხი“ — გამოყენებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

წინადადების გამოყენებამ საწარმოს მისცა შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირებინა წუნის პროცენტი პროდუქციის გამოშვებისას დამატებითი მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების გარეშე.

წინადადება გამოიყენება 1975 წლის 1 ივლისიდან. გასაანგარიშებლად საჭირო საწყისი მონაცემებია:

№	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	წინადადების გამოყენებამდე	წინადადების გამოყენების შემდეგ
1	გამოსაშვები პროდუქციის (ვარგისი) წლიური მოცულობა	ცალი	18000	18000
2	პროდუქციის წუნის პროცენტი	%	15	5
3	ვარგისი პროდუქციის გამოსავლის პროცენტი (A ვარგ.)		85	95
4	ვარგისი პროდუქციის ერთეულის დამზადების თვითღირებულება	მან.	4,2	3,76*
5	ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი ვარგისი პროდუქციის ერთეულზე გადაანგარიშებით	მან.	0,7	0,62*

\* რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების შემდეგ თვითღირებულებისა და ხვედრითი კაპიტალდაბანდებების მნიშვნელობების მისაღებად,



რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით (3), ტოლია

$$\begin{aligned} \Xi &= (3_1 - 3_2) \cdot A_2 = [(C_1 + E_n K_1) - (C_2 + E_n K_2)] \cdot A_2 = \\ &= [(4,2 + 0,15 \cdot 0,7) - (3,75 + 0,15 \cdot 0,62)] \cdot 18000 = 8316 \text{ მან.} \end{aligned}$$

წლიური ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება 1975 წლის 1 ივლისიდან 1976 წლის 30 ივნისამდე პერიოდში. მეორე წელს ეკონომიკური ეფექტი არ გაიანგარიშება, რადგანაც წარმოების მაჩვენებლები არ იცვლება.

**მაგალითი 12.** რაციონალიზატორული წინადადების — „სარეცხი მანქანის ამძრავი შკივი“ — გამოყენებით მიღებული ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

მანქანათსაშენებელ საწარმოში სამრეწველო ტიპის სარეცხ მანქანებში იყენებდნენ თუჯის სხმულის 120 კგ-იან ამძრავ შკივს.

წინადადებამ შესაძლებელი გახადა შემსუბუქებული კონსტრუქციის შკივების დამზადება ზოლური ფოლადისაგან და მათი წონის 25 კგ-მდე შემცირება. ამასთანავე შემცირდა აგრეთვე შრომითი დანახარჯები შკივების დამზადებისა და სარეცხი მანქანების აწყობისას. ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი უცვლელი რჩება.

ვარგისი პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით, საჭიროა განსახილველი რაციონალიზატორული წინადადების მნიშვნელობები რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებამდე გადამრავლდეს წინადადების განხორციელებამდე ვარგისი პროდუქციის გამოსავლის პროცენტისა და წინადადების განხორციელების შემდეგ ასეთივე პროცენტის ფარდობაზე:

$$\begin{aligned} C_2 &= C_1 \cdot \frac{A_{\text{ვარგისი}^1}}{A_{\text{ვარგისი}^2}} = 4,2 \cdot \frac{85}{95} = 3,75 \text{ მან.} \\ K_2 &= K_1 \cdot \frac{A_{\text{ვარგისი}^1}}{A_{\text{ვარგისი}^2}} = 0,7 \cdot \frac{85}{95} = 0,62 \text{ მან.} \end{aligned}$$

განგარიშებისათვის საწყისი მონაცემებია:

№	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	წინადადების გამოყენებამდე	წინადადების გამოყენების დროს	
				1976 წ.	1977 წ.
1.	სარეცხი მანქანების გამოშვებისა და შიკვების დამზადების წლიური მოცულობა	ცალი	500	500	500
2.	სარეცხი მანქანების დამზადების თვითღირებულება (დანახარჯების ცვლადი მუხლების მიხედვით)	მან.	190,70	103,40	103,40
	მათ შორის:				
	ა) ნედლეული და მასალები	მან.	162,00	79,50	79,50
	ბ) ხელფასი დანარიცხებით		28,70	23,90	23,90

რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი 1976 წელს განისაზღვრება ფორმულით:

$$\Xi = (C_1 - C_2) \cdot A_2 = (190,70 - 103,40) \cdot 500 = 87,3 \cdot 500 = 43650 \text{ მან.}$$

**მაგალითი 18.** რაციონალიზატორული წინადადების — „საოჯახო მაცივრის კომპრესორის თავი“ — გამოყენებით მიღებული ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა

რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების შედეგად გაუმჯობესდა კომპრესორის თავი, რითაც ამალდა კომპრესორის სიცივის მწარმოებლობა და 6%-ით შემცირდა ელექტროენერჯის

ხარჯი მაცივრის მომხმარებელთან<sup>16</sup>. ერთი მაცივრის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საშუალო ხარჯი შეადგენს 420 კვტ. სთ. წელიწადში. 1 კვტ. სთ. დაზოგილი ელექტროენერგიის ღირებულებად მიღებულია 2 კაპ., მაცივრის სამსახურის ვადა 18 წელია.

რაციონალიზატორული წინადადება გამოყენებულია 1976 წლის 1 თებერვლიდან. ამ წინადადებით მაცივრების გამოშვებამ 1976 წლის 1 თებერვლიდან 1977 წ. 1 თებერვლამდე 137,5 ათასი ცალი შეადგინა, ხოლო 1977 წლის 1 თებერვლიდან 1978 წლამდე — 150 ათასი ცალი. კომპრესორის ძველი თავის წარმოების თვითღირებულება 0,76 მანეთია, ხოლო მისი კონსტრუქციის გამარტივების შემდეგ ახლის — 0,715 მანეთი. დამატებითა კაპიტალდაბანდებებმა ერთ თავზე გადაანგარიშებით შეადგინა 0,1 მანეთი.

რენოვაციის კოეფიციენტი 18 წლისათვის მიღებულია გამარტივებულად

$$P_2 = \frac{1}{18} = 0,055.$$

რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება ხდება ფორმულით (4), რომელსაც მოცემული მაგალითის პირობებში შემდეგი სახე აქვს:

$$\Theta = \left[ (C_1 - C_2) - E_{\text{II}} K_{\text{დაზოგ.}} + \frac{H_1' - H_2'}{P_2 + E_{\text{II}}} \right] \cdot A_2$$

პირველი წლისათვის

(1/II—76 წ.-დან 1/II—77 წ.-მდე)

$$\Theta = \left[ (0,76 - 0,715) - 0,15 \cdot 0,1 + \frac{420 \cdot 0,06 \cdot 0,02}{0,055 + 0,15} \right] \cdot 137500 = (0,03 + 2,45) \cdot 137500 = 2,48 \cdot 137500 = 341000 \text{ მან.}$$

მეორე წლისათვის

(1/II-77 წ.-დან 1/II-78 წ.-მდე)

$$\Theta = 2,48 \cdot 150000 = 372000 \text{ მან.}$$

<sup>16</sup> ახალი ტექნიკის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ მონაცემები მიიღება მასობრივ წარმოებაზე მათი დაყენების წინ, ახალი ტექნიკის ნიმუშების სახელმწიფო (საუწყებო) გამოცდების შესახებ აქტების საფუძველზე.

§ 4. ინსტრუქცია აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს გაცემის შესახებ. დაბტკიცებულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1974 წლის 15 იანვარს

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა: სსრ კავშირის სახელმწიფო საგემო კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

### 1. ზოგადი დებულებები

1. აღმოჩენის ავტორს, რომელმაც დიპლომი მიიღო, გამოგონების ავტორს, რომელმაც საავტორო მოწმობა მიიღო და რაციონალიზატორული წინადადების ავტორს, რომელსაც მოწმობა მიეცა, გასამრჯელოს მიღების უფლება აქვთ.

გასამრჯელოს გაცემა ხდება აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს № 584 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, ამ ინსტრუქციის, სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდისა და იმ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის საფუძველზე, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით მიღებული ეკონომია განისაზღვრება სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის შესაბამისად. გასამრჯელოს ოდენობა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან, განისაზღვრება იმ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან.

2. ამ ინსტრუქციის შესაბამისად გასამრჯელოს გაცემა ხდება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა გამოყენება პირველად 1974 წლის 1 იანვრის შემდეგ დაიწყო, და აღმოჩენებისათვის, რომლებიც 1974 წლის 1 იანვრის შემდეგ არის რეგისტრირებული.

3. ამ ინსტრუქციით დაწესებულია აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოსა და პერსპექტიული გამოგონებებისათვის პრემიების გაცემის წესი.

4. გასამრჯელოს მიღების უფლების მომცემი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოყენებულად იქნება მიჩნეული და გასამრჯელოს მიღების უფლებაც მიეცემა, თუ ისინი გამოიყენებიან სახალხო მეურნეობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ნებისმიერ დარგში.

გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც მიეკუთვნება ხერხს (ტექნოლოგიას), საწარმოო ან სხვა საქმიანობას, გამოყენებულად ჩაითვლება საწარმოო პროცესში მისი გამოყენების დაწყების დღიდან. გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც მიეკუთვნება მოწყობილობას (კონსტრუქციას) ან ნივთიერებას (მასალას), გამოყენებულად ჩაითვლება დამზადებულ ან ექსპლუატაციაში მყოფ პროდუქტიაში, მათ შორის საექსპლუატაციოდ გადაცემულ საცდელ ნიმუშებში მათი გამოყენების დაწყების დღიდან.

თუ გამოგონებას და რაციონალიზატორულ წინადადებას ექსპერიმენტული შემოწმების დამთავრების შემდეგ სამრეწველო ექსპლუატაციისათვის ვარგისად მიიჩნევენ, იგი გამოყენებულად ჩაითვლება ნიმუშის (პარტიის, სერის), ხერხის (ტექნოლოგიის) საექსპლუატაციოდ გადაცემის დღიდან.

თუ ადრე დამზადებულ და აპრობირებულ გამოგონებას ან რაციონალიზატორულ წინადადებას საცდელ ნიმუშში (პარტიაში, სერიაში) ხერხში (ტექნოლოგიაში) ან მისი გამოცდის დროს იყენებენ, იგი გამოყენებულად ითვლება.

გამოყენებულად ითვლება აგრეთვე გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება, როცა მათ საცდელი ნიმუშის დამზადების სრულყოფისა და გამოცდისათვის იყენებენ.

5. გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებად არ ჩაითვლება პროდუქციის საცდელი ნიმუშის ექსპერიმენტული შემოწმება, დამზადება და გამოცდა, აგრეთვე გამოგონე-

ბის ან რაციონალიზატორული წინადადების სტანდარტებში, ტიპურ პროექტებსა და სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციაში შეტანის მხოლოდ ფაქტი.

6. ერთ ობიექტში რამდენიმე გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ერთობლივად გამოყენების დროს გასამრჯელო თითოეულ გამოგონებასა და რაციონალიზატორულ წინადადებაზე იანგარიშება და გაიცემა ცალ-ცალკე.

ისეთ შემთხვევაში, როცა რამდენიმე გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება ერთობლივად არის გამოყენებული და თითოეული მათგანის გამოყენების ეფექტის ცალ-ცალკე განსაზღვრა გაანგარიშების გზით შეუძლებელია, თითოეული გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ეკონომიის წილს ტექნიკურ-ეკონომიკური ექსპერტიზა განსაზღვრავს.

თუ ერთობლივად გამოყენებული გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები ეკონომიას არ ქმნიან, თითოეული გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გასამრჯელო განისაზღვრება იმ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან.

თუ ერთი ან რამდენიმე ერთობლივად გამოყენებული გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება ეკონომიას ქმნის, სოლო მეორე ან რამდენიმე სხვა ეკონომიას არ ქმნის, გასამრჯელო ზოგიერთ გამოგონებაზე ან რაციონალიზატორულ წინადადებაზე შესაბამისად დადგინდება ეკონომიის ოდენობის მიხედვით, სხვებზე კი — იმ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან.

7. გასამრჯელო აღმოჩენის, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის თანაავტორებს შორის ნაწილდება პროცენტული შეფარდებით, მათ შორის წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. დავას გასამრჯელოს განაწილების შესახებ სასამართლო განიხილავს. გასამრჯელო არ გაიცემა თანაავტორთა შორის გასამრჯელოს განაწილების შესახებ წერილობითი შეთანხმების ან სასამართლოს გადაწყვეტილების წარმოდგენამდე.

8. სამინისტრო, უწყება, საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელიც გასამრჯელოს უხდის, ვალდებულია ავტორის მოთხოვნით მიმართვის დღიდან ერთი თვის განმავლობაში გააცნოს მას გასამრჯელოს გაანგარიშება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

განგარიშება ისეთ ცნობებს შეიცავს, რომელთა გამჟღავნება არ შეიძლება.

9. გასამრჩელოს გაცემა წარმოებს შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

ა) საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ: გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან რაციონალიზატორულ წინადადებაზე მოწმობის;

წინადადების გამოყენების აქტის ან სხვა თანაბარი მნიშვნელობის დოკუმენტის, რომელიც აღასტურებს გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების ფაქტს;

გამოგონებისა ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისაგან მიღებული ეკონომიის გაანგარიშების, რომელსაც ადგენს ტექნიკური ან ეკონომიკური სამსახურები;

ისეთი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ნამდვილი ღირებულების გაანგარიშება-დასაბუთების, რომელიც ეკონომიას არ ქმნის;

თანაავტორებს შორის შეთანხმების, გასამრჩელოს განაწილების შესახებ.

გამოგონებისა ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისაგან მიღებული ეკონომიის გაანგარიშებას, გამოგონებისა ან რაციონალიზატორული წინადადების ნამდვილი ღირებულების გაანგარიშება-დასაბუთებას, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, ხელს აწერს იმ საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ზელმძღვანელი და სამსახურების უფროსები, რომლებმაც გაანგარიშება შეადგინეს;

ბ) სამინისტროების, უწყებების მიერ გასამრჩელოს გაცემის დროს ზემოაღნიშნული დოკუმენტების გარდა დამატებით წარდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცნობა გამოგონების გამოყენების შესახებ სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით „4-ნტ“ ფორმით (ჩამონათვალი), რომლის საფუძველზედაც სამინისტრო, უწყება განსაზღვრავს ეკონომიას.

10. გამოგონების გამოყენებისათვის გასამრჩელო გაცემა საავტორო მოწმობის გაცემის მომენტიდან გასული ვადისა და ავტორის (ან მისი მემკვიდრეების) მიერ გასამრჩელოს გაცემის შესახებ განცხადების შეტანის მიუხედავად.

გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელოს გაცემის საქმეებზე დაწესებულია დროგასულობის

სამი წლის ვადა იმ დღიდან, როცა ავტორი მიიღებს შეტყობინებას მისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების დაწყების შესახებ. საპატიო მიზეზების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ.

11. აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს გასამრჯელო ეძლევათ მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული პრემიების მიუხედავად.

## II. გასამრჯელო აღმოჩენისათვის

12. გასამრჯელოს აღმოჩენისათვის აწესებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი 5000-მდე მანეთის ოდენობით თითოეული აღმოჩენისათვის, მიუხედავად ავტორთა რიცხვისა და კომიტეტი უხდის ამ თანხას ავტორს (ავტორებს) აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის დროს.

## III. გასამრჯელო გამოგონებისათვის

13. გამოგონების ავტორებს ერთდროული წამახალისებელი გასამრჯელო ეძლევათ საავტორო მოწმობის გაცემის დროს, თუ:

ა) გამოგონება შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით (სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმით, ახალი ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის გეგმით და სხვა);

ბ) გამოგონება შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანიზაციებში საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროები, ლაბორატორიები, ბრიგადები და სხვა).

14. ერთდროული წამახალისებელი გასამრჯელოს ოდენობა წესდება 20-დან 200 მანეთამდე ერთი გამოგონებისათვის, მაგრამ არა უმეტეს 50 მანეთისა ერთ პიროვნებაზე.

ერთდროული წამახალისებელი გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქტუალური და რთულია ტექნიკური ამოცანა, რომელსაც წყვეტს გამოგონება, დადებითი ეფექტის მიხედვით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს გამოგონების გამოყენების შედეგად, ხოლო ისეთი გამოგონებებისათვის, რომლებიც შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანიზაციებში, აგრეთვე მოცემული გამოგონების ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების დონის მიხედვით.

15. წამახალისებელ გასამრჯელოს გასცემენ:.



გამოგონებებისათვის, რომლებიც შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით — სამინისტროები და უწყებები მათ მიერ დადგენილი წესით იმ სახსრებიდან, რომლებიც განკუთვნილია გამოგონებლებისათვის გასამრჩელოს გასაცემად;

გამოგონებებისათვის, რომლებიც შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანიზაციებში — სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

ერთდროულ წამახალისებელ გასამრჩელოს გასცემს ის სამინისტრო, უწყება რომელსაც ექვემდებარება საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელმაც მიიღო მოწმობა სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილ გამოგონებაზე, რომელიც გამოგონების განაცხადში პირველია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, სად მუშაობს ავტორი (ავტორები).

სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი გამოგონებისათვის ერთდროულ წამახალისებელ გასამრჩელოს გასცემს საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება გამოგონებაზე მოწმობის მიღების მომენტიდან 3 თვის განმავლობაში.

საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანიზაციებში შექმნილი გამოგონებებისათვის წამახალისებელ გასამრჩელოს ავტორებს გადაურიცხავს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საავტორო მოწმობებთან ერთად.

16. გამოგონების გამოყენებისათვის ავტორს (ავტორებს) გასამრჩელო მიეცემა, თუ გამოგონება:

ა) გამოყენებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში, მათ შორის საზღვარგარეთიდან შემოზიდულ და ექსპლოატირებულ პროდუქციაში;

ბ) გამოყენებულია დოკუმენტაციაში, რომელიც სხვა ქვეყნებს ვადაეცა ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანაწრობლობის წესით;

გ) გამოყენებულია ობიექტებში, რომლებსაც სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის წესით საზღვარგარეთ აგებენ;

დ) რეალიზებულია საზღვარგარეთ ლიცენზიების გაყიდვის გზით. ამ შემთხვევაში გასამრჩელო მიეცემა, თუ გამოგონება დაცულია სსრ კავშირში საავტორო მოწმობით და საზღვარგარეთ—

პატენტით, ან მარტო საავტორო მოწმობით სსრ კავშირში, ანდა პატენტით საზღვარგარეთ.

ამ შემთხვევაში საზღვარგარეთ მიღებულ პატენტად უნდა ვიგულისხმოთ გამოგონების დაცვის სხვადასხვა სახის დოკუმენტებიც, კერძოდ, დამატებითი და დამოკიდებული პატენტები, აგრეთვე სასარგებლო მოდელებზე გაცემული მოწმობები და პატენტები, საავტორო მოწმობები.

17. გასამრჩელო გამოგონების გამოყენებისათვის იანგარიშება და გაიცემა შემდეგი წესით:

ა) გამოგონებისათვის, რომელიც გამოყენებულია ერთ საწარმოში, ორგანიზაციასა ან დაწესებულებაში — ამ საწარმოს, ორგანიზაციის დაწესებულების მიერ;

ბ) გამოგონებისათვის, რომელიც გამოყენებულია ერთ და იმავე სამინისტროს ან უწყების რამდენიმე საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში — ამ სამინისტროს ან უწყების მიერ;

გ) გამოგონებისათვის, რომელიც გამოყენებულია რამდენიმე სამინისტროს, უწყების საწარმოებში, ორგანიზაციებში ან დაწესებულებებში — იმ სამინისტროს, უწყების მიერ, რომლის გამგებლობაშიც იმყოფებიან საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთაც პირველად გამოიყენეს ეს გამოგონება. ამ შემთხვევაში სხვა სამინისტროები, უწყებები (გარდა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების), სამინისტროს, უწყებას, რომელმაც ეკონომიის მომცემი გამოგონების ავტორებს გასამრჩელო გადაუხადა, უნაზღაურებენ შესაბამის თანხებს მათსა და საწარმოებსა და ორგანიზაციებში მიღებული ეკონომიის შესაბამისად.

სამინისტროები და უწყებები გასამრჩელოს გაცემენ დადგენილ ვადებში სხვა სამინისტროების, უწყებების მიერ გასამრჩელოს შესაბამისი თანხების გადარიცხვის ვადების მიუხედავად.

თუ გამოგონება გამოყენებულია საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მიერ, ხოლო გამოგონების გამოყენებისაგან ეკონომია ან სხვა დადებითი ეფექტი იქმნება სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, გასამრჩელოს ანგარიშობს და გასცემს ის სამინისტრო, უწყება, რომელსაც ექვემდებარება ის საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც პირველმა გამოიყენა გამოგონება.

დავის შემთხვევაში იმის თაობაზე, თუ რომელი სამინისტრო,

უწყება არის ვალდებული გადაიხადოს გასამრჩელო გამოგონების გამოყენებისათვის, საკითხს წყვეტს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

18. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენებისათვის ავტორს (ავტორებს) გასამრჩელო მიეცემა საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში გამოგონების გამოყენების დაწყებიდან ხუთი წლის განმავლობაში.

თუ გამოგონების გამოყენება დაიწყო საავტორო მოწმობის გაცემამდე, გამოგონების გამოყენების ხუთწლიანი ვადა გამოითვლება გამოგონების გამოყენების დაწყებიდან.

გამოგონების გამოყენების დაწყების თარიღი უნდა დადასტურდეს აქტით ან სხვა თანაბარი მნიშვნელობის დოკუმენტით. ამასთან მიჩნეულია, რომ გამოგონებები, რომელთა გამოყენება წლის პირველ ნახევარში დაიწყო, გამოყენებულად ჩაითვლება მოცემული წლის 1 იანვრიდან, ხოლო გამოგონებები, რომელთა გამოყენება წლის მეორე ნახევარში დაიწყო — შემდგომი წლის 1 იანვრიდან.

გამოგონების გამოყენებისაგან მიღებული ეკონომია უნდა განგარიშდეს საანგარიშო წლის შემდგომი წლის 15 იანვრამდე.

თუ გამოგონების გამოყენება კალენდარულ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში ხდება. გასამრჩელოს გაცემა ხდება გამოგონების ფაქტიური გამოყენების პერიოდისათვის.

19. იმ გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც ეკონომიას ქმნის, ავტორს გასამრჩელო ეძლევა თითოეულ კალენდარულ წელიწადში მიღებული ეკონომიის თანხის 2%-ის ოდენობით.

შემდგომ წლებში, 4 წლის ფარგლებში, წლიური ეკონომია იანგარიშება თითოეული კალენდარული წლის მანძილზე მოცემულ საწარმოში გამოგონების გამოყენების მოცულობის გათვალისწინებით.

ამასთან თითოეული შემდგომი წლის ეკონომია განისაზღვრება იმ წლის მონაცემებთან შედარებით, რომელიც წინ უსწრებდა მოცემულ საწარმოში გამოგონების დაწყებას.

ეკონომია ერთი ან სხვადასხვა სამინისტროს, უწყების, რამდენიმე საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში გამოყენებულ გამოგონებაზე განისაზღვრება ყველა საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში მიღებული ეკონომიის შეჯამების გზით, რაც სტატისტიკურ ანგარიშგებაში ასახულია „4-ნტ“ ფორმით (ჩაძოხათვალთ).

20. გასამრჩელო იმ გამოგონებაზე, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, მაგრამ სხვა დადებით ეფექტს იძლევა (შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესება და სხვ.), განისაზღვრება იმ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელოს ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან.

21. მშენებლობაში გამოყენებული გამოგონებებისათვის, თუ ობიექტის მშენებლობის ვადა ერთ წელიწადს აღემატება, წლიური ეკონომია განისაზღვრება გამოგონების გამოყენების თითოეულ წელიწადში შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის მიხედვით.

თუ წინადადება გამოიყენება რამდენიმე სამშენებლო ობიექტზე, მაშინ ეკონომია განისაზღვრება ყველა ამ ობიექტის მიხედვით მოცემულ წელიწადში გამოგონების გამოყენების მოცულობის გათვალისწინებით ამ ობიექტზე და გასამრჩელოს გაცემისათვის ჯამდება.

22. გამოგონების გამოყენებისათვის გასამრჩელო იანგარიშება ამ ინსტრუქციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული თითოეული საფუძვლის მიხედვით ცალ-ცალკე, მაგრამ ყველა ამ საფუძვლის მიხედვით გასაცემ გასამრჩელოს მთლიანი ოდენობა ერთი გამოგონებისათვის 20000 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

ჯამდება გასამრჩელოები, რომლებსაც დაურიცხავენ ავტორს (თანავტორებს) სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში, ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით სხვა ქვეყნებისათვის გადაცემულ დოკუმენტაციაში, სსრ კავშირის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების ხაზით საზღვარგარეთ აგებულ ობიექტებში გამოყენებული გამოგონებისათვის, აგრეთვე საზღვარგარეთ ლიცენზიების გაყიდვის გზით რეალიზაციისათვის.

გასამრჩელოს დარიცხვის დროს ჩაითვლება გამოგონების გამოყენებისათვის აღრე გაცემული გასამრჩელოს თანხა, რომელიც საავტორო მოწმობის გაცემამდე გაფორმებული იყო როგორც რაციონალიზატორული წინადადება, აგრეთვე წამახალისებელი გასამრჩელო.

23. სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელს უფლება აქვს ნება დართოს გაზარდონ გასამრჩელოს ოდენობა 20000 მანეთამდე. მაგრამ არა უმეტეს 3-ჯერ, ისეთი გამოგონებისათვის, რომლის გამოყენება იწვევს ახალი სახეობის წარმოებათა, ძვირფასი მოწყობილო-

ბის ან ნივთიერებათა შექმნას, აგრეთვე ისეთი გამოგონებისათვის, რომლის ფართოდ რეალიზება არ შეიძლება, თუმცა დიდი სახალხო-საპეუარნეო მნიშვნელობა აქვს.

24. გამოგონება გამოყენებულად ითვლება, თუ მოწყობილობის, ნივთიერების დამზადების ან ხერხის განხორციელების დროს გამოყენებულია გამოგონების ერთი პუნქტისაგან შემდგარი ფორმულის ორივე ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ნიშან-თვისება.

თუ გამოგონების ფორმულა რამდენიმე პუნქტისაგან შედგება, გამოგონება გამოყენებულად ითვლება იმ პირობით, თუ გამოყენებულია გამოგონების ფორმულის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ყველა ნიშან-თვისება, მიუხედავად იმისა გამოყენებულია თუ არა ფორმულის შემდგომი პუნქტების ნიშან-თვისებები.

თუ საავტორო მოწმობა გაცემულია აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ დებულების 45-ე პუნქტის შესაბამისად შეტანილი განაცხადის მიხედვით და გამოგონების ფორმულა შედგება რამდენიმე პუნქტისაგან, რომლებიც ორ ან მეტ გამოგონებას შეიცავენ და ისინი სხვადასხვა ობიექტს შეეხება (მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება), მაშინ ფორმულის თითოეულ ამ პუნქტს ტოლფასი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში გამოგონება გამოყენებულად ითვლება იმ პირობით, თუ გამოყენებული იქნება ფორმულის თუნდაც ერთი პუნქტი, რომელიც გამოგონების საგანს შეადგენს.

გამოგონება გამოყენებულად ითვლება იმ შემთხვევებშიც, როცა დაშვებულია გამოგონების ერთი ან რამდენიმე ნიშან-თვისების შეცვლა სხვა ურთიერთშემცვლელი ელემენტებით (ეკვივალენტებით). ეკვივალენტურად ითვლება გამოგონების ფორმულაში აღნიშნული ნიშან-თვისების ან ნიშან-თვისებების შეცვლა, თუ ამ გამოგონების არსი არ იცვლება და იგივე შედეგს იძლევა, ხოლო შესრულების საშუალებები შეცვლილია მოცემულ დარგში ცნობილი ტოლფასი ნიშან-თვისებით.

25. ისეთი გამოგონების გასამრჩელო, რომელიც გამოყენებულია ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით სხვა ქვეყნებისათვის გადაცემულ დოკუმენტაციაში, ან გამოყენებულია ობიექტებში, რომლებსაც სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები სხვა ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების წესით საზღვარგარეთ აგებენ, იანგარიშება და გაიცემა იმ სამინისტროს ან უწყების მიერ, რომელსაც ექვემდებარებიან საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებები, რომელთაც შესაბამისად

გადასცეს დოკუმენტაცია საზღვარგარეთ ან ობიექტების მშენებლობას ახორციელებენ სხვა ქვეყნებში, თუ საერთაშორისო შეთანხმება ან ხელშეკრულება სხვა პირობას არ ითვალისწინებს.

ასეთ შემთხვევებში გასამრჯელოს ოდენობა ერთდროულად განისაზღვრება გამოგონების ნამდვილი ღირებულების მიხედვით, ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან.

26. გასამრჯელო ლიცენზიებისათვის საბჭოთა გამოგონებებზე განისაზღვრება ლიცენზიის გაყიდვისაგან მიღებული თანხის სამ პროცენტამდე ოდენობით და მას გასცემს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი იმ თანხებიდან, რომლებიც კომიტეტს დადგენილი წესით გადაერიცხება, ლიცენზიებისათვის გამოგონების გადაცემის დროის მიუხედავად. გასამრჯელოს გაცემა ხდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

ა) საავტორო მოწმობის;

ბ) გაყიდული ლიცენზიისათვის ავტორების კუთვნილი გასამრჯელოს განაწილების შესახებ, წერილობითი შეთანხმების.

კომიტეტი თითოეულ ავტორს გასამრჯელოს ოდენობას განუსაზღვრავს გაყიდული ლიცენზიისათვის მიღებული ანარიცხების შესაბამისად, ამასთან ითვალისწინებს გენერალური მიმწოდებლის მიერ წარდგენილ თითოეული გამოგონების მნიშვნელობას, ავტორებს შორის შეთანხმებას და ადრე მიღებული საავტორო გასამრჯელოს ოდენობას.

27. საექსპორტო პროდუქციაში ჟამოყენებული გამოგონებისათვის გასამრჯელოს ანგარიშობს და გასცემს ის სამინისტრო, უწყება, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება საექსპორტო პროდუქციის დამამზადებელი საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება.

თუ საექსპორტოდ დამზადებულ პროდუქციას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაშიც იყენებენ და ეკონომია იქმნება ამ პროდუქციის დამზადების ან სახალხო მეურნეობაში მისი ექსპლუატაციის დროს, გასამრჯელო იანგარიშება სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენებისაგან პროდუქციის ერთეულზე და პროდუქციის მთელ მოცულობაზე მიღებული ეკონომიის გათვალისწინებით.

28. თუ სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენება ქმნის როგორც ეკონომიას, ისე იძლევა სხვა დადებით ეფექტს, გასამრჩელოს ოდენობა განისაზღვრება ან გამოგონების გამოყენებისაგან მიღებული ეკონომიის შესაბამისად, ან მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

ამასთან, თუ ეკონომია ვერ გამოხატა გამოგონების მთელ მნიშვნელობას, ცალკეულ შემთხვევებში გასამრჩელოს ოდენობა შეიძლება განსაზღვროს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელმა იმ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გასამრჩელოს ოდენობას; განსაზღვრის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან, მაგრამ ეს თანხა ეკონომიის მომცემი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გასამრჩელოს ოდენობაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ გამოგონება გამოიყენება სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე დოკუმენტაციაში, რომელიც გადაეცა სხვა ქვეყნებს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით ან გამოყენებულია ისეთ ობიექტებში, რომლებსაც სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები საზღვარგარეთ აგებენ, საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის წესით, გასამრჩელო ავტორებს შეიძლება მიეცეს როგორც ეკონომიის, ისე ნამდვილი ღირებულების მიხედვით, მაგრამ გასამრჩელოს საერთო ოდენობა ჯამში 20000 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

29. სახალხო მეურნეობაში გამოგონებების გამოყენებისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ გასამრჩელოს გაცემა წარმოებს:

ორი თვის ვადაში გამოგონების გამოყენების კალენდარული წლის გასვლის შემდეგ;

ორი თვის ვადაში ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წესით სხვა ქვეყნებისათვის ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან;

ორი თვის ვადაში სსრ კავშირის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ მშენებარე ობიექტებში გამოგონების გამოყენების დაწყებიდან;

ორი თვის ვადაში დადგენილი წესით საპატენტო ლიცენზიის გაყიდვით მიღებული თანხის გადარიცხვის დღიდან.

30. თუ აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ დებულების 45-ე პუნქტის შესაბამისად გაცემულ საავტორო მოწმობაში გაერთიანებულია ორი ან მეტი გამოგონება, რომლებიც სხვადასხვა ობიექტებს (მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება) ეხება, და ყველა ეს გამოგონება გამოყენებულია, ასეთი გამოგონებების გამოყენებისათვის გასამრჩელო ამ ინსტრუქციის მე-6 პუნქტის შესაბამისად გაიცემა თითოეული გამოგონებისათვის ცალ-ცალკე.

31. პიროვნებას, რომელმაც საავტორო მოწმობა მიიღო, უფლება არა აქვს მიიღოს გასამრჩელო საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში გამოყენებული გამოგონების მსგავსი წინადადებისათვის, რომელიც სხვა პირს ეკუთვნის და ამ საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას მიაწოდეს გამოგონების პრიორიტეტის თარიღამდე.

ეს საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება არ ითვლება აღნიშნული გამოგონების გამოყენებულად, რომელსაც საავტორო მოწმობა იცავს.

პიროვნებას, რომელმაც საავტორო მოწმობა მიიღო, უფლება აქვს მიიღოს გასამრჩელო გამოგონების გამოყენებისათვის, თუ საწარმოში, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში გამოყენებულ იქნა სხვა პირთა მიერ შეტანილი გამოგონების მსგავსი რაციონალიზატორული წინადადება იმ პირობით, რომ გამოგონებას უფრო ადრინდელი პრიორიტეტი აქვს, ვიდრე რაციონალიზატორულ წინადადებას.

32. თუ წინადადება გამოყენებული იყო საავტორო მოწმობის გაცემამდე, გასამრჩელოს გადახდა შეიძლება როგორც რაციონალიზატორული წინადადებისათვის, თუ ეს წინადადება დადგენილი წესით რაციონალიზატორულად იქნა ცნობილი.

თუ რაციონალიზატორულად აღიარებული და გამოყენებული წინადადება გამოგონებად იქნა ცნობილი, მასზე საავტორო მოწმობის გაცემის შემდეგ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენებისათვის გასამრჩელო იანგარიშება და მიეცემა ავტორს იმ თანხის ჩათვლით, რომელიც მას რაციონალიზატორული წინადადებისათვის დაერიცხა.

33. სამინისტრო, უწყება, საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელიც გასამრჩელოს გასცემს, თითოეულ საავტორო



შოწმობაში ჩაწერს დარიცხული გასამრჩელოს საერთო თანხას, მოცემული ავტორისათვის დარიცხული გასამრჩელოს თანხას, აგრეთვე ვაცემის თარიღს.

34. გამოუყენებელი პერსპექტიული გამოგონებების ავტორებს შეიძლება პრემიები მისცენ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებაც შიზანშეწონილად სცნობენ, რომ მომავალში შეიძლება დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამოყენებულ იქნეს ეს გამოგონებები, იმ სახსრებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის დასაჯილდოებლად. ეს პრემიები არ ითვლება იმ გასამრჩელოს ანგარიშში, რომელიც ავტორებს პერსპექტიული გამოგონების გამოყენების შემთხვევაში მიეცემათ.

35. დამატებითი გამოგონებისათვის გასამრჩელო ვაციემა იმავე წესით, როგორც ძირითადი გამოგონებისათვის.

დამატებითი გამოგონებისათვის გასამრჩელოს ვაციემა არ შეიძლება ისე, თუ არ ვაციევა ძირითადი გამოგონების გასამრჩელო.

თუ ერთდროულად იყენებენ სხვადასხვა ავტორის შიერ შექმნილ ძირითად და დამატებით გამოგონებებს და შეუძლებელია გამოიყოს თითოეული გამოგონებისაგან მიღებული გკონომია, გასამრჩელო ავტორებს შორის შეთანხმებით იყოფა (პროცენტული შეფარდებით).

#### IV. გასამრჩელო რაციონალიზატორული წინადადებისათვის

36. გასამრჩელოს რაციონალიზატორული წინადადებისათვის ანგარიშობს და ვაცემს საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, სამინისტრო, უწყება, რომელმაც ავტორს მისცა შოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე და ვაპოიყენა ივა.

თუ რაციონალიზატორული წინადადება მიიღო სამეცნიერო-კვლევითმა, საპროექტო, სკკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურმა ორგანიზაციამ, მაშინ გასამრჩელოს ამ წინადადებისათვის აღნიშნული ორგანიზაცია ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით ვაცემს იმ პირობით, თუ საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებებში გამოიყენებენ კონსტრუქციებს, ტექნოლოგიურ პროცესებს, მასალებს, რომლებშიც გამოიყენება პოვა რაციონალიზატორულმა წინადადება.

დავის წამოჭრის დროს იმის თაობაზე, თუ ვინ არის ვალდებული გადაიხადოს გასამრჯელო, საკითხს წყვეტს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

37. რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება წინადადების გამოყენების პირველ წელს (გამოყენების დაწყებიდან პირველ თორმეტ თვეში) მიღებულ წლიური ეკონომიის თანხის შესაბამისად შემდეგი სკალის მიხედვით:

წლიური ეკონომიის თანხა (მანეთობით)	გასამრჯელო რაციონალიზატორული წინადადებისათვის
100-მდე	ეკონომიის 17%, მაგრამ არანაკლებ 10 მან.
100-დან 500-მდე	"— 7% + 10 მან.
500-დან 1000-მდე	"— 5% + 20 მან.
1000-დან 5000-მდე	"— 3% + 40 მან.
5000-დან 50000-მდე	"— 2% + 90 მან.
50000-დან 100000-მდე	"— 1% + 590 მან.
100000-ზე მეტი	"— 0,5% + 1090 მან, მაგრამ არა უმეტეს 5000 მან.

38. გასამრჯელოს ოდენობა რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომელიც ეკონომიას არ ქმნის, განისაზღვრება ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც ეკონომიას არ ქმნიან. ამ შემთხვევაში გასამრჯელოს ოდენობა ერთი რაციონალიზატორული წინადადებისათვის არ შეიძლება 10 მანეთზე ნაკლები და 5000 მანეთზე მეტი იყოს.

39. სამინისტროს ან უწყებას უფლება აქვს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარდგენით 5000 მანეთის ფარგლებში გაზარდოს გასამრჯელოს ოდენობა ისეთი რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რომელიც თუმცა მნიშვნელოვანი ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ არ შეიძლება ფართოდ იქნეს რეალიზებული.

ამასთან გასამრჯელოს ოდენობა შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 3-ჯერ იმ გასამრჯელოს ოდენობასთან შედარებით, რომელიც დაირიცხება ამ ინსტრუქციის 37-ე, 38-ე პუნქტების შესაბამისად.

40. გასამრჩელო რაციონალიზატორული წინადადებისათვის გაიცემა შემდეგ ვადებში:

ა) წინადადების გამოყენების დაწყების დღიდან ერთი თვის ვადაში გაიცემა გასამრჩელო, რომელიც 200 მან.-ს არ აღემატება, ანუ 25% გასამრჩელოსი, რომელიც 200 მან.-ს აღემატება (მაგრამ არანაკლებ 200 მან.);

ბ) წინადადების გამოყენების პირველი წლის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს ორი თვისა გაიცემა გასამრჩელოს დანარჩენი ნაწილი.

თუ წინადადებას ერთ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში იყენებენ, გასამრჩელო გაიცემა რაციონალიზატორული წინადადების ფაქტიურად გამოყენების პერიოდისათვის.

41. თუ მეორე წელს რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების შოცულობა გაიზარდა, მაშინ ხდება გასამრჩელოს წამატება 5000 მან.-ის ფარგლებში, მეორე წელს მიღწეული გამოყენების მაქსიმალური შოცულობის გათვალისწინებით ეკონომიის გადიდების მიხედვით. გასამრჩელოს წამატება ხდება წინადადების გამოყენების მეორე წლის გასვლიდან ორი თვის ვადაში.

ამ წესს იყენებენ როგორც ისეთი რაციონალიზატორული წინადადებების მიმართ, რომლებიც ეკონომიას ქმნიან, ისევე ისეთი წინადადებების მიმართ, რომლებიც არ ქმნიან ეკონომიას.

42. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრომ, უწყებამ რაციონალიზატორული წინადადებისათვის მოწმობა მისცა პირს, რომელმაც ამ წინადადებაზე ადრე მოწმობა მიიღო სამინისტროს, უწყებისადმი დაქვემდებარებული საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულებისაგან, გასამრჩელოს გაიცემა ხდება ადრე გაცემული თანხის ჩათვლით.

თუ წინადადება გამოიყენა საწარმომ, ორგანიზაციამ ან დაწესებულებამ, ხოლო რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისაგან ეკონომია ან სხვა დადებითი ეფექტი წარმოიქმნა სხვა საწარმოში, ორგანიზაციას ან დაწესებულებაში, გასამრჩელოს ანგარიშობს და გასცემს ის სამინისტრო, უწყება, რომელსაც ექვემდებარება საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელმაც პირველმა გამოიყენა წინადადება.

43. ავტორს რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელო ეძლევა იმის მიუხედავად, ეს წინადადება ეხება თუ არა მისი მუშაობის უბანს.

ეს წესი არ ვრცელდება სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო,

საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოთა ანალოგიური ქვედანაყოფების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებებზე, რომლებიც ამ მუშაკების მიერ დასამუშავებელ პროექტებს, კონსტრუქციებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს ეხება, რამდენადაც აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დებულების ძალით (პუნქტი 63) ასეთი წინადადებები რაციონალიზატორულად არ ჩაითვლება.

44. საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელის, მისი მოადგილის, მთავარი ინჟინრის, მთავარი ინჟინრის მოადგილის მიერ მათი მუშაობის ადგილზე ან დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შეტანილი რაციონალიზატორული წინადადების გასამრჯელოს გაცემა ზდება ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით. ასეთი წესი მოქმედებს აგრეთვე აღნიშნული მუშაკების მიერ სხვა პირებთან თანავეტორობით შეტანილი რაციონალიზატორული წინადადებების მიმართაც.

45. იმ რაციონალიზატორული წინადადების გასამრჯელო, რომელიც კაპიტალურ მშენებლობას ეხება, დადგენილი წესით გაცივმა, როგორც იმ სახსრებიდან, რომლებიც გამოგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის გამოიყოფა, ისე უშუალოდ იმ ეკონომიის ხარჯზე, რომელსაც ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მშენებლობის გაიაფების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად იღებენ.

## ლიტერატურა

1. ვ. ი. ლენინი. როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება. — თხზ. ტ. 26, გვ. 471—483
2. ვ. ი. ლენინი. საბოლოო სიტყვა სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენების გამო 12 (25) იანვარი. — თხზ. ტ. 26, გვ. 554—559
3. ვ. ი. ლენინი. ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები, — თხზ., ტ. 31, გვ. 498—522
4. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1977.—67 გვ.
5. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1970.—210 გვ.
6. სკკ XXV ყრილობა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების

1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1976.—114 გვ.

7. სკკპ XXV ყრილობის მასალები. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1976.—343 გვ.

8. ლ. ი. ბ რ ე ე ნ ე ე ი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. — წიგნში: სკკპ XXV ყრილობის მასალები. — თბ.: საბჭოთა საქართველო, გვ. 64—66

9. ახალგაზრდა რაციონალიზატორების და გამოგონებლების დაახმარებლად (ლიტერატურის სარეკომენდაციო სამიგბელი). — შემდგენელი მ. დ. ხოდაშელი. რედაქტორი თ. ვ. კეკელაშვილი, თბ.: 1975.—32 გვ.

10. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი. პატენტმოძღვრების ტერმინოლოგიის მასალები: (მეთოდური სახელმძღვანელო). — თბ.: 1972.—54 გვ.

11. გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საქაშვირო საზოგადოების წესდება. — თბ.: 1976.—36 გვ.

12. რ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. საპატენტო დოკუმენტაცია. — მეცნიერება და ტექნიკა, 1973, № 5, გვ. 36—38

13. დებულებების კრებული. პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მუშაობის საკითხებზე. — თბ.: საბჭოთა საქართველო 1977.—311 გვ.

14. ი. გ ბ ა ნ ო ი ძ ე, თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და გამოგონებლობა სოფლის მეურნეობაში. — საქართველოს სოფლის მეურნეობა, 1973, № 12, გვ. 33

15. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. აღმოჩენა და გამოგონება. — მეცნიერება და ტექნიკა, 1976, № 6, გვ. 58—61

16. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. აშშ-ის გურ-ის, იაპონიისა და საფრანგეთის საპატენტო დოკუმენტაცია. — მეცნიერება და ტექნიკა, 1978, № 9, გვ. 40—44.

17. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ. — მეცნიერება და ტექნიკა, 1979, № 11, გვ. 57—60

18. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. განაცხადი გამოგონებაზე. — მეცნიერება და ტექნიკა, 1977, № 2, გვ. 54—56

19. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. დოკუმენტური ინფორმაციის ასახვა საცნობარო აპარატში. თბ.: 1974. 7 (ტექნიკური ინფორმაცია, 1974, № 11).

20. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ვ. ი. ლუნინი და საბჭოთა გამოგონებლობა. — მეცნიერება და ტექნიკა, 1969, № 8, გვ. 1—2

21. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ი. ე ბ ა ნ ო ი ძ ე. დოკუმენტური ინფორმაცია და საგამომგონებლო საქმის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში: (მეთოდური მითითება). — თბ.: 1974.—18 გვ.

22. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. რაციონალიზატორული წინადადება. — მეცნიერება და ტექნიკა, 1976, № 11, გვ. 57—59.

23. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და საინფორმაციო სისასხური. — მეცნიერება და ტექნიკა, 1975, № 4, გვ. 57—63

24. თ. კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. საექსპორტო ოპერაციების წარმატების საწინდარი. — მეცნიერება და ტექნიკა, 1972, № 8, გვ. 38—40

25. ო. კეკელაშვილი. სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის კლასიფიკაცია — მეცნიერება და ტექნიკა, 1974, № 4 გვ. 39—41

26. ო. კეკელაშვილი. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროები. — მეცნიერება და ტექნიკა, 1971, № 11, გვ. 36—38

27. ო. კეკელაშვილი. სამრეწველო ნიმუში. — მეცნიერება და ტექნიკა, 1980, № 1, გვ. 45—48

28. ო. კეკელაშვილი. საპატენტო გამოკვლევა გამოგონებაზე. — მეცნიერება და ტექნიკა, 1977, № 5, გვ. 52—55

29. ო. კეკელაშვილი. საპატენტო ინფორმაციის ორგანიზაცია. — მეცნიერება და ტექნიკა, 1978, № 6, გვ. 44—47

30. ო. კეკელაშვილი. საპატენტო საინფორმაციო მომსახურება. — მეცნიერება და ტექნიკა, 1974, № 8, გვ. 39—40

31. ო. კეკელაშვილი. საპატენტო ტექნიკური ინფორმაცია და ტექნიკური პროგრესი. — მეცნიერება და ტექნიკა, 1969, № 4, გვ. 37—38

32. ო. კეკელაშვილი, ო. ქვათაძე. საპატენტო სისტემის ისტორიიდან. — მეცნიერება და ტექნიკა, 1976, № 3, გვ. 50—52

33. ო. კეკელაშვილი, გ. ხუციშვილი. საბჭოთა გამოგონებლის უფლებები. — მეცნიერება და ტექნიკა, 1973, № 11, გვ. 36—38

34. ო. კეკელაშვილი. სასაქონლო ნიშანი. — მეცნიერება და ტექნიკა, 1980, № 3, გვ. 47—50.

35. ო. კეკელაშვილი. ჭროვანი ყურადღება საპატენტო ტექნიკურ ინფორმაციას. — მეცნიერება და ტექნიკა, 1969, № 11, გვ. 30—31

36. ზ. შაქაცარია. საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურა სახალხო მეურნეობას. — მეცნიერება და ტექნიკა, 1976, № 1, გვ. 48—51

37. გ. პ. სოფონოვი. სოციალისტური შეჯობრება და გამოგონებლობა. — თბ.: 1975.—18 გვ.

38. ე. ვ. ჩეჩელაშვილი და სხვ. რაციონალიზაცია, გამოგონებლობა და საპატენტო საქმე. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1974.—165 გვ.

39. Ленин В. И. Об изобретательстве и внедрении научно-технических достижений в производство. — М.: Политиздат, 1973. — 240 с.

40. Брежнев Л. И. Решения XXIV съезда КПСС — боевая программа деятельности советских профсоюзов: Речь на XV съезде профсоюзов СССР, 20 марта 1972 г. — М.: Политиздат, 1972. — 31 с.

41. О дальнейшем развитии изобретательского дела в стране, улучшении использования в народном хозяйстве открытий, изобретений и рационализаторских предложений и повышения их роли в ускорении научно-технического прогресса: Постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 20 августа 1973 г. № 575.

42. Инструкция по государственной научно-технической экспертизе изобретений (ЭЗ—2—74). Утверждено Госкомизобретений 13 декабря 1973 г.

43. Инструкция по определению размера вознаграждения за изобретения, не создающие экономии. — М.: ЦНИИПИ, — 1975.

44. Инструкция по экспертизе объектов техники на патентную чистоту. — М.: изд. ЦНИИПИ, 1975. — 79 с.

45. Инструкция о порядке выплаты вознаграждения за открытия, изобретения и рационализаторские предложения. — М.: изд. ЦНИИПИ, 1977. — 15 с.

46. Положение о Государственном комитете Совета Министров СССР по делам изобретений и открытий. — Вопросы изобретательства, 1977, № 3, с. 59—63

47. Положение о порядке премирования за содействие изобретательству и рационализации и использования выделенных для этих целей средств. — Вопросы изобретательства, 1974, № 8, с. 21—23

48. Правила о договорах подряда на капитальное строительство. Постановление Совета Министров СССР от 24 декабря 1969 г. № 973.

49. Разъяснение по некоторым вопросам, касающимся признания рационализаторских предложений инженерно-технических работников научно-исследовательских, проектных, конструкторских, технологических организаций и аналогичных в порядке их подачи. Утверждено Госкомизобретений 15 мая 1975 г. № 1.

50. Указания о порядке патентования Советских изобретений за границей (ЗП—5—74). Утверждено Госкомизобретений 18 декабря 1973 г.

51. Указания по составлению заявки на изобретение. Утверждено Госкомизобретений 21 ноября 1973 г.

52. Указания по составлению заявки на открытие. Утверждено Госкомизобретений 11 декабря 1973 г.

53. Указания по составлению предприятиями, организациями, учреждениями по заявкам на выдачу авторских свидетельств, заключений предусмотренных пп. 41, 42, 46. Положения об открытиях, изобретениях и рационализаторских предложениях (ЭЗ—3—74). — М.: ЦНИИПИ, 1976.

54. Авторское свидетельство как форма правовой охраны изобретений. — М.: 1977. — 87 с.

55. Абуев А. Н., Белогорская Е. М. Товарный знак и его правовое значение. — М.: Юридическая литература, 1972. — 72 с.

56. Абуев А. Н. Промышленный образец и его правовая охрана. — М.: Юридическая литература, 1977. — 72 с.

57. Андрушин В. В. Изобретательское и патентное право. — Минск Беларусь: 1975. — 128 с.

58. Артемьев Е. И., Кравец Л. Г. Изобретения, уровень техники, управление. — 2-е изд. перераб. и доп. — М.: Экономика, 1977. — 239 с.

59. Богуславский М. М. Международная охрана промышленной собственности (Парижская конвенция): (Учебное пособие) — М. 1967. — 80 с.

60. Боденхаузен Г. Парижская конвенция по охране промышленной собственности. Комментарий.: Пер. с франц. — М.: Прогресс, 1977. — 310 с.

61. Бузуев В. М. Особенности социалистического соревнования в условиях научно-технической революции. — М.: Экономика, 1977. — 142 с.
62. Вахламов И. А., Седлов П. А. Материальное поощрение в области научно-технического прогресса: Правовые вопросы. — М.: Юридическая литература, 1973. — 175 с.
63. Вахламов И. А., Седлов П. А. Материальное поощрение за создание и внедрение новой техники. — М.: Экономика, 1972. — 64 с.
64. Волюнец-Руссет Э. Я. Планирование и расчет эффективности приобретения лицензий. — М.: Экономика, 1973. — 144 с.
65. Гольдман Я. С. Строителю об изобретательстве и патентно-лицензионной работе. — М.: Стройиздат, 1978. — 207 с.
66. Горбаченко В. С. и др. Патентные бюллетени стран мира как источник библиографической информации. — М.: изд. ЦНИИПИ, 1974. — 315 с.
67. Городисский М. Л. Лицензии во внешней торговле СССР. — М.: Международные отношения, 1972. — 200 с.
68. Грейн Д. В. Ленинская забота об изобретателях. — Тб.: Сабчота Сакартвело, 1974. — 92 с.
69. Де Боно Эдвард. Рождение новой идеи: О нешаблонном мышлении: Пер. — М.: Прогресс, 1976. — 144 с.
70. Дозорцев В. А. Законодательство и научно-технический прогресс. — М.: Юридическая литература, 1978. — 191 с.
71. Доркин А. И. Изобретателю и рационализатору: Справочное пособие. — М.: Профиздат, 1975. — 128 с.
72. Ефимов Е. Н., Открытия и рационализаторские предложения под охраной закона. — М.: Юридическая литература, 1976. — 136 с.
73. Зеинн И. А. Наука и техника в гражданском праве. — М.: МГУ, 1977. — 208 с.
74. Изобретательство в СССР. — М.: изд. ЦНИИПИ, 1967. — 42 с.
75. Изобретателям и рационализаторам: Сборник официальных материалов. — М.: Профиздат, 1976. — 176 с.
76. Инженерный труд в социалистическом обществе: (Учебное пособие). — М.: Мысль, 1976. — 332 с.
77. Инженеру об изобретении. — 2-е изд. перераб. Под ред. Н. М. Зенкина. — М.: Атомиздат, 1976. — 198 с.
78. Ионас В. Я. Произведения творчества в гражданском праве — М.: Юридическая литература, 1972. — 168 с.
79. Исаков Л. Г. Научно-техническая информация в строительстве. — М.: Стройиздат, 1973. — 383 с.
80. Исмаилов А. Массовое техническое творчество рабочих и ИТР. — М.: Профиздат, 1975. — 79 с.
81. Источники научно-технической информации и их аналитико-синтетическая обработка: (Сборник лекций). — М.: 1974. — 149 с.
82. Иттенберг А. Г., Фонтерштейн В. Е. Патентная чисто-



та просктивных решений санитарно-технических устройств. — М.: Стройиздат, 1977. — 97 с.

83. Кекелашвили О. В. Организация патентной информации в ГрузНИИЭГС. — В кн.: Организация и методы работы органов НТИ в строительстве. Вып. 2. М., 1977, с. 36—37

84. Кекелашвили О. В. Справочно-информационное обслуживание в ГрузНИИЭГС. — В кн.: Научно-техническая информация в строительстве. Организация и методика. Вып. 6. М., 1974, с. 54—55

85. Кичкин И. И., Скорняков Э. П. — Формула изобретения. — М.: изд. ЦНИИПИ, 1973. — 72 с.

86. Классификация изобретений справочно-поисковый аппарат к патентным фондам стран мира и его использование при патентном поиске. М.: изд. ЦНИИПИ, 1974. — 241 с.

87. Краткий юридический справочник: В помощь профактиву. — М.: Профиздат, 1975. — 464 с.

88. Леонтьев Н. М. Наука производству. — Лениздат, 1976. — 120 с.

89. Лукьянов Э. Б., Андрухович Л. Н. Основные направления технического прогресса на современном этапе. — М.: Экономика, 1973. — 63 с.

90. Макацария З. А. Из истории издания грузинского технического журнала «Мецниереба да техника» («Наука и техника»). — Сборник трудов Московского Государственного института культуры. М., 1975. Вып. 25, с. 214—221.

91. Макацария З. А. Техническая книга Грузинской ССР в 1921—1941... — Научные и технические библиотеки СССР, 1979. № 8, с. 30—34

92. Мамнофа И. Э. Основы изобретательского права. — Лениздат, 1976. — 128 с.

93. Мамнофа И. Э. Охрана изобретений и технический прогресс. М., Юридическая литература, 1974. — 199 с.

94. Методика (основные положения). Определение экономической эффективности использования в народном хозяйстве новой техники, изобретений и рационализаторских предложений. М., 1977. — 54 с.

95. Методы поиска новых технических решений. Йошкар-Ола, 1976. — 192 с.

96. Новиков Э. А., Егоров В. С. Информация и исследователь. Л.: Наука, 1974. — 189 с.

97. Основные положения законодательства СССР по изобретательству. (Учебно-методические материалы). М.: изд. ЦНИИПИ, 1977. — 106 с.

98. Основы экономики труда и производства для молодых рабочих. М.: Политиздат, 1976. — 255 с.

99. Отбор изобретений для использования в разработках: (Методическое пособие). — М.: 1972. — 74 с. — (НИИЭПР).

100. Открытия, изобретения и рационализаторские предложения: (Нормативные акты). — М.: изд. ЦНИИПИ, 1974. — 95 с.
101. Охрана изобретений и товарных знаков. Правовые и экономические проблемы. — Рига: Знание, 1975. — 154 с.
102. Патентная документация США, Франции, ФРГ, Японии. — М.: изд. ЦНИИПИ, 1975. — 139 с.
103. Патентная и изобретательская деятельность советских предприятий и организаций. Вып. 3. — М.: изд. ЦНИИПИ, 1976. — 69 с.
104. Патентная и изобретательская деятельность советских предприятий и организаций. Организация патентных исследований во всесоюзном научно-исследовательском институте электротермического оборудования (ВНИИЭТО). Вып. 2. — М.: изд. ЦНИИПИ, 1976. — 82 с.
105. Патентоведение: Учебник. 2-е изд. перераб. и доп. Под ред. д-ра юрид. наук проф. В. А. Рясенцева. М.: Машиностроение, 1976. — 270 с.
106. Петров Ю. М. Совершенствование управления научно-техническим прогрессом. — М.: Мысль, 1976. — 222 с.
107. Положение о товарных знаках. — М.: изд. ЦНИИПИ, 1977. — 15 с.
108. Полукаров В. Л. От идеи до конвейера. — М.: Знание, 1974. — 152 с.
109. Пособие для расчета экономии от внедрения изобретений и рационализаторских предложений. — М.: изд. ЦНИИПИ, 1977. — 178 с.
110. Прахов Б. Г., Зенкин Н. М. Справочное пособие по изобретательству, рационализации и патентному делу. — Киев: Вища школа, 1978. — 152 с.
111. Прикладная документалистика. М.: Наука, 1968. — 199 с.
112. Притаманный В. В., Тимофеев Л. П. Изобретательство и рационализация в строительстве. — Киев: Будевельник, 1978. — 120 с.
113. Рассохин В. П. Изобретательское право для изобретателей. — М.: Московский рабочий, 1974. — 112 с.
114. Рашилина М. Ф., Вчерашний Р. П. Организация системы патентной информации в СССР: Лекции. — М.: 1974. — 106 с. — (ИПКИР).
115. Рудельсон К. И. Современные документные классификации. — М.: Наука, 1973. — 267 с.
116. Словарь патентных терминов. Раздел I. Патентная информация. — М.: изд. ЦНИИПИ, 1971. — 102 с.
117. Софонов Г. П. Социалистическое соревнование и изобретательство. — Тб.: 1975. — 16 с.
118. Социалистическое государство, право и научно-техническая революция. — М.: Юридическая литература, 1975. — 271 с.
119. Справочно-поисковый аппарат к патентным фондам СССР, Великобритании, США, Франции, ФРГ и Японии и его использование при

проведении патентного поиска: (Сборник статей). — М.: изд. ЦНИИПИ, 1976. — 224 с.

120. Типовые укреплённые нормы времени на выполнение патентно-информационных работ и работ относящихся к патентно-изобретательской деятельности. — М.: изд. ЦНИИПИ, 1976. — 87 с.

121. Шепелев Н. П. и др. Методика выявления изобретений. — Кемерово: 1974. — 140 с.

122. Штуми ф Г. Договор о передаче Ноу-хау. Перевод с немецкого. М.: Прогресс, 1976. — 376 с.

## შ ი ნ ა რ ს ი

ამ წიგნის შესახებ	3
წინასიტყვაობა	4
<b>თ ა ვ ი I. გა მო მ გ ო ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ა და რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს</b>	
<b>ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა ს ს რ კ ა ვ შ ი რ შ ი</b>	11
§ 1. რომელი ორგანოები ახორციელებენ საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ხელმძღვანელობას და რა ფუნქციები აქვთ მათ?	11
§ 2. ვინ ხელმძღვანელობს გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას საწარმოებში და ორგანიზაციებში და რა ევალებათ მათ?	13
§ 3. როგორია საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების ამოცანები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებაში?	15
§ 4. როგორია გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების როლი საგამომგონებლო საქმის განვითარებაში?	16
§ 5. საგამომგონებლო და საპატენტო საქმით დაინტერესებულმა პირმა სად შეიძლება აიმაღლოს კვალიფიკაცია?	19
<b>თ ა ვ ი II. ა ღ მ ო ჩ ე ნ ა</b>	20
§ 1. რა არის აღმოჩენა?	20
§ 2. როგორ განსაზღვრავს კანონი დაცვისუნარიან მეცნიერულ აღმოჩენას?	21
§ 3. რას ნიშნავს „მატერიალური სამყაროს კანონზომიერებების, თვისებებისა და მოვლენების დადგენა“?	23
§ 4. რა არის აღმოჩენის სიახლე?:	24
§ 5. როგორ დგინდება აღმოჩენის პრიორიტეტი?	25
§ 6. რა არის „შემეცნების სფეროში ძირეული ცვლილებების შეტანა“, როგორც აღმოჩენის კრიტერიუმი?	26
§ 7. რა არის აღმოჩენის უტყუარობა?	27
§ 8. როგორ ხდება აღმოჩენების დაცვა?	28
§ 9. როგორ ფორმდება განაცხადი აღმოჩენაზე?	28
§ 10. როგორ დგება აღმოჩენის აღწერილობა?	29
§ 11. როგორია აღმოჩენებზე განაცხადის შეტანის წესები?	31
§ 12. როგორ ხორციელდება აღმოჩენების წინასწარი ექსპერტიზა?	31

§ 13. როგორ ხორციელდება აღმოჩენების სამეცნიერო ექსპერტიზა?	32
§ 14. როგორია საიდუმლო აღმოჩენების გაფორმების წესი?	35
§ 15. სად და რომელი წლიდან შეიძლება მოინახოს ცნობები სსრ კავ- შირში გაკეთებული აღმოჩენების შესახებ?	36
§ 16. შეიძლება თუ არა აღმოჩენის რეგისტრაციის გაპროტესტება?	36
§ 17. როგორი კავშირი არსებობს აღმოჩენასა და გამოგონებას შორის?	37
<b>თ ა ვ ი III. გა მ ო გ ო ნ ე ბ ა</b>	<b>38</b>
§ 1. რა არის გამოგონება?	38
§ 2. რა არის გამოგონების ობიექტი?	40
§ 3. რით ხასიათდება მოწყობილობა, როგორც გამოგონების ობიექტი?	42
§ 4. რით ხასიათდება ხერხი, როგორც გამოგონების ობიექტი?	43
§ 5. რით ხასიათდება ნიეთიერება, როგორც გამოგონების ობიექტი?	44
§ 6. რა არის გამოგონება „გამოყენებაზე“?	47
§ 7. როგორი ობიექტები არ მიიჩნევა გამოგონებებად?	48
§ 8. რა დოკუმენტით მტკიცდება გამოგონების ავტორობა?	49
§ 9. როგორია გამოგონებაზე პატენტის გაცემის განაცხადების განხილვის თაისებურებანი?	51
§ 10. რას ნიშნავს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება?	52
§ 11. ვინ შეიძლება იყოს გამოგონების ავტორი?	54
§ 12. რას ნიშნავს თანაავტორობა გამოგონებაზე?	54
§ 13. შეიძლება თუ არა მიჩნეული იყოს თანაავტორად მუშაკი, რომელ- მაც მიაწოდა იდეა, მაგრამ არ იღებდა მონაწილეობას ამ იდეის რე- ალიზაციაში?	55
§ 14. რა სიახლეებზე გაიცემა საავტორო მოწმობები და პატენტები?	56
§ 15. მუშაობის რა სტადიაზეა მიზანშეწონილი განაცხადის შეტანა გა- მოგონებაზე?	57
§ 16. ვინ ავლენს და ვის მიერ შეიტანება განაცხადი გამოგონებაზე?	57
§ 17. რა დოკუმენტებს შეიცავს გამოგონებაზე განაცხადის მასალები?	59
§ 18. როგორ ღება გამოგონების აღწერილობა?	60
§ 19. როგორ ფორმდება ნავარაუდები გამოგონების საილუსტრაციო მასა- ლები?	62
§ 20. როგორ ფორმდება დასკვნა გამოგონების სიახლეზე, არსებით გან- სხვავებებზე და დადებით ეფექტზე?	66
§ 21. როგორ ღება ცნობა განცხადებული გამოგონების საპატენტო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით გამოკვლევის შესახებ?	69
§ 22. მოეთხოვება თუ არა ცნობის დათვა საპატენტო გამოკვლევებზე ყველა განაცხადს, რომლებიც იგზავნება სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში?	75
§ 23. როგორ ფორმდება ცნობა გამოგონების შექმნაში თითოეული თა- ნაავტორის შემოქმედებითი მონაწილეობის შესახებ?	75
§ 24. როგორია გამოგონებაზე განაცხადების ექსპერტიზის წესი?	76
§ 25. რას წარმოადგენს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელ- მწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის საკონ-	

ტროლი საბჭო?	79
§ 26. რა არის გამოგონების ფორმულა და რანაირი მოთხოვნები წაეყენება მას?	80
§ 27. როგორია გამოგონების ფორმულის სტრუქტურა?	81
§ 28. უპირისპირდება თუ არა განცხადებულ გამოგონებებს დეპონირებული მასალები, სხვადასხვა სახის შეტყობინებები და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები?	82
§ 29. ვინ აწერს ხელს გამოგონებაზე განაცხადს?	82
§ 30. შეუძლია თუ არა ავტორის სთხოვოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოიძახოს იგი თავისი განაცხადის განხილვაში მონაწილეობისათვის?	83
§ 31. თუ ორგანიზაციის შტატში არ არის საპატენტო ქვეგანყოფილება, ვის შეუძლია დაეხმაროს გამოგონებლებს გამოგონებაზე განაცხადის გაფორმებაში?	83
§ 32. რა შემთხვევებში უნდა დაეურთოთ ნავარაუდები გამოგონების აღწერილობას არა მარტო ნახაზები, არამედ ნახატები და ფოტოები?	83
§ 33. როგორ დავადგენთ გამოგონების პრიორიტეტს?	84
§ 34. რას ნიშნავს კონვენციური პრიორიტეტი?	84
§ 35. თუ ავტორი არ არის თანახმა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებისა, როგორ უნდა მოიქცეს იგი?	85
§ 36. რა არის ობიექტის პატენტუნარიანობა და საპატენტო სიწმინდე, რა კავშირია მათ შორის?	86
§ 37. რა არის პერსპექტიული გამოგონებები?	88
§ 38. რა არის გამოგონებების განმეორებითობა?	89
§ 39. რომელ გამოგონებებს ეწოდება დამატებითი?	89
§ 40. როგორ ფორმდება განაცხადი დამატებით გამოგონებაზე?	90
§ 41. აქვს თუ არა უფლება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გააუქმოს არასწორად მიღებული გადაწყვეტილება გამოგონების საავტორო მოწმობის ვაცემაზე?	90
§ 42. შეიძლება თუ არა გამოგონების ისეთი მასალები გამოვაქვეყნოთ, რომლებზედაც არ არის ვაცემული საავტორო მოწმობა და რა შემთხვევაშია საჭირო გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ნებართვა?	91
§ 43. რას იძლევა გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტება?	91
§ 44. როგორი წესით შეიძლება და ფორმდება გამოგონებები საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის?	92
§ 45. ვინ იღებს გადაწყვეტილებას საბჭოთა გამოგონებების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე?	95
§ 46. როგორ დგება განაცხადი საზღვარგარეთ პატენტის მიღებაზე?	95
§ 47. რა არის საპატენტო პასპორტი?	96
§ 48. რა არის და როგორ დგება სალიცენზიო პასპორტი?	96
§ 49. რა არის ლიცენზია?	98
§ 50. რა სახის სალიცენზიო შეთანხმებები გვხვდება პრაქტიკაში და რაში გამოიხატება მათი არსი?	99

თავი IV. რაციონალიზატორული წინადადება	102
§ 1. რა არის რაციონალიზატორული წინადადება და რა მოთხოვნები წყენებული მის მიმართ?	102
§ 2. როგორ განისაზღვრება რაციონალიზატორული წინადადების პირველობა?	103
§ 3. რა სახის წინადადებები არ ჩაითვლება რაციონალიზატორულად?	104
§ 4. როგორია რაციონალიზატორულ წინადადებაზე განაცხადების შეტანისა და განხილვის წესი და ვადები?	105
§ 5. როგორ ფორმდება განაცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე?	106
§ 6. ვის აქვს უფლება გადაწყვიტოს რაციონალიზატორულია თუ არა წინადადება?	109
§ 7. რა არის რაციონალიზატორული წინადადების დეკალიფიკაცია?	100
§ 8. არსებობს თუ არა რაციონალიზატორული წინადადების გაფორმებაზე განსაკუთრებული წესები და დამატებითი მოთხოვნები, როცა იგი შეიტანება სამინისტროში?	110
§ 9. რა სახის ტიპური ფორმები გამოიყენება რაციონალიზატორული წინადადების გაფორმებისათვის?	111
§ 10. ვინ გასცემს მოწმობას რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც შეტანილია საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელის, მისი მოადგილის, მთავარი ინჟინრის, მთავარი ინჟინრის მოადგილის მიერ?	125
§ 11. ვის მიერ დგინდება სიახლე რაციონალიზატორულ წინადადებაზე და შეიძლება თუ არა იგი აღიარებულ იქნეს გამოგონებად?	126
§ 12. რაციონალიზატორისაგან ზოგჯერ, გარდა ჩვეულებრივი დოკუმენტებისა, თხოულობენ მოდელების და ფოტოების წარდგენას. სწორია თუ არა ეს?	126
§ 13. შეიძლება თუ არა გაიცეს მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე ბეჭდით დამოწმებულ ფურცელზე?	127
§ 14. როგორი წესია სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანალოგიური ქვეგანყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინადადებების რაციონალიზატორულად აღიარებისა და მათი შეტანის შესახებ	127
თავი V. რაციონალიზაცია მშენებლობაში	130
§ 1. რა თავისებურებებით ხასიათდება რაციონალიზატორული წინადადებები მშენებლობაში?	130
§ 2. როგორი წესით შეაქვთ და განიხილვენ რაციონალიზატორულ წინადადებებს მშენებლობაში?	133
§ 3. რას გულისხმობს რაციონალიზაცია და მოიჭარადრის ღონისძიებები მშენებლობის ღირებულების შესამცირებლად?	139
§ 4. როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს მოიჭარადრესა და დამკვეთ ორგანიზაციებს შორის მშენებლობის ღირებულების შემცირების ღონისძიებების განხორციელების საქმეში?	142
§ 5. როგორი წესით აისახება მშენებლობის გეგმაში მოიჭარადრის მიერ გატარებული ღონისძიებებით მიღებული ეკონომია?	143

- § 6. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მშენებლობის გაიაფების მოიჯარადრის ღონისძიება? 144
- § 7. როგორია რაციონალიზატორული წინადადებისა და მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების გაფორმების წესი? 146
- § 8. რა ძირითადი განსხვავებებია რაციონალიზატორულ წინადადებებსა და მოიჯარადრის მშენებლობის გაიაფების ღონისძიებებს შორის? 147
- § 9. როგორია მოიჯარადრე ორგანიზაციების მშენებლობის გაიაფების ღონისძიებების წახალისების წესები? 148
- § 10. როგორი წესით შეაქვს დამკვეთს ცვლილებები წარმოებაში გადაცემულ საპროექტო-სახარჭო დოკუმენტაციაში? 150
- § 11. რა სახის ნაკლოვანებები შეინიშნება მოიჯარადრის ღონისძიებების სწორად კვალიფიკაციის საქმეში? 152
- § 12. როგორია კვემოიჯარადრე სანშენებლო ორგანიზაციების რაციონალიზატორული წინადადებების გაფორმების წესები? 153
- § 13. როგორია სამშენებლო ორგანიზაციების მიერ გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით სამუშაოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის სტრუქტურა? 156
- § 14. როგორია სამშენებლო ორგანიზაციაში ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებების გეგმის შინაარსი? 158
- § 15. როგორია თემატური დაგეგმვის შინაარსი სამშენებლო ორგანიზაციებში? 160
- § 16. როგორ ხდება მშენებლობაში გამოგონებების დამუშავების, შემოწმებისა და გამოყენების სამუშაოების დაგეგმვა? 161
- § 17. როგორ ხდება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით მიღებული ეკონომიის დაგეგმვა მშენებლობაში? 163
- § 18. როგორია გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდები? 165
- § 19. როგორია მშენებლობაში ახალი ტექნიკის გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებული ეკონომიის განსაზღვრის ერთიანი მეთოდის შინაარსი? 168
- § 20. როგორ ხდება გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებით წლიური ეკონომიური ეფექტის განსაზღვრა? 170
- § 21. ვის მიერ მტკიცდება ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებული ეკონომიური ეფექტის ანგარიშები პრემიის ოდენობის განსაზღვრისათვის? 176

თ ა ე ი VI. გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებათა გამოყენება. უფლება გასამრჩელოზე და სხვა უფლებები 177

- § 1. როგორია გამოგონებებსა და რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციის წესი? 177
- § 2. როგორ დგინდება გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების ფაქტი? 180
- § 3. როგორია გამოგონებლობის ორგანიზაციის სტრუქტურა სოფლის



მეურნეობაში. თუ გამოგონება გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სა- წარმოში, მაგალითად კოლმეურნეობაში, და კოლმეურნეობას არ გააჩნია სახსრები გამოგონების დანერგვის უზრუნველსაყოფად, ვინ გაიღებს საამისო ხარჯებს?	181
§ 4. როგორი პერიოდულობით დგება და სად იგზავნება ცნობა „№ 4 ნტ“, წარმოებაში გამოყენებულ გამოგონებათა შესახებ?	183
§ 5. როგორ იგვემება გამოგონებების გამოყენება?	184
§ 6. აქვს თუ არა უფლება ავტორს მონაწილეობა მიიღოს თავისი გა- მოგონების გამოყენებაში და რა წესი არსებობს ამაზე?	184
§ 7. დადგენილია თუ არა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ვადები?	185
§ 8. რა წესითა და ოდენობით ეძლევა ავტორს გამოგონებაზე გასამრ- ჯელო?	186
§ 9. სად შეიძლება მივიღოთ ცნობა თუ რომელ საწარმოში გამოიყენება ავტორის გამოგონება?	186
§ 10. რა ითვლება გამოგონების გამოყენების დაწყებად?	186
§ 11. შეიძლება თუ არა გამოგონების ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომლებზეც არ არის გაცემული საავტორო მოწმობა და რა შემ- თხვევაშია საჭირო გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელ- მწიფო კომიტეტის ნებართვა?	186
§ 12. თუ გამოგონება გამოიყენება სსრ კავშირში და საზღვარგარეთ, როგორ ხდება გასამრჯელოს გადახდა?	187
§ 13. როგორ ისაზღვრება გასამრჯელოს ოდენობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე?	187
§ 14. როგორია გასამრჯელოს გაემის წესი რაციონალიზატორულ წი- ნადადებაზე?	188
§ 15. ვინ არის ვალდებული გამოთვალოს ეკონომია?	188
§ 16. როგორ ნაწილდება თანაავტორებს შორის გასამრჯელო და რა დო- კუმენტების საფუძველზე?	189
§ 17. რით ხელმძღვანელობს ორგანიზაცია ეკონომიის გამოთვლისას?	190
§ 18. შეიძლება თუ არა გასამრჯელოს ოდენობის გაზარდა?	190
§ 19. რა სახის წინადადებებზე და როგორ ხდება გასამრჯელოს გადახდა ისეთ გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე, რომლებიც არ იძლევიან ეკონომიას?	190
§ 20. გასამრჯელოს გაემის როგორი წესია აღმოჩენების ავტორებისა- თვის?	204
§ 21. როგორ გასამრჯელოს იღებენ პერსპექტიულ გამოგონებათა ავტო- რები?	205
§ 22. ვინ იხდის გამოგონებაზე საავტორო გასამრჯელოს?	205
§ 23. ვინ წარმოადგენს გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინა- დადების გამოყენების უფლების სუბიექტებს?	206
§ 24. ვინ და როგორი წესით იცავს გამოგონებლებისა და რაციონალი- ზატორების უფლებებს?	208
§ 25. როგორ განისაზღვრება და გადაიხდება გასამრჯელო სამრეწველო ნიმუშებისათვის?	208

§ 26. როგორ ნაწილდება გასამრჩელო ავტორებს შორის?	210
§ 27. რა სახის დავა განიხილება ადმინისტრაციული წესით?	210
§ 28. რა სახის დავა განიხილება ადმინისტრაციულ-სასამართლო წესით?	213
§ 29. რა სახის დავა განიხილება სასამართლო წესით?	214
§ 30. როგორ განიხილავენ გამოგონებისათვის, რაციონალიზატორული წინადადებისათვის და სამრეწველო ნიმუშისათვის გასამრჩელოს გაყენებასთან დაკავშირებულ დავას?	215
§ 31. რა ვალებში და რა წესით განიხილება გამოგონების ავტორთა საჩივარი, რომელიც ეხება ეკონომიის არასწორ გამოთვლას?	216
§ 32. როგორ იქმნება გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემიების ფონდი?	216
§ 33. რა სამუშაოებზე და ვის მიეცემა პრემია გამოგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის ხელის შეწყობაზე?	218
§ 34. რა შემთხვევაში ეძლევათ ავტორებს ერთდროული წამახალისებელი ჯილდო და რა ვალებში?	221
§ 35. გამოგონებაზე მიღებული ერთდროული წამახალისებელი ჯილდო ექვეთება თუ არა ავტორს საგამომგონებლო პონორარის (ძირითადი გასამრჩელოს) მიღების დროს?	221
§ 36. როგორ განისაზღვრება გასამრჩელოს ოდენობა, რომელიც ეკუთვნის გამოგონების თითოეულ თანაავტორს?	221
§ 37. არის თუ არა დადგენილი პრემიების გაცემის ვადები?	222
§ 38. გაიცემა თუ არა გამოუყენებელი რაციონალიზატორული წინადადების გასამრჩელო, თუ ნაკეთობა, რომელშიც გამოუყენებულა ეს წინადადება, ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული?	222
§ 39. როგორ წყდება საკითხი გაცემული გასამრჩელოს დაბრუნების შესახებ?	222
§ 40. როგორ ზღბა საქაროველოს სსრ დამსახურებული გამოგონებლის ან რაციონალიზატორის წოდების მინიჭება?	223
§ 41. როგორი აღნიშვნები კეთდება ავტორების შრომის წიგნაკში აღმოჩენებთან, გამოგონებებთან, რაციონალიზატორულ წინადადებებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებით?	224
§ 42. რა სახის და როგორი შეღავათებით სარგებლობენ გამოგონებლები და რაციონალიზატორები?	225
§ 43. ეძლევათ თუ არა გამოგონების ავტორებს საავტორო მოწმობის გარდა სამკერდე ნიშანი და რა პირობებია საჭირო ამისათვის?	233
§ 44. ვალდებულია თუ არა საწარმო, რომელიც იყენებს გამოგონებას, შეატყობინოს ავტორს ამ ფაქტზე და მისი კუთვნილი გასამრჩელოს თანხაზე?	233
§ 45. კონკურსზე წარდგენილი ხელსაწყო, რომელზეც არ არის გაცემული საავტორო მოწმობა, აღიარებულია საუკეთესოდ და გადაეცა საწარმოს მასობრივი დამზადებისათვის. აქვს თუ არა უფლება ხელსაწყოს ავტორს მიიღოს გასამრჩელო?	234
§ 46. საავტორო გასამრჩელოს რა ოდენობაზეა დადგენილი საშემოსავლო ბეგარის გადახდა?	234
§ 47. შეუძლია თუ არა ავტორს გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენ-	

ტების შესახებ საკითხი თვითონ აღძრას და რომელი ორგანიზაცია იღებს მხრუნელობას ამასთან დაკავშირებით?	235
§ 48. რა როლენობის გასამრჯელოს იღებს ავტორი იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოგონება დაპატენტებულია საზღვარგარეთ?	235
§ 49. თუ ავტორი თვლის, რომ მისი რაციონალიზატორული წინადადება უსამართლოდ უარყვეს, ხოლო ზუსტად ასეთივე, მოგვიანებით შეტანილი დანერგეს, აქვს თუ არა უფლება ავტორის მიმართოს სასამართლოს?	235
§ 50. რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც გამოიყენება, შეტანილია განაცხადი გამოგონებაზე გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში. მიღებულია გადაწყვეტილება საავტორო მოწმობის გაცემაზე. აქვს თუ არა ავტორის უფლება გასამრჯელოს მიღებაზე?	236
§ 51. განცხადება რაციონალიზატორულ წინადადებაზე ორგანიზაციაში გაატარეს რეგისტრაციაში, მაგრამ არ გამოუყენებიათ. მოგვიანებით სხვა მუშაკმა იმავე ორგანიზაციაში გააფორმა ზუსტად ისეთივე წინადადება, რომელიც დაინერგა. ვინ ჩაითვლება ავტორად, ვის მიეცემა გასამრჯელო?	236
§ 52. ავტორს რაციონალიზატორული წინადადების სამუშაო ნახაზებზე მოუვიდა წერილი—მოთხოვნა, შეუძლია თუ არა გაუგზავნოს ნახაზები დამკვეთს ფასდებით?	237
§ 53. რა ასაკიდან შეიძლება იყოს მიჩნეული პიროვნება აღმოჩენის, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორად?	237
თ ა ვ ი VII. ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ნ ი მ უ შ ი და ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო ნ ი შ ა ნ ო	237
§ 1. რა არის სამრეწველო ნიმუში?	237
§ 2. როგორ ფორმდება უფლება სამრეწველო ნიმუშზე?	238
§ 3. რა მოთხოვნებია წაყენებული სამრეწველო ნიმუშების მიმართ და რა სიახლე მოეთხოვება მათ?	240
§ 4. როგორ ტარდება განაცხადების ექსპერტიზა სამრეწველო ნიმუშებზე?	240
§ 5. ვინ აძლევს კვალიფიკაციას წინადადებას — არის თუ არა ის სამრეწველო ნიმუში?	241
§ 6. რა სახის დამკველი დოკუმენტი მიეცემა სამრეწველო ნიმუშის ავტორებს?	241
§ 7. რა ვადით მოქმედებს სამრეწველო ნიმუშზე გაცემული დამკველი დოკუმენტი?	242
§ 8. რა შემთხვევებში გაიცემა სამრეწველო ნიმუშზე მხოლოდ მოწმობები?	242
§ 9. შეუძლია თუ არა ავტორს მოითხოვოს განაცხადის ხელმოწერად განხილვა მოწმობის გაცემაზე უარის შემთხვევაში?	243
§ 10. რა სისტემით არის კლასიფიცირებული სამრეწველო ნიმუშები და როგორია მისი სტრუქტურა?	243
§ 11. სად შეიძლება სსრ კავშირში სამრეწველო ნიმუშებზე გაცემული მოწმობებისა და პატენტების გაცნობა?	245
§ 12. რას წარმოადგენს სასაქონლო ნიშანი?	246

§ 13. როგორი აღნიშვნები არ რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნების სახით?	247
§ 14. როგორ ხორციელდება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია?	248
§ 15. რაში მდგომარეობს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის აუცილებელი გამოყენების პრინციპი?	249
§ 16. შეიძლება თუ არა გაპროტესტდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია?	249
§ 17. როგორია საბჭოთა სასაქონლო ნიშნების საზღვარგარეთ რეგისტრაციის მიზანი და წესი?	250

**თავი VIII. საპატენტო დოკუმენტაცია და საპატენტო ინფორმაცია** 252

§ 1. რა არის საპატენტო დოკუმენტაცია?	252
§ 2. ვინ ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში საპატენტო დოკუმენტაციის სიახლეებზე ინფორმაციას და საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობას?	252
§ 3. რა სახის და როგორი პირობებით უწევს მომსახურებას ორგანიზაციებსა და საწარმოებს საპატენტო სამსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალი?	254
§ 4. რა არის საინფორმაციო გამოცემები?	257
§ 5. რა არის სასიგნალო საპატენტო ინფორმაცია?	258
§ 6. რა ძირითად სასიგნალო საპატენტო საინფორმაციო გამოცემებს ახორციელებს საპატენტო ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტი საბჭოთა და საზღვარგარეთის გამოგონებებზე?	259
§ 7. სად შეიძლება გავეცნოთ საპატენტო დოკუმენტაციას?	260
§ 8. რა არის ტერიტორიული და დარგობრივი საპატენტო ფონდები და როგორია მათი დანიშნულება?	261
§ 9. რა არის საპატენტო აღწერილობა?	262
§ 10. არსებობს თუ არა ყველა ქვეყნისათვის საპატენტო აღწერილობის შედგენის ერთიანი წესი?	262
§ 11. რა ძირითადი ნაწილებისაგან შედგება საპატენტო აღწერილობა?	262
§ 12. რა ცნობები საპატენტო აღწერილობის ბიბლიოგრაფიულ ნაწილში?	263
§ 13. საპატენტო აღწერილობების ნუმერაციის როგორი სისტემები არსებობს?	263
§ 14. შეიძლება თუ არა პატენტის ნომრით განვსაზღვროთ ქვეყანა, რომელშიც ის გაიცა?	263
§ 15. რომელი თარიღები აღინიშნება საპატენტო აღწერილობებზე?	264
§ 16. გამოგონებათა კლასიფიკაციის რა სისტემა გამოიყენება სსრ კავშირში და როგორია მისი სტრუქტურა?	264
§ 17. გამოგონებათა როგორი კლასიფიკაციები არსებობს? რა სისტემით არის განლაგებული სამამულო გამოგონებათა აღწერილობები ჩვენი რესპუბლიკის საპატენტო ფონდში?	265
§ 18. რა არის უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია და როგორია მისი სტრუქტურა?	266
§ 19. როგორ უნდა განვსაზღვროთ გამოგონების აღწერილობის საკლასი-	

ფიკაციო ინდექსი, თუ ვიციტ ქვეყანა, რომელმაც გასცა პატენტი და პატენტის ნომერი?	271
§ 20. რა სახის რეტროსპექტული და მიმდინააუ გამოცემებია და როგორ უნდა ვისარგებლოთ აშშ-ის, გფრ-ის და იაპონიის საპატენტო დოკუმენტაციით?	271
§ 21. რომელი პერიოდის და რომელი ქვეყნის გამოგონებათა აღწერილობებითაა დაკომპლექტებული ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიული საპატენტო ფონდი?	277
§ 22. საპატენტო-საინფორმაციო მოღვაწეობის ზოგიერთი ტერმინები, რომლებიც არ შევიდა VIII თავში.	279
თ ა ვ ი IX. რ ა წ ა ე ი კ ი თ ხ ო თ.	284
თ ა ვ ი X. დ ა ნ ა რ თ ი	293
§ 1. დებულება აღმოჩენების, გამოგონებების და რაციონალიზატორულ წინადადებების შესახებ. დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1976 წლის 19 აგვისტოს. შეთან-ღობებითა და დამატებებით, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 28 დეკემბრის № 1078 დადგენი-ლების შესაბამისად	293
§ 2. დროებითი მითითებანი რაციონალიზატორულ წინადადებაზე განცხა-დების მიღების, გაფორმებისა და განხილვის წესების შესახებ. დამ-ტკიცებულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმე-თა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1976 წლის 19 აგვისტოს შეთან-ხმებულია სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართვე-ლოსთან და გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან	356.
§ 3. სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციო-ნალიზატორული წინადადებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტია-ნობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (ძირითადი დებულებები). დამტკი-ცებულია სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კო-მიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და გამოგონებე-ბისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 1977 წლის 14 თებერვლის № 48 /16/ /13/ 3 დადგენილებით	367
§ 4. ინსტრუქცია აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორუ-ლი წინადადებებისათვის გასამრჩელოს გაყემის შესახებ. დამტკიცე-ბულია სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სა-ხელმწიფო კომიტეტის მიერ 1974 15 იანვარს	414
ლი ტ ე რ ა ტ უ რ ა	430

Отар Васильевич Кекелашвили  
Шота Николаевич Путуридзе

СПРАВОЧНИК ИЗОБРЕТАТЕЛЯ И РАЦИОНАЛИЗАТОРА

(В вопросах и ответах)

რეცენზენტები: ტეძნ. მეცნ. დოქტ. ი. დოლიძე  
ტეძნ. მეცნ. დოქტ. ი. ბერიშვილი

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი თ. შილაკაძე  
გამომცემლობის რედაქტორი ი. ვოლკოვა  
ტექნორედაქტორი ე. ბოკეჩია  
მხატვარი ვ. ხმალაძე  
კორექტორი დ. ერისთავი

ИБ 1739

გადაეცა წარმოებას 22.4.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.03.1982;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 28.0;  
საარტიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23.0;

უე 04398; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1502;  
ფასი 2 მან. 75 კაპ.

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниерсба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19